

ბ. ქ ა ვ ე რ ი ნ ი

ო რ ი  
ქ ა კ ი ბ ა ნ ი

რ მ ა ნ ე

ტ მ ფ ი

||

თ ა რ ბ მ ნ ა

ნინო ქუჩუკაშვილმა

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის  
სახელმწიფო გამომცემლობა  
19-თბილისი-58





ნაწილი მეექვსე

კატია ტატარინოვას ნაამბობი  
ახალგაზრდობა გრძელდება

თავი პირველი

„შენ მას არ იცნობ“

ივან პავლიჩი მორიდებულად. გავიდა ვაგონიდან. ვალია კი ისევ მოკითხვას აბარებდა მემხეცეობის საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე ვილაც პაველ პეტროვიჩთან. „ოჰ, ჯანდაბა! კინალამ არ დაშავიწყდა! ექიმიც ნოიკითხე!“ ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე კირა არ მობრუნდა, ხელი არ მოჰკიდა და არ წაიყვანა. ჩვენ მარტონი დავრჩით. ოჰ, როგორ არ მინდოდა, რომ სანია წასულიყო!

აი, როგორი იყო ამ წუთში სანია — მე მინდოდა მთლიანად დაგეხსომებინა იგი და არა მარტო თვალები, რომელთა ცქერით ვერა ვძლებოდი. უქულოდ იდგა და ისეთი ახალგაზრდა ჩანდა, რომ ვუთხარი კიდევ, შენთვის ცოლის შერთვა ჯერ ადრეა-მეთქი. ფორმაში უფრო მალალი მეჩვენებოდა, მაგრამ მაინც პატარა ტანისა იყო და ალბათ ამიტომ ზოგჯერ თავისდაუნებურად ღებხის წვერებზე იწედა. ახლაც ასე მოიქცა, რომ მივიხედე. შნოიანი იყო, ყველაფერი ლაზა-

თიანად ადგა ტანზე, მაგრამ საქოჩრეზე თმა აფშეკოდა და გასაოცრად უხდებოდა, მეტადრე მაშინ, როცა ილიმებოდა. როდესაც ერთმანეთს გადავებხვიეთ და უკანასკნელად მივხედე ბაქანიდან, იგი ილიმებოდა და ისევ იმ გამბედავ, შავგვრემან, საყვარელ სანიასა ჰგავდა, რომელიც ოდესღაც შემეყვარდა.

ყველანი საღდაც იდგნენ, მაგრამ მე ვერავის ვერა ვხედავდი და ბაქანიდან რომ ჩამოვდიოდი, კინალამ წავიქეცი. ოჰ, როგორ არ მინდოდა, რომ წასულიყო!

მატარებელი რომ დაიძრა, სანიამ ქუდი დამიქნია. მე ვაგონს გვერდით მივდევდი და თან სულ გავიძახოდი: „ჰო, ჰო“...

— მომწერ ხოლმე?

— ჰო, ჰო!

— ყოველდღე?

— ჰო!

— ჩამოხვალ?

— ჰო, ჰო!

— გიყვარვარ?

ჩურჩულით მკითხა, მაგრამ მე ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი.

— ჰო, ჰო!

სადგურიდან ივან პავლიჩი გავაცილეთ. იგი გზაშიც სულ სანიასზე ლაპარაკობდა.

— თავიდათავია, მეტისმეტად რთული ხასიათისა არ უნდა გეგონოს. — მითხრა მან. — შენ კი თავმოყვარე ხარ და პირველ ხანებში ვერ მორიგდებით. კატია, შენ, საერთოდ, თითქმის არ იცნობ მას.

— ბატონს ვახლავარ!

— იცი, რა არის მისი მთავარი თვისება? მუდამ ჭაბუკად დარჩება, რადგანაც მგზნებარე სულის ადამიანია, საკუთარი იდეალები აქვს.

მან მკაცრად შემომხედა და გაიმეორა:

— სული, რომელსაც საკუთარი იდეალები აქვს... შენ კი ამაყი ხარ და შეიძლება ეს ვერ შეამჩნიო.

მე გამეცინა.

— სასაცილო არაფერია. რასაკვირველია, ამაყი ხარ. სხვათა შორის. ბაგშოვბაშიც თავისებური იყავი. ის კი ფიცხია. საერთოდ, იფიქრე მასზე, კატია.

მე ვუთხარი: იმაზე ისედაც ძალიან ბევრსა ვფიქრობ, მაგრამ არც ისეთი კარგია, რომ სულ იმაზე ვიფიქრო-მეთქი.

საღამოს კი სწორედ ასე მოვიქცევი: დავეჯექი და დავიწყე სანიაზე ფიქრი. ყველანი წაიღინენ: ვალია და კირა — კინოში, ალექსანდრა დმიტრიევნა რომელიღაც კლუბში გორკის „ხიფათ-სიფათის“ მიხედვით გაკეთებულ ლიტმონტაჟის წასაყიბხად, რომელიც თვითონ შეადგინა და რომლითაც ძალიან მოჰქონდა თავი, მე კი დიდხანს ვუჯექი ჩემს რუკას, მერე თავი მივანებე და ფიქრებს გავუყევი.

ღიახ, ივან პავლიჩი მართალია — მე მას არ ვიცნობ! უნებლიეთ ჯერ ისევ თვალწინ მიდგება ის კურტკიანი ბიჭი, რომელიც ოდესღაც მელოდა ბალში, ტრიუმფალურზე, და იმდენ ხანს იტრიალა იქ, ვიდრე ფარნები არ აინთო. ვიდრე უეცრად არ გავბედე, მოედანი არ გადავქერი და მისკენ არ წავედი; ის ბიჭი, რომელსაც გადავვხვიე, თუმც სამ სკოლას — ჩვენსას, 143-ეს და 28-ეს — შეეძლო დაენახა, როგორა ვკოცნიდით ერთმანეთს. მაგრამ ის ბიჭი ახლა მხოლოდ ჩემს წარმოდგენაში არსებობდა. ახლანდელი სანია კი იმდენად არა ჰგავდა იმ სანიას, როგორც ჩვენი პირველი კოცნა არა ჰგავდა იმას, რაც ახლა ჩვენ შორის იყო.

სანია მე სულაც არ მიმაჩნდა რთული ბუნების ადამიანად. უბრალოდ ვხედავდი, რომ ფიქრებისა და გრძნობების იმ სამყაროს (ქით, რომელსაც უწუნ ვიცნობდი, გაუჩნდა კიდევ მთელი სამყარო, რომელზედაც მე არაავითარი წარმოდგენა არა მქონდა. ეს იყო მისი პროფესიის სამყარო — სამყარო ერთფეროვანი და საშიშროებით სავსე რეისებისა განაპირა ჩრდილოეთში, მოულოდნელი შეხვედრებისა ნაცნობ მფრინავებთან პილოტის სახლში, ბავშვიური ალტაცებისა ახალი მანქანის გამო, სამყარო. ურომლისოდაც ის ერთ კვირასაც ვერ გასძლებდა. მაგრამ ამ სამყაროში მე ჯერ ადგილი არა მქონდა. ერთხელ საშიში გაფრენის შესახებ მიაშობდა და მე ძალიან უკნაურად გრძნობით ვუსმენდი, თითქოს სხვა ვინმეზე მიაშობდა. ვერ წარმომედგინა, რომ სანია მოჰყვება ქარბუქში და მხოლოდ სასწაულით გადარჩა თვითმფრინავის დაშვების დროს. მერე სამი დღე და ღამე თვითმფრინავში იჯდა, ცდილობდა, არ დაეძინა, და ნელ-ნელა იყინებოდა. სისულელე იყო, მაგრამ მე მაინც ვუთხარი:

— არ შეგიძლია ისე მოაწყო, რომ ეს აღარ განმეორდეს?

იგი როგორღაც შეცბა და დაცინვით მითხრა:

— არის! აღარ განმეორდება

... რასაკვირველია, თვითონ შეეძლო გადმოეცა ეიზიმირსკისთან საუბარი, მაგრამ ივან პავლიჩსა სთხოვა. იგრძნო, რომ ეს არაფერს არა ნიშნავდა, რომ პირადად ის აღმოჩნდა მართალი. აქ პირადი სი-

მართლაც კი არა, სულ სხვა სიმაართლე იყო და მე ეს სწორედ ივან პავლიჩისაგან უნდა მომესმინა, რომელსაც დედაჩემი უყვარდა და რომელიც დღემდე მართლმართლად დარჩენილი და უბედურია. მე ვიცოდი, რომ იმ საღამოს სანია ქუჩაში მიცდიდა, და ოდნავადაც არ გამკვირვებია, როდესაც ბალის შესავალთან, ვოროტნიკოვსკისა და სადოვოის კუთხეში დავეინახე. მაგრამ ჩემთან არ მოსულა, თუმცა ვეცნოდი, რომ სახლამდე უკან მომდევდა. მიხვდა, რომ ჩემთვის საჭირო იყო მართლმართლად დარჩენა და, რაც არ უნდა ახლო ვმდგარიყავი მასთან ამ წუთში, მაინც ძალიან შორს ვიყავი მისგან, რადგან იგი მართალი აღმოჩნდა, მე კი მტყუანი და შეურაცხყოფილი იმით, რაც კორაბლიოვისაგან გავიგე...

ჩვენ მხოლოდ ერთი საღამო გავატარეთ ერთად მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სანია მოსკოვში იყო. იგი ძალიან დაღლილი მოვიდა. ალექსანდრა დმიტრიევნა მაშინვე წავიდა, თუმცა ჩვენთვის უნდოდა გაეზიარებინა, თუ რა პირობებში მხვდებოდა მათთვის. გამოხედა და თან როგორ საჭიროა უეჭველად იღეღო, თორემ ისე არაფერი გამოვა. მზე ჩადიოდა და ვიწრო სივცევე-ვარაუდები ისე იყო შხით გაკაშკაშებული, თითქოს მზემ მთელ დახარჩენ მწაზებ ხელი აიღო და სამუდამოდ ამ დაღრეცილ შესახვევში გადაწყვიტა დაბინავება. სანიას ჩაის ვასმევდი, მუქი ჩაი უყვარს, — და შეეყურებდი, როგორ სვამდა ჩაის. ბოლოს აღარ მომეშვა, ვიდრე არ დამსვა, რომ მეც მასთან ერთად დამეღია.

მერე უეცრად მოაგონდა ის დღე, როდესაც ჩვენ სასრიალო მოედანზე ვიყავით, და მოიგონა, ვითომ ლოყაზე მაკოცა და რომ „ეს რაღაც ძალიან მკვირივი, ბუსუსიანი და ცრვი იყო“; მე კი ნოვიგონე, როგორ ასამართლებდა ევგენი ონეგინს და თან პირქუშად მიყურებდა, მერე კი საბოლოო სიტყვაში გრიშკა ფაბერს „მხოლოდ-ნი“ უწოდა.

— გახსოვს, „გრიგორიევი, ბრწყინვალე პიროვნებაა, დიკენსი კი არ წაუკითხავს“?

— როგორ არ გახსოვს! მერე კი წაიკითხე?

— არა, — ნაღვლიანად თქვა სანიამ, — არ მეცალა. ვოლტერი წავიკითხე, „ორლეანელი ქალწული“. ჩვენთან, იმიერპოლარეთის ბიბლიოთეკაში, რატომღაც ბევრია ვოლტერი.

საღამოს ბინდში თვალეები ძალიან შავი უჩანდა. უეცრად მომეჩვენა, რომ მხოლოდ ამ თვალეებსა ვხედავ, ჩემს გარშემო ყველაფერი მუქდება და სადღაც იკარგება. მინდოდა მეფქვა, სასაცილოა, რომ

იმიერპოლარეთში ასე ბევრი ვოლტერი ყოფილა-მეთქი, მაგრამ ჩვენ უცებ ვაკოცეთ ერთმანეთს. ამ დროს ტელეფონმა დარეკა, მე გავედი და მთელი ნახევარი საათი ველაპარაკე ჩემს მოხუც პროფესორს. რომელიც „შვილიყოს“ მეძახდა და რომელსაც პირწმინდად ყველაფერი უნდა სკოდნოდა — სადა ვსადილობ, ვიყიდე თუ არა ის კობტა შუქფარი „მიურთან“... როდესაც დავბრუნდი, სანიას ეძინა. ერთი კი დავუძახე, მაგრამ მაშინვე დამენანა გაღვიძება, მის გვერდით დავჯექი და სულ ახლო დავუწყე სახეში ცქერა.

იმ საღამოს სანიამ შტურმანის დღიურები, ქალაღებები და ფოტო გადმომცა. დღიურები განსაკუთრებულ საკეთიან ყდაში იწყო. სანია რომ წავიდა, მე დიდხანს ვათვალიერებდი ამ ნაპირებზემომტკრეულ, ხან მჭიდრო ოკრო-ბოკრო, ხან უეცრად უმწეო და ფართო სტრიქონებით გადაჭრელებულ ფურცლებს. — თითქოს ფიქრი, ვინ იცის. სად დახეტილებდა, ხელი კი კვლავ განაგრძობდა წერას. როგორი შეუპოვარი უნდა ყოფილიყო, რა ნებისყოფა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ეს დღიურები წაეკითხა.

ბარჯი წარწერით „წმ. მარიამი“ იმიერპოლარეთში დარჩა, მაგრამ სანიამ ფოტო ჩამოიტანა ჯდა, ალბათ, ქვეყანაზე არც ერთი ბარჯი არა ყოფილა ასე დიდებულად გადაღებული.

ყველაფერი ეს თითქოს მთელს ქვეყანაზე გაბნეული ერთი დიდი ისტორიის ნამსხვრევები იყო. სანიამ შეაგროვა ეს ნამსხვრევები და დაწერა ისტორია, ან უნდა დაწეროს, მე კი? მე არაფერი გამიკიდებია და, სანია რომ არა ყოფილიყო, ვერაფერს ვერ გავიგებდი მამაჩემზე, გარდა იმისა, რაც ვიცოდი იმ გამომშვიდობების დღეს ენსკის ვაგზალზე, როდესაც მამამ ხელში ამიყვანა, უკანასკნელად ძალღამისროლა და თავისი კეთილი, დიდრონი ხელებით დამიჭირა.

სანიას დაეპირდი, რომ ყოველდღე მიეწერდი. მაგრამ ყოველდღე მისაწერი არაფერი მქონდა. უწინდებურად კირასთან ვცხოვრობდი, ბევრსა ვკითხოლობდი და ვმუშაობდი, თუმცა ეს საკმაოდ უხერხული იყო, იმიტომ რომ ყუთები კოლექციებით ისევ დერეფანში მეწყო, რუკის ხაზვა კი როიალზე მიხდებოდა.

იმ ზაფხულს პირველად იყო, რომ ველზე არ წავედი. 34 და 35 წ. წ. მასალა უნდა დამემუშავებინა და ბაშკირეთის სამმართველომ, სადაც მე ვმსახურობდი, ნება დამართო, ამ ზაფხულს მოსკოვში დავრჩენილიყავი.

დიდდა ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და, საერთოდ, ყველაფერი მშვენივრად იყო — სხვათა შორის იმიტომაც, რომ ვალია და კირა

უეცრად რალაც დადუმდნენ და დადინჯდნენ, ერთთავად სამზარეულოში ისხდნენ და ჩუმად ჰუკუჰუკებდნენ. ან კი სად უნდა წასულიყვნენ სხვაგან,—მთელი ბინა ერთი დიდი, ძველებური სამზარეულოსაგან შედგებოდა, რომელიც იყოფოდა „საერთოდ სამზარეულოდ“ და „საკუთრივ სამზარეულოდ“. ვალია და კირა გადალობილის უკან ისხდნენ, ესე იგი, „საკუთრივ სამზარეულოში“. ისე რომ, ალექსანდრა დმიტრიევნას ვახშმის მონზადება ახლა „საერთოდ სამზარეულოში“ უხდებოდა.

ვალიას ყვავილები აღარ მოჰქონდა, — ეტყობა, ფული შემოეღია, — მაგრამ სამაგიეროდ თეთრი ვირთაგვა მოიყვანა და ძალიან ეწყინა, როცა კირამ შეჰკივლა და მაგიდაზე შეხტა. ვალია დიდხანს უხსნიდა, რომ ეს მშვენიერი ეგზემპლარიო, ვირთაგვა-ალბინოსი, იშუიათი რამ! მაგრამ კირა ისევ კიოდა და მაგიდიდან ჩამოსვლას არ აპირებდა. ვალიასაც მეტი რა გზა ჰქონდა, ვირთაგვა-ალბინოსი ხელსახოცში გამოახვია და. პატარა მაგიდაზე დადო დერეფანში. მაგრამ იქ კონცერტიდან დაბრუნებული ალექსანდრა დმიტრიევნა უააწყდა და ისეთი წივილ-კივილი ატყდა, რომ ვალია იძულებული ვახდა, თავისი საჩუქრით უკან წასულიყო.

ღამლამობით, როდესაც მე და კირა ჩურჩულით გულს მოვიჯერებდით და რიგრიგობით ვეუბნებოდით ერთმანეთს: „ახლა დავიძინოთ“, მას მაშინვე დაეძინებოდა ხოლმე და ძილში სასაცილო და ბედნიერი სახის გამომეტყველება ჰქონდა. აი ამ წუთებში, როცა მარტო ვრჩებოდი, სევდა გულს მიწურავდა! მე ვიწყებდი ფიქრს, თუ რა მშვენიერია მათი სიყვარული, ყველაზე საუკეთესო დრო ცხოვრებაში, და როგორ არა ჰგავს იგი ჩვენს სიყვარულს; ისინი ერთად არიან, ყოველდღე ხედავენ ერთმანეთს, ჩვენ კი ასე შორსა ვართ ერთმანეთისაგან!

როგორც ვაგონის ფანჯრიდან, თითქოს ვხედავდი მინდვრებსა და ტყეებს, კვლავ მინდვრებს, მერე ტაიგას, ჩრდილოეთის მდინარეების ცივ ბაბთებს, თოვლით დაფარულ დაუსრულებელ ტრამალებს — მიწის დაუსრულებელ სივრცეებს, რომლებიც ჩვენს შუა იდო.

„რასაკვირველია, ჩვენ ერთმანეთსა ვნახავთ. — ვარწმუნებდი ჩემს თავს. — მე წავალ მასთან და ყველაფერი მშვენიერად იქნება. ორი წელიწადია შვებულება არ ამიღია, ახლა კი ავიღებ და წავალ, ან ის ჩამოვა, შესაძლოა ივლისშივე“.

მაგრამ სევდა მაინც არა მშორდებოდა.

რუკა ძნელი გასაკეთებელი იყო, რადგან უწინდელ რუკებში ბევრი რამ იყო არეული და ახლა ყველაფრის თავიდან გაკეთება მიხდებოდა. მაგრამ რაც უფრო ძნელი იყო, მით უფრო მეტი გატაცებით ემუშავებოდა იმ დღეებში, სანიას წასვლის შემდეგ. მიუხედავად ჩემი „სევდით სავსე ლამეებისა“, მაინც არა მშორდებოდა გრძნობა, თითქოს ყველაფერი მძიმე, მოსაწყენი და ბურუსით მოცული უკან დარჩა, წინ კი მხოლოდ საინტერესო და ახალი გელის, რისგანაც გული გეკუმშება და სიხარული გიპყრობს, შვებასა გრძნობ და ოდნავ გეშინია კიდევ.

## თავი მეორე

### ძალის მოედანი

სადაც კი მასულიყო სანია უკანასკნელ დღეს, ყველგან ჩემი ტელეფონის ნომერი დაეტოვებინა — ჩრდილოეთის მთავარ საჯარო ჯგუფშიც, „პრაედაშიც“... ცოტა არ იყოს შემეშინდა, ეს რომ მიიხრა.

— მერე მე ვინა ვარ? ვინ უნდა იკითხონ?

— კატერინა ივანოვნა ტატარინოვა-გრიგორიევა, — სერიოზულად მიპასუხა სანიამ.

გადავწყვიტე, რომ ხუმრობდა. მაგრამ სამი დღეც არ გასულა მისი წასვლის შემდეგ, ვიღაცამ დარეკა და ტელეფონთან კატერინა ივანოვნა ტატარინოვა-გრიგორიევას სთხოვა.

— გისმენთ.

— „პრაედადან“ გელაპარაკებით.

ეურნალისტმა, რომლის გვარიც ხშირად შემხვედრია „პრაედაში“, მითხრა, სანიას წერილმა დიდი გამოძახილი გამოიწვია და ავტორის შესახებ შეკითხვაც კი მოვიდა არქტიკის ინსტიტუტიდანაო.

— მიულოცეთ თქვენს ქმარს. წარმატება.

მინდოდა მეთქვა, რომ ჯერ ჩემი ქმარი არ არის-მეთქი, მაგრამ რატომღაც გაჩუმდი.

— რამდენადაც ვიცი, ბედნიერება მაქვს კაპიტან ტატარინოვის შვილს ველაპარაკო?

— დიახ.

— კიდევ ხომ არაფერი მასალები გაქვთ, რომლებიც მამათქვენის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება?

ვუთხარი, რომ მაქვს, მაგრამ ალექსანდრ ივანოვიჩის — ჩემ სიცოცხლეში პირველად ვუწოდე სანიას სახელი და მამის სახელი — ნებართვის გარეშე, სამწუხაროდ, ხელს ვერ ვანლებ-მეთქი.

— მაშ, ჩვენ მივწერთ მას...

„სამოქალაქო ავიაციიდანაც“ დამირეკეს და მკითხეს, სად გაგზავნოთ ნომერი, რომელშიც სანიას წერილია დაბეჭდილი — ქარბუქის დროს თვითმფრინავის დამაგრების შესახებ. მე კი არც ვიცოდი, რომ მან ეს წერილი დაწერა. ორი ნომერი ვითხოვე — ერთი ჩემთვის. მერე „ლიტერატურნაია გაზეტადან“ დამირეკეს და მკითხეს, ეს რომელი გრიგორიევია — მწერალი ხომ არაო?

ყველაზე მთავარი და მხიშვნელოვანი კი ჩთან საუბარი იყო. არ ვიცო, რა უამბო სანიამ ჩემზე, მაგრამ, დამირეკა თუ არა, მაშინვე. როგორც ძველ ნაცნობს, ისე დამიწყო ლაპარაკი.

— პენსიას იღებთ?

მე ვერ მივხვდი.

— მამის პენსიას?

— არა.

— უნდა ვეცადოთ, რომ პენსია მიიღოთ.

მერე გაეცინა და მითხრა, ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში გული გაუსკდათ, რადგან ჩრდილოეთის მიწა მამათქვენს აღმოუჩენია, მათ კი ვილაც სხვა უწერიათო.

— საერთოდ, რალაც კეუაში არ მომდის... არ მომწონს ეს მითქმა-მოთქმა.

— მე კი მეგონა, ექსპედიციის გამგზავრება გადაწყვეტილი იყო.

— გადაწყვეტილი იყო, ახლა კი უეცრად აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილი არ არის. მთავარია, ვეუბნები: თქვენ ის „პახტუსოვით“ გაგზავნეთ. ისინი კი მეუბნებიან: იქ უკვე არის პილოტიო. მერე რა! თქვენსას ხომ გარკვეული მიზანი აქვს!

სწორედ ასე ამბობდა — „თქვენსას ხომ“, ამასთან ბოხი ხმით და თან მახვილს „ო“-ზე არტყამდა.

— მაშ. კეთილი, მე კიდევ იქ... თქვენ კი შემოიარეთ ჩვენთან.

ვუთხარი, ძალიან ბედნიერი ვიქნები-მეთქი, და ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

ყოველდღე ვიღებდი რომაშოვისაგან ერთ წერტილს, ხან ორსაც. „ბაშკირეთის გეოლოგიური სამმართველოს მეორე პარტია“, — ეწერა კონვერტზე, თითქოს წერილი დაწესებულებაში იგზავნებოდა-

მართლაც, იმ წლებში მე რაღაც დაწესებულებების მაგვარი ვიყავი — სხვაფრივ არანაირად არ შეიძლებოდა ჩემი მუშაობის გაფორმება მოსკოვში. მაგრამ ეს მისამართი იყო ხუმრობა და როგორ უბადრუკად გამოიყურებოდა ეს ხუმრობა, რასაც ის ყოველდღე იმეორებდა.

პირველად კითხვობდი ამ წერილებს, მერე დავიწყე გაუხსნელად დაბრუნება, მერე კი შევწყვიტე კითხვაც და უკან დაბრუნებაც. მაგრამ რატომღაც მაშინებდა ამ წერილების დაწვა; ისინი ყველგან ეყარა, უნებურად წავაწყდებოდი ხოლმე და ხელს თოფნაკრავივით ვაშორებდი.

სწორედ ასევე ვეჩხებოდი ამ წერილების ავტორს. წინათ მუდამ მოუცლელად იყო და ვეღარ გამეგო, ახლა როგორღა პოულობდა დროს, ერთთავად ქუჩაში მდგარიყო. როდესაც არ უნდა გამოვსულიყავი სახლიდან, მე ვხვდებოდი მას მაღაზიებში, თეატრში. ეს ძალიან არასასიამოვნო იყო, რადგანაც ის სალამს მაძლევდა — მე კი არ ვესალმებოდი. ჩემთან მოსვლას ცდილობდა — მე პირს ვარიღებდი.

ზოდოდა ვალიასთან და ტიროდა. ერთხელ ძალიან უყვირა, როდესაც ვალიამ ხუმრობით ამგვარი უარყოფილი სიყვარულის მაგალითი მოუყვანა შიმპანზეების ცხოვრებიდან.

ერთი სიტყვით, რომაშოვს ისეთი დიდი ადგილი ეკირა ჩემს ცხოვრებაში, რომ ბოლოს და ბოლოს რაღაც ავადმყოფობა დამჩემდა: საკმარისი იყო თვალეზი დამეხუჭა, რომ იმავე წამს წინ დამიდგებოდა ნაცრისფერ პალტოში გამოწყობილი და რბილი ქუდით, რომელიც ჩემი გულისთვის დაიხურა, როგორც თვითონ მომახსენა ერთხელ.

რასაკვირველია, ძალიან უცნაური აზრი იყო — წავსულიყავი რომაშოვთან და გამომერთმია ქაღალდები, რომლებიც ვიშიმირსკიმ გადასცა. ეს შეუბრალებლობა იქნებოდა — მასთან მისვლა ყველა იმ წერილებისა და ყვავილების შემდეგ, რომლებსაც უკან ვუბრუნებდი. მაგრამ, რაც უფრო მეტსა ვფიქრობდი. მით უფრო მეტად მომწონდა ეს აზრი. წარმოდგენილი მქონდა, როგორ შევალ, ის დაიბნევა და დიდხანს დამიწყებს უსიტყვოდ ცქერას. მერე როგორ გაფითრდება, დერეფანში მომეგებება, ყურთამდე გააღებს თავისი ოთახის კარს, მე კი გულგრილად ვეტყვი:

— მიშა, მე თქვენთან საქმეზე მოვედი.

საინტერესოა, რომ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც მე წარმომედგინა.

თბილი, ცისფერი პიჯამა ეცვა. ეტყობა, ის იყო აბაზანა მიელო და თმის დავარცხნაც კი ვერ მოესწრო; სველი ჩალისფერი თმა შუბლზე ჩამოსჩაჩოდა. გაფითრებული უხმოდ იდგა, ვიდრე მე ეაკეტს ვიხდიდი. მერე ჩემკენ გამოეშურა.

— კატია!

— მიშა, მე თქვენთან საქმეზე მოვედი, — ვუთხარი გულგრილად, — ჩაიცვით, თმა დაივარცხნეთ. სად მოგიცადოთ?

— დიახ, რასაკვირველია, მობრძანდით...

დერეფანში გაიქცა და ფართოდ გააღო თავისი ოთახის კარი.

— აი აქ, მაპატიეთ...

— პირიქით, მე მაპატიეთ.

შარშან სამნი ვიყავით მასთან სტუმრად: ნიკოლაი ანტონაჩი, დიდდაჩემი და მე. დიდდა, სხვათა შორის, მთელი საღამო გადაკრული ლაპარაკით ახვედრებდა, რომ რომაშკამ მას ორმოცი მანეთი გამოართვა და აღარ დაუბრუნა.

მაშინაც მომეწონა მისი ოთახი, მაგრამ ახლა რომ შევედი, განსაკუთრებით კარგი მეჩვენა. თვალს ესიამოვნებოდა, ისე იყო შეღებილი: კედლები — ღია ნაცრისფრად, კარი და თახჩა — ოდნავ უფრო ბაცად. ავეჯი რბილი და მოხერხებული იდგა. საერთოდ, ყველაფერი კარგად და ლამაზად იყო მოწყობილი. ფანჯრადან მოჩანდა ძაღლის მოედანი — ჩემი საყვარელი აღგილი მოსკოვში. რატომღაც ბავშვობიდან მუდამ მიყვარდა ძაღლის მოედანი; ეს პატარა ძეგლი დაღუპული ძაღლებისა და ყველა შესახვევი, რომლებიც ამ მოედანზე გამოდიოდა...

— მიშა, — ვუთხარი მე, როდესაც გამოვიდა თმადავარცხნილი, ვარდის წყლით დაპკურებული და ახალ ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი, რომელიც ჯერ არ მენახა, — მოვედი, რომ პასუხი გაგცეთ ყველა თქვენს წერილზე. რა სისულელეს იწერებით, — თითქოს ვინანებ. თუ თქვენ არ გამოგყვებით ცოლად! საერთოდ, რა სიბავშვეა ყოველდღე წერა, როდესაც იცით, რომ მე არც კი ვკითხულობ თქვენს წერილებს. მშვენივრად იცით, თავის დღეში არ მიფიქრია თქვენზე გათხოვება და რა საჭიროა წერა იმისა, რომ მოგატყუეთ.

ცოტათი შიშაც კი ამიტანდა ხოლმე, როცა ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა სახე. ის შემოვიდა აბილბილებული, გახარებული, თითქოს იმედი ჰქონდა და თან თავის თავს არ უჯერებდა, ახლა კი ყოველ ჩემ სიტყვის თქმასთან იმედი უქრებოდა და მკვდარს ემსგავსებოდა. იგი მიბრუნდა და იატაკს ჩააშტერდა.

— დიდი დრო უნდა იმის ახსნას, თუ წინათ რად გაძლევდით ამასე ლაპარაკის უფლებას. ამის ბევრი მიზეზი იყო. მაგრამ თქვენ ხომ კვიციანი ადამიანი ხართ! თქვენ არასოდეს არა ტყუევდებოდით, რომ მე არ მიყვარდით.

— იმასთახ შენ უბედური იქნები!

— რატომ მომმართავთ „შენობით?“ — ცივად ვკითხე. — მე ახლაც ვწავალ.

— იმასთან შენ უბედური იქნები, — გაიმეორა რომაშოვმა.

მუხლები უკანკალებდა, რამდენჯერმე რაღაც უცნაურად ჩახუჭა თვალები და მომაგონდა, როგორ მიაწვებოდა სანია, გახელილი თვალებითა სძინავსო.

— თქვენც მოგკლავთ და თავსაც მოვიკლავ. — ბოლოს ჩურჩულით თქვა მან.

— თავს თუ მოიკლავთ, მაგას არაფერი ემჯობინება. — ვუთხარი მე ძალიან მშვიდად. — მე თქვენთან ჩხუბი არ მინდოდა, მაგრამ, თუ საქმე მაგაზე წავა, რა უფლება გაქვთ, რომ ასეთ რამეს მეუბნებით? თქვენ ინტრიგა გააბით, თითქოს ჩვენს დროში ქალებს რაღაც იდიოტური ინტრიგების საშუალებით ირთავდნენ. თქვენ ყოველგვარ ღირსებას მოკლებული ადამიანი ხართ, იმიტომ რომ სხვაფრივ ყოველდღე ძალღივით კვალდაკვალ არ დამიწყებდით დევნას. საერთოდ, უნდა მისმინოთ და ჩუმი იყოთ, რადგან მშვენიერად ვიცი, რასაც იტყვით, ახლა კი იცით, რა: ის რა ქალადებია, რომლებიც ვიშიმირსკის გამოართვით?

— რა ქალადები?

— მიშა, თავს ნუ იკატუნებთ. მშვენიერად იცით, რაზედაც ვლაპარაკობ. ეს სწორედ ის ქალადებია, რომლებითაც ნიკოლაი ანტონიჩს აწინებდით, რომ წინათ ის ბირჟის მოსაქმე იყო, მერე კი სანიას სთავაწობდით, რომ ჩემს შერთვაზე უარი ეთქვა და წასულიყო. ახლაც მომეცით! გეყურებათ! ან წამშივე!

მან რამდენჯერმე დახუჭა თვალები და ამოიოხრა. მერე უნდოდა დაეჩოქა, მაგრამ მე ძალიან ხმაბალა ვუთხარი:

— მიშა, არ გაბედოთ, გეყურებათ!

თავი შეიკავა, მხოლოდ კრიკა მაგრად შეჰკრა და ისეთი ლიმედობა გამოეხატა სახეზე, რომ ჩემდა უნებურად გული დამეტანჯა.

კი არ მებრალებოდა, მაგრამ თითქოს მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, რომ ასე იტანჯებოდა და ძალა ვერ დაეტანებინა თავის

თავისთვის, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა. მერჩინა, ლანძღვა დაეწყო, მაგრამ იგი სდუმდა.

— მიშა, — კვლავ ვუთხარი. თან ვლელავდი.— გაიგეთ, რომ ახლა სულ არ გესაქირობათ ეგ ქაღალდები. სულ ერთია, არაფრის შეცვლა არ შეიძლება. მე მრცხვენია, რომ თითქმის არაფერი ვიცი მამაჩემზე იმ დროს, როცა მის შესახებ ყველა გაზეთებში სწერენ. ეგ ქაღალდები მე მჭირდება — პირადად მე და სხვას არავის.

არ ვიცი, რა მოეჩვენა, როდესაც ვუთხარი, პირადად მე მჭირდება-მეთქი. მაგრამ უეცრად თვალები ცოფიანივით დააქყიტა, თავი უკან გადააგდო და მსუბუქი ნაბიჯით ოთახში გაიარ-გამოიარა. სანია მოაგონდა.

— არაფერს არ მოგცემ, — უკმეხად მომახალა.

— არა, მომცემთ! თუ არ მომცემთ, მე ვიფიქრებ, რომ კვლავ სიცრუეა, რასაც მწერდით.

უეცრად ოთახიდან გავიდა. მე მარტო დავრჩი. სიჩუმე იყო, მხოლოდ ქუჩიდან შემოდის ბავშვების ყივილ-ხივილი და ფრთხილად ერთი-ორჯერ მანქანამ დაიყვირა. ვერაფერი სასიამოვნო იყო, რომ გავიდა და შემოსვლა აღარ ეღირსა. ვაითუ მართლა თავს რამე აუტეხოს! გულში სიცივემ დამიარა, დერეფანში გავედი და ყური მივუგდე. ჩამაჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ სადღაც გაუთავებლად მოჩხრიალებდა წყალი.

— მიშა!

აბაზანის ოთახის კარები შეღებული იყო, შევიხედე და დავინახე, რომ აბაზანისკენ დახრილი იდგა. უცბად ვერ მივხვდი, რა დაემართა, ოთახი ჩაბნელებული იყო, შუქი არ აენტო.

— ახლავე მოვალ, — მკაფიოდ თქვა მან, ისე რომ არ მობრუნებულა.

ის ძალზე მოხრილი იდგა, თავი ონკანისთვის შეეშვირა, სახეზე და ბეჭებზე წყალი დასდიოდა და ახალი კოსტიუმში უკვე სულ დასველებოდა.

— რასა შერებით? კკუაზე შეიშალეთ!

— წადით, ახლავე მოვალ, — გაჯავრებით გაიმეორა მან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მართლაც შემოვიდა— უსაყლოდ, თვალებდაწითლებული, და ორი ჩვეულებრივი ლურჯი რვეული მოიტანა.

— აი ის ქაღალდები, — მითხრა მან, — მე სხვა ქაღალდები არა მაქვს. წაიღეთ.

შესაძლებელია, ეს კვლავ ტყუილი იყო, იმიტომ რომ ალაღბედზე ერთი რვეული გადაეშალე, იქ რაღაც დაბეჭდილი ფურცელი აღმოჩნდა — თითქოს წიგნიდან ამოხეული ფურცელი, მაგრამ ახლა მასთან ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა და მე მხოლოდ ძალზე ზრდილობიანად გადავუხადე მადლობა.

— გმადლობთ, მიშა.

წინ დავბრუნდი. გავიდა რამდენიმე საათი, განვლო ვრძელმა სალამომ ლურჯი რვეულების კითხვაში, ვიდრე შეეძლებდი თვალიდან მომეშორებინა გაწუწული, გამხდარი და მოკლული ფრინველივით ფრთებჩამოყრილი რომაშოვი.

## თავი მესამე

### „ბისურვებთ ბედნიერ ნაოსნობას და წარმატებებს“

ჩემს წინ ოთხი სქელი ლურჯი რვეული იდო — ძველი, ესე იგი, რევოლუციამდელი. ყდებს ყველგან ფირმა „ფრიდრიხ კანი“ ეწერა. პირველივე რვეულის პირველ ფურცელზე მშვენიერი, ალაგ-ალაგ ჩამუჭებული ასოებით დაწერილი იყო: „რის მოწმეც ვიყავი ცხოვრებაში“ და თარიღი — 1916. მემუარები! შემდეგ კი მოდიოდა უბრალოდ ამონაქრები ძველი გაზეთებიდან, მათ შორის ისეთი გაზეთებიდან, რომლებიც წინათ არასოდეს არ გამეგონა: „ბირჟევე ეედომოსტი“, „ზემშიჩანა“, „გაზეტა კოპეიკა“. ამონაქრები გაზეთებიდან მთელ სიგრძეზე იყო ჩაყრული სვეტებად, მაგრამ ზოგიერთგან გარდიგარდმოც, მაგალითად: „ტატარინოვის ექსპედიცია. იყიდეთ ღია ბარათები!

1) პარაკლისი წასვლის წინ.

2) ხომალდი „წმ. მარიაში“ რეიდზე“.

ბოლომდის სწრაფად გადავფურცლე ერთი რვეული, მერე მეორე, მესამე. არავითარი „ქალაღდები“, იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ივან პავლოვიჩთან ლაპარაკის დროს გავიგე ეს სიტყვა, აქ არ იყო. იყო მხოლოდ წერილები და შენიშვნები პეტერბურგიდან ვლადივოსტოკამდე ციმბირის ნაპირებით მიმავალ ექსპედიციის შესახებ.

რა წერილები იყო ეს წერილები? კითხვა დავიწყე და თავი ვეღარ დავანებე. წარსული წლების მთელი ცხოვრება გადამეშალა თვალწინ. გულისტკივილით ვკიოხულობდი ამ წერილებს და მწარედ ვგრძნობდი, რომ ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. არ ეშველებო-

და, — რადგან ხომალდი „წმ. მარიამი“ დაიღუპა მანამდე, ვიდრე ნავსადგურიდან გავიდოდა. აი რაში დავრწმუნდი ამ წერილების წაკითხვის შემდეგ. გულისტკივილით — იმიტომ, რომ ახლა გავიგე, როგორ თავხედურად იყო მოტყუებული მამაჩემი და როგორ ავნო მას მინდობილმა ხასიათმა და პირდაპირობამ.

აი, როგორ აღწერდა ვიღაც „დამსწრე“, „წმ. მარიამის“ გამგზავრებას:

„... ღარიბულად არის მორთული ბაირალებით ანძები ხომალდისა. რომელიც შორს მიემგზავრება. გამგზავრების დრო ახლოვდება უკანასკნელი ლოცვა „ზღვით და ხმელეთით მოგზაურთათვის“. უკანასკნელი, გზის დასალოცი სიტყვები... „წმ. მარიამი“ ნელ-ნელა სიპირს შორდება. ნაპირი შორს რჩება, სახლები და ადამიანები უკვე ერთ ჭრელ ზოლში შეერთდნენ. დადგა დიადი წუთი! გაწყდა უკანასკნელი კავშირი მიწასთან, სამშობლოსთან. მაგრამ ჩვენ, სევდით შეპყრობილებს, გერცხვენოდა ასეთი უფერული გაცილებისა და ჩვენი გულგრილი სახეების გამო, რომლებზედაც მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ეწერა... დადგა საღამო. „წმ. მარიამი“ დენის შესართავთან გაჩერდა. გამცილებლებმა თითო ჭიქა შამპანური გამოცალეს და ექსპედიციას წარმატება უსურვეს. კიდევ ერთხელ მაგრად ჩამოვართვით ხელი, კიდევ ერთხელ გადავეხვიეთ ერთმანეთს. „ლებედინზე“ უნდა გადახვიდე, რომ ქალაქში დაბრუნდე. ქალები დგანან პატარა გემის ქიშხე და ცხვირსახოცებს უქნევენ... ცრემლებს იწმენდენ და კვლავ უქნევენ ცხვირსახოცებს. ჯერ კიდევ ისმის ძაღლების გაავეებული ყეფა ხომალდიდან, რომელიც გვშორდება. სულ უფრო პატარად მოჩანს, აი, ბოლოს წერტილად იქცა პორიზონტზე, რომელიც მოსალამოვებასთან ერთად თანდათან მუქდება... ნეტავი რა გელით წინ, მამაცო ადამიანებო?

აი, გამგზავრა ხომალდი შორეულ ნაოსნობაში. არხანგელსკის შუქურამ გამოსათხოვარი სიგნალი დაადევნა: „გისურვებთ ბედნიერ ნაოსნობას და წარმატებებს“. მაგრამ ეს რა ამბავია ნაპირზე, ღმერთო ჩემო? რა ქუქყიანი დავიდარაბაა ეპქრებს შორის, ვინც ხომალდი სამგზავროდ გაამზადა, როგორი სასამართლოები და აუქციონებია — ზოგი მოწყობილობის და ნაწილი სურსათის ნაპირზე დატოვება მოუხდათ და ყველაფერი ეს აუქციონით გაიყიდა. ახლა ბრალდებები! — რაში აღარ ადანაშაულებენ მამაჩემს! ერთი კვირაც არ გადის ხომალდის გამგზავრების შემდეგ, მას ბრალსა სდებენ, რომ მან არც თავისი თავი დაიზღვია და არც ხალხი დააზღვია; სამი კვი-

რით გვიან გაემგზავრა, ვიდრე ამას პოლარული ნაოსნობის პირობები მოითხოვს; არ მოუცადა რადიოტელეგრაფისტს. ბრალსა, სდებენ, რომ საქმეს ზერელედ მოექცა, მეზღვაურები უფიციად შეარჩია, რომელთა შორისაც „ერთიც არ არის, რომელსაც იალქნების გამლა შეეძლოს“. მას დასცინიან, ამტკიცებენ, რომ „ამ სულელურ ავანტურაში, როგორც წყლის წვეთში, აირეკლა ჩვენი თანამედროვე ბაქია, უაზრო ცხოვრება“.

„წმ. მარიამის“ გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კარის ზღვაში დიდი ქარიშხალი ამოვარდა და მყისვე გავრცელდა ხმა, ახალი მიწის სანაპიროსთან ექსპედიცია დაიღუპაო. „ვინ არის დამნაშავე?“ „წმ. მარიამის ბელი“, „სად ვეძებოთ ტატარინოვი?“ ამ წერილებს რომ ვკითხულობდი, გამახსენდა ჩემი ბავშვობის პირველი საშინელი შთაბეჭდილება. დედა უეცრად ჩქარი ნაბიჯით შემოდის ჩემ პატარა ოთახში, — ჩვენ ენსკში ეცხოვრობთ, — ხელში გაზეთი უჭირავს, თავისი მშვენიერი შავი კაბა აცვია, რომელსაც შარიშურღ გააქვს. იგი ეკრა მხედავს, თუმც მე რაღაცას ვეუბნები, საწოლიდან ვხტები და ფეხშიშველა, პერანგის ამარა მისკენ მივრბივარ. იატაკი ცივია, მაგრამ დედა არ მეუბნება, გავბრუნდე და საწოლში ჩავწვე, არც ხელში მიყვანს. ისევ ფანჯარასთან დგას გაზეთით ხელში. მეც ვცდილობ მივწვდე ფანჯარას, მაგრამ ვხედავ მხოლოდ ჩვენს ბაღს, მოფენილს ნეკერჩხლის გაყვითლებული სველი ფოთლებით, ნაწვიმარ ბილიკებს და გუბეებს, რომლებშიც ჯერ ისევ წკაპაწყუპით ეცემა წვიმის დიდრონი წვეთები. „დედა, საით იყურები?“ ხმას არა მცემს, მე არ ვეშვები. მინდა ხელში ამიყვანოს, დედა სდუმს და ეს მაშინებს. „დედა!“ — ვლრიალებ. ეხლავა მამჩნევს, ჩემკენ იხრება, უნდა ამიყვანოს, მაგრამ რაღაც მოსდის, იატაკზე ჯდება, მერე წევბა, გაშეშებულივით წევს იატაკზე თავის შავ მოშარიშურე კაბაში. უცებ, ჩემდაუნებურად, რაღაც შიში მიპყრობს, ვყვირივარ და ჩემი თავგანწირული ყვირილის მეტი არაფერი მესმის, რაღაცას ვაწყვეტ ფეხებს, დედაჩემის შეშინებული ხმა მესმის, მე მაინც ვყვირი, აღარა ვჩერდები. მერე მძინავს და ძილში მესმის — დიდდაჩემი ელაპარაკება დედას, დედაჩემი ეუბნება:

— ჩემი შეეშინდა.

მე ჩუმად ვარ, თავს ვიმძინარებ, იმიტომ რომ ეს დედაა და იმიტომ რომ ის ლაპარაკობს და ტირის, როგორც დედა...

მხოლოდ ახლა, ამ წერილების წაკითხვის დროს, მივხვდი, რა მოხდა მაშინ.

მაგრამ ხმები ტყუილი გამოდგა. იუგორის შარის სატელეგრაფო ექსპედიციის საშუალებით კაპიტანმა ტატარინოვმა გამოუგზავნა „გულითადი სალამი და კეთილი სურვილები ყველა შემწირველს და იმ პირთ, ვინც ექსპედიციის საქმეს თანაუგრძნობენ“.

ეს წერილი დაბეჭდილი იყო ფაქსიმილეს სახით, მის ზემოდან კი მამას უცნობი სურათი — მეზღვაურის ფორმაში, თეთრ სამხრებიან კიტელში: მოხდენილი ოფიცერი, ძველებურად ზემოთ ავარცხნილი უღვაშებით.

ტყუილად კი არ გამოუგზავნა „კეთილი სურვილები ყველა შემწირველთ“. იმედი ჰქონდა, რომ შეწირულებათა შემოსავალი საშუალებას მისცემდა „რუსეთის პოლარულ ქვეყნების კვლევის კომიტეტს“, დახმარება გაეწია ეკიპაჟის ოჯახებისათვის. ამაზე სწერდა თავის მოხსენებაში, რომელიც იუგორის ექსპედიციის საშუალებით გამოგზავნა და რომელიც 16 ივნისის გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ დაიბეჭდა.

„მე მწამს, რომ კომიტეტი ღვთის ანაბარა არ დასტოვებს იმათ ოჯახებს, ვინც თავიანთი სიცოცხლე საერთო ეროვნულ საქმეს შესწირეს“.

ტყუილი იმედი იყო! იმავე გაზეთში, 27 ივნისის თარიღით, კომიტეტის კრების ანგარიში წავეიკითხე: „კომიტეტის მდივნის, ნ. ა. ტატარინოვის სიტყვით, ახალმა ხელისმომწერამ სრულიად უმნიშვნელო შედეგები მოგვცა. ამგვარადვე მოსალოდნელი მოგება არ მოგვცა ბევრმა სხვა საშუალებებმაც, როგორც გასართობების მოწყობამ და სხვა ასეთმა. ასე რომ, კომიტეტი შესაძლებლობას მოკლებულია, გაუწიოს ეკიპაჟის ოჯახებს დახმარება ნავარაუდები 1000 მანეთის სახით, რომელიც გროვდებოდა ნებაყოფლობითი შეწირულებების გზით“.

უცნაური და უჩვეულო იყო, როცა ვკითხულობდი ამ „ნებაყოფლობითი შეწირულებების“ შესახებ... შეიძლება მე და დედაჩემიც, როგორც მათხოვრები, ამ მოწყალებით ვცხოვრობდით, რომელიც „ნებაყოფლობითი შეწირულებების გზით“ გროვდებოდა?

ყველა ამან მხოლოდ გამიელვა თავში და მე მაინცდამაინც ბევრი არ მიფიქრია იმ უსიამოვნებათა შესახებ, რომელნიც თითქმის ჩემი ხნისანი იყვნენ. სხვა რამემ შემაჩერა და განმაცვიფრა ძველი გაზეთების კითხვის დროს: ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ ხომალდ „წმ. მარიამს“ აუცილებელი დაღუპვა ელის. ზოგნი ფანქრით ხელში ანგარიშობდნენ. ახალ მიწას ძლივს მიაღწევსო. სხვანი ვარაუდობ-

დნენ, რომ დაიძვრება თუ არა ყინული, ხომალდს დაამსხვრევს და ეს მოხდება უფრო გვიან, როცა ფრანც-იოსების მიწას გაუვლისო. „პოლარული ზღვის ტყვის“ სახით.

ხოლო რომ ის ჩრდილოეთის საზღვაო გზით — ერთ ან ორ თუ სამ ნავიგაციაში სულ ერთია მაინც ვერ გაივლის, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

მხოლოდ ვიღაც პოეტმა არხანგელსკის გაზეთში ლექსი დაბეჭდა: „ივ. ტატარინოვს“, რის მიხედვითაც შეიძლებოდა გამსჯელათ, რომ ის სხვა აზრისა იყო:

ის კარგად არის, მხნედ და ჯანმრთელად,  
მიდის გმირულად, ბედი იფარავს!  
ყინულის სიერცე გასკრა, გაჰკვეთა  
და უკუიქცა ყინული ჩქარა...

მე ბევრი რამ ვიცოდი წინათაც. წერილში, რომელიც სანიაშენსკიში იპოვა, მამა იწერებოდა, რომ სამოცი ძალიდან უმეტესი ნაწილის დახოცვა ჯერ ისევ ახალ მიწაზევე მოუხდათ! ბარათში, რომელიც სანიაშენსკის ვიშიმირსკის ნათქვამის მიხედვით შეადგინა, ლაპარაკი იყო დამპალი ტანსაცმლის, წუნდებული შოკოლადის შესახებ. გაზეთ „არხანგელსკში“ წავეკითხე ვაქარ ე. ვ. დემიდოვის წერილი, რომელიც აღნიშნავდა, ხორცის დამარილება და მზა ტანსაცმლის მომზადება ჩემი საქმე არ არის და ამ შემთხვევაში მე მხოლოდ კომისიონერი ვიყავიო. ყველა ამასთან, თავად მე დიდი სავაჭრო საქმე მქონდა და, რასაკვირველია, არ შემეძლო მეცქირა ხორცის ან თევზის ყოველი ნაქრისთვის, რომელსაც კასრში აწყობდნენო. განუწყვეტლივ ასეთი დებულები მოდიოდა კაპიტან ტატარინოვისაგან: „შეაჩერეთ დამზადება — ფული არა გვაქვს“. ან: „გაპყიდეთ, რაც დამზადებულია — ფული არ არის“ და ასე შემდეგ. რაღა საქირო იყო ექსპედიციის მომზადება, თუკი ფული არ იყო?.. და თუკი რამ აღმოჩნდა ცუდი ასეთი საჩქარო საქმის დროს, ამაში დამნაშავენი ადგილობრივ კომერსანტებში კი არ უნდა ეძებნათ, არამედ საღმე ზევით...“

მე არ ვიცოდი — არც სანიაშენსკი იცოდა და არ მესმის, რატომ დედან ერთხელაც არ უთქვამს, რომ „წმ. მარიამის“ გასვლის წინ სამი დღით ადრე ფორ-ტრეიუმში, მისი ბარგოუტის ორივე მხარეზე და მეორე გემბანის ქვეშ, ვატერხაზის საკმაოდ ქვემოთ, შეამჩნიეს მგზავრობისათვის საშიში ამოჭრილები. ქიზზე წიბოიანად გარეშემოსვამდე

ცულის და ხერხის ნიშნები ეტყობოდა. ეს ამოკრილები გაზომეს, გადაიღეს და აღმოჩნდა: ყველაზე დიდი სიგანით 12 დიუმი იყო და სიგრძით 2 ფუტი და 4 დიუმი, სხვები კი ცოტათი ნაკლები. ამ ფრიად საიდუმლო ამოკრილების გაჩენა გვაიძულებს გავიხსენოთ, რომ ზომალდის დაღუპვის შემთხვევაში მისი ახალი მეპატრონე დაზღვევის შესაფერის თანხას მიიღებდა“.

რასაკვირველია, საჭირო არ იყო სხვა საბუთი, რომ მამა დაიღუპა და არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. ის არ შეიძლებოდა არ დაღუპულიყო. განწირული იყო სასიკვდილოდ და დაიღუპა კიდეც.

## თავი მეოთხე

### სანიას საღვთობის შესახებ

უკვე ვთქვი, რომ იმ ზაფხულს ბევრი სამუშაო მქონდა, სხვათა შორის ინიციატივით, რომ ჩემი თანაშემწე, შესაძენ კურსის სტუდენტი. ძალიან გონებაჩლუნგი გამოდგა და მე მიხდებოდა არა მარტო მისი სამუშაოს შესრულება, არამედ ნუგეშიც უნდა მეცა, რადგან თვითონვე წუხდა — ასეთი გონებაჩლუნგი რაღა ვარო. მეც ბევრ რამეს ვერ ვიგებდი და ყოველ ორ-სამ დღეში ჩემ მოხუც პროფესორთან მივრბოდი, რომელიც „შვილკაცს“ მეძახდა და სულ იმას წუხდა, ასე რად გახდიო. მართლაც, ძალიან გავხდი და ფერაც დეკარგე, რადგან, მე მგონი, ჯერ არასოდეს ამდენი არ მეფიქრა და არც მეღელვა. ველავდი გაზეთებში მოთავსებული წერილების კითხვის დროს, ველავდი, სანიას წერილები რომ იგვიანებდა. ველავდი იმიტომ, რომ დიდდაჩემი ჩემზე ჯავრობდა და ერთი პირობა ფეხს აღარა სდგამდა ჩემთან. გარდა ამისა, ველავდი კიდეც ვალიასა და კირას გამო.

ყველაფერი კარგად მიდიოდა — ისინი წინანდებურად ისხდნენ სამზარეულოში და თავიანთთვის ჩურჩულებდნენ. მერე ჩაის მიირთმევდნენ სერიოზული, ბედნიერი, სულელური გამომეტყველებით. მაგრამ ერთხელ უცებ ჩურჩული შეწყდა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ყვირილი დაიწყო, შემეშინდა და მეც ყვირილი მოვრთე, მაგრამ ამ დროს ვალია გამოვიდა გაქარხლებული და განჯინაში შეჰყო თავი.

ალბათ განჯინა გასასვლელი კარები ეგონა. მე ქუდი მივაწოდე და მორიდებულად ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. მან მიპასუხა:

— თქვენ მეგობარსა ჰკითხეთ, რა მოხდა.

არ მახსოვს. უკანასკნელად როლის ვნახე კირა ატირებული. მგონი, მეხუთე კლასში, ხაზვაში „არადამაკმაყოფილებელი“ მიეღო. ახლა კვლავ ტიროდა და პატარა ბავშვივით თვალებს ხელებით იწმენდა.

— რა მოხდა, კირა?

— არაფერი არ მომხდარა. გადავწყვიტეთ, ხელი მოგვეწერა. მაგრამ აქ გადმოსვლა არ უნდა, მორჩა და გათავდა.

— ჩემს გამო? იმიტომ რომ სივიწროვეა?

— შენს გამო სულაც არა. მეუბნება, შენ თვითონ უნდა მიხედო. მე კი, პატიოსნებას გეფიცები, ვერ მივმხვდარვარ. ვალიას უნდა, იმასთან გადავიდე — მე კი არ მინდა. იქ მე სადილი და საერთოდ ყველაფერი უნდა ვაკეთო, მაგრამ როლის ვაკეთო? მოკლედ აქ ყველაფერი არის — ჰურჰელიც, სუფრებიც, თეთრეულიც, ყველაფერი.

— და დედაც.

— რა თქმა უნდა, დედაც.

მთელი საღამო ვილაპარაკეთ. შუალამისას კი კირამ გამაღვიძა და მითხრა: მივხვდი. ვალიას აღარ უყვარვარო. დილის შვიდ საათამდე ვუმტკიცებდი, ვალიას უყვარხარ, ასე არა ღელავენ, როდესაც არ უყვართ-მეთქი, არ ვიცი დავარწმუნე თუ არა, მხოლოდ უეცრად თქვა: მეც კარგად ვიცი, რომ ვალია კარგია, მე თვითონა ვარ ცუდი, ვალიას წერილს მივწერ, რომ მისი ღირსი არა ვარ და იმიტომ არ უყვარვარ, რადგანაც სულელად მთვლისო.

— ოღონდ, ვიდრე წერილს გაგზავნიდე, მე მაჩვენე, კარგი? — ვუთხარი ნამძინარევი ხვით და უკანასკნელი, რაც დავინახე, კირა იყო, რომელიც პერანგის აპარა მაგიდასთან იჯდა და სწერდა...

დილით დავხიეთ სისულელე, რომელიც მას შეეთხზა, და ვალიასთან წავედი. ზოოპარკში მუშაობდა და მე მომაგონდა, ერთხელ როგორ მივედი მე და სანია მასთან და როგორ გვაჩვენებდა თავის მღრღნელებს. ახლა ის სახლი აეღოთ, მის ადგილას ლამაზი თეთრ-სვეტებიანი პავილიონი წამოჰქიპულიყო. ახლა ვალიას დარაჯის რწმუნება არა სკირდებოდა, რომ ის ექსპერიმენტალური ბიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელია. მაგრამ ამ ლამაზ თეთრ პავილიონში სწორედ ისეთივე სუნი იდგა და ვალიაც სულ ისეთივე

იყო, როგორც მაშინ — მხოლოდ თეთრ ხალათში და წვერგაუპარსავი. გამეცინა, რადგან წუხელის კირამ მითხრა, ახლა წვერის გაპარსვას თავს მიანებებსო.

ვალIAM მე დამსვა და თვითონაც დაღვრემილი დაჯდა.

— ვალია, ჯერ ერთი, მხედველობაში იქონიე, რომ მე ჩემი საკუთარი ინიციატივით მოვედი, — დავიწყე გაჯავრებით. — ისე რომ არ იფიქრო, კირამ გამომგზავნა.

ვალIAM მთრთოლვარე ხმით თქვა: „ჰო“? მართალია, შემებრალა, მაგრამ მაინც სასტიკი კილოთი განვაგრძე:

— თუ შენ სერიოზული მიზეზები გაქვს, დარჩე შენს ბინაში, თუმც სიეცევეზე თქვენთვის ათასჯერ უფრო მოსახერხებელი იქნება, უნდა უთხრა კირას, მორჩა და გათავდა, და არ მოსთხოვო, რომ თვითონ მიხვდეს.

ვალია ცოტა ხანს სდუმდა.

— გესმის, როგორ არის საქმე... მე არ შემიძლია სიეცევე-ვრაეევეზე გადმოსვლა, თუმც, რასაკვირველია, არ უარვყოფ, რომ ეს პირდაპირ მშვენიერი იქნებოდა: იქ შეიძლება მოეწყოს რამე კაბინეტისა და საწოლი ოთახის მგავარი, მეტადრე, თუ ტიხრს გადავიტანთ, და სადაც ახლა საკუქნაოა — პატარა ლაბორატორიას მოვაწყობთ. მაგრამ ეს შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ რომ... ყური მივდე, შენ კი გულს არ გიწვრილებს ლაპარაკით? — უეცრად სასოწარკვეთილებით მკითხა მან.

— ვინა?

— კირას დედა.

გულიანად გამეცინა.

— ჰო. შენ გეცინება, — მითხრა ვალIAM, — რასაკვირველია, შენთვის სასაცილოა. მე კი არ შემიძლია. გულზე მეხვევა და ვსუსტდები. ერთხელ მეკითხება: „ეგეთი ფერმკრთალი რათა ხარო?“ კინალამ ვუთხარი... თან სულ ვილაც ვარვარა რაბინოვიჩზე ლაპარაკობს, ღმერთმა დასწყევლოს... არა, არ გადმოვალ.

— იცი, რას გეტყვი, ვალია, — ვუთხარი სერიოზულად, — მე ეს არ ვიცი, გულს ვინ ვის უწვრილებს ლაპარაკით. მაგრამ შენ, ყოველ შემთხვევაში, კირას მიმართ ძალიან სულელურად იქცევი. წუხელის მთელი ღამე ტირილში გაათენა. ახლაც უნდა წახვიდე და აუხსნა, რაშია საქმე.

სახეზე მწუხარება გამოეხატა და რამდენჯერმე აღელვებით გა-  
იარ-გამოიარა ოთახში.

— არ წავალ!

— ვალია!

ის ჯიუტად სდუმდა. „ამას უყურე ერთი, რა ყოფილა!“ — გავი-  
ფიქრე პატივისცემით.

— მაშინ თავი დამანებეთ და ჯანდაბამდის გზა გქონიათ! — ეუთ-  
ხარი გაჯავრებით და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ არ გამომიშვა  
და ჩვენ კიდევ ორი საათი მაინც ვილაპარაკეთ, თუ რა გვეღონა, რომ  
კირას დედას იმდენი არ ელაპარაკა...

უხერხული იყო. მაგრამ მაინც ეუთხარი კირას ნამდვილი მიზე-  
ზი. ძალიან გაუკვირდა. მერე კი მითხრა, დედაჩემიც ყოველდღე  
ჩივის — ვალია ლაპარაკით გულს მიწვრილებსო. ერთხელ, ვალიას  
წასვლის შემდეგ, თავზე სველი ტილო ედო, იწვა და ამბობდა, მეტი  
ალარ შემიძლია შავ მურა მელიების ჰიბრიდების შესახებ მოსმენაო.

კირა თვალის დახამხამებაზე გამოეწყო და ვალიასთან წავიდა,  
თუმცა ეუთხარი — შენს ადგილას თავის დღეში პირველი არ წავი-  
დოდი-მეთქი. საღამოთი ისინი უკვე ისევ საკუთრივ სამზარეულოში  
ისხდნენ და ჩურჩულებდნენ. გადაწყვიტეს, მაინც ეცადათ სივცე-  
ვრაუეკზე ცხოვრება.

მშვენიერი საღამო იყო, საუკეთესო იმ საღამოებიდან, რომლე-  
ბიც უსანიოდ გავატარე. წინაღობით მისი წერილი მივიღე — გრძე-  
ლი და ძალიან კარგი, რომელშიც, სხვათა შორის, იწერებოდა, ბევრ-  
სა ვკითხულობ და ინგლისური ენის შესწავლა დავიწყეო. მომაგონ-  
და როგორ გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ მე საკმაოდ თავისუფლად  
ვკითხულობდი ინგლისურს, და როგორ გაწითლდა, როდესაც ერთ-  
ხელ მასთან კომპოზიტორ შოსტაკოვიჩზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იმას  
კი თურმე არც გაეგონა ეს გვარი, საერთოდ, მშვენიერი წერილი  
იყო, რომლისგანაც გული გამიმხიარულდა და დამიმშვიდდა. „ნფე-  
დედოფლის“ ჩემად მე და ალექსანდრა დმიტრიევნამ ჩინებული  
ვახშამი მოვამზადეთ, ღვინოც გექონდა და, თუმცა ვალიას საყვარელ  
სალათით მომზადებულ კიბოებს რიგრიგობით მოვაყარეთ მარი-  
ლი, — ჯერ მე და მერე ალექსანდრა დმიტრიევნამ, — მაინც თვალის  
დახამხამებაზე შეეკვამეთ, რადგანაც ვალიას გუშინდელს აქეთ თურმე  
არც წვერი გაეპარსა და არც გემოთ არაფერი ენახა.

სანიას საღმრთო დავლიეთ, მერე კიდევ დავლიეთ და ვუ-  
სურვეთ გამარჯვება ყველა საქმეში.

— ვუსურვოთ გამარჯვება დიდ საქმეებში, — თქვა ვალიამ, — რადგან მე მწამს, რომ იგი ცხოვრებამი დიდი საქმეების მონაწილე იქნება.

მერე ვალიამ გვიამბო, ათას ცხრას ოცდახუთ წელს როგორა მუშაობდა მოსკოვის კომკავშირის კომიტეტთან არსებულ ნორჩ ნატურალისტთა ბიუროში და ერთხელ როგორ დაიყოლია სანია, ექსკურსიაზე წასულიყო „სერებრიანი ბორში“. სანია დიდხანს როგორ ცდილობდა გაეგო, რად იყო ეს საინტერესო, მერე კი უეცრად ციტატებით დაიწყო ლაპარაკი და ყველანი განაცვიფრა თავისი არაჩვეულებრივი მეხსიერებით. მან ზეპირად თქვა:

ვიღრე იმედი შეგჩენია, უნდა იბრძოლო,  
ამგვარ თამაშზე მშვენიერი რა არის ქვეყნად?

და გვითხრა, მინდვრის თავგების ჰერა ჩემი სტიქია არ არისო.

ალექსანდრა დმიტრიევნასაც უნდოდა, რაიმე ეამბნა. მე და კირას გვეშინოდა, კვლავ ვარკარა რაბინოვიჩზე არ დაიწყოს ლაპარაკიო, მაგრამ გადავრჩით. მხოლოდ რამდენიმე ლექსი წაგვიკითხა და შემოგვეტრახა, ლექსების დახსომება მეც საოცრად მეხერხებაო.

ასე ვისხედით და ვსვამდით. უკვე მეთორმეტე საათი იყო, როდესაც ვილაყამ დარეკა. ალექსანდრა დმიტრიევნამ, რომელიც სწორედ ამ წუთში გვიჩვენებდა, როგორ უნდა ხმის ალება, თქვა, მეეზოვე მოვიდოდაო ნაგვის წასაღებად. მე სამზარეულოში გავიქეცი და ასე ხელში ვედროთი გავალე კარები. მაგრამ მეეზოვე კი არა, რომაშოვი იყო, რომელიც, კარები რომ გავალე, უხმოდ უკან გადგა და ქუდი მოიხადა.

— სასწრაფო საქმე მაქვს, თქვენ შეგეხებათ. ამიტომ გავბედე ასე გვიან მოსვლა.

ეს ძალიან სერიოზულად თქვა და მე მაშინვე დავიჯერე. რომ საქმე სასწრაფოა და რომ მე შემეხება. დავიჯერე, იმიტომ რომ საეხებით დამშვიდებული იყო.

— შინ მობრძანდით.

ჩვენ ასევე ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ — ის ქუდით ხელში, მე კი ქუტყიანი ვედროთი. მერე მომაგონდა და ვედრო კარებს უკან მივდგი.

— ვშიშობ, რომ ერთობ უხერხულია, — ზრდილობიანად დაიწყო მან: — მგონი, სტუმრები გყავთ?

— არა.

არ შეიძლება აქ, კიბეზე? ან ქვევით ჩავიდეთ, ბულვარზე. მე უნდა შეგატყობინოთ...

— ერთი წუთი მომიცადეთ, — ვუთხარი სწრაფად.

ალექსანდრა დმიტრიევნა მეძახდა. კარები მივხურე და მისკენ წავედი.

— ვინ არის?

— ალექსანდრა დმიტრიევნა, ახლავე დავბრუნდები, — მივყარე ფათიფუთით. — ან იცით, რა... თხუთმეტი წუთის შემდეგ ვალია ჩემთან ჩამოვიდეს, ბულვარზე ვიქნები.

ის ჯერ კიდევ რალაცას მეუბნებოდა, მაგრამ მე უკვე გარეთ გავვარდი და კარები გავაჯახუნე.

გრილი საღამო იყო, მე კი კაბის ამარა გამოვედი და რომაშოვმა კიბეზე მითხრა: „გაცივდებით“. ეტყობა, თავისი პალტოს შემოთავაზება უნდოდა, გაიხადა კიდევ და ხელით მოჰქონდა, მერე, როდესაც დავახელით, სკამზე დადო. მაგრამ შემოთავაზება ვერ გაბედა, თუმცა არცა მცოდნა. ლენინსაგან სახე მეწოდა, ველაველი კიდევ, ეგრძნობდი, რომ უშიშვროდ არ იყო მოსული.

ბულვარზე სიჩუმე იყო, არავინა ჰქაქანებდა, მხოლოდ ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცები ისხდნენ — თითო სკამზე თითო მოხუცი — გოგოლის ძეგლიდან მოყოლებული ლობემდე, რომლის უკანაც სადგურ „საბჭოების სასახლეს“ აშენებდნენ.

— კატია, აი რა მიწოდდა მეტქვა, — შორიდან დაიწყო რომაშოვმა, — მე ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის იმას, რომ ექსპედიცია შედგეს. და იმისთვისაც...

იგი შეყოყმანდა, მერე თამამად განაგრძო:

— სანიასთვისაც. მე არა მგონია, რომ ეს ფაქტიურად მნიშვნელოვანი იყოს, ესე იგი, რომ ამას შეეძლოს რაიმე შეცვალოს, მაგალითად თქვენი ბიძის ცხოვრებაში, რომელსაც ეს ძალიან აშინებს. მაგრამ საქმე თქვენ გეხებათ და ამიტომ არ შეიძლება ჩემთვის სულ ერთი იყოს.

ეს ძალიან უბრალოდ თქვა.

— მე მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ.

— რის შესახებ?

— იმის შესახებ, რომ ექსპედიცია არ შედგება.

— ტყუილია. მე ჩ...-მ დამირეკა.

— ეს არის, ახლა ვადაწყვეტის, რომ გავზავნა არა ღირს, — მშვიდად დასძინა რომაშოვმა.

— ვინ გადაწყვიტა? ან საიდან იცით?  
ის მიბრუნდა, მერე ღიმილით შემომხედა.

— არც კი ვიცი, როგორ გითხრათ. კვლავ გაიძვერა გამოვლივარ,  
როგორც თქვენ მიწოდეთ.

— როგორც გნებავთ.

მეშინოდა, რომ ადგებოდა და წავეილოდა, — იმდენად დამშვი-  
დებული და თავის თავში დარწმუნებული იყო და იმდენად არა  
ჭკავდა წინანდელ რომაშოვს. მაგრამ არ წასულა.

— ნიკოლაი ანტონიჩმა მითხრა, ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო  
გზის უფროსის მოადგილემ მოახსენა ექსპედიციის პროექტის შესა-  
ხებ და თვითონვე გამოვიდა წინააღმდეგო. მისი აზრით, ჩრდილო-  
ეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს საქმე არ არის ოცზე  
მეტი წლის წინათ დაკარგულ კაპიტნების ძებნა. მაგრამ მე ვფიქ-  
რობ... — რომაშოვი შეჩერდა; ალბათ დასცხა, იმიტომ რომ ქუდი  
მოიხადა და მუხლებზე დაიდო, — ეს მისი აზრი არ არის.

— მაშ ვისი აზრია?

— ნიკოლაი ანტონიჩის, — მომახალა რომაშოვმა. — ის იცნობს  
იმ მოადგილეს და იგი ნიკოლაი ანტონიჩს არქტიკის ისტორიის დიდ  
მცოდნედ სთვლის. თუმც ან ვილას უნდა ჰკითხოვნ რჩევა კაპიტან  
ტატარინოვის ძიების შესახებ, თუ არა ნიკოლაი ანტონიჩს? ხომ მან  
მოაწყო ეს ექსპედიცია და მერე სწერდა კიდევ მის შესახებ. იგი გე-  
ოგრაფიული საზოგადოების წევრია და ფრიად საპატიო წევრი.

ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ ამ წუთში არ მომფიქრებია  
არც ის, თუ რადა ცდილობს ნიკოლაი ანტონიჩი ძიება ჩაიშალოს,  
არც ის, თუ რამ აიძულა რომაშოვი, კვლავ გაეცა იგი. შეურაცხყო-  
ფილი ვიყავი არა მარტო მამაჩემის, არამედ სანიას გამოც.

— რა გვარია?

— ვინ?

— ის ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ არა ღირს დაკარგულ კა-  
პიტნების ძებნა.

რომაშოვმა გვარი დაასახელა.

— ნიკოლაი ანტონიჩს, ცხადია, ლაპარაკს არ დავუწყებ, — გან-  
ვავრძობდი მე და თან ვვრძობდი, რომ ნესტოები მებერებოდა.  
ვცდილობდი, დავმშვიდებულიყავი, მაგრამ ვვრძობდი, რომ ძალა  
არა მყოფნიდა. — ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ მოვილაპარაკეთ. მაგ-  
რამ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში მე ცო-

ტოდენს ვუამბობ მის შესახებ. სანიას ღრო არა ჰქონდა, გასწორებოდა მას, ან შეიძლება შეიბრალა იგი, არ ვიცი... ვითომ, მართალი კია? — უეცრად ეთქვი მე, რომაშოვს შეეხედე და გავიფიქრე, ეს ხომ რომაშოვია — რომაშოვი, რომელსაც მე ვუყვარვარ და ალბათ სულ იმის ოცნებაშია, როგორ მოახერხოს, რომ როგორმე დაღუპოს სანიას

— ტყუილის თქმა რაში მჭირდება, — გულგრილად დასძინა რომაშოვმა. — თქვენ თვითონ გაიგებთ, თქვენც გეტყვიან... რასაკვირველია, უნდა წახვიდეთ იქ და ყველაფერი აუხსნათ. მაგრამ... თქვენ... არ უთხრათ, ვისგან გაიგეთ ან, თუმცა, უთხარით, ჩემთვის სულ ერთია, — მედიდურად დაუმატა მან, — მაგრამ ამას ნიკოლაი ანტონიჩიც გაიგებს და მაშინ მე უკვე ველარ მოვახერხებ მის მოტყუებას, როგორც დღეს მოვატყუე.

ნიკოლაი ანტონიჩი მოტყუებულ იყო ჩემი გულისათვის — აი, რა უნდოდა ეთქვა ამით. ის მიყურებდა და ელოდა რახ ვეტყოდი.

— მე არ მითხოვნია თქვენთვის, ვინმე მოგეტყუებინათ, თუმცა, ჩემის აზრით, სამარცხვინო არ არის, რომ თქვენ გაბედეთ (კინალამ ვუთხარი: „პირველად თქვენს სიცოცხლეში“) პატიოსნად მოქცეულიყავით და გეშველათ ჩემთვის. მე არ ვიცი, ახლა როგორ განწყობილებაში ხართ ნიკოლაი ანტონიჩთან.

— მეზიზღება.

— კეთილი, ეგ თქვენი საქმეა. — მე იმიტომ ავდექი, რომ ძალიან შემეზიზნა ყველაფერი: — ყოველ შემთხვევაში, გამდლობთ, მიშა, და ნახვამდის...

სიეცევე-ვრაუეკთან სამივენი შემხვდნენ: ალექსანდრა დმიტრიევნა, კირა და ვალია. ისინი აღელვებულები მორბოდნენ, ალექსანდრა დმიტრიევნა რალაცას ეუბნებოდა. „ღმერთო ჩემო, არა, საიდან ვიცი? მხოლოდ თქვა, თუ ათი წუთის შემდეგ არ დაებრუნდი...“

ტრამვაი სწორედ ჩვენ შუა გაჩერდა და, როდესაც გაიარა, სამივენი გაბედულად გამოექანენ ბულვარისკენ.

— შეჩერდით!

— აი, ისიც! ალექსანდრა დმიტრიევნა აქ არის. კატია, რა მოხდა?

— ღვინო სულ გამოსცალეთ? — ვკითხე ძალიან სერიოზულად. — თუ გამოსცალეთ, კიდეც უნდა ვიყიდოთ... მე მინდა, ერთხელ კიდეც დავლიო სანიას სადღეგრძელო.

აქა სწერია: ხომალდი „წმ. მარიამი“

ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსად იმ წლებში ცნობილი პოლარელი მოღვაწე იყო, რომლის სახელის პოვნაც ძნელი არ არის რუსეთის არქტიკის რომელ რუკაზეც გნებავთ. ალბათ მასთან მოხვედრა არც ისე ადვილი იყო. მაგრამ ჩ-მ დაურეკა და მე იმ დღესვე მიმიღეს. მართალია, მოცდა მომიხდა, მაგრამ ესეც საინტერესო იყო, რადგან მისაღებ ოთახში ისხდნენ იმიერპოლარეთიდან ახლახან დაბრუნებული მეზღვაურები და მფრინავეები. ერთი ცოტათი წააგავდა სანიას. მე, ჩემდაუნებურად, რამდენჯერმე შევხედე და ყურიც მიუვადე მის ლაპარაკს. მაგრამ, ალბათ, სხვა-ნაირად გამიგო, იმიტომ რომ გაიქიმა და სულელურად გაიღრიჭა. მერე ისინი წავიდნენ და მე კიდევ დიდხანს ვიჯექი და ჩემ თავზე ვჯავრობდი, რომ სევდა მალიმალ გულზე შემომამწვებოდა ხოლმე.

ძალიან კარგად მახსოვს ჩემი საუბარი ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსთან, იმიტომ რომ წერილში, რომელიც იმავ საღამოს გავუგზავნე სანიას, სიტყვასიტყვით გავიმეორე.

ჯერ ვლელავდი და ვგრძნობდი, რომ გაფითრებული ვიყავი. მაგრამ, მკითხა თუ არა დაბალი ხმით, თავაზიანად: „რითი შემძილნა გემსახურთ?“ მთელი ჩემი აღელვება გაჰქრა. მერე ისევ ავლელდი. მაგრამ ეს უკვე სხვაგვარი აღელვება იყო, რისგანაც თავი აღარ გახსოვს და ყრეოლვა გიტანს.

— მფრინავმა გრიგორიევმა ექსპედიციის საძიებო პროექტი წარმოგიფინათ, — დაეწყე მე. — პირველად გადაწყვეტილი იყო, რომ ექსპედიცია შედგებოდა, მაგრამ გუშინ...

ყურადღებით მისმენდა. ისე საოცრადა ჰგავდა თავის სურათს, რომელიც ათასჯერ იყო დაბეჭდილი გაზეთებში და ჟურნალებში, რომ უცნაური გრძნობა დამებდა. თითქოს მე თვითონ მას კი არა, მის სურათს ველაპარაკებოდი.

— არა, — დასძინა მან, როდესაც ვკითხე, თქვენც ხომ არა ფიქრობთ, რომ არა ღირს დაკარგული კაპიტნების ძიება-მეთქი, — ჩვენ ყურადღებით ავწონ-დავწონეთ ყველაფერი და გადავწყვიტეთ, რომ ასეთი ძიებანი წინასწარ არიან განწირულნი, — წარმატება არ ექნებათ. მართლაც: ჯერ ერთი, პროექტში ნაჩვენები ადგილები, მეტად

თუ ნაკლებად, შესწავლილია უკანასკნელ წლებში და მაინც დღემდის „წმ. მარიაშის“ ექსპედიციის არაერთი კვალი არ არის აღმოჩენილი; მეორეც, ჩრდილოეთის მიწიდან პიასინის შესართავამდე ათას კილომეტრზე მეტია და ძიების მოწყობა ასეთ მანძილზე ძალიან რთული ამოცანაა; ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, — მე დაწმენებული არა ვარ, რომ მამათქვენის ექსპედიცია სწორედ ამ რაიონში უნდა ვეძებოთ.

— არაერთი ექვი არ არის, რომ სწორედ ამ რაიონში, — დავძინე ენერგიულად.

— რატომ?

— იმიტომ რომ... — უცრად ყველა დასაბუთება დამავიწყდა, თუმცა მისაღებ ოთახში კიდევ ერთხელ გავიშეორე და თითებზედაც კი ჩამოვითვალე. — იმიტომ რომ...

იგი მიყურებდა და ელოდა რას ვეტყვოდი. ღია ფერის თვალები ჰქონდა, წვერი კი — შავი. გულგრილად მიყურებდა და მულოდა. ეს საშინელი წუთი იყო.

— ჯერ ერთი, ეს შტურმანის დღიურებიდანა ჩანს, — ვუთხარი ოდნავ მთრთოლვარე ხმით, — გახსოვთ, მას მოჰყავს მამაჩემის სიტყვები: „თუ უიმედო გარემოება მაიძულებს ხომალდი დავტოვო, მე წავალ მიწისკენ, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ“. მეორეც ის... — მე პორტფელიდან ფოტოსურათები ამოვიღე, რომლებიც სანიაშ დამიტოვა. — აი შეხედეთ.. აქა სწერია: ხომალდი „წმ. მარიაში“. ეს ბარჯი ტაიმიზნა ნაპოვნია.

— ვთქვით, რომ ასეთა. მაგრამ რატომ ის არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბარჯი ეკუთვნოდა შტურმანის პარტიას, რომელმაც ორი თვით ადრე დატოვა ხომალდი?

— იმიტომ რომ შტურმანი... რუკა სადა გაქვთ? — ვკითხე მე. თუმცა არქტიკის ვეებერთელა რუკა საწერი მაგიდის ზემოდან ეკიდა და, რაც ხანი იქ ვიყავი, სულ იმას ვუყურებდი. ახლა კი, ეტყობა, აღელვებისაგან ვერა ვხედავდი. — „წმ. მარიაში“ მოღრეიფე ყინულებით მიღიოდა და სულ სხვა მიმართულებით. შეიძლება? — საჩვენებელი ჯოხი ავიღე და სკამზე შევედექი, რადგან იატაკიდან ფლორას კონცხს ვერ მივწვდებოდი. — აი, რა გზით მიდიოდა. მერე კი დაბრუნდა არხანგელსკში, ლეიტენანტ სედოვის ექსპედიციასთან ერთად. მაგრამ განვაგრძოთ, — ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ კვლავ სიცივემ ამიტანა და კვლავ გაეფითრდი, მაგრამ ახლა უკვე აღფრთოვანებისაგან. — თქვენ ამბობთ, რომ ჩრდილოეთის მიწიდან პიასი-

ნის შესართავამდე შესწავლილი ადგილებია და უცნაურია, რომ დღემდე არაფერია წააწყდა ექსპედიციის კვალს, თუნდაც შემთხვევით. მაგრამ რუსანოვი? რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მისი მოწყობილობის ნაშთები იპოვეს? და მერე სად? იმ ადგილებში, სადაც მიდიოდა გემები და ათასჯერ მოხვედრია ადამიანის ფეხი. ან ის მეზღვაური ამუნდსენისა, რომელიც დიკსონზე იპოვეს, სადგურიდან სამი კილომეტრის მოშორებით?

მე მაშინ არ ვიცოდი, რომ ამ მეზღვაურის საფლავი (მას ტისენი ერქვა) ნავსადგურის სასადილოსთან იყო, და რომ ყველა, ვინც სადილს შემდეგ პოლარულ სადგურზე მიდის, გაივლის იმ გზას, რომელიც ტისენს დარჩა გასავლელი, ესე იგი, გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე.

— არა, საქმე იმაში არ არის, რომ ეს შესწავლილი ადგილებია, არამედ იმაში, რომ მამა არასდროს არ უძებნიათ. აი გზა, რა გზითაც ის მიდიოდა: 79 გრადუსი და 35 მინუტი განედიდან 86 და 87 პერიდიანთა შორის რუსეთის კუნძულებისა და ნორდენშელდის არქიპელაგისაკენ. მერე, ალბათ ბევრი ხეტიალის შემდეგ, სტერლგოვის კონცხიდან პიასინის შესართავამდე. აქ მოხტემა ნენცმა იპოვა ნარტზე დადგმული ნავი. მერე ენისეისკენ, ამიტომ რომ ენისეი ერთადერთი იმედი იყო, სადაც შეიძლებოდა შეხვედროდა ხალხს და დახმარება ეპოვა.

სკამიდან ჩამოვხტი. იგი წვერზე ხელს ისვამდა და მე მიყურებდა, — მგონი ცნობისმოყვარეობით.

— თქვენ დარწმუნებულნი ხართ ამაში?

— დიახ. სხვანაირად არ შეიძლება იყოს. რა წინადადებას გაძლევთ გრიგორიევი? ყინულმჭკრელი გემი „პახტუსოვი“ ჩრდილოეთ მიწისაკენ მიემართება სამეცნიერო სამუშაოებისათვის. ეს პილროგრაფიული ექსპედიციაა, არა?

— დიახ.

— კეთილი, გზადაგზა იგი აწყობს რამდენიმე ადგილზე ბაზებს ორი-სამი საძიებო პარტიისათვის. გრიგორიევის აზრით, მხოლოდ ორი პარტიაა საჭირო, თითოეულში სამი კაცის რაოდენობით. მე კი მგონია, რომ საჭიროა სამი, ან მოტორიანი კანჯო მესამის ნაცვლად. ისინი სანაპირო კუნძულების ზღვის მხრით წაეღენ, „პახტუსოვი“ კი ამასობაში სადმე ახლომახლო იმუშავენ. ისე რომ, შესაძლებელი იქნება, თითქმის არ მოსწყდეს ექსპედიციას.

გაეჩერდი, იმიტომ რომ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსს გაეცინა და ადგა. მაგიდას შემოუარა და გვერდით მომიჯდა.

— დიახ, თქვენ ნამდვილი მამათქვენის შვილი ყოფილხართ, — მხიარულად მითხრა მან, — გეოგრაფი ხართ?

— გეოლოგი.

— რომელ კურსზე ხართ?

ვუპასუხე, რომ დიდი ხანია უნივერსიტეტი დავამთავრე და უკვე ორი წელიწადია, რაც ბაშკირეთის გეოლოგიურ სამმართველოში ვმუშაობ.

— დები, ძმები გყავთ?

— არა, დედისერთა ვარ.

— დედა?

— მომიკვდა.

ის მორიდებით სდუმდა რამდენიმე ხანს, მერე სანიას პროექტს დაუბრუნდა.

— რასაკვირველია, ყველაფერი ეს არც ისე ადვილია, — თქვა ჩაფიქრებულმა. — მაგრამ არც შეუძლებელია. მოტორიანი კანჯო აქ, რასაკვირველია, არაფერ შუაშია. მაგრამ გრიგორიევის გამოძახება კი ალბათ მოგვიხდება. სად არის?

— იმიერპოლარეთში.

გულმა დაგადუგი დამიწყო და რატომღაც კიდევ ერთხელა ვთქვი:

— იმიერპოლარეთში.

მან ეშმაკურად შემომხედა.

— ჩვენც ავიღებთ და გამოვიძახებთ, — ბავშვური ალტაცებით გაიმეორა მან და მე მივხვდი, რომ ჩ-მა უამბო ჩემსა და სანიას შესახებ. — თქვენ როგორა გგონიათ, იგი ხომ აუცილებელია ჩვენთვის ამ საკითხის გადასაწყვეტად?

— მე გგონი, რომ აუცილებელია, — ვუთხარი თამამად.

— მაშ ასე, ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. — მითხრა მან სერიოზულად და წამოდგა, — შედგება ექსპედიცია თუ არ შედგება, მაინც კარგია, რომ თქვენ ჩემთან მოხვედით და ასე ენერგიულად და მგზნებარედ ილაპარაკეთ.

დიდედასთან

უკვე ვწერდი, რომ დიდედაჩემი ყოველ საღამოს მოდიოდა ჩემთან. მოდიოდა გაფხორილი, მედიდური და ამაყად ელაპარაკებოდა კირას დედას. არ ეოსწონდა, რომ მე „უცხოებთან ვცხოვრობდი“, სახლში კი „შესანიშნავი ოთახია“, თან ვილაც დორა აბრამოვნასი ეშინოდა, რომელმაც უკვე ორჯერ „შემოიბრძინა და სუნითა ცდილობს გაიგოს რამეო“.

— ეს ჩემი სიბერეც რაღა გახდა! — მითხრა ერთხელ თვალცრემლიანმა. — ასე გამოყრუებული ჯერ არა ვყოფილვარ.

მაგრამ ერთხელ დიდედა არ მოვიდა. დილით დამირეკა და მითხრა, რაღაც კარგად ვერა მაქვს გულიო. გაჯავრდა, როდესაც ვკითხე, ნიკოლაი ანტონიჩი შინ ხომ არ არის-მეთქი.

— რა სულელური კითხვაა, — მკაცრად შემომიტია. — არა, მამს სად უნდა იყოს? შენსავით ხომ კარდაკარ არ ივლის?

აქვე დაუმატა, ნიკოლაი ანტონიჩი წავიდაო. მე ჰაიპარად მოვემზადე და წავედი.

თავისი ძველი მწვანე ქურჭი წაეხურა და დივანზე იწვა. დივანის გვერდით მაგიდაზე წყავის წვეთები ედგა, ერთადერთი წამალი, რომელიც სწამდა, და როცა ვკითხე, თავს როგორა გრძნობ-მეთქი, მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— ერთი ბეწო რამეზე თავს დაბლა მიკრავს, — თქვა მან გაჯავრებით, — მაშინვე შეატყობ, რომ მოლოზნად ნაძყოფია. ღვთის მორწმუნეა. ვეკითხები, მამ რატომღა მსახურობ-მეთქი? გავაგდე.

შინამოსამსახურე დაითხოვა და ძალიან ცუდადაც მოიქცა; წართლია, შინამოსამსახურე ღვთისმორწმუნე იყო, მაგრამ სამაგიეროდ მარჯვე გამოდგა და წინათ დიდედაჩემს მოსწონდა კიდევ, რომ ოდესღაც მოლოზნად იყო ნაძყოფი.

— დიდედა, ეგ რა გიქნია? — ვუთხარი მე, — ახლა სულ მარტოდარჩი, ავადმყოფი! ჩემთან გადაგიყვან.

— არ წამოვალ. ეგღა მაკლია!

ვერასგზით ვერ დავიყოლიე, რომ ტანისამოსი გაეხადა და ლოგინში ჩაწოლილიყო, მითხრა: გული კი არ მაწუხებს — გუშინ სადილად არაფერი გამიკეთებია, ბოლოკი ვკამე ზეთით და ბოლოკმა თუ მაწყინაო.

— თუ არ დაწვები, ახლავე წავალ.

— ოჰ! ძალიან არ შემაშინე. \*

მაგრამ მაინც გაიხზა, კრუსუნით ჩაწვა ლოგინში და მაშინვე დაეძინა...

დელას ოთახში ყოველთვის გამკრავი ქარი დაუბერავდა ხოლმე, როდესაც ფანჯრებს ვალებდით, და მე პაერის გასაწმენდად დერეფნის კარები გავაღე. მერე ჩემს ოთახში შევედი. როგორი ცივი და დაცარიელებული მომეჩვენა ოთახი, სადაც მთელი ჩემი ბავშვობა და ყრმობა გავატარე! თუმცა ყველაფერი თითქოს უფრო უკეთესიც ჩანდა ჩემი წასვლის შემდეგ. საწოლს ეფარა დიდდღაჩემის ძველებური მაქმანის გადასაფარებელი, თეთრი ქათქათა ფარდები სახამებლისაგან გაფხოკილიყო. ყველაფერი მილაგებული იყო და ენციკლოპედიის ტომი, რომელსაც წასვლის წინ ვკითხულობდი, იმავე გვერდზე გადაშლილი დამხვდა. აქ მე მელოდნენ...

ფანჯარაზე, ძველ სასკოლო სახელმძღვანელოებს შორის, რვეული ვიპოვე ციტატებით საყვარელი წიგნებიდან: „უცნაური რამ არის ადამიანის გული საერთოდ, ქალისა კი განსაკუთრებით“. ლერმონტოვი.

რა შესანიშნავი, რა სასაცილო ციტატები იყო და მე თავიდან ბოლომდე წავიკითხე. როგორც სიზმარშია ხოლმე, თითქოს სტუმრად ვიყავი ვიღაც ნაცნობ გოგონასთან, რომელსაც მთელი ქვეყანა ასეთი მშვენიერი ეჩვენებოდა.

„ქვეყანა — თეატრია, ადამიანები — მსახიობები“. შექსპირი.

უცებ მონეჩენა, თითქოს ვიღაცამ გაიქროლა დერეფანში, როცა ამ რვეულით ხელში ოთახიდან გამოვედი.

რასაკვირველია, აზრად არ მომსვლია, რომ დიდდღაჩემი იყო თავის მწვანე ხავერდის ქურქში, მაგრამ ვიღაც კი დაჰქროდა, — სწორედ მწვანე ქურქში და სწორედ დიდდღაჩემი, რადგანაც, მასთან რომ შევბრუნდი, თუმცა წელანდელივით იწვა, მაინც ეტყობოდა, რომ ეს არის ახლა ჩაქანებულიყო ლოგინში და დახურვაც ვერ მოესწრა.

გაგეცინებოდათ: ისე გულმოდგინედ იძძინარებდა თავს, თვალბიცი კი მაგრად დაეხუჭა, ვითომდა სულ მეძინა და დერეფანში სირბილი არც მიფიქრიაო. რასაკვირველია, მე მითვალთვალებდა — იქნება შინ დაბრუნება მოიგუწებოსო?

— დიდდა, ექიმი იყო? — ვკითხე, როდესაც ბოლოს თვალები გაახილა და ყასიდად ხმამაღლა დაამთქნარა.

— არა ყოფილა. ექიმი რად მინდა. ვიცი, რომ ბოლოკმა მაწყინა.

— ტელეფონით კი მითხარი, გული მაწუხებდსო!

— გულიც ბოლოკისაგანა მაქვს ცუდად.

— რა სისულელეა! ახლავე დავუძახებ.

მაგრამ დიდდაჩემი გაფხუციანდა და მითხრა, თუ ექიმს დაუძახებ, ახლავე ჩავიცვამ და მარია ნიკიტიშნასთან წავეალო, — ასე ერქვა მეზობელს.

წინათაც უნდა გეჩხუბნა, რომ დიდელასთვის ექიმი მოგეყვანათ, ამიტომ მე არ გავკირვეულებულვარ, — მით უმეტეს, რომ დიდედა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო უკეთ ხლებოდა. ბოლოს სულ კარგად გახდა, იმიტომ რომ, უეცრად დაწვერის სუნი რომ ეცა, შეწუხებულმა წამოიძახა: „მიწვარაო“!.. სალოფი წამოისხა და სამზარეულოში გაიქცა.

ოტათი ნიმწვარიყო ნამცხვარი, რომელიც ნავთქურაზე იდგა და რისგანაც ჩინებული სუნი დატრიალდა.~ დიდედამ გამომიძახადა, ისევ ცუდად გავხდები, თუ ამ ნამცხვარს არ გასინჯავო.

ყველაფერი დიდელასებური იყო: ეს ეშმაკობა და განსაკუთრებით ჩემი საყვარელი ხორციანი ნამცხვარი, რომლისთვისაც ერბო ბარაქიანად ექნა. ნამცხვარს საბოლოოდ უნდა დავერწმუნებინე, რომ ჩემ სახლს არაფერი სჯობდა. მაგრამ მე ორი ნაქერი შეეკამე, მერე დიდელას ვაკოცე და მხოლოდ ის ვუთხარი, ძალიან გემრიელია-მეთქი.

ჯერ ნიკოლაი ანტონიჩზე ხმა არ ამოგველო, მაგრამ, აი, დიდედამ გულგრილი გამომეტყველება მიიღო და მივხვდი, რომ ახლა დაიწყებდა. მაგრამ დიდედამ შორიდან მოუარა.

— ოლეჩკასა და ლარასაგან წერილი მივიღე, — თქვა მან მკაცრი კილოთი. — მწერენ, დიასახლისობაში ნუ ჩაერევი, ახლა მაგის თავი საღლა გაქვსო.

ოლეჩკა და ლარა — ჩემი მოხუცი დეიდები, ბუბენჩიკოვები იყვნენ, რომლებიც ენსკში ცხოვრობდნენ.

— მაგრამ როგორ არ ჩავერიო, როდესაც შენიშვნას უკეთებ, ის სდუმს, კიდევ უკეთებ შენიშვნას — ისევ სდუმს. მოთმინებიდან გამომდინარე — მაინც სდუმს. მღვდლის გეგმითა ცხოვრობდა, — თქვა ოღნავ გამოცოცხლებულმა დიდედამ: — თავისიანებს არაფერი, — ყველაფერი მღვდლებს, ისტერიით დაავადებულია, მღვდელი გვიქადაგებს: „ჩუმად იყავი, ითმინე და იტირე“, ამასაც ეს უნდა. ტანისა-

მოსის კარადაში ლურსმნები დაარქო, ხატები ჩამოამწკრივა და ყველაფერზე ასე ჩუმად ამბობს: „მესმის“. მაგისტანებს ვერ ვიტან.

— ახლა ხომ გააგდე, რაღას ლაპარაკობ!

დიდელა ერთ ხანს ჩუმად იყო.

— მთელი სახლი დამკმუნვარდა, — კვლავ თქვა და ამოიოხრა, — შენ განზე გადექი, მან რაღა ჰქნას? იმასაც აღარათფერი ენაღვლება ახლა, არის რამე თუ არ არის, როგორც მოხვდება, ხან ჰქამს და ხან არა.

„მან“ — ეს ნიკოლაი ანტონიჩი იყო.

— და წერს, წერს, — განაგრძობდა დიდელა. — დღე და ღამე, დღე და ღამე. დილით ჩაის დალევს თუ არა, მაშინვე ჩემს შალში გაეხვევა, მაგიდას მიუჯდება და მეუბნება: ნინა კაპიტონოვნა, ეს მთელი ჩემი ცხოვრების შრომა იქნება. დამნაშავე ვარ თუ არა ვარ დამნაშავე, დაე ახლა მეგობრებმა და მტრებმა განსაჯონო. ისე გახდა! გამოთაყვანდა, — ჩურჩულით თქვა დიდელამ, — იმ დღეს მაგიდასთან ისე მოვიდა, ქუდის მოხდაც კი დაავიწყდა — ალბათ მალე ჰკუთაზე შეიშლება.

ამ დროს შემოსასვლელმა კარებმა ოდნავ დაიჯახუნა, ვიღაც შემოვიდა დერეფანში და გაჩერდა. მე დიდელას შეეხედე, დიდელამ შიშით მომარიდა თვალი. მივხვდი, რომ ნიკოლაი ანტონიჩი იყო.

— აბა, დიდელა, ჩემი წასვლის დროა.

— არა, ჯერ რა დროს წასვლაა, ნამცხვრის ჰამაც არ დავისრულებია.

ნიკოლაი ანტონიჩმა ოდნავ დააკაუნა და პასუხისათვის არ მოუცდია, შემოვიდა.

მივტრიალდი, თავი დავუკარი. მე თვითონვე გამეხარდა, ისე გულგრილად და გაბედულად დავუქნიე თავი.

— რასა იქ, როგორა ხარ, კატიუშა?

— არა მიშავს რა, გმადლობთ.

საოცარია, მაგრამ ჩემთვის ახლა იგი მხოლოდ ვიღაც ფერმკრთალი მოხუცი კაცი იყო, მოკლებულებიანი, რომელიც სქელ თითებს ნერვიულად ათამაშებდა და არ იცოდა, სად წაეღო: საყულოს უკან დაემალა თუ ეილეთის ჯიბეებში ჩაეწყო. მოხუც მსახიობს დამსგავსებოდა. მე ოდესღაც ვიცნობდი მას — ამ ათასი წლის წინათ. ახლა კი სულაც არ მაწუნებდა, რომ ასე ფერმკრთალი

იყო, კისერიც საცოდავად გასწვრილებოდა და ხელებიც აუცახ-  
ცახდა, როდესაც სავარძლის მოსაწევად გაიწოდა.

პირველმა უხერხულმა წუთმა გაიარა. მან ხუმრობით მკითხა  
რაღაც ჩემი რუკის შესახებ, ზილმერდაგის წყება აშინის წყებასთან  
ხომ არ შეგეშალაო. უნივერსიტეტში მომივიდა ეს შეცდომა. მე  
კვლავ გამოთხოვება დავიწყე.

— ნახვამდის, დიდედა.

— მე წავალ, — ხმადაბლა თქვა ნიკოლაი ანტონიჩმა.

ის, წელში მოხრილი, სავარძელში იჯდა და ყურადღებით შემომ-  
ცქეროდა უბრალო, კეთილი გამომეტყველებით. ასეთი მახსოვს  
იგი, როდესაც ჩვენ ზოგჯერ დავსხუდებოდით და დიდხანს ვლაპა-  
რაკობდით ხოლმე დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ახლა ეს  
ჩემთვის მხოლოდ შორეული მოგონება იყო.

— რაკი გეჩქარება, სხვა დროს მოვილაპარაკოთ.

— დიდედა, დამიჯერე, მელოდებან, — ვუთხარი დიდედას,  
რომელსაც ჩემი სახელოსთვის მაგრად ჩაეჭიდა ხელი.

— არა, არ გელოდებიან. ეგრე ვის გაუგონია? ეს ხომ შენი  
ბიძაა.

— თავი დაანებეთ, ნინა კაპიტონოვნა, — ალერსიანად უთხრა  
ნიკოლაი ანტონიჩმა, — განა სულ ერთი არ არის — ბიძა ვარ თუ  
არა ვარ ბიძა, გეტყობა, შენ არ გინდა მომისმინო, კატიუშა?

— არა.

— თანატყუარი ხარ, — სიძულვილით მითხრა დიდედამ.

მე გამეცრნა.

— არ შემიძლია გელაპარაკო არც იმაზე. თუ როგორ ჩამიკალი  
გული შენი წასვლით, ისე რომ არც გამომმშვიდობებიხარ, — აჩქა-  
რებულად, მაგრამ იმავე უბრალო, კეთილი ხმით განაგრძობდა  
ნიკოლაი ანტონიჩი, — არც იმაზე, რომ თქვენ ორივენი შეცდომა-  
ში შეხვედით, როდესაც დაუჯერეთ უბედურ ავადმყოფ მოხუცს,  
რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ფსიქიატრიულ საავადმყოფო-  
დან გამოვიდა.

მან სათვალის ზემოდან გადმომხედა. ფსიქიატრიულ საავადმყო-  
ფოდან! ეს ახალი სიცრუე გახლდათ. ან თუნდაც არა ყოფილიყო  
სიცრუე — ახლა ჩემთვის სულ ერთი იყო, მხოლოდ ერთმა აზრმა  
ოდნავ გამეკენწლა, — ეს შეიძლება სანიას შეეხოს ან სასი-  
აშინოდ არ დარჩეს მას.

— ღმერთო ჩემო, რა არ მოიგონა იმ საცოდავმა, იმ ჰკუაბნეულმა ადამიანმა! ისიც, რომ მე გავაკოტრე რაღაც თამასუქების საშუალებით, ისიც, რომ განგებ მოვამზადე ისე ცუდად ექსპედიცია — რატომ, როგორა გგონია? იმიტომ, რომ ივანეს დაღუპვა მინდოდა?

ნიკოლაი ანტონიჩს გულიანად გაეცინა.

— ექვიანობის გამო! ღმერთო ჩემო! მე დედაშენი მიყვარდა და ექვიანობის გამო ივანეს დაღუპვა მოვინდომე?

კვლავ გაეცინა, მაგრამ უეცრად სათვალე მოიხსნა და ცრემლების მოწმენდა დაიწყო.

— დიახ, მე დედაშენი მიყვარდა, — ტირილით წაიბუტბუტა მან, — ღმერთმა ხომ იცის, რომ ყველაფერი შეიძლებოდა სულ სხეანაირად დატრიალებულიყო. დამნაშავეც რომ ვყოფილიყავი, ვცნ დამსაჯა მე, თუ არა იმან? და ისე დამსაჯა, რომ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

ვუსმენდი და სიზმარში მეგონა ჩემი თავი, როდესაც გეჩვენება, რომ ოდესღაც უკვე გინახავს ეს გაწითლებული მელოტი თავი, ზედ შერჩენილი რანდენიმე ღერი თმით, იგივე სიტყვები იმავე გამოთქმით, უსიამოვნო გრძნობაც, რა გრძნობითაც უყურებ ამ აცრემლებულ მოხუცებულ კაცს.

-- აბა რას იტყვი? — მრისხანედ მკითხა დიდედამ.

— დიდედა, ჩინებული ნამცხვარია, კიდევ ერთი პატარა ნაჭერი რომიკერი, — ვუთხარი მხიარულად, — მე თქვენ გისმენთ, ნიკოლაი ანტონიჩ.

— კატია, კატია!

— ამხანაგებო, იცით რას გეტყვით, — ვუთხარი და თან ვგრძნობდი, რომ სიბრაზისაგან რაღაც სიმხიარულეც კი მიპყრობდა. — ბოლოს და ბოლოს მე პატარა აღარა ვარ, — ოცდაოთხი წლის ქალა, მგონი, შემიძლია ისე მოვიქცე, როგორცა მსურს. მე აღარ მინდა ამ სახლში ცხოვრება, გასაგებია? მე ვთხოვდები. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ განაპირა ჩრდილოეთში ვიცხოვრებთ მე და ჩემი ქმარი, რომელსაც აქ საქმე არაფერი აქვს: მოგეხსენებათ, პოლარელი მფრინავია. რაც შეეხება ნიკოლაი ანტონიჩს, ბევრჯერ მინახავს მისი ცრემლები. ეს ჩემთვის ახალი არ არის და უნდა გითხრათ, რომ მომბეზრდა. ერთი შემიძლია ვთქვა, თუ ნიკოლაი ანტონიჩი არაფერში არ არის დამნაშავე, მთელი სიცოცხლე რად

გადაჰყვა ამ ამბებს, რასა ჩალიჩობდა ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში, რომ სანიას ექსპედიცია ჩამლილიყო?!

ალბათ ამ წუთში ისე მხიარული აღარა ვჩანდი, როგორც აქამდე, იმიტომ რომ დიდება შეშინებული მიყურებდა და, მგონი, ჩუმ-ჩუმად პირჯვარს იწერდა. ნიკოლაი ანტონიჩს ლოყაზე ძარღვი უთამაშებდა, იგი სდუმდა.

— თავი დამანებეთ, — ვუთხარი გააფთრებით, — სამუდამოდ. სამუდამოდ!

## თავი მეშვიდე

### ზ ა მ ტ ა რ ი

ნოემბერში ოთახი მივიღე ერთ-ერთ გარეუბანში, მოსკვა-რეკას ნაპირზე, და მაშინვე გადავედი, თუმცა ვალიამ და კირამ ერთხმად განაცხადეს, უშენოდ ჩვენი ოჯახური ცხოვრებიდან არაფერი გამოვყო, ალექსანდრა დმიტრიევნამ კი გვერდზე გამიხმორ და დაუმატა, ახლა მეც წავალ, რადგან შენ შევმურა მეღიების საწინააღმდეგო რაღაც მეხამრიდევით იყავი და უშენოდ ვალია შევმურა მეღიებზე ლაპარაკით გამასავათებსო.

ოთახი ახალ სახლში მომცეს და არ შეიძლება ითქვას, რომ მოცარიელებულ ნაპირზე განმარტობით წამოყუნტული ეს ხუთსართულიანი სახლი მეტად მიმზიდველი ყოფილიყო. მუშები ეს არის წასულიყვნენ — თუ თითქმის ჯერ არც კი წასულიყვნენ, ისევ ეზოში ტრიალებდნენ და იქაურობას საამშენებლო ნაგვისაგან ასუფთავებდნენ. აბაზანები ჯერ ისევ კიბეებზე ეწყო. აქა-იქ ჯერ ისევ ეკიდა დავიწყებული ვედროები საღებავებით.

ახლა გარეუბან ვ-დღე ათ წუთში მიხვალთ მეტროთი, მაშინ კი ერთი საათი უნდა გეჯანჯღარათ ტრამვაით. ახლა ვ. — იგივე მოსკოვია, მაშინ კი მოსაწყენი ადგილი იყო და ჩვენი ულაზათო, განმარტობული სახლი, რომლისათვისაც გინდოდათ ღობე შემოგვევლოთ, ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა პატარასვეტებიან, მოაჯირებითა და გამოჩუქურთმებული მამლებით დამშვენებულ დაფაქტაზებულ აგარაკების გვერდით.

მაგრამ არა მარტო სახლით — ჩემი ოთახითაც კი არ შემეძლო დამეტრახანა. მხოლოდ ერთი სიკეთე ჰქონდა — მშვენიერი გადა-

სახელი მოსკვა-რეკაზე, რომელიც ზამთარშიაც კარგი იყო, მეტადრე საღამო ეამს, როდესაც შორს საიდანღაც მიმქრალი შუქი შემოკრთებოდა ხოლმე და თოვლის ზვინების ქვეშ სუფთა ოვალური ჩრდილები ჩნდებოდა. თვალწინ მიდგებოდა პატარა საპორტო ქალაქი პოლარული წრის იქით, სადაც ხეფენილ ქუჩებზე უღელში შებმული ირმები დადიან, „მაგრამ ირმების გვერდით, — მწერდა სანია, — ერთმანეთს უსწრებენ ხე-ტყის მზი-დავები, ავტომობილები, ცხენები, შესაბამელი ძაღლები და, ამგვარად, შენ თვალწინ მიღის კაცობრიობის მთელი ისტორია, დაწყებული საგვარეულო წყობილებიდან, დამთავრებული სოციალისტური კულტურით. ახლა ახალ ქალაქს ვაშენებთ, ყველგან ძელები ყრია, ქუჩები ნაფოტებით არის მოფენილი, — აეროპორტის სამმართველო მშენებელი სამსართულიან, „პოლიან“ სახლში გადავიდა. საღამოობით ჩვენ ამ „პოლში“ ვსხედვართ და ვკითხულობთ ვოლტერს. საინტერესოა, რომ ეს „თანამედროვე“ ავტორი ჩვენთან უკვე ისეთი პოპულარული გახდა, რომ ციტატები მისი თხზულებებიდან ამშვენებს ჩვენი კედლის გაზეთებს. იმდენსა ვფიქრობ შენზე, რომ გასაოცარიც არის, სადღა ვპოულობ დროს ყველაფერი დანარჩენისთვის! იმიტომ რომ დანარჩენიც — ესეც ისევ შენა ხარ, მეტადრე გაფრენის დროს, როდესაც რამეზე ფიქრობ ან მღერი და კვლავ ფიქრობ — სულ შენზე“...

იმ ზამთარს ფული საკმაოდ მიჭირდა, რადგანაც ფულს უფიდან მიგზავნიდნენ, სადაც ბაშკირეთის გეოლოგიური სამმართველო იმყოფებოდა, და ხშირად მიგვიანებდნენ. დროგამოშვებით ლანძღვის დეპეშების გაგზავნა მიხლებოდა. გარდა ამისა, ვერსადა ვსადილობდი და სადილების გაკეთება კი მეზარებოდა. ერთი სიტყვით, მთლად გავველურდი და ერთხელ, ჩემი საგარეო აბრეშუმის კაბა რომ გავისინჯე, დაეჯექი და სიბრაზისაგან ვიტირე.

მთელი ზამთრის განმავლობაში პირველად დავაპირე თეატრში წასვლა — ვახტანგოვის თეატრში, პრემიერაზე „ადამიანურ კომედიაზე!“ — მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი კაბა ძველი მოდისაა, რალაცნაირი კუდებით, როგორსაც ერთი საუკუნის წინათ ატარებდნენ. მერე მე და კირამ კაბას რალაც გაუუკეთეთ — ავწიეთ, ავკერეთ, მაგრამ საღამო მაინც ჩაგვშხამდა.

ეს იყო მარტობაში გატარებული ზამთარი ვ-ში, — ისეთ მარტობაში, რომ თითქმის ჩემი ყველაზე ხშირი სტუმარი რომაშოვი გახლდათ. ახლა ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს სწორედ ის

რომელოც მეუბნებოდა, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო. ის ზრდილობიანად შემოდიოდა, მშვიდი, მუდამ ფრანტულად ჩაცმული და აუღელვებელი ხმით მელაპარაკებოდა, ალბათ სწორედ ისეთივე ხმით, რომლითაც ლექციებს კითხულობდა თავის ინსტიტუტში...

ერთხელ ძალიან დაღლილი და მშვიერი მოვიდა. მე ვუთხარი: — მიშა, გინდათ ჩაი?

მან ცივად გადამიხანდა მადლობა და ჩაის დაღევაზე უარი თქვა. ჩანს, უნდოდა ეჩვენებინა, რომ ჩვენ შორის სხვა დამოკიდებულები-საყენ არ მიისწრაფის, გარდა საქმიანი დამოკიდებულებისა. საქმიანი კი — ეს იყო ექსპედიცია და ყველაფერი, რაც მას შეეხებოდა.

რად აინტერესებდა ექსპედიცია? რასაკვირველია, იმიტომ რომ საქმე მე მეხებოდა და, მამასადამე, „ამას გულგრილად ვერ შეხე-დავდა“. მაგრამ ამაში სიამაყეც იყო, — თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ მე ოღნავადაც არ მიწყენანებია ჩემი უარით. და, ექვს გარეშეა, გეგმა ჰქონდა — ალბათ, კვლავ იგივე: შევერთე რაღაც უშნო და რთული ინტრიგების დახმარებით. თვითონ მასში იყო რაღაც გონებაჩლუნგი და ამასთან რთული — ამ მედიდურობაში და თვით მის გაქვავებულ სახეში, ბავშვურად აფშეკილ ყუ-რებში. მაგრამ უეცრად რაღაც საშინელიც გამოკრთებოდა ხოლმე მასში. ტყუილად კი არა თქვა ერთხელ ივან პავლოვიჩმა, ძალიან რთული ბუნების ადამიანია, ყოველ შემთხვევაში — უნარი აქვსო ძლიერი სულიერი განცდების.

მაგრამ მის გულთან მე არაფერი მესაქმებოდა. რა თქმა უნდა, სანიას არა ვწერდი, რომ ის ჩემთან დაიარებოდა. სანია ჰკუაზე შე-იშლებოდა მით უფრო, რომ მეც არ ვიცი რატომ, უგულო წერი-ლებსა ვწერდი.

უეცრად აღმოჩნდა, რომ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზა-თა სამმართველოში ჯერ გადაწყვეტილი არც კი აქვთ, რომ ძიება უსათუოდ სანიას მიანდონ, ის ჯერ ახალგაზრდაა და, თუმცა დიდი სტაჟი აქვს, ჩრდილოეთში შედარებით ცოტა უმუშავია. მას იცნო-ბენ როგორც კარგ, დავალების კარგად შემსრულებელ პილოტს, ნაგრამ შესძლებს კი ასეთი რთული საქმის გაძღოლას, რომელიც ორგანიზაციულ ნიქს მოითხოვს? საერთოდ, რას წარმოადგენს იგი, — ახსოვთ, რომ რომელიღაც ეურნალში ლანძღავდნენ ცი-ლისწამებისათვის, ვილაცას ცილი დასწამა, მგონი, ნ. ა. ტატარი-ნოვს, ცნობილ პოლარულ მოღვაწეს და კაპიტანის ბიძაშვილს.

მე მოვითხოვდი, რომ ჟურნალის რედაქციას ამის უარყოფა დაებეჭლა. ვამტკიცებდი, რომ საძიებო პარტიის ორგანიზაცია, რომელიც ექვსი კაცისაგან შედგება, არც ისეთი რთული საქმეა, მოგიტხოვდი, რომ კაპიტან ტატარინოვის ძიება დაევალებინათ იმ ადამიანისთვის, ვინც ბავშვობიდან იყო აღფრთოვანებული ამ აზრით, და არა ვინმე სხვისათვის.

რომაშოვმა იცოდა ამ დავიდარაბის ამბავი. რაზე ფიქრობდა, რის იმედი ჰქონდა — არ ვეკითხებოდი და არც ის მეუბნებოდა. მაგრამ ღაღა დღე, როდესაც ბევრ რამეს მივხვდი.

არავითარი ექვი არ მეპარებოდა იმაში, რომ, თუ ექსპედიცია შედგებოდა, მე წავიდოდი ჩრდილოეთის მიწაზე სანიასთან ერთად. მე მივწერე ამის შესახებ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსს და შევთავაზე ჩემი სამსახური, როგორც გეოლოგმა. მალე მოვიდა პასუხი კადრების სექტორიდან და, სამწუხაროდ, სულ სხვა, ვიდრე მე მოველოდი. მთავაზობდნენ მუშაობას ერთ-ერთ პოლარულ სადგურზე, — ჩემი არჩევანის მიხედვით, — და მთხოვდნენ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში მივსულიყავი მოსალაპარაკებლად.

იმ დღეს შინ გვიან დავბრუნდი, როგორც ყოველთვის, როდესაც „ქალაქში“ ნოვხვდებოდი ხოლმე, და კიბეზე მომაგონდა, რომ კარების დაკეტვა დამეინწყებოდა. ჩემს ოთახში ვიღაც დადიოდა — ექვს გარეშეა, ქურდები. მაგრამ ქურდები კი არა, რომაშოვი დამხვდა, რომელიც შეჩერდა, როცა შევედი, და მაშინვე შევატყვე, რომ ქალიან ცულ გუნებაზე იყო.

— ეს წერილი წავიკითხე, — არც კი მომსალმებია, ისე მომახალა. — თქვენ ექსპედიციაში გლომიათ წასვლა. აი, თურმე რა გეღოთ გულში!

შევხედე თუ არა, მომაგონდა, რომ სკოლაში „ბუს“ ეძახდნენ. თავისი მრგვალი თვალებით ამ წუთში საოცრადა ჰგავდა ბუს. მაგრამ ეს საკმაოდ დიდი ბუ იყო, რომელმაც დაიყვირა: „აი, თურმე რა გეღოთ გულში!“ და სული ძლივს მოითქვა.

— მერე რადა კითხულობთ სხვის წერილებს? — ვკითხე საკმაოდ მშვიდობიანად. — ეგ მიღებული არ არის, მიშა.

— მე მიმალავთ! და ჩუმად კი წასვლას აპირებთ!

— მიშა, კეუაზე ხომ არ შეიშალეთ? ისღა მაკლია, რომ თქვენგან ვიღებდე ნებართვას.

მან უცხად როგორღაც უცნაურად ამოისლუკუნა — ვერ გავიგე, გაიცინა თუ ატირდა.

— თუ თქვენ გინდათ, — მაღალი ხმით მითხრა მან, — მე თვითონ მოგიხერხებთ მაგას. კარგი, თქვენ წახვალთ!

მე ხმა არ ამომიღია. რატომღაც არ მინდოდა, მეწყენინებინა მისთვის.

— რატომ არაფერს არ ამბობთ?

— იმიტომ, რომ არა მსურს თქვენ სისულელეზე გაგცეთ პასუხი.

— კატია, კატია!

— ყური დამიგღეთ, — ვუთხარი მშვიდად, — იცით, თქვენ რა გესაქიროებათ? დასვენება. თქვენ დაღლილი ხართ. რამ მოგაფიქრათ, რომ მე მოსკოვში დაერჩებოდით?

— დიახ, თქვენ დარჩებით.

მინდოდა გამეცინა, მაგრამ მან ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და სახე ისე შეეცვალა, თითქოს კიდეც ერთი წამი და გამართყამდა.

— იცით რა, ჩემო ძვირფასო, — ვუთხარი მე ჯერ ისევ მშვიდად. მაგრამ უკვე არა ისე დინჯად, როგორც მე მინდოდა, — სად არის თქვენი პალტო და ქუდი?

— კატია! — კვლავ სასოწარკვეთილებით წაიბუტბუტა მან.

— ესეც თქვენი „კატია“, მე ვიცი, რისი იმედიცა გქონდათ, რომ დაერჩენილიყავი. თქვენ ალბათ მართლა ქუთაზე შეიშალეთ. მაგრამ ეს მე ნაკლებად მაინტერესებს. რაღასა დგებართ!

მან უხმოდ ჩაიცვა პალტო, ქუდი დაიხურა და გავიდა.

1935 წლის შემოდგომაზე ექსპედიციის საკითხი ძლივს გადაწყდა. ცნობილი პოლარელი პროფესორი ვ. წერილით გამოვიდა, რომელშიაც რწმენას გამოთქვამდა, რომ, თუ შტურმან კლიმოვის დღიურების მიხედვით ვიმსჯელებთ, „ტატარინოვის ექსპედიციის მასალებს, თუ მოხერხდებოდა მათი პოვნა, მნიშვნელობა ექნებოდა ორქტიკის თანამედროვე შესწავლისათვისაც“. მეც კი მეტისმეტად გაბედული მომეჩვენა ეს აზრი. მაგრამ უეცრად იგი დადასტურდა და სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა ყველაზე დიდი როლი სანიას პროექტის აღიარებისათვის. საქმე ის იყო, რომ შეისწავლა რა „წმ. მარიამის“ დრეიფის რუკა 1912 წ. ოქტომბრიდან 1914 წლის აპრილამდე, პროფესორმა ვ-მ გამოთქვა მოსაზრება, რომ 78° 02' განედზე და 64° სიგრძედზე უნდა იმყოფებოდეს ჯერ ისევ უცნობი მიწა. ეს ჰიპოტეზური მიწა, რომელიც თავის კაბინეტში მჯდომმა ვ-მ აღმოაჩინა, აღმოჩენილი იყო 1935 წ. ნავიგაციის დროს. კაცმა რომ თქვას, ეს მიწა კი არა, მკურავე ყინულებს შორის

ჩაკარგული, არქტიკული ხმელეთის ნაგლეჯი იყო, რომელიც მეტად სევდიან სურათს წარმოადგენდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, კიდე ერთი „თეთრი ლაქა“ წაიშალა საბჭოთა არქტიკის რუკიდან და ეს გაკეთდა „წმ. მარიამის“ დრეიფის რუკის დახმარებით.

არ ვიცი, კიდე საკირო იყო თუ არა ახალი საბუთები სანიას პროექტის სასარგებლოდ. მაგრამ „საძიებო პარტია მალაღვანედიან ექსპედიციასთან ჩრდილოეთის მიწის შესასწავლად“ მაინც შეიტანეს მომავალი წლის ნავიგაციის გეგმაში. გაზაფხულზე სანია ლენინგრადში უნდა ჩამოსულიყო და ჩვენ შეეთანხმდით, რომ ლენინგრადში შევხვდებოდით ერთმანეთს, სადაც მე ჯერ არასოდეს არა ვყოფილიყავი.

## თავი მერვე

### ლ ე ნ ი ნ ბ რ ა დ ი

რა არ ვიფიქრე, რა არ წარმოვიდგინე 1936 წლის 20 მაისის დილას, როდესაც ლენინგრადს ვუახლოვდებოდი, სადაც მეორე დღეს სანიას უნდა შევხვებოდოდი! ვაგონი ზრიალებდა და ქრიალებდა. ალბათ ძველი ვაგონი შეშხვდა. მაგრამ მე მთელი ღამე მშვენივრად, ჩემთვის მშვიდად მეძინა და, როცა გამეღვიძა, დავიწყე ოცნება. რა შორს გამიტაცა ოცნებამ! თითქოს ათასი კილომეტრის იქიდან მეყურებოდა რკინის ბორბლების ერთფეროვანი დაგადუგი და მძინარე მეზობლების ფშვინვა! რა მშვენივრად წარმომედგინა ჩემ ცხოვრებაში ის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო, და ისიც, რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო! მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი შესაძლებელი იყო — ისიც კი, რომ მამაჩემი ცოცხალია, რომ ჩვენ მას ვიპოვით და ერთად დავბრუნდებით. ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ ისე ლაღად და ისე მშვიდად მქონდა გული, რომ ესეც კი შესაძლებლად მომეჩვენა. თითქოს ჩემს გულში ვიღაცას ვუბრძანე, რომ ჩვენ ის გვეპოვნა — და აი, ის დგას, ქალარა, წელში გამართული და უნდა დაიძინოს, თორემ ჭკუაზე შეიშლება აღელვებისა და ბედნიერებისაგან.

ვაგონი კრიალით მიირწეოდა და ეს კრიალი მუსიკასავით ჩამესმოდა, რომელიც ისევ თავიდან იწყებოდა. მე სულ ველოდი —

შემდეგ რა იქნება-მეთქი! — ის კი კვლავ იწყებოდა. კიდევ რა ზოვიგონო, რა ვუსურვო ჩემს თავს — ყველაზე მშვენიერი, ყველაზე საოცარი ცხოვრებაში? და მე წარმოვიდგინე, რომ ვბრუნდებით და ჩვენ გვხვდებიან, როგორც ხვდებოდნენ გმირ-მფრინავებს, რომელთაც 1933 წელს ჩელუსკინელები გადაარჩინეს; იმ ადამიანებს, რომელნიც ყველას უყვარდა და რომელთა შესახებ ყველა ლაპარაკობდა. მოდიოდნენ ყვავილებით სავსე მანქანებით და მთელი მოსკოვი თეთრად იყო გადაპენტილი ყვავილებით, ქაღალდის ფურცლებით და თეთრი კაბებით, რომლებშიაც ხვდებოდნენ ქალები გმირებს. მაგრამ ეს მინდოდა არა ჩემთვის, არამედ სანიასა და მამაჩემისათვის, თუკი წარმოვიდგენდი ყველაზე შეუძლებელს ქვეყანაზე, რის გაფიქრებაც არ შეიძლებოდა სხვაგვარად, თუ არა ახლა, ბურანში ყოფნის დროს, ვაგონში, ამ ვაგონის თვლების თანაზომიერი, მონოტონური მუსიკის ხმაზე, რომელიც თითქოს ისევ თავიდან იწყებოდა და იწყებოდა...

მაშინ „სტრელა“ ლენინგრადში 10 საათსა და 20 წუთზე მოდიოდა. ჩემი მგზავრები დიდი ხანია უკვე პაპიროსს სწევდნენ დერეფანში. ალბათ მელოდნენ, როდის ჩავიცვამდი და გავიდოდი. მე კი აღგომას არცა ვფიქრობდი, თითქოს მეშინოდა, რომ დიღხანს აღარ დამიბრუნდებოდა სულის ეს საოცარი, ბავშვური მდგომარეობა.

ჩვენ შევთანხმდით, რომ სანიას და (რომელსაც ჩემი სანიასაგან განსასხვავებლად წერილებშიაც ყოველთვის საშას ვუწოდებდი), ვაგზალზე დამოხვდებოდა. „ან პეტია, — მწერდა იგი, — თუ მე შეუძლოდ ვქნები“. მან არა ერთხელ მიხსენა გაკვრით, რომ შეუძლოდ არის, მაგრამ ისეთ მხიარულ, ნახატებიან წერილებსა მწერდა, რომ მე ამას არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი, თუმცა ვხვდებოდი, რაშიც იყო საქმე. ერთ-ერთ წერილში პეტია დახატული იყო ერთ ხელში წიგნით და მეორეში ქორთვა ბავშვით. უცნაურია, მაგრამ ისინი ერთმანეთსა ჰგავდნენ.

ყველანი უკვე პალტოებში და ქულებში იდგნენ. მგზავრებმა მიშველეს თაროდან ჩემი საკმაოდ მძიმე ჩემოდნის ჩამოღება, — რადგანაც ყველაფერი თან წამოვიღე, რაცა მქონდა, და რამდენიმე საინტერესო ნიმუშიც კი ჩავდე მთის ჯიშებისა, თითქოს წინასწარ ვგაჩნობდი, რომ ახლა დიღხანს ვერ დავბრუნდებოდი მოსკოვში. მე ვღელავდი. — ლენინგრადს ვუახლოვდებოდით! უეცრად გამოჩნდა ბაქანი და მაშინვე დაეიწყე სკოვოროდნიკოვების ძებნა, მაგ-

რამ ბაქანი სწრაფად მისცურავდა, ისინი კი არსად იყვნენ და მე გულის წყრომით მომაგონდა, რომ ვაგონის ნომერი არ შემიტყობინებია.

ბარგის მზიდავმა ჩემი ჩემოდანი გამოიტანა და ჩვენ მანამდე ვიდექით, ვიდრე ყველამ არ გაიარა. სკოვოროდნიკოვები კი არა და არ ჩანდნენ.

— იქნება შემოსასვლელთან არიან? — მითხრა ბარგის მზიდავმა.

ჩვენ შემოსასვლელისკენ გავედით და იქ კიდევ კარვა ნახევარი საათი ვიდექი. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ეს ღორიბაა: დაჰპატიჟო ადამიანი და მერე არც კი დახვდე! თან ისიც იციან, რომ ლენინ-გრადში პირველად ვარ.

ერთ წუთს ვყოყმანობდი, სასტუმროში ხომ არ წავიდე-მეთქი. მაგრამ ცოტათი ველავდი კიდევ, იმიტომ რომ მაინც უცნაური იყო მათი მოუსვლელობა, და ამიტომ სკოვოროდნიკოვებისაკენ გავწიე.

სიპართლე რომ ვთქვა, მე იმათ თითქმის არ ვიცნობდი. მე და საშამ ერთმანეთი ენსკში გავიცანით მრავალი წლის წინათ და წააშემდეგ, მგონი, სამჯერ-ოთხჯერ თუ ვნახეთ ერთმანეთი. მაგრამ ჩვენ მიწერ-მოწერა არ შეგვიწყვეტია. ვწერდით ერთმანეთს და ყველაზე უფრო მეტად იმ მძიმე წლებში, როდესაც მე ისე მარტო ვიყავი მოსკოვში, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. ის თავის წერილებში გადმომცემდა ხოლმე სანიას წერილების შინაარსს და მუდამ მარწმუნებდა, სანიას უყვარხარო, მაშინაც კი, როდესაც მან დამივიწყა, — ბალაშოვში, მერე იმიერპოლარეთში ყოფნის დროს.

ის ჩემი მეგობარი იყო და მე ოდნავადაც არ მეპარებოდა ექვი, რომ ახლა, როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვნახავდით, სწორედ ასევე იქნებოდა, — საშა ჩემი მეგობარი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ის სანიას და იყო.

არც პეტიას შევხვედრივარ ხშირად. ენსკში ის ერთი წოწოლა, თმაგაბურძენული ახალგაზრდა კაცი იყო, რომელიც ყოველთვის რამე მოულოდნელს აკეთებდა, — მოულოდნელად გვესტუმრებოდა და ისევ მოულოდნელად წამოვარდებოდა ადგილიდან და მიდიოდა. რამდენჯერმე მოსკოვშიაც ჩამოჰყვა ლენინგრადის ერთ-ერთ თეატრს და ყოველთვის შემოვივლიდა ხოლმე ჩემთან — ისეთივე ჩქარი, თმაგაჩეჩილი და „მოულოდნელი“, მხოლოდ ოდნავ უფრო დავაჟკაცებულნი.

ერთ-ერთ წერილში საშა დაწვრილებით მიხსნიდა და მიხატავდა კიდევ, ვაგზლიდან როგორ უნდა მივსულიყავი მათთან კარლ ლობკნეხტის პროსპექტზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მაგრამ მე ყველაფერი ამერია და, ნევის პროსპექტზე რომ ავედი, ვილაც პენსებიან თავაზიან ლენინგრაძელს ვკითხე:

— მითხარით, გეთაყვა, ნევის პროსპექტზე როგორ უნდა გავიდე? ეს თავის მოკრა იყო, რაც არავისთვის არ გამიმელავენებია.

მერე ტრამვაიში კინალამ გამჟვლიტეს და ერთადერთი, რაც შევაჩინე, ის იყო, რომ მოსკოვთან შედარებით ქუჩები თითქმის ცარიელი იყო. თითქმის ცარიელი იყო ის ქუჩაც, რომელზეც მე მივჩანჯალბდი ჩემი ჩემოდნით, როცა ტრამვაიდან გადმოვედი. აი, ნომერი 79 — „ფოტოგრაფი-მხატვარი ბერენშტეინი“.

ეს სახლია.

მესამე სართულის ბაქანზე ვიდექი და დაწყევლილ ჩემოდნისაგან დაბუყებულ თითებს ვისრესავდი, როდესაც ქვევით კარებმა დაიჯახუნა და აყლაყულდა, მაკინტოშიანმა კაცმა, რომელსაც ხელში კეპი ეკირა, წინ გამიქროლა. იგი სამ-სამ საფეხურზე ხტებოდა.

— პეტია, თქვენა ხართ?

ალბათ, ამ დროს მისი ფიქრები ძალიან შორს იყო ჩემგან, რა ფიქრებშიაც არ უნდა ყოფილიყო გართული, იმიტომ რომ გაჩერდა, შემომხედა და, რაკი ჩემში საინტერესო ვერაფერი დაინახა, ასარბენად მრემზადა. მაგრამ რაღაც ბუნდოვანმა მოგონებამ მაინც შეაჩერა.

— ვერ შიცანით?

— რას ამბობთ, რასაკვირველია გიცანით, კატია, საავადმყოფოდან მოვრბივარ, — სასოწარკვეთილებით მითხრა მან, — დღეს საღამოს საშა საავადმყოფოში წავიყვანეთ.

— რას ამბობთ!

— ჰო, წავიყვანეთ, ავიდეთ ჩვენთან. იმიტომ ვერ დაგზვდით.

— რა დაემართა?

— განა არა გწერდათ?

— არა.

— მაშ წამოდით, ყველაფერს გიამბობთ.

ჩანს, ფოტოგრაფ-მხატვრის ბერენშტეინის ოჯახი მხურვალე მონაწილეობას იღებდა საშასა და პეტიას საქმეებში, იმიტომ რომ ტანმორჩილი, კოხტად ჩაცმული ქალი დერეფანში გამოეგება პეტიას და აღელვებით ჰკითხა:

— როგორ არის?

პეტიაშვილს უპასუხა: არაფერი არ ვიცი, არ შემიშვესო. იმავე წუთში კიდევ ერთი ასეთივე ტანმორჩილი კონტაქტალი გამოვარდა და იმანაც აღელვებით ჰკითხა:

— როგორ არის?

პეტიაშვილს მასაც უთხრა, არაფერი ვიცი, არ შემიშვესო.

საშა ელოდა ქალს ან ვაჟს — აი რატომ წაეყვანათ საავადმყოფოში.

— პეტია, მერე ასე რაღა ღელავთ? დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მშვენივრად ჩაივლის.

ჩვენ მარტონი ვიყავით მის ოთახში. ის ჩემს პირდაპირ საფარჯელში იჯდა, თავი ჩაეჭინდრა, გამხდარი მხრები აეწურა, ძალიან დამკმუნვარებული, შეწუხებული ჩანდა. ავადმყოფურად შეჰკრა კრიჰა, როდესაც ვუთხარი, ყველაფერი მშვენივრად ჩაივლის-მეთქი.

— თქვენ არ იცით... ძალიან ავად არის, გრიპი აქვს და ახველებს კიდევ. ისიც მეუბნებოდა, ყველაფერი მშვენივრად იქნებაო. პეტია წამოსტა.

— უნდა გაბრიჩევსკისთან წავიდე, უკვე დავურეკე, მაგრამ მითხრა, ჩემთვის უხერხულია, რადგან საშა სხვა საავადმყოფოში არისო, საშა შრედერთანა წევს.

მივხვდი, რომ გაბრიჩევსკი — ექიმი იყო, რომელიც საშას მკურნალობდა.

— არა, ჯერ საშასთან წავიდე. თქვენც ერთი, გრიპმა შეგაშინათ! დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ის დაბნეული მიყურებდა.

— რა იყო, პეტია, რა მოგივიდათ, გონს მოდით! — ვუთხარი გაჯავრებით.

მთელი გზა ვლანძლავდი. თანდათან გონს მოვიდა და მოულოდნელად გაიცინა კიდევ, როდესაც მხიარული სურათი დავუხატე, — როგორ ბრუნდება საშა სახლში გოგონათი ან ბიჭით.

— თქვენ, რასაკვირველია, ბიჭი გინდათ?

— ოჰ, თუნდა ბაყაყი იყოს, ოღონდ ყველაფერი მალე გათავდეს.

არ ვიცი, რა კლინიკა იყო, — პეტიაშვილს თქვა, ძალიან კარგი კლინიკააო, მაგრამ მეუტხოვა, რომ იქ არავითარი მისაღები ოთახი არ იყო და ყველანი ქვევით შესასვლელში იდგნენ, რომელიც კიბიდან ხის ბარიერით იყო გადაღობილი. რამდენიმე პეტიაშვილს შეწუხებული ახალგაზრდა მამა სკამზე იჯდა, ან დამკმუნვარებული

ბოლთასა სცემდა. ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ. პეტია ის იყო უნდა სკამზე დამჯდარიყო, რომ ზევით წავიყვანე: ვილაც სანდომიანი სახის მედლამ გვითხრა, პროფესორი დერეფანში უნდა დაიჭიროთ, როდესაც შემოვლას გაათავებს და სხვა განყოფილებაში წავაო.

ბოლოს, როგორც იყო, დავიჭირეთ. მან მხოლოდ თვალები ჩაქუტა და გაეცინა, როდესაც პეტია, რომელიც აღელვებისაგან ერთადგილზე ვერა ჩერდებოდა, მივარდა მას.

პროფესორმა თავის კაბინეტში წავიყვანა და, სირცხვილია აღიარება, მაგრამ იმ ნახევარ საათში, რაც ჩვენა ვლაპარაკობდით. პირდაპირ შემიყვარდა ეს ადამიანი. კეთილი, ცისფერი თვალები ჰქონდა, მას მაგრად ეჭირა პეტიას ხელი, როდესაც უხსნიდა, რა იყო საშიში და რისა არ უნდა შინებოდა. ძალიან მიმზიდველი კაცი იყო. არ შეიძლება ითქვას, თითქოს იგი დამამშვიდებელ რამეს ლაპარაკობდა, მაგრამ ჩვენ რატომღაც დაეშვიდდით. საერთოდ, პროფესორი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, „თუმცა გრიპი ასეთ მდგომარეობაში, რასაც ვკვირვებოდა, არაფერი საჭიროა“. ზამსა შესახებ კი გვითხრა, ამისთანა ყოჩალი ქალი იშვიათად შემხვედრიაო..

შინ მშვენიერ გუნებაზე დავბრუნდით. მხოლოდ მაშინ მოაგონდა პეტიას, რომ ნამგზავრი ვიყავი, და ჩაი არც კი დამალევენა. კარებმა დაიჯახუნა და ვილაცამ დერეფანში დაილაპარაკა:

— პეტია, რა მოხდა, ნუ გვერიდებით, ჩვენი ჩაიდან ჯერ ისევ ცხელია.

მაგრამ ის უჩაიდნოდ შემობრუნდა, მაგიდის უჯრიდან ფული ამოიღო და ისევ წავიდა, თუმცა ვეფიცებოდი, გზიდან ყველაფერი მომყვა და საჭირო არაფერია-მეთქი...

ამ ოთახში მხატვრები ცხოვრობდნენ, — აი, რა გეცემოდათ თვალში, ფენს შედგამდით თუ არა, ისიც კი ჩანდა, რომ აქ ორი მხატვარი ცხოვრობდა და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. მგონი, შეიძლებოდა გამოგეცნოთ, სად მუშაობდა ერთი და სად მუშაობდა მეორე და სად გადიოდა ზოლი, სადაც ისინი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ.

აი, მაგიდა ფანჯარასთან, ლამაზი, თუმცა ძალიან სადა, გადაკეთებული სამხაზველო მაგიდიდან, ექვს გარეშეა, საშასია. აი, ეს კი, — ქუჭყიანი, რომელზედაც დგას მაკეტი და უწესრიგოდ ყრია ფანქრები, ფუნჯები და დაგრაგნილი ქალაღები, ექვს გარეშეა, პეტია-ასია.

ყველაფერზე შეატყობდით, აქ სულ სხვანაირი ცხოვრება იყო, საოცრად განსხვავებული ჩემი ცხოვრებისაგან. და მე უეცრად ვიგრძენი, რომ მოსკოვში, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, რა ერთდეროვნად და მოსაწყენად ვცხოვრობდი. ძაგრამ ესეინი ხელოვნების ხალხი იყო, ნიჭით დაჯილდოებული, მე კი არავითარი ნიჭი არა მქონდა და, რასაკვირველია, სულ ტყუილად გავიფუჭე გუნება და ტყუილად ვფიქრობდი ამაზე, ვიდრე პეტია მოვიდოდა.

მან ბოდინში მოიხადა, აქაურობა მიულაგებელიაო — საშა ისე მოულოდნელად წაიყვანეთო — და შემრცხვა, რადგან იმის მაგიერად, რომ ოთახი მიმელაგებინა, სულელივით ვიდექი ფანჯარასთან...

— ოჰ, როგორა მშია! თურმე ძალიან მშიებია!

ჩვენ დავსხედით ჩაის დასალევად და უფრო იმიტომ, რომ საშაზე გველაპარაკა.

სულ დამავეწყდა მეთქვა: როდესაც კლინიკიდან მოვდიოდით, ერთ მომვლელს შევეუთანხმდით, რომ ის ყოველ საათში დაგვირეკავდა. როგორ იქნებოდა საშა. თან პეტია ამ მომვლელს სულ მისცა, რაც ებადა. ალბათ, ბლომად მისცა, იმიტომ რომ მომვლელს შიში გამოეხატა სახეზე და ფულს უკან აჩეჩებდა. ახლა მან დარეკა დღის ორ საათზე და გვითხრა, ყველაფერი ნორმალურად მიდისო.

— ნორმალურად? — ყვიროდა პეტია.

— ნორმალურად.

— თავს როგორა გრძნობს?

— ნორმალურად.

ერთი საათის შემდეგ კვლავ დარეკა და ისევ გვითხრა, ყველაფერი ნორმალურად არისო.

— ცოტათი კრუსუნებს, — თქვა დაფიქრების შემდეგ.

მე გავიგონე, როგორ უთხრა აღშფოთებით: იმანვე, ვინც ცოტა ხნის წინათ პეტიას ცხელ ჩაიდანს სთავაზობდა:

— პეტია, ნუ გიყვებით! რას ნიშნავს კრუსუნებს? თქვენ როგორა გგონიათ, არ იკრუსუნებდით?

ასე გრძელდებოდა მთელი დღე. სადამო ხანს მე მორიდებით ვუთხარი: კარგი იქნებოდა ლენინგრადის სანახავად გავლა-მეთქი, მაგრამ ისეთმა შეწუხებულმა და შეშინებულმა შემომხედა პეტია, რომ მე დავერჩი.

— მე გაგართობთ, კარგი?

მან მიჩვენა თავისი უკანასკნელი ნამუშევარი—პუშკინის ძეგლის პროექტი ასი წლის იუბილესათვის. პუშკინი წარმოდგენილი იყო ნევის სანაპიროზე მიმავალი. პირქარი სცემდა და მოსასხამს უფრიალებდა. ჯიუტი, შთაგონებული სახე ჰქონდა. ეს იყო ახალგაზრდა, რომანტიკული პუშკინი, რომელიც ზანგსა ჰგავდა, საკუთარ თავში ჩაძირული და იღუმალა მხიარულებით მოცული.

— მოგწონთ?

— ძალიან. მე არც კი ვიცოდი, რომ თქვენ სკულპტურას მოჰყიდეთ ხელი.

ახსნა დამიწყო, თუ რატომ მოჰყიდა სკულპტურას ხელი. მერე მოულოდნელად მოსკოვის ჭადრაკის ტურნირზე ჩამოადგო ლაპარაკი, რომელშიც ლასკერი და კაპაბლანკა მონაწილეობდნენ, მერე საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამასთან ყური სულ ტელეფონისაკენ ჰქონდა, ხომ არ რეკავსო, და, რაზედაც არ უნდა გველაპარაკა, — თუნდაც იტალია-აბისინიის ომი ყოფილიყო, — საშას გარდა არავინ ახსოვდა...

რვა საათზე მომვლელმა რატომღაც არ დარეკა და ჩვენ ისევ გავიქეცით კლინიკაში და კვლავ ველაპარაკეთ ამჯერად იმ სანდომიანი სახის მედღას, რომელმაც გვირჩია პროფესორი შემოვლის შემდეგ გვენახა. საერთოდ, ყველაფერი კარგად იყო და მომვლელს იმიტომ არ დაერეკა, რომ თურმე ერიდებოდა ჩვენი ასე ხშირად შეწყუხება.

ჩვენ დავბრუნდით. პეტიამ ფოტოგრაფ-მხატვრის ოჯახი გამაცნო: მისი ტანმორჩილი, კოხტა, ჭადარა ცოლი და ისეთივე ტანმორჩილი, კოხტა, ჭადარა ცოლისდა. თვითონ სახლის პატრონი რატომღაც მუდმივად მოსკოვში ცხოვრობდა, მისი პორტრეტი მაჩვენეს. ის წარმოსადეგი, ლამაზქოჩრიანი, ხავერდის კურტკაში გამოწყობილი კაცი იყო — ნამდვილი ფოტოგრაფი-მხატვარი, და უფრო მხატვარი, ვიდრე ფოტოგრაფი.

ღამის მეორე საათზე დასაძინებლად გამისტუმრეს. მე საშას ლოგინზე დავიძინე. პეტიამ კი თქვა, არ მეძინებო და წიგნით ხელში ტელეფონს მიუჯდა. მომვლელი ახლა ხშირად ურეკავდა, მაგრამ ყოველთვის ბოდიშს იხდიდა შეწყუხებისათვის. მე ჩამეძინა ერთ-ერთი ასეთი ლაპარაკის შემდეგ, მაგრამ მგონი მხოლოდ ერთი წუთით, და სწორედ მაშინ ვილაცამ სწრაფად დააკაჟუნა კედელზე. მე წამოვხტი, არ მესმოდა, სად ვიყავი და რა იყო ჩემ თავს. დერეფანში შუქი ენთო და იქიდან ხმები ისმოდა — თითქო

რამდენიმე კაცი ხმამაღლა ლაპარაკობდა და თან ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდა. ნამძინარევეს პეტია რაღაც მახინჯ აყლაყუდად მომეჩვენა, რომელიც ჩემ ოთახში შემოვარდა და დაუარა.

მერე მაგიდის იქით გადაეწოდა და კედლიდან რაღაცის ჩამოსნა დაიწყო.

— პეტია, სად მიიფორთხებით? რა მოხდა?

— ბიკია! — დაიყვირა მან, — ბიკი!

ყველაფერი იატაკზე ცვიოდა, იმიტომ რომ კედლიდან მძიმე ჩარჩოში მოთავსებულ რაღაც დიდ სურათს იღებდა. ჯერ მუხლებზე დაიჩოქა, შემდეგ კი მაგიდაზე შედგა და ცდილობდა მაგიდასა და პორტრეტს შუა შემძვრალიყო.

— საშა? საშა როგორ არის? გაგიყვით!.. მაგ სურათს რად იღებთ?

— როზალია ნაუნიონას დაეპირდი, გაჩუქებთ, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის-მეთქი.

ის მაგიდიდან ჩამოხტა, მაკოცა და ტირილი დაიწყო.

## თავი მცხრა

### შ ე ხ ვ ე ღ რ ა

ყველაფერმა ათასჯერ უფრო უკეთესად ჩაიარა, ვიდრე ველოდით, და დილით ჩვენ უკვე გავუგზავნეთ საშას წერილები, კამთეტები და ყვავილების კალათი — ყველაზე დიდი, როგორც კი მოეპოვებოდათ მაღაზიაში. როდესაც ყველაფერ ამას ვაძლევდით, მოსამსახურემ თქვა: „ოჰო!“ და მორიგე დამაც თქვა: „ოჰო“.

ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ პროფესორი, რომელიც წინაღულს შემეყვარდა, მგონი, რაღაც უკმაყოფილო იყო, თუმცა, შეიძლება, მე მომეჩვენა. საშა დიდხანს არ გადაჰყავდათ პალატაში. ბოლოს გადაიყვანეს, ჯერ ისევ ჩვენი იქ ყოფნის დროს. საშასთან მომველელი ქალი გავგზავნეთ, სწორედ ის, რომელიც გვირეკავდა, და მან საშასაგან პატარა ბარათი მოგვიტანა.

„პეტენკა, შენ ძალიანა გგავს, შენსავით დიდცხვირია. აქი გეუბნებოდი, ყველაფერი მშვენიერად ჩაივლის-მეთქი? კატია, ძვირფასო, გკოცნი. გმადლობთ მშვენიერი ყვავილებისათვის, არ არის საჭირო ამდენი რამის გამოგზავნა. სალამი გადაეცით ბერენშტიენებს — თქვენი საშა“.

ტირილიც კი მომერია, როდესაც ეს ბარათი წავიკითხე. შეიძლება წაშროვიტრემლე კიდეც. მაგრამ ამ დროს მისაღებ ოთახში ვრღაცამ იკითხა, რომელი საათიაო, და თურმე უკვე თხუთმეტი წუთი აკლდა ათს.

მე პეტრას გამოვეთხოვე, რომელსაც იქაურობა არ ეთმობოდა, და ვაგზალზე წავედი, იმიტომ რომ მატარებელი მურმანსკიდან 10 საათსა და 40 წუთზე მოდიოდა.

შემჩნეული მქონდა. რომ წინათ. როდესაც სანიას კვლავ შევხვდებოდი ხოლმე დიდი ხნის განშორების შემდეგ. რაღაცა უცნაური გულგატეხილობა მიპყრობდა. ამ შეხვედრას გონებაში ათასჯერ წარმოვიდგენდი და თითქოს აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე იმაზე უკეთესი, რაც უკვე განვიცაღე. ასე მომივიდა, როდესაც სანია ჩრდილოეთიდან მოსკოვში ჩამოვიდა და ჩვენ დიდ თეატრთან შევხვდით ერთმანეთს. მაშინ მეგონა, რომ უხდა მომხდარიყო რაღაც არაჩვეულებრივი, რაღაც ცვლილება ყველაფერში — მიწაზეც და ცაშიც მაგრამ არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ჩვენ ორივენი ვნანობდით ამ შეხვედრის გამო.

და აი ახლა. როდესაც ვაგზალზე მოვედი, უეცრად შექეშინდა ამ გულგატეხილობისა. სხვებიც ჩემსავით მოვიდნენ. რათა შეხვედროდნენ ვიღაცას. ბარგის მზიდევები მატარებლისაკენ მარბოდნენ, ულამაზო ჭადარაულვაშნიანი კონდუქტორი რატომღაც უხეშად ლანძღავდა გამყოლს.

მაგრამ მე გულმა მითხრა, რომ ეს გრძნობა გაივლიდა, იმიტომ, რომ ახლა სულ სხვა იყო ჩვენი შეხვედრა.

მატარებელი გამოჩნდა და წამში მთელი ბაქანი აჩოჩქოლდა. დამხედარი ბეერი არ იყო, მაგრამ მე მაინც განზე დავედგე ყრღლასაგან მოშორებით, რომ მაშინვე თვალში ვცემოდი. მგონო. დამშვიდებული ვაყავი. მხოლოდ მეჩვენებოდა. რომ ყველაფერი შეხეღდა. მატარებელი ნელა უახლოვდებოდა პლატფორმას. პირველი მგზავრები ნელა ჩამოდიოდნენ საფეხურებზე და საოცრად ნელი ნაბაჯით დაუსრულებლად მოდიოდნენ ჩემკენ. სანია კი არა და არა ჩანდა. მგზავრები კვლავ მოდიან და მე გული საღღაც მეკარგება, იმიტომ რომ სანია არა ჩანს, ის არ ჩამოვიდა.

— კატია!

მივიხედე. ის პირველ ვაგონთან იღვა. მისკენ ვავიქრცი და ვერგრძენი, რომ მთლად კვანკალებდი აღელვებისა და ბედნიერებისაგან.

ჩვენც ძალიან ნელა მივდიოდით პლატფორმაზე, იმიტომ რომ ერთთავად ვჩერდებოდით, რატა ერთმანეთისათვის შეგვეხედა. არ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით პირველ წუთებში. სანია რალაცას სწრაფად მეკითხებოდა, არ მეყურებოდა, ისე ვუპასუხებდი. მერე საშაზე ვუთხარა და ჩვენ კვლავ გაჩერდით — ამჯერად უხერხულადგილზე, იმიტომ რომ უცბად ძალიან მოგვაწვა ხალხი. ჩვენ დიდხანს ვლაპარაკობდით საშაზე.

— პეტკა? ალბათ მთელი ლენინგრადი ფეხზე დააყენა, ის ხომ გადარეულია. ოპ! რამდენი ხანია, რაც ისინი არ მინახავს.

ჩვენ „ასტორიაში“ წავედით, რადგან სანიამ თქვა, ჩემთვის სასტუმროში უფრო მოსახერხებელია გაჩერებაო. იქიდან დავიწყეთ რეკვა პეტრასთან, — ჯერ სახლში, მერე კლინიკაში. კლინიკაში მას უკვე იცნობდნენ და გვითხრეს. ხაშხაშიანი ფუნთუშების საყიდლად წავიდაო.

— რა?

— ხაშხაშიანი ფუნთუშების.

— წავიდა ხაშხაშინი ფუნთუშების საყიდლად, — საგონებელში ჩავარდნილმა ვთქვი მე და ყურმილი დავკიდე.

სანიას გულიანად გაეცინა.

— ალბათ, პეტრას მოაგონდა, რომ საშას ხაშხაშიანი ფუნთუშები უყვარს. — ამიხსნა მან. — მას ყოველთვის უყვარდა ხაშხაშიანი ფუნთუშები. ოპ! კარგო! „გიჟლარა“, კიდევ ამბობს? ის ამბობდა ხოლმე: „გიჟლარა“ და „სასაცილოა“. რას წიყურებ?

მე ვუყურებდი, იმიტომ რომ ძალიან მომწონდა, მეტისმეტად. ერთი წელი იყო, რაც ერთმანეთი არ გვენახა. მაგრამ, უცნაურია, მე ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩვენ ახლა ათასჯერ უფრო ახლობლები ვართ, ვიდრე განშორებისას ვიყავით. მომეჩვენა, რომ ამ ერთ წელიწადში გამაღლებულიყო და უფრო გაჰგანვიერებოდა ბეჭები და მკერდი. სახის ნაკვთები გამოჰკვეთოდა და სახეს უფრო მეტი სიმტკიცე მისცემოდა, განსაკუთრებით ნიკაპისა და ბაგის ხაზებს. უკვე აღარა ჰგავდა ბიჭს და ახლა მასზე ალბათ ველარავინ იტყოდა, მისთვის ჯერ ადრეც ცოლის შერთვაო. მხოლოდ საქოჩრეზე წინანდებურად აპბურძენოდა ჯიუტი ქოჩორი; თუმც მღვარცხნილი და ისიც რალაც უფრო დარბაისლური.

— დამავიწყდა, რა ლამაზი ხარ! — მითხრა მან, — საოცარია, მაგრამ იქ ეს ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო.

— აქ?

მან მაკოცა და ჩვენ კვლავ დავუწყეთ რეკვა პეტიას.

ამჯერად ის სახლში იყო და ტელეფონში გიჟივით აღმუქ-  
ლდა, როდესაც ვუთხარი, სანია ჩემს გვერდითა დგას და ყურმილს  
ხელიდანა მგლეჯავს-მეთქი. ისინი დიდხანს ყვიროდნენ, ერთმანეთს  
აღარ აცლიდნენ: „ეი! როგორა ხარ, მოხუცო, ჰა?“ და ლანძღავდ-  
ნენ ერთმანეთს. მერე სანიამ ჰკითხა, ხაშხაშიანი ფუნთუშები თუ  
იშოვეო. სიცილი ახრჩობდა, თან ხელებით მანიშნებდა, ვერ უშო-  
ვიაო. ბოლოს შეთანხმდნენ: სანია კლინიკაში შეივლიდა და ერთად  
შეეცდებოდნენ საშასთან შესვლას.

— მერე მე?

ის კვლავ მომეხვია.

— ახლა მე უშენოდ აღარ ვარგივარ, — მითხრა მან. — ახლა  
ძმაო, მორჩა! ბასტა, ბასტა!

და ჩურჩულით მკითხა, როგორც მაშინ მატარებელში, რომ ვა-  
ცილებდი:

— გიყვარვარ?

— ჰო, ჰო.

რასაკვირველია, საშასთან არ შეგვიშვეს. მაგრამ ჩვენ ისევ ბა-  
რათი გადავეცით და მივიღეთ პასუხი. ამჯერად გვთხოვდა და-  
გვეოკებინა პეტია, რომელმაც ყველას მოაბეზრა თავიო, კიდევ  
გვწერდა, თქვენთან გასეირნება მენატრებაო. ბოლოს გვეკითხებოდა,  
ისადილეთ თუ არა და, თუ ჯერ არ გისადილიათ, ჩემი ქმარიც წაიყ-  
ვანეთ, თორემ შეუძლია ორ-ორი დღეობით იშიშმილოს, თუ არ  
მოაგონებენო.

სადილის ჰამა ვერ მოგვიხერხდა. სანია არქტიკის ინსტიტუტ-  
ში უნდა წასულიყო და მე გავყვევი გასაცილებლად. არა მარტო  
იმიტომ, რომ ასე მსურდა, არამედ იმიტომაც, რომ უკვე დრო იყო  
საქმეზედაც მოგველაპარაკა, რის გამოც შევხვდით ერთმანეთს  
ლენინგრადში. ჩემი უკანასკნელი წერილები არ მისვლოდა და  
არ იცოდა ახალი ამბები „პახტუსოვის“ შესახებ, რომელიც ეს-  
ეს არის ახლა გადაწყდა. — წავა მატოჩკინის შარით, მერე ჩრდი-  
ლოეთ მიწას შემოუვლის და ლიახოვის კუნძულებისაკენ გაემარ-  
თება.

— მერე რა, ჩვენ მეტი დრო გვექნება, ეს არის და ეს. — თქვა  
სანია. — მე ყველაზე მეტად მაწუხებს დრო.

ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი საძიებო პარტიის შემადგენლობის  
შესახებ და მან მითხრა, შევთავაზე ერთი რადისტი დიკსონიდან,

ექიმი ივან ივანოვიჩი და ჩემი მექანიკოსი ლური, რომელზეც ხშირად გწერდი იმიერპოლარეთიდანო.

— რადისტი ჩინებულია. იცი, ვინ?

— არა.

— კორზინკინი, — დიდი ამბით თქვა სანიამ, — სწორედ ის.

მე გამოვეუტყდი, რომ პირველად მესმოდა ეს გვარი. სანიამ მითხრა, კორზინკინი ერთ-ერთი მეზღვაურია იმ ორ რუსთაგან, რომელნიც ამუნდსენთან ერთად იყვნენ სამხრეთ პოლუსზე და ამუნდსენს იგი ნახსენები ჰყავს თავის წიგნშიო.

— შესანიშნავია, არა? მეხუთე მე. მეექვსე კი შენ. შენ წაგაყენე, როგორც ტატარინოვის „ქალიშვილი“.

— მართლა? მე კი მეგონა, რომ მე ერთგვარი უფლება მქონდა მონაწილეობა მიმელო ამ ექსპედიციაში არა მარტო როგორც კაპიტან ტატარინოვის შვილს. მაშ შენ ეგრევე დაწერე: პროფესია — შვილი?

სანიას შერცხვა.

— მერე რა? — წაიბუტბუტა მან. — მერე რა მოხდა ისეთი, ცუდად მოვიქეცი?

— ძალიახ.

— სხვაფრავ კი ისე გამოვიდოდა, რომ მე ჩემი ცოლისთვისაც ვცდილობ. ეს უხერხული იყო.

— სანია, მე, საერთოდ, არ მითხოვნია, რომ ჩემთვის ცდილიყავი, — ვუთხარი მშვიდად, — შვილი, ცოლი! მე კიდევ ძმისწული და შვილიშვილი ვარ. მე ძველი გეოლოგი ვარ, სანია, და ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსსა ვთხოვე, ექსპედიციის შემადგენლობაში შევეყვანე როგორც გეოლოგი და არა როგორც შენი ცოლი. ესეც რომ არ იყოს, მე ჯერ შენი ცოლი არა ვარ და, თუ შენ ასე სულელურად მოიქცევი, ავდგები და სხვაზე გავთხოვდები. ჩვენ, მგონი, ჯერ არ მოგვიწერია ხელი.

შემებრალა კიდევ, ისე აახამხამა თვალები და საქციელწამხდარს გაეცინა, ქუდი მოიხადა და ხელისგულით შუბლი მოიწმინდა.

— კატია, მაპატიე, — წაიბუტბუტა მან.

მე უცბად ვაკოცე, თუმცა ჩვენ უკვე ეზოში ვიყავით, პირდაპირ არქტიკის ინსტიტუტის შენობის წინ, და ვუთხარი:

— გისურვებ წარმატებას.

ექვსი საათისათვის დამპირდა: დაგირეკავ ან, თუ მოვახერხე, პეტიასთან შემოვივლიო.

ლ ა მ ე

ის დაბრუნდა არა ექვსზე, არამედ თერთმეტ საათზე, და არა პეტიათან, არაჩედ „ასტორიაში“ და მოითხოვა, დაუყოვნებლივ მასთან წავსულიყავით ვახშმად, იმიტომ რომ არ ესადილა და მგელივითა შიოდა, მარტო ჭამა კი ეზარებოდა.

მაგრამ პეტია მთელი ღღის გაწამაწიის შემდეგ დაეარდა. გარდა ამისა, გასამხნეველად არაყიც გადაეკრა და ახლა დივანზე იწვა, ნამძინარევივით აცეცებდა თვალებს და ტაკიმანსხარას ჰგავდა თავისი უცნაური ცხვირით და უშნო ხელებითა და ფეხებით.

... რიცხვებით მახსოვს ყველა შეხვედრები სანიასთან. და მარტო შეხვედრები კი არა, წერილებიც. ბალში ტრიუმფალურზე 2 აპრილს შევხვდით, დიდ თეატრთან კი 13 ივნისს. ეს სალამო ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, — როდესაც დარეკა არქტიკის ინსტიტუტიდან დაბრუნებულმა და მე მასთან წავედი. ეს 21 მაისი იყო.

ჩვენ ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობდით და მეგონა, რომ მე ისე კარგად ვიცნობდი მას, როგორც, მგონი, თვითონ არ იცნობდა თავის თავს. მაგრამ ისეთი, როგორიც ამ სალამოს იყო, ის მე წინათ არ მენახა. როდესაც ვვახშმობდით, ვუთხარი კიდევ ეს.

პრიოქტი მთლიანად იყო მიღებული და მისთვის ინსტიტუტში ბევრი ქათინაურებიც ეთქვათ — ალბათ ამას საფუძველი ჰქონდა. პროფესორი ვ. ენახა, სწორედ ის, რომელმაც „წმ. მარიამის“ დრეიდის შესწავლის საფუძველზე კუნძული აღმოაჩინა, და ვ. ჩინებულად შეხვედროდა მას. ის იყო ლენინგრადში, მშვენიერ, უზარმაზარ ქალქში, რომელიც საფრენოსნო სკოლის დროიდან უყვარდა, — ლენინგრადში, იმიერპოლარეთის სიჩუმის შემდეგ! ყველაფერი წინ მიდიოდა, ყველაფერში ხელი ემართებოდა.

როგორ გამოსჭვიოდა მის სახეში, მის ყოველ მოძრაობაში, იმაშიც კი, თუ როგორა ჭამოა — ეს ბედნიერება, ეს გამარჯვება და წარმატება. თვალები უბრწყინავდა, გაქიმული იჯდა, თავისუფლად წელში გაშლილი. მე რომ მთელი სიცოცხლე არ მყვარებოდა, ამ სალამოს მაინც უსათუოდ შემეყვარებოდა.

ჩვენ ხან რას, ხან რას, დაუსრულებლად ვჭამდით, მერე კი, სასეირნოდ წავედით, რადგან ვუთხარი, ლენინგრადის ნახვა ჯერ

ვერ მოვასწარი-მეთქი. სანია სიხარულით აყნთო და მითხრა, მე თვითონ მინდა გაჩვენო, თუ რა ქალაქია ლენინგრადიო.

მესამე საათი იყო, ღამის ყველაზე ბნელი საათი, მაგრამ, როდესაც ჩვენ „ასტორიიდან“ გამოვედით, ისეთი სინათლე იყო, რომ მე განგებ გაჩერდი გოგოლის ქუჩაზე და გაზეთის კითხვა დაიწყე.

თეთრი ღამე იყო! მაგრამ სანიამ თქვა. მე ვერავენ გამაკვირვებს თეთრი ღამეებით და ლენინგრადში ეს ღამეები მხოლოდ იმითია კარგი, რომ ნახევარი წელი არა გრძელდებაო.

მთავარა შტაბის თალის ქვეშ გავიარეთ და უეცრად ჩვენს წინ შესანიშნავი მოცარიელებული პოედანი გადაიშალა. — არც ძალიან დიდი, მაგრამ გაშლილი, დარბაისლური. რომელიც არა ჰგავდა მოსკოვის დიდ მოედნებს. სამწუხაროდ, მე არ ვიციდი, ეს რომელი მოედანი იყო, და სანიას მოუხდა რუსეთის ისტორიის მოკლე გაკვეთილის ჩატარება, რომელშიაც 1917 წლის შვიდი ნოემბერიც მოიხსენია.

მერე ხალტურინის ქუჩით წავედით — სახლის ფარნის ქვეშ ქუჩის სახელი წავიკითხე — და დიდხანს ვიდექით გოლიათების წინ, რომელთაც მხრებით უჭირავთ ერმიტაჟის მაღალი შესასვლელი. სანიასი არ ვიცი და მე კი გულაჩუყებული ვუყურებდი მათ. თითქოს ცოცხლები იყვნენ. მათ უმძიმდათ ეს ტვირთი, მაგრამ ამ მძიმე ტვირთის ქვეშაც შესანიშნავი სანახავეები იყვნენ.

მერე სანაპიროზე გავედით — აი, სად იყო ნამდვილი თეთრი ღამე — არც დღე, არც ღამე, არც დილა, არც საღამო! სამხედრო-სამეცნიერო აკადემიის შენობის ზემოდან ცა იყო მუქი ლურჯი, ღია ლურჯი, ყვითელი, ნარინჯის ფერი — მგონი, ყველა ფერისა, რაც კი ქვეყანაზე ფერებია. სადღაც იქით მზე მოჩანდა. პეტრე-პავლეს ციხის ზემოდან კი ყველაფერი სულ სხვანაირი იყო, ნისლივით ნაცრისფერი. იმდენად სხვანაირი, რომ ვერც დაიჯერებდით, რომ ეს იგივე ცა იყო. ჩვენ ჯერ დიდხანს ვუცქეროდით ციხეს და მის ცას, მერე კი უეცრად სამხედრო-სამედიცინო აკადემიისა და ცისაკენ მივტრიალდით. ეს თითქოს წამიერი გადასვლა იყო ერთი ქვეყნიდან მეორეში — უმოძრაო ნაცრისფერიდან მშვენიერ, ცოცხალ. სწრაფად ცვალებად ფერებით სავსე ქვეყანაში.

აცივდა. მე თხლად მეცვა. ჩვენ ორივენი სანიას ლაბადაში გავეხვიეთ. დიდხანს ვისხედით ხელგადახვეულნი და ვდუმდით.

ჩვენ ვისხედით გრანიტის მომრგვალებულ სკამზე, სწორედ ნე-

ვაზე ჩასასვლელ დაღმართთან და სადღაც შორს ტალღა ოდნავ გასაგონად ქვიან ნაპირს ეხეთქებოდა.

ვერ გადმოგცემთ, რა ბედნიერი ვიყავი, რა სიამე მეფინებოდა გულზე იმ ღამეს. ძლივს ერთად ვიყავით და აღარასოდეს არ დავშორდებოდით ერთმანეთს. უკვე აღარაფრის მტკიცება არ იყო საჭირო ერთმანეთისათვის. საჭირო არ იყო დავა, როგორც ჩვენ მთელი სიცოცხლე ვდობდით. მე მისი ხელი ავიღე, ძლიერი, დიდი, საყვარელი, და ვაკოცე. მან კი ჩემ ხელს აკოცა.

არ მახსოვს, კიდევ სად ვიხეტიალეთ იმ ღამეს, მხოლოდ მახსოვს, ნევას ვერა ვშორდებოდით. ცისფერგუმბათიანი მეჩეთი, ზეითთ და ქვემოთ ორი მინარეთით, ერთთავად სადღაც ჩვენს წინ იყო, ჩვენ ზისკენ მივდიოდით, ის კი გვშორდებოდა, როგორც ზმანება.

მეუზოვეები უკვე ქუჩებსა ჰგვიდნენ. მზის დიდი ყვითელი წრე საკმაოდ მაღლა იდგა ვიბორგას მხრიდან და, როგორც არ უნდა დაგვანებოდა ამ ღამესთან განშორება, ის მაინც გვშორდებოდა, — და სწორედ მაშინ სანიამ უცბად გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ პეტრისთვის დაერეკა.

— ვკითხობთ, — თქვა მან სიცილით, — როგორ აპირებდა ამ საღამოს გატარებას.

მაგრამ დავიყოლიე, არ დაერეკა, რადგანაც ტელეფონი დერეფანში იყო და ჩვენ ფოტოგრაფ-მხატვარ ბერენშტიინის მთელ ოჯახს ვავადვიძებდით.

— ძალიან კარგი ოჯახია და ღორბა იქნება მათი ასე გაუთენებლივ გაღვიძება!

ჩვენ მაინც მივედით მეჩეთამდის. სანიამ ტაქსის დაუძახა. ჩვენ ისე მრგვეწონა ტაქსით სეირნობა, რომ სანიამ ხვეწნა დამიწყო, ჯერ კონძულზე წავსულიყავით და მერე უკვე პეტრისთან. მაგრამ მას მძიმე დღე ელოდა და მე მინდოდა, ჯერ სასტუმროში მისულიყო და თუნდ ცოტა ხნით მაინც წაეძინა...

ჩვენ „ასტორიაში“ დავბრუნდით და ყავა დავდგით. სანიას ყოველთვის თან დაჰქონდა ყავადანი და სპირტქურა — ჩრდილოეთში ყავა ძალიან შეჰყვარებოდა.

— თითქო შეშინია, რომ ასე ბედნიერები ვართ, არა? — მითხრა და მომხეხვია. — როგორ გიცემს გული! მეც — ნახე!

ჩემი ხელი აიღო და გულზე მიიღო.

— ჩვენ ძალიანა ვღელავთ, ეს სასაცილოა, არა?

ის რაღაცას მეუბნებოდა, სულ სხვას, ვიდრე უნდა ეთქვა.

და თვითონაც არ ეყურებოდა, რას ამბობდა. ხმა უეცრად სულ შეეცვალა აღელვებისაგან...

პირველი საათი რომ დაიწყო, ჩვენ მხოლოდ მაშინ წავედით სკოვოროდნიკოვებთან. ტანმორჩილმა კოხტა მოხუცმა მანდილო-სანმა გაგვიღო კარი და გვითხრა, პეტია შინ არ არისო.

— კლინიკაში წავიდა.

-- ასე ადრე?

— დიახ.

შეწუხებული ჩანდა.

— რა მოხდა?

— არაფერი, არაფერი, პეტიამ დაურეკა და უთხრეს, ალექსანდრა ივანოვნა ცოტა უარესად გახდაო.

### თავი მეთერთმეტი

#### ღ ა

დაიწყო დღეები, რომელთაც ახლაც კი უმწეობისა და სინანულის მწარე გრძნობით ვიგონებ. დღეში სამჯერ მივედიოდით შრედერის კლინიკაში და დიდხანს ვიდექით პატარა ვიტრინის წინ, რომელშიაც ტემპერატურის მაჩვენებელი ფურცელი ეკიდა: „სკოვოროდნიკოვა — 37; 37,3; 38,2; 39,9“. მაგრამ ეს უბრალო ფილტვების ანთება როდი იყო, როდესაც მეცხრე დღეს იწყება კრიზისი, მერე კი ტემპერატურა ეცემა, როგორც მე მქონდა მოწაფეობის დროს. ეს იყო წყეული მცოცავი ანთება, როგორც პროფესორმა თქვა. იყო დღეები, როცა მას თითქმის ნორმალური ტემპერატურა ჰქონდა, და მაშინ მხიარულები ვბრუნდებოდით, დაიმედებულები მოველოდით სახლში საშას. როზალია ნაუმოვნა — ასე ერქვა ფოტოგრაფ-მხატვრის მეუღლეს — გვიამბობდა, მეც მქონდა ფილტვების ანთება და ეს ავადმყოფობა სულ უბრალო რამ არის შედარებით ჩირქოვან პლევრიტთან, რომლითაც ჩემი და ბერტა იყო ავადო. პეტია ლაპარაკობდა თავის სკულპტურაზე და ერთხელ იმაზეც კი დავი-ყოლიე, ერმიტაჟში წავსულიყავით. მაგრამ დილით ჩვენ კვლავ მდუმარედ ვიდექით ვიტრინის წინ და ვუყურებდით, ვუყურებდით დაუსრულებლად... მე შევამჩნიე, რომ პეტიამ ერთხელ თვალები დახუჭა და კვლავ სწრაფად გაახილა, როგორც ბავშვობაშია ხოლმე,

როდესაც ფიქრობ, რომ თვალებს გაახელ და სულ სხვა რამეს დაინახავ. მაგრამ მან იგივე დაინახა, რასაც ვხედავდი მე და რასაც, ვიმედოვნებდით, მეტად აღარ დაეინახავდით. „სკოვოროდნიკოვა—38,1, სკოვოროდნიკოვა — 39,1, სკოვოროდნიკოვა — 40“.

სამი დღე ზედიზედ ტემპერატურა ორმოცზე იდგა, მერე რამდენიმე საათით საგრძნობლად დაეცა და კვლავ აიწია, ამჯერად 40,5-მდე. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ფილტვების ანთება არ იყო, და სანიას ჩუმად პროფესორთან წავედი ბინაზე. მაგრამ მან დაადასტურა დიაგნოზი: ფოკუსი სავსებით მკაფიოდ ისმის არა ერთ, არამედ რამდენიმე ადგილას, ორივე ფილტვში. მან მითხრა, ეს ჩემს სფეროს არ შეადგენს და საშა უკვე გასინჯა თერაპევტპაო.

— მერე რა თქვა?

— გრიპია, გართულებული ფილტვების ანთებით.

მე ვიცოდი, რომ ის საშასთან დღეში ასჯერ შედიოდა, რომ, საერთოდ, კლინიკაში საშას მშვენივრად ექცეოდნენ, მაგრამ მაინც ვკითხე, ხომ არა ფიქრობთ, რომ საჭიროა კიდევ ვინმე სხვა თერაპევტის მოწვევა-მეთქი.

— იქნება გაბრიჩევსკი მოვიწვიოთ?

— რასაკვირველია, სიამოვნებით, მე თვითონ დავურეკავ.

მაგრამ გაბრიჩევსკის გასინჯვამაც არაფერი უშველა, ტემპერატურა მაინც არ დაცემულა.

მე თითქმის ვერა ვხედავდი სანიას ამ დღეებში. ის მხოლოდ რეკავდა ზოგჯერ ღამ-ღამობით. ერთხელ ინსტიტუტშიც შევირბინე. მასთან. პატარა ოთახში, რომელიც საძიებო პარტიისთვის იყო გამოყოფილი, იგი მაგიდასთან იჯდა, მაგიდაზე ეყარა იარაღი, ფოტოაპარატები, ხელჯაგები და ბეწვის წინდები. ტყავისპალტოიანი, უღვაშებიანი, სერიოზული კაცი ორლულიან თოფს აწყობდა მის მაგიდაზე და ილანძლებოდა, ლულები კონდახებზე არ არის მორგებულიო.

— როგორ არის? ნახე? რას ამბობენ ექიმები?

ტელეფონი ყოველ წამს რეკავდა და მან ბოლოს ყურმილი აიღო და გაბრაზებით მაგიდაზე დაადგო.

— ახალს არაფერს.

— სიცხე რამდენი აქვს?

— დღეს დღლით ორმოცი და ორი ხაზი ჰქონდა.

— ჯანდაბა! ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობს!

ძალიან გახდა ამ დღეებში, შეწუხებული, დაღლილი ჩანდა და,

საერთოდ, თავის თავს არა ჰგავდა, მეტადრე არა ჰგავდა იმ სანიას, როგორც ჩამოსვლის პირველ დღეს „სა“.

— როგორ გახდი, არა გძინავს? — მკითხა მან. — მე რა მესმის, მაგრამ მაინც როგორი მდგომარეობაა?

— მძიმედ არის, მაგრამ გადაიტანს.

— რა?

— გაბრიჩევსკიმ თქვა, გადაიტანსო.

— ჯანდაბას იქით ჰქონიათ გზა! — ბოროტად თქვა სანიამ, — არ შეუძლიათ მოარჩინონ ადამიანი! ის ხომ ჯანმრთელი იყო. თავის-დღეში ფრჩხილი არ წამოსტკივნიდა.

ვუთხარი, ალბათ ახლა რამდენიმე დღეს ვერა გნახავ, იმიტომ რომ ექიმმა ნება მომცა საშასთან ვიმორიგეო და დღეს საღამოდან საავადმყოფოში გადავალ-მეთქი. ხელზე ხელი მომიკიდა და მადლობით შემომხედა. მერე ალაყაფის კარებამდის მიმაცილა და ჩვენ დავეშორდით...

საშა იწვა. თვალები ჭერში ჰქონდა და ხამუშ-ხამუშ გამშრალ ტუჩებს ისველებდა. უტბად ვერ მიცნო, რადგან ხალათი მიცვა და თეთრი ქუდი ნუხურა. მაგრამ პირველად სულ ისე მეჩვენებოდა, თითქოს სხვა ვიღაცა ვეგონე.

ეტყობოდა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც აღარ ეძინა და რომ ყველაფერი არეოდა — დილა და საღამო. თითქოს დრო უკვე აღარ არსებობდა მისთვის.

რალაც თათრული იერი დასდებოდა მის მზემოკიდებულ, ფერ-დაკარგულ. თვალებჩაცვივრულ ფართო სახეს. ის ყოველთვის ოდნავ აელმებდა თვალებს, წინათ ეს კიდევაც უხდებოდა. თავისდაუნებურ საყვარელ სიკეკლუცეს აძლევდა, მაგრამ ახლა — ეს იყო რატომღაც ღამ-ღამობით — წარბებქვემოდან მისი მძიმე ელამი გამოხედვა უეცრად მაშინებდა. ლოგინზე წამოჯდებოდა ხოლმე წელში გაშლილი, შავგვრემანი და ფერმკრთალი, მკერდზე ჩამოშლილი ნაწნავებით და სდუმდა. ვერაფრით ვერ ვახერხებდით მის დაწვენას. ერთხელ ეს სანიას იქ ყოფნის დროს მოხდა და სანია დიდხანს გონს ვერ მოვიდა, იმდენად მოაგონა საშამ დედა.

წინათ თითქმის არ შემხვედრია ავადმყოფის მოვლა. მეტადრე ასეთი მძიმე ავადმყოფისა. როგორც საშა იყო. მაგრამ მე შეიძლება ამას...ძნელი იყო, იმიტომ რომ საშას თითქმის არ ეძინა, ან, ჩაეძინებოდა თუ არა, იმ წუთში ეღვიძებოდა და მთელი დრო მისი სუნთქვისათვის უნდა მეგლო ყურე.

იყო დღეები, როცა ისე მოიხედავდა, გეგონებოდათ, ავად არცა ყოფილაო. მახსოვს ერთი ასეთი დღე. ეს იყო მეოთხე დღე მას შემდეგ, რაც მე საავადმყოფოში გადმოვბარგდი. ღამე კარგად ეძინა. დილით გაიღვიძა და თქვა, მშინანო. რძიანი ჩაი დალია, კვერცხი შექამა და, როდესაც ფუთვნა დაუწყებდა, რომ პალატაში ჰაერი გაგვეწმინდა, უეცრად მკითხა:

— კატენკა, სულ ჩემთანა ხარ? აქა გძინავს?

ეტყობა, სახე ოდნავ ამითროლოდა, იმიტომ რომ გაკვირვებით შემომხედა.

— რა მოგივიდა? ძალიან ავად ვიყავი?..

— საშენკა, ჩვენ ახლა ფანჯარას გავაღებთ, შენ კი წყნარად იწევი და ნუ ილაპარაკებ, კარგი? შენ ავად იყავი, ახლა კი უკვე მოიკეთე და ყველაფერი კარგად იქნება.

მორწილად გაჩუმდა და მხოლოდ ცოტა ხანს კიდეც ეჭირა ჩემი ხელი, როდესაც სურნელოვანი ძმრით სახეს და ხელებს ვუწმენდდი. მერე ბავშვი მოიყვანეს და ჩვენ ვუცქეროდით, ვიდრე ჭამდა ფართოდ გაღებულ თვალებით და სერიოზული უაზრო გამომეტყველებით.

— ძალიანა ჰგავს, არა? — მკითხა პირზე ნიღბათარებულმა საშამ.

უხაროდა, რომ ბავშვი პეტისას ჰგავდა, და, მართლაც, რაღაც გრძელი პროფილი ჰქონდა ბავშვს. ჯერ ათი დღისა მეტისა არ იყო და უკვე პროფილი ჰქონდა. მაგრამ ჩემის აზრით ის სანიას ჰგავდა, — თავის დედას კი არა, სწორედ ჩემს სანიას: ისე თავგამეტებით და გაბედულადა ჭამდა!

— პეტია როგორღა არის? ძალიანა დელავს, არა? წუხელით სიზმარში ვნახე, ვითომ მოვიდა და აქა ზის, ამ ოთახში, და მე მიმალავენ. მე ვხედავ, მარია პეტროვნა კი მეუბნება, აქ არ არისო.

მარია პეტროვნა მომვლელი ქალი იყო.

— ის ზის აი აქ, სადაც შენა ზიხარ, და სდუმს. ვერ დამლაპარაკებია, იმიტომ რომ ჩემგან მალავენ. ღმერთო ჩემო, ისევე დამაგიწყდა, შენ ხომ იმას თითქმის არ იცნობ!

— მე კი ასე მგონია, რომ მთელი საუკუნეა, რაც ვიცნობ.

— სანია როგორღა არის? როდის მიდიხარო?

— ალბათ, ასე ორი კვირის შემდეგ. ჩვენი „პახტუსოვი“ მხოლოდ ივნისის ბოლოს გამოვა დოკიდან.

— დოკი რაღაა?

— არ ვიცი.

საშას გაეცინა.

— თქვენ ბედნიერები ხართ, ჩემო კარგებო!

ჩვენ ალბათ მთელი საათი ვლაპარაკობდით, სხვათა შორის პეტის „პუშკინზე“ და საშამ თქვა, მეც ისე მგონია, რომ კარგიაო.

— ბევრ რამეს ეჭილდება, — მწუხარებით მითხრა მან. — ჯერ წინააღმდეგი ვიყავი, როდესაც სკულპტურას მოჰყიდა ხელი. მაგრამ ეს ნახატშიაც აქვს.

საშამ მოიგონა, როგორ გავიცანით ერთმანეთი ენსკში, როგორ მივედი მასთან სტუჟირად და დეიდა დაშამ ჩემზე როგორა თქვა: „არა უშავს რა, მომეწონა. ისეთი ლამაზია, სვედიანი. ჯანიანი!“

— დეიდა დაშა სად არის? — ვკითხე მე, — რატომ არ ჩამოვიდა? პირველი შვილიშვილი, ეს ხომ ხუმრობა არ არის.

— არ იცი? ის ძალიან ავად არის, ისეთი გული აქვს, ეჭიებებმა ამ ცოტა ხნის წინ უთხრეს, ნახევარი წელი მაინც უნდა იწვეო. მე და პეტია ხშირად ჩავდივართ ენსკში, თითქმის ყოველ ზაფხულს.

ჯერ ისევ უჭირდა ლაპარაკი და ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე სულის მოსათქმელად, მაგრამ გუშინდელ დღესთან შედარება არ შეიძლებოდა! ბევრად უკეთ იყო.

— ძოსამართლე?

— რომელი მოსამართლე?

— როგორ რომელი, ჩვენი მოსამართლე!

მან მითხრა, რომ მოსამართლე სკოვოროდნიკოვი—პეტის მამა— დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

— იქ კარგია, არა? — თქვა ღუმბილის შემდეგ. — ენსკში. ჩამოხვალთ?

— რა თქმა უნდა!

შენიგონების შემდეგ პეტამ გამომიძახა, მე თავპირისმტკრევით გავიქეცი და ვუთხარი, საშა ბევრად უკეთესად არის-მეთქი. და აი, რა მოხდა მისაღებში: პეტისთან ერთად შემოვლის დამთავრებას უცდიდა ვიღაც ხალათიანი, კეპიანი ყმაწვილი კაცი. შორიდან ეცნობდი, იმიტომ რომ ხშირად ჩემთან ერთად მოდიოდა დილ-დილობით კლინიკაში. ჩვენ ვიცოდით, რომ მისი ავადმყოფი გვარად ალექსეევა იყო და იმასაც დიდი სიცხეები ჰქონდა: მთელ დაფაზე მარტო იმას და საშას ჰქონდათ დიდი სიცხეები. ჰოდა, მისაღებში რომ ვიდექით მე და პეტია, უცებ მელდა გამოვიდა და სწრაფად უთხრა:

— ალექსეევასთან ხართ? შედით, შედით.

ჩვენ გავიგონეთ, როგორ წასწურჩულა გარდერობთან მორიგე მომვლელს:

— ჩქარა მიეცით ხალათი... იქნება მიუტწროს.

საშინელება იყო, როცა ფათიფუთით დაიწყო ხალათის ჩაცმა, თან ცდილობდა, არავისთვის შეეხედა, და ვერა და ვერ მოახვედრა ხელი სახელოში, ვიდრე ბოლოს მომვლელმა ბეჭებზე პალტოსავით არ წამოასხა ხალათი.

ჩვენ განვაგრძეთ ლაპარაკი, მაგრამ პეტია ყურს აღარ მიგდებდა. უცებ ისე გაფითრდა, რომ მე ჩემდაუნებურად ხელებში ვტაცე ხელი.

— რა მოგივიდათ?

— არაფერია, არაფერი.

იქვე დავსვი და წყლისთვის გავიქეცი. პეტიას გული წაუვიდა.

პროფესორმა-თერაპევტმა, ვისაც მე ველაპარაკე იმ დღეს, გულის წამლები აკრძალა და მითხრა, საერთოდ მეტისმეტად ვკეციპავთ საშას წამლებითო. წასვლის დროს თქვა. ამ დღეებში წავიკითხე ფილტვების ანთების საწინააღმდეგო შესანიშნავი ახალი საშუალების — სულფიდინის შესახებო.

სალამო ხანს საშა ოდნავ უარესად გახდა, მაგრამ ძალიან არ შეეწუხებულვარ, იმიტომ რომ სალამოობით ჩვეულებრივ უფრო უარესად ხდებოდა. მე ვკითხულობდი. წიგნი ზედ ნათურის ქვეშ მეჭირა, რომელიც საწოლთან მაგიდაზე იდგა და შუქფარზე თავშალი მქონდა დაფარებული, რომ ავადმყოფი სინათლეს არ შეეწუხებინა. წინა დღით სანამ რამდენიმე წიგნი გამომიგზავნა და ვკითხულობდი. გუშინდელ დღესავით მახსოვს, სტიფანსონის „სტუმართმოყვარე არქტიკას“. ჩემი მონაწილეობა ექსპედიციაში საბოლოოდ გადაწყდა, სწორედ როგორც გეოლოგის. რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორ ვ.-თან უნდა გამოვცხადებულიყავი, რომელიც მეცნიერული ნაწილის ხელმძღვანელად იყო დანიშნული. რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებდი იმის დაფარვას, რომ ჯერჯერობით ჩრდილოეთის შესახებ ძალიან ცოტა ვიცოდი. წიგნები. რომლებიც სანამ გამომიგზავნა, უეჭველად უნდა წამეკითხა, იმიტომ რომ ეს ძირითადი წიგნები იყო.

ალბათ მესამე საათი იქნებოდა, ავდექი, რომ მინახა როგორ სუნთქავდა საშა. და დაინახე. რომ თვალებგახელილი წევს.

— რა მოგივიდა, საშენკა?

ხმას არ იღებდა.

— კატია, ვკვდები, — მითხრა ხმადაბლა.

— რას ამბობ, დღეს შენ ბევრად უკეთა ხარ.

— სიკვდილისა არ შემეშინდებოდა, მაგრამ, პატარა რომ მყავს — მეშინია.

თვალეები ცრემლებით ჰქონდა საესე. ცდილობდა, თავი მიებრუნებინა, რომ თვალეები ბალიშზე მოეწმინდა.

— ინსტიტუტში წაიყვანენ, არა?

— კარგი ერთი, საშა, გეყოფა. რომელ ინსტიტუტში?

თვალეები მოეწმინდე და ვაკოცე. შუბლი გახურებული ჰქონდა.

— ინსტიტუტში წაიყვანენ და მერე ვერ ვიცნობ. მაგრამ რატომ პეტია არ არის აქ? რატომ არ უშვებენ? რა უფლება აქვთ, რომ არ უშვებენ? ისინი ფიქრობენ, რომ მე მას ვერა ვხედავ. აი ის, აი, აი!

წამოჯდომა უნდოდა, მაგრამ მე არ გავუშვი. მოჩვეული შემოვიდა და ქანგბადის ბალიშისათვის გავგზავნიე...

რალა გაიმბოთ იმ საშინელებაზე, რაც ამ ღამიდან დაიწყო!

ყოველ საათში ქაფურს უშხაპუნებდნენ და სულ უფრო უქირდა უბალიშოდ სუნთქვა. ტემპერატურა ეცემოდა და უკვე აღარც ქაფური, აღარც დიგალენი არა შეელოდნენ მის გულს. თითებგალურჯებული იწვა, სახეც უკვე სანთელივით გაუხდა, მაგრამ კიდევ რალაცას აცოდვილებდნენ ამ საცოდავ, დატანჯულ, დაჩხვლევტილ სხეულს.

არ ვიცი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ყველაფერი ეს, — ალბათ დიდხანს, იმიტომ რომ კვლავ ღამე იყო, როდესაც ერთ-ერთი ახალი ექიმი, რომელიც წინათ არ მენახა, ფრთხილად გამოვიდა პალატიდან დერეფანში. ჩვენ დერეფანში ვიდექით: სანია, პეტია და მე. რატომღაც დაგვითხოვეს პალატიდან, ექიმი კარებში გაჩერდა, მერე ნელი ნაბიჯით ჩვენკენ წამოვიდა.

#### თავი მეთორმეტი

#### უკანასკნელი ბამოტხოვება

რამდენ რამეს იგებ ადამიანზე მისი სიკვდილის შემდეგ! მე ვისმენდი სიტყვებს სამოქალაქო პანაშვიდზე სამხატვრო აკადემიაში და ვფიქრობდი, ნეტა სიცოცხლეში ამის ნახევარს მაინც თუ ეუბნებოინენ საშას, რასაც მასზე ლაპარაკობდნენ მისი სიკვდილის შემდეგ.

ყვევილებით სავსე კუბო ამალღებულ ადგილზე იდგა. მისი ფერ-  
მკრთალი სახე ოდნავ მოჩანდა ყვევილებში. ყველანი რატომღაც  
შენობით მიმართავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ის „მშვენიერი მხატ-  
ვარი იყო“, „მშვენიერი საბჭოთა ადამიანი“, რომ „უეცარმა სიკვ-  
დილმა უაზროდ გასწყვიტა“ და ასე შემდეგ. როგორ არ ეხამე-  
ბოდა ეს სიტყვები მიცვალებულის სასტიკ სახეს!

თავს ეუდადა ვგრძნობდი და ძლივს გავძელი პანაშვიდის ბო-  
ლომდე. ყველაფერი გათავდა. დღედაღამ დაუღალავი მოვლა,  
გულის ღელვა, როცა მთელი ჩემი არსებით ვცდილობდი, სიკვდი-  
ლისათვის გამომეგლიჯა საყვარელი ადამიანი. ახლა მე თავისუფალი  
ვიყავი. რაღაც გაშტერებული ვიდექი კუბოსთან. სანია ჩემს გვერ-  
დით იდგა, მაგრამ მე რატომღაც მას ხან მკაფიოდ ვხედავდა, ხან კი  
თითქოს ბურუსში ვახვეულს. თვალს არ ამორებდა თავის დას. სა-  
ხეზე დაღლილობა და გაბოროტება ეხატებოდა, თითქოს საშაზე  
ჯავრობდა, რად მოკვდაო.

მან ყველაფერი გააყეთა — კუბო და მანქანა შეუკვეთა, ყველაფ-  
რის თადარიგს ისა სწევდა; მმანში იყო, სასაფლაოზედაც. მე „ასტო-  
რიაში“ გამგზავნა, თვითონ კი მთელი ღამე პეტიასთან გაატარა. ახ-  
ლა ჩემს გვერდით იდგა და უყურებდა, უყურებდა დას, თითქოს  
უნდოდა ისე გამძღარიყო მისი ცქერით, რომ მთელი სიცოცხლე  
პყოფნოდა. მე ვკითხე, პეტია როგორ არის-მეთქი. უხმოდ მიჩვენა  
ხალხში პეტიაზე. იგი კუბოს ფეხითთ იდგა.

პეტია მაგრად იყო, მაგრამ უცნაურად მომეჩვენა მისი ფერ-  
მკრთალი, გულგრილი სახე; იგი თითქოს მოთმინებით ელოდა. რომ,  
აი, ძლივს გათავდებოდა ეს გრძელი პროცედურა და საშა კვლავ  
შასთან იქნებოდა და ყველაფერი კვლავ მშვიდობიერად წარიმართებო-  
და. მოხუცი სკოვოროდნიკოვი, რომელიც წინა დღით ჩაძოვიდა  
დამარხვაზე. მის უკან იდგა და ცრემლები ხამუშ-ხამუშ ლოყებიდან  
დიდრონ, ქალარა უღვაშებზე სცივოდა. მერე ისევ რაღაც ნისლი  
ჩამიდგა თვლებში და აღარ მახსოვს, როგორ გათავდა პანაშვიდი.

ალბათ ეს საშას დასაფლავების შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს  
იყო. მოხუცია სკოვოროდნიკოვი ენაქმი ბრონდიბოდა და „ასტო-  
რიაში“ შეძოიარა გამოსამშვიდობებლად. სანაისთან ვილაც იყო,  
მგონი აკინტი, რომელიც მოწყობილობას გზაინდა არხანგელსკში,  
და ჩვენ საწოლ ოთახში გავედით. ყველგან დაბამბული ტანსაცმელი,  
ხელჯაგები, ზურგჩანთები ეყარა... ექსპედიცია არქტიკის ინსტი-

ტუტიდან უკვე გადმობარგდა სანიას ნომერში. მოხუცებული სა-  
წოლზე დავსვი და ყავით გავუშმასპინძლდი.

— მიდიხართ? — მკითხა მან.

— დიახ, ახლა მალე წავალთ.

ჩვენ ერთ ხანს ვღუშდით.

— მაპატიეთ, მე ჯერ კარგად არ გიცნობთ, — მითხრა მან, —  
მაგრამ ბევრი გამიგონია თქვენზე და სულით და გულით მოხარული  
ვარ, რომ სანიამ, რომელიც საკუთარ შვილად მიმაჩნია, ცხოვრება-  
ში უღლის გამწევად სწორედ თქვენ ამოგირჩიათ. რასაკვირველია,  
სამწუხაროა, რომ ასე მოხდა... ერთად გადავიხდიდით... მაგრამ წენ  
შენსასა ფიქრობ, ცხოვრება კი თავისი გზით მიდის...

ამოიოხრა და კიდევ ერთხელ გაიმეორა:

— ცხოვრება თავისი გზით მიდის... პეტრამ მითხრა, რომ თქვენ  
უვლიდით საშას, და მე დიდი მადლობელი ვარ თქვენს.

მე ვკითხე, დარია გავრილოვნა როგორა ბრძახდება-მეთქი.

— დიახ. საქმეც სწორედ იმაშია, რომ ცუდად არის. ადგომის  
ნებას არ აძლევენ. საშინელი ქოშინი აქვს. ის რომ კარგად იყოს,  
ახლავე წავიყვანდით ბავშვს და პეტრაც ჩვენთან იცხოვრებდა, ერთ  
ხანს მაინც. ახლა ბავშვის წაყვანა კი არა, ისიც ვერ წარმოვიდგენია,  
როგორ ვეჩვენო. საშას ამბავს რომ გაიგებს, ვერ გადაიტანს. სხვა  
ვინა ჰყავს, მაგათ შესცქეროდა.

მე ვიცოდი, რაზეც ფიქრობდა იგი, როდესაც ხელში ძველ სპი-  
ლენძის ვაზნიდან გაკეთებულ, ალბათ სამოქალაქო ომის სახსოვარ  
სანთიას ატრიალებდა. მე თვითონ გაიფიქრე ამაზე, როდესაც პეტ-  
როგრადის ქუჩაზე დავბრუნდი დასაფლავების შემდეგ.

ცარიელი იყო თეთრი, შეუღლებავი მაგიდა, ალარავის არ ესა-  
ჭიროებოდა პატარა ფუნჯები და დაუმთავრებელი ძველებური ყა-  
ლის მედალიონი-მინიატურა, რომელზედაც მუშაობდა საშა უკა-  
ნასკნელ დროს.

„სიკვდილისა არ შემეშინდებოდა, მაგრამ პატარა რომ მყავს —  
მეშინია“. თითქოს მე დამიტოვა თავისი პატარა ვაჟი... სიკვდილის  
დროს რომ გონებაზე ყოფილიყო, ალბათ მთხოვდა, მისი შვილი-  
სათვის მე გამეწია პატრონობა.

პატარა პეტია

მე მხოლოდ ორი კვირა შემეძლო გამეტარებინა ბიჭთან — ჩუენი გამგზავრება შუა იენისისთვის იყო დანიშნული. მაგრამ ორი კვირა არც ისე ცოტაა ძუძუთა ბავშვისათვის, რომელიც ორი კვირის მეტისა არ არის. ახლა მეცინება, რომ ვიგონებ, როგორ მეშინოდა არამც თუ მისი ხელში აყვანისა, არამედ მიკარებისაც კი, როდესაც მე და პეტია კლინიკაში წავედით ბავშვის შინ წამოსაყვანად. პირი დავალე, როდესაც იმის ახსნის დროს, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ძუძუთა ბავშვს, მედღამ ბავშვი მალლა ასწია ხელისგულით. ბავშვმა ტირილი დაიწყო, მან კი გულგრილად თქვა:

— ფილტვებს ივარჯიშებს.

ბოთლები უნდა გამომეხარშა, ყოველ სამ საათში უნდა მექმია, დღეგამოშვებით უნდა მებანავებინა. თავბრუ დამეხვა მისი ქკუის სწაელებისაგან! ბოლოს, რაც არ უნდა მშინებოდა ანისი, მაინც შეეკარი ბავშვი და ხელში ავიყვანე. ალბათ ძალიან ფრთხილად, იმიტომ რომ მედღას გაეცინა და მითხრა:

— უფრო გაბედულად, უფრო გაბედულად.

არც დღე, არც ღამე მოცლა არა მქონდა: ხან უნდა შემეხვია, ხან მექმია, ხან მებანავებინა. დილით და საღამოთი კლინიკაში მივდიოდი ქალს რძისათვის — მოკლედ, დავიდარაბა ბევრი იყო. მაგრამ უცნაურია, რაც დღე გადიოდა, სულ უფრო მიძნელდებოდა წარმოდგენა იმისა, რომ მალე საღამოობით აღარ მეყოლებოდა ბიჭუნა საბანავებელი, რომელსაც ძალიან უყვარდა ბანაობა, და პატარა ხელმწიფესავით მედიდურად იწვა ხოლმე ვარცლში, არც დაუსრულებლად ვიკამათებდი როზალია ნაუმოვნასთან საწოვარის შესახებ — საქირია მისი მიცემა, თუ არა.

რა თქმა უნდა, არაფერი არ შეცვლილა. ბაშკირეთის გეოლოგიურმა სამმართველომ ერთი წლით მიმავლინა არქტიკის ინსტიტუტის განკარგულებაში. პროფესორმა ვ.-მ გამომიძახა და ჩვენ დაწვრილებით მოვილაპარაკეთ მაღალგანედიან ექსპედიციის გეოლოგიურ ამოცანის შესახებ. ამასთან, მე საკმარის „ვედებოდი ლობე-ყორეს“, იმიტომ რომ განაპირა ჩრდილოეთის გეოლოგიისა მაშინ ჯერ არაფერი მესმოდა.

„სტუმართმოყვარე არქტიკა“ დავძლიე, თუმცა გაჭირვებით.

იმიტომ რომ ღამღამოზით თუ ვკითხულობდი ხან ჩაძინების, ხან გამოღვიძების დროს და მახსოვს, მაინც ვერ გავიგე, რატომ არის ის სტუმართმოყვარე. მომეჩვენა, რომ არც იმდენად სტუმართმოყვარეა.

ყოველთვის, წიგნს მოვკიდებდი თუ არა ხელს, ბიჭი იწყებდა თავის „ღღ-ღღ“-ს, თითქოს გრძნობდა, რომ მე უნდა წავსულიყავი. ღიღი ხანია დრო იყო გვეფიქრა, ბავშვისათვია რა გვექნა ჩემი აქ არყოფნის დროს, და ბევრჯერ შევეცადეთ მოგველაპარაკა ამის შესახებ პეტისათან. მაგრამ დაღუმებული, განადგურებული, დაქანცული, თავჩაქინდრული პეტია მისმენდა და ხმას არ იღებდა.

— რა საჭიროა ძიძა? — როგორღაც იკითხა მან.

მე ვიგრძენი, რა მძიმე იქნებოდა მისთვის ამ ოთახში უცხო ადამიანის დანახვა.

არაფერს არა სჭამდა, მიუხედავად ჩემი ხვეწნისა. საღღაც კეპი დაკარგა, ალბათ ქუჩაში, და სულ სახლში კი ეძებდა. ბავშვისათვის ერთხელაც არ დაუხედა, აი განსაკუთრებით რა მაცვიფრებდა. მაგრამ ერთხელ, გათენებისას, წიგნზე ჩამოვლიმა, უეცრად ფაჩუნმა და ბუტბუტმა გამომადვიდა. და მომესმა: „საბრალო, საყვარელო“.

პეტია საცვლების ამარა იღგა საწოლთან, საშინლად გამხდარი, გულგაღელილი, გაფართოებული თვალებით, ავადმყოფური შემფოთებით დასცქეროდა მძინარე ბავშვს.

მას შეეშინდა, როდესაც შევეკითხე:

— რა მოგივიდათ, პეტია?

იგი სწრაფად მოშორდა საწოლს, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, ტუჩები უკანკალებდა...

სანია თითქმის ყოველდღე მოდიოდა და მე, შევხედავდი თუ არა, ხელად ვამჩნევდი, როდის იყო კმაყოფილი საქმის მსვლელობით და როდის არა. ჩვენ ვლაპარაკობდით, მერე დერეფანში გადოდა პაპიროსის მოსაწევად და მეც უკან მივდევდი, რომ არ მოსწყენოდა.

— როგორი ხარ... — მითხრა ერთხელ, როდესაც პატარამ ტირილი დაიწყო. მე საწოლიდან ამოვიყვანე, ღიღინით ვარწევდი ხელში და ასე დავდიოდი.

— რა?

— ჰო, არაფერი, ნამდვილი დედა ხარ.

მე თვითონ არ ვიცი რატომ, მაგრამ ვიგრძენი, რომ გაეწითლდი. მას გაეცინა, ბავშვიანად მომხვია ხელი და კოცნა დამიწყო...

— არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, — მითხრა ერთხელ მოქანცულ-

მა და შეწუხებულმა: — მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვეცადე, ფული მაინც ცოტა მოგვეცეს და ამიტომ დროც ცოტაა.

— რა შეაშინა აქ დრო?

— ყოველ სისულელეზე საათობით ფიქრობ — იყილო თუ არა. სუყველაფერი ბუხპალტერიას ეკითხება! ეშმაკმა დასწყევლოს!

ქვედა ტუჩის კენჭა დასჩემდა. როდესაც გაჯავრებული იყო, იჯდა და ტუჩს იკვნიტდა, თვალები კი შავი, გაჯავრებული ჰქონდა.

— ხომ ვერ დამეხმარებოდი? — გაუბედავად განაგრძო მან, — მე ვიცი, არა გცალია, მაგრამ გესმის, ანგარიშებში მაინც რომ გავერკვიო.

მეორე დღეს ათასი დარიგება მივეცი როზალია ნაუმონას, საათების მიხედვით დავუწერე, როდის უნდა ექმია ბავშვისთვის, როდის წასულიყო რძისთვის და ასე შემდეგ. მე სანიასთან წავედი „ასტორიაში“ და ის ღამეც და მეორე დღეც იქ დავრჩი, იმიტომ რომ მათ მართლაც არ შეეძლო უჩიროდ თავი გაერთმია ამდენი საქმისათვის და გასვლაც კი არ შეიძლებოდა ნომრიდან, — ყოველ ხუთ წუთში ტელეფონით რეკავდნენ.

## თავი მეთოთხმეტი

### ლამის სტუმარი

ერთხელ ჩემთან ლაპარაკში ჩ-მა იხმარა გამოთქმა „ჩრდილოეთით დაავადება“. და მხოლოდ ახლა, როდესაც სანიას ვეხმარებოდი საძიებო პარტიის მოწყობაში, მე სავსებით გავიგე ეს გამოთქმა. არ გავილოდა დღე, რომ სანიასთან არ მოსულიყო ადამიანი, რომელიც იტანჯებოდა ამ უკურნებელი სენით. ასეთი იყო პ. — მოხუცებული მხატვარი, სედოვის მეგობარი და თანამგზავრი, რომელიც თავის დროზე მხურვალედ გამოეხმაურა სანიას წერილს „პრავდაში“ და რომელმაც შემდეგში თავისი მოგონებები დაბეჭდა იმის შესახებ, თუ როგორ წააწყდა „წმ. ფოკა“ ფლორას კონცხზე ღიღი მიწიდან დაბრუნების დროს შტურმან კლიმოვს.

მოდლიდნენ ბიჭები, რომლებიც სთხოვდნენ სანიას, „პაბტუსოვზე“ მოეწყო ცეცხლფარეშებად, მზარეულებად და რაღაც სურდა.

მოდლიდნენ პატივმოყვარენი, რომლებიც იოლ გზას ეძებდნენ სახელისა და პატივის მოსახვეჭად. მოდლიდნენ ყოველგვარ ანგარე-

ბას მოკლებული მეოცნებენი, რომელთაც არქტიკა წარმოედგინათ ზღაპრული გარდაქმნების საოცრებათა ქვეყანად.

ამათ შორის ერთხელ გაიღვა ადამიანბა, რომელიც არ შემძლია არ მოვიგონო ახლა, როდესაც ყველაფერი შეიცვალა და განვლილი დღევა და საზრუნავი უქნიშენლო და სასაცილოც კი გეჩვენება: როგორც სიზმარეული მოჩვენება, — გაიღვა და გაჰქრა და დღე-ხანს არც ვიცი მისი ვინაობა, ან სად გაიწო სანიაბ იგი. მაგრამ ეს იყო წუთი, როდესაც მომავალი და, შესაძლოა, ახლო მომავალი, უეცრად თვალწინ წარმომიდგა, თითქოს რამდენიმე წლით წინ გავიხედე, და გული შემეკუმშა...

სანიას მოლოდინში სავარძელზე მივწევი და ჩამეძინა. შუალამისას გამეღვიძა და ნომერში უცნობი კაცი დავინახე. ეს იყო სამხედრო მეზღვაური, ის კი აღარ ვიცი, რა წოდებისა. სანია მაგიდაზე ჩამომგდარეყო და სახეებს ხატავდა, ის კი ოთახში დადიოდა — ცოცხალი, ჩქარი, ყაზახური ქოჩორი და მუქი დამცინავი თვალები ჰქონდა.

ისინი რაღაც სერიოზულ საქმეზე ლაპარაკობდნენ. მე საჩქაროდ დავხუკე თვალები და თავი მოვიმძინარე. ეს სასიამოვნო იყო — ბურანში ხარ და ისმენ, ან ისე გიჭირავს თავი, თითქოს ბურანში ხარ, — შეიძლებოდა არ გაგეცნო, თმა არ დაგვეარცხნა, ტანისამოსი არ გამოგეცვალა.

— იმაზე აღვილი არაფერია, როგორც დამტყიცება იმისა, რომ კაპიტან ტატარინოვის ძიებას საერთო არაფერი აქვს ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს ძირითად ამოცანებთან. ეს, რასაკვირველია, სისულელეა. საკმარისია მხოლოდ მოვიგონოთ ფრანკლინის ძიება. საერთოდ, ადამიანებს უნდა ეძებდნენ. ეს კი გეოგრაფიული რუკის გადაკეთებას იწვევს, მაგრამ მე სხვაზე ვლაპარაკობ..

„სხვა“ — ეს ომი იყო, ომი არქტიკაში, ბარენცის და კარის ზღვების ნაპირებზე. ზე ყური მივუგდე — ეს ახალი ამბავი იყო!

ფანქრით ხელში მან დაიწყო დათვლა კოლის ნახევარკუნძულზე არსებული მთამადნეულის რაოდენობისა — ეს უკვე ჩიმი სფეროდან იყო. მაგრამ ლამის სტუმარი ყველა ამ მშვიდობიან მინერალებს მომავალი ომისათვის აუცილებელ „სტრატეგიულ ნედლეულად“ თვლიდა და მე მაშინვე გონებაში დავიწყე საწინააღმდეგო გამოსვლა, რადგანაც მწამდა, რომ ომი არ იქნებოდა.

— გარწმუნებთ, — ცოცხლად ამბობდა მეზღვაური, — კაპი-

ტან ტატარინოვს მშვენივრად ესმოდა, რომ ყოველ პოლარულ ექსპედიციას საფუძვლად სამხედრო აზრი უნდა ედოს.

„ცხადია, ესმოდა, — მაშინვე ვთქვი მე იმ სასაცილო თვლემაში, როდესაც შეგასალა იფიქრო და ილაპარაკო, და ეს იგივეა, რომ არც ილაპარაკო და არც იფიქრო. — ომი კი არ იქნება!“

—... დიდი ხანია დროა, აშენდეს სამხედრო ბაზები ჩვენი ქარავენების მთელი გზის მიყოლებით... ახალ მიწაზე, მაგალითად, სიამოვნებით დავინახავდი კარგ შორსმსროლელ ბატარეას...

„ეს კი მეტისმეტია! — მაშინვე დავძინე მე. — ვის უნდა ებრძოლონ? თეთრ დათვებს?“

მაგრამ ის სულ ლაპარაკობდა. უეცრად ამ სასტუმროს სიჩუმით მოცულ ნომრიდან, სადაც მე, ფეხბეაკეცილი, სევარძელში ვწევარ ბურანში წასული, სადაც სანიამ ეს არის ახლა ლამპას სუფრის წვერი მიაფარა, რომ შუქს თვალებში არ ეკყიტა ჩემთვის, ფიქრმა რომელიღაც უცნაურ, ნახევრად გადაბუჯულ ქალაქში წამიღო. აქაც სიჩუმეა, მაგრამ საშინელი, დამბული სიჩუმე. ყველანი რაღაცას ელიან, ჩურჩულით ლაპარაკობენ. დანესტიანებულ კედლებზე ხელების ცეცებით უნდა ჩახვიდე ქვევით, სარდაფში. მე არ მივდივარ, მე ვდგევარ გამოცარიელებულ ჩაბნელებულ ხის სახლის აივანზე. ჩემს ზემოთ მოწმენდილი იღუმალი ცა გადაკიმულა. სად არის ის ახლა? საზარელ ვარსკვლავიან სიცარიელეში მიჰქრის თვითმფრინავი, ძრავს სუნთქვა უჭირს, ყოველი წამით მძიმდება შემოყინული ფრთები. ეს მოხდება — არაფრის შეცვლა არ შეიძლება. სულ უფრო ყრუდ ხმაურობს ძრავი, მანქანა შეინძრა, შორეული სადგურებიდან უკვე აღარაეინ იძლევა ნიშანს...

— სწორია, ძველი ისტორიაა, — უეცრად ხმამალა თქვა მეზულაურმა.

მე გამეღვიძა და შვებით ამოვისუნთქე, რადგან ყველაფერი სისუფელე იყო. ამ დღეებში ჩვენ ერთად მივდივართ ჩრდილოეთში და აი ჩემს წინ დგას ჩემი სანია, დაღლილი, კკვიანი და საყვარელი, რომელიც მე მიყვარს და რომელსაც ახლა კი, შორჩა, არასოდეს აღარ დავშორდები.

— მაგრამ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში ისტორია არ ანტერესებთ. იმ ოხრებს წერილი მაინც წაეკითხათ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში! პო, მართლა, იქ მოჰყავთ საინტერესო ციტატი მენდელეევიდან. აი მომისმინეთ, მე ამოვწერე იგი, შესანიშნავი ციტატია!

ბავშვური ენისმოკიდებით წაყითხა ქენდელევეის ცნობილი აიტყვები, რომლებიც მე, სხვათა შორის, პირველად სადღაც, მამას ქალაქებში შემხვდა: „იმის ერთი მეათედი ნაწილი მაინც, რაც ჩვენ ტუსიმასთან დავკარგეთ, პოლუსის მიღწევაზე რომ ყოფილიყო დახარჯული, ჩვენი ესკადრა, ცხადია, ვლადივოსტოკში გაივლიდა და ასდებოდა გერმანულ ზღვასაც და ტუსიმასაც...“

სანიამ ერთხელ მიაგებო, რომ დეიდა დაშას უყვარდა კითხვა:

„ჰა, სანეჩკა, როგორ მიდის შენი მოგზაურობის საქმე ცხოვრებაში?“

როდესაც მე, სავარძელში თავმომძინარებული, მოქუტულო ქუთუთოებიდან ზანტად ვათვალიერებდი ჩვენ მოულოდნელ ღამის სტუმარს, ასე ფიცხს, ბავშვური ენით მოლაპარაკეს და სასაცილო ყაზახურ ქოჩრიანს, შემეძლო კი წარმომედგინა, რომ ეს „მოგზაურობა ცხოვრებაში“ რამდენიმე წლას შემდეგ სანიას ამ ადამიანის სახლში მიიყვანდა?

მე გულიანად გამეციხებოდა, ჩემთვის რომ ეთქვათ: მოვა დრო, როდესაც შენზე ფიქრით სევდით აღსავსე, ტანჯული და დაბერებული სანია იმ სახლის გამოცარიელებულ ოთახებში იხეტიალებსო.

მაგრამ წინ ნუ გავრბივართ. მოსაწყენი იქნებოდა სიცოცხლე, წინასწარ რომ გვეცოდნოდა ჩვენი „მოგზაურობა ცხოვრებაში“.

## თავი მეთხუთმეტი

### ახალგაზრდობა ბრძენებზე

როგორც იყო ვიშოვეთ ძიძა, ძალიან კარგი ძიძა, მას რეკომენდაციები და ორმოცი წლის სტაჟი ჰქონდა, მსუქანი, სუფთა ქალი, — „ძიძა კი არა, პროფესორი“ — ალტაცებით გამომიცხადეს ბერენ-შტეინებმა. ის მოვიდა და უკან მოჰყვა მეეზოვე, რომელმაც დიდი ძველებური სკივრი შემოიტანა. სკივრიდან ძიძამ ჰაიპარად ამოიღო თეთრი წინსათარი, „ჩეფჩიკი“ და ძველებური სურათი. სურათზე ჯერ კიდევ ოდნავ გაარჩევდით ძიძის მშობლებს და თვითონ მასაც, — შვიდი წლის გამტერებული სახის გოგოს.

წინსათარი გაიკეთა და „ჩეფჩიკი“ დაიხურა, სურათი კი დაჰკიდა იმ სურათის ადგილზე, რომელიც პეტრამ როზალია ნაუმოვნას აჩუქა ვაიშვილის დაბადების აღსანიშნავად. ამ წუთიდან ყველასათვის

ნათელი გახდა, ვინ იყო მთავარი პირი სახლში. მან მითხრა, რომ, თანახმად მეცნიერებისა, ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი ჭურჭელი, საკუთარი ავეჯი, შეძლებისდაგვარად თეთრი ფერის, და ჰყავდეს საკუთარი ექიმიო. მაგრამ, ღვთის მადლით, თვითონ მე თეთრი ფერის ავეჯისა, ექიმისა და საკუთარი ჭურჭლის გარეშეც გამომიზრდია ბავშვებო. ბერენშტეინები მოწიწებით უსმენდნენ და, მგონი, ცოტა ეშინოდათ კიდევ მისი, მე კი არა. ეს იყო კეთილი, უბრალო მოხუცი ქალი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მისი პროფესია ყველა სხვა პროფესიებზე უფრო მნიშვნელოვანია.

გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ შემოდგომაზე დაებრუნდებოდით და პატარა პეტეას და დარია ტიმოფეევნას, — ასე ერქვა ძიძას, — მოსკოვში წაიყვანდით. დიდი პეტეას საქმე კი ცოტათი უფრო ძნელი მოსაგვარებელი იყო. მაგრამ აი, ერთხელ სანიამ ის თავისთან წაიყვანა. მე კი დამითხოვა. კარებჩაკეტილებმა მთელი საღამო ერთად გაატარეს. არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს, მაგრამ, როდესაც დამის მეორე საათზე შინ დაებრუნდი, ორივეს თვალები დაწითლებული ჰქონდა — ალბათ კვამლისაგან. ოთახი თამბაქოს კვამლით იყო სავსე, ფანჯარა კი რატომღაც არ გაეღოთ.

— ხომ უნდა იცოცხლო, ძმობილო? — ხმადაბლა უთხრა სანიამ, როდესაც მე შევედი, — აგერა, ვაფიშვილი გყავს. ყველაფერი აწონდაწონე და დამშვიდებულად მოიფიქრე. — პეტეამ ამოიხსრა.

— ვეცდები, — თქვა მან, — არაფერია, გაივლის. თქვენ ნუ სწუხართ, ბალებო. შენ მართალი ხარ, სანია — რაც იყო, იმას ველარ დაიბრუნებ...

ძირითადი ექსპედიციის მოწყობა დაგვიანდა, ვერ მოასწრეს. ჩვენი მოწყობილობა კი უკვე გაგზავნილიც იყო არხანგელსკში, ამიტომ უეცრად რამდენიმე თავისუფალი დღე გამომიჩნდა. სანია დილიდან საღამომდე არქტიკის ინსტიტუტში იყო დაკარგული. და აი, ამ თავისუფალ ორ-სამ დღეში მე გადავწყვიტე ცოტათი მაინც გავცნობოდი ლენინგრადს.

როცა შევეურებდი ბიჭებს, როგორ მიცოცავდნენ ბრინჯაოს მხედრის კვარცხლბეკზე, როგორ შესხდებოდნენ გველზე, მე ვფიქრობდი, რომ, ლენინგრადში რომ დავბადებულყავი, სულ სხვა ბავშვობა მექნებოდა — ზღვაზე, ბალტიის ზღვაზე გაზრდილის ბავშვობა. სწორედ აქ უნდა წამეკითხა ოდესმე „აღმოჩენათა საუკუნე“.

ვიყავი სახლში, სადაც პუშკინი ცხოვრობდა, პეტრეს პოლანდიურ სახლში, საზაფხულო ბაღში.

ნევაზე გემები იდგა და ერთხელ ვნახე, სენატთან როგორ გად-  
წლიოდნენ ნაპირზე მეზღვაურები. მენიშნე პარაკეტზე იდგა და რა-  
ღაცას პატარა ბაირალებით გადასცემდა. გემიდან, ჰაერისა და მზის  
ელვარებაში, ბაირალებითვე უპასუხებდნენ, — ყველაფერი ეს ისე-  
თი სადღესასწაულო იყო, ისე გილადდებოდა გული, რომ ცრემლე-  
ბიც კი მომადგა თვალებზე.

თუმც ხშირად მერეოდა ტირილი ლენინგრადში — მწუხარება და  
სიხარული ერთმანეთში აირია. დავხეტილებდი ამ შესანიშნავ, ფარ-  
თოდ გადაშლილ ქალაქში, დაბნეული, მოხიბლული. ვცდილობდი, არ  
მეფიქრა, რომ მალე გათავდებოდა ლენინგრადში გატარებული ეს  
ბედნიერი და სევდიანი დღეები.

რასაკვირველია, სანია ხედავდა, რომ რაღაც მემართებოდა, მაგ-  
რამ იმას, მგონი, მოსწონდა კიდევ, რომ ასეთი გადარეული გავხდი  
და რომ ერთხელ იმ ქალზეც კი ვიექვიანე, რომელმაც სადღილი ძო-  
გვიტანა ნომერში.

მოულოდნელი, საშინელი ფიქრები მომდიოდა თავში. ზოგჯერ  
ის იყო, გამოვიდოდი ქუჩაში, რომ უკვე შინ მივიჩქაროდი. „აქტო-  
რიაში“, კიბეზე ასვლის დროს ვფიქრობდი, შინ არის თუ არა სანია,  
თუმცა ამის გაგება უბრალოდ შეიძლებოდა პორტიესთან, ყოველ-  
გვარი მკითხაობის გარეშე.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სისულელე იყო, მაგრამ ვერა-  
ფერი მოვუხერხე თავს. თითქოს არა კმაროდა მხოლოდ ჩემი მგზნე-  
ბარე სურვილი და საჭირო იყო კიდევ რაღაც, ზებუნებრივი საოცარი  
ძალა, რომ ყველაფერი კარგად დაბოლოებულიყო!

... სამუდამოდ დამახსოვდა ეს ღამე — უკანასკნელი ღამე გამ-  
გზავრების წინ. საღამოთი პეტროგრადის ქუჩაზე შევირბინე. პეტენ-  
კა ის იყო ებანავებინათ და ეძინა. ძიძა თავზე „ჩეფჩიკით“ და ჩინე-  
ბული თეთრი წინსაფრით სკივრზე იჯდა და ქსოვდა.

— გრაფიები გამიზრდია! — ამაყად მითხრა მან ჩემი თხოვნისა  
და დარიგებების პასუხად, რომელთაც უკანასკნელად ვაძლევდი.

უეცრად შიშმა ამიტანა: ასეთ სწავლულ ძიძას რამდენი სისუ-  
ლელეების ჩადენა შეუძლია-მეთქი, მაგრამ ბიჭუნას შევხედე და  
დავმშვიდდი, თვითონაც ისეთი გაწყრილებული იწვა და მის ირგვ-  
ლივაც პირდაპირ ქათქათებდა ყველაფერი.

დიდი პეტია და ბერენშტეინები ვაგზალზე აპირებდნენ გამოს-  
ვლას.

სანიას ეძინა, როდესაც დავბრუნდი. ხალიჩაზე რაღაც ფული

ეყარა, ფული ავკრიფე და კითხვა დავიწყე საქმეთა დიდი სიისა, რომელიც სანიათ ხვალისთვის დაიტოვა.

უკვე ღამეა, მაგრამ ოთახში შექია: სანიას ფარდები არ ჩამოუშვია. კაბა გავიხადე, პირი დავიბანე და ხალათი გადავიცვი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ლოყები მეწოდა და სულ არ მეძინებოდა. პირიქით, მინდოდა, რომ სანიასაც გაღვიძებოდა.

ტელეფონი აწკარუნდა, ყურმილი ავიღე.

— სანიას სძინავს.

— დიდი ხანია დაიძინა?

— ეს არის, ახლა.

— მაშ კარგი, ნუ გააღვიძებთ.

როგორ არა, გაეღვიძებდი! ეს ვ. იყო, ხმაზე ვიცანი და საქმეც ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო — ისე ღამე არ დარეკავდა. სულ ერთია, კარგია, რომ სანია არ გაეღვიძე. სანიას ეძინა ჩაცმულს სავარძელზე და, ალბათ, ძილში ლელავდა — სახეზე ჩრდილი გადაუვლიდა ხოლმე, ტუჩებსა ჰკუმავდა.

ოჰ, როგორ მინდოდა, გაღვიძებოდა! ოთახში დავდიოდი და ხელებს ვიდებდი გახურებულ ლოყებზე. ეს სხვისი ოთახია და ხვალ აქ უკვე სხვები მოვლენ. ეს ოთახი ჰგავდა ათას ამისთანა ოთახს, ცისფერ რიპსგადაკრული სავარძლით, ბურთულებიანი არშიაშემოვლებული ფარდებით, პატარა საწერი მაგიდით, რომელზედაც შუშა იდო, — სულ ერთია: ეს ჩვენი პირველი სახლი იყო და მე მინდოდა, ის სამუდამოდ დამხსოვებოდა.

სადღაც კედლის უკან ვიოლინოს უკრავდნენ. უკვე დიდი ხანია უკრავდნენ, მაგრამ მე მხოლოდ ახლა მივუგდე ყური. უკრავდა სუსტი, ჟღალთმიანი ბიჭი, ცნობილი დამკვრელი. იგი ვესტიბიულში დამანახვეს. მე ვიცოდი, რომ ჩვენ გვერდზე ცხოვრობდა.

უკრავდა არა იმაზე, რაზეც მე ვფიქრობდი, არა იმ ბედნიერებაზე, რომ სანია ჩემი ქმარია, მე კი მისი ცოლი, — ის უკრავდა ჩვენს უწინდელ ახალგაზრდობის შეხვედრებზე, თითქოს გვხვდავდა მეოთხე სკოლაში, ბაღზე, როდესაც სანიამ პირველად მაკოცა...

„ახალგაზრდობა გრძელდება, — უკრავდა ეს ჟღალთმიანი ბიჭი, რომელიც მე ისეთი უღამაზო მომეჩვენა, — სიმწუხარეს მოსდევს სიხარული, განშორებას — შეხვედრა. გახსოვს, შენ უბრძანე შენს გულს, რომ თქვენ ის გეპოვათ, — და აი ის დგას, ქალარა, წელ-

ში გაშლილი, შეიძლება გაგიყდე სიხარულისა და ბედნიერებისაგან. ხვალ გაემგზავრებით და ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ შენ გულს უბრძანე. ყველაფერი მშვენივრად იქნება, იმიტომ, რომ ზღაპრები, რომლებიც ჩვენ გვჯერა, ჯერ ისევ ცოცხლობენ ქვეყანაზე“.

იატაკზე გაშლილ ხალიჩაზე წამოვწექი. საფეთქლებზე ხელს ვიჭერდი, ვუსმენდი, ვტიროდი და ჩემს თავს ვლანძღავდი ამ სულელური ცრემლების გამო. მაგრამ რამდენი ხანი იყო, აღარ მეტირა და ყოველთვის გულმოდგინედ ვთვალთმაქცობდი, რომ ვითომ არც შემეძლო და არც ვიცოდი ტირილი...

სანია მეშვიდე საათზე გავაღვიძე, როგორც მითხრა, და ვუთხარი, დამე ვ-მ დარეკა-მეთქი.

— ჯავრობ?

— რად უნდა ვჯავრობდე?

ნამძინარევი იჯდა დივანზე და ხან ერთი თვალით მიყურებდა, ხან მეორეთი.

— რომ არ გაგაღვიძე.

— ვჯავრობ, — თქვა მან და გაიცინა. — შენ გაახალგაზრდავდი. გუშინ ვ-მ მკითხა, რამდენი წლისააო, მე ვუთხარი — თვრამეტისამეთქი.

მაკოცა, მერე აბაზანის ოთახში გაიქცა. მოკლე შარვლით გაშლვარდა და დილის ვარჯიში დაიწყო, მეც მავარჯიშებდა, მაგრამ მე მალე მბეზრდებოდა და თავს ვანებებდი. ის კი წესიერად ვარჯიშობდა დღეში ორჯერ, — დილით და საღამოთი.

ჯერ ისევ სველი იყო, ხაოიანი პირსახოციტ მკერდს იხეხავდა, როცა ტელეფონთან მივიდა და ყურმილი აიღო, თუმცა მე ვუთხარი, ვ-სთან დარეკვა ჯერ აღრეა-მეთქი. მე რაღაცას ვაკეთებდი, მგონი, სპირტქურას ვანთებდი, ყავა უნდა დამედგა. სანიამ სახელით და მამის სახელით მიმართა ვ-ს, მერე რაღაც უცნაური ხმით ჰკითხა: „რაო?“ მე მივედი და დავინახე, რომ პირსახოცი მხრიდან ჩამოუცურდა და ძირს დაუვარდა, არც კი აიღო, გაშვებული იდგა, თან ფერი მისდიოდა.

— კარგით, ელვას გავგზავნი, — უთხრა და ყურმილი დაჰკიდა.

— რა მოხდა?

— არაფერი, რაღაც სისულელეა, — პირსახოცი აიღო და ნელა მითხრა სანიამ, — ვ-ს წუხელის დეპეშა მიუღია, რომ საძიებო პარტა გაუქმებულია. მე ნაბრძანები მაქვს, დაუყოვნებლივ წავიდე მოსკოვს, ჩვენს სამმართველოში, ახალი დავალების მისაღებად.

„მე ბხეღავ ხელში პატარით“

სანიამ ერთხელ მითხრა, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მუდამ ასე ხდებოდაო: ყველაფერი. კარგად მიდის და უეცრად მკვეთრი შემოტრიალება — ყველაფერი თავდაყირა წამოვა. მაგრამ ამჯერად შეიძლებოდა გეთქვათ, რომ მანქანა ციბრუტივით დატრიალდა და დაეშვა.

რა თქმა უნდა, ახლა, — როდესაც ახალმა, ათასჯერ უფრო ძლიერმა გრძნობებმა დაგვაეიწყა ყველაფერი, რითაც ჩვენა ვცოცხლობდით, რაც გვახარებდა და რასაც შეეძლო მწუხარება მოეყენებინა ჩვენთვის ომამდე, — ყველაფერი ამის შემდეგ უცნაური მოგეჩვენებთ, რა ძლიერ იმოქმედა სანიაზე ამ მარცხმა და ნაწილობრივ ამან შეაცვლევინა კიდევ შეხედულება ცხოვრებაზე.

— მორჩა, კატია, — მითხრა გაათრეებით, როდესაც ვ-საგან დაბრუნდა: — ჩრდილოეთი, ექსპედიცია, „წმინდა მარიაში“. ამის გაგონებაც კი აღარ მინდა! ეს ბავშვური ზღაპრებია, რომლებიც დიდი ხანია უნდა დაგვეეიწყა.

სიტყვა მივეცი, რომ ჩვენ ერთად დავივიწყებდით ამ „ბავშვურ ზღაპრებს“, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი თავის დღეში ვერ დაივიწყებდა.

მე კიდევ მქონდა პატარა იმედი, რომ მოსკოვში სანია მოახერხებდა ბრძანების გალქმებას. მაგრამ სანიას დეპეშამ, რომელიც მივიღე არა მოსკოვიდან, არამედ სარატოვის გზიდან, ყოველგვარი იმედი დამიკარგა. უკვე თვით დავალებამ, რომელიც მან მიიღო, თითქო ხაზი გაუსვა ექსპედიციის სრულ ჩაშლას. ის გადაისროლეს სასოფლო-სამეურნეო ავიაციაში — ეგრეთ წოდებულ სპეცგამოყენების ავიაციაში, და ახლა არც მეტი და არც ნაკლები, ხორბალი უნდა ეთესა და წყალსაცავები ეწამლა. „კეთილი, დე ვიყო ის, რაცა ვგონივარ“, — მწერდა პირველ წერილში რომელიღაც კოლმეურნეობიდან, სადაც უკვე მეორე კვირა იყო იჯდა და „უთანხმებდა“ თავის სამუშაო საკითხებს ადგილობრივ ხელისუფლებას. — „ჯანდაბას ილუზიები! ეს მართლაც რომ ილუზიები იყო! მაგრამ ჩ. მაინც მართალია: — თუ ყოფნაა — ყველაზე უკეთესი უნდა იყო. არ იფიქრო, რომ მე ფარხმალი დაყვარე. მომავალი წინ არის“.

„ზადლობელი ვიყოთ ამ ძველი ისტორიისა, — მწერდა მეორე

წერილში, — თუნდაც იმისთვის, რომ მან გვაპოვნა და შეგვაყვარა ერთმანეთი. მე დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ეს ძველი პირადი ანგარიშები მნიშვნელოვანი აღმოჩნდება არა მარტო ჩვენთვის“.

კრიტიკული განწყობილებით მწერდა, თანდათანობით ვეჩვევიო ჩემ „მარცვლოვანების მთესველის“ და „კალიებთან დაუძინებელი მებრძოლის“ სასარგებლო როლს. მაგრამ, ეტყობოდა, ეს გაიტაცა ამ მუშაობამ, რადგანაც მალე სულ სხვა წერილი მივიღე მისგან.

„ჩემო ძველო მეგობარო, — მწერდა იგი, — წარმოიდგინე, რომ ქვეყანაზე არსებობს ეგრეთ წოდებული „პარიზის მწვანე“, რომელიც ზემოდან უნდა აფრქვიო ტბებს, — თითო კილომეტრზე თერთმეტი კილოგრამი. — ამისათვის კი, წარმოიდგინე, საჭიროა „კლასი“, თუნდაც იმიტომ, რომ ეს პატარა ტბები ტყეშია და მშებივით ჰგვანან ერთმანეთს. მთელი სიჩქარით მიუახლოვდები ასეთ პატარა ტბას, უეცრად მკვეთრად პიკირებას გააკეთებ და — ისევ ზემოთ მიჰფრინავ. ხომ საინტერესოა? უენაურია, მაგრამ სულ სხვა, არა სასოფლო-სამეურნეო ფიქრები მეუფლებიან მე, როდესაც ამ პატარა ტბების ზემოდან ვიპიკირობ, დაბლა დაშვებული, ან ხორბალსა ვთესავ. დღეში ას ოცდახუთი დაშვება! — ეს გამომადგება, როდესაც „პარიზის მწვანეს“ ჩემს თვითმფრინავზე სხვა, უფრო საფუძვლიანი ტვირთი შეეცვლის. ყველაფერი უკეთესისაკენ მიდის, მე არაფერს არა ვნანობ. გიკრავ გულში. მე გხედავ პატარათი ხელში, შენ დადიხარ და მღერი; ნაწნავები ცუდად გაქვს დამაგრებული და ჩამოგშლია. მოდიხარ ჩემთან და იხრები, რომ ნაწნავები დავიმაგრო...“

ტყუილად კი არ წარმოვედგინე პატარა პეტიათი ხელში, — მთელ თავისუფალ დროს მას ვანდომებდი. ის დღითი დღე იცვლებოდა და ისე საინტერესო იყო თვალყურის დევნება, როგორ თანდათანობით გვარჩევდა მე, როზალია ნაუმონას და ძიძას ერთმანეთისაგან. უაზრო, ჯერ ქორთა ბავშვის თვალეში უეცრად როგორა კრთის გაოცება და ყურადღება. იქნებ დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ჯერ ერთი თვისა არც კი იყო, რომ უკვე იღიმებოდა, ელნათურას უყურებდა და ტიროდა, როდესაც აქრობდნენ. პირველ ხანებში თავისივე ხელებისა ეშინოდა, მერე კი დიდხანს უყურებდა ხოლმე და შეეჩვია. იმის ხნის ბავშვები დამეპყილები არიან, დამძარებულები. ის კი მხიარული იყო; თითქოს უხაროდა ამქვეყნად გაჩენა. მეჩვენებოდა, რომ ახლა უფრო მეტად ჰგავდა სანიას, ვიდრე

კლინიკაში, როდესაც პირველად ვნახე. შავი თმით დაიბადა, თმა მხოლოდ კეფაზე ჰქონდა, ახლა კი მთელი თავი შეემოსა თმით. ძალიან გალამაზდა და გაკეთდა...

ჩაზე ვოცნებობდი და როგორ შეიცვალა ყველაფერი, ლენინ-გრადში ორი-სამი კვირით ჩამოვედი, რომ სანიას შევხვედროდი, განუყრელად მასთან ვყოფილიყავი და, აი, კვლავ შორს იყო ჩემგან. მოულოდნელად ოჯახი გამიჩნდა — პატარა პეტია, დიდი პეტია და ძიძა. მათზე ზრუნვა და ფიქრი იყო საჭირო. ამასთან ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სწორედ მე უნდა მეზრუნა და მეფიქრა.


ჩატომლაც იავე განვაგრძობდი მეცადინეობას ჩრდილოეთის გეოლოგიაში, თუმცა სანიას სიტყვა მივეცი, რომ ჩრდილოეთს სამუდამოდ ამოვიგდებდი თავიდან. ფულის საქმე ცუდად იყო და მე მოსაბეზრებელი სამუშაო ავიღე გეოლოგიური ინსტიტუტიდან.

წინათ, ალბათ, დავიტანჯებოდი, ჩემს თავს გავკიცხავდი და საერთოდ, ათასჯერ მეტს ვიფიქრებდი საკუთარ თავზე, ვიდრე საჭიროა. მაგრამ უეცრად უცნაურმა სიმშვიდემ მომიცვა. თითქოს „ბავშვურ ზღაპრებს“ გავაყოლე ჩემი თავმოყვარეობა, სიამაყე, ჩემი გულისტკივილი იმის გამო, რომ ყველაფერი მოხდა არა ისე, როგორც მე მთელი გულით მსურდა. „რა ვუყოთ, ჩემო კარგო! — ვუპასუხე სანიას, როდესაც ერთ წერილში თავის თავს უსაყვედურებდა, ლენინ-გრადში ჩამოვიყვანე, დაგტოვე და თან მთელი ოჯახი აკვიდო. — როგორც მოხუცი მოსამართლე ამბობს, — „ცხოვრება თავისი გზით მიდის“.

მე ხშირ-ხშირად ვწერდი მას გრძელ წერილებს „სწავლული“ ძიძის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა სწრაფად იცვლება პატარა პეტია, იმის შესახებ, თუ დიდი პეტია როგორ ხარბად დაეწაფა სამუშაოს და პუშკინის ძეგლის პროექტი როგორი მშვენიერი და ჩინებული გამოდის...

მაგრამ ერთი სიტყვაც არ მიმიწერია, თუ ერთხელ „გასტრონომში“ 25 ოქტომბრის პროსპექტზე, რაღაცას რომ ვყიდულობდი, როგორ დავინახე ფანჯრიდან ნაცნობი ფიგურა ნაცრისფერ პალტოში, ჩბილი ქუდით, სწორედ იმ ქუდით, რომელიც ჩემი გულისათვის იყიდა და რომელიც ისე უხერხულად ედგა ოთხკუთხ დიდ თავზე...

ბინდდებოდა, იქნებ შემეშალა! მაგრამ, არა, რომაშოვი იყო. თავშეკავებულმა, ფერმკრთალმა, ოდნავ წინ წახრილმა, მძიმე ნაბიჯით გაიარა ვიტრინის წინ და ხალხს შეერია.



ნაწილი მეოთხედი

## გენოციკეპი

თავი პირველი

ხუთი წელი

არ მახსოვს, სად წამიკითხავს ლექსი, რომელშიაც წლებს „გონებაში გაბმულ, დროის წვრილ თოკზე ასხმულ პატარა ლიტლიფებს“ აღარებენ.

ზოგი ლიტლიფა კაშკაშა, მშვენიერი შუქით ანთია, ზოგი კი ხრჩოლავს და ხრჩოლვით კრთის სიბნელეში.

ჩვენ ვცხოვრობთ ყირიმში და შორეულ აღმოსავლეთში. მე მფრინავის ცოლი ვარ და ბევრი ახალი ნაცნობი მყავს — მფრინავების ცოლები ყირიმში და შორეულ აღმოსავლეთში.. მეც მათებრ ვლელავ, როდესაც რაზმში ახალი მანქანები მოდის. მეც დაუსრულებლად ვურეკავ რაზმის შტაბს, თავს ვაბეზრებ მორიგეს, როდესაც სანია დანიშნულ დროს არა ბრუნდება; მეც მათებრ მგონია, რომ ვერასოდეს ვერ მივეჩვევი ჩემი ქმრის პროფესიას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეც ვეჩვევი. თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მე არა ვტოვებ ჩემს

გეოლოგიას. თუმცა მოხუცი პროფესორი, რომელიც დღემდე „შვილიკოს“ მეძახის, მიმტყიცებს: რომ არ გათხოვილიყავი და ისიც მფრინავზე, უკვე დიდი ხანია კანდიდატობას მიიღებდიო. მას უკან მიაქვს თავისი სიტყვები, როდესაც 1936 წლის გვიან შემოდგომით მე შორეულ ჩრდილოეთიდან მოსკოვში ვბრუნდები და თან ჩამომიქვს ახალი სამუშაო, რომელიც სანიასთან ერთად გავაკეთე. აერომაგნიტური ძიება! თვითმფრინავიდან რკინის საბადოების ძიება.

ახლა ივან პავლიჩი ველარ მეტყვოდა, „შენ იმას არ იცნობო“. როგორც უპატრონოდ მიტოვებულ სახლში ანთია ღამლამობით იდუმალი შუქი და შუქის გრძელი, ვიწრო ზოლები ატანენ დაღურსმულ დარაბების ჭუჭრუტანებიდან, ასევე სანიას ფიქრებისა და გრძნობების შორეულ სიღრმეში მე ვხედავ არქტიკული ვარსკვლავების შუქს, რომელმაც გაახარა მისი ბავშვობა. დახურული და დაღურსმულია დარაბები, მაგრამ ნათელი ზოლები ატანენ დარაბებში, გვიშუქებენ გზას, რომლითაც მივდივართ ჩვენ და ხან ვპოულობთ, ხან კვლავ ვკარგავთ ერთიმეორეს.

— სანია, ახლა გავიგე, ვინა ხარ შენ.

ჩვენ საერთაშორისო ვაგონის — ვლადივოსტოკი — მოსკოვის კუბეში ვსხედვართ. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ათი დღედაღამეა ერთადა ვართ, ერთ ჭერქვეშ, არც დღე, არც ღამე არა ვშორდებით ერთმანეთს. ჩვენ ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვვახშმობთ ერთ მაგიდასთან. ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს დღის საათებში. ამბობენ, რომ არიან ქალები, რომელთაც ეს უცნაურად არ ეჩვენებათ.

— ვინა ვარ? — მეკითხება სანია.

— შენ მოგზაური ხარ.

— ჰო, ვლადივოსტოკი—ირკუტსკი, გაფრენა პრიმორსკის აეროდრომიდან შვიდ ორმოცდაოთხზე.

— ეგ არათურია. არ გიშვებენ, მაგრამ სულ ერთია, შენ მოგზაური ხარ მოწოდებით, მიდრეკილებით. მხოლოდ მოგზაურს შეეძლო ეკითხა, რამდენი წლისაა თევზი, რომელიც ჩვენ სადილად ვჭამეთ.

ის იცინის.

— მხოლოდ მოგზაურებს ეშინიათ ასე კანცელარიის ქაღალდებისა. მხოლოდ მოგზაურებს ერიდებათ, ყვაილები მიართვან ვისმე. მხოლოდ მოგზაურები უსტვენენ ასე და ფიქრობენ თავის საფიქრელზე, ხოლო დილაობით თავიანთ ცოლებს დილის ოცდაოთხმუხლიანი ვარჯიშით აწვალავენ.

— ცივი ტილოთი დაზელა რომ არ ჩავთვალთ.

— ჰო, მხოლოდ მოგზაურები არიან ასეთი უბერებლები.

— მე ვბერდები.

— იცი, რა გითხრა. მე ყოველთვის მეგონა, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი დამახასიათებელი ასაკი. ერთი იბადება ორმოცი წლისა, მეორე კი მთელი თავისი სიცოცხლე ცხრანეტი წლის ჭაბუკად რჩება, ჩ. ეგეთია და შენც. საერთოდ, ბევრი მფრინავი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ოკეანეზე გადაფრენა უყვართ.

— შენა გგონია, მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც ოკეანეზე გადაფრენა უყვართ?

— ჰო. ხოპ არ დამტოვებ, როდესაც ოკეანეზე გადაფრინდები?

— არა, მაგრამ შე შეა გზიდან დაშაბრუნებენ.

მე ვღუშვარ. „შეა გზიდან დაშაბრუნებენ“. ეს უკვე სულ სხვა ლაპარაკია. ეს ლაპარაკია იმაზე, თუ მამაჩემის ცხოვრება, რომელიც სანიამ ენსკიდან ტაიპირამდე გაფანტულ ნამსხვრევებდნან შეადგინა, როგორ მოხდა სხვის ხელში. კაპიტანი ტატარინოვის სურათი ჰკიდია არქტიკის ინსტიტუტში, გეოგრაფიულ საზოგადოებაში. პოეტები უძღვნიან ლექსებს, მეტწილად საკმაოდ ცუდ ლექსებს. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებულია წერილი მის შესახებ, ხელმოწერილი მორიდებულად, — ინიციალებით ნ. ტ. მისი მოგზაურობა, სედოვის, რუსანოვისა და ტოლის მოგზაურობებთან ერთად, შევიდა არქტიკის რუს დამპყრობთა ისტორიაში...

და რაც უფრო მალა იწევს მამაჩემის სახელი, მით უფრო ხშირად ახსენებენ მის გვერდით მისი ბიძაშვილის, საპატიო სწავლულ პოლარელის სახელს, რომელმაც მთელი თავისი საცხოვრებელი შესწირა „წმ. მარიამის“ ექსპედიციის მოწყობას, ხოლო მთელი სიცოცხლე — დიდი ადამიანის ბიოგრაფიას.

ნიკოლაი ანტონიჩის დამსახურება ღირსეულად შეაფასეს. წიგნი „ყინულოვან სივრცეებში“ ყოველწლიურად იცემა ბავშვებისა და მოზრდილთათვის, გაზეთებში არის ცნობები რაღაც „სამეცნიერო საბჭოების“ შესახებ, რომელთა თავმჯდომარეც იგია. სამეცნიერო საბჭოებზე ის წარმოთქვამს სიტყვებს და ამ სიტყვებში მე ვპოულობ ძველი დავის კვალს, რომელიც იმ დღეს და იმ საათს დამთავრდა, როდესაც სახეგადატეტილი ქალი ცივ, ქვიან ეზოში გამოიჩანეს და სამუდამოდ წაიღეს სახლიდან. მაგრამ არა, ეს დავა ჯერ არ დამთავრებულა! ტყუილად კი არ არის, რომ საპატიო სწავლული გაუთავებლად იმეორებს თავის წიგნებში, რომ კაპიტანი ტატარინოვის და-

ლუპვაში დამნაშავენი არიან „მრეწველები“ და, კერძოდ, ვინმე ფონ ვიშიმირსკი. ტყუილად კი არ არის, რომ პარტივეცემულ მეცნიერს მოკყავს მოსაზრებები, რა მოსაზრებებითაც ოდესღაც ტყუილში დაჰყვრას უპირებდა მოსწავლეს, ვინც მისი საიდუმლო გამოიცნო.

ახლა ის მოსწავლე სდუმს. მაგრამ მომავალი წინ არის.

ის სდუმს. დაულალავად მუშაობს დღეცა და ღამეც. ვოლგაზე ის სწამლავს წყალსატევეებს. ფოსტა მიაქვს ირკუტსკ-ვლადივოსტოკში და ბედნიერია, როდესაც ორი დღედაღამის განმავლობაში ახერხებს მოსკოვის გაზეთების ჩაბარებას ვლადივოსტოკში. იღებს მეორე კლასის პილოტის წოდებას და არა ის, არამედ მე ვარ მის მაგივრად შეურაცხყოფილი, როდესაც იგი სთხოვს — უკვე მერამდენედ! — გაგზავნონ ჩრდილოეთში, და პასუხის ნაცვლად კვლავ „საპაერო მეეტლედ“ ნიშნავენ ამჯერად სიმფეროპოლსა და მოსკოვს შორის. რა საიდუმლო ჩრდილი ეღობება ყოველთვის გზაზე? არ ვიცი. არც იმან იცის.

იგი მუშაობს. ეუბნებიან, ჩინებულად მუშაობო. მაგრამ მხოლოდ მე ვხვდები, როგორ დაღალა იგი ამ ერთფეროვანმა რეისებმა, რომლებიც ათას ძმასავით გვანან ერთმანეთს...

— ამ დღეებში ძველი უბის წიგნი ვიპოვე. იცი, რა სწერია პირველ გვერდზე?

თეთრ კაბაში. გამოწყობილი მის გვერდით ვდგევარ გემის თეთრ, მორთულ ქიშხე. სანია შვეებულებაშია. ძალზე ბედნიერი ვარ იმით, რომ სანია შვეებულებაშია და რომ უეცრად გადავწყვიტეთ სევასტოპოლში გამგზავრება, იქიდან კი ჩვენ თვითონ არ ვიცით, საით!

— „წინ“ — ჰქვია მის გემს. „წინ“ — ამბობს იგი და, მართლაც, წინ მიისწრაფის. „ნანსენი ამუნდსენის შესახებ“. ეს ჩემი დევიზი იყო, როცა თოთხმეტი წლისა ვიყავი, დიდებულია, არა? ახლა კი — წინ და უკან. მოსკოვი — სიმფეროპოლი.

...ხან ძლიერდება, ხან ქრება პატარა ლიფლიფა. ხან მწუხარებას, ხან სიხარულს აშუქებს მისი ფარფატა სინათლე. დრო გარბის, უკან არ იყურება და ჩერდება მხოლოდ ერთი საღამოთი, როდესაც სანია მოუთხრობს, — მე კი არა, სხვებს, — მთელ თავის ცხოვრებას. თათრულ სოფელში, მფრინავთა კლუბის ბაღში მიმდინარეობს ეს დიდი საუბარი. ბალი დაქანებულ ფერდობზეა გაშენებული, ბილიკები ქვევითკენ მიექანებიან და გაფოთლილ ვერხვებ შუა ზღვისაკენ მიემართებიან. ქვიშას ხრამხარულში გაუღის მფრინავების ფრთხილი ნა-

ბიჯების ქვეშ. უეცრად ამოვარდნილი ქარი აი-ვასილის ბალებიდან ალუბლისა და ვაშლის ყვავილებს აყრის. ღია პარტიული კრებაა. ღია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ძოედანზე ესტრადის წინ, სამხრეთის ცის ქვეშ, რომელიც სწრაფად მუქდება.

სანია დალაგებულად, მშვიდად მოუთხრობს კრებას, მაგრამ სხვისი რა მოგახსენოთ და მე კი ვიცი, რა იფარება ამ უეცარი პაუზების იქით, რომლითაც თავის თავს თვითონვე აწყვეტინებს, როდესაც ზედმეტად ჩქარა იწყებს ლაპარაკს. ღელავს. ოღონდაც!

ვუსმენ სანიას და ჩვენი ნახევრად დავიწყებული ყრმობა მიდგება თვალწინ. როგორც კინოშია ხოლმე, როდესაც ვისიმე ხმა აუჩქარებლად თავისას ლაპარაკობს, ეკრანზე კი ღრუბლები მისცურავენ და გაშლილ ვაკეზე შორს მიიკლაკნება მდინარის ბუნდოვანი ბაფთი. დილაა და ყრმობა მეჩვენება ბუნდოვანი, ბედნიერი.

გამხდარი, შავგვრემანი კომკავშირელი, საქოჩრეზე აფშეკილი თმით, ევგენი ონეგინს ასამართლებს მეოთხე სკოლაში. სასრიალოზე იგი პირველად მეუბნება, რომ საფრენონანო სკოლაში აპირებს შესვლას. მე ვხედავ მას ენსკში, ტაბორის ბაღში, ძველ წერილებში წაკითხულით თავზარდაცემულს. მოსკოვში, ჩრდილოეთში, კვლავ მოსკოვში, — მთელი ქვეყნის წინაშე მზად არის თავისი სიმაართლე დაიცვას.

მაგრამ კმარა მოგონებანი! მოვიბმინოთ, რას ლაპარაკობენ მის შესახებ.

სკოლამ აღზარდა. საზოგადოებამ აქცია კაცად — აი, რას ლაპარაკობენ მასზე. იგი გამოირჩევა იმით, რომ ნაკითხია, კულტურული. როგორც მფრანკემა, ჯერ კიდევ 1934 წელს მიიღო მადლობა ნენცების ნაციონალური ოლქისაგან მამაცური გაფრენებისათვის ძნელ პოლარულ პირობებში და მას შემდეგ ძალიან წაიწვია წინ; ათვისა, მაგალითად, ღამის გაფრენის ტექნიკა. რასაკვირველია, მას აქვს უარყოფითი მხარეებიც: ფიცხია, ფხუყიანი, მოუთმენელი, მაგრამ კითხვაზე: „ღირსია ამხანაგი გრიგორიევი პარტიის წევრობისა?“ — ჩვენ უნდა ვუპასუხოთ: „ღიახ. ღირსია“.

...1937 წლის ზამთარში სანია ლენინგრადში გადაჰყავთ. ჩვენ ვცხოვრობთ ბერენშტეინებთან და, მგონი, ყველაფერი კარგად იქნებოდა, ლამაზობით ძილგამკრთალს რომ არ დამენახა ხოლმე, რომ სანიას არა სძინავს. ყოველ კვირას ნევის პროსპექტზე, კინო-ქრონიკის თეატრში ჩვენ ვუყურებთ ესპანეთის ომს. უჯრულა-

ხალათიანი ახალგაზრდები შამხანებით ხელში მადრიდთან, უნივერსიტეტის ქალაქის ნანგრევებში იძალებიან — აი, წამოიშალნენ, შეტევაზე გადავიდნენ. მეხუთე პოლკს იარაღს ურიგებენ, ალყაშემორტყმული მადრიდიდან ბავშვები მიჰყავთ, დედები ტირიან და სირბილით ძისდევენ ავტობუსებს, ბავშვები კი უქნევენ და უქნევენ ხელს. არა, ნუთუ ეს სინამდვილეა? სინამდვილეა. მაშ, დაე ნურასოდეს და ნურსად! მაშ საიდანაა ეს ყელში მოწოლილი ცრემლები, ეს მწარე წინაგრძნობა, ეს მოვარდნილი მღელვარება, რომელიც სიბნელეში უეცრად გადაიქროლებს ხოლმე პატარა, შეხუთულ დარბაზში?

ორი კვირის შემდეგ კი მე და სანია ვდგევართ ბერუნშტეინების ვიწრო დერეფანში, რაღაც ძველ ქურქებსა და როტონდებს შუა, ვდგევართ და ვდუმვართ! საათის მეოთხედი დარჩა ახალ განშორებადმდე! ის მიდის სამოქალაქო ტანსაცმლით, უცნაური შეხედულება აქვს ამ ახალი მოდის ფართობეკებიან პალტოში, რბილ ქუდში.

— სანია, შენა ხარ? იქნებ შენ არა ხარ?

იგი იცინის.

— მოდი, ისე ჩავთვალთ, რომ მე არა ვარ... სტირი?

— არა, თავს გაუფრთხილდი, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო.

იგი მეუბნება: „მე დავბრუნდები“ და კიდევ რაღაც ალერსიან აბნეულ სიტყვებს ამბობს. მე კი არ მახსოვს, რას ვამბობ. მახსოვს მხოლოდ, რომ ვთხოვ, პარაშუტით ისარგებლოს. ზოგჯერ არ მიაქვს თან პარაშუტი.

საით მიდის? არ ვიცი. ამბობს, შორეულ ჩრდილოეთშიო. მაშ რატომ არის სამოქალაქო ტანსაცმელში? რატომ არის, რომ, როდესაც ამ მივლინებაზე ვეკითხები, მაშინვე კი არ მიპასუხებს, ჯერ დაფიქრდება და მერე მამღვეს პასუხს? რატომ არის, რომ, როდესაც გვიან ღამით მოსკოვიდან ურეკავენ, უპასუხებს მხოლოდ „არას“, ან „კოს“, მერე კი დიდხანს ბოლთასა სცემს ოთახში და პაპიროსს სწევს ალელვებული, მხიარული და რაღაცით კმაყოფილი? რითია იგი კმაყოფილი? არ ვიცი, მე არ უნდა ვიცოდე. რატომ არ შეიძლება გავაცილო ვაგზალზე — ის ხომ შორეულ აღმოსავლეთში მიდის!

— ცოტა უხერხულია, — მეუბნება სანია, — მე მარტო არ მივდივარ. შეიძლება არც წავიდე. თუ უხერხული არ იქნება, ვაგზლიდან დაგირეკავ.

ვაგზლიდან დამირეკა, — მატარებელი ათი წუთის შემდეგ გადის.

არ შეწუხდეს, ყველაფერი მშვენივრად იქნება. ყოველ ორ დღეში ერთხელ მოგწერ. რასაკვირველია, პარაშუტით ვისარგებლებ...

დროგამოშვებით ვიღებ წერილებს მოსკოვის შტემპულით. ამ წერილების მიხედვით თუ ქიმსჯელებით, იგი სისტემატურად იღებს ჩემს წერილებს. უცნობი ადამიანები მირეკავენ ტელეფონით და ჯანმრთელობაზე მეკითხებიან. სადღაც, ათასი კილომეტრის იქით, გეადარამის მთებში, ბრძოლები მიმდინარეობს, პატარა ბაიარლებით დაჩხვლეტილი რუკა ჰკიდია ჩემი მაგიდის ზემოთ. ესპანეთი, სორეული და იდუმალი, სოზე დიასისა და დოლორეს იბარურის ესპანეთი ჩემთვის ახლობელი ხდება, როგორც ქუჩა, რომელზედაც ბავშვობა გამიტარებია.

წვიმიან მარტის დღეს რესპუბლიკური ავიაცია, „ყველაფერი, რასაც ფრთები აქვს“, მიფრინავს აჯანყებულთა შესახვედრად, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ვალენსია მოსწყვიტონ მადრიდს. ეს გამარჯვებაა გეადალანართან. ნეტა სად არის ჩემი სანია?

ივლისში რესპუბლიკანელთა არმიამ უკუაგდო აჯანყებულნი ბრუნეტადან. ნეტა ჩემი სანია სადღაა? ბასკონიისაკენ გზები გადაკრია, ძველი სამოქალაქო თვითმფრინავებით ნისლში მთებს უსდა გადაუარონ და ბილბაოში გაფრინდნენ. ნეტა ჩემი სანია სადღაა?

„მივლინება ქიანურდება, — მწერს იგი, — განა ცოტა რამ შეიძლება შემემთხვეს. ანდერძი კაცს არ მოჰკლავს, გახსოვდეს, რომ შენ თავისუფალი ხარ, არავითარი ვალდებულება“.

ვოლოდარსკის პროსპექტზე, ძველ ბუკინისტთან, 1836 წლის დაფლეთილ, ფურცლებჩაყვითლებულ რუსულ-ესპანურ სიტყვარს ცვიდულობ და ასაკინძად ვაძლევ. ლამამობით ვსწავლობ გრძელ ესპანურ წინადადებებს: „ჰო, მე თავისუფალი ვარ ვალდებულები-საგან შენს წინაშე. მე მოვკვდები, შენ რომ არ დაბრუნდე“... ან „ძვირფასო, რად იწერები ასეთ წერილებს, რომ ცრემლები მერევა?“

მე ვბუტბუტებ ამ ესპანურ წინადადებებს და, ალბათ, ისე უხიჯად, ისე უცნაურად გაისმის სიბნელეში ჩემი ბუტბუტი, რომ „სწავლული ძიძა“ ფიქრობს, ბოდავსო, დგება და ჩუმად პირჯვარსა მსახავს...

უეცრად ხდება ის, რაც შეუძლებლად, დაუჯერებლად გეჩვენებოდათ. ხდება სრულიად უბრალო რამ, რისგანაც ყველაფერი ათასჯერ უფრო უკეთესდება: ამინდი, ჯანმრთელობა, საქმეები.

იგი ბრუნდება. — გვიან ღამით რეკავს მოსკოვი. შეშინებული როზალია ნაუპოვნა მალვიძებს. მე ტელეფონთან მივრბივარ... და გა-

დის რამდენიმე დღე და გამხდარი, მზემოკიდებული და, მართლაც როგორღაც ესპანელს დამსგავსებული, იგი ჩემს წინ დგას. ჩემი ხელით ვუყეებ გიმნასტურაზე წითელი ღროშის ორდენს.

...შემოდგომაზე ენსკში მივდივართ. პეტია ვაჟიშვილით და „სწავლული ძიძით“ ყოველ ზაფხულს ენსკში ატარებს. დეიდა დაშა ყოველ წერილში ენსკში გვეპატიჟება და, აი, როგორც იქნა, მივდივართ. დილით გადავწყვიტეთ, საღამოთი კი მე ვაგონთან ვდგევარ და ვჯავრობ სანიაზე, ვჯავრობ, რადგანაც მატარებლის გასვლას ხუთი წუთიღა აკლია, ის კი არა ჩანს. ტორტის საყიდლად წავიდა. ის დაძრულ მატარებელს შემოახტა — აქოშინებული, მხიარული.

— უცნაური ხარ, იქ ასეთი ტორტები არ იშოვება?

— რამდენიც გნებავს.

— კანფეტები?

შეიძლება ასეთი კანფეტები მართლაც ვერ იშოვოთ ენსკში: ვერც კი მიხვდები, როგორ იხსნება კოლოფი და პატარა წითელ მედალიონზე ოქროს ასობით სწერია: „იყავით ჯანმრთელად, იცხოვრეთ მდიდრულად“.

ჩვენ დიდხანს ვსხედვართ ნახევრად ბნელ კუპეში, შუქს არ ვანთებთ.

როდის იყო ეს? დიდებივით ენსკიდან ვბრუნდებოდით და ჩვენ დიდრონ, სასაცილო, ზონარზე მუფთებჩამოკიდებული მოხუცი ნილილისტები გვაცილებდნენ. დაგვალული, პირგაუპარსავი კაცი სულ ცდილობდა გამოეცნო, ვინ ვიყავით: და-ძმა? და-ძმას არა ვგვევართ! ცოლ-ქმარი? ცოტა ნაადრევი! ახლა რა ვაშლები იყო: წითელი, მაგარი ზამთრის ვაშლი? რად არის, რომ ასეთ ვაშლებს მხოლოდ ბავშვობაში სჭამს ადამიანი?

— სწორედ იმ დღეს შემიყვარდი, — მეუბნება სანია.

— არა, შენ მაშინ შეგიყვარდი, როდესაც ჩვენ ერთხელ სასარილოდან მოვდიოდით და ცერცვსა მთავაზობდი, მე კი უარი გითხარი და შენ ცერცვი ვიღაც გოგონას მიეცი.

— მაშინ შენ შეგიყვარდი.

— არა, მე კი არა, შენ შეგიყვარდი, თორემ არ მისცემდი.

ის ძალიან სერიოზულად ფიქრობს.

— შენ როდისღა შეგიყვარდი?

— არ ვიცი... მე მუდამ მიყვარდი.

ჩვენ დერეფანში ვდგევართ და, როგორც მაშინ, თვალს ვაყოლებთ მავთულებს, რომლებიც ხან იძირებიან სივრცეში, ხან კვლავ

გამოჩნდებიან. ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ მაინც უწინდებურად ბედნიერები ვართ. მსუქანი, დიდულვაშა გამყოლი ერთთავად გვიყურებს — თუ მე მიყურებს? — და ოხვრით ამბობს, მეც ლამაზი ქალი მყავსო...

ენსკმი ვართ. აღრიანი დილაა. ტრამვაი ჯერ არ დადის და ფეხით უნდა გაიარო მთელი ქალაქი. თავზიან, ჩამოფლეთილ კაცს მოაქვს ჩვენი ბარგი და ლაპარაკობს, ლაპარაკობს დაუსრულებლად — ტყუილად ვარწმუნებთ, რომ ჩვენ ენსკელები ვართ. იგი იცნობს ყველას: განსვენებულ ბუბენჩიკოვებს, დეიდა დაშას, მოსამართლეს. განსაკუთრებით მოსამართლეს, რომელსაც არა ერთხელ შეხვედრია.

— სად?

— ლენინის რაიონის სასამართლოს კამერაში.

მოედანზე, ურმებთან, კოლმეურნეები ვაშლსა და კომბოსტოსა ჰყიდიან. დაბერებული დეიდა დაშა ჩაფიქრებული დგას, ხელში კომბოსტოს დიდი თავი უჭირავს და ფიქრობს — იყიდოს თუ არა?

სანია უძახის. იგი ბებრული, მკაცრი გამომეტყველებით სათვალეებქვემოდას უყურებს სანიას, უეცრად უმწეოდ უვარდება ხელიდან კომბოსტოს თავი.

— სანეჩკა! ჩემო კარგებო! არა, რაგორ მოხდა? ბაზარში მოხვედით?

— არა, დეიდა დაშა, გზად გამოვიარეთ. დეიდა დაშა — ჩემი ცოლია.

სანიამ დეიდა დაშასთან მიმიყვანა და ენსკის ბაზარზე ვაჭრობა შეწყდა. ცხენებმაც კი ტოპრაკებიდან თავები ამოიღეს და ინტერესით გვიყურებდნენ, ერთმანეთს როგორა ვკოცნიდით მე და დეიდა დაშა.

მარკუზეს სახლი გოგოლის ქუჩაზე, ლომის თავები სადარბაზო კარების აქეთ-იქით. საუზმე დეიდა დაშასებური, რომლის შემდეგ საშინელია ფიქრიც კი, რომ ქვეყანაზე კიდევ არსებობს სადილი და ვახშამი. ტელეფონით ლაპარაკი მოსამართლესთან, რომელიც რაიონში იმყოფება გამსვლელ სესიაზე, — და შორეული სუსტი ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — სადღაც შორს, დედამიწის სფეროს მეორე მხარეს. პატარა პეტია უკვე მესამე წელიწადშია და, თითქოს გუშინ იყო, რომ ვმსჯელობდით გენერალური საკითხის ირგვლივ, — მიეცეთ მას საწოვარი თუ არა; ხელზე ვარწიოთ თუ საწოლში?

დიდ პეტიას ვპოულობთ ტაძრის ბაღში, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ისა და სანია ოდესღაც იწვნენ და ცდილობდნენ, დღისით მთვა-

რე და ვარსკვლავები დაენახათ. აქა კითხულობდნენ წერილების ნი-  
მუშთა კრებულს, აქ „შეეფიცნენ ერთმანეთს ძმად“.

თურქივით ფეხმოკეცილი პეტია ზის და მუხლებზე დიდი ტილოს  
ალბომი უდევს. ის ხატავს „რეშეტის“ იმ ადგილს, სადაც პესჩინ-  
კა ტიხოეს ერთვის, ხოლო პოკროვსკის მონასტერი, თეთრი და მკაც-  
რი, უკვე შექრილა მზით გაელენთილ ჰაერში. მონასტრის იქით, გაღმა  
ნაპირზე კი მოჩანს მინდვრები, მინდვრები დაუსრულებლად.

— ბოდიში, მოქალაქე, აქ მღებავი ხომ არ გინახავთ?..

იგი, ჩვენკენ მოტრიალებული, გაცეებით გვიყურებს.

— მღებავმა ჩაიარა აქეთ, — განაგრძობს სანია. — ასეთი პიჯაკი  
აცვია, ქორფლიანია.

პეტია მაშინვე ფეხზე წამოხტა, — მოუხეშავი, წოწოლა, გამხდარი-

— ჩამოხვედით? კატია? აი, ყოჩაღ! როგორ მიხარია! აბა, მიამ-  
ბეთ. სანია, შენ ხომ იქიდან ჩამოხვედი.

— იქიდან.

ორი საათი ვზივართ მარტინის კოშკთან, მერე ქვევით ჩამოვდი-  
ვართ სანაპიროზე და ბაღებით მთელ ქალაქს ვუვლით. რა კარგია იგი  
შემოდგომაზე! რა წითელია ნეკერჩხლები ბრტანიკურ ბაღში! რა  
კარგია გავლა მიტოვებული, მივიწყებული ხეივნით ხრამისაკენ, რომ-  
ლის ქვემოთაც სწორ მწკრივებად ღვანან თეთრად შეღებილი და-  
ბალი ვაშლის ხეები!

— იყო დრო, რომ ჩვენ აქ ვაშლებისათვის გადმოვძვრებოდით  
ხოლმე. შენ მატყუებდი, დარაჯებს თოფები მარილით აქვთ გატე-  
ნილიო.

— სულაც არ გატყუებდი. საინტერესოა, როგორი ბიჭები ვიყა-  
ვით პატარაობისას? აი, შენ, მაგალითად, წარმოგიდგენია შენი თავი  
პატარა? მე — არა!

— შენ საკმაოდ უცნაური ბიჭი იყავი. გახსოვს, ერთხელ მოი-  
გონე, ვირთაგვებს დედოფალი — დედა ჰყავთო. ან თურქესტანი? ეს  
იყო ოცნება! შენ მაშინვე მხატვარი იყავი, ყოველ შემთხვევაში —  
ხელოვანი.

— მე კი მეგონა, რომ სწორედ შენ იქნებოდი მხატვარი. შენ ხომ  
კარგად ძერწავდი. რად მიანებე თავი?

მე სანიას შევყურებ — გაცვე თუ არა? მაგრამ იგი თვალებს  
მიბრიალებს და მე კრინტსაც არა ვძრავ. თავისუფალ დროს იგი  
ახლაც ძერწავს, რა თქმა უნდა, თავის სასიამოვნოდ.

მოსამართლე საღამოთი მოვიდა გვიან, როდესაც ჩვენ უკვე იმედი გადაგვიწყდა. უეცრად საღამო, კუთხის იქით, ტკაცატკუცი და ქოთქოთი დაიწყო „გაზიკმა“ და გზაზე მოხუცი გამოჩნდა თეთრი გამტვრიანებული კარტუზით თავზე და ორი პორტფელით ხელში.

— აბა აქ სტუმრები რომლები არიან? პირს დავიბან, მოვლ და გადავკოცნი.

ჩვენ გვესმის, რამდენ ხანს სიამოვნებით ხენეშის იგი სამზარეულოში. დედა დაშა ბუზღუნებს, ისევ დააქოქა მთელი იატაკიო, ის კი ისევ ხენეშის და ეუბნება: „პო, კარგია ერთი“. ბოლოს გამოდის თმაგადავარცხნილი, ტუფლებში ტიტველა ფეხები ჩაუდგამს, სუფთა ტოლსტოკა აცვია. რიგრიგით გაყვევართ აივანზე, რომ დაგვათვალიეროს. ჯერ ნე, მერე სანია. ორდენს ცალკე სინჯავს.

— არა უშავს რა, — ამბობს სიამოვნებით. — შპალია?

— შპალია.

— მაშ, კაპიტანი ხარ?

— კაპიტანი.

იგი სანიას მაგრად ართმევს ხელს.

ასე გავიდა ეს მშვენიერი საღამო ენსკში. ჩვენ ისე იშვიათად ვიკრიბებით ერთად და ძალიან კი გვიყვარს ერთმანეთი. ახლაც, როდესაც ძლივს შევიკრიბეთ ერთად, ყველას უცნაურად გვეჩვენება, რომ სხვადასხვა ქალაქებში ვცხოვრობთ.

შუალამემდე მაგიდას ვუსხედვართ, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და ჩვენს ლაპარაკს ბოლო არ უჩანს. ვიგონებთ საშას, უბრალოდ, თავისუფლად, თითქოს ისიც ჩვენთან არის. რაც დღე გადის, პატარა პეტია უფრო მეტად ენაგავსება მას: იგივე მონღოლური თვალების კრლი, იგავე რბილი, მუქი თმებით შებუსუსული საფეთქლები. თავის დახრის დროს ისიც ისევე მალა სკიმავეს წარბებს...

სანია ესპანეთის ამბებს იგონებს, მე უცნაური, დიდი ხნის და ვიწყებული გრძობა მიპყრობს: ისე ვუსმენ, თითქოს სულ სხვა ვისმეზე ლაპარაკობდეს. მაშ, ერთხელ, დაზვერვაზე გაფრინის დროს, მან დაინახა ხუთი „იუნკერსი“ და უყოყმანოდ წავიდა მათ შესახვედრად? იგი ყოფილა, იუნკერსებს შორის რომ დაჰქროდა და თითქმის ალაღბედზე ისროდა. რადგანაც, რომ არ მოეხვედრებინა, არ შეიძლებოდა? იგი დაეშვა დამსხვრეული თვითმფრინავით, სახეზე ხელთათმანიფარებული, დამწვარ რეგლანით და ერთი საათის შემდეგ სხვა თვითმფრინავით აფრინდა ჰაერში.

მოსამართლე უსმენს მას და ქალარა, ხშირ წარბებქვემოდან

ბავშვური აღტაცებით უბრწყინავს თვალები. ჭიქით ხელში დგება და სიტყვას ამბობს. მატარებელშივე მეუბნებოდა სანია, — მოსამართლე უსათუოდ სიტყვას წარმოთქვამსო.

— მაღალფარდოვანი სიტყვებით არ ვილაპარაკებ, თუმც, რაც შენ გააკეთე, სანია, იმაზე ღირს მაღალფარდოვანი სიტყვებით ლაპარაკი. ოდესღაც მითხარი, მფრინავი მინდა გამოვიდო, მე გკითხე: „სამხედრო?“ შენ მიპასუხე: „პოლარელი, თუ საჭირო იქნება — სამხედრო“ და აი — შენ ზიხარ ჩემს წინ, სამხედრო, მებრძოლი მფრინავი, და მე სიამაყით ვამბობ, რომ შემიძლია ღვიძლ ვაჟიშვილად ჩავთვალო. მაგრამ ჩემს წინ რომ გხედავ, სხვა ფიქრებიც მომდის თავში. მე მინდა გითხრა შენი კეთილშობილი ოცნების შესახებ, — იპოვო კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიცია, ოცნების შესახებ, რომელმაც გაათბო შენი ახალგაზრდობის წლები. შენ თითქოს ამოცანად დაისახე, ღარეულიყავი ამ ამბავში და შენებურად გამოგესწორებინა იგი. ეს სწორია. ამიტომაცა ვართ ჩვენ ბოლშევიკი-რევოლუციონერები. მე შენ ბავშვობიდან გიცნობ და მჯერა, რომ შენ აღრე თუ გვიან მაინც გადაწყვეტ ამ ძნელ ამოცანას.

ჩვენ ჭიქებს ვაჯახუნებთ და სანია ესპანურად ამბობს:

— Salud!.. ჩავთვალთ, რომ „მოგზაურობა ცხოვრებაში“ ჯერ მხოლოდ დაიწყო, — ამბობს იგი. — გემმა გუშინ დასტოვა ნავსადგური, შორს ჯერ ისევ მოსჩანს შუქურა, რომელმაც გამომშვიდობების საღამი გაუგზავნა: „გისურვებთ ბედნიერ ნაოსნობას და წარმატებებს“. ოდესღაც პატარები, მაგრამ გულადები, ჩვენ მივდიოდით ამ ქალაქის ბნელი და წყნარი ქუჩებით. ჩვენ შეიარაღებულნი ვიყავით: ორს ერთი ფინური დანა გვქონდა. სწორედ ის დანა, რომელსაც პეტრამ ქარქაში შეუყვრა ძველი ჩექმიდან. მაგრამ ჩვენ უფრო უკეთესად ვიყავით შეიარაღებულნი, ვიდრე ეს პირველი შეხედვით შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. ჩვენ მივდიოდით იმიტომ, რომ ერთმანეთს ფიცი მივეცი: „ვიბრძოლოთ და ვეძიოთ, ეპოვოთ და უკან არ დავიხიოთ“. ჩვენ მივდიოდით — და გზა ჯერ არ გათავებულა.

სანია ჭიქას მალლა სწევს, უკანასკნელ წვეთამდის სცლის, ჭიქას კედელს ესვრის და ზრიალით ამსხვრევს...

• • •

1939 წელს ჩვენ მოსკოვში ვართ და ხშირად დავდივართ ვალიასთან და კირასთან სივცევ-ვრაჟეკზე. უკვე ვიწროა მათთვის ბინა სივცევ-ვრაჟეკზე.

„საერთოდ სამზარეულოში“ სძინავს პატარა, ნაწნავეებიან თეთრ-გოგონას, რომელსაც დედასავით ვეებერთელა ცხვირი აქვს. საკუქ-ნაოში, რომელიც ვალიაჲ ოდესღაც ფოტოლაბორატორიად გადააკეთა, ბავშვის ჩვრებია გაფენილი. „კერძოდ სამზარეულოში“ სანია კინალამ ჯდება რაღაც შეხვეულზე, საიდანაც გამოიციკირება სერიოზულად და დაბნეულად პატარა სახე, შავი თმის ბლუჯით შუბლზე, მგონი, რქის ჩარჩოში ჩასმული სათვალელა აკლია, რომ მოისმინო ლექცია შავმურა მელიების ჰიბრიდებზე.

გოგონა უკვე ლექსებს ამბობს „გამოთქმით“ და თქვენ გრძნობთ: კირას დედის დარბაისლურ სკოლას, თავის პრინციპებით ყველაფერში საწინააღმდეგოს საბოლოოდ გაამპარტავნებულ ვარვარა რაბინოვიჩის სკოლისას.

რაზე ვფიქრობთ! — მოხეტიალეები და მოგზაურები — მე და სანია, როდესაც ვზივართ ასეთ საყვარელ, ასეთ „ბავშვებიან“ მეგობრებთან სივცევე-ვრაჟეკზე?

რასაკვირველია, იმაზე, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე სხვის ჰერ-ქვეშა ვცხოვრობთ, იმაზე, რომ ჩვენ საკუთარი სახლი არ გავაჩნია, თუნდაც ისეთი პატარა და ვიწრო, როგორც ვალიასი და კირას სახლია.

გადავწყვიტეთ, რომ ახლა ჩვენც გვექნება ასეთი სახლი-ლენინგრადში...

ხან ძლიერდება, ხან ჰქრება ლიფლიფა. ხან მწუხარებას, ხან სიხარულს ეფინება მისი ფარფატა შუქი.

ზამთრის კაშკაშა ღღეს ჩვენ ვდგევართ კრემლის კედელთან, თეთრი მარმარილოს დაფის წინ. დაფაზე ამოკვეთილია უბრალო სახელი ადამიანისა, რომელიც ჩვენ გვიყვარდა. სანია იგონებს, ერთხელ როგორ მიდიოდა მასთან და ცდილობდა მშვიდად ეფიქრა, რომ აღელვება დაეძლია, და, როდესაც მივიდა, ისე მიმართა მას, თითქოს ტელეფონში ელაპარაკებოდა.

— ამხანაგო ჩ... გრიგორიევი გელაპარაკებათ.

უკვე წელიწადე გავიდა, რაც ამ ადამიანის სახელი უწოდეს დიდ ქალაქს, ასობით მშვენიერ ქუჩებს, თეატრებს, პარკებს, ბალებს. მე და სანიას კი ჯერაც არა გვჯერა, რომ გათავდა, ვერასოდეს ველარ-გავიგონებთ მის ხმას...

1941 წელს ჩვენ გადავედით ლენინგრადში — საბოლოოდ აქ დავრჩებით, თუ მოვახერხებთ. გვაქვს სამოთახიანი აგარაკი, ეზოში ჭაა. მოხუცი სახლის პატრონი ძველ რუს მშვილდოსანსა ჰგავს,

რომლის დახატვასაც მაშინვე იწყებს პეტია. ჩვენ ვცხოვრობთ აგარაკზე მთელი ჩვენი ოჯახით. ორივე პეტეები და „სწავლული ძი-ძა“ წელს ენსკში არ წასულან, — ვბანაობთ ტბაში, ჩაის ვსვამთ ნამდვილი მუცლიანი სპილენძის სამოკრიდან და უცნაურად მეჩვენება, რომ ასეთ სიჩუმეს, ასეთ ბედნიერებას სხვა ქალაქები ვერც კი ამჩნევენ.

შაბათობით ვხვდებით სანიას. მთელი ოჯახით მივდივართ სადგურზე და, რააკვირველია, ყველაზე მეტად ძია სანიას პატარა პეტია ელის, ამჯერად ჯაეშნოსანის მიღების იღუმალი იმედით. იმედი უმართლდება — დიდი, მშვენიერი გემით სანია ჩვენს წინ გავლილი ვაგონის საფეხურიდან ხტება, ხელს გვიქნევს, მაგრამ რატომღაც ვაგონს გვერდით მისდევს. მატარებელი ჩერდება, იგი ვილატას უწოდებს ხელს. პატარა ტანის ხმელ-ხმელი მოხუცი ქალი კიბეზე ჩამოდის მხნე, მზრუნველობით აღსავსე სახით. ერთ ხელში ქოლგა უჭირავს, მეორეში — ტილოს ჩანთა-საკვოიაფი. მზადა ვარ, თვალებს არ ღვეფჯერო. მაგრამ ეს დიდდებაჩემია — დარაიის კოხტა კოსტიუმში გამოწყობილი, ალიფრონცქის ჩალის ქუდით, დიდდებაჩემი, რომელიც სანიას მოწინებით მოჰყავს მკლავგაყრილი, რათა მოარიდოს ხმაურიან ბრბოს, რომელიც უეცრად ავსებს პატარა ბაქანს...

## თავი მეორე

### რა გვინამბო დიდებამ

უნდა ითქვას, რომ დიდდებაჩემის ხასიათში ზოგიერთი რამ უკანასკნელ დროს რალაც უცნაურად მეჩვენებოდა. იგი მუდამ დაცინვით უყურებდა სათამაშო ქალალდს, ახლა კი უეცრად მკითხაობამ გაიტაცა, თან ისეთნაირად, რომ ქალალდის დასტა სულ ხელში ეჭირა. იგი მკითხაობდა ნაზუქის ხელმწიფეზე, ვისთანაც, ეტყობა, დავიდარაბა ჰქონდა.

— თურმე გულში რა ჩაგიდვია, ჩემო კარგო, — ამბობდა გაჯავრებით, — კაი შვილი ბრძანდები, სახაზინო სახლი არ მოგწონს?..

უეცრად შუა ლაპარაკში წამოხტებოდა და შინ გაეშურებოდა ხოლმე. „საოჯახო საქმეები მაქვსო“, თუმცა წუწუნებდა: მოწყენილი ვარ, გასაკეთებელი არაფერიაო.

— არა, უნდა წავიდე, — ამბობდა შეშინებული, — მაშ როგორ გინდა! უსათუოდ უნდა წავიდე!

ყოველთვის უყვარდა კინოში სიარული, ახლა კი შეეშინდა კი-  
დევატ, როდესაც დაეპატივე.

— კინოთეატრში სიარული, — თქვა სიღარბისლით აღსავესემ, —  
ღირს, ოღონდ ფილმის ხარისხის მიხედვით.

„ოღონდ ხარისხის მიხედვით“, — დიდებაჟემმა წინათ ასეთი  
ლაპარაკი არ იცოდა.

თავისთავად იგულისხმება, მე ვხვდებოდი, ვინ იყო ნაზუქის  
ხელმწიფე, ვისაც დიდება გულის სიღრმეში სახაზინო სახლს უქა-  
ლოდა, და რატომ გაეშურებოდა ხოლმე შინისაკენ, ან საიდან იყო.  
ეს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები. ნიკოლაი ანტონიჩი — აი ვის გარ-  
შემო ტრიალებდა საწყალი დიდებაჩემის ფიქრები.

ამაში იყო ნიკოლაი ანტონიჩის ძალა, მისი გასაოცარი გავლენა.

არა ერთხელ შევხვეწივარ, ჩემთან ეცხოვრა თუნდაც ის რამდე-  
ნიმე დღე, როკელსაც მე და სანია მოსკოვში ვატარებდით. — გაგი-  
ჯონიათ! ამის მოსმენაც არ უნდოდა!

— წამოვალ და მიპოვის, — თქვა მან გაურკვეველად. — არა, ჩანს,  
ასეთი ბედისა ეყოფილვარ.

— რას ჰქვია გიპოვის! ძალიან არ ესაჭიროები! ძებნასაც არ  
დაგიწყებს!

დიდება სდუმდა.

— არა, დამიწყებს! მისთვის ეს ბევრს ნიშნავს.

— რატომ?

— იმიტომ რომ, თუ მე მის სახლში ვცხოვრობ, მაშინ ყველაფე-  
რი იმისი ჭკუით კეთდება. მაშასადამე, არა ისე, როგორც თქვენ გინ-  
დათ. იგი ხომ ყოველ საღამოთი მიკითხავს.

ყოველ საღამოთი ნიკოლაი ანტონიჩი თავის წიგნს უკითხავდა  
დიდებას...

ძალიან მინდოდა, ისიც ჩვენთან გადმოსულიყო, როდესაც ლენინ-  
გრადში გადაეწყვიტეთ დაბინავება. მაგრამ, რამდენიც შევხვდებო-  
დი, ვრწმუნდებოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. უფრო ნაკლებად  
ლანძლავდა დიდება ნიკოლაი ანტონიჩს და სულ უფრო მეტად ლა-  
პარაკობდა მასზე რაღაც ცრუმორწმუნეობით სავსე შიშით. ეტყო-  
ბა, გულის სიღრმეში ის დარწმუნებული იყო მის ზებუნებრივ  
ძალაში.

— ის არის გავიფიქრებ რამეს, რომ მან უკვე იცის, — მითხრა  
ერთხელ დიდებამ, — ამ დღეებში ნამცხვრის გამოცხოება დაეპირე.  
ის კი შეუბნება: ოღონდ საგოთი ნუ გამოაცხობ, კუქს ამძიმებსო.

მაშ რა მომივიდოდა, როდესაც უეცრად სადგურ ლ-ზე დიდ-  
დაჩეში მხნედ წამოვიდა ჩვენკენ, ერთ ხელში ქოლგით და მეორეში  
ტილოს საკვოიაჟით!

გზაში მკითხა: აუცილებელია თქვენთან აგარაკზე ჩაწერა თუ  
არაო.

— ისეც შეიძლება ცხოვრება, ჩაუწერავად, — ვუპასუხე. —  
მანც რად გაწუხებს ეგ?

— არა! სჯობს, ჩამწერონ, — ხელი ჩაიქნია დიდედამ, — ახლა  
ჩემთვის სულ ერთია.

ათასჯერ მქონდა მიწერილი და ნაამბობი დიდი და პატარა პე-  
ტიებისა და განსვენებული საშას შესახებ. პეტია კიდეც დაიარებოდა  
ჩვენთან, როდესაც გასათხოვარი ვიყავი და მე-2 ტვერსკოი-იამს-  
კოიზე ვცხოვრობდი, ისე რომ დიდედა მას იცნობდა. მაგრამ ისე.  
ცერემონიულად მიესალმა პეტიას, თითქო პირველად ხედავდა. პა-  
ტარა პეტიას დაბნეულად აკოცა, ხოლო „სწავლულ ძიძაზე“ ცივად  
შენიშნა, — „მხეცური სახის გამომეტყველება აქვსო“.

ეჭვიც არ არის, რომ დიდედა თავზარდაცემული იყო, მაგრამ  
რითა? აი, ეს იყო გამოცანა.

მეზონინში, — ჩვენ ორი ოთახი გვეჭირა „მეზონინით“, რომე-  
ლიც, თითქოს საგანგებოდ დიდედაჩემისთვის იყო აშენებული: ისე-  
თივე პატარა და მშრალი, როგორც თვითონ დიდედა, — მან, უპირ-  
ველესად ყოვლისა, შეამოწმა ფანჯრების საკეტები და კარები, გა-  
სალებით იკეტებოდა თუ არა.

— კარგი, დიდედა, გული გაწყალდა, — ვუთხარი მტკიცედ, —  
აი, კარებს დავკეტავ, არავინ არ გაიფონებს და ახლავე მიაბზე, რა  
მობდა.

დიდედა სდუმდა.

— რატომ არ გიამბობ, უყურეთ ერთი, შემაშინა!

მან გამოიძინა, პირი დაიბანა და სუფრასთან გამოცხადდა გა-  
ყმაწვილებული, პუკპუკებიან კაბაში და ძალიან გრძელცხვირიან,  
კრემისფერ ფეხსაცმელებში.

— ეკონომი-ქალი აიყვანა, — დაიწყო ყოველგვარი შესავლის  
გარეშე, — და შეუბნება: „ეკონომი კი არა, მდივანია, დამეხმარე-  
ბაო“. ის კი ქურაზე ჭუჭყიან ტუფლებს მილაგებს. ეგეც შენი დახ-  
ნარება!

ვილაც ალევტინა სერგეევნამ ჭუჭყიანი ტუფლები ქურაზე გა-  
მოუქიმა. ძალიან საინტერესო იყო. ჩვენ ბაღში ვისხედით, დიდედა

ამაყად მიაბზობდა და ჯერ კიდევ ძნელი იყო გაგება, რა მოხდა. ვხედავდი, რომ პეტის სულის სიმწარით უნდოდა მისი დახატვა. თითი დაუქნიე, არ გაბედო-მეთქი. სანიასაც დაუქნიე თითი — სიცილს ძლივს იკავებდა. სერიოზულად მხოლოდ პატარა პეტია უსმენდა.

— მდივანი თუ ხარ, ტუფლებს იქ რასა სჩხირავ; სადაც მე საქმელს ვამზადებ? ამის უფლებას არასოდეს არ მოგცემ. იქნებ: დღეს ქურას ვახურებ!

— მერე?

— მერე და გავახურე.

— მერე?

— დაეწვა, — ამაყად თქვა დიდედამ. — ნუ დააწყობდა.

ჩვენ გულიანად გაგვეცინა.

ერთი სიტყვით, ეკონომი-ქალი უტუფლოდ დარჩა და ამან აიძულა ნიკოლაი ანტონიჩი, დიდდა სერიოზული მოლაპარაკებისათვის მიეწვია.

— „მე ასეთი ვარ, მე ისეთი ვარ!“ — დიდდა გაიბღინდა და წარმოადგინა, როგორა ლაპარაკობს ნიკოლაი ანტონიჩი თავის თავზე. — რაღა შენ ლაპარაკობ, თუ ყველაზე უკეთესი ხარ, დაე სხვებმა თქვან. ბინა მაჩვენა: „ბინა კაპიტონოვნა, ამოიჩიეთ!“

ბინა ნიკოლაი ანტონიჩს ახალ სახლში მიეღო, გორკის ქუჩაზე, და საწყალ დიდდაჩემისთვის წინადადება მიეცა, ამ შესანიშნავ ბინაში ამოერჩია რომელი ოთახიც სურდა. ნიკოლაი ანტონიჩი მთელი თვე უვლიდა მოსკოვს ავეჯის ამოსარჩევად. ბინა მე-2 ტვერსკოი-იამსკოიზე, ნიკოლაი ანტონიჩის აზრით, „კაპიტან ტატარინოვის მუზეუმად“ უნდა გადაქცეულიყო. ეტყობა, სულაც არ აწუხებდა ის გარემოება, რომ კაპიტან ტატარინოვს არასოდეს ამ სახლის კარიც არ შეუღია.

— მე კი თავი დავუკარი და ვუთხარი: „დიდად გმადლობთ, ჯერ მე სხვის კარზე არ მიცხვორია-მეთქი“.

სწორედ ამ საუბრის შემდეგ გადაეწყვიტა დიდდაჩემს, გამოქცეოდა ნიკოლაი ანტონიჩს და ჩვენთან გადმოსახლებულიყო. მაგრამ როგორ უნდა შინებოდა მისი, როდესაც იმის მაგივრად, რომ აეღო, ბარგი შეეკრა და წამოსულიყო, უპირველესად ყოვლისა, შეურიგდა ნიკოლაი ანტონიჩს, იმასაც კი შეეცადა, რომ ეკონომი-ქალის გული მოეგო. დიდედამ ურთულესი ფსიქოლოგიური გეგმა დაამუშავა, დამყარებული ნიკოლაი ანტონიჩის სწავლულთა დასას-  
7. კავერინი

ვენებელ სახლში — ბოლშევიკში წასვლაზე. ოცი წლის მანძილზე დიდდაჩემი პირველად დაიძრა ადგილიდან და საიდუმლოდ გაქპრა მოსკოვიდან, ერთ ხელში ქოლგით, მეორეში ტილოს საკვიაყით...

... სანია ყოველთვის მეშვიდე საათზე დგებოდა და ჩვენ საუბრებზე საბანაოდ მივდიოდით, ასე იყო ამ დილითაც, რომელიც, მგონი, არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა, რომელიც გნებავთ, კვირადილი-საგან.

რასაკვირველია, არაფრით! მაგრამ რად მახსოვს მე ეს დილა? რად მეჩვენება, თითქოს გუშინ იყო, — მე და სანია ხელიხელჩაკიდებული ჩავრბივართ ფერდაზე. იგი ცდილობს წონასწორობა შეინარჩუნოს, როდესაც მდინარეზე გადებულ ვერხვზე ფეხი უსხლტება, მე კი ფეხსაცმელებს ვიხდი და ფონში გავდივარ. ფეხქვეშა ვგრძნობ ქვიშიანი ფსკერის მკვრივ ნაოჭებს. რატომ შემძლია გავიმეორო ყოველი სიტყვა ჩვენი საუბრისა? რატომა მგონია, რომ აქამდე ვგრძნობ ნამძინარევ, ნისლიან სიტურფეს, რომელსაც აღმაცერად უცქერის მზე? რატომ ვიგონებ გულისმომწყვლევი სინაზით ამ დილის ყოველ უმნიშვნელო წვრილმანს — სანიას შავგვრემან ფეროვან სახეზე, ბეჭებზე, მკერდზე წყლის წვეთებს და კეფაზე აფშეკილ სველ თმას, როდესაც ის წყლიდან გამოდის და მუხლებზე ხელებშემოქდობილი ჩემს გვერდით ჯდება? რატომ ვიგონებ შარვლის ტოტებაკაპიწებულ ბიჭს თვითნაკეთები ბადით, რომელსაც სანია უხსნის, როგორ უნდა მიიტყუოს კიბოები ცეცხლითა და დამპალი ხორციით?

იმიტომ რომ გავიდა სულ სამი-ოთხი საათი და მთელი ჩვენი მშვენიერი ბანაობა, ნამძინარევი ტბა, რომელშიაც გარინდებული ნაპირები მოჩანს, ბიჭიც ბადით და კიდევ ათასი სხვა ფიქრები, გრძნობები, შთაბეჭდილებანი, — ყველაფერი ეს უეცრად სადღაც, ცხრა მთას იქით წავიდა და, როგორც შებრუნებულ დურბინდში, პატარად, უმნიშვნელოდ და დაუსრულებლად შორეული მომეჩვენა...

### თავი მესამე

#### „ბახსოვდეს, უენ ბწამს“

რომ შესაძლებელი ყოფილიყო დროის შეჩერება, შევაჩერებდი იმ წუთში, როდესაც ქალაქში გავვარდი და სანია ველარ ვიპოვე. რატომღაც ტრამვიდან ჩამოვედი ნევის პროსპექტზე და შევიჩერდი „გასტრონომის“ უშველებელ ფანჯარაში გამოკიდულ მთავარი

სარდლობის ცნობასთან. ზედ ფანჯრის წინ მდგომმა ცნობა წავიკითხე, მერე მოვტრიალდი, დავინახე სერიოზული, აღელვებული სახეები და უეცრად უცნაურმა გრძნობამ მომიცვა. ამას ვკითხულობდით უკვე სხვა რომელიღაც უცნობ ცხოვრებაში. უცნობ იდუმალ ცხოვრებაში იყო ეს საღამო, პირველი თბილი საღამო ზაფხულის განმავლობაში, ეს ტროტუარზე მიმავალი მკრთალი ჩრდილები; ისიც, რომ მზე ჯერ არ ჩასულიყო, აღმირალტების ზემოდან კი უკვე მთვარე იდგა. პირველად ამ ცხოვრებაში სიტყვები დაწერილი იყო დიდრონი ასოებით, ფანჯრის მთელ სიგანეზე. სულ ახალი და ახალი ხალხი მოდიოდა და კითხულობდა ამ სიტყვებს და, რაც უნდა გულით გდომოდათ, არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა.

როზალია ნაუმოვნამ გადმოძცა სანიას ბარათი და მე წამდაუწუმ ვიღებდი საფულედან და ვკითხულობდი:

„საყვარელო პირა-პოლეიკინ, — ნაჩქარევად იყო დაწერილი მისი ბლოკნოტის მოციხფრო ფურცელზე, — გიკრავ გულში. გახსოვდეს, შენა გწამს“.

ყირიმში რომ ვცხოვრობდით, ერთი ძალი გვეყავდა, პირატი, რომელიც სულ უკან დამდევდა, როცა კვლავსა ვრწყავდი. სანია დამკინოდა და ჩვენ ორივეს ერთად „პირა-პოლეიკინს“ გვეძახდა... „გახსოვდეს, შენ გწამს“, — ეს ჩემი სიტყვები იყო. როგორღაც ვუთხარი, შენი ცხოვრებისა მწამს-მეთქი. იგი შესანიშნავ გუნებაზე ყოფილა, აი, რაშია საქმე! ჩვენ არ გამოვმშვიდობებებვართ ერთმანეთს. იგი თერთმეტზე წავიდა ქალაქში. მე ველარ მივუსწარი, მაგრამ ამას არც კი ახსენებდა თავის ბარათში, ეს სულაც არ იყო მნიშვნელოვანი.

რალაციისთვის აგარაკზე დავბრუნდი, ღამე იქ გავატარე. იმ ღამეს, მგონი, თვალი არ მომიხუჭია და მაინც მეძინა, იმიტომ რომ უეცრად გამომეღვიძა. დაბნეულს, გულაფრიალებულს: „ომია. ველარაფერს შესცვლი“.

აედექი და ძიძა გავალვიძე.

— ბარგი უნდა ჩავალაგოთ, ძიძა, ხვალ მივდივართ.

— კვირაში ცხრა პარასკევი აქვთ! — მთქნარებით წაიბუზღუნა გაჯავრებულმა ძიძამ.

საწოლზე ნანძინარევი იჯდა, გრძელ თეთრ კერესში, და ბუზღუნებდა, მე კი კუთხიდან კუთხეში ბოლთასა ვცემდი და ყურს არ ვუგდებდი. მერე ფანჯარა გავალე. ნორჩი თხელი ტყე გარინდებულები, სიმშვიდითა და ბედნიერებით იყო მოცული იქაურობა.

დიდედამ გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და დამიძახა:

— რა იყო, კატია, რა დაგემართა? — მკითხა მკაცრად.

— დიდედა, ჩვენ ერთმანეთს არ გამოვმშვიდობებივართ! როგორ მოხდა, რომ ერთმანეთს ვერ გამოვეთხოვეთ!

იგი მიყურებდა და მკოცნიდა, მერე მოფარებით პირჯვარი გადამსახა. „კარგია, რომ არ გამოსთხოვებისხართ, — კარგი ნიშანია: ჩანს, მალე დაბრუნდება“, — მეუბნებოდა იგი, მე კი ვგრძნობდი, რომ ვტიროდი, რომ მეტი აღარ შემეძლო, ოღონდ რა არ შემეძლო, თვითონაც არ ვიცოდი...

პეტია საღამოს მატარებელს ჩამოჰყვა, შეწუხებული, დაღლილი, მაგრამ ბტიციე. ვინ პეტია და ვინ ასეთი სიმტიციე!

მისგან გავიგე პირველად, რომ ლენინგრადიდან ბავშვებს გაიყვანდნენ და რა უცნაურად მომეჩვენა, რომ უნდა წავიდეთ აგარაკიდან, სადაც ისე კარგად ვიყავით, სადაც მე და ძიძამ ყვაველები დაერგეთ. — მათიოლას და თამბაქოს პირველი ნაზი ყლორტები უკვე გამოჩნდა კვლებში. წავიყვანო პატარა პეტია ხალხით გაქედნილ ქუჩყიანი ვაგონით, სიცხეში, — მთელი ივნისი სიგრილე იყო, ამ დღეებში დაიწყო სიცხე-პაპანაქება, — და ისიც ლენინგრადში კი არა, უფრო შორს, სადღაც სხვა უცხო ქალაქში!

პეტია მითხრა, მხატვართა კავშირი ბავშვებს იაროსლავის ოლქში ჰგზავნის. პეტენკა და ნინა კაპიტონოვნა უკვე ჩასწერეს. ძიძის საქმე კი უფრო ძნელი მოსაგვარებელია — უნდა რამე ვიღონო.

ბარგი სწრაფად ჩაალაგა, სადღაც გაიქცა საზიდისათვის და ზევით ავიდა დიდედაჩემთან, რომელმაც გამოაცხადა — იაროსლავის ოლქში არ წაქალო. არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს და სწორედ იაროსლავის ოლქი რად ამოიჩემა დიდედაჩემმა. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ისინი ქვევით ჩამოვიდნენ, ძალიან კმაყოფილები ერთმანეთისა. დიდედამ მაშინვე დაიწყო ტომრებზე თასმების მიკერება და ღვარძლიანად მოჰყვა „სწავლული ძიძის“ მოქმედების კრიტიკას.

ჩემს გარდა, ყველა რაღაცას აკეთებდა. პატარა პეტკაც კი, რომელიც ფირფიცრის საბავშვო, ჩემოდანში საქმიანად ალაგებდა თავის სათამაშოებს და ცდილობდა ჯამბაზისთვის თავი მოეძრო, რადგანაც ჩემოდანში არ ეტეოდა.

დაღლილი, დათეთქვილი ვიჯექი გამგზავრების ამ არეულობისა და ალიაქოთის დროს და ბოლოს და ბოლოს იმას მოვესწარი, რომ პეტია მომიახლოვდა და ალერსიანად მითხრა:

— კატია, გენაცვალეთ, გონს მოდით!

არ გაიმბობთ, როგორ დავბრუნდით ლენინგრადში, როგორ

წამიყვანა პეტეამ მხატვართა კავშირში და ვილაცას უთხრა ჩემზე, ყველაფერი შეუძლიანო, და მაშინვე როგორ დამსვენს და რალაც გაუთავებელი სიები დამიწყევს წინ.

ნაბრძანები იყო, ბავშვები უდებდობდ და უძიძებოდ გაეგზავნათ. მთავარი ბრძოლა ამ დედებისა და ძიძების ირგვლივ იყო, რომლებსაც სიიდან შლიდნენ და მერე კი როგორღაც ისევე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე სიაში.

ალბათ მე მაინცდამაინც კარგად ვერ გავართვი თავი ამ საქმეს, იმიტომ რომ პატარა ტანის გაათორებულმა მხატვარმა ქალმა უეცრად ჩამომართვა ეს სიები და იმისაგან კი, უნდა ვიფიქროთ, არც ერთ დედასა და არც ერთ ძიძას ოდნავი შეწყალება არ მიუღია. ჩვენი ძიძა ერთ-ერთი პირველთაგანი ამოშალეს.

იაროსლავის ოლქი ჯერ კიდევ შესანარჩუნებელი იყო ქალაქის საბჭოში, ისევე როგორც სამგზავრო, და არა სატვირთო ვაგონები, ისევე როგორც ათასი სხვა რამ, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო, რადგანაც ყველაფერი, რაც ამ დღეებში ხდებოდა, წინათ არასოდეს არ მომხდარა.

ჩვენ მივდიოდით ქალაქის საბჭოში და სამხატვრო აკადემიის რეკტორთან, რათა ქალაქის საბჭოში დაერეკა, ვილებდით ნივთებსა და სურსათს სამგზავროდ, ვკერავდით ნომრიან სამკლავეებს და თავისთავად ისე გამოვიდა, რომ მეც ერთი იმ ქალთაგანი გავხდი, რომელთაც გამგზავრების ყველაფერი უნდა სცოდნოდათ და რომელთაც სხვები მიმართავდნენ.

გამგზავრება ხუთი ივლისისათვის იყო დანიშნული, მერე ექვსისათვის გადადეს. ახლა უცნაურად გვეჩვენება, რომ ეს დღევა და მზადება, ეს მწუხარება, გამოწვეული შეილებთან განშორებით, რომელიც, რაც დრო გადიოდა, ახლოვდებოდა და ბოლოს მთელი უზარმაზარი, ოთხმილიონიანი ქალაქი მოიცვა, სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა.

მატარებლის შემადგენლობამ დაიგვიანა და ბავშვები დიდხანს იდგნენ მოსაცდელ დარბაზში, უფროსების რიგებს შორის. ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ მშობლებს ხელი არ შეეშალათ ჩასხდომის დროს. მაგრამ რიგები დიდი ხანია აირია და დაქანცული, გასავათებელი, დაუშნობებული დედები დიდი ხანია უკვე თავიანთი შვილების გვერდით იდგნენ. ცხელოდა, ბავშვები წყალსა ძხოულობდნენ; უნდა დაგეყოლიებინათ, რომ მოეთმინათ. ამ ჩვენ გაჭირვებაში რაღა ეს მტვერი და ივლისის სიცხე-პაპანაქება გვინდოდა.

ბოლოს დაიძრნენ — ჯერ უფროსი მოსწავლეები, მერე უმცროსები, მერე სულ პატარები, ექვსი და შვიდი წლის ბავშვები. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მხნედ მიდიოდნენ. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, შეუძლებელი იყო უტრემლოდ გეჰქირათ, როგორ მიდიან ასეთი პატარები ზურგზე აკიდებული ტომრებით! მიდიან სადღაც — სად? ჯერ შინვე გუნება მიფუტქდებოდა, როდესაც ხელში პეტენკას ზურგჩანთა მხვდებოდა. ყველა დაიძრა, თავის ბავშვს გაჰყვა და მეც უკან გავყევი პეტისას, რომელიც ზასუქებულ ლაზათიან გოგონასთან ერთად მიდიოდა წყვილში. როგორც ყველა, მეც გავჩერდი შემოსასვლელ კარებთან, სადაც ქედვა იყო — ამას იქით მწობლებს აღარ უშვებდნენ. როგორც ყველამ, მეც თვალი გავაყოლე, ტუჩი ჩავიკვნიტე. რომ ტირილი შემეკავებინა. მერე საბარგო სადგურში გავიქეცი, რადგანაც ბარგი მოიტანეს და თვალყური უნდა გვედევნებინა, რომ ბავშვების ბარგი დიდების ბარგში არ არეულიყო.

მატარებელი ოთხ საათზე უნდა გასულიყო და ზუსტად დანიშნულ დროზე გავიდა. პეტამ უკანასკნელ წუთს მოიკრინა — მერე გავიგე, რომ რექტორთან ერთად სმოლნში ყოფილიყო. ბავშვი ფანჯრიდან მოაწოდეს, მან ხელში აიყვანა, სახით მიეკრა მის პატარა შავთმიან თავს და ცოტა ხანს ასე იღვა. დიდდამ ლელვა დაიწყო, მაშინ მან სწრაფად აკოცა ბავშვს და საჩქაროდ მიაწოდა...

ახლაც კი ვლელავ, როდესაც მაგონდება, როგორ მიემგზავრებოდნენ ბავშვები. სხვათა შორის, უფრო იმიტომ, რომ ძალა არა მყოფნის ყველაფერი გადმოგცეთ, თითქოს იმდენი გადავიტანეთ ომის წლებში, ისეთი უცნაური, არაჩვეულებრივი ძლიერი შთაბეჭდილებებით დაისერა გული და დარჩა შივ სამუდამოდ, მაგრამ ეს დღეები მაინც თითქოს ცალკე, მოშორებით დგანან ჩემს მოგონებაში...

## თავი მეოთხე

„უსათუოდ ვნახავთ ერთმანეთს, მაგრამ მაღე არა“

დიდდას დეპეშამ დიდხანს დაიგვიანა, თუმცა მხატვართა ფონდში ამბობდნენ, ეშელონი მშვიდობით ჩავიდა და იაროსლავლში ბავშვებს ყვავილებით შეხვდნენო. მაგრამ იაროსლავლიდან ისინი სადღაც გნილოი იარში უნდა წასულიყვნენ და მე რატომღაც მეგონა,

ბავშვები კარგად ვერ იქნებიან სოფელში, რომელსაც ასეთი საშინელი სახელი ჰქვია-მეთქი. კირასაგან სასოწარკვეთილებით სავსე წერილი მივიღე. ისიც სადღაც იყო ევაკუირებული ბავშვებითა და დედით. ვაღია მოსკოვში დარჩა. ეს იყო მათი პირველი განშრობა და, ჩემდა გასაოცრად, კირას ფაშისტების ყუმბარებისა კი არ ეშინოდა, რომელთაც, რა თქმა უნდა, სივცევ-ვრაჟეკებდაც შეეძლოთ ჩამოვარდნილიყვნენ, არამედ ვიღაც ქენია კოლპაჩისა, რომელიც ვაღიას გკურკურებოდა. წერილი სულ წაშლილ-წამომშლილი იყო: საწყალ კირას, ეტყობა, ეტირა და მე შემეცოდა, თუმცა სავსებით აშკარა იყო, რომ ომს იგი გამოესულელებინა.

სანია — აი, ვის გამო ვღელავდი ყველაზე მეტად. საშინელ სიზმრებს ვხედავდი. სიზმარში ვჯავრობდი მასზე. რად ვჯავრობდი? — იგი მისძენდა შუბლმეკრული, ფერმიხდილი და ძალზე დაქანცული...

ყოფილ კინო „ელიტის“ კანტორაში როზალია ნაუმოვნამ სანიტარული საგუშაგო მოაწყო და რაისაბჭოს თავდაცვის სამეულმა წინადადება მომცა, მედღად მემუშავა, რადგანაც როზალია ნაუმოვნამ უთხრა, „დიდი გამოცდილება აქვს ავადმყოფების მოვლაში“.

— ნუ დაგავიწყდებათ, ამხანაგო ტატარინოვა-გრიგორიევა, — საიდუმლოდ მითხრა ქალარა გულკეთილმა ექიმმა, თავდაცვის სამეულის წევრმა, — უარს თუ იტყვით, ჩვენ დაუყოვნებლივ სიმაგრეთა მშენებლობაზე გაგზავნით...

მუშაობა სიმაგრეებზე ან სანგრებზე, როგორც ლენინგრადში ამბობდნენ, უფრო მძიმე იყო, რასაკვირველია, ვიდრე მედღად მუშაობა, მაგრამ მე მადლობა გადავუხადე და უარი ვუთხარი.

ჩვენ ბანდისას წავედით და მთელი ღამე ტანკაწინააღმდეგო ორმოებს ვახრდიდით სრედნი როგატკის იქით. მაგარი, თიხნარი ნიადაგი შეგვხვდა და ჯერ წერაქვით უნდა დაგეფხეიერებინა, მერე ბარი გეხმარა. მე ლენინგრადის ერთ-ერთი გამომცემლობის ბრიგადაში მოვხვდი, რომელსაც უკვე ნაჩვენები ჰქონდა „პიტლერისათვის საფლავის თხრის“ მაღალი კლასი, როგორც ჩვენს გარშემო ხუმრობდნენ. აქ თითქმის მხოლოდ ქალები იყვნენ... მემანქანეები, კორექტორები, რედაქტორები. და მე გამიკვირდა, რომ ბევრ მათგანს რატომღაც მშვენივრად ეცვა. ერთ ღამეში სახის რედაქტორს ვკითხე. თხრილების სათხრელად ასეთ მშვენიერ კაბაში რად მოხვედით-მეთქი. გაეცინა და მითხრა: „რა ვქნა, უბრალო კაბა არა მაქვსო“. მე

ყოველთვის მანტერესებდა ეს წრე სულ სხვა სამყაროს ადამიანებისა — თეატრის, ლიტერატურის, ხელოვნების სამყაროსი. მაგრამ ახლა, ეტყობა, ხელოვნებისათვის არა სცალოდათ ამ ლამაზ, ინტელიგენტ ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც წერაქვეით აფხვიერებდნენ ქვასავით მაგარ, მუქ წითელ თიხას და მაშინაც კი, როდესაც ლაპარაკი ასეთ თემაზე ჩამოვარდებოდა — თეატრის უკანასკნელ პრემიერაზე ან იმაზე, რომ მხატვარს რ-ს ხელი არ უნდა მოეციდა „სილვას“ გაფორმებისათვის, — ამ ლაპარაკის დროსაც მწარედა გრძნობდნენ, რომ ომი იყო.

მე ერთ შევგვრემან რედაქტორ ქალთან ერთად ვმუშაობდი წყვილში და მან მითხრა, გუშინ გავისტუმრე ფრონტზე ქმარი და ორი ძმაო. უმცროსზე ძალიანა სწუხდა — სუსტია, ჯერ ისევე ბავშვი, ჩემი ქმარი ბევრს ეცადა, ბევრი უშალა, მაგრამ ვერ დააშლევინაო. მე ვუამბე სანიაზე და რამდენიმე ხანი ჩვენ გაჩუმებულები ვმუშაობდით. სანგრის ძირში საკაცეებს მიწაზე დგამდნენ. სხვა ქალები საკაცეზე თიხას ჰყრიდნენ, ჩვენ თიხა ზევით ამოგვქონდა და თხრილის დაქანებულ მხარეს ვცლიდით. მე არ მითქვამს მისთვის, რომ, რაც ომი დაიწყო, არაფერი ვიცოდი სანიასი. წინა დღით მისი რაზმის ერთ-ერთი მფრინავის დედას დაეუბრევე და მითხრა, რიბინსკიდან მივიღე წერილიო. შესაძლოა, სანიაც რიბინსკშია? ალბათ იქ ყალიბდება საფრენოსნო ნაწილი, მაგრამ ასევე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქიც შემეძლო მგონებოდა. ამის გარდა სხვა აღარაფერი შეიძლებოდა მცოდნოდა, სად არის იგი და რა დღეშია. რომ მოკვდეს, არ მეცოდინება, სად და როგორ მოკვდა. შესაძლებელია, იმ დროს მე თეატრში ვიყო, ან მეძინოს და არაფერსა ვგრძნობდე. ან ვინმესთან ვლაპარაკობდე და ვიცინოდე, როგორც ახლა, როდესაც ბრიგადირმა გვირჩია, ანგარიშმიუცემლად გვემუშავა, ესე იგი სხვა რამეზე გვეფიქრა. მე და შევგვრემანმა რედაქტორმა ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეცინა. ეს ჩინებული რჩევა იყო — ჩვენ კი რამდენი რამ გვქონდა საფიქრებელი.

ლამე შეუმჩნევლად გატყდა. ცისა და დედამიწის შუა უმოძრაოდ ჩამომდგარ მტრედისფერ ბინდბუნდში უეცრად განთიადის შუქი გამოკრთა. გრილმა სიომ მინდორს გადაურბინა და ბუჩქები ააშრიალა, რითაც საზენიტო იარაღები იყო შენიღბული. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ მის სხივებში შორს, ქალაქის ზემოდან, აიზიდნენ და მიიმალნენ მოვერცხლისფერო უზარმაზარი თევზების მსგავსი საპაერო გადაღობვის აეროსტატები.

გათენებამ რომ მოატანა, ყველანი ოდნავ გაფითრდნენ. ერთი ქალი ცუდად გახდა. მაგრამ მაინც ჩვენმა ბრიგადამ თავისი „გაკვეთილი“ სხვებზე აღრე დაამთავრა. წყალი მწყუროდა და ჩემმა ახალმა ამხანაგმა ბურახის დასალევად წამიყვანა. კარვები ძველ, უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესიის გარშემო იყო გაშლილი, ჩინ რიგში ჩავდექით და რედაქტორმა უეცრად მითხრა. სამრეკლოზე ავიდეთო...

ეს სისულელე იყო, ბეჭები მტკიოდა და, საერთოდ, ძალიან დავიღალე, მაგრამ მაინც უარი არ მითქვამს.

მიწაში ჩარქობილ საკაცეებს თვალი გავაყოლე, რომლებზედაც კედლის გაზეთი ეკიდა, და ჩვენი ნაკვეთი ვიპოვე; მას უკვე სხვა ხალხი უახლოვდებოდა. ნუთუ ასე ცოტა გავაკეთეთ? მაგრამ ეს ნაკვეთი ეძივნებოდა მეორეს, მეორე — მესამეს და ასე შორს, სადამდისაც კი თვალი მისწვდებოდა. ქალები თიხას აფხვიერებდნენ, ღრმა სამმეტრიან, ერთი მხრიდან შვეულ, მეორე მხრიდან დაღვერდებულ თხრილებში ბარითა ჰყრიდნენ, ურიკებით გამოჰქონდათ. მათ შორის ერთსაც ვერა ნახავდით, რომელსაც გულიანად არ გააცინებოდა, ერთი თვის წინათ რომ გეთქვით მისთვის, მიატოვებ სახლს, სამუშაოს, ღამე ქალაქგარეთ წახვალ, ტრიალ მინდორზე დაიწყებ მიწის თხრას და თხრილების, ბასტიონების და ტრანშეების აშენებასო. მაგრამ წამოვიდნენ და აი, თითქმის უკვე დამთავრებულია ეს გიგანტური სარტყლები, რომლებიც ქალაქს გარს უვლიან და წყდებიან მხოლოდ გზებთან, რომლებზედაც გადაჯვარედინებული რელსები აწყვიდა.

არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ის გრძნობა, როგორ ვუყურებდი უზარმაზარ, ნახევარ წრეებად დასერილ, ლენინგრადის მკრთალი მზით განათებულ საბრალო მინდორს.

შიშმა ამიტანა, როგორც ქარიშხლის წინ, რომელსაც ვერსად ვერ გაექცევი. მაგრამ რალაც ახალგაზრდულმა, მხარულმა გამბედაობამაც გაიღვიძა გულში.

შუადღისას სახლში დავბრუნდი და შესავალ კარებთან აღელვებულ როზალია ნაუმოვნას შევხვდი, რომელმაც მითხრა, ეს არის ახლა ვნახე ნევის ქუჩაზე, როგორ დაიქირეს ჯაშუშითო.

— ისეთი მსუქანი იყო, უღვაშებიანი — ნამდვილი გერმანული სიფათი ჰქონდა! ფუი! — და ზიზლით გადააფურთხა. — რა ბედნიერებაა, რომ ბერტა არ იყო ჩემთან ერთად. ჰკუაზე შეიშლებოდა! ბერტა ძალიან მშიშარა იყო.

მეორე სართულის დერეფანში ჩვენ გავჩერდით, რადგანაც როზალია ნაუმოვნამ იმის ჩვენება დაიწყო, თუ როგორ დაიპირეს ჯაშუში. ამ დროს კიბეებზე ვიღაც სამხედრო ჩექმების ბრახბარუხით ჩამოდოდა. ჯერ ჩვენამდის არ ჩამოსულიყო, რომ მოაჯირს გადმოეწოდა, ძირს ჩამოიხედა და მე ლური ვიცანი.

ლური შტურმანი იყო, სანიას ამხანაგი. ისინი ერთად მუშაობდნენ ჩრდილოეთში და, სადაც არ უნდა ემსახურა სანიას, ყოველთვის ამბობდა, ლური მაკლიაო. „ერთი შურკა მომცა აქ!“ მწერდა ესპანეთიდან. ლური ახალ მთვარესავით გამოჩნდებოდა ხოლმე ჩვენთან — მხიარული, ტრაბახა, წვერმოშვებული, იგი უცხოელს ჰგავდა.

— კატერინა ივანოვნა! — მკვირცხლად მომცა სამხედრო სალა-  
მი. — ვარახუნე, ვრეკე, იმედი დავკარგე და წერილი ყუთში ჩავაგდე.

— სანიას წერილია?

— დიახ.

და ასევე მკვირცხლად მისცა სალამი როზალია ნაუმოვნას.

მან გვითხრა, სამწუხაროდ, ზუსტად თხუთმეტი წუთითა ვარ თავისუფალიო, და მე არ დავიწყე მასთან სანიას წერილის კითხვა, მხოლოდ დავხედე და ერთი წინადადება ბოლოში თავისთავად მომხვდა თვალში: „უსათუოდ ვნახავთ ერთმანეთს, მაგრამ მალე არა!“

— საიდან ჩამოხვედით? არმიაში ხართ? ლენინგრადში? სანია  
სად არის?

ლური არმიაში იყო, ლენინგრადში. ამ ორ კითხვაზე პასუხის მო-  
ცემა არ გასძნელებია, მაგრამ მე კიდევ ერთხელ დაჟინებით ვკითხე:

— სანია სად არის?

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მან გარკვეულად მითხრა:

— პოლკშია.

— თქვენ არ გინდათ მითხრათ, სად არის, არა? მაგრამ კარგად  
არის?

— ხიშტივით, — სიცილით თქვა ლურიმ.

როზალია ნაუმოვნა ყავის დასადგმელად გაიქცა, თუმცა ლურიმ  
გაიმეორა და პატიოსნებაც კი დაიფიცა, რომ „მხოლოდ თხუთმეტი  
წუთი დრო მაქვსო“. ჩვენ მარტონი დავრჩით და მე ვათქმევინე, რომ  
სადაც — კარგად არც კი ვიცი სად — ყალიბდება საგანგებო და-  
ნიშნულების პოლკი, ძირითადად სამოქალაქო საჭაერო ფლოტის

მფრინავთა შემადგენლობისაგან, ათასნახევარი — ორი ათას საათიანი ფრენით, და რომ ახლა ყველანი ეჩვევიან ახალ მანქანებზე ფრენასო.

რალაცამ ცივად დამიარა გულში, როდესაც ეს სიტყვები გავიგონე: „საგანგებო დანიშნულების პოლკი“, — მაგრამ გამოკითხვა არ დამიწყია. რა პოლკი იყო, — სულ ერთია, ლური არ მეტყოდა. მე მხოლოდ ვკითხე, დიდხანს დასჭირდება სანიას გადამზადება-მეთქი? და ლური კვლავ დაფიქრდა და შემდეგ მიპასუხა: დიდხანს არ დასჭირდებაო. იგი ყველაფერზე დაფიქრების შემდეგ მაძლევდა პასუხს, წუხილი დაჰკრავდა მის უდარდელ კილოს.

რამდენიმე სიტყვა მივწერე სანიას და ლური წავიდა. კარებში როზალია ნაუმოვნას შეეჩეხა და დაჰპირდა, კიდევ შემოვივლიო, „თუ ეს შესაძლებელი იქნება“. ჩვენ კიდევ რამდენიმე წუთი შევჩერდით ღია კარებთან. გამომშვიდობების დროს უეცრად ერთმანეთს გადავეხვიეთ და მაგრად ვაკოცეთ...

წერილი სევდიანი იყო, თუმცა ამას ჩემს მეტი ვერავინ შეატყობდა.

სანია მეკითხებოდა პეტიაზე — დიდზე და პატარაზე, და მირჩევდა, ბიჭუნა დაუყოვნებლივ გამეყვანა ლენინგრადიდან

„კარგი იქნებოდა ენსკში წაგეყვანა, მოხუცებთან!“ მაგრამ აქვე სწუხდა მოსამართლესა და და დეიდა დაშაზე და შეიძლებოდა გაგეგოთ ერთი ფრთხილი წინადადებიდან, რომ ენსკი დაბომბეს, თუმცა ის ჯერ ძალიან შორს იყო ფრონტის ხაზიდან, ერთი სიტყვიერ, სანიამ რალაც იცოდა, რალაც ცუდი. აი, რატომ იწერდა, „უსათუოდ ვნახავთ ერთმანეთს, მაგრამ მალე არა“.

ჰო, მალე არა. მძიმე დღეები დგება. მე დავდიოდი და ვცდილობდი, პარკეტის მუქ კვადრატებზე დამედგა ფეხი. როდესაც ფანჯრისაკენ მივდიოდი, ერთი მწკრივი იყო მუქი, ხოლო უკან რომ წამოვიდოდი — მეორე.

საგანგებო დანიშნულების პოლკი — „მერე რა ჟრუანტელმა დაგიარა“. ეს გულს ვუთხარი, რომელსაც კვლავ რალაც მოუვიდა, როცა მე ხმამალა გავიმეორე ეს სიტყვები: „იგი ესპანეთში იყო და დაბრუნდა. საჭიროა მხოლოდ ხშირად ვწერო, რომ მე მწამს“.

აი, როდის ვიგრძენი, რომ საშინლად დავიღალე. დავწექი, თვალები დავხუჭე და მაშინვე ყველაფერი აირია: ქალები, რომლებიც მაგარი თიხით დატვირთულ მძიმე საკაცეებს იღებდნენ; ურიკები,

რომელიც ნელა მიგორავდნენ ფიცრებზე; მზე, რომელიც ფანჯრის მუქწითელ გადანაჭერში ბრწყინავდა.

მერე საიდანღაც შემოიქრა შუქი, მკრთალი და გვიანი, თეთრი ღამის შემდეგ. ყველაფერი გაუფერულდა, გაქრა და მე ვიგრძენი, რომ ვიძინებ. ყველაფერი კარგად იყო, ძალიან კარგად, მხოლოდ მინდოდა, რომ არა ყოფილიყო ეს მკმუნვარე ხანგრძლივი კენესა თუ სიმღერა, რომელიც ვილაცამ ჩემს ზურგს უკან დაიწყო...

— კატია, განგაშია!

როზალია ნაუმოვნა მანჯღრევს.

— ადექით, განგაშია!

...ივლისის ბოლოს ნევის პროსპექტზე ვარია ტროფიმოვა შემხვდა, ცოლი ერთი მფრინავის — საბჭოთა კავშირის გამირისა, რომელთანაც ერთად მუშაობდა სანია „სპეცგამოყენების“ ავიაციაში. ოდესღაც მე და ეს ვარია ჩვენს ქმრებთან მივემგზავრებოდით ხოლმე სარატოვში და ჯერ ისევ მაშინ, მახსოვს, გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ იგი კბილის ექიმაა.

მაღალი, დაუღაჟა, ღონიერი ქალი იყო. მტკიცე ნაბიჯით იყო და სიარული. რალაცათი კირას მაგონებდა. მეტადრე, როდესაც ხმამაღლა იცინოდა და მოგძო, ლამაზ კბილებს აჩენდა.

— ჩემი გრიშა კი, — ამოიოხრა მან, — ბერლინსა ბომბავს, წაიკითხეთ?

ჩვენ მუსაიფი გავაბით და მან სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობა შემომთავაზა.

მე ჩავფიქრდი და ვარიამ მაშინვე მითხრა: ჯერ უნდა გაეცნოთ, როგორი სამუშაოა, თორემ მე ერთ ქალს გავუკეთე რეკომენდაცია, იმან კი ორი დღე წაიმუშავა და წავიდა: თურმე ნუ იტყვი, სუნი არ მოეწონაო.

„დამოჩვენებს“ ვარია ვერ იტანდა, — ეს მახსოვდა ჯერ ისევ სარატოვში მგზავრობის დროიდან.

უნდა ვთქვა, რომ სუნი მართლაც აუტანელი იყო და ეს მაშინვე ვიგრძენი, ფეხი შევდგი თუ არა დერეფანში, რომლის ორივე მხარეზე პალატები იყო. ისეთი სუნი იდგა, რომ მაშინვე გულზე შემომავწვა და სულ გულზე მეხვეოდა, ვიდრე ვარია ტროფიმოვა მაცნობდა სხვა მედლებს, რენტგენოლოგს, მთავარი ექიმის ცოლს და კიდევ სხვებს...

აქ იწვნენ სახეში დაქრილები. ის იყო მივედი, რომ ერთი ახალგაზრდა მოიყვანეს, მთელი სახე ნალმისაგან ჰქონდა დაგლეჯილი...

და ამ ხალხის მოვლის დროს, — ეს მე გავიგე მუშაობის მეორე თუ მესამე დღეს, — საჭირო იყო გამუდმებით გერწმუნებინათ ისინი, რომ ეს არაფერს არა ნიშნავს, რომ არაფერია, ნაიარვეი არ დარჩება, რომ საჭიროა მხოლოდ მოთმენა და თითქმის არაფერი არ დააჩნდება. მერე საველე ქირურგიის კლინიკაშიც მომიხდა მუშაობა, მაგრამ იქ არ იყო ეს იდუმალი, მაგრამ ყოველ სიტყვაში გამოძკრთალი შიში სიმახინჯისა, ის თავზარს არა სცემდა, როდესაც ადამიანი პირველად შეხედავდა ხოლმე თავის დამახინჯებულ სახეს, დაუსრულებლად არ იდგნენ სარკის წინ ჰოსპიტლადან გამოწერის წინადღით, არ იყო ეს უმწეო ცდა — თავის დაშნოიანების და გალამაზებისა...

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სულაც არ ვიყავით არაგულწრფელნი, როდესაც ვარწმუნებდით, „არაფერი შეგეტყობათ“. წინათ არც კი მიფიქრია, თუ შეიძლებოდა, მაგალითად, ახალი ცხვირის გაკეთება, ან სახეზე ახალი ტყავის ნაჭრის დაკერება. რამდენჯერ მომხდარა, რომ პირველ შეხვევებზე პირდაპირ გზარავდა დაქრილის შეხედვა, ორი-სამი თვის შემდეგ კი იგი ბრუნდებოდა თავის ნაწილში ოდნავ შესამჩნევი ნაიარვეით, რომელსაც თითქოს სამუდამოდ უნდა დაემახინჯებინა ადამიანი.

ძალიან მიჭირდა სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობა, მეტადრე პირველ ხანებში. მაგრამ მიხაროდა, რომ მიჭირდა და რომ საჭირო იყო ამეწონ-დამეწონა ყოველი სიტყვა. მახარებდა, რომ სრულად დამშვიდებულად უნდა მქეროდა თავი, მაშინაც კი, როდესაც გულზე მძიმე ლოდი მაწვა.

პეტიას ნაწილი უნივერსიტეტის სანაპიროზე იდგა. ბავშვების წასვლის შემდეგ იგი მაშინვე სახალხო ლაშქარში ჩაეწერა. თავისუფალ დროს მასთან შევირბენდი ხოლმე. პარაპეტთან დახერგილ ძელებზე ვისხედით ან დავსვირნობდით ფილოლოგიური ინსტიტუტიდან სფინქსებამდე. სხვა ძეგლები უკვე აღებული იყო, ან ქვიშიანი ტომრები ჰქონდათ მიყრილი. სფინქსები კი რატომღაც იაეე ისე იწვნენ, როგორც დიდი ხნის წინათ, მშვიდობიან დროს, 1941 წლის 22 ივნისამდე. ისინი გულგრილად მისჩერებოდნენ ადამიანთა მთელ ამ მოსაწყენ გაწამაწიას, იწვნენ ნევის ნაპირზე ფართოდ გახლილი თვალებით და მედიდური თათებით. პეტია კეთილი და ეშმაკური იერით უყურებდა ხოლმე სფინქსებს.

— ასეთი თათი გამაყეთებინა და მერე გინდა მომკლა, — მითხრა ერთხელ და გრძელი საიხტერესო საუბარი გამიბა, თუ რატომ არის ეს თათი გენიალური.

მე და როზალია ნაუმოვნამ თეთრეული დაუუკერეთ, მაგრამ არაფერი არ წაულა. თუმც თეთრეული, რომელიც ბატალიონში მიიღო, ბევრად უფრო ცუდი იყო. საერთოდ, ძალიან ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გამხდარიყო ნამდვილი ჯარისკაცი.

## თავი მხუთე

### ძ მ ა

წინაღლით მასთან ვიყავი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩანს, ბრძანება ღამე მიიღეს. მორიგე ვიყავი. როზალია ნაუმოვნამ გამოძახა და მითხრა, პეტამ სახლში დარეკა და გთხოვა შეიაროო. თუ შესაძლებელია, დაუყოვნებლივ, თუ არადა, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს შუადღისაო. ჩემი მორიგეობა სწორედ შუადღისას თავდებოდა, მაგრამ განთავისუფლება ვითხოვე: ვარია ტროფიმოვამ შემცვალა და ჯერ ათი არ იყო, რომ მე უკვე ფილოლოგიის ინსტიტუტთან გაეჩნდი. დაუძახე ნაცნობ მებრძოლს პეტის ბატალიონიდან, რომელიც ფანჯარაში გამოჩნდა.

— სკოვოროდნიკოვი? ახლავე დაუძახებ როგორმე...

პეტია საჩქაროდ გამოვიდა ალაყაფის კარებიდან, ჩვენ ერთმანეთს მივესალმეთ და სანაპიროთი წავედით სფინქსებისაკენ.

— კატია, ჩვენ დღეს მივდივართ. — თქვა მან, — მე ძალიან მიხარია.

იგი გაჩუმდა. აღელვებული იყო.

— არავის არ ეგონა. ამ დღეებში სასწავლო ლაშქრობაში უნდა წავსულიყავით. მაგრამ, ჩანს, მდგომარეობა შეიცვალა.

მე თავი დავუქნიე. დაკრილები უკანასკნელ დროს ლუგის მისადგომებიდან მოჰყავდათ — ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ მდგომარეობა შეიცვალა.

— წერილები დაეწერე, — განაგრძო მან და ჩანთის ქექვა დაიწყო. — მინდოდა, თქვენთვის მეთხოვა... აი, ამას ნუ გაგზავნით. დაუბეჭდავი მისამართდაუწერელი კონვერტი ამოიღო და გამომიწოდა.

— ეს პეტიასია, გადაეცით, თუ მე...

უნდოდა ეთქვა „მომკლავენ“, ტუჩებიც კი მოამზადა ამის სათქმელად, მაგრამ უეცრად ბავშვივით გაელიშა.

— რასაკვირველია, ახლა არ მისცემთ, — ასე, ათი წლის შემდეგ.

— სანია თავისდღეში არ დაიწყებდა ასეთი წერილების წერას.

— მას შვილი არა ჰყავს.

ალბათ ოდნავ შემიტოკდა სახე, იმიტომ რომ შეეშინდა, იფიქრა ვაწყენინეო... ჩვენ გავჩერდით და მან ხელი მაგრად დამიჭირა:

— სანიას საქმე როგორღაა? სად არის?

— არ ვიცი.

— მივწერე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია! სულ ერთია, იგი ცოცხალია და არც არაფერი მოუვა.

— რატომ?

პატარა ხანს სდუმდა.

— მწამს, რომ არაფერი მოუვა. გახსოვთ, იგი ამბობდა: „ცა არ მიღალატებს. მიწისა კი რა მოგახსენოთ“.

მართლაც ასე ამბობდა სანია, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, ახლა კი, ომის დროს, რაღაც უაზროდ გაისმა ეს სიტყვები.

— ეს კი მამაჩემისაა, — პეტიამ ჩანთიდან მეორე წერილი ამოიღო, — თუ ცოცხალია. ხედავთ, სულ ისეთი წერილებია, რომ ფოსტით ვერ გაგზავნი. — დაუმატა მწარედ, — ჩემ ნამუშევარს რუსულ მუზეუმში წაიღებენ. უკვე მოველაპარაკე.

ხელებიც კი გავასავესავე.

— ოჰ, არა, ეს უბრალოდ, ისე, — საჩქაროდ თქვა პეტიამ. — იმიტომ კი არა, რომ მართლაც მომკლავენ! ისე, უბრალოდ. კოსტოჩკინიც ასე მოიქცა, ლიფშიციც და ნაზაროვიც.

ესენი მხატვრები იყვნენ.

— ვინ იცის, ვის რა მოელის... მე კი არა, ღმერთო ჩემო, — დაუმატა უკვე მოუთმენლად. — ან როგორა გგონიათ, მოსკოვსა ბომბავენ და ლენინგრადს ხელს არ ახლებენ?

მე ეს არ მეგონა, მაგრამ პეტიას ისეთი თადარიგი დაეჭირა თავისი საქმეებისა, თითქოს გულის სიღრმეში დაბრუნების იმედი არცა ჰქონდა.

— ჯერ ისევ გგონია, თითქოს ჩვენ ჩვენთვისა ვართ, ომი კი თავისთვის, — ჩაფიქრებულმა თქვა მან, — სინამდვილეში კი...

ბოლოს თავისი საათის მოჩეჩება დამიწყო, მაგრამ აქ უკვე

გულს მომივიდა და ისეთი ლანძღვა დავუწყე, რომ გაეცინა და საათი უკანვე წაიღო.

— ახირებული ქალი ხართ, მე ხომ ახალი მომცეს, კომპასით, — თქვა მან. — იცი, კატია, მე ვინა ვარ? უმცროსი ლეიტენანტი, — გთხოვთ, ნუ მეხუმრებით!

არ ვიცი, როდის მოასწრო უმცროსი ლეიტენანტობის მიღება, სულ რაღაც ერთი თვე გავიდა, რაც არმიაში იყო. მაგრამ თქვა, რომ ჯერ ისევ აკადემიაში გავიარე კურსი და სათადარიგო მეთაურად ვითვლებოდით.

ჩვენ სფინქსებამდის მივედით და, როგორც ყოველთვის, იმ ადგილთან შევჩერდით, სადაც რატომღაც აღებული იყო პარაპეტი და დამტკრეული მოაჯირის ნაწილი ქანაობდა. პეტეამ ამოიოხრა და სფინქსებს მიაჩერდა — ეთხოვებოდა? თავი მალლა აეღო, აწოწილი იდგა და რაღაც არწივისებური იყო ამ გამხდარ პროფილში, ამაყად დახრილ თვალებში. „სიკვდილი არაფრად მიაჩნდა“, როგორც მიაშობოდა მერე, კარგა ხნის შემდეგ, მისი ბატალიონის მეთაური. საოცარია. მაგრამ სწორედ ამ დღეს, როდესაც პეტეას ვეთხოვებოდი, ვიგრძენი ეს სიამაყე — ეს სიკვდილის არაფრად ჩაგდება.

მან იცოდა, რომ პეტენკას ყოველთვის შვილად ვთვლიდი. მაგრამ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა მეთქვა ეს ყველანაირი სიტყვებით. განშორებისას უსათუოდ ყველა სიტყვები უნდა უთხრა — სხვისი არ ვიცი, და მე კი დრო იყო მცოდნოდა ეს! მაგრამ რატომღაც არაფერი ვუთხარი და, როგორც კი შინ დავბრუნდი, მაშინვე ვინანე.

მან კვლავ დამიპირა ხელები, ხელებზე მაკოცა. ჩვენ მაგრად გადავეხვიეთ ერთმანეთს, მან ოღნავ გასაგონად მითხრა:

— დაო...

ინსტიტუტამდე მივაცილე და, თუმც უძილო დამის შემდეგ დაღლილი ვიყავი, მაინც ფეხით წამოვედი პეტროგრადის ქუჩაზე.

ცხელოდა, როსტრალის სვეტებთან ახალი ასფალტი დულდა და ფეხქვეშ იზილებოდა. ორჩხომელებიდან, რომლებიც ბირჟის ხიდის იქიდან იდგნენ, ოღნავ სცემდა ფისის სუნი და მშვენიერი, ფართოდ გაშლილი ნევა კი არ მოდიოდა — დიდებულად მოედინებოდა, გატოტვილი ასეთსავე ორ, მშვენიერ, ფართო ნევად, სწორედ იქ, სადაც ყველაზე მომხიბლავი ადგილი იყო. უცნაური და წარმოუდგენელი გეჩვენებოდათ ფიქრი იმაზე, რომ აქედან ასი

კილომეტრის მანძილზე ოფლში გაწუწული ფაშისტი სალდათები მხეცებივით გაცოფებულები მოიწევენ ამ შენობებისაკენ, ნეის ამ ზაფხულის საზეიმო ელვარებისაკენ, სასახლისა და ბირჟის ხიდებს შუა ამ ახალი გაშენებული ბალისაკენ.

მაგრამ ჯერ ისევ სიწყნარე და სიმშვიდე იყო გარშემო. ბაღში ბავშვები თამაშობდნენ. მოხუცი დარაჯი, ლითონის წყვლით ხელში, ბილიკზე მიდიოდა და ხანგამოშვებით შეჩერდებოდა ზოლზე წყვლის წვეტით ქალაღის ასაღებად.

## თავი მეთხმე

### ახლა ჩვენ თანასწორნი ვართ

როგორც წინათ მახსოვდა რიცხვებით ჩემი და სანიას შეხვედრები, ასევე ახლაც დამახსოვდა და, მგონი, სამუდამოდაც ის დღეები, როდესაც მისგან წერილებს ვიღებდი. მეორე წერილი, თუ არ ჩავთვლით ბარათს, რომელშიაც ის „პირა-პოლეიკინს“ მიწოდებდა, 7 აგვისტოს მივიღე! 7 აგვისტოს, ეს დღე მერე დიდხანს მესიზმრებოდა, მას ვხედავდი იმ მტანჯველ სიზმრებში, რომელთა გამო ჩემს თავზე ვჯავრდებოდი, — თითქოს შეიძლებოდეს სიზმრების გამო გაჯავრდეს ადამიანი.

იმ ღამეს ჰოსპიტალში არ დავრჩენილვარ, შინ მეძინა. დილით ადრე წავედი როზალია ნაუმოვნას მოსაძებნად, რადგანაც ბინაში არავინ რჩებოდა. მე ის ეზოში ვიპოვე, წინ სამი ბიჭი ედგა და საღებავის გახსნას ასწავლიდა.

— ძალიან სკლად გახსნილი ისევე ცუდია, როგორც თხლად გახსნილი. — ეუბნებოდა იგი. — ფიცარი სად არის? ვორობიოვო, ნუ იჩქებები... სცადეთ ფიცრებზე, ოღონდ ყველამ ერთად არა.

უნებურად მეც საქმიანი კილოთი დამიწყო ლაპარაკი.

— ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიება: სხვენებისა და ნაგებობათა სხვა ფიცრული ნაწილების შეღებვა. ცეცხლგამძლე შემადგენლობა. ბავშვებს შეღებვას ეასწავლი.

— როზალია ნაუმოვნა, — მივმართე მორიდებით, — თქვენ გვიან დაბრუნდებით შინ? უნდა დამირეკონ.

მე ველოდებოდი, რომ რუსული მუზეუმიდან დამირეკავდნენ. პეტრის ნახატები დიდი ხანია ჩალაგებული და ზეკრული მქონდა, მაგ-

რამ წასაღებად რატომღაც არავისა გზავნიდნენ.

— ერთი საათის შემდეგ ბავშვებს სხვენზე ავიყვან, გაკვეთილს მივცემ და მერე თავისუფალი ვიქნები. კატია! ეს რა მომივიდა! — თქვა მან ცოცხლად და ხელი ხელს შემოჰკრა. — თქვენი წერილია, წერილი! ხელები საღებავით მაქვს დასვრილი, თქვენ თვითონ ამოიღეთ!

ჯიბეში ხელი ჩავუყავი და სანიას წერილი ამოვიღე...

როგორც ყოველთვის, ჯერ გადავათვალიერე, რომ ჩქარა გამეგო, ხომ არაფერი მოსვლია და ხომ კარგად არის-მეთქი. მერე კიდევ ერთხელ გადავიკითხე, — უკვე ნელა, თითოეულ სიტყვას ჩაკვირკიტებლი.

„გრიშა ტროფიმოვი არ გახსოვს? — მწერდა ბოლოში, გამოთხოვებისას. — ოდესღაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით, ერთად ვაფრქვევდით ტბებს პარიზის იწვანეს. გუშინ დავპარხეთ“.

კარგად არ მახსოვდა გრიშა ტროფიმოვი, სულ ახალი ჩასული ვიყავი სარატოვში, როცა იგი საღდაც გაფრინდა, არც კი ვიცოდი, რომ ის სანიასთან ერთად იყო პოლკში. მაგრამ ვარია, უბედური ვარია წამში დამიდგა თვალწინ, წერილი ხელიდან გამივარდა და ფურცლები აქეთ-იქით გაფრიალდა.

... ჰოსპიტალში წასვლის დრო იყო, მაგრამ მე რატომღაც სახლში წავყვილდი და სულ მთლად დამავიწყდა, რომ ბინის გასაღები როზალია ნაუბოვნას მივეცი. კიბეზე „სწავლული ძიძა“ შემხვდა და მაშინვე ჩივილი დაიწყო, ვერა და ვერ მოვეწყვეო: არავის ვუნდივარ, რადგანაც „საქმელი არა ჰყოფნით“ და ერთმა შინამოსამსახურემ მწვანე ნარგავების ტრესტში დაიწყო მუშაობა. მე კი, აბა, საღ შემიძლია ამდენიო, და ასე შემდეგ. ვუსმენდი და ვფიქრობდი: „ვარია, საცოდავი ვარია“.

ჰოსპიტალში მივედი, მაგრამ „სტომატოლოგიაში“ არ შევსულვარ, საღაც ვარიას შეეძლო ვენახე, კვლავ გადავიკითხე წერილი და უეცრად გავიფიქრე, რომ წინათ სანია არასოდეს არა მწერდა ასეთ წერილებს. მომაგონდა, ერთხელ როგორ დაბრუნდა ყირიმში გაფითრებული, დაღლილი და თქვა, სიცხისაგან მთელი დღე თავი მისკდებაო. დილით კი შტურმანის ცოლმა მითხრა: თვითმფრინავს ჰაერში ცეცხლი წაჰკიდებია და ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავით დაშვებულან, რომელზედაც ბომბები იყო. მე სანიასთან გავიქეცი. სანიას გაეცინა:

— ეგ სიზმარში გინახავს.

სანიამ, რომელიც ყოველთვის მიფრთხილდებოდა, რომელსაც შეგნებულად არ უხდოდა გაეზიარებინა ჩემთვის თავისი პროფესიული ცხოვრების საშიშროება, უეცრად მომწერა — და ისიც ასე დაწვრილებით — თავისი ამხანაგის დალუპვის ამბავი. ტროფიმოვის საფლავიც კი ამიწერა. სანიამ ამიწერა საფლავი!

„შუაში ჩვენ აუფეთქებელი ნაღმები ჩავაწყვეთ, მერე მსხვილი სტაბილიზატორები ყვაილებივით შემოვუწყვეთ, მერე უფრო პატარები და რკინის ყვაილების კვალივით გამოვიდა“.

არ ვიცი, შეიძლება ეს მეტად რთული რამ იყო, — ტყუილად კი არ მეუბნებოდა ოდესღაც ივან პავლიჩი, შენ სანია მეტად რთული ბუნებისა გგონიაო, — „მაგრამ ჩვენ ახლა თანასწორნი ვართ“. — აი, როგორ გავიგე მისი წერილი, თუმცა ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. „შენ ყველაფერს უნდა ელოდე — მე უკვე აღარაფერს გიმაღავ“.

ხალათების კარადა „სტომატოლოგიურში“ იდგა, მე საჩქაროდ ჩავიციე ხალათი, კიბეზე გამოვედი და თითქმის პალატამდის ვიყავი მისული, რომ ვარიას ხმა გავიგონე.

— თქვენ თვითონ უნდა გაუკეთოთ, თუ ავადმყოფს ჯერ არ შეუძლია, — გაჯავრებით თქვა მან.

იგი ტუქსავდა დას იმისათვის, რომ მან ავადმყოფს არ გამოურეცხა პირი წყალბადის ჟანგით. ისევე მტკიცედ ლაპარაკობდა, როგორც გუშინ და გუშინწინ, და იგივე ენერგიული. ოდნავ მამაკაცური ჩვეულება, როდესაც ჯერ განკარგულების მიცემა არ დაუშთავრებია და პალატიდან გამოდის. მე მას შევხედე. იგივე, იგივე ვარიას! არაფერი არ იცის. მისთვის ჯერ არაფერი არ მომხდარა.

ვუთხრა ქმრის დალუპვის ამბავი? თუ არაფერი არ არის საჭირო. უბრალოდ, ერთ უბედურ დღეს მოუვა ცნობა — „დაიღუპა ბრძოლაში სამშობლოსათვის“, — როგორც მოსდით ასობით და ათასობით რუსის ქალებს. ჯერ არ დაიჯერებს, გული იუარებს, მერე დატყვევებული ჩიტივით აფრთხილდება, — ვერსად წაუხვალ, ვერ დაემალეები. მწუხარებას უნდა გაუძლო.

თვალებდახრილმა რამდენჯერმე გავიარე კაბინეტის წინ, რომელშიაც ვარია მუშაობდა, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე მის წინაშე, მაგრამ რაში — თვითონაც არ ვიცოდი.

ეს დღე ძალიან გაჭიანურდა, დაჭრილები სულ მოჰყავდათ და მოჰყავდათ. ბოლოს პალატებში ადგილი აღარ ეყოთ და უფროსმა

დამ მთავარ ექიმთან გამგზავნა საკითხავად, შეიძლებოდა თუ არა რამდენიმე საწოლი დერეფანში დაგვედგა.

მე დავეაკუნე კაბინეტის კარებზე ჯერ ნელა, მერე უფრო მაგრა. პასუხს არავინ მაძლევდა. კარები შევალე და ვარია დავინახე.

მთავარი ექიმი არ იყო, ალბათ ვარია მას უცდიდა. ფანჯარასთან იდგა, ბეჭებში ოდნავ მოხრილი. თითებით მაგრად და მონოტონურად აკაუნებდა მინაზე.

არ მობრუნებულა, არ გაუგია, როგორ შევედი, ვერა მხედავდა, რომ კარებში ვიდექი. ფრთხილად ერთი ნაბიჯი გადადგა ფანჯრის გასწვრივ და რამდენიმეჯერ მაგრად მიახალა თავი კედელს.

ჩენს სიცოცხლეში პირველად ვნახე, თავს კედელს როგორ ახლიან. შუბლს კი არ ახლიდა, არამედ როგორღაც გვერდიდან არტყამდა თავს, ალბათ იმიტომ, რომ უფრო მეტად სტკენოდა, და კი არა ტიროდა, ისეთი გამომეტყველებით ახლიდა, თითქოს რაღაც საქმეს აკეთებდა. თმა ერხეოდა. უეცრად მკლავები გაშალა და სახით კედელს მიეკრო.

მან ყველაფერი იცოდა! მთელი ეს მძიმე, დამალავი დღე, როდესაც სასწრაფო ოპერაციების გადადება კი მოგვიხდა, რაკი მიღებაზე ხალხი არა გვეოფნიდა; როდესაც ავადმყოფები არ ვიცოდით სად დაგვეწვინა; როცა ყველა ნერვიულობდა და ღელავდა, — მარტო იგი მუშაობდა ისე, თითქოს არაფერი მომხდარაო, პირველ პალატაში ლაპარაკს ასწავლიდა: რთ საცოდავ ბიჭს, რომელიც ენაგამოწეული იწვა, — და, კი იცოდა! დიდხანს გაბმული ხმით ტუქსავდა მზარეულს, იმიტომ რომ კარტოფილი კარგად არ გაეხეხათ და მილებში ეცობოდა, — და იცოდა კი! — ხან ერთ და ხან მეორე პალატაში ისმოდა მისი გაჯავრებული, მტკიცე ხმა. ვერც ერთი ადამიანი ქვეყანაზე ვერ მიხვდებოდა, რომ მან ყველაფერი იცოდა.

## თავი მეშვიდე

„ეპატარინა ივანოვნა ტატარინოვა —  
გრიგორიევას“

სულ უფრო ხშირად ვრჩებოდი დამე ჰოსპიტალში. მერე ორი-სამი დღე-ღამით ვრჩებოდი. ბოლოს მხოლოდ მაშინ მოვდიოდი სახლში, როდესაც როზალია ნაუმოვნა მთხოვდა.

— კატია, როგორღაც მომწყინდა უთქვენოდ, — მეტყოდა ზოლმე.

„მომწყინდა“ ეს იმას ნიშნავდა, რომ კვლავ არ იცოდა, რა ექნა ბერტასათვის, რომელიც შიშით შეპყრობილი აღარც კი ლაპარაკობდა, რიგებშიც აღარ დადიოდა, მთელი დღეობით დივანზე იწვა და, რაც მთავარია, თითქმის სულ აპკვეთა ჭამა.

მის თავს კარგი ამბავი არ იყო და მე ვურჩევდი როზალია ნაუმოვნას, ბერტა დაუყოვნებლივ გაეყვანა ლენინგრადიდან. მაგრამ როზალია ნაუმოვნას მისი მარტო გაშვებისა ეშინოდა, თვითონ კი წასვლაზე გაგონებაც არ უნდოდა.

...დაყურსებული და დაცარიელებული იყო ჩვენი ბინა. შუქის ვიწრო ზოლები გაწოლილიყო ავეჯზე, იატაკზე, — მზე მიხურული დარბაზების ქუქრუტანებში ატანდა. მე ბერტას მიეუჯექი და ფიქრებში წავედი. მერე, თითქოს მეძინაო, გამოვფხიზლდი ამ შემაწუხებელ, დამქანცავ ფიქრებისაგან, რომელთაც თითქოს ხელი ჩამკიდეს და წამიყვანეს ამ ოთახიდან. სადაც შალითა გადაკრული ავეჯი იდგა და სადაც გამხდარი მოხუცი ქალა, რომელსაც ღამის სუფთა კოფთა ეცვა, ბავშვური გულმოდგინებით სჭრიდა ქალოლის ხელსახოცებს. უკანასკნელ დროს ეს მის საყვარელ საქმედ გადაიქცა.

— ასე შეიძლება ქვეაზე შეიშალოს ადამიანი...

ალბათ ეს ხმამალლა ვთქვი, იმიტომ რომ ბერტამ თავი მიანება თავის ხელსახოცებს და დაბნეულად შემომხედა.

— კატია, იქ გიციდიან, — ნითხრა მან.

— ვინ მიციდის?

— არ ვიცი.

მე ჩემს ოთახში გავიქეცი. ჩემს ოთახში სრულიად უცნობ მოხუც კაცს ხელები მუცელზე დაეწყო და ეძინა.

— რა თქვა, ვიცნობო? — აკითხე მე, როდესაც ფეხაკრეფით ოთახიდან გამოვედი და ბერტასთან დავბრუნდი.

— როზა ელაპარაკებოდა მას, მერე რა?

— არაფერი, მაგრამ ჩემ სიცოცხლეში პირველად ვხედავ მაგ ადამიანს.

— რას ამბობთ? — შეძრწუნებით თქვა ბერტამ, — აკი თქვა, ვიცნობო!

მე დავამშვიდე. მაგრამ არასოდეს არა მყოლია ასეთი პატივ-

საცემი ნაცნობი, აწოწილი, წვერიაანი, რომელსაც ცხვირზე პენსნეს ნაჭდევი ეტყობოდა. გამეცინა. აი, ოინი! ეს მეზღვაური იყო, — კიტელი და აირწინალი სკანზე ეკიდა.

როგორც იყო, გაელვიძა, დაამთქნარა, წამოჯდა და, როგორც ყველა ბეცსა სჩვევია, გარშემო ხელის ფათური დაიწყო, ალბათ პენსნეს ეძებდა. მე ჩავახველე. ის წამოხტა.

— კატერინა ივანოვნა ბრძანდებით?

— დიახ.

— მოკლედ, კატია, — გულთბილად თქვა მან. — მე კი, ხომ ხედავთ, მოვედი, უცნაურია, მაგრამ დამძინებია.

მე გაფაციცებით შევეყურებდი.

— თქვენ, რასაკვირველია, გაგიკირდებთ ჩემი ცნობა. სამაგაეროდ მე და თქვენი სანია ვიცნობთ ერთმანეთს... რამდენი ხანია? ღმერთო...

ის გონებაში თვლიდა.

— ოცდახუთი წელიწადია. ღმერთო ჩემო! ოცდახუთი წელი, არც მეტი, არც ნაკლები.

— ივან ივანიჩი ბრძანდებით!

— სწორედ ის გახლავართ.

ეს ექიმი ივან ივანიჩი იყო, რომლის შესახებაც სანიასაგან ათასჯერ გამოგონია. მან ასწავლა სანიას ლაპარაკი და პირველი სასაცილო სიტყვებიც კი მახსოვდა: „აბრამი, ქათამი, ყუთი“. ის სანიასთან ერთად გაფრინდა ვანოკანში და, რომ მისი გასაოცარი ენერგია არა, საჭმე ცუდად იქნებოდა, როდესაც სანიამ სამი დღე და ღამე ქარბუქში ისე გაატარა, რომ დახმარების ოდნავი იმედი არსაიდან იყო, მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ იმ ალტაცებაშიაც კი, რომლითაც სანია მასზე ლაპარაკობდა, იყო რაღაც ბავშვური, ზღაპრული და, მართლაც, ის ჰგავდა ექიმ აიბოლიტს თავისი ღელაჯა დანაოქებული სახით, სქელი ცხვირით, რომელზედაც ჩასპანდურად ესკუპა პენსნე, დიდრონი ხელებით, რომელთაც სასაცილოდ იქნევადა ლაპარაკის დროს, თითქოს სახეში რაღაც ნივთებს გესროდათ.

— შე კი თავს ვიმტვრევდი, ნეტა ვინ არის-მეთქი! ექიმო, მაინც საიდან ჩამოხვედით. თქვენ ხომ სადღაც შორს იყავით?

— არა, ახლოს. მესამოცდაექვსე პარალელზე.

— მეზღვაური ბრძანდებით?

— მეზღვაური გახლავართ, ბიკად ბიკი ლამაზი, — თქვა ექიმ-

მა. — ყველაფერს გვიამბობთ, ჯერ კი ერთი ჰქია ჩაი დამალე-  
ვინეთ!

რატომღაც მაკოცა, წვერით შემთხვია. მე ჩაის დასადგმელად  
გავიქეცი, მერე დავბრუნდი და ვუთხარი, რომ სანიას ახლაც თან  
დააქვეს სტეტოსკოპი, რომელიც თქვენ ოდესღაც დაგრჩათ თოვლით  
დაფარულ ქოხში-მეთქი, ენსკის ახლოს, მიყრუებულ სოფელში.

მას გაეცინა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ვისხედით და ძველისძველი  
ნაცნობებივით ვლაპარაკობდით, ეს ასეც იყო — არც ისე ძველისძვე-  
ლი ნაცნობები ვიყავით, მაგრამ ძალიან დიდი ხანი კი გავიდა მას შემ-  
დეგ, რაც მე პირველად გავიგონე მისი სახელი სანიასაგან.

ექიმი დიდი ხანი არ იყო, რაც ფლოტში მსახურობდა, — ომის  
დაწყებიდან. თვითონ ითხოვა, თუმცა ნენცების ნაციონალური  
ოლქი წინააღმდეგი იყო და ვიღაც ლედკოვი მთელი ღამე უმტკი-  
ცებდა, რომ ის უნდა დარჩენილიყო. ექიმმა მაინც თავისი გაიტანა.  
მისი შვილი ვალოდია ლენინგრადის ფრონტზე იყო არმიამი და  
ექიმმა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო თვითონაც ებრძოლა და  
არა სადღაც გადაკარგულში მჯდარიყო. ის დანიშნეს პოლიარნო-  
ვში. პოლიარნოე, — ეს იმიერპოლარეთი კი არ არის, — სამხედრო  
ქალაქია კოლის ყურეში, ორი ათასი კილომეტრის მანძილზე იმიერ-  
პოლარეთიდან. საზღვაო მფრინავეებმა პოლიარნოეში უთხრეს, რომ  
სანია შორეული მოქმედების ავიაციამია, კენიგსბერგში ფრინავდა  
და ხმები დადის, რომ ამ ნაწილის ერთ-ერთი პოლკი მალე ჩრდილო-  
ეთში მოფრინდება.

— როგორ კენიგსბერგში? მე არაფერი ვიცი.

— ბატონს ვახლავარ, — გაჯავრებით მითხრა ექიმმა, — თუ  
არა თქვენ, მაშ ვიღამ უნდა იცოდეს, ჩემო კარგო?

— საიდან? სანია ხომ ამას არ მომწერს.

— ჰო, ეგეც კია, — დამეთანხმა ექიმი, — სულ ერთია, მაინც  
უნდა იცოდეთ, უნდა იცოდეთ.

მე ჩაი მოვიტანე, მან უცბად გადაჰკრა და თქვა: მესიამოვნა.

— ახლა ფრონტებზე მძიმე მდგომარეობაა, — განაგრძო მან. —  
ვალოდია ენახე და იმანაც ასე მითხრა, მძიმე მდგომარეობააო.  
სწორედ აქ, ლენინგრადთან... დაიცათ, მე ხომ წერილი ჩამოგიტანეთ!

— ვისგან?

— ძველი მეგობრისაგან, — იღუმალად მითხრა ექიმმა და აირ-  
წინაღის ძებნა დაიწყო, რომელიც ცხვირწინ ეკიდა. ერყობა, წერი-  
ლი აირწინაღში ჰქონდა, — ისა და ვალოდია ერთ ნაწილში მსახუ-

რობენ, სწორედ იმან მითხრა, რომ თქვენ ლენინგრადში ხართ. წასვლის დროს მთხოვა წერილი გადმომეცა.

„ეკატერინა ივანოვნა ტატარინოვა-გრიგორიევას“ მისამართი ძალიან დაწვრილებით ეწერა კონვერტზე, მეორე მისამართი — ჰოსპიტლის, იმ შემთხვევისათვის, თუ ექიმს სახლში არ დავხვდებოდით. ხელი გარკვეული, წერილი და უცნობი. არა, ნაცნობია. გაცივებით ვუყუარებდი კონვერტს. წერილი რომაშოვისაგან იყო.

— ჰა? — დიდი ამბით მკითხა ექიმმა. — იცანით?

— ვიცანი, — წერილი მაგიდაზე დავაგდე. — თქვენ იცნობთ მას?

— ვალოდიასთან გავიცანით ერთმანეთი. შესანიშნავი ადამიანია, სამხეო ნაწილს განაგებს. ვალოდია ამბობს, ჩემი მარჯვენა ხელია, უამისოდ ერთ წუთს ვერ გავძლებო. ძალიან საყვარელი კაცია. სამწუხაროდ, წავიდა.

მე რაღაც წავიბურტყუნე.

— დიახ, ძალიან საყვარელი, — განაგრძობდა ექიმი. — სვამს, მართალია, მაგრამ ვინ არა სვამს?

— საინტერესოა, საიდან იცის, რომ მე ლენინგრადში ვარ?

— რას ამბობთ! განა ის თქვენთან არა ყოფილა?

მე გავჩუმდი.

— დიახ, — პენსნეს ზემოდან გადმომხედა ექიმმა: — მე სწორედ მეგობარი მეგონა. იმან, მაგალითად, მიაბო მთელი თქვენი ამბავი, განსაკუთრებით როგორა ცხოვრობდით ბოლო წლებში, რომლის შესახებაც მე ძალიან ცოტა ვიცოდი.

— საუბიხელი ადამიანია, ექიმო!

— რას მეუბნებით!

— საერთოდ, ჯანდაბას მისი თავი. ჩაის მიირთმევთ კიდევ?

ექიმმა მეორე ჭიქა დალია, ისიც უცბად გადაჰკრა, მერე კონცენტრატით გამიმასპინძლდა — შოკოლადიანი კაკაოთი.

— საოცარია! — ჩაფიქრებულმა თქვა მან. — მაშ წერილს აღარ წაიკითხავთ?

— არა, წავიკითხავ.

კონვერტი გავხიე: „კატია, დაუყოვნებლივ წადით ლენინგრადიდან, — ეწერა მსხვილად, ნაჩქარევად. — გემუდარებით. ერთი წუთის დაყოვნება არ შეიძლება. მე მეტი ვიცი, ვიდრე მოწერა შემიძლია. დაე, ჩემი სიყვარული იყოს თქვენი მფარველი, ძვირფასო კატია! აი, ხედავთ, რა სიტყვებია. განა მე გავბედავდი ამის

მოწერას, ჰკუთხე რომ არ მშლიდეს ის აზრი, რომ თქვენ მართო  
დარჩებით ლეჩინგრადში? ტიხვინამდის მანქანით შეიძლება მისე-  
ლა... მაგრამ უკეთესია მატარებლით, თუ დადის კიდეც მატარებე-  
ლი. არ ვიცი, ღმერთო ჩემო! არ ვიცი. გნახავთ კი ოდესმე, ჩემო  
ძვირფასო, ჩემო ბედნიერებაე და სიცოცხლეე...“

## თავი მარვი

### ეს ექიმის წყალობით მოხდა

ყოველდღე ვიკრიბებოდი პეტროგრადის ქუჩაზე. ერთხელ  
ვარია ტროფიმოვა დავპატიე და ექიმთან პირველად იყო, რომ  
დაიწყო ლაპარაკი თავის ქმარზე. ექიმმა რაღაცა პკითხა ძალიან  
უბრალოდ. მან უპასუხა და მაშინვე აშკარა გახდა, რა მნიშვნელო-  
ვანი იყო მისთვის ქმარზე ლაპარაკი და როგორ უძნელდებოდა  
მწუხარების დაფარვა. მეორე დღეს ვარიამ მისი წერილები მოი-  
ტანა. ჩვენ სარატოვის მგზავრობა მოვიგონეთ, წამოვიტირეთ კი-  
დეც, ეს რამდენი ხნის ამბავი იყო და რა ახალგაზრდები ვიყავით  
მაშინ! ვარია მშვიდი, სევდიანი თვალებით მიყურებდა, როდე-  
საც ვაცილებდი. მას გულზე მოეშვა.

ეს ექიმის წყალობით მოხდა.

იმ ვიკრის განმავლობაში, რომელიც მან ჩვენთან გაატარა,  
ლეჩინგრადის ფრონტზე მდგომარეობა გაუარესდა. გერმანელებმა  
ახალი ძალები მოაყარეს, განგაში დილიდანვე იწყებოდა. იმ ხა-  
ნებში ცუდად მეძინა, სანიას გამო ვღელავდი. ერთხელ, ის იყო  
გაუხდელად მივწეკი, რომ ექიმმა დააკაკუნა, შეპოვიდა და სიბნე-  
ლეში ხელში დათვის პატარა ბელი მომაჩეჩა.

— პანკოვის ნამუშევარია, — მითხრა მან, — კარგი ოსტატია,  
ნენეცი. სახსოვრად გქონდეთ. ექიმი ივან ივანჩის სახელით ეს  
თეთრი დათვი გეტყვით ხოლმე, რომ სანია დაბრუნდება.

რასაკვირველია, ეს სისულელე იყო, მაგრამ ახლა, როდესაც  
სევდა გულს მიწურავდა, ბელს ჩანთიდან ვიღებდი, შევყურებდი  
და, პატიოსან სიტყვას გაძღვევთ, გულზე მეშვებოდა.

დილაობით ექიმი მღეროდა, ან კომიკურ ლექსებს ბუტბუტებ-  
და, ალბათ თავისივე შეთხზულს. მერე დიდხანს იბანდა აბაზანის  
ოთახში და მარწმუნებდა, რომ ჩემს დაბანასა და გერმანელების  
თავდასხმას შორის იდუმალი კავშირი არსებობს: ჩავეჯდები თუ არა

აბაზანაში, დაუყოვნებლივ განგაში იწყებო. მართლაც ასე განმეორდა რამდენჯერმე, მაგიდასთან მოდიოდა სველი, სიმპათიური წვერით და უპირველესად ყოვლისა, სკამს მესროდა, რომელიც მე უნდა დამეჭირა და უკან მესროლა. უცნაური ხასიათისა იყო — უყვარდა, რომ ვინმე გაეკვირვებინა.

ღიახ, ეს ბრწყინვალე კვირა იყო, რომელიც ექიმმა ჩემთან გაატარა! თითქოს ამ ჰეჰა-ჰეხილსა და ქარიშხალში უეცრად აღამიანის მშვიდი ხმა გავიგონე.

მაგრამ აი, ნოვიდა დღე, როდესაც მან თავისი ჩანთა მოამზადა და შეჰკრა წიგნები, რომლებიც ლენინგრადში იყიდა.

მე გავაცილე...

მგონი, არასოდეს არ ყოფილა ნევის პროსპექტზე ამდენი ხალხი. შეწუხებული დედაკაცები გაჰყურებდნენ დაღლილ, გამტკრიანებულ ბავშვებს და თან ბალის პატარა ურიკებით მიჰქონდათ ბოხჩები, სკივრები, ვარცლები... სოფლელი, მწვამოკიდებული მოხუცი კაცები ტროტუარზე მიაბიჯებდნენ მოძრაობის მოპირდაპირე მიწათულებით. ესენი იყვნენ კოლბინელები, დეტსკოესელოელები... გარეუბნები ქალაქში შემოდიოდნენ!

კარგა ორი საათი მოუვნდით მოსკოვის ვაგზალზე მისვლას. მე არ დავანებე ექიმს, რომ მოედანზე გადასვლის დროს ტომარა მას წამოეღო. ტომარა მე მიმქონდა და სტარო-ნევსკის კუთხეში გავჩერდი, რომ უფრო მოხერხებულად მომეკიდა ხელი. ივან ივანიჩი წინ გავიდა. განიერი სადარბაზო შესასვლელი სრულიად ცარიელი იყო — ეს უცნაურად მომეჩვენა.

„ალბათ, ახლა ლიგოვკიდან სხდებიან“, — გავიფიქრე მე.

საოცარია, როგორ დამამახსოვრდა ეს წუთი: მზით გაკაშკაშებული მოედანი, აწოწილი ექიმი მეზღვაურის მაზარაში, კიბეზე ამავალი ჩრდილი, რომელიც საფეხურებზე იმტვრევდა. შემადრწუნებელი სიცარიელე მთავარ შესავალთან...

კარები დაკეტილი იყო. ექიმმა დაარახუნა. მსუქანმა ქალმა, რომელსაც რკინიგზელის ქუდი ეხურა, გამოიხედა და ორი სიტყვა უთხრა — არ ვიცი, რა. ის ცოტა ხანს გაჩერდა, მერე ნელა ჩემკენ მობრუნდა. მკაცრი სახე ჰქონდა.

— აბა, კატია, ტომარა აქეთ მომეცით, — მითხრა მან. — და სახლისაკენ მოვუსვათ. უკანასკნელი გზა გადაჭრილია. მატარებლები აღარ დადიან...

ექიმი რამდენიმე დღის შემდეგ გაფრინდა.

უკან დახევა

შოფერს პირველად მიჰყავდა მანქანა ფრონტის ამ უბანზე და ჩვენ რამდენჯერმე გავჩერდით გზაჯვარედინზე რუკის სანახაუდალად. უკვე ერთ საათზე მეტი იყო მივდიოდით და მე მივიჩინა, რომ გერმანელები მაინც შორს იყვნენ ლენინგრადიდან. თუმცა ეს ყველაზე დაშორებული უბანი იყო — ორანიენბაუმის იქით, გასტილიცაზე უნდა გაგეარათ კოპორის მიმართულებით. მეზღვაურებს ეს ადგილები შორსმსროლელი ბატარეების ცეცხლის ქვეშ ეჭირათ.

ჩვენ სახალხო ლაშქრის დივიზიაში მივედიოდით და გზაში იმედი მომეცა, რომ პეტიას ვნახავდი, ჩადგან სწორედ ამ დივიზიაში მსახურობდა იგი და მე პოლკის კომისრის გვარიც კი ვიცოდი...

უკვე მოაგორებდნენ დაზიანებულ ზარბაზნებს. მსუბუქად დაჭრილები, ორ-ორი, სამ-სამი, ტრიალი მინდვრებით მტერიან გზაზე მოლასლასებდნენ. სადღაც წინ გზას უშენდნენ. ეს მე დაბალმა, ჯანიხმა სანიტარმა ქალმა პანია მითხრა, რომელსაც ბავშვივით დაბურცოდა ლოყები. მას ნაწნავი თავზე შემოეხვია და, რამდენიც მანქანა ამ ოღროჩოღრო გზებზე შეინჯღრეოდა, იმდენი სიცელი წასკდებოდა.

ჩვენ გავცდით ცეცხლის ხაზს, თუმცა ორჯერ რაღაც გასკდა ჩვენს ახლოს და, უკანა კარები რომ გამოვალე, გზაზე მტერის პატარა ღრუბელი დავინახე. ღრუბელი დაბლა ეშვებოდა. გაქანებულები სოფელში შეეგრიალდით. შოფერმა დაამუხრუჭა და, ვიდრე ის ჩამოგლეჯილ ფრთასა სინჯავდა და ილანძღებოდა, მე და პანია მდსანიტარული ბატალიონის მეთაურის საქებნელად წავედით.

ჩვეულებრივი სოფელი იყო: ტირიფის ახალი ღობეები, რომელთაც აქა-იქ კვირტები ამოეყარათ; ეზოებში აგურის ქუჩები; ამბრები ერთ ანჯამაზე დაკიდებული კარებით, შიგნით ბნელოდა, სიგრილვე მოდიოდა და ახალი მოთიბული თივის სუნის სცემდა. აქ იყო დაბანაკებული დივიზიის შტაბი. მოწინავე ხაზი კი ორი-სამი კილომეტრის მოშორებით იყო, „აი იქ, სადაც პატარა ტყეა“, მითხრა სანრაზმელმა, შარვლიანმა ქალმა, რომელსაც დიდი თასმით ჰქონდა ჩამოკიდებული ნაგანი, და მძმიოთა იქითკენ, სადაც ველი თავ-

დებოდა და თხელი ქალა იწყებოდა. გადაღმა არყნარი მოჩანდა, რომელიც მზეზე ელვარებდა.

დაჭრილების წაყვანა ნაბრძანები იყო ბინდისას, შელამების ხანს. ვიხელთებდი თუ არა თავისუფალ წუთს, მაშინვე პეტეას ძებნას ვიწყებდი. ვეკითხებოდი დაჭრილებს, სანრაზმელ ქალებს, კავშირგაბმულობის დივიზიის კომისარს, ვის შესახებაც თქვეს, — ყველა მეთაურს იცნობსო. პეტეას კომისარი, სწორედ ის, რომლის გვარიც მე ვიცოდი, წინა დღეს მოეკლათ. ეს პოლიტგანყოფილებაში მითხრეს.

— სკორნიაკოვიც მოკლულია, — მომახალა უზარმაზარმა, ჩასხმულმა ორშპალიანმა კაცმა, პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორმა.

ეტყობა, გავფითრდი, იმიტომ რომ წვენის ქამას თავი მიანება, — მე რომ მივედი სადილობდა, — მიიხედა და სასტიკი ღრიალა ხმით ჰკითხა მეთაურს, რომელიც მაზარაწაფარებული იწვა.

— რუბენ, სკორნიაკოვი მოკლულია?

მაზარაწაფარებულმა მეთაურმა უთხრა, მოკლულიაო.

— სკოვოროდნიკოვი, — უცხო ხმით შევეუსწორე მე. — სკორნიაკოვი კი არა, უმცროსი ლეიტენანტი სკოვოროდნიკოვი!

— სკოვოროდნიკოვი?.. არ ვიცნობ. ნასადილევი ხართ?

— დიახ, გმადლობთ.

ჯერ ისევ მიკანკალებდა მუხლები, როდესაც პოლიტგანყოფილებიდან გამოვედი...

თვითმფრინავი სოფელს დასტრიალებდა, სანრაზმელი ქალები უკანა ეზოებით მდიდოდნენ და ისმოდა, როგორა ყვიროდნენ: „მარუსია, ჰაერი!“ ქურვები სულ უფრო ხშირად ცვიოდა ქუჩაში; ახლა აშკარა გახდა, რომ გერმანელები ბატარეებს კი არა, თვით სოფელს ებრძოდნენ. ჩვენები უკან იხევდნენ. სოფელი თვალის დაზამხამებაზე აივსო ქუჩკიანი, თიხისაგან გაწითლებულ მაზარიანი ხალხით და ისევ სწრაფად დაცარიელდა. გამხდარმა ახალგაზრდამ, რომელსაც მტკიცედ შეკრული ბაგე, კეხიანი ცხვირი და აქეთ-იქით გატოტვილი წარბები ჰქონდა, მელსანმომარაგებაში შემოიბრძინა და წყალი ითხოვა. პანიამ მიაწოდა — და ისეთი ძლიერი, სპეტაკი სინაზით, როგორიც ქვეყანაზე არავის მიმართ არ მიგრძენია, ვლყურებდი, როგორა სვამდა წყალს, როგორ ასდიოდ-ჩასდიოდა გამხდარი ხვანჩი, როგორი სიბოროტით უელმდებოდა თვალები გზისაკენ, რომლითაც ჩვენები უკან იხევდნენ.

ჩვენ მეცხრე საათზე გამოვედით და მთელი მედმომარაგება ჩვენთან ერთად მოიხსნა. არყნარი, რომელიც ეს არის ახლა მშვიდად ელვარებდა მზეზე, ახლა უკვე იწოდა და ქარი ჩვენკენ მოაქროლებდა ბოლის მუქ სვეტებს: ჩვენც სწორედ ეს გვინდოდა; სრულიად ადვილად გაუუსხლტით გერმანელებს გზის იმ ნაწილში, რომელიც მიზანში ჰქონდათ ამოღებული. ახლა ისე აღარ გვანჯღრევდა, — მანქანა საესე იყო, მაგრამ ჩახრამულ ადგილში ჩავარდებოდა თუ არა, მაშინვე გაისმოდა კენესა და მე და პანია გავეწვალეთ, თვალს არ ვაშორებდით დაქრილებს, რომ რომელიმეს მანქანისათვის თავი არ მიეხალა.

ეს იყო 8 სექტემბერს, როდესაც გერმანელები გადამწყვეტ შეტევისათვის ემზადებოდნენ და პირველად დაიწყეს ლენინგრადის სერიოზული დაბომბვა. ხანძრის პირქუში დაფიონი მანქანისაკენ მოჰქროდა. ჩვენ „მეედუნაროდნოზე“ გამოვედით და მოგვეჩვენა, თითქოს მთელი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული. დაქრილთა შორის ლაპარაკი გაისმა და ავტობუსში აღმაცერად შემომკრთალ წითელ ანარეკლში მე ერთი მათგანი დავინახე: თავშეხვეული მხარბუქიანი მეზღვაური, რომელიც ტანსაცმელს ტანზე იხვედა და ტიროდა.

## თავი მათე

### ცხომკრება კი თავისი ბზით მიღის

მალაზიების წინ ხის ფარები უკვე დაძველდნენ, დასკდნენ, ქერაქი ასცივდათ. ბალებსა და პარკებს, თავშესაფრებსა და ტრანშეებს დიდი ხანია უკვე ბალახი მოედო. ბინებში დილიდანვე ნახევრად სიბნელე იყო, რადგანაც განგაში დღეში ბევრჯერ ცხადდებოდა და აზრი არა ჰქონდა დარაბების გალება-დახურვას. „სანგრები“, სადაც ივლისში მივდიოდით ხოლმე, დიდი ხანია დზოტებიან მძლავრ სიმაგრეებად იქცნენ, რომელთა ფოლადის კარკასებს ქარხნებში ასხამდნენ.

მგონი, ჩემ სიცოცხლეში არ მიმუშავია ამდენი, როგორც ამ შემოდგომას ლენინგრადში. მე რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების კურსებზე ვსწავლობდი, ფრონტზე მივდიოდი ხოლმე და მადლობაც კი მივიღებრძანებით ფრონტის ხაზიდან დიდი ცეცხლის ქვეშ დაქრილების გამოყვანისათვის.

წერილები კი კვლავ არ მოდიოდა. სულ უფრო ხშირად მიხდებოდა ჩანთიდან თეთრი დათვის ბელის ამოღება. წერილები არ მოდიოდა. ტყუილად ვეძებდი სანიას ბერლინსა, კენიგსბერგსა და პლოემბტში გაფრენისათვის დაჯილდოებულ მფრინავთა შორის.

მაგრამ მე ვმუშაობდი, „სიჩქარეს ვავითარებდი“, როგორც გადარეულ მატარებელზე, რომელიც წინ მიჰქრის, ყურს არ უგდებს სასიგნალო სინათლეს, — მხოლოდ ზუზუნებს და აქეთ-იქით ებეთქება, ვით ქარი შემოდგომის დამეში.

და დადგა დღე, როდესაც მატარებელმა ჩამიქროლა და მე მარტო დავრჩი ქვიშის ნაყართან, მარტოდმარტო, მთლად განადგურებული, მწუხარებისაგან სიკვდილის პირზე მისული.

ჯერ ისევ ბავშვობაში რატომღაც მრცხვენოდა სიზმრების თქმისა, თითქოს ჩემს თავს მევე გავანდობდი ხოლმე ალექსანდრე სანდუშოვს და მერე მე თვითონვე ვამეღავენებდი, ვისმეს ეუბნებოდა იმას, რაც მხოლოდ მე ვიცოდი მთელ ქვეყანაზე. მაგრამ ეს სიზმარი მაინც უნდა ვთქვა.

ჰოსპიტალში მორიგეობის შემდეგ ცოტა ხანს წამთვლიმა. სიზმარში ვნახე, თითქოს ფანჯარასთან ვიჯექი და ესპანურს ვმეცადინებოდი. სწორედ ასე იყო, როდესაც ჩვენ ყირიმში ვცხოვრობდით. სანია ჯავრობდა, რომ ენებს თავი მივანებე, და მე კვლავ დავიწყე ესპანურ ენაში მეცადინეობა. მაგრამ ყირიმი განა აქვე, ყურის ძირშია? თითქოს სამოთხეში, იზნიქება ქლიავის ტოტი, მქრქალი ლურჯი ნაყოფებით დამძიმებული. გამკვირვალე ყვითელი ატმები მზეზე კაშკაშებენ, დნებიან, — საითაც გაიხედავ, ყველგან ყვავილებია. თუთუნო, მათიოლა, ვარდები. სიჩუმეა და უეცრად გაისმის ფრინველის გამაყრუებელი ხმა, ფრთების ტყლაშუნი. ღელვა. წიგნი ვისროლე, მაგიდას გადავევლე და ფანჯრიდან ბალში გადავეშვი. და რა დავინახე? ძერას თუ ყვავს, მოკაუქმებულნიკარტიან დიდ ფრინველს, წვეტიანი ფრთები გაუშლია და ჰაერზე ზის. ნისკარტში უქირავს მეორე პატარა ფრინველი, მგონი შავარდენი. ნისკარტი ფეხებში წაუვლია შავარდენისათვის, შავარდენი აღარა ჩხავის, მხოლოდ ადამიანივით მიყურებს, ადამიანის თვალებით. გული მეკუმშება, მე ვყვირი, ვეძებ რასმე, ჯოხს, ძერა კი ნელ-ნელა მადლა-მადლა ადის და მიფრინავს. თავი მიბრუნებული აქვს, ფრთები გაუშლია და ოდნავ არ ანძრევს, ასე მიფრინავს.

აბა, ლუკერია ილინიშნა, სიზმარი ამიხსენით, — ვუთხარი ხანში შესულ კანცელარიის მომუშავეს, რომელიც მუდამ, არ ვიცი რით, მაგონებს დეიდა დაშას.

— თქვენი ქმარი მოფრინდება.

— რატომ? ძერა რომ გაფრინდა და ჩიტიც თან წაიყვანა!  
ის დაფიქრდა...

— სულ ერთია, მაინც მოფრინდება.

მთელი დღე ეს საშინელი სიზმარი მედგა თვალწინ, საღამოთი კი ვარიას შევეხვეწე, ჩემთან წამოსულიყო დასაძინებლად.

განგაში, ჩვეულებრივ, რვის ნახევარზე დაიწყო. პირველი განგაშის დროს ადგილიდან არ დავეძრულვარ, თუმცა როზალია ნაუმოვნა ტელეფონით გვირეკავდა და თვითდაცვის ჯგუფის სახელით გვიბრძანებდა ჩავსულიყავით. მეორე განგაშიც ასევე გავატარეთ. ბომბსაფარში ყოველთვის რაღაც სევდა მიპყრობდა და დიდი ხანია გადავწყვიტე, რომ, თუ უბედურება მომელის, როგორც ინგლისელები ამბობენ— დე, ეს სუფთა ჰაერზე მოხდეს, ლენინგრადის ცის ქვეშ. გარდა მაგისა, ჩვენ ყავას ვხალავდით — ეს კი მნიშვნელოვანი რამ იყო, რადგან ეს მარტო ყავა კი არა, თუ ამ ღურდოს ცოტა ფქვილს მივუმატებდით, პატარა ლავაშებსაც დავაცხობდით.

მაგრამ დაიწყო მესამე განგაში, ბომბები სულ ახლოს ჩამოცივდა. სახლი შეინძრა. შეტორტმანდა, თითქოს ნაბიჯი წინ და ნაბიჯი უკან გადადგა. სამზარეულოში თაროებიდან ძირს წამოვიდა ქვაბები. ვარიამ ჩემს ჯიუტობას ყური აღარ უგდო, ხელი მომკიდა და ქვევით წამიყვანა. ქალები ბნელ შესავალში იდგნენ და შეწუხებულები ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდნენ. მე ვიცანი მეუზოვე თათრის ქალი გიული იტბურდევას ნაცნობი ხმა, რომელსაც ამ სახლში ყველანი რატომღაც მაშას ეძახდნენ.

— ცხრიანი დანგრეულია, ძალიან დანგრეულია, — თქვა მან, — კომენდანტი ბრძანა — ბარი აიღეთ, წავიდა, მოთხრა გინდა.

„ცხრიანი“ — ეს იყო სახლი, რომელშიაც გასტრონომიული მაღაზია ნომერი ცხრა იყო მოთავსებული.

— აიღე ბარი, წავიდა, ყველანი წავიდა. ვის ბარი არ არის, იქ მისცემენ. აიღე, დედაკაცო, აიღე! შენ დაგარტყამენ, შენ მოგთხრიან.

სიბნელეში ბარებს ჯახიჯუხი გაჰქონდა. ერთი მე მომაჩეჩა. მეორე— ვარიას. ვერ აგიწერთ, როგორ მესიკვდილებოდა წასვლა! მე

უკვე მომიხდა „მოთხრა“, როდესაც სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ნეირო-ქირურგიული კლინიკა დაბომბეს. ქალებმა სადარბაზო კარებში იბურტყუნეს, იბურტყუნეს და წავიდნენ, ჩვენც მათ გვეყვით.

მშენიერი ღამე იყო, მოწმენდილი — ნამდვილი „თავდასხმის ღამე“, როგორც ლენინგრადში ამბობდნენ. ყვითელი, ბუშტივით მთვარე ქალაქს თავზე ადგა. ის იყო ყინვები დაიწყო. პაერი მსუბუქი და მკვრივი იყო. ამისთანა ღამეში უნდა გესეირნა, სანაპიროზე მჯდარიყავი საყვარელ მეგობართან, ლაბადაში გახვეული, და ყური გეგდო, სადღაც ქვევით ტალღა ოდნავ გასაგონად ქვიან ნაპირს როგორ ეხეთქებოდა.

ჩვენ კი მივიღოდით დაღლილები, მდუმარენი, გაბოროტებულნი მხარზე გადებული ბარებით, სახლის ნანგრევებიდან ცოცხლების ან მკვდრების ამოსაყვანად.

„ცხრიანი“ შუაზე იყო გარღვეული — ყუმბარას ხუთივე სართულში გაეკლო და შავ, უსწორძასწორო უფსკრულში გამოჩნდა ვიწრო ლენინგრადული ეზო, ფანტასტიკური მტკრევადი ჩრდილებით. სახლი ფასადით წინ წავარდნილიყო, ნანგრევებს გზა შეეღობათ და ამ დამტკრეულ აგურის, ავეჯის, არმატურის დომხალში მოჩანდა როილის შავი ფრთა. მესამე სართულიდან დაყირავებული ბუფეტი გადმოკიდებულიყო, კედელზე გარკვევით მოჩანდა პალტო და ქალის ქული.

როგორც მაშინ, კლინიკის ნანგრევებზე, ახლაც სიჩუმე იყო გარშემო. ადამიანები აუჩქარებლად, უცნაური სიმშვიდით უახლოვდებოდნენ სახლს, ლაპარაკიც აუჩქარებელი იყო, ფრთხილი, ვიღაც ქალმა დაიყვირა, მიწაზე დაეცა. ის მოშორებით გაიყვანეს და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მკვდარი მოხუცი, კირისაგან გათეთრებულ და ღორღით დაფარულ პალტოში, პანელზე ეგდო. მას აწყდებოდნენ, სახეში უყურებდნენ და ნელა გვერდს უვლიდნენ.

სარდაფებში წყალი შევარდნილიყო. უპირველესად ყოვლისა, წყლისათვის უნდა მოგვეხერხებინა რაიმე და გამხდარმა მარჯვე მილიციის სერჟანტმა, რომელიც დამხმარე მუშაობას განაგებდა, მე და ვარია წყლის ამოქაჩვაზე საქაჩავთან დაგვაყენა.

კვლავ შეტორტმანდა და შეჩერდა მიწა და პირდაპირ ჩვენ ზემოდან ტყვიებმა ერთმანეთის მიყოლებით ყვითელ რკალად გადაიარეს ცაში. პროექტორები, რომლებიც საოცრად მოკლდებოდნენ და გრძელდებოდნენ, გადაჯვარედინდნენ და მე მომეჩვენა, რომ გადა-

ჯვარედინების ერთ-ერთ წერტილში პატარა თვითმფრინავმა გაი-  
ელვა.

საზენიტო არტილერიამ სროლა ასტეხა — ხან შორს გაისმოდა  
სროლის ხმა, ხან სულ ახლო, თითქოს ვიღაც გოლიათი დაალაჯებდა  
კვარტალებში და მალი-მალ ათასი დამბაჩიდან ჰაერში ისროდა.  
საქმისათვის თავი არ დამინებებია, ცას შევხედე და გავვოცდი: რო-  
გორი განსხვავება იყო გაშმაგებით მოხეტიალე პროექტორებსა,  
რომლებიც ცაზე რალაცას დაეძებდნენ, და მშვიდ, ყვითელი მთვა-  
რით გაკაშქაშებულ კრიალა დამეს შორის. საშინელი და მრავალფე-  
როვანი იყო ომის სურათი — ტყვიამფრქვევების ტკაცატყუცი, სხვა-  
დასხვა ფერის შუშხუნების ქროლვა მოწმენდილ მაღალ ცაზე.

სანიტარული მანქანები თოკებთან გაჩერდნენ, რომლითაც მილი-  
ციამ დანგრეული სახლი შემოღობა. გახურებული მუშაობა იყო,  
ხმაურობა და გუგუნი მოისმოდა სარდაფიდან, ხალხი გამოდიოდა  
ფერდაკარგული, წელამდის დასველებული. მსხვერპლი, მგონი,  
ბევრი არ იყო.

სახეგაწითლებული, ლამაზი ვარია დამტყრეული ავეჯის გრო-  
ვიდან აძრობდა ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს. აწვენდა დაკრილებს,  
ვიღაცას ხელოვნურად ასუნთქებდა, უყვიროდა სანიტრებს. ორი  
ექიმი, რომლებიც სანიტარულ მანქანას მოჰყვნენ, პატარა ბიჭები-  
ვით დარბოდნენ და მის ყოველ სიტყვას ემორჩილებოდნენ.

ვარიამ კაბა აიკეცა, სარდაფში ჩავიდა და იქიდან ამოიყვანა გა-  
წუწული კაცი, რომლისათვისაც მხრებში ჩაეკიდა ხელები. გამხდარ-  
მა სერჟანტმა მიიღბინა, მიეშველა. სანიტრებმა საკაცე მოიტანეს.

— დასვით. — ბრძანების კილოთი უთხრა ვარიამ.

ეს წითელარმიელი იყო, ან მეთაური, უქულოდ, წყლისაგან გა-  
შავებულ მაზარაში. ის დასვეს, თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ვარიამ  
ნიკაში ხელი მოჰკიდა. ახლა თავი ტიკინასავით უკან გადაუვარდა.  
რალაც ნაცნობმა გაიელვა ამ შუბლზე მიკრულ მუქჩალისფერ ჯალ-  
ჯებიან ფერმკრთალ სახეში. რამდენიმე წუთი ვმუშაობდი და ვცდი-  
ლობდი მომეგონებინა, სად მენახა ეს ადამიანი.

— აი ასე, ახლავე მობრუნდება, — დაბალი, გაჯავრებული  
ხმით თქვა ვარიამ.

კრიკა გაუხსნა, პირში თითები ჩაუყო. მან ბორგვა დაიწყო, ხრია-  
ლით ხარბად ყლაპავდა ჰაერს და ვარიას ხელში ფართხალებდა.

— ოჰ, იკბინები, ჩემო კარგო! — კვლავ თქვა ვარიამ.

საქაჩავის სახელური ხან ზევით ადიოდა, ხან დაბლა ეშვებოდა და მე ხან ვხედავდი, ხან არა, რას უკეთებდა ვარია მას, ახლა ის თვალგადახედილი იჯდა, მძიმედ სუნთქავდა და მთვარის შუქზე სახე თეთრი, საოცრად თეთრი უჩანდა, ზედ მიჰყვებოდა ცხვირი და ოთხკუთხედი ქვედა ყბა თითქოს ცარციტ შემოეხაზათ, — სახე, რომელიც ათასჯერ მენახა, ახლა კი თვალებს არ ვუჯერებდი, ვერა ვცნობდი.

აქამდის არ მესმის, რატომ არ მივეცი ნება, საავადმყოფოში წაეყვანათ რომაშოვი, — ეს რომაშოვი იყო. იქნებ შეუძლებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე გამეხარდა, როდესაც რომაშოვმა, რომელიც მიწაზე იჯდა მახარაგაღელილი, დაბინდული შემზარავი თვალებით უაზროდ ამომხედა. დამინახა მე და ოდნავ გასაგონად თქვა: „კატია“. არ გაჰკვირებია, როდესაც დარწმუნდა, რომ სწორედ მე ვიდექი მის წინ რაღაც ბოთლით ხელში, რომლისთვისაც უნდა ეყნოსა ვარიას ბრძანებით, მაგრამ, ხელი რომ მოკვიდე პულსის გასასინჯად, კრიჭა შეჰკრა და კანკალით კიდევ ერთხელ უფრო ხმამაღლა აქვა: „კატია, კატია“.

დილით სახლში დავბრუნდით. ჩვენ ბარბაცით მივდიოდით, — მე და ვარია რომაშოვზე ნაკლებად როდი ვბარბაცებდით, თუმცა ყუმბარას არ ჩავუტანივართ ხუთი სართული და არც წყლით საესე სარდაფში გვიყანყალია. ჩვენ მივდიოდით. მაშას და ვილაც ქალს ჩვენს უკან რომაშოვი მოჰყავდათ. ის სულ სწუხდა, ზურგჩანთა ხომ არ დამეკარგაო. მაშამ გაჯავრებით ცხვირში მიაჩეჩა ტომარა და შეუტია:

— შენ ტომარა ნუ ფიქრობ, შენ ღმერთმა იფიქრე, შენ სიცოცხლე გადაგარჩინეს, სულელო. შენ ლოცვა, ყურანის გინდა კითხვა.

ყავა სწორედ მისწრება იყო, როდესაც ჩვენ, როგორც იყო, შინ მივლასლასდით. რომაშოვი როზალია ნაუმოვნას ჩავაბარეთ და სამზარეულოში ქაჯებივით გათხუპნულები და გაწეწილები საწოლზე დავეყარებით.

— მოკლედ, მე მაინც ვერა გავიგე რა, ეგ ვილა არის, — თქვა ვარიამ.

— ყველაზე ცუდი ადამიანი ქვეყანაზე, — ვუთხარი მე მოქანცულმა.

— სულელო, და მერე რისთვის მოიყვანე?

— ძველი მეგობარია, რას იზამ!

ყვეისაგან დამცხა, კაბის გახდა დაეწყე, კაბაში გავიხლართე და უკანასკნელი, რამაც გამიარა კიდევ თვალწინ, იყო დიდი თეთრი სახე, რომელსაც სიზმარში უმწეოდ ავუქნიე ხელი.

### თავი მეთერთმეტე

მანუამი. „ლპპარაპი ჩემზე არ არის“

რომაშოვს ჯერ ისევ ეძინა, როდესაც ჩვენ წავედით. როზალია ნაუმოვნას სასადილო ოთახში გაეშალა მისთვის: საბანი ჩამოვარდნოდა და სუფთა საცვლები უჩანდა. ვარიამ გავლის დროს ჩვეული მოძრაობით გაუსწორა, შეუქცევა საბანი. რომაშოვს კრიკა მაგრად შეეკრა, ისე სუნთქავდა. ქუთუთოებს შორის თვალის კაკლის ზოლი მოუჩანდა, რას იზამ, ასეთი იყო რომაშოვი, რომ ქვეყანაზე არც ერთ რომაშოვში არ შეგეშლებოდათ!

— მაშ, ყველაზე ცუდი ადამიანია? — ჩურჩულით მკითხა ვარიამ.

— ჰო.

— ჩემის აზრით კი, არა უშავს რა.

— ჭკუაზე შეიშალე!

— გარწმუნებ, არა უშავს რა. შენ რა გგონია, ასე რადა სძინავს? მოკლე ქუთუთოები აქვს და იმიტომ?

რად მეგონა, რომ საღამომდის რომაშოვი გაჰქრებოდა, როგორც მოჩვენება, რომელიც ეკუთვნის იმ საღამოს, რომელიც გაჰქრა? ის არ გამჰქრალა, მე დავრეკე — როზალია ნაუმოვნას ნაცვლად ის მოვიდა აპარატთან.

— კატია, უნდა უსათუოდ მოგელაპარაკოთ. — მოწიწებით, მტკიცედ მითხრა მან. — როლის დაბრუნდებით? ან ნებას მომცემთ, მოვიდე?

— მოდით.

— მაგრამ მე მეშინია, რომ ჰოსპიტალში უხერხული იქნება.

— შესაძლებელია. სახლში კი მე რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდები.

ის ცოტა ხანს სდუმდა.

— მე მესმის, რომ თქვენ ჩემი მახვის ოდნავი სურვილიც არა გაქვთ. მაგრამ ეს იმდენი ხნის წინათ იყო... მიზეზი, რომლის გამოც თქვენ ჩემთან შეხვედრა არა გსურდათ...

— სულაც არა, არც ძალიან დიდი ხანია...

— თქვენ იმ წერილზე ლაპარაკობთ, რომელიც ექიმი პავლოვის ხელით გამოგიგზავნეთ? — მკითხა მან ცოცხლად. — მიიღეთ?

მე არ მიპასუხია.

— მაპატიეთ.

სიჩუმეა.

— ჩვენ შემთხვევით როდი შევხვედრივართ ერთმანეთს. თქვენთან მოვდიოდი და სარდაფს მივაშურე, ვილაცამ დაიძახა, სარდაფში ბავშვები დარჩნენო. მაგრამ მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი შეხვედრა აუცილებელია, იმიტომ რომ საქმე თქვენ გეხებათ.

— რა საქმე?

— ძალიან მნიშვნელოვანი. ყველაფერს გიამბობთ.

გული ჩამწყდა. თითქოს არ ვიცოდი, ვინ მელაპარაკებოდა.

— მე გისმენთ.

ახლა ის გაჩუმდა და იმდენ ხანს სდუმდა, რომ კინალამ ყურმილი დავეკიდე.

— კარგით, საქირო აღარ არის. მე მივდივარ და თქვენ ველარასოდეს ველარა მნახავთ, მაგრამ გეფიცებით...

კიდევ რალაც წაიჩურჩულა. წარმომიდგა, როგორა დგას იგი კრიკაშეკრული, ქუთუთოებდაშვებული, მძიმედ სუნთქავს მილში, და აი, ამ სიჩუმემ და სასოწარკვეთილებამ დამარწმუნა, მართლა რაღაც ჰქონდა სათქმელი. ვუთხარი, მოვალ-მეთქი, და ყურმილი დავკიდე.

მაგიდაზე ყველი და კარაქი ეწყო — აი, რა დავინახე, როდესაც შესასვლელი კარები ჩემი გასაღებით გავაღე და სასადილო ოთახის ზღურბლზე გავჩერდი. ეს წარმოუდგენელი იყო — ნამდვილი ყველი, პოლანდიური, წითელი, და ცხიმიც ნამდვილი, შესაძლოა კარაქიც, დიდი ემალის ტოლჩით. პური უცხო, არა ლენინგრადული, ბარაქიანად, დიდ ნაჭრებად დაქრილი. მე რომ შევედი, რომაშოვი სამზარეულოს დანით კონსერვებსა ხსნიდა. ტომრიდან, რომელიც მაგიდაზე იდო, ბოთლი მოჩანდა...

თმააწეწილი, ბედნიერი როზალია ნაუმოვნა საწოლი ოთახიდან გამოვიდა.

— კატია, როგორა ფიქრობთ, ბერტას რა ვუყოთ? — ჩურჩულით მითხრა მან. — შემძლია ისიც დავპატიყო?

— არ ვიცი.

— ღმერთო ჩემო, თქვენ გაჯავრდით? მაგრამ მე მხოლოდ მინდოდა გამეგო...

— მიშა, — ვუთხარი ხმამაღლა, — როზალია ნაუმოვნა მთხოვს გამოვარკვიო, შეუძლია თუ არა, სუფრაზე თავისი და ბერტა მოიპატუოს.

— რა თქმა უნდა, სად არის, მე თვითონა ვთხოვ.

— მე მგონი, თქვენი შეეშინდება.

მას უხერხულად გაეცინა.

— გთხოვთ, გთხოვთ!

ძალიან მხიარული ვახშამი იყო. საწყალი როზალია ნაუმოვნა აკანკალებული ხელებით ამზადებდა ბუტერბროდებს და მოწინებით სჭამდა. ბერტა რაღაცას დასჩურჩულებდა ყოველ ნაჭერს — პატარა, ქალარა, ცხვირწაწვეტებული, დაბნეული გამოხედვით. რომაშოვი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა, — ლაპარაკობდა და სვამდა.

აი გულდაგულ მაშინ დავათვალიერე რომაშოვი!

ჩვენ რამდენიმე წელი იყო, ერთმანეთი არ გვენახა. მაშინ საკმაოდ სქელი იყო. სახეზე და ოდნავ უკან გადახრილ ტანზეც უკვე ემჩნეოდა გასუქებაში შესულ ადამიანის სიღარბაისლე. როგორც ყველა ძალიან უღამაზო ადამიანი, ცდილობდა კარგად, ფრანტულადაც კი სცმოდა.

ახლა ის იყო გამხმარი და გაძვალტყავებული, ახალი კრაქუნა თაბები ჰქონდა შემოჭერილი, ეცვა გიმნასტურა ორი შპალით. — ნუთუ მაიორია? სიგამხდრისაგან თავის ქალას ძვლები მოუჩანდა. ფართოდ გახელილ თვალებში, რომლებსაც არ ახამხამებდა, უკრთოდა რაღაც ახალი, — დაღლილობა?

— გამოვიცვალე, არა? — მკითხა მან, როდესაც შემამჩნია, რომ ვუყურებდი. — ომმა ყირამალა გადამატრიალა. ყველაფერი გადასხვაფერდა, — სულიც და ხორციც.

ყველაფერი რომ გადასხვაფერებულიყო, ამას არ მომახსენებდა.

— მიშა, საიდანა გაქვთ ამდენი რამ? მოიპარეთ? — ეტყობა, უკანასკნელი სიტყვა ვერ გაიგონა.

— მიირთვით, მიირთვით! მე კიდევ ვიშოვი, აქ ყველაფრის შოვნა შეიძლება. ბქვენ უბრალოდ არ იცით, სად შეიძლება შოვნა.

— მართლა?

— ჰო, ჰო, ჩვენ გვყავს ხალხი.

არ ვიცი, რა უნდოდა ამით ეთქვა, მაგრამ მე უნებურად ჩემი ბუტერბროდი ცივად დავდე თუფშზე.

— დიდი ხანია ლენინგრადში ხართ?

— მესამე დღეა. მოსკოვიდან გადმომისროლეს სამხედრო ვაჭრობის უფროსის განკარგულებაში. სამხრეთის ფრონტზე ვიყავი. გარემოცვაში მოვხვდი და სასწაულით დავალწიე თავი.

ეს სიმართლე იყო, ჩემთვის საშინელი სიმართლე, მე კი ვუსმენდი დაუღვევრად. დიდი ხანია დავიწყებული მქონდა, როგორ ვუყვარდი.

— კიევისაკენ ვიხევედით, არ ვიცოდით, რომ კიევი გადაჭრილი იყო. — დაიწყო მან. — ვფიქრობდით, გერმანელები, ეშმაკმა იცის, სად არიანო, ისინი კი ხრისტინოვკასთან დაგვხვდნენ, ფრონტიდან ორასი კილომეტრის მანძილზე. ნამდვილი ჯოჯოხეთია. — დაუმატა სიცილით. — მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ მოსკოვში ნიკოლაი ანტონიჩი ვნახე. საკვირველია, მაგრამ ის არსად არ წასულა.

— მართლა? — ეთქვი გულგრილად.

ჩვენ ოკოა ხანს ვღუშდით.

— თქვენ, მგონი, რაღაცის თქმა გინდოდათ, მიშა? მაშინ ჩემს ოთახში გავიდეთ.

ის ადგა და წელში გასწორდა, ამოიოხრა და ქამარი გაისწორა.

— დიახ, წავიდეთ. ნებას მომცემთ ღვინო წამოვიღო?

— თქვენი ნებაა.

— რომელი?

— რომელიც გნებავთ. მე არ დავლევ.

მაგიდიდან აიღო ბოთლი, კიქები, როზალია ნაუმოვნას მაღლობა გადაუხადა და გამომყვა. ჩვენ დავსხედით — მე დივანზე, ის მაგიდასთან, რომელიც ოდესღაც საშასი იყო და რომელზეც ისევე ხელუხლებლად ეწყო მისი ფუნჯები მაღალ კიქაში.

— ეს გრძელი ამბავია.

ის ღელავდა, მე დამშვიდებული ვიყავი.

— ძალიან გრძელი და... არა სწევთ?

— არა.

— ბევრმა ქალმა დაიწყო თუთუნის წვევა ომის დროს.

— დიახ, ბევრმა. მე ჰოსპიტალში მიცდიან. თქვენ გეძლევათ ზუსტად ოცი წუთი.

— კარგით, — ჩაფიქრებულმა დამარცვლით თქვა რომაშოგმა, —

თქვენ იცით, რომ აგვისტოში მე წავედი ლენინგრადის ფრონტიდან. წასვლა არ მინდოდა. იმედი მქონდა, რომ თქვენ შეგხვდებოდით, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა.

სანია ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს და მე არ მესიამოვნა ამის გაგონება რომაშოვისაგან.

— არ გიამბობთ იმას, თუ როგორ მოვხვდი სამხრეთით. ჩვენ კიევთან ვიბრძოდით და იქ გაგვანადგურეს.

მან თქვა „ჩვენ“.

— ხრისტიანოვკაში სანიტარულ ეშელონს შევეუერთდი, რომელიც კიევის შემოვლით უმანისკენ მიდიოდა. ეს იყო ჩვეულებრივი „თბილანა“ ვაგონები, რომლებშიაც დაქრილები იწვნენ. ბევრი მძიმედ იყო დაქრილი. მოვდიოდით სამი, ოთხი, ხუთი დღე, — სიცხეში, პაპანაქებაში, მტვერში...

ბერტა გვერდზე ოთახში ლოცულობდა.

რომაშოვი ადგა და ნერვულად მიხურა კარები.

— კონტუზია დამემართა ორიოდ დღით ადრე, ვიდრე ეშელონს შევეუერთდებოდი, შართალია, მსუბუქი, მხოლოდ დროდადრო მიწყებდა ჩხვლეტას მარცხენა მხარე. ახლაც კი მიწითლდება. — ნაძალადევად გაიღიმა და დაუმატა რომაშოვმა.

ვარიამ, რომელმაც იმ დამეს გახადა და ჩააცვა რომაშოვს, თქვა: მარცხენა მხარე დამწვარი აქვსო. ალბათ სწორედ ეს იყო, რაზედაც თქვა, „მიწითლდებაო“.

— იძულებული ვიყავი, ჩვენი ეშელონისთვის მეზრუნა. უპირველესად ყოვლისა, კვება უნდა მომეწესრიგებინა და მე სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ გზაში — ჩვენ ორი კვირა მივდიოდით — შიმშილით არც ერთი კაცი არ მომკვდარა. მაგრამ ლაპარაკი ჩემზე როდია.

— მაშ ვისზე?

— ჩვენთან ერთად მოდიოდა ორი ახალგაზრდა სტანისლაველი ქალი, პედინსტიტუტის სტუდენტები. დაქრილებთან საჭმელი მოჰქონდათ, სახვევებს უცვლიდნენ, თავს არა ზოგავდნენ. და აი, ერთხელ ერთმა მათგანმა მფრინავთან დამიძახა — დაქრილი მფრინავი ერთ-ერთ „თბილანაში“ იწვა.

რომაშოვმა ღვინო დაასხა.

— მე ვკითხე ქალებს, რა მოხდა-მეთქი. — „ელაპარაკეთ მას“. „რა უნდა ველაპარაკო?“ „სიცოცხლე არ უნდა, ამბობს, თავს ნიკიკლავო, ტირის“. ჩვენ მასთან მივედით. არ ვიცი, როგორ მოხდა.

რომ ამ „თბილანაში“ ერთხელაც არა ვყოფილვარ. ის პირქვე იწვა, ფეხები შეხვეული ჰქონდა, მაგრამ ისე დაუდევრად, ისეთი გამოუცდელი ხელით... ქალები მიუხსდნენ და დაუძახეს...

რომაშოვი გაჩუმდა.

— რა არის, რომ არა სვამთ, კატია? — ოდნავ ჩახრინწულა ხმით მკითხა მან. — მარტო მე ვსვამ, დავთვრები და მერე რას იზაწთ?

— გაგაგდებთ. დააბოლოვეთ თქვენი ამბავი.

მან ერთბაშად გადაჰკრა, ოთახში გაიარ-გამოიარა და დაჯდა. მუც მოვსვი. ცოტა მფრინავები არიან ქვეყანაზე?

## თავი მეთორმეტი

### მ ჯ ე რ ა

აი, ეს ამბავი, როგორც რომაშოვმა მიაშბო.

სანია დაკრილი იყო სახეში და ფეხებში. ქრილობა სახეზე უკვე უხორცდებოდა. არ ეთქვა, რა პირობებში დაკრილიყო, — ამის შესახებ რომაშოვს სრულიად შემთხვევით გაეგო მრავალტირაჟიან „წითელი შავარდნებიდან“, სადაც იყო მოთავსებული შენიშვნა სანიას შესახებ. მას თურმე ეს გაზეთი მოჰქონდა ჩემთან. ექვს გარეშეა, მომიტანდა კიდევ, რომ ის სულელური ამბავი არ შემთხვეოდა, როდესაც კინაღამ არ დაიხრჩო სარდაფში ბავშვების გადარჩენის დროს. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვსო, — მას შენიშვნა ზეპირად ახსოვდა.

„საბრძოლო დავალებიდან დაბრუნების დროს თვითმფრინავს, რომელსაც კაპიტანი გრიგორიევი მართავდა, მოწინააღმდეგის ოთხი გამანადგურებელი დაეწია. უთანასწორო შეტაკებაში გრიგორიევი ერთი გამანადგურებელი ჩამოაგდო, დანარჩენები წავიდნენ ბრძოლაში ჩაუბმელად. მანქანა დაზიანდა, მაგრამ გრიგორიევი მაინც განაგრძობდა ფრენას. ფრონტის ხაზის ახლოს კვლავ ეკვეთნენ. აქვერად ორი „იუნკერსი“. ცეცხლოდებული მანქანით გრიგორიევი შელენა „იუნკერსი“. № ნაწილის მფრინავთა შორის მუდამ დაუვიწყარი იქნება კომუნისტების: კაპიტან გრიგორიევის, შტურმან ლურის, მსროლელ-რადისტ კარპენკოს და საჰაერო მსრო-

ლელ ერშოვის ხსოვნა, რომელნიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ სამშობლოსათვის“.

შეიძლება ტექსტი ზუსტი არ იყოს, — სიტყვები სხვა თანმიმდევრობით არის, მაგრამ შენიშვნის შინაარსის სისწორეზე საკუთარი თავით აგებდა პასუხს რომაშოვი. ეს ნომერი პლანშეტში ჰქონდა სხვა ძალიან მნიშვნელოვან ქალაქებთან ერთად. პლანშეტი წყალში მოხვდა, გაზეთი სულ დასველდა და, როდესაც გააშრო, სწორედ ის სვეტი, სადაც ეს შენიშვნა იყო დაბეჭდილი, ვეღარ იპოვა. მაგრამ არც ამასა აქვს მნიშვნელობა.

ამგვარად, სანიას დაღუპულად სთვლიდნენ. მაგრამ ის არ დაღუპულა, ის მხოლოდ დაჭრილი იყო სახეში და ფეხებში. სახეში მსუბუქად, ფეხებში კი, ჩანს, სერიოზულად. ყოველ შემთხვევაში, სიარული არ შეეძლო.

• „როგორ მოხვდა სანია ეშელონში?“ — „არ ვიცი, — თქვა რომაშოვმა. — ჩვენ ამაზე არ გვილაპარაკია“. — „რატომ?“ — „იმიტომ რომ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ერთი საათის შემდეგ ხრისტინოვიკიდან ოცი კილომეტრის მანძილზე ეშელონი გერმანელთა ტანკებმა დაცხრილეს“. სწორედ ასე თქვა: „დაცხრილეს“.

ეს მოულოდნელი იყო — წააწყდე გერმანელების ტანკებს ჩვენ ზურგში. ეშელონი გაჩერდა — პირველი გასროლისთანავე ორთქლმავალს მოხვდა. დაჭრილებმა ქეიშის ნაყარს მიაშურეს, აქეთ-იქით გაიფანტნენ, და გერმანელებმა დაჭრილებს შრაპნელი დააყარეს.

უპირველეს ყოვლისა, რომაშოვი სანიასკენ გაეარდა. ადვილი არ იყო ასეთ ცეცხლში იმისი „თბილანადან“ გამოყვანა, მაგრამ რომაშოვმა გამოიყვანა და ისინი მატარებლის თვლებს ამოეფარნენ. ვაგონებში დარჩენილი მძიმედ დაჭრილები ყვიროდნენ: „ძმებო, გვიშველეთ“, გერმანელები კი სულ უშენდნენ და უშენდნენ უკვე ახლოს, მეზობელ ვაგონებს. აღარ შეიძლებოდა თვლებს უკან ყოფნა და სანიამ უთხრა: „გაიქეცი, მე დამბაჩა მაქვს და ისინი ჩემ ხელში ჩაგდებას ვერ ელირსებიანო“. მაგრამ რომაშოვმა არ დასტოვა იგი, თხრილზე, მუხლამდე ტალახში გაიყვანა, თუმცა სანია ხელებში სცემდა და ლანძღავდა. მერე ერთმა სახედამწვარმა ლეიტენანტმა უშველა რომაშოვს სანიას გაყვანა კაობზე და ისინი მარტონი დარჩნენ, ვერხვის ნესტიან ქალაში.

ეს საშიში იყო, იმიტომ რომ გერმანელების დიდმა დესანტმა ხელთ იგდო უახლოესი სადგური. ირგვლივ ბრძოლები იყო გაჩაღებული და გერმანელებს შეეძლოთ ამ ქალაშიაც მოსულიყვნენ, რო-

მელიც მოტიტელეზულ მიდამოში ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თავს შეაფარებდით. ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა, წინ უნდა წასულიყვნენ. მაგრამ სანიას სახეზე კრილობა გაეხსნა, სიციხე მისცა. იგი რომაშოვს ეუბნებოდა: „მე თავი დამანებე, დაილუპები!“ ერთხელ კი უთხრა: მე მეგონა, რომ ჩემს მდგომარეობაში შენი უნდა მშინებოდაო. მიწაზე ფეხი ვერ დაეკარებინა, ისე მწარედა სტიოდა, — კრილობებს სისხლი აწეებოდა. რომაშოვმა ყავარჯენი გაუკეთა. კაპი შუაზე გახლიჩა, ზემოდან მუზარადი მიიბა და ყავარჯენი გამოვიდა. მაგრამ სანიას, სულ ერთია, წასვლა არ შეეძლო. მაშინ რომაშოვი წავიდა მარტო, მაგრამ არა წინ, არამედ უკან, ეშელონისკენ. იმედი ჰქონდა, ეპოვა სტანისლაველი ქალები. ეშელონამდე ვერ მიადწია — ქაობს იქით სროლა დაუწყეს. ის დაბრუნდა.

— დავებრუნდი ერთი საათის შემდეგ, ან ცოტა უფრო გვიან. — თქვა რომაშოვმა. — მაგრამ ის იქ აღარ დამხვდა. ქალა პატარა იყო, კუნჭული არ დამიტოვებია, ყველგან მოვძებნე. დაძახებისა მეშინოდა, მაგრამ მაინც რამდენჯერმე დავუძახე. — აბასუხს არაეინ მაძლევდა. მთელი ღამე ვეძებდი, ბოლოს მეც დავეარდი, ჩამეძინა. დილით ის ადგილი ვნახე, სადაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ხავსი მოგლეჯილი და გათელილი იყო, ჩემი ვაკეთებული ყავარჯენი ვერხვის ქვეშ ეგლო...

მერე რომაშოვი გარემოცვაში მოხვდა, მაგრამ დნებროვსკის ფლოტის მეზღვაურების რაზმთან ერთად ჩვენებს შეუერთდა. ამის მეტი აღარადერი გაუგია სანიასზე.

ათასჯერ წარმოვიდგებოდა ხოლმე, როგორ გავიგებდი ამ ამბავს. აი, მოდის წერილი ჩვეულებრივი, მაგრამ უმარკო. წერილს ვხსნი — უცებ ჩემთვის ყველაფერი ისპობა, მე უსიტყვოდ ვეცემი. აი, მოდის ვარია, რომლისთვისაც მე ბევრჯერ მიცია ნუგეში. მიწყებს სანიასზე ლაპარაკს — ჯერ ფრთხილად, შორიდან, მერე იტყვის: „რას იზამდი, ის რომ დაღუპულიყო?“ მე ვუპასუხებ: „ვერ გადავიტანდი“. სამხედრო კომისარიატში ვღგვევარ სხვა ქალთა შორის, ერთმანეთს ვუყურებთ და ყველას ერთი აზრი გვიტრიალებს თავში: რომელს გამოუცხადებენ დღეს მოკლულიაო, ყოველგვარი ფიქრი მომსვლია თავში, მაგრამ ერთი რამ არასოდეს არ მიფიქრია: რომ ამას რომაშოვი მეტყოდა.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს სისულელე იყო, რომელიც მან

მოჩმახა, ან ეურნალში წაიკითხა, უფრო მოჩმახა, რადგანაც მისთვის დამახასიათებელი ანგარიშიანობა ყოველ სიტყვაში გამოსკვიოდა. მაგრამ რა უსამართლო, რა მძიმე იყო ეს! და არ ვიცი, რის სამაგიეროდ დამატყდა თავს ეს სულელური თამაში! რით დავიმსახურე, რომ ეს ადამიანი გამოჩნდა ლენინგრადში, სადაც უიმისოდაც გატანჯული ვიყავი, — გამოჩნდა, რომ უსინდისოდ მოვეტყუებინე!

— მიშა, — ვუთხარი ძალიან მშვიდად, — თქვენ მომწერეთ: „ჩემო ბედნიერებავ და სიცოცხლევ“, ეგ მართალია?

გაფითრებული უხმოდ მიყურებდა. ყურები კი გასწითლებოდა და ახლა, როდესაც ვკითხე: „ეგ მართალია?“ ყურები უფრო გაუწითლდა.

— რამ მოგაგონათ ჩემი ასე დატანჯვა? უნდა გამოგიტყდეთ, რომ ზოგჯერ ცოტათი მეცოდებოდით კიდევ. შეუძლებელია, ქალს სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ შეებრალოს იგი, ვისაც ამდენი ხანი უყვარს. მაგრამ როგორ არ გესმით, თქვე უგუნურო, ღმერთმა ნუ ქნას და, სანია რომ დაღუპულიყო, მე თქვენ შეგიძლებდით. თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა, მიშა, და პატიება უნდა მთხოვოთ. თუ ასე არ მოიქეცით, იცოდეთ გაგაგდებთ, როგორც არამზადას. როდის მოხდა ეგ, რაც თქვენ მიაბნეთ?

— სექტემბერში.

— აი, ხედავთ — სექტემბერში. მე კი მისგან ათი ოქტომბრის წერილი მივიღე, რომელშიაც სანია იწერება, რომ კარგად და უვნებლად ვარ, შეიძლება ერთი დღით მოვფრინდე კიდევ ლენინგრადში, თუ უფროსები ნებას დამრთავენო. აბა, ამაზე რას მეტყვით, მიშა?

არ ვიცი, საიდან მომეცა ძალა, ტყუილი მეთქვა ასეთ წუთებში! არაეითარი ათი ოქტომბრის წერილი მე არ მიმიღია. უკვე სამი თვე იყო, რაც სანიასი არაფერი ვიცოდღი.

რომაშოვს ჩაეცინა.

— ძალიან კარგია, რომ თქვენ არ დამიჯერეთ. — თქვა მან. — მე სხვა რამისა მეშინოდა. მაგრამ ეგრე იყოს, უკეთესია.

— მაშ, ყველაფერი ეგ სიცრუეა?

— ჰო, — თქვა რომაშოვმა, — სიცრუეა.

მას უნდა ვერწმუნებინე, უნდა ემტკიცებინა, გაჯავრებულიყო ისე, როგორც მაშინ, მოსკოვში; ჩემს წინ ათრთოლებული ტურებით უნდა მდგარიყო. მაგრამ მან გულგრილად მითხრა:

— ღიახ, სიცრუეა.

ამიძგერდა, ჩამწყდა, დამიცარიელდა გული.

ალბათ შემატყო ეს. ჩემთან მოვიდა და ხელი ხელში მომიკიდა — თამამად და თავისუფლად. მე ხელი გამოვგლიჯე.

— მე რომ თქვენი მოტყუება მდომებოდა, უბრალოდ, გაზეთს გაჩვენებდით, რომელშიაც სიტყვასიტყვით არის ნათქვამი, რომ სანია დაიღუპა. მე კი გიამბეთ ის, რაც ქვეყანაზე არავინ იცის. პირდაპირ სასაცილოა. — თქვა მან მედიდურად, — თითქო მე ეს ჩავიდინე სულმდაბლური, პირადი ზრახვებით. ან მეგონა, ასეთ ამბავს რომ გეტყოდით, თქვენს გულს მოვიგებდი? მაგრამ ეს სიმართლეა, რომლის დამალვა მე ვერ გავბედე.

მე ისევ წყნარად ვიჯექი, გაუნძრევლად, მაგრამ გარშემო ყველაფერმა ტრიალი დაიწყო: საშას მაგიდამ და მაღალმა ჭიქამ, რომელშიაც ფუნჯები ეწყო, მაგიდასთან მჯდომმა ამ წითელთმიანმა სამხედრომაც, რომლის გვარი დამავიწყდა. მე ვდუმდი, არაფერი არ მინდოდა, მაგრამ ეს სანხედრო რატომღაც საჩქაროდ გავიდა და ტანმორჩილ, ჰალარა, კოხტა ქალთან ერთად შემობრუნდა, რომელმაც ჩემს დანახვაზე თავში ხელი იტაცა და შესძახა:

— კატია, ღმერთო ჩემო! წყალი მომეცით, წყალი! რა დაგემართათ, კატია?

## თავი მესამეტი

### ი მ ე ლ ი

— ვარენკა, რა მემართება? ავად ვარ?

— ვინ მოგახსენა, კარგადა ხარ.

მან ხელი ჩაიქნია. ჩექმების ფრთხილი ჭრაქუნით ვილაც გავიდა და ხმადაბლა თქვა:

— მობრუნდა.

— ვინ არის?

— ისევე ის, შენი წითელთმიანი. — გაბრაზებით მითხრა ვარიამ.

მე ხმა არ ამომიღია.

— ვარენკა, გაიგე?

— ღმერთო ჩემო, ისეთი არაფერი მომხდარა. დაქრილია, მერე რა დიდი ამბავია, გენაცვალე? — ის მომეკრა, მომეხვია. — განა შეიძლება ეგრე? მე რაღა უნდა ვქნა მაშინ — მე უნდა მოვკვდე? რა ძნე-

ლი ყოფილა ადამიანის ცნობა! კაცმა რომ შემოგხედოს... ამას მოველოდი შენგან? არასოდეს. იქნებ წინათ ძალიან ბევრი რამ გადაიტანე? ან იქნება პირდაპირ მოგახალა ეს ამბავი?!

— არა, ფრთხილად მითხრა, გაივლის.

— რასაკვირველია, გაივლის. უკვე გაიარა. ყავა გინდა?

მე ისევ ჩუმად ვიყავი.

— ვარენკა!

— რა, ჩემო კარგო?

— მე მაინც იმედი მაქვს.

— რასაკვირველია, აბა, მაშ როგორ იქნება! იმედი უნდა გქონდეს, მაშა! აი, დაიხსოვე ჩემი სიტყვები — არსად არ დაიკარგება; დაბრუნდება შენი სანია.

გაზეთი „წითელი შავარდნები“, რომელშიაც იყო დაბეჭდილი წერილი სანიას შესახებ, ძალიან ძნელად იშოვებოდა ლენინგრადში. პირველად ვცდილობდი მეშოვო, გავიგე კიდეც ერთ სამხედრო კორესპონდენტიანგან, რომელ ნაწილში გამოდის ეს გაზეთი. მერე თავი მივანებე, როდესაც პეტეიმ მომწერა, ჩემი თვალთ წავიკითხე ეს წერილიო: „სულ თქვენზე ვფიქრობ, სულ თქვენზე, ძვირფასო კატია. სანია დაიღუპა ვეჟაკურად, გამირულად! ჩემთვის ის ყველაზე მახლობელი ადამიანი იყო ქვეყანაზე, ბავშვობიდან სანუკვარი და საყვარელი ძმა. მის გულს მუდამ რაღაც ალღელებდა და ცხოვრება გიადვილდებოდა, როდესაც ყურს მიუგდებდი, შენც გადნოგეცემოდა ეს მღელვარება. ეს იყო ჩვენი ბავშვობა, ჩვენი ოცნება, ჩვენი ფიცი, რომელიც მას მთელი სიცოცხლე ახსოვდა. როგორ მინდა გნახოთ, გავიზიარო თქვენი მწუხარება“.

პასუხად დაწვრილებით მივწერე რომაშოვის ნაამბობი, თან დავუმატე, რომ იმედს არა ვკარგავ...

სულ უფრო იშვიათად ვბრუნდებოდი სახლში. დავამთავრე კურსები და პოსპიტალში დავიწყე მუშაობა, უკვე როგორც „საზოგადოებრივმა მუშაკმა“ კი არა, როგორც პროფესიონალურმა მედდამ და შიმშილს დიდხანს არ შევეუწუხებდით, როგორც, მაგალითად, აწუხებდა ვარიას, რომელიც ჩემზე მაგარი ჩანდა. ჩემთვის უფრო ადვილი იყო, რომ ასეთი მწუხარება ასეთ მძიმე დღეებში დამატყდა თავს ლენინგრადში, სადაც შეიძლებოდა არტილერიის ცეცხლქვეშ საკუთარ ლოგინში მწოლარე მონვედრილიყავი, სადაც ქუჩები დაფარული იყო პირველი თოვლით, ფანჯრები კი ღია იყო დატოვებუ-

ლი, რადგან ბევრი ლენინგრადელი ჯერ ისევ მაშინ გადავიდა ყაზარმულ მდგომარეობაზე, როდესაც თბილოდა, და მერე სახლში აღარ დაბრუნებულა.

ადვილი იყო იმიტომ, რომ, რაკი წინააღმდეგობას ვუწევდი ყველაფერს, რაც ბლოკადას მოჰყვა, ჩემდაუნებურად ვებრძოდი საკუთარ მწუხარებასაც. საკვირველია, მაგრამ რომაშოვს ყველაფერი ეს ესმოდა. ტყუილად კი არ იყო, რომ უკვე აღარ ცდილობდა დავეყოლებინე ლენინგრადიდან წავსულიყავი.

მან გაიმეორა თავის ნაამბობი და მე ბევრი ახალი წვრილმანი ვავიგე, რომელიც პირველად ერთი სიტყვითაც არ უხსენებია. როდესაც რომაშოვს ლეიტენანტთან ერთად სანია ქაობზე მიჰყავდა, მათ ხელები გადააჯვარედინეს, სანიამ კისერზე მოხვია ხელები. ერთ-ერთ იმ სტანისლაველ ქალს კატია ერქვა. სანიას საშინლად გაეხარდა ეს და მერე სულ იმას უძახდა თურმე: „კატია, კატია!“ როდესაც სანიამ უთხრა: მეგონა, რომ მე შენი უნდა მშინებოდაო, რომაშოვს მხოლოდ გასცინებია პასუხად და ეს მართლაც სასაცილოა, რადგან როცა იყო, როცა ყოველ წუთს შეიძლებოდა გერმანელები გამოეჩენილიყვნენ ქალაში.

ეს სიმართლე იყო, რად უნდა ეთქვა ტყუილი? ჩემი მოტყუება რომ მოენდომებინა, უბრალოდ მაჩვენებდა გაზეთს, რომელშიაც სიტყვასიტყვით იყო დაბეჭდილი, რომ სანია დაიღუპა. ასე თქვა მან — ესეც სიმართლე იყო. „მაგრამ ეს ხომ რომაშოვია, — ვეუბნებოდი ჩემს თავს. — რომაშოვი, მისი გაშტერებული თვალებით, რომაშოვი — ბუ, როგორც სანია ეძახდა“.

„ომი სცვლის ადამიანებს, — ასე ვუპასუხებდი ჩემს თავს, — მან საკუთარი თვალითა ნახა სიკვდილი და მოსწყინდა ამდენი ფარისევლობა და სიცრუე, რომელიც წინათ მისი განუყრელი თვისება იყო. მან სანიასათვის გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, და გააქეთა სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო ადამიანს ეფიქრა, რომ ის ამას გააკეთებდა.“

როგორღაც გაკვირით ვუთხარი, ძალიან გამეხარდებოდა პეტრას ნახვა-მეთქი...

— არის, — გამომიცხადა რამდენიმე დღის შემდეგ, — ხვალ ჩამოვა.

შესაძლებელია, უბრალოდ დაემთხვა ჩემი თხოვნა პეტრას ჩამოსვლას, თუმცა რომაშოვი მარწმუნებდა, პეტრას გამოძახება სამ-

ხატვრო აკადემიის რექტორის საშუალებით მოვახერხეო. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და პეტია ჩამოვიდა.

სამთვენახევარი იყო, პეტია არ მენახა. მე მას ვაცილებდი შიშით, მაშინებდა მისი დაბნეულობა და პოეტურობა, რაც ყველაზე ნაკლებად გამოადგებოდა ფრონტზე, ოთახში კი შემოვიდა ჯანდონით სავსე, მზემოკიდებული ადამიანი. წინანდელივით ბეჭებში მოხრილი კი არა, ბეჭებში გაშლილი, პირდაპირი, რწმენით აღსავსე გამოსედით.

ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— კატია, ახლა მეცა ვფიქრობ, რომ სანია დაბრუნდება, — მაშინვე მითხრა მან. — ის მკვლრებით აღსდგა, როდესაც დაღუპულად სთვლიდნენ. ახლა ფიქრი არ არის, მტერი ველარაფერს დააკლებს. ეგ ჩვენი საფრონტო ნიშანია. ნაწილშიაც უკვე იციან, რომ ის ცოცხალია. ასე რომ არა ყოფილიყო, ცნობას გამოგზავნიდნენ. ეს ზომ სავსებით აშკარაა!

ეს სულაც არ იყო აშკარა, მაგრამ მე ვუსმენდი და ძალა არა მყოფნიდა არ დამეჯერებინა...

პეტია ძალიან ადრე მოვიდა ჩემთან, დილის მეექვსე საათი იქნებოდა. ჩვენ შუადღემლის ვუცადეთ რომაშოვს. პეტია მიაგობოდა და მე ისეთი გრძნობით ვუსმენდი, თითქოს ეს პეტია კი არა, მისი უმცროსი ძმა იყო, ცოტა უხეში, დაედაჟა, მოკლე ტყაპუქში. შემოსვლისთანავე ცხვრის ტყავის სუნი გვეცა, წეკოსაგან გაყვითლებული თითებიტ მარჯვედ ახვევდა უშველებელ „თხის ფეხს“. ეს ხასიათის ჩამოყალიბების ამბავი იყო — ის, რაც მან თაჯის თაჯზე მიამბო. მხატვარმა, ხელოვანმა ადამიანმა პირველ დღეებში ფრონტზე დაინახა არა ომი, არამედ თითქოს ომის პანორამა. ის სხვა იყო, ომი — სხვა. მაგრამ აი, გავიდა ერთი კვირა, მეორე. მან მოჰკლა პირველი გერმანელი.

— როგორ მოხდა, რომ მე, მხატვარმა სკოვოროდნიკოვმა, კაცი მოვკალი? მაგრამ მე მოვკალი ადამიანი, რომელსაც უფლება არა ჰქონდა, თავის თავისთვის ადამიანი ეწოდებინა. როდესაც მას ვკლავდი, მე ამ უფლებას ვიცავდი.

ასე გახდა ის „ომის ატომი“. ის უკვე აღარ აკვირდებოდა ომს, როგორც მხატვარი. ის ახლა ჯარისკაცი იყო და აკეთებდა ყველაფერს, რის ძალაც შესწევდა, რათა ჩამდვილი ჯარისკაცი გამხდარიყო.

— რაღა ვაკეთო ამ ძველ სამყაროში? — თქვა მან და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა.

რომაშოვის მოსვლას აღარ დაველოდეთ და მე პირველი წავედი, რადგან ვხედავდი, რომ პეტრის უნდოდა მარტო დარჩენილყო ამ „ძველ სამყაროში“. კარებში რომ გამოვდიოდი, უკან მივიხედე და დავინახე, როგორ აიღო პეტრემ ერთ-ერთი თავისი მილივით დახვეული ტილო და უეცრად აკანკალებული, გაჯირჯვებული ხელებით ფრთხილად დაიწყო გაშლა.

რომაშოვს ჰოსპიტლიდან დაეურეკე.

— ჩამოვიდა? — მხიარულად მკითხა მან. — აი, ხედავთ! თქვენ კი ეჭვი გეპარებოდათ!

— დიახ, ჩამოვიდა. საღამოთი გამოიარეთ, თქვენი ნახვა უნდა.

— საღამოთი, სამწუხაროდ, არ შემიძლია, გადაუდებელი საქმე მაქვს.

— არა, მოხვალთ.

— არასგზით არ შემიძლია.

— მოხვალთ, გეყურებათ, მიშა?

და ყურმილი დავაგდე.

ის მოვიდა. ჩვენ სასადილო ოთახში ვისხედით: კარებში გამოჩნდა თუ არა, მაშინვე ხელგამოწვდილი პეტრისკენ წამოვიდა.

— მოხარული ვარ, მოხარული, — თქვა მან, — ძალიან მოხარული ვარ. უნდა გამოგიტყდეთ, არ მეგონა, რომ მოხერხდებოდა, პატიოსნებას ვფიცავ. მაგრამ თქვენ თურმე ცნობილი ადამიანი ხართ. თქვენ რომ ცნობილი ადამიანი არა ყოფილიყავით, არაფერი არ გამოვიდოდა.

— დიდი მადლობელი გახლავართ, ამხანაგო მაიორო. — უპასუხა პეტრემ.

— კარგით ერთი, რა მაიორი! მეორე რანგის ინტენდანტი ვარ და მეტი არაფერი! ვერ მოვიცალე, თვლები მივიკრა, და აი, მაიორის ჩინით დავდივარ.

პეტრემ მას შეხედა, მერე სადღაც, კუთხისკენ გაიხედა, ალბათ ფიქრობდა: თვლების მიკვრაზე ადვილი არაფერია, რომ მეორე რანგის ინტენდანტი მომავალში მაიორი არავის ეგონოსო.

— ფრონტზე რა ამბავია, რა ისმის? ეს არის, ახლა მითხრეს, ლიგოვო აღებულიაო.

— რამდენადაც ვიცი, აღებული არ არის. — უთხრა პეტიაშ.

— აი, დახედეთ! მე კი ვფიქრობდი: წინ აღარაფერი უდგია; ამ დღეებში საერთაშორისო ვაგონით მოსკოვისკენ გავეკრავთ-მეთქი. მაშ მოცლა მოგვიხდება, არა?

ასეთი სიტყვებით — „გავეკრავთ“ — ამაზე არავინ ლაპარაკობდა ლენინგრადში. მე უხერხულობა ვიგრძენი. მაგრამ პეტიაშ, მგონი, ვერაფერი შეამჩნია.

პატარა ხანს ვდუმდით.

— ამგვარად, — თქვა რომაშოვმა, — პირველი და ერთადერთი კითხვა სანიაა.

რად ეჭირა თავი ასე უხერხულად, ასე უცნაურად? რატომ ილიმებოდა ხან რალაც მორიდებით, ხან ამაყად, მედიდური გამო-მეტყველებით? რად გვიაშბო გრძელი ამბავი ვილაც მეხანძრეების შესახებ, რომლებიც შესანიღბ ხალათებში არტილერიის ცეცხლის ქვეშ კარტოფილს იღებდნენ? არ ვიცი, ჩემთვის სულ ერთი იყო. მე მხოლოდ სანიაზე ვფიქრობდი...

— არის მხოლოდ ერთი გზა, — რალაც იდუმალი თვითკმაყოფილებით თქვა ბოლოს რომაშოვმა. — საქმე ისაა, რომ ის მილამოები ამჟამად პარტიზანული რაზმების ხელშია. ექვს გარეშეა, პარტიზანებს კავშირი ექნებათ ფრონტის სარდლობასთან. საჭიროა მათთან კავშირის დაჭერა — ესე იგი, ვინმეს უნდა დაევალოს, ყველა ცნობა შეჰკრიბოს სანიას შესახებ.

ფეხი ფეხზე შემოდებული, მუშტზე ნიკაპით დანდობილი პეტია თვალს არ აშორებდა მას.

— აქ ორი სიძნელეა, — განაგრძობდა რომაშოვი, — პირველი: ჩვენ ლენინგრადში ვართ. მეორე: ბრძანება სანიას მოძებნის ან მასზე ცნობების შეგროვების შესახებ შეუძლია გასცეს მხოლოდ ერთმა, ძალიან მაღალმა ინსტანციამ, ხოლო ამ ინსტანციამდის მიღწევა ძალიან ძნელია. მაგრამ შეუძლებელი არაფერია. მე ნაცონობები მყავს აქ, პარტიზანული რაზმების ლენინგრადის შტაბში. მე ამას გავაკეთებ. — დაუშატა მან გაფითრებულმა. — რა თქმა უნდა, თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ შემიშლის ხელს.

„განსაკუთრებული გარემოება“ რამდენიც გნებავთ იმდენი გახლდათ. თვით ცხოვრებაც მხოლოდ „განსაკუთრებულ გარემოებისაგან“ შედგებოდა. ყველაფერს, რაც ლადოგის ტბის იქით იყო, დიდი ხანია უკვე „დიდი მიწა“ ერქვა და მასთან უბრალო

ბატლეგრაფო კავშირის შენარჩუნებაც კი დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა.

— პეტია, რასა სდუმხარ?

— მე ვისმენ, — თითქოს გამოთხიზლდაო, თქვა პეტიამ, — რას აზამ, ყველაფერი სწორია. მიძნელდება თქმა, რამდენად შესაძლებელია ამ კავშირის იმედი ვიქონიოთ, განსაკუთრებით ასლა. მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ მოქმედება. ამ მხრივ ამხანაგი რომაშოვი სავსებით მართალია. ნაწილს კი, კატია, თქვენ ხომ ვიყო, მივწერდი.

— ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, — მითხრა მან, როდესაც რომაშოვი წავიდა, — რა უნდა გითხრათ? ეს კაცი სულ, სულ არ ჰომეწონა, მაგრამ რას იზამ, რა არა ხდება? ეგ არაფერს არა ნიშნავს. მასში არის რაღაც უსიამოვნო, ცივი, დაფარული და ამასთან ერთად რაღაც გრძნობების გაშიშვლება, — ყოველ ნოდრაობაში, ყოველ სიტყვაში! მე მისი დახატვაც კი მომინდა, ამ ოთხკუთხი თავის ქალასი, მაგრამ ყველაფერი ეს სისულელეა, სისულელე! ჰთავარია, რომ ის, ჩემის აზრით, საქმის კაცია.

— ჰო, კი

— და თქვენთან შეჩვეულია.

— ექვს გარეშეა.

— თქვენ არ შეგიძლიათ, მასთან ერთად წახვიდეთ პარტიზანული რაზმების შტაბში?

— რასაკვირველია, შემიძლია.

— ჰოდა, წადით. უსათუოდ უნდა მისწეროთ, მოიკითხოთ, შეკითხვები უგზავნოთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენც უფრო მოისვენებთ. როგორ გახდით, როგორ გაიტანჯეთ — მითხრა მან და ჩემი ხელი აიღო, — საბრალო, თქვენ, ალბათ, სულ არა გძინავთ.

— როგორ არა, მძინავს.

— სანია დაბრუნდება, უთუოდ დაბრუნდება, — მეუბნებოდა ის. ჰე თვალეზღაბი უფსმენდი და ვცდილობდი ათრთოლებულს ტურები დამეოკებინა. — ყველაფერი კვლავ მშვენიერად იქნება, რადგანაც თქვენ ისე გიყვართ ერთმანეთი, რომ ვერაფრითარი მწუხარება ვერ მოგერევთ: გზაზე შემოგხვდებათ, თვალეზღაბში შემოგხვდავთ, და უკან დაიხვეს. მგონი, სხვას არავის არ შეუძლია ისეთი სიყვარული, როგორც თქვენ და სანიას, ასე ძლიერ, ასე ჯიუტად მთელი სიცოცხლის მანძილზე. რა დროს სიკვდილია, როდესაც ასე

უყვარხარ ვისმეს? არ შეიძლება, არავინ არ მოკვდებოდა. მე პირველი არ მოკვდებოდი! სანია? განა თქვენ მისცემთ მას სიკვდილის ნებას?

ის ლაპარაკობდა, მე ვუსმენდი და გულზე რაღაც შვებასა ვგრძნობდი. ბუნდოვანმა, შორეულმა მოგონებამ უეცრად თვალწინ გამიელვა. სანიას სძინავს ჩაცმულსა და დალილს. ღამეა, მაგრამ ოთახში შუქია. გალუული ბიჭუნა კედლის უკან უკრავს, მე კი ხალიჩაზე ვწევარ და ვუსმენ, ვუსმენ და საფეთქლებზე ხელს ვიქერ. „მწუხარებას მოსდევს სიხარული, განშორებას — შეხვედრა, ყველაფერი მშვენიერად იქნება, იმიტომ რომ ზღაპრები, რომლებიც ჩვენა გეჯერა, ჯერ ისევ ცოცხლობენ დედამიწაზე“...

ფრონტამდე ტრამპვანთ შეიძლებოდა მისვლა, პეტიას დივიზია ახლა სლავიანკაში იდგა. მთხოვა, არ გამეცალებინა. უსამევებოდ სარისკო იყო, რიბაცკში შეიძლებოდა დავეკავებინე. მაგრამ მე მაინც წავედი.

— ვთქვით, დამაკავონ, რა დიდი ამბავია! კომენდანტი უკვე მიცნობს.

ტრამპვაიში ქედვასა და ყაყანში მაინც მოვახერხე დიდუდას წერილების გადათვალეირება. პეტამ ამ დღეებში დიდუდასაგან ერთი ფოსტით ოთხი დახურული და თორმეტი ღია ბარათი მიიღო. ასე იყო იმ დღეებში ლენინგრადში — ორ-სამ კვირაობით არავინ ერთ სიტყვასაც არ იღებდა „დიდი მიწიდან“ და უეცრად წერილების მთელი დასტა მოდიოდა. შინ მხოლოდ ღია ბარათების წაკითხვა მოვასწარი. ერთ მათგანში პატარა პეტიას უჩარმაზარი ბექდური ასოებით მოეწერა: „მამა, ჩვენ ბაქია გვყავს“. მე ისე ცოცხლად წარმოვიდგინე, როგორ წერს: თავსა ხრის და წარბებს სჭიმავს — იმ მიმზიდველი მანერით, რომელიც მე მიყვარდა და რითაც ისე ჰგავდა თავის დედას. ის ჯანმრთელად იყო, მაძლარი და საშიშროებაც არ მოელოდა, ასევე დიდუდაჩემიც. მეტი რა უნდა ისურვო ასეთ მძიმე დროში?

— არა, პეტია?

— რასაკვირველია, — სევდიანად მიპასუხა მან. — მაგრამ როგორ მენატრება, რომ იცოდეთ!

ტრამპვაი უკვე რიბაცკით მიდიოდა. ვილაცამ თქვა, ბოლო გაჩერებაზე თითო-თითოს გამოუშვებენ — საბუთებს გასინჯავენო. პეტია სწუხდა ჩემს გამო და მე გადავწყვიტე, დავბრუნებულყავი.

— კარგად იყავით, ძვირფასო.

— კეთილი, კეთილი, კარგად ვიქნები. — მიპასუხა მან მხიარულად. პატარა პეტიაც ასე მიპასუხებდა ხოლმე.

მზრუნველობით სავსე, საკუთარი საქმით გაძეძევებული ხალხის თავებს ზემოდან ჩვენ ერთმანეთს ხელი გავუწოდეთ და, შესაძლებელია, ამიტომ მე სინანულით გავიფიქრე, რომ თვითონ პეტიასი თითქმის ვერაფერი გავიგე. „მაგრამ უკანასკნელად ხომ არა ვხედავთ ერთმანეთს, — ვუთხარი ჩემ თავს, — ჰოსპიტლიდან დავეთხოვები, მისი ნაწილი სულ ახლოს დგას“.

მაშინ რომ მცოდნოდა, რამდენი გულის გამომღრღნელი და საშიშროებით სავსე დღე გაივლიდა, ვიღრე ჩვენ კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს!

## თავი მეთოთხმეტე

### იმედს ვკარბავ

ბერტა დეკემბრის შუა რიცხვებში გარდაიცვალა, ერთ ყველაზე გააფთრებულ თავდასხმის დღეს, როდესაც დაბომბვა დილიდან დაიწყო, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ღამიდან არ შეწყვეტილა. შიმშილით არ მომკვდარა — საწყალმა როზალია ნაუმოვნამ ათჯერ გაიმეორა, რომ აქ შიმშილი არაფერ შუაშიაო.

მას უსათუოდ უნდოდა, იმავ დღესვე დაესაფლავებინა ბერტა, როგორც წესად აქვთ. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მაშინ მან ერთი აყლაყუდა, მოღუშული ებრაელი დაიჭირავა, რომელიც მთელი ღამე იჯდა და ლოცვებს კითხულობდა მიცვალებულთან. მიცვალებული, ორ გაუკერავ ჩარსავის სულარაში გახვეული, იატაკზე ესვენა. — ესეც წესის თანახმად. ყუმბარები ძალიან ახლოსკედებოდა, ერთი მთელი შუშა არ დარჩენილა იმ ღამეს მაქსიმ გორკის პროსპექტზე. ქუჩები საზარლად იყო გაშუქებული ცეცხლის ალისა და მოვარდისფრო-წითელი თოვლისაგან, ეს მოღუშული კაცი კი იჯდა და ლოცვებს ბუტბუტებდა. მერე არხეინად ჩაეძინა. გათენებინას, ოთახში რომ შევედი, თავქვეშ ლოცვანი ამოედო და მიცვალებულის გვერდით მშვიდად ეძინა.

რომამოვმა კუბო იშოვა. — მაშინ. დეკემბერში, ეს ჯერ ისევე შესაძლებელი იყო, — და როდესაც დაჩიავებული დედაბერი ამ უზარმაზარ, უხეშად შეკრულ ყუთში ჩაასვენეს, მე მომეჩვენა, რომ შიშისაგან კუბოშიაც კი კუთხეში მიიკუნქა...

საფლავი ჩვენ თვითონ უნდა გავვეთხარა, — მესაფლავებმა, რომაშოვის აზრით, „ცეცხლის“ ფასი მოითხოვეს. მან ბიკები დაიჭირავა, სწორედ ისინი, რომელთაც როზალია ნაუმოვნა ლებვას ასწავლიდა.

ძალიან გამოცოცხლებულმა რომაშოვმა ათჯერ ჩაირბინა ეზოში. რაღაცას ეჩურჩულებოდა კომენდანტს, მხარსე ხელს არტყამდა როზალია ნაუმოვნას და საბოლოოდ გაჯავრდა მასზე, მიტომ რომ როზალია ნაუმოვნა დაჟინებით მოითხოვდა, ბერტა ასევე დაემარხათ შეუქერავ ჩარსავების სუდარაში.

— ჩარსავების გადაცვლა შეიძლება, — დაუყვირა რომაშოვმა. — ბერტას არ ესაქიროება ჩარსავები. უკეთეს შემთხვევაში, ორი დღის შემდეგ ამ ჩარსავებს ააღლიან.

მე ის გავაგდე და როზალია ნაუმოვნა დავამშვიდე, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენა გსურთ-მეთქი.

ადრიანი დილა იყო. წვრილი, ხორხომელა თოვლი ჰაერში ტრიალებდა და უეცრად, თითქოს ეჩქარებოდა, მიწაზე ეცემოდა. რომაშოვმა და ბიკებმა კუბო ძლივს მოატრიალეს კიბის პატარა მოედანზე, სიეწროვისაგან კედლებს ეხლებოდნენ. როგორც იყო, ჩაიტანეს და ეზოში ციგაზე დასდეს. მე მინდოდა, ბავშვებისთვის ფული მიმეცა, მაგრამ რომაშოვმა მითხრა, პურზე მოეუფრიგდიო.

— ას-ასი გრამი ავენსად. — მხიარულად უთხრა მან. — თანახმა ხართ, ბაღლებო?

მისთვის არც შეუხედავთ, ისე დათანხმდნენ ბიკები.

— კატია, ზევით მიდიხართ? — განაგრძო მან. — თუ შეიძლება, პური მოიტანეთ. მაზარაშია.

არ ვიცი, რატომ ჩადო პური მაზარის ჯიბეში, ალბათ, როზალია ნაუმოვნას დაუმალა, ან იმ ებრაელს. მაზარა დერეფანში ეკიდა — ეს დიდი ხანია უკვე ტყაპუქს ატარებდა.

ზევით ავედი და, მაგონდება, კიბეზე გავიფიქრე, რომ უფრო თბილად ჩაცმავ-მეთქი საჭირო. წუხანდლიდანვე ცოტა მაყრიალებდა და იქნებ უკეთესიც იყო, არ წავსულიყავი სასაფლაოზე, სადამდისაც კაი შვიდი კილომეტრი იყო. მაგრამ მეშინოდა, რომ როზალია ნაუმოვნა უჩემოდ გზაში დავარდებოდა.

ქალაღში გახვეული პუჩი მაზარის ჯიბეში იღო, მე პური ამოვწიე. პურს რაღაც რბილი პარკი ამოჰყვა. პარკი დაეარდა და მე კიბისაკენ გამოვედი და კარები გამოვაღე. დერეფანში ბნელოდა. ეს იყო ყვითელი ნატის ქისა. სხვა საჩუქრებთან ერთად ფრონტზე

ასეთ ქისებსაც ვგზავნიდით. ერთ ხანს დაეფიქრდი და გავხსენი. „შიგ შუაზე გადატენილი სურათი და რაღაც ბექლები ეწყო. „სად-მე გადასცვლიდა“, — გავიფიქრე ზიზლით, ფოტოსურათი იყო, ძალიან ძველი, დაღრეცილი, უკანა მხარეზე წარწერა ჰქონდა. წარწერას ვერც გაარჩევდით, ასოები ისე ამოხუნებულყო და გადაცრეცილიყო. ის იყო, უკვე დავაპირე ფოტოს უკან ჩადება ქისაში, რომ უცნაურმა გრძნობამ შემაჩერა. მომეჩვენა, თითქოს ოდესღაც მკვირია ეს ფოტო ხელში.

კიბეზე გამოვედი — მეტი სინათლე იყო — და დავიწყე წარწერის თითოეული ასოს მიხედვით გარჩევა: „თუ ყოფნაა, — წაიკითხე მე. თეთრმა მკვეთრმა შუქმა გაიელვა ჩემი თვალთა წინ და შიგ გულში დამკრა. ფოტოზე ეწერა: — თუ ყოფნაა, ყველაზე უკეთესი უნდა იყო“.

არ ვიცი, რა დამემართა. მე დავიყვირე, მერე დავინახე, რომ კიბის ბაქანზე ვზივარ და იატაკზე ხელებს ვაფათურებ, ვეძებ ამ ფოტოს... თვალთ დამიბნელდა, ძლივს წაიკითხე წარწერა და ვიცანი ჩ. მუზარადში, ამ მუზარადში ქალსა ჰგავდა, ვიცანი მისი დიდი, არწივისებური სახე, კეთილი და მრისხანე თვალები. ეს ჩ-ს სურათი იყო, რომელსაც სანია არასოდეს არ იზორებდა. საფულეში ატარებდა საბუთებთან ერთად, თუშცა მე ათასჯერ მითქვამს მისთვის, სურათი გადაიხეხება ჯიბეში — უნდა ჩარჩოში ჩასვა და მაგიდაზე დადგა-მეთქი...

გაფთრებული უკანვე შევევარდი, ღერეფანში, საკიდიდან მაზარა ჩამოვგლიჯე, ბაქანზე დავაგდე და ჯიბეები ამოვადრუნე. სანია მოკვდა, მოკლულია. არ ვიცი, რას ვეძებდი. რომაშოვმა მოჰკლა იგი. მეორე ჯიბეში ფული ოყო. ფული დავკმუშენე და ძირს ჩავყარე: კიბეებში. მოჰკლა და ფოტო წამოიღო. მე არა ვტიროდი. მოიპარა საბუთები და ფოტო. ყველა ქალადი და, შესაძლებელია, მედალიონიც, რათა არავინ იცნოს, რომ ეს მიცვალებული, ეს გვამი ტყეში — სანიაა. „სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ქალადები პლანშეტში მეწყო“, — გონების ყურით გავიგონე მე და თითქოს ვილაცამ შუქი მოჰფინა რომაშოვის ყოველ სიტყვას.

ეს ფოტო პლანშეტში იდო. სხვა ქალადები და გაზეთი „წითელი შავარდნები“ — ისინიც პლანშეტში ეწყო, მაგრამ საბუთები დასველდა, დაიკარგა. ხომ თვითონ რომაშოვმა თქვა: „გაზეთი დასველდა და გაფუჭდაო“. ფოტო კი გადარჩა. შესაძლებელია იმიტომ, რომ სანია ყოველთვის კალკაში გახვეულს ატარებდა.

ქვევიდან ლაპარაკი ისმოდა. როზალია ნაუმოვნა მეძახდა. ფოტო-  
უბეში შევიჩახე, ქისა მაზარის ჯიბეში ჩავდე, მაზარა ძველ აღ-  
გილზე დავიციდე, ქვევით ჩავედი და პური რომაშოვს მივეცი.

მან მკითხა:

— რა დავემართათ? ცუდადა ხართ?

მე ვუპასუხე:

— არა, კარგადა ვარ.

არაფერი აღარ არსებობდა. არც დაცარიელებული ჩუმი ქუჩები,  
სადაც ფეხებს ძლივს მიათრევდნენ და, როგორც საზარელ სიზმარ-  
ში, დადუმებულები მიდიოდნენ ადამიანები. არც ყინულით დაფა-  
რული, ქულებშუა გახიარული ტრამვაის ვაგონები, საიდანაც, რო-  
გორც სოფლური სახლების სახურავებიდან, თოვლის სქელი ლავ-  
გარდანები ჩამოკიდულიყო. არა გვრჩებოდა უკან, სულ შორს და  
შორს ციგის ვიწრო კვალი, რომელზედაც იღო ბავშვივით ჩვრებში  
გახვეული პატარა სხეული, ახლდა მომაგონდა, რომ რომაშოვმა  
განკარგულება გასცა — უკუბოლოდ წამოედოთ ბერტა, რადგან კუბო  
პატარა ციგაზე არ დაეცა.

— არა უშავს რა, გაეყიდით. — თქვა მან.

როზალია ნაუმოვნა, ალბათ, ჭკუაზე შეიშალა, რადგანაც თქვა.  
წესი სწორედ ასე მოითხოვს — უკუბოლოდ. მე ეს მომაგონდა და  
მაშინვე დამავიწყდა. პაწაწინა სახემობერებული გოგონა თოვლში  
გადავიდა, გზა მოგვცა, ისე ვერ გავივლიდით პუშკარის ქუჩაზე  
გაკვალულ ვიწრო ბილიკზე. კიდევ ვიღაცა მამაკაცმა გაიარა,  
რომელიც განიერ პალტოში უცნაურად ლაღლაღებდა და რო-  
მელსაც პორტფელი მხარზე ბაწრით ჰქონდა გადაკიდული. მე და-  
ვინახე ისინი და ესეც მაშინვე დამავიწყდა. მე ვხედავდი ყველაფერს:  
ჩუმ, თოვლით დაფარულ ქუჩებს; თითქოს ბავშვი გაუბევევიათ  
ჩვრებშიო — ზეწრებში გახვეულ გვამს ციგაზე და კიდევ მეორე  
გვამს, რომელსაც ვიღაც ქალი მეორე მხარეს მოასვენებდა, მაგრამ  
ერთთავად ჩერდებოდა და ბოლოს სულ ჩამოგვრჩა. მაგრამ, როგორც  
ჩრდილები, უხმაუროდ, უკვალოდ მისცურავენ მინაზე, ასე მისცუ-  
რავდა ჩემ თვალწინ თეთრი, თოვლში ჩაფლული, გაყინული ქალაქი.

სხვა რამეს ვხედავდი მე, სხვა რამ მიღრღნიდა გულს: ფეხებგაქი-  
მული, ჭუჭყიან, სისხლისაგან გაყვითლებულ სახვევებში სანია წევს.  
ლოყით მიწას მიჰკვრია, მკვლელი თავზე ადგია. მარტონი არიან, მარ-  
ტონი, პატარა, ნესტიან ვერხვის ქალაში!

დე, ბიხსნას სიყვარულმა ჩემმა

ებრაელების სასაფლაო შორს იყო, ვერ მივალწევდით და როზალია ნაუმოვნამ გადაწყვიტა, თავისი და სმოლენსკის სასაფლაოზე დაესაფლავებინა. ექვსას გრამ პურს დაგვჯერდა მოლუშული ებრაელი, რომელიც ბერტას ლოცვებს უკითხავდა, მართლმადიდებელთა სასაფლაოზე მოსულიყო, რათა, როგორც თქვა, თავისი „კლიენტი“, გაესვენებინა, თანახმად წესისა.

მე ცუდად მახსოვს ეს გასვენება, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა—ადრიაანი დილიდან ბინდამდის. ბინდი, როგორც დეკემბერში იცის, ადრე ჩამოწვა. თითქოს ძველი მუნჯი კინოლენტი მიდიოდა და ჩემს წინ და ძილმორეული ცნობიერება ხან მისდევდა მას, ხან თოვლში წაიბორჩიკებდა ხოლმე, რომლითაც ვასილიევის კუნძული იყო დაფარული.

ჩვენ მივდივართ, არაფერსა ვგრძნობთ, მხოლოდ სიცივეს, დაღლილობას და სიძულვილს ამ გაშეშებული გვამისადმი. ბიჭებს რიგრიგობით მიაქვთ ბერტა აღმართში, დაღმართში კი გვამი თვითონ მისრიალებს, თითქოს ჩქარობს, რაც შეიძლება მალე გავგათავისუფლოს ამ მოსაწყენი საზრუნავისაგან, რომელიც უნებლიეთ მოგვახვია თავს.

მზეზე პრიალებს გვამზე მიბმული ბარი და ამ ბრწყინვას რომ ვუყურებ, რატომღაც მაგონდება ყირიმი და ზღვა. რა კარგი იყო ყირიმში! სანია ხუთ საათზე დგებოდა, მე მსუბუქ საუზმეს ვუმზადებდი, როდესაც ვიცოდი, რომ ის მალალ გაფრენაზე მიდიოდა. ჩვენ ვიყიდეთ შხაბი „სტანდარტი“, მე ყველაფერი მოვარგე, მოვაწყვე და შხაბის შემდეგ ყვითელზოლიან პიჟამას ჩაიცვამდა ხოლმე სანია და მაგიდას მიუჯდებოდა. ერთხელ სევასტოპოლში წავედით, ზღვა დელავდა, ცა იღრუბლებოდა—მფრინავეებს ყოველთვის ყველაზე შეუფერებელ დროს აძლევდნენ შვებულებას. გული დამწყდა, მაგრამ სანიამ მითხრა: „არაფერია, მე შენ ამინდს მოგიწყობო“. მართლაც, ის იყო გემი ნაპირს მოსწყდა, რომ შშვენიერი ამინდი დადგა.

რა სიხარული, რა ბედნიერება იყო ჩემთვის, ერთად ვიდექით თეთრ, მორთულ გემბანზე, თეთრი კაბა მეცვა! ვლაპარაკობდი, ვიცინოდი და ვცდილობდი, ლამაზი ვყოფილიყავ, რადგან ვიცოდი, რომ სანიას უხაროდა, როდესაც სხვებს მოვწონდი! რა თვალისმომ-

ჭრელად ბრწყინავდა მზე ყველგან. სადაც კი გაიხედავდი, — კაპიტანის ხიდის სპილენძის მოაჯირებზე, ქარისაგან შესროლილ ტალღებზე, ჩაყურყუმელავებულ თოლიას სველ ფრთაზე.

... წაქუხული, გალურჯებული, ძვლავაყრილი როზალია ნაუ-მოვნასთან, რომელიც ძლივს ინძრევა, იმდენი რამ აჯაჯია, — მეც ციგას მივდევ ჩანჩალოთ, რომელიც ხან ძალიან გვშორდება, ხან გვიახლოვდება, — როდესაც ბიჭები თამბაქოს მოსაწევად ჩერდებიან, ჩვენ ერთნაირი, საცოდავი მოხუცები ვართ. მე სულ ისეთი ვე, როგორც ის. ალბათ ეს მსგავსება რომაშოვსაც მოსდის თავში, რადგან ის გვეწევა და გაბრაზებით მეუბნება:

— რად წამოხვედით? გაცივდებით, ჩაწეებით. შინ დაბრუნდით, კატია.

მე მას ვუყურებ: ცოცხალია და საღსალამათი. თეთრი, მოკლე ტუპაუკი აცვია, თასმები ჯვარედინად აქვს შემოკრული, ქამარზე რევოლვერის ბუდე ჰკიდია, ცოცხალია! გაღებული პირით ჰაერს ვყლაპავ. კარგად არის! ვიკუხები და პირში ვიდებ თოვლს. ისევ ბრჭყვიალებს გვამზე მიბმული ბარი, მე თვალს ვერ ვაშორებ ამ ჰიპნოზურ ბრწყინვას.

აი, სასაფლაოც. ზენ დიდხანს ვიცდით ვიწრო, ჭუჭყიან კანტორაში, რომლის ძელის კედლებს შექირხლული ძენძის თეთრი ზოლები გასდევს. დასიებული მოხელე ქალი „ბურჟუიკას“ უზის. ცეცხლთან ახლო მიუწყევია ჩვრებზემოხვეული რუმბებივით ფეხები. რომაშოვი ეჩხუბება მას. მერე ჩვენ გვეძახიან — საფლავი გათხრილია, ბარებზე დაყრდნობილი ბიჭები მიწისა და თოვლის გროვებზე დგანან. ღრმად არ აპირებენ საწყალი ბერტას დამარხვას! რომაშოვი გზავნის ბიჭებს ცხედრის მოსასვენებლად. უკვე მოაქვთ იგი. აყლაყუდა მოღუშული ებრაელი მოსდევს ციგას და დროგამოშვებით აჩერებინებს მოკლე ლოცვის წასაკითხად. რომაშოვი თოკებს მიწაზე აწყობს, მარჯვედ იყვანს ხელში მიცვალებულს, ფეხით ციგას იქით აგორებს. ახლა მიცვალებული თოკებზე ასვენია, როზალია ნაუმოვნა უკანასკნელად ჰკოცნის დას, ებრაელი გალობს, ლოცვას კითხულობს ხან მაღალი ხმით, მოულოდნელი მახვილებით, ხან ხმადაბლა, ბებერი ნალვლიანი ფრინველივით...

ჩვენ კანტორაში ვბრუნდებით გასათბობად. ჩვენ — მე და რომაშოვი. ის ჩუმად ნიშანს მაძლევს, ჯიბეზე ხელს ირტყამს და, როდესაც ყველანი კიშკრისაკენ მიდიან, კანტორაში შევდივართ გასათბობად.

— დაგისხათ?

ოჰ, როგორ, როგორ ამუშავდა გული. უცებ რა სითბომ დამიარა ხელ-ფეხში! მცხელა, თბილ შალს ვიხსნი. მსუბუქი, მხიარული ნაბიჯით კანტორაში ბოლთასა ვცემ.

-- კიდევ დაგისხათ?

დასიებული ქალი შურით გვიყურებს. რომაშოვს ვეუბნები, მასაც დაუსხას, და ის უსხამს — „ეჰ, ვითომც არა გექონია“. — მხიარულია, ფერმკრთალი, ყურებგაწითლებული, ყურებიან ქუდში, რომელიც კეთაზე მოჰქცევია. მეც მხიარულადა ვარ, ვხუმრობ: მაგიდიდან ვიღებ ერთ-ერთ შავად შეღებულ საფლავის ფირფიტას და რომაშოვს ვაწოდებ:

— თქვენთვის არის.

ის იცინის.

— აი, ახლა ვცნობ წინანდელ კატის!

— და მაინც თქვენი არა ვარ!

ის მიახლოვდება და ხელებს მიჭერს. ტუჩები უთრთის; ტუჩებს შუა პატარა, თითქმის ბავშვური კბილები უჩანს. უცნაურია, წინათ არასოდეს არ შემომჩნევია, როგორი წვეტიანი და წვრილი კბილები აქვს.

— არა, ჩემი ხართ... — ამბობს იგი ჩახრინწული ხმით.

მე მარჯვენა ხელს ვითავისუფლებ. ფანჯარაზე ჩაქუჩი დევს — ალბათ ამით აქედებენ საფლავის ჯვრებზე ფირფიტებს. ძალიან ნელა ვიღებ ფანჯრიდან ამ ჩაქუჩს, პატარას, მაგრამ მძიმეს, რკინისტარიაანს...

შიგ საფეთქელში რომ მომერტყა; ალბათ მოვკლავდი რომაშოვს. მაგრამ აიციდინა, ჩაქუჩი ასხლტა და ყვრიმალი გაუხეთქა. ქალი წამოხტა, დაიყვირა და დერეფანში გავარდა. რომაშოვი დაეწია, უკან შემოაგდო და კარები მიჰკეტა. მერე ჩემთან მოვიდა.

— თავი დამანებეთ! — ვუთხარი მე სასოწარკვეთით და ზიზღით. — თქვენ კაცისმკვლელი ხართ. თქვენ მოჰკალით სანია.

ის სდუმდა. სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა გახეთქილ ყვრიმალიდან. სისხლი ხელისგულით მოიწმინდა. ხელი იატაკზე დაიქნია, მაგრამ სისხლი ისევ მოთქრიალებდა და მხარზე და მკერდზე დასდიოდა, მთელი ტყაპუქი უკვე დაეწინწკლა ვარდისფერი ლაქებით.

— მაგრად უნდა შეკვრა, — ჩემთვის არ მოუხედავს, ისე წაიბუტბუტა მან. — სუფთა ცხვირსახოცი ხომ არა გაქვთ, კატია?

— კარგით, დაე ასე იყოს — მე მოვკალი იგი! მაშინ რისთვისღა

ვინახავდი ამ ფოტოს? ჩვენ გვინდოდა მიწაში ჩაგვეფლო საბუთები, სანაოს საბუთები ხელში ეჭირა და ფოტო ალბათ ხელიდან ვაუვარდა. მე თქვენთვის არ მითქვამს, რომ ფოტო ვიპოვე, — მეშინოდა, რომ არ დამიჯერებდით. ღმერთო ჩემო, თქვენ არ იცით, რა არის ომი! რა გიჟური აზრია, რომ მე ჩემიანი მომეკლა! ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, რა განწყობილებათაა არ უნდა ვყოფილიყავი მასთან! მოჰკლა დაქრილი, კატია! ეგ ხომ ბოღვია, რომელსაც არავინ დაიჯერებს!

პირველად არ იმეორებდა ამ სიტყვებს რომაშოვი — „არავინ დაიჯერებს“. ეშინოდა, რომ მე სამხედრო ტრიბუნალს ან პროკურორს მივწერდი ჩემი ექვების შესახებ. მან სასაფლაოს კანტორის მოსამსახურე ქალს დაუტოვა მთელი თავისი ფული და პური და მე გავიგონე, როგორ უთხრა: „არავისთან კრინტი არ დასძრათ“. საავადმყოფოში არ წასულა. როზალია ნაუმოვნამ შეუჩერა სისხლი და საღბუნი დაადო კრილობაზე.

— დიახ, მე არ მიყვარდა იგი, ეგ მართალია, ამის დამალვას არც ვაპირებ, — განაგრძობდა რომაშოვი, — მაგრამ, როდესაც ფეხებმოტეხილი დავინახე, საფეთქელთან მიტანილი დამბაჩით, ქუქუიან თბილანაში, იმაზე კი არ მიფიქრია — თქვენკენ გამომიქანდა გული. ტყუილად კი არ გაზარებია ჩემი დანახვა: მიხვდა, რომ მე მისი მხსნელი ვიყავი. ხოლო სადღაც რომ გაქრა, ვიდრე მე ხალხის მოსაყვანად წავედი, რათა იგი საკაცით წაგვეყვანა, — ეს ჩემი ბრალი არ არის.

პატარა სამზარეულოში წინ და უკან დარბოდა და ლაპარაკობდა დაუსრულებლად... თავში ხელს იტაცებდა ხოლმე და მამინ მის უკან კედელზე ორი სასაცილო დიდცხვირა ჩრდილი ჩნდებოდა. ბავშვობის მივიწყებულმა მოგონებამ კვლავ გამიელვა. „აი, რქებიანი ძროხა“, — ამას ღედა ამბობს. მე საწოლში ვწევარ, ღედა კი გვერდით მიზის, ხელები კედელთან უჭირავს და იცინის, რომ მე ჩრდილს კი არა, ხელებს ვუყურებ. „აი, თხა, წვერცანტარა“... თვლები სველი მქონდა, მაგრამ ცრემლებს არ ვიწმენდდი. ძალიან მციოდა, ხელი ვერ ამომეყო ამ საბნებიდან, პალტოდან და მელიის ძველი ბეწვიდან.

— ჩემს დაწყვეტილ ბედს მაინცდამაინც მასთან უნდა შევხვედრებინე ეშელონში! მე შემეძლო მომეკლა. ყოველდღე რამდენიმე გვამი გამოჰქონდათ თბილანიდან და ვის გაუყვირდებოდა, რომ ის მფრინავი, რომელიც დაიკარგა და რომელსაც თავის მოკვლა

უნდოდა, დილით თავში ტყვიადახლილი ენახათ! მაგრამ მე არ შემძლო მომეკლა იგი, — დაიყვირა რომაშოვმა. — იძიტომ, რომ მას კი არა, თქვენ გიპოვიდნენ დილით შუბლში ტყვიადახლილს, მე ამას მიეხვდი, როდესაც მან ახალგაზრდა ქალებიდან ერთ-ერთს ჰკითხა — რა გქვიანო, მან უპასუხა „კატიაო“, და სანიას სახე გაუბრწყინდა. მე მიეხვდი, რომ ვიყავი არარა, უბადრუკი მის წინაშე. როცა ფიქრად გავივლე მისი მოკვლა, რასაც ჩემთვის ბედნიერება უნდა მოეტანა, და მე გადავწყვიტე, თავი არ დამეზოგა, რათა თქვენთვის გადამერჩინა იგი; ახლა კი თქვენ ჰბედავთ მტკიცებას, რომ მე მოვკალი სანია! არა, — დიდი ამბიით თქვა რომაშოვმა. — ვფიცავ დედაჩემს, რომელმაც ამ უბედურებისა და მწუხარებისათვის გამაჩინა, ვფიცავ ჩემს სალოცავს — თქვენდამი სიყვარულს! თუ ის დაიღუპა, ბრალი არ მიდევს მის სიკვდილში არც სიტყვით, არც საქმით!

ტყაპუქის შეკვრა დაიწყო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოეხვედრებინა ღუგმა კილოში, ხელები უკანკალებდა.

მე რომ შემძლებოდა, მე რომ კვლავ გაჩებედა და დამეჯერებინა მისთვის! გულგრილად ვუყურებდი მის გამხდარ სახეს, საოცრად ჩაცვივრულ თვალებს, შუბლზე ჩამოყრილ ჩალისფერ თმას, უმნო სალბუნს, რომელსაც ლოყა მოეჭიმა და დაებრიცა!

— წადით.

— თქვენ ცუდადა ხართ, ნება მომეცით დავრჩე.

— წადით.

არ ვიცი, უტირია მას ოდესმე თუ არა, მაგრამ სახე ცრემლებით ჰქონდა დასველებული, როდესაც მუხლებზე დაჩოქილი ლოგინზე დაემხო და გაყუჩდა. თრთოდა და ნერვიულად ყლაპავდა ცრემლებს. „სანია ცოცხალია, — უეცრად გავიფიქრე მე, ბედნიერებისაგან შეტოკდა და გაყუჩდა გული, — ან ადამიანი კი არა, რაღაც ბოროტი სული დაჩოქილა ჩემს წინ! არა, არა, შეუძლებელია, წარმოუდგენელია ასე თვალთმაქცობდეს“.

— წადით.

არ ვიცი, სად ვაგდებდი, მალე თვე გახდებოდა, რაც ჩვენთან იყო ბინად — როზალია ნაუშოვნამ რატომღაც ჩასწერა ჩვენთან. ღამე იყო და განგაში, მაგრამ ის წავიდა და მე მარტო დავრჩი.

„კაკ-კუკ“, — აკაკუნებდა მეტრონომი. მახსოვს, ვიღაც მეუბნებოდა. რომ მხოლოდ ლენინგრადში გადასციემენ მეტრონომის ხმას განგაშის დროსო. შუშები ზანზარებდა და მათთან ერთად თრთო-

და და კანკალებდა კრაქის ყვითელი ალი, რომელიც მაგიდაზე იდგა. მაშ რა მოხდა იქ, ვერხვის პატარა ნესტიან ქალაში?

ქურქების, საბნებისა და მელიის ძველი ბეწვის ქვეშ მე ვერ ვაფიქვრებ, როგორ შეწყდა განგაში და კვლავ დაიწყო. „კაკ-კუკ“ — ახმაურდა მეტრონომი. „გჯერა — არა გჯერა“.

ეს გულს გაჰქონდა დაგადუგი და ლოცულობდა ზამთრის ღამეში დამშეულ ქალაქში, გაყინულ სახლში, კრაქის ყვითელი შუქით ოდნავ განათებულ პატარა სამზარეულოში, შუქით, რომელიც ოდნავ ბოუტავდა და კუთხეებიდან გამოსულ ჩრდილებს ებრძოდა. დაე, გიხსნას სიყვარულმა ჩემმა! დაე, შეგეხოს იმედი ჩემი! დაგიდგეს გვერდით, ჩაგხედოს თვალებში და სიცოცხლე ჩაგბეროს გადაფითრებულ ტუჩებში, სახით მოგეკრას ფეხებზე შემოხვეულ სისხლიან სახვევებზე, ვითხრას: „მე ვარ, შენი კატია. მოვედი შენთან, სადაც არ უნდა იყო... მე შენთანა ვარ, რაც არ უნდა დაგატყდეს თავს. დაე, სხვამ გიშველოს, სული შეგარჩინოს, მოგიკლას წყურვილი, შიმშილი — ეს მე ვიქნები, შენი კატია და, თუ სიკვდილი დაიხრება შენს სასთუმალთან, თუ აღარ იქნება ძალ-ღონე მასთან ბრძოლისა და სულ პატარა, უკანასკნელი ძალა დარჩება გულში — ეს მე ვიქნები და მე გადაგარჩენ შენ“.

## თავი მეთექვსმეტი

### მშვიდობით, ლენინგრადო!

1942 წლის იანვარში მე ლენინგრადიდან წაბიყვანეს. ძალიან სუსტად ვიყავი, ექიმებმა ეშელონით გამგზავრების ნება არ მომცეს და ვარიამ თვითმფრინავით წასვლა მომიხერხა.

წასვლის წინაღღეს გამანაწილებელ ჰოსპიტლიდან დამირეკეს, ლეიტენანტი სკოვოროდნიკოვი დაქრილია და მოკითხვას გითვლითო.

— და ხართ მისი?

— დიახ, — ვუპასუხე მთრთოლვარე ხმით. — მძიმედ არის დაქრილი?

— სრულიად არა. იმედი აქვს, ნახავთ.

წასვლა მინდოდა, მაგრამ ვარიამ არ გამიშვა. ალბათ ის მართალი იყო — გზაზე ამომივიდოდა სული, ისე სუსტად ვიყავი, რომ შეგებერათ, წავიქცეოდი. ჰოსპიტალი ვასილიევის კუნძულზე —

ქვეყნის ბოლოს მეგონა. ვარიას იმედი ჰქონდა, რომ მოახერხებდა პეტიას სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გადაყვანას, რა თქმა უნდა, „სტომატოლოგიაში“ კი არა—ის მკერდში და მარცხენა ხელში იყო დაჭრილი—საველე ქირურგიის განყოფილებაში. მაგრამ ეს განყოფილება ძალიან ახლო იყო „სტომატოლოგიასთან“. სიტყვა მომცა, რომ ყოველდღე შეივლიდა პეტიასთან და, საერთოდ, მზრუნველობას არ მოაკლებდა. ექვს გარეძეა, ის ვერა ხვდებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტყვის შესრულებას მართო პეტიასთვის კი არა—თვითონ მისთვისაც.

როგორც სასიამოვნო, წარმავალ სიზმარში, — ბუნდოვნად მახსოვს მაღალი ხის შენობა-ანგარი, რომელშიაც დიდხანს ვიჯექი იატაკზე, ჩემსავით შეფუთულ მღუპარე ადამიანთა შორის. მერე ვიწრო ბილიკით სადღაც დათოვლილ ტრიალ მინდორზე წაგვიყვანეს, გვერდით ჩაეუარეთ ღრმა ძაბრებს, რომლებშიაც თვითმფრინავის ნამსხვრევები ეყარა, და თოვლით ნახევრად დაფარულ ვარდისფერ გროვებს, — უტბად ვერ მივხვდი, რომ ეს ძროხის ხორცი იყო, რომელიც თვითმფრინავებით მოეტანათ ლენინგრადში. მერე მოთამჯალეული რკინის კიბით თვითმფრინავში ავედი, თვითმფრინავი ცარიელი იყო და ციოდა. აქეთ-იქით ჩამწკრივებული ცარიელი სკამები ელაგა. ქვესადგომზე, გადახდილ გამჟვირვალე ხუფის ქვეშ, ჭყვიამწერქვევი იდგა.

ეს იყო და ეს. ბეწვისჩექმებიანი ტანდაბალი დაბლვერილი მფრინავი კაბინაში შევიდა. ძრავი აგრიალდა, მანქანა შეტორტმანდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, თვალწინ გამიელვა მოელვარე მინდვრებმა. სწორედ ამ წუთს მოვედი გონს. მშვიდობით, ლენინგრადო!

მე მივფრინავ ლადოგის ტბის თავზე. ამ ტბაზე რამდენიმე დღის შემდეგ პირველი მანქანები გაივლიან ლენინგრადელებით „დიდი მიწისაკენ“; იქიდან კი პურითა და ფქვილით დატვირთულები — ლენინგრადისაკენ წამოვლენ. საყუები დგანან ყველგან, რომლებიც სახავენ „ცხოვრების გზას“, ხალხი მკერდამდის თოვლში მუშაობს.

მე მივფრინავ. ქვევით დიდი ომის რუკა გადაშლილა და უკვე ტანდაბალი ბეწვისჩექმებიანი გაჯავრებული მფრინავი კი არა ზის. თვით დრო ზის ჩემი თვითმფრინავის ოწინართან.

წინ, სულ წინ იყურება იგი და უცნაური, დიადი სურათები ეშლება თვალწინ. დაუსრულებელ მაგისტრალეებზე მიემართებიან აღმოსავლეთისაკენ ნაწილებად დაშლილი გიგანტური ქარ-

ზნების საამქროები. თოვლით დაფიფქული დაზგები მიდიან და მიდიან და გგონიათ, რომ მათ გასამეგებლად წლებია საჭირო. მაგრამ ჯერ თოვლს არ დაუწყია დნობა. ჯერ ისევ ძუნწად ათბობს ზამთრის მზე და მიყრუებულ ნაკრძალ ველებში კი, სადაც უწინ მარტო ჩარდახიანი ურმები მიიზღაზნებოდნენ იურტიდან იურტამდე, სადაც ჯოგები დახეტიალებდნენ და მოხუცი ყაზახი-მწყემსი თვითნაკეთებ დოქბრაზე უკრავდა, უკვე დღითი დღე სულ უფრო მალა მიიწევს მრავალსართულიან შენობათა კორპუსები. შეიწურა, სული განაბა, გასაქანებლად მოემზადა ქვეყანა...

მე კი ცოცხალ-მკვდარი მიმიყვანეს იაროსლავლში, „ლენინგრადის“ პალატებში, სადაც ძალიან წყნარი ადამიანები წვანან და ცდილობენ კამაზე არ იფიქრონ. ექიმები უკრძალავენ კამაზე ფიქრს. ურწმუნოები მიჰყავთ საკუქნაოებში. საკუქნაოები სავსეა:

დიდედამ ამ საავადმყოფოში მიპოვა მე და არც მიპოვა... საგონებელში ჩავარდნილი დგას კარებში, პალატას თვალს ავლებს, მიჰქურებს და ვერა მცნობს, ვიდრე სიცილი არ ამივარდა. მე ვიცინი, თან ვტირი და ვეძახი მას...

წინ, წინ! დღეა და ღამეა. კვლავ დღეა. მაგრამ დიდი ხანია აირია დღე და ღამე და, მგონი, თვით მზემ არ იცის, როდის, რომელ საათს ამოვიდეს და გადმოხედოს შეძრწუნებულ დედამიწას.

გერმანელი ჯარისკაცი თოვლში გდია, თოვლის ზეინიდან გამოუყვია გაშეშებული ფეხები. დაკრუნჩხული ხელით მაგრად უჭირავს უცხო ქვეყნის მიწა და პირიცი უცხო ქვეყნის მიწით აქვს გამოტენილი, თითქოს მისი გადაყლაპვა უნდოდა და დაიხრჩო.

რუსი ჯარისკაცი ბრძოლაში გაჭრილა, ყუმბარა მოუმარჯვებია და სწორედ ამ წუთში გაუგმირავს მისთვის გული საბედისწერო ტყვიას. ფიქვს მიყრდნობილი, ყინულის ქანდაკებასავით გაშეშებულა ორმოცგრადუსიან ყინვაში. ის დგას ამაყად, თავი უკან გადაუგდია ბრძოლის ზემთაგონებით თავდავიწყებულს.

ეს ორმოცდაერთი წლის ზამთარია.

მაგრამ გადას ეს მთელი მსოფლიოსათვის დაუეიწყარი ზამთარი. საბჭოთა კავშირის მთელ თვალუწვდენელ სივრცეზე იწყება ახალი ძალების სუნთქვა. ქარივით აღწევს იგი „ლენინგრადის“ პალატებამდის და კვლავ ინთება გული. სიცოცხლე ფეთქავს და გიხმობს: გულის წყრომა შენს თავზე, შენს უმოქმედობასა და სისუსტეზე უკვე აღონებს და აღელვებს გულს.

მარტში გამოვიდვარ საავადმყოფოდან. დიდდას ვაგზალზე

მივყავარ. თავი მიბრუნდება გზის ჩაყოლებით მოჩუხჩუხე, მზეზე მოელვარე მდნარ თოვლის ნაკადულებისა, ჰაერისა, ადამიანებისა და მანქანებისაგან. ჩვენ „გნილოი იარში“ მივდივართ.

ტუუილად მეგონა, რომ ბავშვები კარგად ვერ იქნებოდნენ სოფელში, რომელსაც ასეთი უშნო სახელი ჰქვია. კარგად არიან ბავშვები ამ სოფელში. პეტენკა გაზრდილა, მომაგრებულა და ნაძდვილი სოფლელი ბიჭი გამხდარა, მზისგან ცხვირი აჰქექია და ოქროსფერი ბუსუსი აჩნია მზემოკიდებულ ფეხებზე.

უკვე მორცხვობს, როდესაც სხვა ბავშვებთან ვკოცნი. ის მარკებს აგროვებს და სძულს ვიტკა კოტელკოვი, რადგანაც მან იტირა და „ენატანიობს“ დედასთან. მამას წერილებსა სწერს და ძალიან უცნაურია: — დროდადრო მამა მოკითხვას წერს ვილაც დეიდისაგან, რომელსაც ვარია ჰქვია.

— მოხუცია?

— არა, ახალგაზრდა.

— მოკითხვას რად მითვლის? ჩემი გაცნობა უნდა?

— ალბათ...

სოფლის სასაფლაო მაღალ ბეჭობებზე გადაშლილა. მოწმენდილ ამინდში შორიდან მოჩანს ჯვრები და ხუთქიმიანი ვარსკვლავები. ხევში ერთ სასაფლაოსა და გზის შუა, გზის იქით მობიბინე მინდვრებია გადაკიმული. ჩვენ გარეულ ჟოლოს ბუჩქის ჩრდილში ვსხედვართ.

— დედაც ხომ ახალგაზრდა მოკვდა?

— სულ ახალგაზრდა.

რაზე ფიქრობს, როდესაც ბალახს ჰგლეჯს, რომელზედაც მიცოცავს და უეცრად აფრინდება ქიამაია?

— ძია სანია ჰგავდა დედას?

— ჰგავდა.

ის მორიდებით მიყურებს, ხელზე ხელს მისვამს და მკოცნის. მე ეტირი და ცრემლები ზედ მზემოკიდებულ, აქეცილ ცხვირზე ეცემ პეტკას. ხელგადახვეულები მდუმარედ ვსხედვართ გარეულ ჟოლოს ბუჩქებში, მოშორებით კი ზის და ალმაცერად გვიყურებს სანიას. გულგრილი, საძულველი სიკვდილი.

წინ, წინ! უკან ნუ იხედები, წარსულს ნუ იგონებ!

1942 წლის ზაფხულია. მხატვართა ფონდის ბანაკი ნოვოსიბირსკის ოლქში გადაიყვანეს. მე ვბრუნდები პირქუშ, ჩაბნელებულ მოს-

კოვში. სახურავებზე საზენიტო იარაღები დგას, მოედნებზე სახურავებია დახატული.

მეტრო ძველებურად სუფთა და ახალია, ოდნავ ფერი არ შესცვლია ერთი წლის ომის მანძილზე. გოგოლის ბულვარი, — ბავშვები და გადიები; სივცევ-ვრაეეკი, მობრეცილი, ვიწრო, საყვარელი და კვლავ იგივე, მიუხედავად ორი ახალი სახლისა, რომლებიც ამპარტავნულად დაპყრებენ ჩაუამებულ, დაბერებულ მეზობლებს, ნაცნობი, ჭუჭყიანი კიბე. კარებზე სპილენძის ფირფიტა: „პროფესორი ვალენტინ ნიკოლაევიჩ ჟუკოვი“. ოჰო, პროფესორი! ეს ახალი ამბავია! მე ვრეკავ, ვარახუნებ! კარები იღება. წვერმოშვებული, სათვალეებიანი სამხედრო კარებში დგას.

რა თქმა უნდა, მაშინვე ვიცანი იგი. სხვა ვინ მოგაშტერდებოდათ ასეთი დაბნეული და ზრდილობიანი გამომეტყველებით? ასე სასაცილოდ სხვა ვინ გადაადგებდა გვერდზე თავს და თვალებს აახამხამებდა, როდესაც ვკითხვ:

— აქა ცხოვრობს პროფესორი ვალენტინ ნიკოლაევიჩ ჟუკოვი?

სხვა ვინ დაიღრიალებდა ასე, ვინ მეცემოდა და ისე უხერხულად ვინ მაკოცებდა ყურთან? და თან ფეხზე ფეხს ისე დამადგამდა, რომ ახლა მე დავიყვირე.

— კატია, ძვირფასო, როგორ მიხარია! სასწაულია, რომ სახლში დაგხვდი.

ხელში აიტაცა ჩემი ჩემოდანი და ჩვენ შევედით... არა, საღ შევიდოდით, თუ არა „საერთოდ სამზარეულოში“, სწორედ იმაში, რომელიც ერთდროულად იყო: კაბინეტი, სასადილო და ბავშვების ოთახი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას დამსგავსებოდა ეს ძველებური მყუდრო სამზარეულო! მაგიდაზე რაღაც მოწნულეები იდგა ფაფით. იატაკი დაუგველი იყო, ფანჯრებზე ლურჯი ქალაღის ნაფლეთები ეკიდა...

ვალეამ ხელი მომკიდა.

— ყველაფერი ვიცი, ყველაფერი. — სახე აუთრთოლდა და სათვალის ქვეშ მაგრად მოხუჭა თვალეები. — ძვირფასო მეგობარო, ძვირფასო სანია... მაგრამ იმედი ხომ არის. ივან პავლიჩმა წამიკითხა შენი წერილი. ჩვენ ველაპარაკეთ ერთ პოლკოვნიკს და იმანაც გვითხრა, რომ ძალიან ბევრი ბრუნდება, ძალიან ბევრი.

მე ვუთხარი: „ჰო, ბევრი“, და ის კვლავ გადამეხვია.

— არსად არ გაგიშვებ, — ენერგიულად მითხრა მან. — ბანასულ ცარიელია და შენ კარგად მოეწყობი. უკვე ცოტა მივალაგ-

მოვალაგე, როდესაც ივანე პავლიჩმა მითხრა, კატია ჩამოვაო. აქ უნდა მოირეცხო, არა? — გაუბედავად მკითხა მან.

მე გამეცინა. ის საწოლზე ჩამოჯდა და მასაც გაეცინა.

— პატიოსნებას გეფიცები, არა მცალია. მე ხომ აქ თითქმის არა ვცხოვრობ — სულ ფრონტზე ვარ. ზამთარში კი მშვენიერი იყო. ზამთარში ცხოველები აქ გადმოვიყვანე, იმიტომ, რომ ინსტიტუტში უღმერთოდ ციოდა.

რა თქმა უნდა, ყველა ცხოველი კი არა, მხოლოდ ძვირფასი ეგზემპლარები წამოიყვანა და ეს ჩინებული აზრი იყო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა იშვიათმა საზღვარგარეთულმა ვირთაგვამ, რომელიც აქამდე გადაჭრით ამბობდა უარს შვილების ყოლაზე, — ვალიას ოთახში იბარტყა, — ისე იმოქმედა მასზე ოჯახურმა გარემომ. ავეჯი ვალიას დაეწვა. ესეც, რასაკვირველია, აგრეთვე მხოლოდ საკეთილოდ იყო, იმიტომ რომ კირას, ექვს გარეშეა, ძალიან ეწყინებოდა, როდესაც დაინახვდა, რას დაამსგავსეს ავეჯი „ძვირფასმა ეგზემპლარებმა“.

— მაგრამ აუცილებელი ავეჯიდან მე მხოლოდ სამზარეულოს მაგიდა დავწვი, — თქვა შეწუხებულმა ვალიამ, — ისე რომ, მთავარი მაინც დარჩა. სკამები, პატარა კარადა, რომელიც კირას ძალიან უყვარდა, ფარდები და სხვა ამგვარი.

გაზაფხულზე მხეცები ინსტიტუტში დაბრუნდნენ. ვალიამ კი მიიღო კაპიტნის წოდება და სამხედრო-სანიტარულ სამმართველოში დაიწყო მუშაობა. მე კვითხე, ვის რად უნდოხარ შინი მღრღნელებით-მეთქი, მაგრამ მან ძალიან სერიოზულად მიპასუხა:

— აი, ეგ კი უკვე საიდუმლოა.

საერთოდ, ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. ცუდი იყო მხოლოდ ის, რომ ზამთარში „დაწყველილი ლიმიტი გადაწვი“ და შუქი გამოურთეს — უბრალოდ, მოვიდნენ და გადაჭრეს ელექტროხაზი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დღე ახლა გრძელა, საღამოთი კი სპირტის პატარა ლამპაზე ვმუშაობ, შესანიშნავი რამეაო!

— წყლის გათბობა ამ ლამპაზე შეიძლება?

ვალიამ დაბნეულად შემომხედა.

— ღმერთო ჩემო, რა აბუეტი ვარ! — შესძახა მან. — შენ ნამგზავრი ხარ და მე ჩაი არც კი შემოგთავაზე.

— არა, მე მინდა ბევრი წყალი, — ვუთხარი მე, — ძალიან ბევრი. ვედრო მოგეპოვება სადმე?

მან მხოლოდ პირი დააღო და საცოდავად აღმუვლდა, როდესაც

მე, ფეხშიშველამ, ქვედატანაკეცილმა, სველი ტილოთი ხელში, დავიწყე წესრიგის დამყარება.

თითოთ ცხვირს იქეპავდა და გაცეებით მიყურებდა, როგორ გამოვხვეტე საწოლ ქვეშიდან კარტოფილის ნაფტკენნი, როგორ ჩამოვხიე ფანჯრებიდან კუჭკუიანი ქალაღი, დაობებული პურის რამოდენა გროვა დაღვა იატაკზე.

აი, ამგვარად, ფეხშიშველა, ქვედატანაკეცილი, მაგიდაზე ვიდექი და ცოცხზე სველ ტილოს ვახვევდი, რომ აბლაბუდა ჩამომეგავა, როდესაც ვილაცამ დააკაქუნა და ვალია დერეფანში გაიქცა. თან ვედროც გაიყოლა კუჭკუიანი წყლით.

მე გავიგონე, როგორ უთხრა ვალაცას ჩურჩულით: „არა უშავს რა, მაგრად არას! ყოჩაღად, ჩინებულად“ და მეტი უკვე აღარაფერი ისმოდა.

ღია კარების წინ აწოწილმა ფიგურამ გაიელვა. ვილაცამ ქული მოიხადა, ჯოხი მიაყუდა, სავარცხელი ამოიღო და სარკის წინ ქალარა უღვაში გადაივარცხნა. ვილაც შემოვიდა, გაჩერდა და გაკვირვებით დამაკქერდა.

— ივან პავლიჩ, ძვირფასო!

მან იცოდა, რომ უნდა ჩამოესულიყავი, — ჩვენ მიწერ-მოწერა გვექონდა და მოულოდნელი არაფერი იყო იმაში, რომ ვალიასთან დავხვდი, მაგრამ მე თითქოს მხოლოდ სიხმარში შეიძლებოდა მენახა ეს შეხვედრა. ჩვენ მოვეხვიეთ ერთმანეთს, მე თავი ვერ შევიკავე და ტირილი ამოვუშვი, ისიც ასლუქუნდა და ჯიბეში ჩაიყო ხელი ცხვირსახოცის ამოსაღებად.

— რატომ ჩემთან არ ჩამოხვედი? — გაჯავრებით მკითხა და დიდხანს იწმინდა თვალები და უღვაშები.

— ივან პავლიჩ, დღეს ვაპირებდი შემოვლას!

მე ვიცვამდი კარადის გაღებული კარების უკან და ჩვენ ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით დაუსრულებლად, როგორ მოვფრინავდი, ავად როგორ ვიყავი, ლენინგრადის ბლოკადაზე, ჩვენს შეტევაზე მოსკოვთან... ახლა შევამჩნიე, როგორ დაბერებულიყო ივან პავლიჩი, როგორ დაეღარა ნაოქვებს მაღალი შუბლი და ლოყებზე დასჩნეოდა ფოთოლ-ფოთოლი, ბებრული სიწითლე. მაგრამ ის ჯერ ისევ ტანადი იყო, მოხდენილი.

უკანასკნელად ერთმანეთი ორიოც წელში ვნახეთ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია მას შემდეგ! უეცრად მოგვენატრა მოხუცი და ტორტით და ფრანგული ღვინით თავს დავესხით სადო-

ვო-ტრიუმფალურზე, მის განმარტოებულ, მარტოხელა კაცის ბინაში. რა კმაყოფილი იყო, რა გემოიანად სვამდა ღვინოს, როგორ იცი-ნოდნენ ისა და სანია, როდესაც გრიშა თაბერს და ტრაგედია „დად-გა ქამს“ იგონებდნენ, რომელშიაც გრიშა შვილობილი-ებრაელის მთავარ როლს ასრულებდა. შუალამემდე ვისხედით ბუხართან. ის იყო სხვა სამყარო, სხვა დრო.


— დაებერდი, არა? — მკითხა მან, როდესაც შემამჩნია, რომ თვალს არ ვაშორებდი.

— ჩვენ ყველანი დაებერდით, ივან პავლიჩ, ძვირფასო. მე?

ის ცოტა ხანს სდუმდა. მერე ნაღვლიანად მითხრა:

— შენ კი, კატია, დედას დამსგავსებობარ...

უკვე საღამო იყო. ვალიამ თავისი პატარა ლამპა აანთო, მაგრამ მაშინვე ჩაეაქრეთ. — სასიამოვნო იყო შუქშეუნიღბავად ჯდომა ღია ფანჯარასთან, საღამოს რბილ შუქში, რომელიც შესახვევიდან ეცე-მოდა. იქ, შესახვევში, მსუბუქი გამჭვირვალე სიბნელე იყო, ვალიას-თან კი — ოთახისა, სულ სხვაგვარი. შეუმჩნეველად ბინდდებოდა და უკვე ივან პავლიჩს კი არა, მის ჰალარა უღვაშებსა ვხედავდი, არც ვალიას, მხოლოდ მის სათვალეს, რომელიც მოტრიალების დროს უბრკვევინავდა. წამიერად სიჩუმე ჩამოვარდა და მაშინ გასაოცარი სიძლიერით ვიგრძენი ჩემი თავი სიკვდილამდე ერთგულ, ნამდვილ მეგობართა შორის. „შესაძლებელია, ყველაზე უფრო მძიმემ უკვე განვლო, — ვუთხარი ჩემს თავს, — რაკი ეს ადამიანები, რომელთაც ასე ვუყვარვარ, ახლა ჩემთან ერთად იფიქრებენ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი უფრო ადვილი და უკეთესი გახდეს; რაკი ასეთი სიჩუ-მეა და ასე ბუნდოვნად მოჩანს ეს კეთილი, ჰალარა უღვაშები“.





ნაწილი მერავი

სანია გრიგორიევის ნაამბობი

იბრაჰიმე და ემიე

თავი პირველი

დილა

კატია აივანზე იჯდა წინა კაპიტონოვნასთან. ძილში მესმოდა მათი ხმადაბალი ლაპარაკი, რომ მე არ გაველვძიებინე. გუშინდელი საღამო ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ.

წინა კაპიტონოვნას ჩამოსვლის გამო პირველად გამოვიტანეთ ბაღჩაში სასადილო მაგიდა; ჩვენ დიდხანს ველოდით მას და ბოლოს, როგორც იყო, გამოგვეცხადა საზეიმო განწყობილებით, სასტიკი, 1908 წლის ყაიდის პუკპუკებიან ახალ კაბაში და ღილებიან, ძალზე წვეტიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი.

რა მშვენიერად გვიამბო ნიკოლაი ანტონიჩის ე.კონომ ქალზე, რომელმაც ქურაზე თავისი ქუჩუყიანი ტუფლები გამოუჭიმა! როგორ წარმოგვიდგინა საკუთარი მანქანით წასვლა ახალ ბინაზე — ნიკოლაი ანტონიჩმა ოთხთახიანი ახალი ბინა მიიღო გორკის ქუჩაზე, გაზითა და ორთქლის გათბობით. წინა კაპიტონოვნამ ნიკოლაი ანტონიჩის ხმით თქვა: „ამოირჩიეთ, რომელი ოთახიც გნებავთ, წინა

კაპიტონოვნა“, და უპასუხა თავისი ხმითა და ამაყი გამომეტყველებით!.. „გმადლობთ, ნიკოლაი ანტონიჩ, დროა მწვანე დეკორაციებზე ვიფიქრო და სხვისი სხვისგან არ მინდა“.

მე. წარმოვიდგინე, როგორა ზის მოსკოვში მოხუცი კაცი ჩინებულ ახალ ბინაში, სარგებლობს შუქით, ჰაერით, გაზით, ორთქლის გათბობით და ყველაფერს უკულმა წერს — ესე იგი, ყველაფერ თეთრს შავს ეძახის, ყველაფერ შავს კი თეთრს.

უკვე აღგომის დრო იყო, — შვილის თხუთმეტი, მაგრამ ისე სასიამოვნო იყო თვალდახუჭული გულადმა წოლა და მოსმენა, როგორ დადის კატია ძველ აგარაკზე და ხმელი იატაკის ფიცრები ფრთხილად ჭრიალებენ მის ფეხქვეშ! აი, ის ჩემ კარებთან შეჩერდა, ალბათ ყური მომიგდო, — მძინავს თუ არა, გაიფიქრა, ცოლოა გავლიძებაო. აი, სამზარეულოში გავიდა და „სწავლულ ძიძას“ უთხრა, იქნებ დღეს არა ღირს ბაზარში წასვლა, რადგან სულ ერთია, სანია ათი საათის მატარებელს გაჰყვებაო.

ცოლი! ჩვენ ისე ხშირად ვმორდებოდით ერთმანეთს და მე ისე დავეჩვიე მის წარმოდგენას გონებაში, რომ აბლაც წარმოვიდგინე, თუმცა ის გვერდით იყო: ზოლიან აბრეშუმის ხალათში, თმადავარცხნილი, ან უფრო სწორედ, თმადაუვარცხნელი, სწორედ ისეთი, როგორიც მომეწონა იმ დილით, როდესაც პირველად ენახე იმ დაუღვევარ, ნაჩქარევად დაბნეული ნაწნავით. ჩვენ ისე ხშირად ვმორდებოდით ერთმანეთს, რომ ყოველთვის ცხოვრებას თითქოს ახლად ვიწყებდით.

შვილის ნახევარია. ის ფეხაკრეფით შემოვიდა და მაკოცა.

— მთელი საუკუნეა გძინავს. საბანაოდ წავალთ?

— მერე კარგია?

ამინდზე ვკითხე.

— ძალიან.

— მაშ წავიდეთ.

— მდინარეზე?

მდინარე სულ ახლოს იყო გვერდასთან, მაგრამ ჩვენ ტბაზე გვინდოდა ბანაობა და ტბაზე წავედით, თუმცა დრო მცირე გვქონდა.

ამინდი არა თუ კარგი იყო, მთელ ზაფხულს ასეთი მშვენიერი ღილა არა ყოფილა! მზე თითქოს ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე აეელვარებინა და გაემშვენიერებინა ყველაფერი. იქ, ტბაზე, უკვე ყველაფერი გაემშვენიერებინა და ახლა მეფურად გადაშლილს ჩვენ-

ზე მოჰქონდა იერიში, პატარა ნაძვებში გახლართული თეთრი ნისლი შეშინებული სწრაფად იკრიფებოდა.

მხოლოდ ერთილა დარჩენილიყო ძროხის ლელეზე ხიდად გადებულ ვერხვებიდან, რომელიც მე და პეტამ წარსულ კვირას მოვახონმარიკეთ; მე ამ ვერხვზე გადავირბინე, კატია კი ფონით გავიდა და, ღმერთო ჩემო, როგორ დამამახსოვრდა, როგორი იყო მაშინ! მიდიოდა და თან ხელით ხალათის კალთას იჭერდა, ფრთხილად, სიამოვნებით, ფეხით სინჯავდა ქვიშიან ფსკერს; პირსახოცი მხრიდან ჩამოუტურდა და მარჯვედ დაიჭირა. ზედ წყლიდან აიტაცა.

ჩვენ ზევით წავედით, ძველებურ შევდების სასაფლაოსაკენ, სასაფლაოს შემოვუარეთ და ტბაც გამოჩნდა. ტირიფით დაჩრდილულ დაბალ ნაპირზე ტიტლიკანა, სიცივისაგან გალურჯებული ბიჭი ბადეს ეწეოდა — კიბოებს იჭერდა, სულელი! არა, მერვე საათზე ვინ იჭერს კიბოებს?!

კატამ სიცილი დაიწყო, როდესაც მე ბიჭი თავის ბადიანად წყლიდან ამოვიყვანე და პატარა ლექცია წავეუკითხე, კიბოები როგორ უნდა დაიჭიროს, კერძოდ, ცისფერი კიბოების დაჭერის შესახებ, რომლებიც მხოლოდ დამპალ ხორცს ეტანებიან. აქ, საერთოდ, წვრილი კიბო იცოდა, ენსკში კი, — აი, იქ იყო კიბოები!

ქვიშას ოდნავ ასდიოდა ოხშივარი, მზეს ტირიფის ტოტებში გაეტანებინა და ქვიშა გაეთბო. აქ, ტირიფების ქვეშ, ჩრდილი იყო, ხოლო იქ, ტბაზე, ნაპირიდან ცოტა მოშორებით, მზე კაშკაშებდა და, როგორც ყოველთვის, მე და კატამ მზისაკენ გავეტურეთ, რათა მზე მოგვეკიდებოდა...

რატომ ვიწყებ კვლავ ჩემს ამბავს სწორედ ამ დღიდან, რომელიც, მგონი, არაფრით არ განსხვავდება სხვა რომელიც გნებავთ კვირა დილისაგან? იმიტომ, რომ ასეთი სახით წავიდა ჩემგან ძველი ცხოვრება. მის ნაცვლად კი წამში მოვიდა სულ სხვა და თავისებურ კალაპოტში ჩაგვაგდო მეც და კატიაც, ყველა ჩვენი აზრები, გრძობები, შთაბეჭდილებები...

ეს სხვა ცხოვრება იყო ომი და, შესაძლებელია, მე არც დამეწყო იმაზე წერა — სწორედ იმიტომ, რომ ეს იყო სულ სხვა ცხოვრება, რომ ის, რაც ომში შემემთხვა, საოცრად არ გადახლართოდა კაპიტან ტატარინოვისა და „წმ. მარიამის“ ისტორიას.

ი ს

იმ უცნაური გრძნობით შეპყრობილი, რომ შეუძლებელია გამოგეთ ის, რასაც ვხედავ, მე ვაკვირდები ომის პირველი დღეებისა და კვირების წყვეტილ სურათებს.

ვხედავ გლეხური ქოხის დიდ, ბნელ ოთახს, მაგიდას, მბეუტავი ნამწვით მკრთალად განათებულს, პლამჩხალატკა აფარებულ ფანჯრებს. კარები იღება, შემოდის კიტელგაღელილი კაცი, ღუმელში ცეცხლს ჰქექავს, ხარბად სკამს. ეს გრიშა ტროფიმოვია. საწოლიდან მეორე დგება და მის გვერდით ჯდება მაგიდასთან. ეს ლურია. და მე მესმის ჩუმი ლაპარაკი, რისგანაც გული მძლავრად და ნელა სცემს.

— ლადოგაზე იყავი?

გრიშა სკამს და უხმოდ უქნევს თავს.

— მერე?

— იგივეა.

— ზვანკაზე?

სკამს. სდუმს. ზვანკაზე იყო.

სახეში უყურებს ერთმანეთს ორი ლენინგრადელი. ეს ლენინგრადის ბლოკადის პირველი ღამეა.

მე ვხედავ ალამს ბარათით, რომელიც ჩემი თვითმფრინავის ქიმიდან მიჰქრის, ასე ვშველოდით ხალხს, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გარემოცვაში არიან, და სცდებოდნენ.

მე ვხედავ პირველ საფლავს, რომელიც ჩვენ სტაბილიზატორებისა და ქურვების რკინის ყვავილებით მოვრთეთ და რომლის ზემოდანაც რაც შეიძლება დაბლა გადავიფრენდით ხოლმე, როდესაც შინ ვბრუნდებოდით საბრძოლო გაფრენებიდან.

და კვლავ ტბა დგება ჩემს თვალწინ — სწორედ ის ტბა, რომლის ნამძინარევი დილის ჩარჩოში უკანასკნელ ზმანებად მომეველინა წარსული ცხოვრება. ახლა იგი მოღუშულა, მოღრუბლულა, ოდნავ ბრწყინავს, თითქოს ნაპირების პირად ჩასხმული წყალი, ლეგა ბოლი მოსცურავს მის ნისლიან სარკვეზე. ეს — ტყე იწვის, რომელსაც გერმანელებმა წაუკიდეს ცეცხლი.

სადამოობით ფერდობზე გამოვდივართ მიწისქვეშა ბლინდაჟი-

დან. კატარლები ტირიფებქვეშ დგანან. შხეფების შხაფუნსა და ქაფში მუქ წყალზე მიეჭრივართ. ზღუდესავით აღმართულ ტყიდან ზღვის უზარმაზარი ფრინველებივით გამოდიან თვითმფრინავები. ეს ტბა ლ. არის — ჩვენი მესამე და მეოთხე ბაზა.

ბევრ რამეს ვხედავ. მაგრამ ყველაფერი, რასაც მე ვხედავ, თითქოს თვალწინ რუკის ფონზეა, რომელიც ყოველდღე იშლება ჩემი თვითმფრინავის ფრთების ქვემოდან, — რუკები ფრონტის ტეხილი ხაზებით, გერმანელთა შეტევის შავი ტალღა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.

ნაწილში ყოველდღე მოდიოდნენ ახალი მფრინავები, მეტწილად სამოქალაქო ავიაციიდან, ზოგთან ჯერ ისევ ჩრდილოეთში ვმუშაობდით, ზოგთან — შორეულ აღმოსავლეთში. ესენი გამოცდილი პილოტები იყვნენ, ბევრნი პირველი და მეორე კლასის, სამი მათგანი „მილიონერიც“ კი იყო. ესე იგი, ისეთი, რომელთაც მილიონ კილომეტრზე მეტი გაფრენა ჰქონდათ. და გაგეციებოდით, რომ შეგეხედიათ, რა სასაცილო შეცდომებს უშვებდნენ, ვიდრე სამხედროები გახდებოდნენ ეს არა სამხედრო ადამიანები. ამის შესახებ ჩვენ ხშირად ვლაპარაკობდით, ძალიან ხშირად სასადილოშიაც, სახლშიაც, მიწურშიც, სადაც სამნი ვცხოვრობდით: მე, ლური და ტეჟნიკოსი. შესაძლებელია, ჩვენ ამაზე ასე ხშირად იმიტომ ვლაპარაკობდით, რომ უსიტყვოდ შევთანხმდით, „სხვაზე“ არ გველაპარაკა. „სხვაზე“ ჩვენს მაგიერ გაზეთები ლაპარაკობდნენ.

ავისტოში მე ეკიპაჟთან ერთად სამხრეთ ფრონტის განკარგულებაში გადამისროლეს.

ღამე ბნელი იყო, „რამენული“, როგორც ლურიმ უწოდა. ძალიან წვრილად სცრიდა, წვიმა რუხ ნისლში ირეოდა, რომელიც ტბას სქლად ეფინა. უკუნეთია, თვალთან თითს ვერ მიიტან! მე კატარლას ვერ ვიპოვიდი, ტეჟნიკოსს რომ არ გაენათებინა პატარა ფარნით. მიხვდა, რომ გზა დაეკარგე.

პოლკოვნიკმა დამიძახა. ჩვენ ერთ ხანს ჩუმად ვიდექით, სიბნელეში ოდნავ ვხედავდი მის მოკლე, აბზეკილ ცხვირს, ენერგიულ, ჯერ ისევ ახალგაზრდულ სახეს. სალაპარაკო არსებითად არაფერი იყო, მაგრამ მაინც მკითხა, მიგაქვს თუ არა საბებიო (ელვარე ყუმბარები). ვუპასუხე, მიმაქვს-მეთქი. საბებზე ზრდილობის გულისათვის მკითხა, იმიტომ რომ გაფრენების უკანასკნელ გარჩევაზე მე დავამტკიცე, რომ საბები ბევრად აღიდებენ ღამით ყუმბარის ტყორცნის სიზუსტეს.

...ალბათ ლური გუნებაზე ვერ იყო, სხვაფრივ ის არ მოისურვებდა ამ მოსაწყენი რუმინული სადგურის მოსმენას, მომაგონდა, როგორ გაეღვიძა და ვერ მიცნო, როდესაც გაფრენის წინ გაეღვიძე. დაღლილი ჩანდა და, როდესაც საწოლზე ჯდებოდა, თავისი საყვარელი ციტატი არ უთქვამს „თქვენი ფრთებიდან“, „თუ დაღლილი ხართ, უკეთესია ნუ გაფრინდებით, ვიდრე არ დაისვენებთ...“

სანაპიროდანვე დაგვიწყეს პროექტორებმა კვალდაკვალ დევნა. მათი ბუნდოვანი შუქი ხან ჩნდებოდა, ხან ჰქრებოდა ჩვენს ქვემოთ რძისფერ უფსკრულში. ეს კიდეც არაფერი. თოვალში მივფრინავდით, ფარს თოვლს აყრიდა.

ახლა ლური იჭერს კონსტანცას და ეშმაკმა იცის, რა აბლაუბდას გადმოსცემს ეს კონსტანცა! უსტვენ და ფიქრობ, გარშემო კი იზიდებიან და გროვდებიან მუქი მთები, ფიქრობ და უსტვენ, მთებს უნდა შემოუარო, ღრუბლებქვეშ კი ვერ გაივლი — თოვს, მანქანა იყინება. უსტვენ და ფიქრობ: „აი, ხომ ხედავ, შენ კი ჯავრობდი, რომ მე არაფერსა გწერ გაფრენების შესახებ“.

ღრუბლებს გავცდით სწორედ მაშინ, როდესაც მოგვეჩვენა, რომ თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ღრუბლებს კი არ გავცდით, თითქოს ღრუბლები გაიპო და შუაში გაიხსნა ფართო დერეფანი, გავსებული მშვენიერი დილის სადაფის შუქით, ჩვენს ქვემოთ ღრუბლებზე ჩვენი ჩრდილი მოსჩანდა, ასევე ჩვენს ზემოთაც. ეს უცნაური იყო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთ საგანს არ შეუძლია ბუნებაში ერთდროულად ორი ჩრდილი ჰქონდეს. მგონი გამიკვირდა, შესაძლებელია, არც გამკვირვებია, რადგან მივხვდი, რომ მეორე ჩრდილი სრულიადაც ჩვენი არ იყო, არამედ „მესერისა“, რომელიც საკმაოდ მაღლა მიფრინავდა ჩვენს ზემოთ. კარგია, თუ ის ერთია. მაგრამ მის უკან, ვით თევზებმა მზეზე, მეორემ და მესამემ გაიბრკვევიალა.

თანახმად ყველა წესისა, ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა გავცლოდით მათ და გავეცლებოდით კიდეც, ღრუბლები რომ ჩვენს უკან, სადღაც შორს უძრავ პირქუშ ლურჯ შენობასავით არ აღმართულიყვნენ, გასაქცევი არსაით გვექონდა და უკვე — ზრრ, ზრრ — სიბრტყეზე კენჭებივით დააყარეს და კაბინაში ტყვიები გაიფანტნენ.

ეს იყო ჩვეულებრივი ბრძოლა, რომელიც არაფრით არ იყო ღირს-შესანიშნავი და მე არ გიამბობთ ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ ძა-

ლიან მალე დამთავრდა. ჩვენ მაშინვე მოვახერხეთ ერთი „მესერ-შმიტის“ ჩამოგდება, როგორც იყო — ისევე დაეცა მიწაზე. დანარჩენმა ორმა მთა გააკეთეს. ხელს უშლიდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ, ჩვენს თვითმფრინავს კუდთან მოჰქცეოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ჰკვიანური იყო, მაგრამ არც იმდენად, რადგან ჩვენ ისეთი ხალხი არ ვიყავით, რომ ისინი კუდთან მიგვეშვა. ერთხელ მოგვიარეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მოგვიარეს მეორედ და კინაღამ ჩვენი „ტრანსის“ ქვეშ არ ამოყვეს თავი, მოკლედ რომ მოვქრა, ვიგერიებდით, როგორც შეგვეძლო, ძლივს მოგვეშორდნენ და მე თვითმფრინავი პირდაპირი ხაზით წავიყვანე, — ფრონტის ხაზი ახლო იყო.

თქმა ადვილია, თვითმფრინავი სწორი ხაზით წავიყვანეო. მარცხენა სიბრტყის მეოთხედი მოგლეჯილი ჰქონდა, ავზები დახვერტილი. მე ფეხში და სახეში ვიყავი დაჭრილი, სისხლი თვალებს მივსებდა.

...უცნაური სისუსტე ვიგრძენი. მგონი, სწორედ ამ წამში მომაგონდა ბავშვობის საშინელი სიზმრები, როცა მკლავდნენ, წყალში მახრჩობდნენ და რა ბედნიერება იყო, როდესაც გაიღვიძებ და ხედავ, რომ ცოცხალი ხარ...

„მაგრამ ახლა, — ეს ძალიან მშვიდი აზრი იყო, — ახლა აღარ გამეღვიძება“.

ალბათ გრძნობა დავკარგე, მაგრამ მოკლე ხნით, იმიტომ რომ საკუთარმა ხმამ მომიყვანა გონს. თითქოს ლაპარაკი დავიწყე მანამდე, ვიდრე გრძნობაზე მოვიდოდი. ეკიპაჟს ვუბრძანებდი, პარაშუტებით გადამხტარიყვნენ. რადისტი და საჰაერო მსროლელი გადახტნენ, ლურიმ კი ბუზღუნით თქვა: „კეთილი, კეთილი!“ თითქოს ლაპარაკი იყო მოსაწყენ გასეირნებაზე და მზად იყო დათანხმებულიყო მხოლოდ ჩემი პატივისცემის გამო.

...ყველაზე ძნელი იყო ბრძოლა ამ ნისლთან, თვალები გეხუჭებოდა, ღონე გეცლებოდა და ხელები მოწყვეტილი გივარდებოდა. მგონი, მხოლოდ საუკუნეში ერთხელ ვახერხებდი ამ ნისლის გარღვევას და მაშინ ეხედებოდი, თუმცა არა ყველაფერს, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მთავარს, იმას, რის გამოსწორებაც ამავე წუთას იყო საჭირო. საუკუნე — და მე ძლივს გამოვიყვანე მანქანა, მხოლოდ მარცხენა ფეხითღა მიმყავდა. კიდევ ერთი საუკუნე და მე დავინახე „იუნკერსები“, ორი „იუნკერსი“, რომლებიც ბევრად ჩემზე დაბლა იყვნენ და, როგორც მძიმე, დიდრონი ხარები, ზანტად მოიზ-

ლაზნებოდნენ ჩვენცენ. ეს იყო, რა თქმა უნდა, დასასრული, მაგრამ ისინი არც კი ჩქარობდნენ ჩვენს მოსპობას. ამას მე მაშინვე მივხვდი.

ლური გადახტა. მათ ლურის დაუწყეს სროლა, მოჰკლეს? მერე დაბრუნდნენ, აქეთ-იქით დამიდგნენ და მხარდამხარ გამომყენენ.

...როგორი სახისაა ეს გერმანელი — ლამაზია თუ მახინჯი, ბებერია თუ ახალგაზრდა? ჩემთვის სულ ერთია: ჯარისკაცი კი არა, კაცისმკვლეელი მოფრინავს ჩემს გვერდით. ჯარისკაცი კი არა, ბოროტმოქმედი მისწრებს წინ, დგება განზე, კვლავ მიახლოვდება და მიყურებს, არა ჩქარობს, ტკბება თავისი ზეიმით.

არ ვიცი, როგორ აევსნა ეს, მაგრამ წარმომიდგა, რომ ამ წუთში მე მასაც ვხედავდი და ჩემს თავსაც: ჩემს თავს საჭეს ჩაქიდული უღონო ხელებით, გასისხლიანებული სახით, დაშლილ თვითმფრინავზე, მას სათვალე აუწევია, გულცივი ცნობისმოყვარეობისა და ჩემი სრული დამორჩილების რწმენით მიყურებს. შესაძლებელია, მე რამე ვუთხარი ლურის, დამავიწყდა, რომ ის გადახტა და რომ მათ უსათუოდ მოჰკლეს იგი. გერმანელს ჩემს ქვეშ უნდა გაეელო, სიბრტყე ყვითელი ჯვრით მარცხნივ გამოჩნდა. სახელურს ხელი დავაჭირე, ფეხი მივამეველე და ამ სიბრტყეზე მანქანა მივუშვი.

არ ვიცი, რას მოხვდა, ალბათ კაბინას, იმიტომ რომ ფაშისტმა პარაშუტი ვერც კი გახსნა. მე მოვკალი იგი. რა ბედნიერება იყო!

უზარმაზარმა, მშვენიერმა გრძნობამ ამიტაცა. უნდა ვიცოცხლო! მე გავიმარჯვე ამ კაცისმკვლელზე, რომელმაც თავი მოაბრუნა, სათვალე აიწია და გულგრილად ელოდა ჩემს სიკვდილს. უნდა ვიცოცხლო! ჩემთვის სულ ერთი იყო, ვიდრე ის არ დავინახე. მე დაქრილი ვიყავი, ვიცოდი, რომ ისინი გამათავებდნენ. მაგრამ არა! უნდა ვიცოცხლო! მე ვხედავდი მიწას, აი, სულ ახლოს ხნულია და თეთრი, მტკრიანი გზა.

ტანზე რალაც მეწვოდა, რეგლანი და ჩექმები, მაგრამ მე არა ვგრძნობდი სიციხეს. ეს შეუძლებელი იყო. ზედ მარჯის პირზე ძლივას მოვიკრიბე ძალა, თასმები გავიხსენი და ეს იყო უკანასკნელი, რის გაკეთებაც მოვახერხე ამ დღეს, ამ კვირას, ამ თვეში, ამ ოთხ თვეში... მაგრამ წინ, ნუ გავრბივართ.

ყველაფერი, რაც შეგვიძლო

წყურვილი მკლავდა და მთელი გზა, ვიდრე სოფელში მიმიყვანდნენ, წყალსა ვთხოულობდი და ლურისა ვკითხულობდი. სოფელში ერთი ვედრო წყალი დამიდგეს და ვერ გავიგე, ხმამალალი ტირილი რად დაიწყეს დედაკაცებმა, როდესაც თავი ვედროში ჩავყავი და წყალს უგრძნობლად დავეწაფე. სახე გატრუსული მქონდა, თმები ერთმანეთს მიმწებებოდა, ფეხი მოტეხილი, ზურგზე ორი დიდი ქრილობა. საშინელი სანახავი ვიყავი.

...ნეტარმა გრძნობამ სულ უფრო ამიტანა. სარაიასთან ვიწეკი თივაზე, სოფლის ეზოში, და ასე მეგონა, რომ ეს ნეტარი გრძნობა აღმიძრა ბალახმა, რომელიც მჩხვლეტავდა, თივის სუნმა და მიწამ, რომელზედაც მე არ მომკლავდნენ. თეთრი ბებერი ცხენით მომიყვანეს. ცხენი მოშორებით მესერზე მიაბეს და თვალეებზე ცრემლები მომადგა, როდესაც ცხენს შევხედე. მგონი, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვიძლო. მე არა ვწუხდი რადისტზე და საჰაერო მსროლელზე, მხოლოდ ვუთხარი, არ წავეყვანე აქედან, ვიდრე ისინი არ მოვიდოდნენ. „ლურიც ცოცხალია, — ალტაცებით ვფიქრობდი, — სხვაგვარად არ შეიძლება, თუ ჩვენ ასე მშვენივრად მოვიგერიეთ მტერი, ის ცოცხალია და მე ახლა ვნახავ მას“.

მე ვნახე იგი. ცხენმა ფთხვინვა დაიწყო, ასაწყვეტად გაიწია, როდესაც იგი მოიტანეს და ვიღაც მოღუშულმა ბებერმა დედაკაცმა — ერთადერთი, ვინც არ ვიცი რატომ, დამამახსოვრდა — უხმოდ თავში მუშტი ჰკრა ცხენს.

ლურის დამშვიდებული სახე ჰქონდა, ერთი ბეწო არაფერი დაშვებოდა, მხოლოდ ლოყა ჰქონდა დაბეგვილი. ალბათ პარაშუტმა გაათრია დაშვების დროს, თვალეები ღია დარჩენოდა. ჯერ ვერ მივხვდი, ქუდები რად მოიხადეს ყველამ, როდესაც მიწაზე დაასვენეს. წელანდელი მოხუცი გვერდით მიუჯდა და ხელები დაუკრიფა.

მერე კი ურმით მივჯანჯლარებდი სანბატში; ვიღაც სხვა, სოფლელი არ იყო, ქალაქელ ქალს ჩემი ხელი ეკირა, მაჯას მისინჯავდა და სულ ამას ამბობდა:

— ფრთხილად, აბა ფრთხილად.

მე კი მიკვირდა და ვფიქრობდი: რატომ ფრთხილად? ნუთუ ვკვდები? ალბათ, ეს ხმამალა ვთქვი; იმიტომ რომ მას გაეღიმა და მიპასუხა:

— არ მოკვდებით.

კვლავ მიინჯღრეოდა და მიჯაყჯაყებდა ურემი, თავი ვილაცის მუხლებზე მედო. მე ვხედავდი ლურის, აივანთან მწოლარეს, უსიცოცხლო, დაწყობილი ხელებით; მე მისკენ ვიწევედი, მაგრამ არ მიშვებდნენ.

მიწა გამოჩნდებოდა ხოლმე ხან მარცხენა და ხან მარჯვენა ფრთის ქვეშ. ვილაც ხალხი შეჯგუფებულიყო ჩემს წინ, მე მათ შორის ჩემ კატიას ვეძებდი, მას ვეძახდი. მაგრამ კატია კი არა, რომელიც სასტიკ გამომეტყველებას იღებდა, როდესაც ვეხვეოდო, კატია კი არ გამოვიდა, რომელიც ბედნიერება იყო ჩემი, არეულ ბრბოდან და დადგა ჩემს წინ; ფრინველივით თავი მოაბრუნა, სათვალე აიწია, და გულგრილად მომაშტერდა ის.

— როგორ, — ვუთხარი მე ამ გერმანელს, — ვინ აჯობა? ვინ აჯობა? მე ცოცხალი ვარ, მე ტყეს, ზღვას, მინდვრებს — მთელ დედამიწას გადავიფრენ! შენ კი მკვდარი ხარ, კაცის მკვლელო, მე გაჯობე!

## თავი მეოთხე

### „შენა ხარ, ბუ?“

ჩვენ „თბილანებით“ მივყავდით, მხოლოდ წინ ება ორი სამგზავრო ვაგონი და ალბათ კარგად ვერ იყო ჩემი საკმე, რადგან ტანმოკრილმა ექიმმა, რომელსაც კვიანი გაწამებული სახე ჰქონდა, პირველი შემოვლის შემდეგვე სამგზავროში გადააყვანინა ჩემი თავი. მე ყველაფერი შეხვეული მქონდა — თავი, მკერდი, ფეხი — და უძრავად ვიწექი სქელ თეთრ ტიკინასავით. სადგურებზე სანიტრები ჩვენ ფანჯრებთან ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს: „მძიმეებს გამოართვი“. მე მძიმე ვიყავი, მაგრამ რაღაც ფეთქავდა, არ ვიცი სად, — თავში თუ

გულში. მეჩვენებოდა, რომ ეს სიცოცხლე სჩქევს და არ ისვენებს, რაღაცას აშენებს ჯერ სუსტი, მაგრამ კლანკებივით ხელებით.

მეზობლები გავიცანი. ერთი მათგანი მთრინავი იყო, ახალგაზრდა, ბევრად ჩემზე უმცროსი. მე სურვილი არა მქონდა მემამბნა, როგორ დავიქერი, მას კი უნდოდა და მე რამდენჯერმე ჩამეძინა, ვიდრე იგი ახალგაზრდული, ყრუ ხმით ლაპარაკობდა.

— ის იყო შეტევიდან გამოვედი, „გათავდა“ ვფიქრობ. დავუმიზნე, ხელს ვაქერ, ვესვრი. „კმარა, — ვფიქრობ, — თორემ გავებმები“. გადავწიე და რაღაცამ დამარტყა. მოვშორდი ამ ადგილს, პედალს ფეხს ვაქერ, ფეხს კი ვერა ვგრძნობ. „ეე, — ვფიქრობ, — ფეხი მომწყვიტა“. კაბინაში კი არ ვიყურები, მეშინია...

ის „ჩაიკაზე“ ფრინავდა და ბორუშანის რაიონში დაქრილიყო უფრო მძიმედ, ვიდრე მე, მე ასე მეგონა. მერე მივხვდი, რომ მას პირიქით ეგონა: რომ მე უფრო მძიმედ ვიყავი დაქრილი, ვიდრე ის.

...ეს ხანმოკლე, მშვიდობიანი გამოღვიძება იყო ხოლმე, როდესაც ვუსმენდი სიმაკოვს, — გვარად სიმაკოვი იყო ჩემი მეზობელი, — მე ვუყურებდი, ფანჯრებს იქით როგორ ნელა მისცურავდნენ შემოდგომის ველები, თეთრი ფაცხები, მზესუმზირას დამძიმებული თავები ბოსტნებში, რკინიგზის ბუდრუგანებთან. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო: სანიტრებს მოჰქონდათ წვნით სავსე ვედროები და ჯახაჯუხით დგამდნენ იატაკზე. საწოლი ირწყოდა. ჩანს, ჩვენ წინ მიედროდით, თუმცა ნელა, იმიტომ რომ წამდაუწუმ გვიხდებოდა საქურკელით დატვირთული ფრონტზე მიმავალი შემადგენლობების გაშვება.

მაგრამ სხვაგვარი გაღვიძებაც მახსოვს, სულ სხვაგვარი! ჩვენი მატარებელი უკვე არა მარტო სამხედრო-სანიტარული იყო — აი რა გავიგე ერთ-ერთ ასეთ გულისგამაწვრილებელ გაღვიძების დროს. „თბილანებზე“ მიმბული იყო ბაქნები დაზგებით, სამზარეულო დაიმტვრა და უნდა გვეცადა, ვიდრე სადგურში მივიდოდით, რომ რძე და პამიდორი გვეყიდა. ტანმორჩილი ექიმი ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა და ვიღაცას რევოლვერით ემუჭრებოდა. ბაქნებზე და ბუფერებზე, თავიანთი ბოხჩებით, ისხდნენ უმანელი და ვინიცელი დედაკაცები და „გული არ გაძლევდა“, როგორც ერთმა სანიტარმა თქვა, რომ ეს ქალები, რომელთაც ყველაფერი დაჰკარგეს, თავზარდაცემულნი და გაქვავებულნი მწუხარებისაგან. მატარებლიდან გადაგვისხა.

სადღაც გადახლართულ მაგისტრალების უზარმაზარ ბადეში მიკარგული ჩვენი სამხედრო-სანიტარული მატარებელი უკვე დანიშნულების მიხედვით კი არ მიდიოდა, ხალხთან ერთად უკან იხევდა.

...ფანჯრებიდან შემოსულ დიდრონ, ლურჯ, ქვასავით მაგარ ბუზებს ვერ ვიშორებდით სამი დღის გამოუცვლელ, უკვე შემპალ სახვევებიდან, — აი რა დავინახე, როდესაც კვლავ გამელვიძა. სიცხე და სევდა არ მაძინებდა. შუადღე იყო, მინდორში ვიდექით. ფეხშიშველა გოგო პამიდორით სავსე ბოყვით ხელში გათელილი ყანიდან გამოვიდა, რომელიც ჩემი ფანჯრიდან მოჩანდა. რამდენიმე მსუბუქად დაქრილი იმისკენ გაიქცა, გოგონა შეჩერდა და მერე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უკან მოჰკურცხლა. მირბოდა და გზადაგზა პამიდორები ეპნეოდა.

...გავიდა სულ რამდენიმე დღე, რაც ჩემი თვითმფრინავის ქიმიდან მე დავინახე ის, რაც არ უნახავს — მე ასე მეგონა — ომის არც ერთ მონაწილეს დედამიწაზე, მაგრამ, თითქოს ალგებრულ ფორმულებში, ჩემს წინ იშლებოდა ჩვენი დახვევის სურათი. ახლა ეს ფორმულები გაცოცხლდნენ, რეალურ ფაქტებად იქცნენ.

ახლა ექვსი ათასი მეტრის სიმაღლიდან კი არა ვხედავდი ჩვენს დახვევას! მე თვითონ ვიხვედი, გაწამებული ქრილობებისა, წყურვილისა და უფრო მეტად მწარე ფიქრებისაგან, რომელთაც ვერ ვიშორებდი ისევე, როგორც ვერ ვიშორებდი ლურჯ ბუზებს, რომელნიც საზიზღარი ზუილით სახვევებზე მასხდებოდნენ.

ეს მოხდა სადამო ეამს. ჩვენ, ალბათ, უკვე მივდიოდით, იმიტომ რომ ჩემი „აკვანი“ ვაგონის მოძრაობასთან შეწყობილად, რიტმულად ირწყვოდა. ჩამავალი მზე აღმაცერად იყურებოდა ფანჯარაში და მის მოწითალო სხივებში ნათლად ჩანდა მტკრიანი, მძიმე, იოდით გაჟღენთილი ჰაერი. ვილაყ კვნესოდა ხმადაბლა, მაგრამ შემაზრზენად. თითქმის კი არა კვნესოდა, კრიჭაშეკრული გაბმით ზუზუნებდა. მეზობელს შევეხმაურე. არა, ის არ იყო. მაგრამ სად გამიგონია ეს მოსაწყენი ხმა? ან რადა ვცდილობდი გამხსენებოდა, სად გამეგონა ეს ზუზუნი?

უეცრად ჩემს წინ ჩამწყრივდნენ სკოლის მერხები და, როგორც ცხადლივ, დავინახე ბავშვების მოცინარი სახეები. გაკვეთილი საინტერესოა — ჩუქჩების წესებისა და ადათების შესახებ. მაგრამ გაკვეთილისათვის ვისა სცალია, როდესაც სანაძლეოა დადებუ-

ლი, როდესაც თმაწითელ ბიკს, რომელსაც შორიშორს უსხედან თვალები, ჩემი თითი უქირავს და გულგრილად ჯიბის დანას უსვამს?

— რომაშკა! — წამოვიძახე ხმამალლა.

ის გაჩუმდა, რასაკვირველია, გაოცებისაგან.

— შენა ხარ, ბუ?

ის დიდხანს მოდიოდა საწოლებქვეშ, დაჭრილებზე გამოიარა, რომლებიც იატაკზე იწვნენ, და ბოლოს სადღაც, გამოშვერილ შეხვეულ ფეხებშუა ამოჰყო თავი.

— რა მოხდა? — ფრთხილად მკითხა მან. პირდაპირ მიყურებდა და ვერა მცნობდა.

მომეჩვენა, რომ ის ცოტა უფრო მეტად დამსგავსებოდა ადამიანს, თუმცა „სილამაზე მაინც არ აწუხებდა“, როგორც დეიდა დაშა იტყოდა ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, მისი წინანდელი მოჩვენებითი რიხიანობისაგან ახლა აღარაფერი დარჩენილიყო. ის იყო გამხდარი, გაყვითლებული, ყურები გაფარჩხოდა, მარცხენა თვალს ოღნავ აელმებდა.

— ვერა მცნობ?

— ვერა.

— აბა დაფიქრდი.

მას არასოდეს არ შეეძლო თავისი გრძნობების დაფარვა, ისე როგორც საჭიროა, და ახლა მისმა განცდებმა ჩემს თვალწინ გაიარეს თანმიმდევრობით, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, სულ ყველაფერი ერთმანეთში აერია. საგონებელში ჩავარდნა, შიში, თავზარის დაცემა, რის გამოც ტუჩები აუქანკალდა. კვლავ საგონებელში ჩავარდნა, იმედის გაცრუება.

— დაიცა, შენ ხომ მოგკლეს! — წაიბუტბუტა მან.

## თავი მახუთი

### ძველი ანბარიშები

ძველებურ რუსულ სიმღერებში მღერიან ბედისწერის შესახებ და, თუმცა სულ არა ვარ ფატალისტი, ეს სიტყვა უნებურად მომივიდა თავში, როდესაც გაზეთ „წითელი შავარდნების“ შენიშვნა წავიკითხე — საკუთარი სიკვდილის შესახებ. მე ის ზეპირად მახსოვს.

„საბრძოლო დავალებიდან დაბრუნების დროს თვითმფრინავს, რომელსაც კაპიტანი გრიგორიევი მართავდა, მოწინააღმდეგის ოთხი გამანადგურებელი დაეწია. უთანასწორო შეტაკებაში გრიგორიევმა ერთი გამანადგურებელი ჩამოაგდო, დანარჩენები წავიდნენ ბრძოლაში ჩაუბმელად. მანქანა დაზიანებული იყო, მაგრამ გრიგორიევი განაგრძობდა ფრენას. ფრონტის ხაზის ახლოს მას კვლავ ეკვეთნენ. ამჯერად ორი „იუნკერსი“. — ცეცხლმოდებული მანქანით გრიგორიევი წარმატებით ეკვეთა „იუნკერსს“. № ნაწილის მფრინავთა შორის მარად დაუვიწყარი იქნება კომუნისტების — კაპიტან გრიგორიევის, შტურმან ლურის, მსროლელ-რადისტ კარპენკოს და საჰაერო მსროლელ ერშოვის ხსოვნა, რომელნიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ სამშობლოსათვის“.

მაინცდამაინც ისე მოხდა, რომ ვიღაც სამხედრო კორესპონდენტი — ეს მე მხოლოდ 1943 წ. ზაფხულში გავიგე — სოფელ პ-ში მივიდა, როგორც კი წამიყვანეს! კოლმეურნეებმა ნახეს საჰაერო ბრძოლა, კორესპონდენტმა გამოჰკითხა მათ, გადაიღო დამწვარი მანქანის ნამსხვრევების სურათი. მას უთხრეს, რომ ჩემი მდგომარეობა უიმედოა.

არ ვიცი, რატომ: იმიტომ, რომ მე მართლაც სასწაულით გადავრჩი, თუ იმიტომ, რომ სიცოცხლეში პირველად მომიხდა ჩემი საკუთარი თავის შესახებ დაწერილი ნეკროლოგის წაკითხვა, მაგრამ ამ შენიშვნამ ჩემზე შეურაცხყოფელი შთაბეჭდილება მოახდინა. ფიქრები უცბად გაიფანტ-გამოიფანტნენ. კატია წარმომიღდა. ის კატია კი არა, რომელიც, — მე ეს ვიცოდი, — უეცრად გაღვიძებული, ლოგინიდან დგება და ოთახში დადის, ჩემზე ფიქრი არ ასვენებს. არა, სხვა, პირქუში, დაბერებული კატია, რომელიც წაიკითხავს ამ შენიშვნას, გაზეთს მაგიდაზე დადებს და კიდევ რაღაცას გააკეთებს, თითქოს არაფერი არ მომხდარაო. შეიძლება სახეგაქვავებული დაიწინავს ან გაიშლის თმას და უეცრად იატაკზე გაიშლება ტიკინასავით...

— დიახ, — ვთქვი მე, — ყველაფერი ხდება.

გაზეთი დავკმუჭნე და ფანჯარაში გადავისროლე. რომაშოვმა პირი დააღო. რაც ხანი ვლაპარაკობდით, ის ფანჯარაში იყურებოდა, — მატარებელი იდგა. მერე გაზეთი აიღო, ეტყობა, სიამოვნებას ჰგვრიდა იმის წაკითხვა მაინც, რომ მე მოვკვდი, რაკი საკუთარი თვალთ დარწმუნდა, რომ ცოცხალი ვიყავი.

— მაშ, შენ ცოცხალი ხარ! თვალებს არ ვუჯერებ, ძვირფასო...

სწორედ ასე მითხრა: „ძვირფასო“.

— ეშმაკმა დალახვროს! როგორ მიხარია! ეს უბრალოდ გვარების დამთხვევაა? შენი მოგვარება? თუშეცა სულ ერთი არ არის? შენ ცოცხალი ხარ, ეს არის მთავარი.

გამოკითხვა დამიწყო, სადა ხარ დაქრილი, მძიმედ ხარ დაქრილი თუ არა; ძვალშია გავლილი თუ არაო და ასე შემდეგ. მე კვლავ გავუტრუე მოლოდინი, როდესაც ვუთხარი, მსუბუქად ვარ დაქრილი და სამგზავრო ვაგონში ნაცნობმა ექიმმა მომაწყო-მეთქი.

— მაგრამ, წარმოდგენილი მაქვს, როგორი შეწუხებული იქნება კატია! — თქვა მან. — ხომ შეიძლება, ეს შენიშვნა კატისაც ჩაუვარდეს ხელში!

მე ვუთხარი: „ჰო, შეიძლება-მეთქი“ და დაუწყო გამოკითხვა მოსკოვის შესახებ... რომაშოვმა გაკვირვებით მითხრა, ჯერ ერთი თვეც არ არის, რაც მოსკოვიდან წამოვედიო.

კი არ უნდა მელაპარაკა მასთან და ისიც მშვიდობიანად, პირველი სიტყვიდანვე უნდა გამეგებინებინა, რომ ჩვენს შორის არაფერია არ შეცვლილა. ალბათ, სწორედ ასე უნდა მოექცეულიყავი. მაგრამ აღამიანი უცნაური არსებაა, ეს ძველთაძველი „ახალი ამბავია“. მე ვუყურებდი მის დაქიმულ, არაბუნებრივად ფერმკრთალ სახეს და არაფერი, გარდა ჩვეულის, რაღაც ცნობისმოყვარეობასთან შერეული ზიზღისა, არ მიგრძენია. რა თქმა უნდა, როგორც იყო, ისეთივე გაიძვერა დარჩა ჩემს თვალში. მაგრამ ამ წუთში ის წარმომიდგა, როგორც დიდი ხნის ნაცნობ, ასე ვთქვათ, „ჩემიან“, შეჩვეულ გაიქვერად!

ის მიხვდა, ყველაფერს მიხვდა! კორაბლიოვზე ჩამოავდო ლაპარაკი, — იცი თუ არა, რომ მიუხედავად მისი სამოცდასამი წლის ასაკისა, მოხუცი სახალხო ლაშქრობაში ჩაეწერა, და „ვეჩერნია მოსკვაში“ ამის შესახებ შენიშვნა იყო მოთავსებულიო. დამცინავი იერით მიაშობო ნიკოლაი ანტონიჩზე, რომელმაც არა მარტო ახალი ბინა, სამეცნიერო წოდებაც კი მიიღო. მერე რომელი? გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის და ისიც დისერტაციის დაუცველად, რაც, რომაშოვის აზრით, თითქმის შეუძლებელი იყო.

— და იცი, ვინ გაუკეთა მას კარიერა? — სიბოროტით და აელვარებულნი თვალებით მითხრა რომაშოვმა. — შენ.

— მე?

— დიახ, ის ტატარინოვია, შენ კი ეს გვარი ცნობილი გახადე. მას უნდოდა ეთქვა, რომ ჩემმა შრომამ „წმ. მარიამის“ ექსპე-

დიციის შესწავლის შესახებ საერთო ყურადღება მიაპყრო კაპიტან ტატარინოვის პიროვნებას, ხოლო ნიკოლაი ანტონიჩმა ისარგებლა მით, რომ მისი მოგვარეა. და — ამას ვერ წავართმევთ რომაშოვს — მან ეს აზრი რაც შეიძლება მოკლედ და მკაფიოდ გამოთქვა.

თუმცა ყველაზე ნაკლებად მაშთან მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი. ის მიმიხვდა ამას და სხვა საგანზე გადავიდა.

— იცი, ვინ შემხვდა ლენინგრადის ფრონტზე? — მითხრა მან. — ლეიტენანტი პავლოვი.

— მერე ვინ არის ლეიტენანტი პავლოვი?

— ერთი შეხედე! ის კი მიმტყიცებდა, ბავშვობიდან ვიცნობო, ისეთი მოსული, მხარბეჭიანი ბიჭია.

მაგრამ მე ვერა და ვერ მივმხვდარიყავი, რომ „მოსული, მხარბეჭიანი ბიჭი“ არის სწორედ ის ბავშვურ, ლურჯთვალა ვალოდია, რომელიც ლექსებსა წერდა და ძაღლებით — ბუსკა და ტოგათი დამაქროლებდა.

— ოხ, ღმერთო ჩემო! მამა ჩამოუვიდა, მოხუცი ექიმი!

— ივან ივანიჩი.

რომაშოვისგანაც კი მესიამოვნა იმის გაგება, რომ ექიმი ივან ივანიჩი ცოცხალია, კარგად არის და მსახურობს კიდეც ფლოტში. რა ყოჩაღია!

რამდენჯერმე გაიმეორა რომაშოვმა, ლენინგრადის ფრონტზე ვიყავიო. კატია ლენინგრადში დარჩა, მე ვწუხდი მის გამო. მაგრამ ესლა მაკლდა, რომ რომაშოვისთვის მეკითხა კატიას ამბავი!

საერთოდ, ახლა, როდესაც ის ცოტაოდნად შეურიგდა იმას, რომ მე ცოცხალი ვარ, სულის სიმწარით მოუნდა თავის თავზე ეამბნა. მგონი, უკვე ამაყობდა იმით, რომ მე სამხედრო-სანიტარულ მატარებელში შემხვდა, რომ ისიც დაჭრილია და ასე შემდეგ.

ომმა ლენინგრადში მომისწრო. მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვიყავი სამნეო ნაწილში. ჯავშანი მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი ჯავშანზე, მით უმეტეს, რომ მთელი ინსტიტუტი უკლებლივ ჩაეწერა სახალხო ლაშქარში. ლენინგრადთან დავიჭერი და მწყობრში დავრჩიო. წინანდელმა უფროსმა, რომელიც ახლა დიდი სამხედრო უფროსი გახდა, მოსკოვში გამომიძახა, ახალ თანამდებობაზე დამნიშნეს, მაგრამ ვერ მივალწიე დანიშნულების ადგილამდე — ვინიცასთან მატარებელი დაბომბეს. ტალღამ საჩუღეგრაფო ბოძს მიმახეთქა და ახლა მთელი მარცხენა მხარე დროდადრო „აუტანლად მტეხავსო“.

— მე ხომ ძილში ვკენსოდი, აკი შენც გაიგონე, — ამიხსნა მან. — ექიმებმა არ იციან, რა მიშველონ, ვერაფერი მოუხერხებიათ.

— აბა ახლა გამოტყდი, — ვუთხარა მკაცრად. — რა იცრუე და რა თქვი მართალი?

— აბსოლუტურად მართალია ყველაფერი!

— როგორ არა!

— ღმერთმანი, საერთოდ, წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენ რაღაც თვალთმაქცობა გვკვირდებოდა ერთმანეთთან.

მან თქვა „ჩვენ“.

— ახლა, ძმაო, გათავდა. მე ჩემი გზით მივიღივარ, შენ — შენით. გასაყოფი რა გვაქვს ახლა? შენ მაინც არ დამიჯერებ, მაგრამ, პატიოსნებას გეფიცები, ზოგჯერ მიკვირს, როდესაც მაგონდება ამბავი. რომელმაც ჩვენ წაგვაჩხუბა. იმასთან შედარებით, რაც ჩვენს თვალწინ ხდება, ის უბრალოდ, სისულელედ გეჩვენება.

— რა თქმა უნდა!

— კმარა ამაზე ლაპარაკი!

მან შემომხედა. ეტყობა, დარწმუნებული არ იყო, ვეთანხმებოდით თუ არა.

მაგრამ მე თანახმა ვიყავი. ძველი ანგარიშებისთვის არ მეცალა ამ დღეებში. სევდა მიღრღნიდა გულს. ხან ვფიქრობდი იმას, რომ ჩემი მოტეხილი ფეხით უბადრუკი, უმწეო გავხდი იმ გიგანტური ჩრდილის წინაშე, რომელიც ჩვენი ქვეყნისკენ წამოვიდა და აი ახლა ფეხნაფეხ მოგვდევს და საცაა დაეწევა ჩვენს გზადაკარგულ მატარებელს. ხან ჰოსპიტალი წარმომიდგებოდა: დღე ჭიანურდება ერთფეროვნად, დაუსრულებლად. მოწყალების და შემოდის და მაგიდაზე ყვავილებს სდგამს. ღმერთო ჩემო, როგორ არ მინდოდა მთელი სულით და გულით, მთელი ძალ-ღონით ეს სიმშვიდე, ეს ყვავილები მაგიდაზე, ჰოსპიტალში მოსიარულეთა ეს ჩუმი ნაბიჯები! -

ზოგჯერ მესტუმრებოდა აზრი, რომელზედაც უფრო საშინელის მოფიქრება უკვე არ შემეძლო. ეს აზრი იყო: „მე უკვე აღარ ვიფრენ“. უეცრად დამცხებოდა ხოლმე, გაღებულ პირით ვიწყებდი სუნთქვას და გული მიდიოდა ისე შორს, საიდანაც, მგონი, დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

## სტანისლაველი ბოგონები

ზევით გაიბნეთ, თუ როგორ გაიქცნენ დაქრილები პამიდორების ასაკრეთად. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მწარე და გულისმომწყველელი გაღვიძება. და აი, ორი გოგონა, — ისინი პირველად მაშინ დავინახე, — ჩაცმულები რაღაც სამოქალაქო ტანისამოსში, უეცრად გამოჩნდნენ ხალხში. მათ არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ რაღაც უთხრეს ერთს, მეორეს. გაბმით, უკრაინულად და დაქრილები უბმოდ წამოვიდნენ ვაგონებისაკენ.

ესენი სტანისლავის პედტექნიკუმის სტუდენტები იყვნენ, — ორივე ზორბა, შავგვრეიანი, ორივეს დაბლა მოხაზული წარბები და დაბალი ხმა ჰქონდა და არაჩვეულებრივად „შინაურულები“ იყვნენ, მიუხედავად მათი მტკიცე და ღონიერი გარეგნობისა. შემოგვიერთდნენ თუ არა, ხელად წყალი იშოვეს და ფრთხილად გაანაწილეს თითო ტოლჩა კაცზე. საიდანღაც ერთი ბოყვი ძახველი მოიტანეს. დიდი კი არაფერი იყო, მაგრამ რა სასიამოვნო იყო ამ მომწარო ნაყოფის წუწნა, პირს როგორ უგრილებდა ადამიანს!

რატომ მოხდა, რომ ათასობით ადამიანთა შორის, რომელთაც ჩემს წინ გაიარეს ამ დღეებში, ამ ქალებზე შევაჩერე თვალი, ვისზედაც არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ერთ მათგანს კატია ერქვა! იმიტომ, რომ... მაგრამ მე კვლავ წინ გავრბივარ.

ფანჯარასთან ვიწეკი და უკან ვიყურებოდი. ჩემს წინ იშლებოდა ადგილები, რომლებსაც ვტოვებდით. ამიტომ ის სამი ტანკი მხოლოდ მაშინ დავინახე, როდესაც უკვე ჩავუქროლეთ. ვანსაკუთრებული არაფერი იყო, საშუალო ტანკები! ტანკისტებს ლიუკები გაეღოთ და გვიყურებდნენ. ისინი უმუზარადებოდ იყვნენ და ამიტომ ჩვენები გვეგონა. მერე ლიუკები დაკეტეს. ეს იყო უკანასკნელი წუთი, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა გეფიქრა, რომ სანიტარულ ეშელონს, რომელშიაც, ალბათ, ათასზე ნაკლები დაქრილი არ იყო, სხვა, ჯანმრთელი ადამიანები ზარბაზნებს არ დაუშენდნენ.

მაგრამ სწორედ ეს მოხდა.

რკინების ღრქილით ვაგონები ერთმანეთს დაეჯახნა, რაღაცამ ამისროლა და ჩემდაუნებურად დავიკვნესე, რადგან დაქრილ ფეხს დავაწეკი. ვიღაც ყმაწვილი ყავარჯნების ჯახაჯუხით, აღრიალე-

ბული გაიქცა ვაგონების გასწვრივ. მას გაართყეს და ჩემს გვერდით კუთხეში მიაგდეს. ფანჯრიდანა ვხედავდი, როგორ გაცვივდნენ დაქრილები თბილანებიდან, ისინი მირბოდნენ და ეცემოდნენ, რადგანაც ტანკებმა შრაპნელი დააყარეს.

ჩემი მეზობელი სიმაკოვი ჩემს გვერდით იდგა და ისე იყურებოდა ფანჯარაში. მიტკლის ფერი ედო, როდესაც ჩვენ ერთდროულად მოვბრუნდით ერთმანეთისკენ და ერთმანეთს თვალებში შევხედეთ.

— უნდა გავიდეთ!

— მე მგონი, — ვუთხარი მე, — ამისთვის სულ ცოტა რამ არის საჭირო: ფეხები.

მაგრამ მაინც ჩამოვცოცდით ჩვენი საწოლებიდან და დაქრილთა ბრბომ ბაქანზე გაგვიტანა.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება გრძნობა, რომელმაც საოცარი ძალით მომიცვა, როდესაც მწარე ტკივილი დავძლიე, კიბიდან ჩავხოხდი და ვაგონის ქვეშ წავწექი. ეს იყო ჩემი საკუთარი თავის მიმართ ზიზღი და სიძულვილიც კი, რომელიც მე განვიცადე, შესაძლებელია, პირველად ჩემს სიცოცხლეში: უცნაურად გაეშალათ ხელები, ისე ეყარა ხალხი ჩემს გარშემო. ეს გვამები იყო. სხვები მირბოდნენ და ყვირილით ძირს ეცემოდნენ. მე კი ვიჯექი ვაგონქვეშ უმწეო, გულგაწვრილებული გააფთრებისა და ტკივილისაგან.

რევოლვერი ამოვიღე — იმისთვის კი არა, რომ თავი მომეკლა, თუმცა ათას აზრთა შორის, რომლებიც ერთმანეთს სცვლიდნენ, შესაძლებელია, ამ აზრმაც გამიელვა თავში. ვილაცამ მაგრად მტაცა მაჯაში ხელი...

ეს იყო ერთ-ერთი იმ ქალიშვილთაგანი, სწორედ ის, უფრო შავგვრემანი, რომელსაც კატია ერქვა. მე სიმაკოვზე ვუჩვენე, ის, შორიახლოს წაწოლილი, ლოყით მიჰკვროდა მიწას. მან ერთი გადახედა და თავი გააქნია. სიმაკოვი მოეკლათ.

— ჯანდაბას, მე არსად არ წავალ! — ვუთხარი მეორე გოგონას, რომელიც უეცრად საიდანაც გაჩნდა, საოცრად დინჯი ამ სროლასა, გრიალსა და ალიაქოთში. — თავი დამანებეთ! მე რევოლვერი მაქვს და ცოცხალს ხელში ვერ ჩამიგდებენ.

მაგრამ ქალებმა ხელი მტაცეს და ჩვენ სამთავენი ქვიშის ნაყარზე ჩავცურდით. გაყვითლებულმა რომაშოვმა, რომელიც ჩინელს ჰგავდა და მიხობავდა, ამ წუთში საღდაც ჩვენს წინ გაიელვა. ის

იმავე თხრილზე მიხობავდა, სადაც ჩვენ. სველი თიხნარი თხრილი ლიანდაგს მისდევდა, იქვე, ნაყარს იქით, ქაობი იწყებოდა.

ქალებს უჭირდათ ჩემი წაყვანა. რამდენჯერმე ვთხოვე, თქვენ თავს უშველეთ-მეთქი. მგონი, კატიამ დაუძახა რომაშოვს, მომეშველო, მაგრამ რომაშოვმა მხოლოდ მოიხედა და კვლავ ოთხით წავიდა, მაიმუნივით, ისე რომ მიწას არ ეკარებოდა.

ეს ასე მოხდა, მხოლოდ ათასჯერ უფრო. ნელა, ვიდრე მე გიამბეთ.

ვაივაგლახით, როგორც იყო, ქაობზე გადავედით და პატარა ვერხვის ქალაში წავწექით. ჩვენ, — ესე იგი, გოგონები, მე, რომაშოვი და ორი მებრძოლი, რომლებიც გზაში შემოგვიერთდნენ. ისინი მსუბუქად იყვნენ დაჭრილები, — ერთი მარჯვენა ხელში, მეორე — მარცხენაში.

## თავი მეთხუთე

### მერავინ ბაიბებს

ეს ორი მებრძოლი დასაზვერად გავგზავნე. როცა დაბრუნდნენ, მომახსენეს. სხვადასხვა მიმართულებით ორმოცამდე მანქანა დგას, იქვე საიდანაც საველე სამზარეულოებიც გაჩნდნენო. ეტყობა, ტანკები, რომლებიც ჩვენ ეშელონს ესროდნენ, დიდ დესანტს ეკუთვნოდნენ.

— წასვლა, რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ, რაკი კაპიტანს სხვის დაუხმარებლად სიარული არ შეუძლია, უკეთესია, დრეზინით ვისარგებლოთ.

დრეზინი ნაყარქვეშ იპოვეს, ასაქცევთან.

მახსოვს, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენ მსჯელობა დავიწყეთ, შეიძლებოდა თუ არა დრეზინის აწევა და ლიანდაგზე დაყენება, რომაშოვი გულაღმა დაწვა და მოჰყვა კენესასა და ჩივილს, აუტანელი ტკივილები მაქვსო. შესაძლოა, მართლაც დაეწყო შეტევა, რადგან, გოგონებმა რომ გიმნასტურა გაუხსნეს, მთლად წითელი ჰქონდა სხეულის მარცხენა მხარე. წინათ არასოდეს არ გამეგონა ასეთ კონტუზიებზე. ასე იყო თუ ისე, ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, წასვლა არ შეეძლო. მებრძოლებთან ერთად ასაქცევზე წავიდნენ გოგონები, კვლავ ისეთივე აუჩქარებლები, შეუპოვარნი,

ერთმანეთს დინჯად, დაბალი ლამაზი ხმით უკრაინულად ელაპარაკებოდნენ და ისე მიდიოდნენ.

მე და რომაშოვი მარტონი დავრჩით პატარა, ნესტიან ვერხვის ქალაში.

თვალთმაქცობდა თუ მართლა ცუდად იყო? მგონი, არა თვალთმაქცობდა. რამდენჯერმე ბნელიანივით შეხტა, მერე დაიბუხბუხა და გაყუჩდა.. მე დავუძახე:

— რომაშოვო!

გულაღმა უხმოდ იწვა, მკერდი ამობურცოდა და ცხვირი ნამდვილი მიცვალებულივით გასთეთრებოდა. კვლავ შევეხმაურე და ისეთი სუსტი ხმით მიპასუხა, თითქოს უკვე იმქვეყნად იყო და ახლა ყოველგვარი სიამოვნების გარეშე ბრუნდება ამ ქალაში, რომელიც გერმანელთა დესანტის მოქმედების რაიონში იმყოფებოდა.

— მაგრად შემომიტია, — ცდილობდა გაეღიმა, ისე წაიბუტბუტა მან.

ქუთუთოები ასწია, ძლივს წამოიწია და უნებლოე მოძრაობით დაიწყო სახეზე მიკრული ვერხვის ფოთლების აცლა.

მიძნელდება გაიამბოთ, თუ როგორ გავიდა ეს დღე, ალბათ იმიტომ რომ, მიუხედავად გარემოების მთელი სირთულისა, ის საკმარისად მოსაწყენი იყო, განსაკუთრებით იმასთან შედარებით, რაც დილით მოხდა. დაშლილი შეშის ზვინის ძირში ვიწწქი, შარშანდელი ფოთლების გროვაზე. ჩვენ ველოდით, ველოდით დაუსრულებლად. რომაშოვი თურქივით ფეხმოკეცილი იჯდა, ფრინველის თვალები ნახევრად დაეხუჭა. გამხდარ მუხლებზე ხელები დაეწყო და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა.

ქალა ჯერ ისედაც ნესტიანი იყო, თან ეს არის ახლა ეწვიმა და ყველგან, — ტოტებზე, ობობას ქსელზე, რომელიც სიმქიმისაგან ირბეოდა, ბრწყინავდნენ და ყრუდ ეცემოდნენ მსხვილი წვეთები. ამგვარად, წყურვილი არ გვაწუხებდა.

ერთი-ორჯერ მზემაც შემოგვანათა; ჯერ მარჯვნივ, მერე ნახევარი წრე შემოხაზა და მარცხნივ მოგვექცა. მაშასადამე, უკვე სამმა საათმა გაიარა, რაც მებრძოლები და გოგონები წავიდნენ დრეზინის გასამართავად.

წასვლის წინ ერთმა გოგონამ, რომელსაც კატია ერქვა, თავქვეშ თავისი ზურგჩანთა ამომიღო. ეტყობა, ჩანთაში ორცხობილა იყო. რაღაცამ დაიტკაცუნა, როდესაც ტომარა ცოტა ზევით ავწიე. რომა-

შოგმა წუწუნი დაიწყო, შიმშილითა ვკვდებით, მაგრამ მე შევეუბნე და გაჩინდა.

— ისინი არ დაბრუნდებიან, — ერთი წუთის შემდეგ ნერვიულად თქვა მან. — მათ მიგვატოვეს.

გულშეწუხების შემდეგ მოიხედა და უკვე ისე დასეირნობდა, რომ საფრთხილოც იყო, არ გაეცა ჩვენი აქ ყოფნა; ქალა თხელი იყო და ლიანდაგამდის მოტიტვლებული ადგილი იშლებოდა.

— შენა ხარ დამნაშავე, — კვლავ მითხრა, როდესაც დაბრუნდა და ჩემს გვერდით ჩაცუცქდა. — ყველანი გაგზავნენ, ერთი გოგონა უნდა დაგეტოვებინა.

— მძევლად?

— დიახ, მძევლად. ახლა ჯვარი დაუსვი! მეტი საქმე არა აქვთ, რომ ჩვენ წასაყვანად მობრუნდნენ. ის ხელის დრეზინია და საერთოდ მხოლოდ ოთხი კაცის წაყვანა შეუძლია.

აღბათ, ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი, რაკი რევოლვერი ამოვიღე და რომაშოვს დავემუქრე, მოგკლავ, თუ წუწუნს თავს არ დაანებებ-მეთქი. ის გაჩუმდა, სახე მოელრიცა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეტირა.

საერთოდ, რომ ვთქვათ, საქმე ცუდად იყო. ბინდბუნდი უკვე ეპარებოდა ქალას, ქალები კი არსადა ჩანდნენ. რა თქმა უნდა, მე ფიქრადაც არ გამივლია, რომ მათ შეეძლოთ უჩვენოდ წასვლა დრეზინით, როგორც ამას რომაშოვი ფიქრობდა. ჯერჯერობით უკეთესი იყო, არ გვეფიქრა, რომ ისინი არ დაბრუნდებოდნენ.

გულაღმა ვიწექი, ცას შევეყურებდი. სულ მუქდებოდა და თხელ, მთრთოლვარე ვერხვებში იკარგებოდა. კატიაზე არა ვფიქრობდი, მაგრამ რალაც ნაზმა და მორიდებულმა გამიარა გულში და მე ვიგრძენა: „კატია“. ეს უკვე სიზმარი იყო და, თუ არა კატია, მე უკუვადებდი ამ სიზმარს, იმიტომ რომ არ უნდა დამძინებოდა, მე ამას ვგრძნობდი. მაგრამ ჯერ არ ვიცოდი — რატომ. ესპანეთი წარმომიღდა თუ ჩემი წერილი ესპანეთიდან, არ ვიცი — რალაც ძალიან ახალგაზრდული, არა ბრძოლები, არამედ პაწაწინა ბილის ბალები ვალენსიასთან, სადაც მოხუცმა ქალებმა, გაიგეს თუ არა, რომ ჩვენ რუსები ვიყავით, არ იცოდნენ, სად დავესვით და რა პატივი ეცათ ჩვენთვის. „ისე რომ, შენ მაინც გახსოვდეს, — ასე ვწერდი კატიას, თუმცა ვგრძნობდი, რომ ის ჩემს გვერდით იყო: — შენ თავისუფალი ხარ, არავითარი ვალდებულება!“

მე მაშინებდა ამ სიზმართან განშორება. თუმცა მციოდა დასველებულ ფეხზე, თუმცა მხრიდან ჩამიცურდა და ქვეშ მომეჭკა მაზარა, კატიას ხელები მეჭირა, არ ვუშვებდი ამ სიზმარს, მაგრამ უკვე მოდიოდა რაღაც საშინელი და საკვირო იყო, ძალა დამეტანებინა ჩემი თავისთვის და გამეღვიძა.

თვალეები გაუახილე. მზის პირველი სხივებით განათებული ნისლი ზანტად დაცურავდა ხეებს შუა. მე სველი მქონდა სახე და ხელები. რომაშოვი იჯდა მოშორებით, წელანდელივით ნამძინარევი, გულგრილი. ყველაფერი, მგონი, წელანდელივით იყო, მაგრამ ყველაფერი უკვე სულ სხვა.

ის მე არ მიყურებდა. მერე ერთი გვერდზე გადმომხედა და მაშინვე მივხვდი, ასე უხერხულად რად ვიწეკი. თაქვეშიდან ორცხობილიანი ტომარა გამოეცალა. გარდა ამისა, მას გამოეძრო მათარა არყით და რევოლვერი. სისხლი მომაწვა სახეში. მან რევოლვერი გამოაცალა!

— ახლავე დამიბრუნე იარაღი, არამზადავ! — ვუთხარი მშვიდად. ის ხმას არ იღებდა.

— ჩქარა!

— სულ ერთია, მოკვდები, — მითხრა მან აჩქარებულად, — იარაღი რად გინდა.

— მოკვდები თუ არა, ეს ჩემი საქმეა, შენ რევოლვერი დამიბრუნე, თუ არ გინდა საველე სასამართლოში მოხვდე. გასაგებია?

ის აქოშინდა.

— რომელ საველე სასამართლოზე ლაპარაკობ! ჩვენ მარტონი ვართ და ვერავინ ვერაფერს გაიგებს. სინამდვილეში შენ დიდი ხანია მკვდრადა გთვლიან. ხოლო ის, რომ შენ ჯერ ისევ ცოცხალი ხარ, არავინ იცის.

ახლა ის პირდაპირ სახეში მიყურებდა, ძალიან უცნაური სახე მქონდა — როგორღაც ზეიმით აღსავსე, ფართოდ გახეილი თვალები. იქნებ ჰკუაზე შეიშალა!

— იცი რა? ცოტა ჩაყლაპე მათარიდან, — ვუთხარი მშვიდად, — გონს მოდი და მერე გადავწყვიტოთ — ცოცხალი ვარ მე თუ მკვდარი.

მაგრამ რომაშოვი არ ნისმენდა.

— მე იმიტომ დავრჩი, რომ გითხრა: შენ ხელს მიშლიდი ყოველთვის და ყველგან, ყოველდღე, ყოველ საათს! საშინლად მომაბეზრე თავი, სიგიჟემდე! შენ მე მთელი საუკუნეა თავი მომაბეზრე!

ექვს გარეშეა, სრულ ჰკუაზე არ იყო ამ წუთში. უკანასკნელმა ფრაზამ—„თავი მომაბეზრე მთელი საუკუნეაო“—დამარწმუნა ამაში.

— მაგრამ ახლა ყველაფერი გათავებულია, სამუდამოდ! — რაღაც თავდავიწყებით განაგრძობდა რომაშოვი. — სულ ერთია, შენ მაინც მოკვდებოდი! შენ განგრენა გაქვს. ახლა უფრო მალე მოკვდები, მორჩა და გათავდა.

— შეიძლება! — ჩვენს შორის სამ ნაბიჯზე მეტი არ იყო და, მარჯვედ რომ მესროლა ყავარჯენი, იქნებ თავს რეტი დამესხა მისთვის, მაგრამ მე ჯერ ისევ მშვიდად ველაპარაკებოდი. — მაგრამ პლანშეტი რატომღა აიღე? იქ ჩემი საბუთებია.

— რატომ? რომ შენ გიპოვოხ, მორჩა და გათავდა. ვინ არის? არავინ იცის (ის სიტყვებს სტოვებდა). დიდი რამ მოხდა, თუ ვილაცის გვაძი გღია. შენ გვამი იქნები, — თქვა მან ნელ-ნელა, — და ვერავინ გაიგებს, რომ შენ მე მოგკალი.

ახლა ეს სცენა თითქმის ფანტასტიკური მეჩვენება.. მაგრამ არც ერთი სიტყვა არც მომიმატებია და არც შემიცვლია.

## თავი მარვე

### მერხვის ბალაში

ბავშვობაში ძალიან ფიცხი ვიყავი და მშვენიერად მახსოვს ის სახიფათო გრძნობა სიტკბობისა, როდესაც მე ჩემს თავს სრულ ნებაზე მივუშვებდი ხოლმე. სწორედ ამ გრძნობით, რომლისაგანაც თავი ცოტა ბრულას მიწყებდა, მე რომაშოვს ვუსმენდი. ჩემი თავისთვის უნდა მეტრძანებინა, დავმშვიდებულიყავი. მეც ვუბრძანე. მერე შეუშინებლად ხელი ზურგისაკენ გავაპარე და ყავარჯენზე დავდე.

— ნუ დაგავიწყდება, რომ მე უკვე მოვასწარი ნაწილში მიწერა, — ვუთხარი აუღელვებელი ხმით, რომელიც ხელად დავიმორჩილე, — ისე რომ, ამ გაზეთის ტყუილი იმედი გაქვს.

— მერე ეშელონი?

სულელურად შემომხედა, გამარჯვებულის იერით. მას უნდოდა ეთქვა, რომ სამხედრო სანიტარული მატარებლის სროლაში მოხვედრის შემდეგ ადვილად ახსნიდნენ ჩემს დაკარგვას. ამ წუთას მივხვდი, რომ მას დიდი ხანია, იქნებ მოწაფეობის წლებიდანვე, სურდა ჩემი სიკვდილი.

— შეიძლება. ძალიან უცნაურია, მაგრამ მაინც ვერაფერს მოიგებ ამით, — ვუთხარი მე რალაც ამდაგვარი. სულ ერთი იყო, რაც არ უნდა მეთქვა, ოღონდ დრო მომეგო.

შეშის ზვინი ხელის მოღერებას მიშლიდა, შეუმჩნევლად უნდა მოვშორებოდი შეშას და გვერდიდან დაიბრუნე, რომ შიგ საფეთქელში მომეხვედრებინა.

— ბოვიგებ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს! სულ ერთია, შენ წააგე. ახლა გესვრი, აი!

და მან ჩემი რევოლვერი იძრო.

მე რომ დამეჯვრებინა, მართლა მესვრის და მომკლავს-მეთქი, შესაძლებელია გაებედა და მოვეკალი. ასეთ აზარტში წესული ჯერ არასოდეს არ მენახა, მაგრამ უბრალოდ პირში მივაფურთხე და ვუთხარი:

— მეპროლე!

ღმერთო ჩემო, როგორ აღმუვლდა, აფორიაქდა, როგორ ააკრაქუნა კბილები! შიშის ზარს დამცემდა, მე რომ არა მცოდნოდა, რომ ამ ოინების იქით არაფერია, გარდა სიმხდალისა და სითავხედისა, გარდა ბრძოლისა თავის თავთან — მესროლოს თუ არა? — აი, რას ნიშნავდა ეს გიჟური ცეკვა. დამბაჩა ხელსა სწვავდა, მიმიზნებდა და თან, კანკალებდა, ისე რომ, ბოლოს და ბოლოს შემეშინდა კიდევ, ხელი უტაბედლად ჩახმახზე არ მოუხვედეს-მეთქი.

— საზიზღარო! — დაიყვირა მან. — შენ მუდამ მტანჯავდი. რომ იცოდე, ვისი მადლობელი უნდა იყო, რომ ცოცხალი ხარ, არარაობავ! გაიძვერავ! რომ შემეძლოს, ღმერთო ჩემო! და ან რისთვის, რისთვის უნდა იცოცხლო?! სულ ერთია, ფეხს მოგჭრიან, ველარ იფრენ.

შეიძლება სასაცილოდ გეჩვენოთ, მაგრამ მთელი მისი იდიოტური ლანძღვიდან ყველაზე მწარედ სწორედ ეს სიტყვები მეცა გულზე — ველარ იფრენო.

— შეიძლება აღამიანმა იფიქროს, რომ მე ყველაზე მეტად ჰაერში გიშლიდი ხელს, — ვუთხარი და თან ვგრძნობდი, რომ ჩემი ხმა მუქარით იყო სავსე. მაგრამ ჯერ ისევ ვცდილობდი გულგრილად მელაპარაკა. — მიწაზე კი ჩვენ ორესტი და პილაღე ვიყავით.

ახლა ის გვერდშემობრუნებული იდგა და თანაც მარცხენა ხელი თვალზე მიედო, თითქოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს, რომ ვერასგზით ვერ დამიყოლია, მოვმკვდარიყავი. სწორედ მარჯვე წუთი

იყო და მე ყავარჯენი ვესროლე. შუბივით უნდა მეტყუორცნა, ესე იგი ძლიერ უნდა გადავზნეკილიყავი, ტანი გადამეწია და მერე მთელი სხეული წინ უნდა წამეგდო. მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, საფეთქელში კი არა, მხარში მოვარტყი და, მგონი, არც მაინცდამაინც მაგრად.

რომაშოვი გაშეშდა. კენგურუსავით მოუქნელად შორს გადახტა. მერე ჩემკენ შემობრუნდა.

— მაშ, ეგრე! — თქვა მან და შეიგინა, — კარგი!

დინჯად და აუჩქარებლად დააწყო ტომრები. შეჰკრა, რომ მარჯვე წასაღები ყოფილიყო, და ერთი მარჯვენა ხელზე გადაიკიდა, მეორე — მარცხენაზე. აუჩქარებლად გვერდი ამიარა, რალაცა ტოტის ასაღებად დაიკუზა. ამ ტოტის ქნევით ქაობისაკენ წავიდა და ხუთი წუთის შემდეგ ვერხვებში გაიელვა მისმა ბეჭებში მოხრილმა სხეულმა. მე კი ვიჯექი, ხელებით მიწაზე დაყრდნობილი, პირში ნერწყვამშრალი და ვცდილობდი, არ დამეძახა მისთვის: „რომაშოვო, დაბრუნდი!“, რადგანაც ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

## თავი მეცხრე

### მარტოდმარტო

ჩემი მარტოდმარტო დატოვება ტყეში, ორ ნაბიჯზე გერმანელთა დესანტის განლაგებიდან, მშოიერის, უიარალოსი, მძიმედ დაჭრილის, — ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერი ეს მშვენივრად იყო მოფიქრებული წინასწარ. დანარჩენ ყველაფერს რომაშოვი აღმაფრენაწამოვლილი აკეთებდა და ლაპარაკობდა, ალბათ იმედი ჰქონდა, რომ მოახერხებდა ჩემს შეშინებას და დამცირებას. რაკი ვერაფერს გახდა, წავიდა; ეს კი უდრიდა მკვლელობას და ეგებ მკვლელობაზე უარესიც იყო, რის ჩადენაც მან ვერ გაბედა.

ვერ ვიტყვი, რომ მდგომარეობა შემიმსუბუქდა, როდესაც ამ საღმა ანალიზმა გაიელვა ჩემს წინ. ან უნდა დავძრულიყავი აქედან, ან დავთანხმებოდი რომაშოვს და სამუდამოდ ვერხვის ქალაში დავრჩენილიყავი.

მე ავდექი. ყავარჯნები სხვადასხვა სიმაღლისა იყო. ერთი ნაბიჯი გადავდგი. ეს ის ტკივილი არ იყო, რომელიც სწორედ შიგ კეფაში გირტყამს და რომლისგანაც გონებას ჰკარგავენ. მაგრამ თით-

ქოს ათასი ეშმაკი ნაწილებად მგლეჯავდა ფეხს და რკინის საურავებს მისვამდა ზურგზე ოდნავ შეხორცებულ ქრილობებზე. მეორე და მესამე ნაბიჯი გადავდგი.

— რა, მაჯობთ? — ეუთხარი ეშმაკებს.

და მეოთხე ნაბიჯიც გადავდგი.

მზე უკვე კარგა მალლა იყო, როდესაც ტყის პირს მივალწიე, რომლის იქითაც წელანდელი ქაობი გამოჩნდა, — სველი, გათელილი ბალახის ერთადერთი ზოლით გადასერილი. აქა-იქ ლამაზი, მწვანე ბურთივით ბელტები მოჩანდა. და მომაგონდა, გუშინ გოგონებს ფეხქვეშ როგორ უბრუნდებოდათ ეს ბელტები.

ვილაც ხალხი დადიოდა ნაყარზე, — ჩვენები იყვნენ თუ გერმანელები? ჩვენი მატარებელი ჯერ ისევ იწვოდა. მზის შუქზე გაუფერულებული ცეცხლის აღი ვაგონების შავ გარუჯულ ფიცრებზე ბტოდა.

მოდის დავბრუნდე? რისთვის? ქვემეხების გრიალი ისმოდა, ყრუ, შორეული, თითქოს აღმოსავლეთით. უახლოესი სადგური, სადამწი-საც ოც კილომეტრამდე დაგვრჩა, „შჩელია ნოვაია“ იყო. იქ იბრძოდნენ, მაშასადამე, იქ ჩვენები იყვნენ. სწორედ იქითკენ გავწიე, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ წამებით გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს.

ქალა გათავდა, დაიწყო ბუჩქნარი, შავ-მოიისფრო ნაყოფით, რომლის სახელიც დამავიწყდა. მოცესა ჰგავს, მხოლოდ უფრო მსხვილია. სწორედ სულზე მომესწრო — ერთ დღე და ღამეზე მეტი იყო, არათფერი მეჭამა. მინდორში, ბუჩქებს იქით, რაღაც შავი უძრავად იდო, ალბათ მკვდარი, და ყოველთვის, როდესაც ყავარჯნებზე მთელი სინძიმით დაყრდნობილი ხილს ვეწოდებოდი, ეს მკვდარი რატომღაც არ მასვენებდა. მერე დამავიწყდა. კვლავ მომაგონდა და უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა კიდევ. რამდენიმე ნაყოფი ბალახზე დამივარდა, ფრთხილად დავეწოდე, რომ მეპოვა, და თითქოს რაღაცამ შიგ გულში მიჩხვლიტა: ეს ქალი იყო. ახლა მისკენ მივდიოდი. ისე ჩქარა, როგორც შემეძლო.

გულადმა იწვა, ხელებგაშლილი. ეს კატია კი არა, მეორე გოგონა იყო. ტყვიები სახეში მოხვედროდა. მისი ლამაზი, შავი, შეკრული წარბები ტანჯვას გამოხატავდნენ.

მგონი, სწორედ ამ დროს შევამჩნიე, რომ ჩემ თავს ველაპარაკებოდი და ამასთან საკმარისად უცნაურ რამეებს. მომაგონდა, რა ჰქვია იმ შავ-მოიისფრო კენკრას, რომელიც მოცესა ჰგავს, — სელშავი—და

ძალიან გამეხარდა, თუმცა ეს ღმერთმა არ იცის, რა აღმოჩენა იყო. ხმამალა დავიწყე მოსაზრებების აგება, თუ როგორ მოჰკლეს ეს გოგონა: ყველაზე უფრო შესაძლებელი იყო, რომ ის ჩემს წასაყვანად გამობრუნდა და გერმანელებმა ნაყარიდან დაუშინეს ავტომატი. რალაც ალერსიანი ვუთხარი, ვცდილობდი, დაბეჭდებინა, თითქოს ის მკვდარი არ იყო, მკვდარი, დაბლა მოხაზული, ტანჯვით შეკრული წარბებით.

მერე დაბეჭდეს იგი. საითკენღაც მივდიოდი და მივლაპარაკობდი, არაფრად შექაშნიკებოდა, რომ ასე უცნაურად მივლაპარაკობდი, ეს ბოდვა იყო, რომელიც შეუმჩნევლად შემომეპარა და უკვე აღარ ვებრძოდი, რადგან ბრძოლა მხოლოდ ერთ დაუძლეველ სურვილთან იყო საჭირო: მომექნია და შორს გადამეყარა ყავარჯნები, რომელთაც ილღიებში ბებერები გამიჩინეს, და მიწაზე დავმჯდარიყავი, რაც ახლა ჩემთვის მოსვენება და ბედნიერება იქნებოდა....

... ალბათ ვერაფერსა ვხედავდი ჩემს გარშემო, უკვე დიდი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე გონებას დავკარგავდი. — სხვაფრივ საიდან გაჩნდებოდა ჩემს თავთან ეს გადაშლილი ბაცი მწვანე კომბოსტო? ბოსტანში ვიწეკი და ალტაცებით ვუყურებდი კომბოსტოს თავს. საერთოდ, ყველაფერი დიდებულად იქნებოდა, შავ, დაგლეჯილ, ქუდრამოფხატულ საფრთხობელას ნელი წრე რომ არ ეხაზა ჩემს ზემოდან. ყვავი, რომელიც მხარზე აჯდა, მასთან ერთად ტრიალებდა და მე გავიფიქრე, თუ ეს ქალბატონი არა, გლუვი მოხამხამე თვალით, ქვეყანაზე ყველაფერი მართლაც ჩინებული იქნებოდა. მე დაუუყვირე მას, მაგრამ ისეთი უმწუეო, ხრინწიანი ხმით, რომ ყვავმა მხოლოდ შემომხედა და გულგრილად შეარხია ფრთები, თითქოს მხრები აიჩეჩაო.

ღიახ, ყველაფერი დიდებულად იქნებოდა, მე რომ შემძლებოდა შეჩერება სამყაროსი, რომელიც ნელ-ნელა ტრიალებდა. იქნებ მაშინ მომეხერხებინა, დამენახა მორებით ნაგები შეულებავი სახლი ბოსტანის იქიდან, აივანი და ეზოში ქის მალალი ჯოხი. ხან მუქდებოდა, ხან ნათდებოდა ერთი ფანჯარა და ვინ იცის, იქნებ მომეხერხებინა დანახვა მისი, ვინც სახლში დადიოდა და ფანჯარაში მოუსვენრად იყურებოდა.

ავდექი. კარებამდის ორმოცამდე ნაბიჯი იქნებოდა — ეს არაფერი იყო შედარებით იმ მანძილთან, რომელიც მე წინაღობით გამო-

ვიარე. მაგრამ ძვირად დამიჯდა ეს ორმოცი ნაბიჯი. ყავარჯნების ბრახუნით აივანზე უღონოდ დავეცი.

ქარები ოდნავ გაიღო. აჲ თორმეტი წლის ბიჭი ტაბურეტის უკან ცალ მუხლზე დაჩოქილიყო. აივანზე მწოლარემ უცბად ვერ გავარჩიე იგი დაბალქერიან ჩაბნელებულ ოთახის სიღრმეში, სადაც ორსართულიანი ტახტი იდგა, რომელიც ჩითის ფარდით იყო გადაღობილი. ბიჭი პირდაპირ მე მიმიზნებდა, ცალი თვალიც კი მოეხუქა და ლოყით კონდაბს მიჰკვროდა.

— უნდა მიშველოთ, — ვუთხარი მე და თან ვცდილობდო შემეჩერებინა ეს ოთახი, რომელმაც უკვე დაიწყო ჩემს გარშემო თავისი წყეული ნელი ტრიალი, — მე დაპირილი მფრინავი ვარ, ეშელონიდან.

— კირილე, თავი დაანებე! — თქვა თოფიანმა ბიჭმა. — ჩვენია.

მომეჩვენა, რომ ამ წუთში ის გაორდა, იმიტომ რომ კიდევ ერთმა, სულ ასეთივე ბიჭმა ფრთხილად გამოიხედა ფარდის იქიდან. ხელში ფინური დანა ეჭირა. ის ჯერ ისევ ქლოშინებდა და აღელვებასაგან თვალებს აბამხამებდა.

## თავი მათი

### ბიჭები

მე ცუდად მახსოვს ის, რაც შემდეგ მოხდა, და დღეები, რომლებიც ბიჭებთან გავატარე, ორთქლის ბოლქვებში მაქვს წარმოდგენილი. ორთქლი მართლაც იყო, იმიტომ რომ ზედადგარზე დადგმული დიდი ჩაიდანნი დილიდან საღამომდე დუღდა რუსულ ღუმელში. მაგრამ იყო კიდევ მეორეც, ფანტასტიკური ორთქლი, რომლისგანაც სუნთქვა მიჭირდა, ვხრიალებდი და ოფლად ვიღვრებოდი. ზოგჯერ ის თხელდებოდა და მე ჩემს თავს ლოგინზე ვხედავდი, ფეხქვეშ შეწყობილ სხვადასხვაფერი ქვეყნის ბალიშებით. ბიჭებმა შემიწყვეს, რომ სისხლი უკუქცეულიყო კრილობებიდან. უკვე გავიგე, რომ მათ კირა და ვოვა ერქვათ, რომ ისინი მებისრე იონა პეტროვიჩ ლესკოვის შვილები არიან. მამა წინა დღით სადგურზე წასულიყო და დაებარებინა, სახლში ჩაკეტილიყვნენ და შინ არავინ შეეშვათ. ისინი ტყუილები იყვნენ. ეს მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ მაინც შიში მიპყრობდა, როდესაც ერთად ვხედავდი, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს და ეს კვლავ ბოდვასა ჰგავდა.

...თითქოს ორი ადამიანი იბრძოდა ჩემში — ერთი მხიარული, არხეინი, რომელიც ცდილობდა მოკონებოდა და ცოცხლად წარმოედგინა ყველაფერი საუკეთესო ცხოვრებაში; მეორე — პირქუში და შურისმაძიებელი, რომელიც წყენას არ იეიწყებს, ნაღველით არის გულგადალეული, რომ არ შეუძლია სამაგიერო გადაუხადოს დამცირებისათვის.

ხან წარმომიდგებოდა, როგორ შემოდის ქოხში, სადაც მე და ჩემი და ვცხოვრობთ, მაღალი წვერიანი კაცი, ისეთი გათოშილი, რომ კარების მიხურეაც არ შეუძლია. მაგრამ ეს ექიმი ივან ივანიჩი არ არის. ეს მე ვარ. ღონემიხდილი ვეცემი აივანზე, კარები ფართოდ იღება, ბიჭები თოფს მიმიზნებენ, მერე კი ამბობენ: „ეგ ჩვენიაო“.

ერთთავად მეჩვენებოდა, რომ ისინი იმიტომ მომექცნენ ასე გულთბილად, რომ ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, მე და ჩემმა დამ ექიმს ვუშველეთ — მიყრუებულ, თოვლით დაფარულ სოფელში, უპატრონოდ ნიტოვებულმა ბავშვებმა.

ხან ჩემ თავსა ვხედავდი სიბრაზისაგან კბილებდაკრეჭილს, დამბაჩით ხელში, ვაგონის ქვეშ. ჩემს გარშემო ხალხი ყრია, უცნაურად გაუშლიათ ხელები. რა ჩაეიდინე, რა დანაშაული მაშიძღვის, რომ გამომწყარა ყველაზე მთავარი, ყველაზე აუცილებელი ცხოვრებაში? როგორ მოხდა, რომ ეს ადამიანები მოვიდნენ ჩვენთან და გაბედეს ვერაგულად ესროლათ დაქრილებისათვის, თითქოს ქვეყანაზე არ იყო არც სამართალი, არც პატიოსნება, არც ის, რასაც სკოლაში მასწავლიდნენ, არც ის, რაც მე წმინდათა მწამდა და რის პატივისცემას და სიყვარულს ბავშვობიდან ვიყავი მიჩვეული?

მე ვცდილობდი, ამ კითხვაზე მეპასუხა, მაგრამ არ შემეძლო, რადგანაც სული მეხუთებოდა. ბავშვები შეწუხებულები მიყურებდნენ და სულ იმას გაიძახოდნენ: მამა რომ მოსულიყო, გაგიკეთებდათ რამეს და უცბად კარგად გახდებოდითო.

მამაც მოვიდა. ექვს გარეშეა, ეს მამა იყო, თავისი ბიჭებივით მღუხნეუვი, პირქუშ სახეზე ცისფერი თვალები უციმციმებდა. ისინი უციმციმებდნენ იმ წუთში, როდესაც ხელებჩამოყრილი, ბეჭებში მოხრილი, ჩემს საწოლთან გაჩერდა.

— დესანტი ჯანადგურებულისა, — თქვა მან, — ჩვენ „შიელის ნოვაიას“ გარს შემოვერტყით და ერთი არ დაგვიტოვებია, ისე ამოვქლიტეთ.

მერე გაჩემდა, წარბებქვემოდან გამომხედა და მე გავიფიქრე, ალბათ ცუდად არის ჩემი საქმე, რაკი ასეთი კეთილი თვალებით

მიყურებენ, რაკი სახელს, მამის სახელს, გვარსა და სამხედრო წოდებას მეკითხებიან და ოხერით კედელზე ამაგრებენ ქაღალდის ფურცელს, რომ არ დიკარგოს. მაგრამ ეს კიდეც არაფერია, დაე კედელზე მიამაგრონ ფურცელი, მე იმ ფურცელს ცქერას არ დაუწყებ. მისრეს ხელს ვკიდებ და მხურვალედ ვუამბობ, როგორ მიმიღეს მისმა შვილებმა. შესაძლოა, მე ძალიან დიდხანს ვუამბობ, ოდნავ ვურევ და ერთსა და იგივეს ვიმეორებ. იმიტომ არის, რომ ის თავზე რაღაც ცივს მადებს და მთხოვს, უთუოდ დავიძინო.

— დაიძინეთ, დაიძინეთ!

მე ვიცი, რომ კმაყოფილი იქნება, თუ დავიძინებ. თვალებს ვხუჭავ და თავს ვიმიძინარებ. მაგრამ სურათი, რომელიც მის წინ დეხატე, რჩება სადღაც შორს, პერსპექტივაში, განზე გაწეულ კედლების შუა.

ათასი პატარა სახლი მიდგება თვალწინ. ათასი ბიჭი დაჩოქილა ტაბურეტთან, რომელზედაც ათასი თოფი დევს. ათასი სხვა იმალება ჩითის ფარდის უკან, დანით ხელში. დიად რუსეთის ველზე, ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე, ყოველ სახლში, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახების სიღრმეში ბიჭები მტერს ელიან. ელიან, რომ, შვეა თუ არა, მყისვე მოჰკლან იგი.

## თავი მეთერთმეტი

### სიყვარულზე

პოეტებისა არ იყოს, ცხოვრებას გზას თუ შევადარებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ გზის ყველაზე ძნელ მოსახვევებში ყოველთვის ნხედებოდნენ მომწესრიგებლები, რომელნიც სწორ მიმართულებას მიჩვენებდნენ. ეს მოსახვევი სხვა მოსახვევებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ მე მეისრემ გადამარჩინა, ესე იგი პროფესიულმა მომწესრიგებელმა.

ორი დღე და ღამე ვიწექი მის სახლში. ხან მოვდიოდი გონს, ხან კვლავ ვკარგავდი გონებას და, თვალს გავახელიდი თუ არა, უცვლელად ვხედავდი ამ მოღუშულ ადამიანს, რომელიც გვერდიდან არა მშორდებოდა, თითქოს არ მიშვებდა იქითკენ, სადაც გზა უფსკრულში ეშვება. ზოგჯერ ის ბიჭად გადაიქცეოდა ხოლმე, ისეთივე საოცარი ცისფერი თვალები ჰქონდა და ბიჭიც მტკიცედ იღვან თავის

ადგილზე, მიჰქერდა აქ, ამ პატარათანჯრებიან და დაბალქერიან ოთახში, არასგზით არ მიშვებდა იქ, სადაც (თუ გაზეთ „წითელ შავარდნებს“ დაეუჯერებთ) მე ერთხელ უკვე მოვასწარი ყოფნა.

საოცარია, რომ არც მღვიძარეს, არც ბოდვაში, ერთხელაც არ მომგონებია რომაშოვი. თვითდაცვის ინსტინქტი იყო ეს? ალბათ! დიახ, ეს მოგონება ჯანმრთელობას არ შემმატებდა.

მაგრამ როდესაც მიმოსვლა აღადგინეს, როდესაც ამ ოჯახმა დრეზინით, ექვს გარეშეა, სწორედ იმ დრეზინით, რომელსაც ვერ მიაღწიეს სტანისლაველმა ქალებმა, მე ზაოზურიეში მიმიყვანა, სამი წყვილი ცისფერი თვალი შემომანათა და მორცხვად გამოიქვინა; როდესაც კვლავ სამხედრო-სანიტარულ მატარებელში აღმოვიჩნდი, ამჯერად აბაზანით, რადიოთი და ვაგონ-სამკითხველოთი მოწყობილ სანიტარულ მატარებელში, როდესაც დაბანილმა, სახვევებგამოცვლილმა, მაძლარმა, თანახმად სამედიცინო მეცნიერების ყველა წესისა, ქერში აშვერილი ფეხით მთელი შუა რუსეთი ისე გავიარე, რომ არ გამღვიძებია, და სადღაც, კიროვის იქით, სხვა, ზურგის სამყაროში, გამოჩნდა განათებული თანჯრები, რაც ძალიან მეუტხოვა, — აი, როდის მომაგონდა და გონებაში გავიმეორე ყველაფერი, რაც ჩემსა და რომაშოვს შორის მოხდა.

მე მომაგონდა ჩვენი საუბარი, რომელიც გვექონდა იმის წინა-დღით, ვიდრე გერმანელების ტანკები დაგვეცხრილავდნენ.

— გამოტყდი, რომ ცხოვრებაში ბევრი სისაძაგლე ჩაგიდენია, — ვუთხარი მე, — ესე იგი სისაძაგლე შენი საკუთარი გაგებით.

— დაეუშვათ, — გულგრილად მიპასუხებდა ის, — მაგრამ რას ნიშნავს სისაძაგლე? მე ცხოვრებას ვუყუარებ, როგორც თამაშს. აი, ახლა, მაგალითად, განა თვით ბედმა არ ჩამოგვირიგა კარტები?

ბედმა კი არა, ომმა ჩამოგვირიგა კარტები. ომმა კი არა, უკანდახევამ, რადგანაც, ჩვენ რომ უკან არ დაგვეხია, ის თავის დღეში ვერ გაბედავდა ჩემი დამბაჩისა და ქალაღლების მოპარვას და ჩემს მარტოდმარტო დატოვებას ტყეში.

როგორც სასამართლოში, მე გავარჩიე მისი მოქმედება ყველა თვალსაზრისით, მათ შორის სამხედრო-იურიდიული თვალსაზრისითაც, თუმცა -ამ მეცნიერებაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა.

მომაგონდა თავიდან ბოლომდე ჩვენი განწყობილება, ძალიან ჩახლართული, მეტადრე თუ წარმოვიდგენთ (ახლა ეს თითქმის შე-

უძლებელი იყო), რომ ოდესღაც ის სერიოზულად აპირებდა კატიას შერთვას.

შეურიგდა კი იმ ამბავს, რომ კატია მისთვის სამუდამოდ დაკარგულია? არ ვიცი. ვილაც ალევატინა სერგეევნა შეირთო და ნინა კაპიტონოვნამ გვიამბო, ქორწილში მაგრა დათვრა და ტიროდაო. ამის თქმაზე კატია შეკრთა და გაწითლდა. ვითომ მიხვდა, რომ რომაშოვს კვლავ უყვარს იგი?

ექვს გარეშეა, ის თავის ჭკუაზე არ იყო, როდესაც რევოლვერით ხელში მიყვიროდა: „შენ რომ იცოდე, ვისი მადლობელი უხდა იყო, რომ ცოცხალი ხარ!“

მაგრამ მაინც ვისი?

ღიახ, ძნელი არ იყო დისციპლინარულ წესდებაში პოვნა მუხლისა, რომლის თანახმად სამხედრო სასამართლოს უფლება ჰქონდა, დაეხვრიტა მეორე რანგის ინტენდანტი რომაშოვი.

მაგრამ, შესაძლოა, ქვეყანაზე იყოს კიდევ ერთი სასამართლო, რომლის განაჩენს წინასწარ ვერ მიხვდება კაცი სადაც ბრალდებული იტყვის:

— ღიახ, მე მინდოდა მისი მოკვლა.

და შემდეგ:

— მაგრამ არ მოვკალი, იმიტომ რომ მიყვარს ის, ვინც მის სიკვდილს ვერ გადაიტანდა.

ასეთი სასამართლო არ შეიძლება იყოს! კატიას სიყვარულით კი არა, სიმბდალის გამო ვერ მომკლა! და ან რა სიყვარულია ეს სიყვარული! ღმერთო ჩემო! განა ეს ის სიყვარულია, რომელიც ადამიანს აღამალლებს და სიწმინდეს ანიჭებს? რომელიც გარდაჰქმნის მას რაღაც ახალ. ღიღებულ ადამიანად? რომელიც ადამიანს ათასჯერ უფრო საინტერესოს და კეთილს ხდის, ვიდრე იყო იგი?

არა, ის იყო არა სიყვარული, არამედ რაღაც, — ღმერთმა უწყის რა, რთული, არეული გრძნობა, რომელშიაც შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა მგზნებარებაში ირიოდა და, შესაძლოა, ანგარიშიც კი იყო ჩარეული, რაც (ამაში დარწმუნებული ვარ) მუდამ თან სდევდა ამ მოსაწყენ სულს გაიძვეერისას.

მაგრამ მე მაინც წარმოვიდგინე ეს ფანტასტიკური სასამართლო.

გადავწყვიტე, რომ ივან პავლიჩი, — აბა სხვა ვინ, თუ არა ჩვენი მოხუცი მკაცრი მასწავლებელი? — გაასამართლებს რომაშოვს. და მომეჩვენა, რომ ეხედავ ბუხრიან განმარტოებულ ოთახს და თვით ივან პავლიჩს, სქელ ბუსუსიან ფრენჩში. პირქუშად უთრთის ქალა-

რა უღვაშები, მკაცრად და სევდიანად გიყურებენ მისი თვალები. ის მაგიდასთან ზის. რომაშოვი კი მის წინ დგას და გულგრილად, ნამძინარევივით ქუტავს თვალებს. ის ფიქრობს, რომ მე დიდი ხნის მკვლარი ვარ. სულ ერთი არ არის, რას ეტყვის მას ჩვენი მოხუცი მასწავლებელი?

მაგრამ კიდევ ვიღაც დადის ოთახში, ბუხართან ჩერდება, ხელებს ცეცხლს უშვერს. მოწმე ბუხართან დგას, ხელებს ითბობს და რალაცას ფიქრობს...

შორს იყო ჩემი მოწმე! ვინ იცის, ცოცხალი კი არის? აი, ორი თვეცაა, რაც არაფერი ვიცი იმისი და ძერე როგორი ორი თვე — 1941 წლის შემოდგომა!

ის ცხოვრობს ქალაქში, რომელიც გარეშოცულია სამხრეთით და ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით; ქალაქში, სადაც გადაწვევივით დაბინავება, თუ ეს ოდესმე შესაძლებელი გახდებოდა. ბომბავენ და ცხრილავენ ამ ქალაქს და არაფერსა ზოგავენ, რათა შიმშილით ამოსწყვიტონ იმ ქალაქის მცხოვრებნი, რომელთაც არ სურთ დანებდნენ. ასხამენ მძიმე ზარბაზნებს და ათას კილომეტრებზე მიათრევენ. გერმანიიდან მოაქვთ ბეტონი და იმით აშენებენ ტრანშეებისა და დზოტების კედლებს. კოველდამ ნევას ზემოდან შუშხუნებით ანათებენ ცას, რათა ჩამავეებულ წყალზე არ გაეპართ კარაპკი ფქვილით ან პურით. გააფთრებით, მივინვარედ მუშაობენ. ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩემი კატია მოკვდეს.

## თავი მეთორმეტი

### ჰოსპიტალში

არ ვიცი, საიდან მქონდა ასეთი წარმოდგენა ჰოსპიტალზე: მაგიდაზე ვარდები, თვალისმომპკრელი პალატები, მედლები, რომელნიც ჩუმად მიდი-მოდინან საწოლებს შორის, — ალბათ რომელიმე მოთხრობიდან. სინამდვილე ბევრად უფრო უბრალო აღმოჩნდა.

ეს იყო უზარმაზარი შენობა, ისე გაქვდილი დაქრილებით, რომ საწოლები ყველა დერეფნებში იდგა და სასადილოშიაც კი, რომელიც, სხვათა შორის, აგრეთვე გასავლელი ოთახი იყო. წინათ აქ სამედიცინო ინსტიტუტი ყოფილა, კედლებზე ჯერ ისევ ეკიდა მულიაყები მკვლარი, საშინელი სახეებით, ნერვების

განლაგების საჩვენებლად. ვიტრინებში ჯერ ისევ დარჩენილიყო ლექციების ცხრილები და დეკანების მრისხანე ბრძანებები.

სააქტო დარბაზი, რომელშიაც მე ვიწეკი, სავსებით შეეფერებოდა თავის დანიშნულებას, მაგრამ პალატისათვის ის მეტად დიდი იყო:— მეჩვენებოდა, რომ დარბაზის ბოლო თითქოს ნისლში ჰქრებოდა თვალიდან და, მართლაც, როდესაც ზამთრის მზის ცერად წამოსული სხივების ფართო სვეტები დარბაზსა სჭრიდნენ, ისინი ოდნავ თრთოდნენ, როგორც ნამდვილ ნისლში. აქ ასამდე კაცი იწვა, თითქმის ყველა რიგითი მებრძოლი. მე საბუთები არა მქონდა და, ვიღრე ნაწილიდან ცნობა არ გამოუგზავნეს, რომ ამქვეყნად არსებობს ასეთი და ასეთი კაპიტანი, რიგით მებრძოლებთან ერთად ვიწეკი. თუმცა განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ჩვენ წეკოს გვაძლევდნენ, მეთაურთა პალატებში კი რბილ თამბაქოს.

ჩვენს უზარმაზარ პალატაში ყველა ფრონტებიდან იყო შეკრებილი ხალხი, ძალიან ბევრი ლენინგრადის ფრონტიდან და უნდა ითქვას, რომ ვერაფერს იტყოდნენ სანუგეშოს იმ ზამთარს ლენინგრადის ფრონტიდან მოსული ადამიანები.

ჯერ გზიდანვე ვწერდი კატიას, ჰოსპიტლიდან კი თითქმის ყოველდღე. პეტროგრადის ქუჩაზეც ვწერდი ბერენშტეინებთან, პეტრისაც — საველე ფოსტის მისამართით, სამხედრო-სამედიცინო აკადემიაშიც, სადაც კატია და ვარია ტროფიმოვა მუშაობდნენ, რაც კატიამ ჯერ ისევ ივლისში მომწერა. რკინიგზის მოძრაობა არ იყო ლენინგრადთან, მაგრამ წერილები მაინც მოდიოდა თვითმფრინავებით და მე ვერ გამეგო, რალა ჩემი წერილები იკარგებოდა. სხვათა შორის, ეს ასევე გამოცანად დარჩა. დიდედას იაროსლავლის ოლქში ვწერდი, რა ვიცოდი, რომ მხატვართა ფონდის ბავშვთა ბანაკი ხელმეორედ იყო ევაკუირებული სადღაც ნოვოსიბირსკის ახლოს. მე ჩემს თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებდი, კატიას რომ უბედურება დამართოდა, ვინმე უსათუოდ გამცემდა ჰასუხს.

... მე დამახსოვდა ის უბედური დღე—1942 წლის 21 თებერვალი. ერთ-ერთმა საზოგადოებრივმა მომუშავემ — ასე ეძახდნენ ჰოსპიტალში ქალებს, რომლებიც ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ გვივლიდნენ, — მიაბზო, როგორ შეხვდა სადგურზე ლენინგრადის სახელმოსნოებისა და სპეცკოლის მოსწავლეთა ეშელონს. ეს იყო პირგამეხებული ქალი, რომელმაც ერთხელ განსაცვიფრებელი სიმშვიდით მითხრა, ქმარი და ვაჟიშვილი ფრონტზე დამედუპაო. მაგრამ როდე-

საც მიაშობდა, როგორ გამოჰყავდათ თბილანებიდან ხელში აყვანილი ბიჭუნები, ტირილი წასკდა.

მე იმ დღეს ძალის ძალად შეეკვამე სადილი. ფეხი, რომელიც ერთ თვეზე მეტი იყო თაბაშირში მქონდა, უტბად ისე ამტკივდა, რომ სიმწარისაგან აქეთ-იქით ვაწყდებოდი. ექიმმა რენდგენზე გამწერა და აი, აქ იყო, რომ „გაჰკირებამ დამჯაბნა“, როგორც დეიდა დამას უყვარდა თქმა.

ჯერ ერთი, რენდგენმა აჩვენა, რომ ფეხი სწორედ არ არის შეხორცებული. საჭირო იყო თაბაშირის მოხსნა და რაღაც ძვლების დამტვრევა, ერთი სიტყვით, მკურნალობის ხელახლა დაწყება. მეორე ის, რომ კაბინეტში საშინლად ციოდა, მე კი საათნახევრამდე გამაჩერეს იქ და, ალბათ, გავციედი, რადგან საღამოთი უკვე შევატყვე, რომ აბდაუბდასა ვჩმახავდი, — ეს ყოველთვის პირველი ნიშანი იყო სიცხის აწევისა.

მოკლედ რომ მოვკრა, ფილტვების ანთება ამკიდეს. ამან დააბრკოლა განმეორებით ოპერაციის გაკეთება და ექიმებს სერიოზულად ეშინოდათ, რომ დავკოკლდებოდი.

მაგრამ, მგონი, ძალიან დაწვრილებითა ვწერ ჩემი ავადმყოფობის ამბავს. მოსაწყენი რამ არის, მეტადრე, როცა გაიფიქრებ, რომ მე ომის მესამე თვეს დავიჭერი და, ამრიგად, თითქმის ჯერ არაფერი გამეკეთებინა.

თითქმის არაფერი იმ დროს, როდესაც უკვე „სასწაული მოხდა“ მოსკოვთან, როგორც უცხოეთის გაზეთები სწერდნენ, როდესაც სამასი კილომეტრის მანძილზე მოსკოვის დასავლეთით თოვლის თითოეული ზეინიდან ამოშვერილიყო უბადრუკ ერზაც ქეჩის ჩექმებში გაშეშებული ფეხები! თითქმის არაფერი იმ დროს, როდესაც სრული სვლით მიდიოდა მუშაობა შორეულ მოქმედების უახლესი საზღვაო ავიაციის შესაქმნელად — უჩემოდ, თითქოს მე თხუთმეტი წელიწადი ცა გარდიგარდმო არ მესერა ზღვის ზემოდან ყველა მიმართულებით. თითქმის არაფერი და მე იმასაც კი ვგრძნობდი, რომ დღითი დღე ეშორებოდა ის, რასაც შეიძლება „ომის გრძნობა“ უწოდოთ და სულ უფრო ახლო მიმქონდა გულთან ყოველდღიური სისულელე ჰოსპიტლის ცხოვრებისა.

ზემოთ ვთქვი, რომ პოლკიდან ცნობა გამომიგზავნეს, რომელსაც მაშინვე მოჰყვა მიშა გოლომბის, ჩემი ძველი მეგობრის, წერილი, ვისთანაც ერთად ოდესღაც თავდაცვა-ავიაციის საფრენოსნო სკოლის „კუბოებში“ ვფრინავდი. თვალებს არ დავუჯერე, როდესაც მი-

სი გვარი დაეინახე. მაგრამ ეს მიშა იყო. ის ახლა ჩვენ პოლკში მსახურობდა, გაზეთში ჩემი ნეკროლოგის გამოქვეყნების ორი დღის შემდეგ მოსულიყო ჩვენს პოლკში.

„სანია, ბოლოს, როგორც იყო, შენ მაინც გამაკვირვე, — მწერდა ის, — თან დაიხსომე, მაშინ კი არა, შენი წერილი რომ მივიღეთ და დავრწმუნდით, რომ ცოცხალი ხარ, არამედ მაშინ, როდესაც მითხრეს, დაიწვაო. საქმე ისაა, რომ ვინ შენა და ვინ დაწვა. ახლა წარმოიდგინე, რომ არავის, მათ რიცხვში არც შენ, არაფერი გაქვს სათქმელი ამ შეცდომის წინააღმდეგ. ხალხმა ყუმბარებზე დაიწყო დაწერა: „გრიგორიევისათვის“, ამრიგად, სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდი ბრძოლას. პოლკოვნიკმა სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ შენ წარდგენილი ხარ წითელი დროშის ორდენზე. გილოცავ და გისურვებ ბედნიერებას და ისევ ბედნიერებას“.

ადრე გაზაფხულზე ნელ-ნელა დავიწყე გამოსვლა, ან უკეთ რომ ვთქვა, გამობობლება პოსპიტლის ბაღში. პირველად დაეინახე ქალაქი, რომელშიაც თითქმის უკვე ნახევარი წელი გავატარე და, თუმცა ჩემს თვალწინ მხოლოდ ცაცხვებით ჩაყოლებული ერთი ქუჩა-ზეოვანი გადაიშალა, მაგრამ მისი მიხედვით, მგონი, შეიძლებოდა გემსჯელათ მთელი მ-ის შესახებაც. მერე, როდესაც დამიწყეს ქალაქში გაშვება — ჯერ ყვარჯნით, შემდეგ პატარა ჯოხით, — დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარავარ. ქალაქი გაშლილი იყო, წყნარი, ყველა საუკეთესო ქუჩა თითქოს კამის მაღალი ნაპირებისავე მიისწრაფოდა შესაფრენად და ამ გაქანებამ მშობლიური ენსკი მომაგონა მისი პესჩინკისა და ტიხონის ნაპირებით. ადრე შემთხვევა არა მქონია, მ-ში მეცხოვრა, ორჯერ-სამჯერ მხოლოდ გადამიფრენია მ-ზე.

თეატრში ვიყავი, — ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრი მ-ში იყო ევაჟუირებული, — და მეუცხოვა გრძნობა დროის დაბრუნებისა, რომელიც განვიცადე, როდესაც ფარდა აიხადა და ჩინებულად ჩაცმულმა მამაკაცებმა და ქალებმა გოგმანით, აუჩქარებლად სცენა გაიარეს, თითქოს არავითარი ომი არ ყოფილიყო.

რასაკვირველია, არც კი ვახსენებდი ამ წიგნში იმას, რომ თეატრში დაედიოდი. მაგრამ საათის პატარა ბორბლებივით ეკოწიწება ცხოვრებაში ერთი რამ მეორეს. ბალეტ „გედების ტბაზე“ ანია ილინა, ჩემი ამხანაგის ცოლი, შემხვდა, ვისთანაც ერთად შორეულ აღმოსავლეთში ვმსახურობდი. მე და კატიას გვიყვარდა ილინები. ესენი დინჯი, ზრდილობიანი, მხიარული, თეატრისა და სპორტის, მეტადრე ჩოგბურთის მოყვარული ხალხი იყო. ანია ასევე ჩამრჩა მესხიერებაში:

ჩოგნით ხელში, თეთრ კაბაში და, შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ასეთი ზრდილობიანები იყვნენ, ყველას ერთნაირად ეგუებოდნენ და კშვენეირ წყვილს გაგონებდნენ რომელიმე რომანიდან. მათ უნდობლად და, საერთოდ, საკმარისად ცუდად ექცეოდნენ. მე და კატია მუდამ გვეჩვენებოდა, რომ ისინი სავსებით ღირსნი იყვნენ თავიანთი მდგომარეობისა და ბედნიერებისა. ამბობდნენ, ილინებს ბედი სწყალობსო, და, მართლაც, მუდამ საქმე საქმეზე მოსდიოდათ. ეს ბედის წყალობა ომის დროსაც არ მოჰკლებია ილინს, იმიტომ რომ ოპი პოდპოლკოვნიკის ჩინით დაიწყო, 1942 წლის გაზაფხულზე კი უკვე გენერალ-მაიორი იყო.

მე და ანას ორივეს გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა სპექტაკლზე, შეეთანხმდით, მეორე დღეს კვლავ შევხვედროდით ერთმანეთს იმის ოჯახში. ის აქაური იყო. ომი რომ დაიწყო, ქმარს ისა და გონა მშობლებთან გამოეგზავნა მ-ში.

...ამ ოჯახს ომი არ შესტყობოდა. პირველად ვიყავი ფრონტისა და პოსპიტლის შემდეგ ასეთ ოჯახში. ჩვენ სასადილო ოთახში ვისხედით, ექვს გარეშეა, იგივე ხელსახოცები ეწყო ბუფეტზე დადებულ მინაზე, იგივე არაფრის მაქნისი ნივთები ელაგა კუსტარულად და ჩუქურთმებულ კედელზე ჩამოკიდულ თაროებზე. აბრეშუმის ხალიჩაც ტახტთან, ალბათ, ასევე ეკიდე ომამდე. მე ვუყურებდი კობტა, ზომიერად დინჯ, გულთბილ ქალს, რომელიც ამ ლამაზ ოთახში იჯდა, და საშინლად მებრალებოდა ჩემი კატია.

— ორი-სამი დღით მაინც რომ შეგეძლოს წასვლა ლენინგრადში! კატია ვიპოვიდი. ექვი არ მეპარება, რომ ეს ლენინგრადშია, მაგრამ არ გამიშვებენ. დიმიტრი მოსკოვშია?

— დიახ.

ანია მაშინვე მიხვდა, რატომ ვკითხე ქმრის ამბავი.

— ის დაგეხმარებათ, უსათუოდ დაგეხმარებათ, მე ახლავე მიეწერ. რა არის საჭირო, რომ გააკეთოს?

— მოსკოვში გამომიძახოს, — ვუთხარი მე, — იმიტომ, რომ სხვაფრივ კომისია ზურგში გამგზავნის.

— როდისა გაქვთ კომისია?

— მაისში.

— ძალიან კარგი! მე მოვასწრებ მიტიასაგან პასუხის მიღებას. იცის, ვის უნდა მოელაპარაკოს?

— ფლოტის სახალხო კომისარიატის სამხედრო-საჰაერო ძალების კადრების განყოფილებას.

ანიამ წიგნაკში ჩაიწერა: „კადრების განყოფილებას...“

— როგორა მწყინს, რომ პირდაპირ მ-დან არ შეგიძლიათ გაფრინდეთ ლენინგრადში! აქ „ლუგლასი“ შოდის ხოლმე. მართალია, დიდი ხანია არ გამოჩენილა, მაგრამ ამბობენ, მალე მოვაო. — შეშრება თუ არა აეროდრომები, მე მოვახერხებდი თქვენს გამგზავრებას.

მადლობა გადაეუხადე და ეუთხარი: რასაკვირველია, ჩინებულნი იქნებოდა, მაგრამ არსებობს-მეთქი ქვეყანაზე ერთი წიგნი — „დისციპლინარული წესდება“, რომელიც მსგავსი გაფრენებისადმი ხალისს გიკარგავს.

ყველაფერს წარმოვიდგენდი იმის გარდა, რომ გაივლიდა სულ რამდენიმე დღე და შევძლებდი გაფრენას, სადაც კი მომესურვებოდა, ისე რომ, არ დამპირდებოდა ამ მრისხანე წიგნში ჩახედვა.

## თავი მეთხმეტი

### ბანაჩენი

სამედიცინო კომისია ჩემთვის მუდამ რალაც სასამართლოს მაგვარი იყო და ამ სასამართლოზე ყოველთვის ჩემი თავი დამნაშავედ უნდა მეცნო ხოლმე იმაში, რომ ბუნებამ მაღალი ტანის, ბეჭებგანიერ, ოთხკუთხნიკაპიან და ისეთი კუნთების მქონე ადამიანად არ შემქმნა, რომელსაც ოთხი ფუთის აწვეის უნარი ექნებოდა. სწორედ ამ უსიამოვნო გრძნობით ვიდექი მთლად ტიტველი კომისიის წინაშე მ-ში. მე ვცუტქლებოდი, თვალებს ვხუჭავდი, მკლავებს წინ ვიშვერდი და ვცდილობდი, ხელები არ ამკანკალებოდა, ვაქნევდი ფეხებს და შესანიშნავად ვხედავდი დიდ მანძილზე, რაც უნდა წვრილი ასოები ყოფილიყო. მერე მოხუცმა, ჭალარა ექიმმა ქალმა გული გამისინჯა და ზურგსა და მკერდზე თითებით დამიწყო კაკუნი. ეტყობა, რალაც არ მოეწონა ჩემ მკერდში, იმიტომ რომ შეჩერდა, შუბლი შეიკმუხნა და კვლავ გაიარა თითებით, თითქოს გამა შეასრულაო. მერე მითხრა:

— ისუნთქეთ.

ფილტვები სულაც არ მაწუხებდა, როდესაც კომისიაზე მივდიოდი. ნერვიულობის დროს რატომღაც კოკლობას ვიწყებდი დაქრლვფეხზე, — აი, ეს არ იყო სასიამოვნო, მეტადრე, როდესაც იმაზე ვფიქრობდი. თუ როგორ მექნებოდა ფეხი საბრძოლო გაფრენის დროს. ფილტვები ყოველთვის მშვენიერი მქონდა, თუმც ბავშვო-

ბაში გადამეტანა ისპანკა, მერე მძიმე პლევრიტი, მაგრამ ბრაზიან და მოხუც სამედიცინო სამსახურის მაიორზე სწორედ ჩემმა ფილტვებმა დასტოვეს არასასურველი შთაბეჭდილება. ის მიკაქუნებდა და მატრიალებდა, კვლავ მიკაქუნებდა და მაწვენდა, თითქოს გადაწყვიტა, უსათუოდ დაემტკიცებინა, რომ მე ავადა ვარ, ავადა ვარ... ავადა ვარ და ვერასოდეს ველარ ვიფრენ.

თითქმის ნახევარი წელი გავიდა, რაც მე ძალიან შორს, შიგ გულის სიღრმეში დავმალე ეს საშინელი აზრი — დავმალე და, რაც მომხვდა, ყველაფერი ზედ მივაყარე. მაგრამ ის არც მომკვდარა, არც მომშორებია, არამედ გაინაბა საღდაც სხვა დარდთან, კატიაზე დარდთან ერთად.

და აი ახლა, როდესაც კომისიის წინაშე ვიდექი გატიტვლებული, ნაიარევით ფეხებსა და ზურგზე, ახლა შეუძლებელი გახდა ამ აზრის დაფარვა საკუთარი თავისა და სხვებისაგანაც. ეტყობა, ექიმმა ქალმა ეს ჩემს თვალებში ამოიკითხა, რადგანაც უკვე აიღო კალამი ხელში, მაგრამ დასკვნის დაწერა მაინც ვერ გადაწყვიტა და კომისიის თავმჯდომარეს, დაბალ, მსუქან, რქის სათვალთან ექიმს გადამცა, რომელმაც იმ წამსვე ენერგიულად დამიწყო კაკუნი ნეკნებსა და ლავიწებზე, მაგრამ თითებით კი არა, პატარა ჩაქუჩით. ხან წკრიალით აკაქუნებდა, ხან ყრუდ, თითქოს კითხულობდა:

„ნუთუ შენ ავადა ხარ, ავად? ავადა ხარ და არასოდეს აღარ იფრენ?“

— ნუ ლელავთ, კაპიტანო, — მითხრა ექიმმა, როდესაც წამით გადმომხედა და თან, დიდრონ, ბანჯგელიან ყურებში რეზინის მილუბი შეიწყო, — იმკურნალებთ და ყველაფერი რიგზე იქნება.

გული და ფილტვები გამისინჯა, რალაც აღნიშნა ჩემს ავადმყოფობის ისტორიაში და ალერსიანი გამომეტყველებით გაიმეორა:

— ყველაფერი რიგზე იქნება.

მაგრამ ნახევარწლიანი შვებულება მომცა. მე ვიცოდი, რა შემთხვევებში აძლევდა კომისია ამგვარ დასკვნას მწყობრის მეთაურს 1942 წელს.

მგონი, ვერაფერი სანახავი ვიყავი, ჰოსპიტალში რომ დავბრუნდი, რადგან ჩემმა მეზობელმა, უფეხო არმიელმა, რომელიც ისეთი მსუქანი და თეთრწითელი იყო, რომ ყოველთვის გვიკვირდა, როდესაც საკაცით მოჰყავდათ აბაზანიდან, წიგნის კითხვას თავი დაანებებდა და შემომხედა, მაგრამ არაფერი უკითხავს. მერე კი თავი ველარ შეიკავა და მაინც მკითხა:

— რაო, როგორ არის საქმე?

მე არ ვიცი, რამ მათქმევინა, ინვალიდობა მომცეს-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში ეს სიტყვა სულაც არ იყო ნახსენები. სადილი მოიტანეს. უხალისოდ ვისადილე და წავედი, თუმცა ძალიან მინდოდა დაწვრილიყავი და თავი ბალიშქვეშ შემემალა. დიახ, დასკვნაში ეს სიტყვა არ ეწერა და საჭირო არ იყო მისი ყოველ წუთს გამოვრობა, თითქოს თავით მუქ შლამიან ჭაობის წყალში ვეურყუმებლავდებოდი!

იქნებ საჭირო იყო, დამერწმუნებინა ისინი — ის ბებერი, გამხმართითებიანი ალქაჯი, რომელმაც ჩემს ნექსებზე რაღაც სამგლოვიარო მარშის მსგავსი დაუკრა? ის გაბერილი, რომელიც თან გაჩუმდა და თან ისიცა თქვა, მორჩა, ველარ იფრენო? იქნებ უნდა მომეთხოვა, საგარნიზონო კომისიაში გავეგზავნე?

ქუჩა-ხეივანზე მივდიოდი, რომელიც ძალიან დაქანებული დაღმართით კამისაქენ ჩადიოდა, და ვუსტვენდი — ხმადაბლა, რათა გამეღელეთა ყურადღება არ მიმექცია. ქალაქის ყველაზე საუკეთესო შენობის — ავიოსკოლის კედელზე მეთასედ წავიკითხე წარწერა მარმარილოს დაფაზე: „აქ სწავლობდა გენიალური რუსი მეცნიერი პოპოვი, რადიოს გამომგონებელი“.

კოჭლობით ავედი მაღალ ნაპირზე, ჩემს წინ მღვრიე, ჯერ ისევ გაზაფხულის კამა გადაიქიმა მოყვითალო-მონაცრისფრო ფერთა ღელვით, მისი ნავსადგურებითა და გემებით, რომელნიც უზარმაზარ კარქაპებს ეწეოდნენ, საყვირებითა და ადამიანთა ხმებით, რომლებიც შორს გაისმოდა გადაშლილ მდინარეზე...

„სამწუხაროა, რომ პირდაპირ მ-დან არ შეგიძლიათ გაფრენა ლენინგრადში. მე მოგიწყობდით“.

რას იზამ, ახლა ყველაფერი რიგზეა. ჩაჯექი და გაფრინდი! არ არის საჭირო არავითარი ნებართვები. კაბინიდან მგზავრების განყოფილებაში გადახვედი. სავარძელი მოსახერხებელი ჩასაჯდომია, გადაწევი და დაისვენე!

აღბათ ეს ხმამალლა ვთქვი, იმიტომ რომ ნაპირზე მდგომ „ხელოსნებს“, რომელთაც მათთვის შეუფერებლად დიდრონი კურტკები ეცვათ და დიდრონი ქუდეები ეხურათ, გაეცინათ და პატარა ხანს მდიეს. მომაგონდა, ესპანეთის შემდეგ როგორ წავედით მე და კატია ენსკში, როგორ დამღევდნენ უკან ენსკელი ბიჭები და ყველაფერში მზაძვედნენ. მე პაპიროსის საყიდლად შევჩერდი, ისინიც გაჩერდნენ და ისეთივე პაპიროსები იყიდეს, როგორც მე. ბანაობა მო-

მინდა. კატა ტაძრის ეზოში დარჩა, მე კი ტიხოსთან ჩავედი, გავიხადე და წყალში გადავეშვი. იმათაც ცოტა მოშორებით გაიხადეს და წყალში გადაეშენენ, სწორედ ჩემსავით. ოღონდაც! მფრინავი, რომელიც ესპანეთში იბრძოდა და დაბრუნდა და წითელი ღროშის ორდენი მკერდს უმშვენებდა! ახლა კი?

თითები ოღნავ მიკანკალებდა, მაგრამ მაინც შეეახვიე თუთუნი, მოვუკიდე, რამდენიმე ხანს უძრავად ვიდექი ნაპირზე და ვუყურებდი დიდი მდინარის მთელ ამ უცნობ, მრავალფეროვან ცხოვრებას. გაიარა ნაცრისფერმა სამგზავრო გემმა.

წავიკითხე წარწერა „ლიაპიდევსკი“ და გავიფიქრე: „აი, შენ კი ვერ გახდი ლიაპიდევსკი“. მერე გაიარა კიდევ ერთმა, ისეთივე პატარა გემმა. წავიკითხე წარწერა „კამანინი“ და გავიფიქრე: „ვერც კამანინი გახდი, ძმაო!“ შორს ნავსადგურთან „მაზურუკი“ იდგა და მე უნებურად გამელიძა: გავიფიქრე, რომ შუალამემდე ვერ გავუთავებდი ჩემს თავს საყვედურებს, თუკი ყველა გემს ცნობილი მფრინავებისა და ისიც ჩემი კარგი ნაცნობების სახელები ექნებოდათ მიკუთვნებული.

ასე იყო თუ ისე, ახლა არავინ მიშლიდა ლენინგრადში გაფრენას, რათა ჩემი ცოლი მეპოვა, ან დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ მე იგი სამუდამოდ დავეარგე.

სამი კვირა ვუცდიდი თვითმფრინავს. არ ვიცი, შევეჩვიე ჩემს ავადმყოფობას, თუ გულში ჩუმად შემოპარულმა იმედმა დამიწყო ჩურჩული, რწმუნება, — ყველაფერს ეშველებათ. ერთი სიტყვით, ამ მოულოდნელი მეხის დაცემისაგან გამოვფხიზლდი, გონს მოვედი, მოვერიე მთელ ჩემს ფიქრებსა და გრძნობებს.

ახლა ჩემს თავზე აღარა ვფიქრობდი — სულ კატია მახსოვდა. მასზე ვფიქრობდი, როდესაც რადიოთი მის საყვარელ „ნინას რომანსს“ ვისმენდი. მასზე ვფიქრობდი, როდესაც დაქრილების მიერ დადგმულ სპექტაკლს ვუყურებდი; რა იშვიათად დავდიოდით მე და ის თეატრში! მასზე ვფიქრობდი, როდესაც ყველას ებინა უზარმაზარ პალატაში და მხოლოდ ხან აქ, ხან იქ გაისმოდა კვნესა ან ჩქარი, ჩახრინწული ბუტბუტი.

ბოლოს, როგორც იყო, ანა ილინამ დარეკა ჰოსპიტალში და მითხრა, თვითმფრინავი მოვიდაო. მფრინავი გამაცნო, — ზორბა გულკეთილი მაიორი, რომელიც მ-ში ლენინგრადის შტაბის დავალებით დაფრინავდა. იგი სიამოვნებით დათანხმდა ჩემს წაყვანაზე.

კატინას ვიქტორია

ექვსი თვე მიწაზე გავატარე. როგორღა უნდა გადმოგცეთ გრძნობა, რომლითაც, როგორც იყო, დავტოვე იგი? არაფერი არ შეცვლილა, პირიქით, უფრო მეტი სიმწარე დამიტრიალდა გულში, როდესაც გავიფიქრე, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად მივფრინა, როგორც მგზავრი. მაგრამ მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც მე ვმუშაობდი, პაერში უფრო კარგად ვგრძნობდი თავს, ვიდრე მიწაზე. ნეტარი გრძნობით ვიყურებოდი თანჯარაში, თითქოს ვამოწმებდი: ზომ ზიანი არაფერი მოსელია გაზაფხულის ამ გადაშავებულ მინდვრებს, ანკარა მიხვეულ-მოხვეულ მდინარეებს, მუქი ხავერდითი ფართოდ გაშლილ ტყეს. სიამოვნებით შევედი კაბინაში, მთელი ტანით ვიგრძენი მისი ჩვეული გაანგარიშებული სიეწროვე. სიამოვნებით ველოდი, როდის დაიწყებდა მფრინავე ქექა-ქუხილის გვერდის ავლას, — ჩერებოვეყთან შევეყარეთ მას, დიდებული, სასახლეების მსგავსი ღრუბლებით, რომლის კედლებიც ელვისაგან იმსხვრეოდა. ჩემდა უნებურად მომაგონდა პირველი გაფრენების შთაბეჭდილება, რომლისადაც ცა ჯერ კიდევ უბრალო ტრასად არ გადაქცეულიყო ჩემთვის.

...ბერნგარდოვკაში „პრავდას“ მატრიცებისათვის მოსული შემთხვევითი მანქანით ლიტვინის პროსპექტს მივალწიე. იქიდან ან ფეხით უნდა წავსულიყავი, ან ტრამვაისთვის უნდა მომეცადა. ერთადერთი ტრამვაი დადიოდა პეტროგრადის ქუჩაზე, მესამე ნომერი, მაგრამ ლენინგრადელებმა, რომლებიც გაჩერებაზე, როგორც საკუთარ სახლში, ისე მოწყობილიყვნენ, მითხრეს: შესაძლებელია ერთ საათამდე მოგვიხდეს მოცდა. მაიორი, რომელიც აგრეთვე პეტროგრადის ქუჩაზე უნდა წასულიყო, არ მიშვებდა, მით უმეტეს, რომ მძიმე ზურგჩანთა მქონდა — პროდუქტები ჩამოვუტანე კატინას. მაგრამ განა შემეძლო მოცდა, როდესაც უკვე მეოცედ უნდა მომებრუნებინა სული, გავიფიქრებდი თუ არა, რომ მე და კატია ძლივს ერთ ქალაქში ვართ, რომ, შესაძლოა, ის ამ წუთში... არ ვიცი — მელის, ავად არის, კვდება.

არაფერი გამიგია, ისე გავიზინე საზაფხულო ზღის ხეივანი. ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერს ვგრძნობდი: ბოსტნებსაც მარსის მინდორზე, რომელთა შუა შენიღბული საზენიტო ბატარეები ოდგა; იმასაც, რომ არასოდეს არა ყოფილა ასე მწვანედ აბიზინე-

ბული ლენინგრადი; იმასაც, რომ ქალაქი ისე მშვენივრად იყო მორთული. წამოსვლის წინ წავიკითხე გაზეთში, როგორ გამოვიდა 1942 წლის გაზაფხულზე სამასი ათასი ლენინგრადელი, რომელთაც თავიანთი ქალაქი მორთეს. მაგრამ რაზედაც არ უნდა ძეფიქრა, ერთი რამ მაზსოვდა სულ: სად არის კატია. ვიპოვი კი? ასე მეგონა, რომ არა, — ვერ ვიპოვიდი, რაკი ყველა ფანჯრებში შუშები ჩამტვრეული იყო და სახლები იდგნენ მდუმარენი, თითქოს სევდით თვალებდახრილნი. ვერ ვიპოვიდი, — რაკი ყოველი კედელი ჩანგრეული იყო საარტილერიო ყუმბარებისაგან. ვიპოვიდი—რაკი სუვოროვის ძეგლთანაც კი, მოედანზე, დათესილი იყო სტაფილო, ჭარხალი და ისე თამამად ამოღერილიყო, თითქოს მათთვის უკეთესი პუნებრივი პირობების შექმნა არც კი შეიძლებოდა. ნევასთან გავედი. ჩემდა უნებურად თვალებით ვიპოვე საადმირალო სამსახურის შპილი — და არ ვიცი, როგორ გადმოგცემ, მაგრამ ამანაც კატია მომაგონა, სწორედ ამ შპილმა, რომელსაც ბრწყინვალეობა დაეკარგა, როგორც ძველ გრავიურაზე. ჩვენ არ გამოვთხოვებივართ ერთმანეთს, როდესაც ომი დაიწყო, მაგრამ სხვა გამოთხოვება, ესპანეთში წასვლის წინ, ისე ცოცხლად მომაგონდა, რომ თითქმის თვალნათლივ დავინახე იგი ბერენშტეინების ბნელ დერეფანში, ძველ ქურქებსა და პალტოებს შორის. რა უნდა გავაკეთო, რომ ყველაფერი ისევ ისე იყოს, როგორც მაშინ? რომ კვლავ მკითხოს მან:

„სანია, შენა ხარ? იქნებ შენ არა ხარ?“

შორიდან დავინახე სახლი, რომელშიაც ბერენშტეინები ცხოვრობდნენ. სახლი თავის ადგილზე იდგა და, უცნაურია — იგი უწინდელზე უფრო ლამაზი მომეჩვენა. თითქოს არც ფანჯრები იყო ჩამტვრეული, ფასადიც კეკლუცად ბზინავდა, თითქოს ახლადწასმული საღებავი ჯერ ისევ ელვარებდა მზეზე. მაგრამ, რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო მეტად მაწუხებდა ეს იდუმალეობით სავსე საზეიმო მდუმარება. კიდევ ათი, თხუთმეტი, ოცი ნაბიჯი და ვილაკამ მაგრად ჩამავლო გულში ხელი, მერე გამიშვა და გული ამიძგერდა, ამიფრთხილდა... სახლი აღარ იყო. ფასადი დიდრონ ფირფიცრებზე იყო დახატული.

ზაფხულის მთელი გრძელი დღის განმავლობაში ყურებში მედგა არტილერიის შორეული გუგუნნი — ხან მიახლოვდებოდა, ხან მშორდებოდა, თითქოს თან მოაგორებდა მსხვილ, ჩხრიალა კენკებს.

მთელი დღე კატიას ვეძებდი.

მწვეტანა სახის ზაფრანის ფერმა ქალმა, რომელიც დანგრეული

სახლის წინ შემხვდა. რაისაბქოს წევრ ექიმ ოვანესიანთან გამგზავნა. ქაღარაშერთული მოხუცი სომეხი, პირგაუპარსავი და გულკეთილი, ყოფილი კინო „ელიტის“ კანტორაში იჯდა. — ახლა აქ რაიონის საპაერო-ქიმიური თავდაცვის შტაბი იყო მოთავსებული. ვკითხე, ხო.ი არ იცნობდით ეკატერინა ივანოვნა ტატარინოვა-გრიგორიევა-მეთქი. მიპასუხა: რასაკვირველია, ვიცნობდი და ომის დასაწყისში ბედლადაც კი შევთავაზე ემუშავნაო.

— მერე?

— უარი განაცხადა და თხრილებზე წავიდა სამუშაოდ. — მიტარა ექიმმა, — სამწუხაროდ, მერე აღარ მინახავს.

— იქნებ როზალია ნაუმოვნასაც იცნობდით, ექიმო?

კეთილი ბებრული თვალებით შემომხედა, ტუჩები დააცმატუნა და წინ წამოიშვირა.

— როზალია ნაუმოვნასი რა ხართ?

— არაფერი, ნაცნობები ვართ.

— ჰო.

ის გაჩუმდა.

— ჩინებული ქალი იყო, მშვენიერი, — ამოიოხრა მან. — სტაციონარში გავგზავნეთ, მაგრამ ველარაფერი უშველეს და გარდაიცვალა...

დანგრეული სახლის ეზოში დაებრუნდი. ფასადი ჩანგრეული იყო. მაგრამ ის მხარე, რომელიც ეზოში გადიოდა, შერჩენილიყო. მე თვითონაც არ ვიცი რატომ, ღორღით დაფარული კიბით პირველ ბაქანზე ავედი. კიბის ოთხკუთხედ სიცარიელეში რაღაც რკინის სოლები და თავხეები გამოშვერილიყო და მხოლოდ მესამე სართულიდან კვლავ იწყებოდა საფეხურები.

ოდესღაც ამ სახლში ჩემი საყვარელი და ცხოვრობდა. აქ გადავიხადეთ მისი ქორწილი. ყოველ კვირადღეს მოვდიოდი აქ, ლურჯ „სპექტანსაცმელში“ ჩაცმული — საფრენოსნო სკოლის მოსწავლე, რომელიც დიად აღმოჩენათა ბედნიერებაზე ოცნებობდა. აქეთ მოვაშურებდით ყოველთვის მე და კატია, როდესაც ლენინგრადში ჩამოვდიოდით, და როცა არ უნდა მოვსულიყავით, ამ სახლში მუდამ გვიღებდნენ, როგორც ყველაზე მახლობელ და ძვირფას მეგობრებს. ამ სახლში კატიამ წელიწადზე მეტი გაატარა, როდესაც მე ესპანეთში ვიბრძოდი. ამ სახლში ცხოვრობდა ახლა, ბლოკადის დროს, იტანჯებოდა შიმშილისა და სიცივისაგან, მუშაობდა და შველოდა სხვებს და თავისი სისპეტაკით და სულიერი სიძლიერით სხვებსაც ამხნევებდა.

სად არის იგი ახლა? შიშმა მომიცვა. კრიკა შეგვკარი, რომ კანკალი შემეჩერებინა.

ამ დროს ბავშვის ხმა მომესმა და გარღვეულ კედელში, სწორედ ჩემს ზემოდან, პატარა, ასე თორმეტი წლის, შავგვრემანი, პირბუღალი ბიჭუნა გამოჩნდა.

— ვინა გნებავთ, ამხანაგო მეთაურო?

— აქა ცხოვრობ?

— დიახ.

— მარტო?

— მარტო რად ვიქნები, მე და დედაჩემი ვცხოვრობთ.

— დედაშენი შინ არის ახლა?

— შინ არის.

მან მიჩვენა ასასვლელი გზა. ერთგან ჩანგრეული იყო. ზედ გადებულ ვიწრო ფიცარზე უნდა გამეველო. რამდენიმე წუთის შემდეგ მე ვესაუბრებოდი მის დედას, დაღლილ, ჯილათვალეებიან ქალს. პირველივე სიტყვიდან მივხვდი, რომ თათრის ქალი იყო. ის იყო № 79 სახლის მეეზოვე და, რასაკვირველია, მშვენიერად იცნობდა როზალია ნაუმოვნასაც და კატიასაც.

— მეცხრეს რომ დაარტყეს, ის ნანგრევების ქვეშ მოყოლილების ამოსაყვანად წავიდა, — თქვა მან კატიასზე და ბიჭმა, რომელიც სუფთად ლაპარაკობდა რუსულს, ამიხსნა, რომ „მეცხრე“ — ეს ის სახლია, რომელშიაც გასტრონომიული მაღაზია № 9 იყო. — ნანგრევებიდან ნაცნობი ამოიყვანა, ვილაც წითელთმიანი. მერე ის როზალია ნაუმოვნას ბინაში ცხოვრობდა.

— ამოიყვანა წითელთმიანი ნაცნობი, — სასწრაფოდ გადამითარგმნა ბიჭუნამ, — მერე ის როზალია ნაუმოვნას ბინაში ცხოვრობდა.

— მეორე მოხუცი მოკვდი, ხაკიმ დამარხოს წავიდა.

— მეორე მოხუცი როზალია ნაუმოვნას და იყო. — ამიხსნა ბიჭუნამ. — ხაკიმი მე ვარ. იგი მოკვდა და ჩვენ წავიღეთ დასამარხად სმოლენსკზე. ის წითელთმიანიც იქ იყო. სწორედ იმან დაგვიჩიროვა. ისიც სამხედრო იყო, მაიორი.

ახლა კატიასზე უნდა მეკითხა. ძალიან მეშინოდა, მაგრამ ვკითხე. მეეზოვე ქალმა გაჯავრებული თავის ქნევით მითხრა, რომ თვითონ „სამი თვე საავადმყოფოში იწვა, მოლა დაუძახო, არც ერთი მოლა ლენინგრადი არ არის, ყველა მოლები სულ მოკვდი“, და როდესაც იგი დაბრუნდა, როზალია ნაუმოვნას ბინა უკვე ცარიელი დახვდა.

— საბინაო სამმართველოს უნდა ჰქონდეს, — მითხრა მან დაფიქრების შემდეგ. — მაგრამ საბინაო სამმართველოც აღარ არის, მოკვდა. იქნებ წავიდა? მან წითელთმიანი ამოიყვანა ნანკრეკებიდან. წითელთმიანს პური ჰქონდა. დიდი ტომარა, თვითონ მიჰქონდა, მე არ დამანება. მე ვუთხარი: „შენ ხარბი სულელი. ჩვენ შენ სიცოცხლე გადავარჩინეთ. შენ პური კი არა, უნდა ილოცა, ყურანი წაიკითხა“.

კატია უკვე აღარა ცხოვრობდა როზალია ნაუმოვნასთან, როდესაც სახლს ყუმბარა მოხვდა, სულ ეს იყო, რაც მე გავიგე. კიდევ ვილაც ქალებს ველაპარაკე, რომლებიც ტირილით მიამბობდნენ, თუ როგორ ეხმარებოდა მათ კატია. ხაკიმმა თავისი ამხანაგები მოიყვანა და მათ შემომჩვილეს წითელთმიან მაიორზე, სამას-სამას გრამ პურს დაგვპირდა „დასამარხს“, მერე კი „გვიშარა“ და მხოლოდ ორას-ორასი მოგვცაო.

ღმერთმა იცის, ვინ იყო ეს წითელთმიანი მაიორი. პეტია? მაგრამ პეტია მაიორი არ იყო და არც შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ პეტიას ასი გრამი პური მოეპარა მშიერი ბიჭებისათვის. მაგრამ სულ ერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის კაცი. მან უშველა როზალია ნაუმოვნას დის დამარხვა. ვინ იცის, იქნებ მძიმე დღეებში ის კატიასაც ეხმარებოდა? დასაფლავებაზე კატია მასთან ერთად ყოფილა და, ალბათ, არც ისე სუსტად იყო, თუ შესძლო პეტროგრადის ქუჩიდან სმოლენსკის სასაფლაომდე მიეღწია. მაგრამ მას შემდეგ ის არავის არ უნახავს — არ უნახავს არც ცოცხალი, არც მკვდარი.

უკვე მეექვსე საათი იყო, როდესაც, თავისტკივილით გაწამებული სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში წავედი. აკადემია ევაკუირებული იყო, მაგრამ კლინიკები, რომლებიც ომის პირველი დღიდანვე პოს-პიტლებად გადაიქცნენ, დარჩენილიყო. დარჩა სტომატოლოგიურიც, რომელშიაც კატია მუშაობდა.

კანცელარიაში გამგზავნეს და მოხუცმა მემანქანე ქალმა, რომელმაც რაღაცით დეიდა დაშა მომაგონა, მითხრა, კატია ძალიან ცუდად იყო და ექიმი ტროფიმოვა დაეხმარა ლენინგრადიდან გამგზავრებაშიო.

— სად გაგზავნეს?

— ეგ კი არ ვიცი.

— თვითონ ექიმი ტროფიმოვა ლენინგრადშია?

— გაგზავნა თუ არა. თქვენი მეუღლე, თვითონ მაშინვე ფრონტზე წავიდა. — მიპასუხა მემანქანემ, — და მას შემდეგ არც ერთისა და არც მეორისაგან არავითარი ამბავი არ მოსულა.

პილროზრავ რ-თან შეხვედრა

ახლა მივხვდი, რომ ეს გულუბრყვილობა იყო. ნახევარი წელი სწერო, პასუხად არც ერთ სიტყვას არ იღებდე და მაინც იმედი გქონდეს, რომ ჩახვალ თუ არა ლენინგრადში, კატია, ხელგამოწვდილი, კარებში მოგეგებება. თითქოს არცა ყოფილა ორმოცდაერთი წლის საშინელი ზამთარი, ეშლონები მომაკვდავი ბავშვებით, საგანგებო საავადმყოფოები ლენინგრადელებისათვის კავშირის მრავალ ქალაქში. თითქოს არა ყოფილა ეს უცნაური თვალგამოღამებული სახეები. თითქოს არავის გაეგონოს ხან დასავლეთიდან, ხან აღმოსავლეთიდან საარტილერიო სროლის გუგუნე.

ამაზე ვფიქრობდი, როდესაც სტომატოლოგიური კლინიკის კანცელარიაში ვიჯექი და ვისმენდი მემანქანის ლაპარაკს, თუ ახალგაზრდა წითელფლოტელი, რომელიც, როგორც ვაშლი გასქრა, ისე ჰგავდა მის დაღუპულ შვილს, უეცრად როგორ მოვიდა და სამასი გრამი პური მოუტანა, როდესაც მას ლოგინიდან წამოდგომის თავიც აღარა ჰქონდა.

— კატერინა ივანოვნა გამოჩნდება. — მითხრა მან. — სიზმარი ნახა, რომ არწივი მოფრინავდა. მე ვუთხარი ქმარია-მეთქი. არ დაიჯერა. და აი, ხედავთ, ისე ახდა, როგორც მე ვუთხარი. ახლა თქვენ გეუბნებით, ის გამოჩნდება!

ღიას, შეიძლება. „კვდებოდა იმ დროს, როდესაც მე, სიმართლე რომ ვთქვათ, მშვენიერად ვცხოვრობდი მ-ში“, — ვფიქრობდი მე და გამოთაყვანებული ვუყურებდი მოხუც ქალს, რომელიც ისევ მარწმუნებდა, კატია გამოჩნდება, კატია დაბრუნდებაო. „მე მივლიდნენ, მკურნალობდნენ, მას კი ასი გრამი პური ენატრებოდა, რომ ბიჭებისთვის მიეცა, რომელთაც ბერტა დამარხეს“. და გაშმაგებული, სასოწარკვეთილებით ვფიქრობდი, რომ ჯერ კიდევ იანვარშივე უნდა წამოვსულიყავი ლენინგრადში, არ უნდა მოვშვებოდი, მომეთხოვა ჰოსპიტლიდან გამოვეწერე. ვინ იცის, იქნებ ამაზე უფრო ჯანმრთელი გამოვსულიყავი, იქნებ მეპოვა კიდევ, გადამერჩინა ჩემი კატია.

მაგრამ გვიანდაა სინანული იმაზე, რასაც ვერასოდეს ვეღარ დაბრუნებ. „მეც ისე ვარ, როგორც ყველანი“, — მწერდა კატია ლენინ-

გრადიდან. მხოლოდ ახლა მივხვდი, რის თქმა უნდოდა ამ უბრალო სიტყვებით.

მოხუცი ქალი, რომელსაც ალბათ ბევრად ჩემზე მეტის გადატანა მოუხდა, ისევ მანუგეშებდა. აღუღებული წყალი ვთხოვე და ქონითა და ხახვით გავუმასპინძლდი, რაც ჯერ კიდევ იშვიათი რამ იყო ლენინგრადში.

ამ წუთიდან თითქოს ყინვამ დაისადგურა ჩემს გულში. ყველაფერს, რაც არ უნდა მეკეთებინა, რაზედაც არ უნდა მეფიქრა, ყოველთვის ერთვოდა: „მერე კატია?“

...ჯერ ისევ მ-ში აღვადგინე მეხსიერებაში თითქმის ყველა ტელეფონი ჩემი ლენინგრადელი ნაცნობებისა. მაგრამ ვისაც არ დავურეკე კლინიკიდან, არაფერს მაძლევდა პასუხს, თითქოს ეს დარეკვა სადღაც ლენინგრადის იღუმალ სიცარიელეში იკარგებოდა. ბოლოს ავკრიფე უკანასკნელი ნომერი — ერთადერთი, რომელშიაც არ ვიყავი დარწმუნებული. დიდხანს მეკვირა ყურმილი და მესმოდა სადღაც შორს ფაჩიფუჩი და უფრო შორს მოუთმენელი ხმები.

— ალო, გისმენთ, — მოულოდნელად გაისმა მამაკაცის დაბალი ხმა.

— იქნება სთხოვოთ...

და გვარი ვუთხარი.

— მე გახლავართ.

— თქვენ გელაპარაკებათ მფრინავი გრიგორიევი.

სიჩუმეა.

— შეუძლებელია, ალექსანდრ ივანიჩი ბრძანდებით?

— დიახ.

— მოდი და ბედს ნუ იწამებ! მესამე დღეა, რაც სულ იმას ვფიქრობ, სად გიპოვოთ, ძვირფასო ალექსანდრ ივანიჩ!

ასე, ექვსი წლის წინათ, როდესაც კაპიტანი ტატარინოვის ძიების ექსპედიციის გამგზავრება გადაწყდა და მე მის ორგანიზაციას ვაწესრიგებდი ლენინგრადში, პროფესორმა ვ-მ ერთი მეზღვაური კამანო, სწავლული — ჰიდროგრაფი, ფრუნზეს სახელობის სასწავლებლის მასწავლებელი.

ჩვენ მხოლოდ ერთი საღამო გავატარეთ ერთად, მაგრამ მერე ხშირად ვიგონებდი ამ ადამიანს, რომელმაც არაჩვეულებრივად ნათლად დამიხატა მომავალი მსოფლიო ომის სურათი.

ის მაშინ გვიან მოვიდა. კატია ფეხებაკეცილი იწვა სავარძელში და უკვე ეძინა. მინდოდა, კატია გამეღვიძებინა, მაგრამ მან არ დამანება და ჩვენ რაღაც სასმელის სმა დავიწყეთ და თან ზეთისხილს ვატანდით. კატიას ყოველთვის ჰქონდა მომარაგებული ზეთისხილი.

ჩრდილოეთი დიდად იპყრობდა ამ კაცის ყურადღებას. დარწმუნებული იყო, რომ მომავალ ომში ჩრდილოეთს მისი დაუსრეტელი სტრატეგიული ნედლეულით უდიდესი როლი უნდა ეთამაშა. ჩრდილოეთის საზღვაო გზას ის უყურებდა, როგორც სამხედრო გზას და ამტკიცებდა, რომ რუსეთ-იაპონიის კომპანიის ბედუქულმართობა შედეგი იყო იმისა, რომ ჯერ კიდევ მენდელეევის მიერ გამოთქმული აზრი ვერ გაიგეს. ის მოითხოვდა, რომ სამხედრო ბაზები აგებულიყო მთელი მარშრუტების გაყოლებით, რომელზედაც ქარავენები მიდიან.

მაქსოვს, მაშინ განმაცვიფრა ამ თვალსაზრისმა. მე კვლავ შევაფასე იგი 1942 წლის 14 ივნისს, რამდენიმე დღის წინ ლენინგრადში წასვლამდე, როდესაც კამის ნაპირზე ვიჯექი და გავიგონე დიქტორის შორეული ხმა, რომელიც სადღესასწაულო გამოთქმით კითხულობდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას. ძნელი არ იყო მიხვედრა, რა გზებზე იყო ლაპარაკი ამ ხელშეკრულებაში, და მომაგონდა შეხვედრა „ღამის სტუმართან“, როგორც მერე უწოდებდა კატია ამ ჰიდროგრაფს.

1936 — 1944 წლებში ხშირად შევხვედრივარ მას, წაკითხული მქონდა მისი წერილები და წიგნი „საბჭოთა არქტიკის ზღვები“, რომელმაც სახელი მოიხვეჭა და ყველა ევროპულ ენებზე ითარგმნა. უცვლელი სიმპათიით ვადევნებდი თვალყურს მის ბედს, როგორც, მგონი, თვითონ ის თვალყურს ადევნებდა ჩემსას. მე ვიცოდი, რომ ის წავიდა ფრუნზეს სასწავლებლიდან, იყო ჰიდროგრაფიული გემის უფროსად, მუშაობდა სამხედრო საზღვაო ფლოტის სახკომისარიატის ჰიდროგრაფიულ სამმართველოში. ცოტა ხნით ადრე ომის დაწყებამდე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. განცხადება ამის შესახებ „ვეჩერნაია მოსკვაში“ წაეკითხე. მე მას უწოდებ რ-ს.

...ეს უიშვიათესი შემთხვევა იყო. „ერთხელ საუკუნეში“ შეიძლებოდა მომხდარიყო — როგორც თქვა რ-მა, რომ მე ის სახლში დამხვდა. ბინა დაბეჭდილი იყო. ბინა გაეღო და ორი წუთის წინ შესულიყო, ვიდრე მე დაუურეკავდი და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხნით მიდიოდა ლენინგრადიდან.

— საით მიემგზავრებით?

— შორს. შემოიარეთ და გაამბობთ. ბინად სადა ხართ გაჩერებული?

— ჯერჯერობით არსად.

— ძალიან კარგი, გელით.

ლიტეინის ხილთან ცხოვრობდა, ახალ სახლში, რა თქმა უნდა, ომის დროს მთელი ერთი წელიწადი, უპატრონოდ მიტოვებულ დიდ ბინაში, მაგრამ, სადაც პოეტური სული ტრიალებდა, თითქოს ეს ხელოვანის ბინა იყო. შესაძლებელია მხატვრულად შეკერილმა ტიკინებმა, პიანინოზე მინის ხუფებქვეშ, მათიქრებიანეს ეს. ან იატაკზე და თაროებზე დაწყობილმა მრავალმა წიგნმა ან თვით მასპინძელმა. რომელიც უბრალოდ, პერანგში დამხვდა, გაღელილი პერანგიდან მსუქანი ბანჯგვლიანი მკერდი უჩანდა. სადღაც მინახავს შევჩენკოს ასეთი სურათი. მაგრამ რ. იყო არა პოეტი, არამედ კონტრ-ადმირალი, რაში დარწმუნებაც ძნელი არ იყო, მის სავარძლის ზურგზე გადაკიდულ კიტელს რომ შეხედავდით.

სადაც და როცა არ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, პირს გააღებდა თუ არა, იწყებდა ამბავს იმის შესახებ, რაც ახლა მისთვის ყველაზე მთავარი იყო. ექვს გარეშეა იმიტომ, რომ ჩვენი ინტერესი ერთმანეთის მიმართ ყოველთვის ემყარებოდა „ყველაზე მთავარს“ და არ ეხებოდა პირად ან სამსახურებრივ საქმეებს.

მაგრამ ამჯერად, უპირველესად ყოვლისა, გამომოკითხა, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი ომის წლებში.

— დიახ, ბედმა არ გაგიღიმათ, — თქვა მან, როდესაც ჩემ ბედუკულმართობაზე ვუამბე, — მაგრამ საქმე გამოსწორდება. რა არის, რომ ხან ბალტიკაში ხართ, ხან შავი ზღვის ფლოტში? ჩრდილოეთს უღალატეთ? მე კი მეგონა, რომ თქვენ ჩრდილოეთის ერთგული იყავით სამუდამოდ.

მეტად ძნელი იყო მეამბნა მისთვის, როგორ „უღალატე“ ჩრდილოეთს და მხოლოდ ის ვუთხარი, რომ სამოქალაქო ავიაციიდან მაშინ წავედი, როდესაც ჩრდილოეთში დაბრუნების იმედი დავკარგე.

რ. გაჩუმდა. არ ვიცი, რაზე ფიქრობდა, როდესაც შავ. ცოცხალ თვალებსა კუტავდა და თავის გაქალარავებულ და გათხელებულ ყაზახურ ქოჩორს იწვალებდა. მთელ ბინაში შუშები იყო ჩამტყრეული და ჩვენ სავარძლებში ვისხედით, რა თქმა უნდა, შუშებჩამტყრეულ ფანჯარასთან. ფანჯრიდან ლიტეინი ხიდი მოჩანდა, ხიდს უკან უცნაურად შეღებილი გემები, რომ ვერ გაგერჩიათ, სად თავდებოდა

სახლი სანაპიროზე და სად იწყებოდა გემი. ჰაჭანება არ იყო ქუჩებში, „როგორც დილის ხუთ საათზე“, — გავიფიქრე მე და მომავონდა: კატიამ ერთხელ მითხრა, ჩემ მხრივ შეცდომა იყო, ლენინგრადში რომ არ დავიბადეო.

მე ფიქრებში წავედი და უეცრად შევხტი, როდესაც რ. შემეხმაურა.

— იცით, რას გეტყვით, დაწეკით, თქვენ დალლილი ხართ, ხეალ მოვილაპარაკოთ.

ვიუარე, მაგრამ ჩემს უარს ყური არ ათხოვა, ბალიში მოიტანა, სავარძლიდან მუთაქები აიღო და დამაწვინა. მაშინვე დამეძინა, თითქოს ვილაც ფეხაკრეფით მოვიდა ჩემთან და, ბევრი არ უფიქრია, ყველაფერს, რაც ამ დღეს მოხდა, მუქი, სქელი საბანი გადააფარა.

ძალიან ადრე იყო, — ალბათ ოთხი საათი იქნებოდა, — როდესაც თვალები გავახილე. მაგრამ რ-ს უკვე ელვიდა — წიგნის თაროებს ძველ გაზეთებს აფარებდა, და რატომღაც ნაღვლიანად გავიფიქრე, დღეს მიდის-მეთქი. რ. მომიჯდა, ნება არ მომცა ავმდგარიყავი და დაიწყო ლაპარაკი, ექვს გარეშეა სწორედ ეს იყო ის „ყველაზე ჯნიშვნელოვანი“, რის შესახებაც გუშინვე მეტყოდა, მე რომ ისე გატანჯული არა ვყოფილიყავი.

... ახლა ყოველ მოსწავლეს საერთო წარმოდგენა მაინცა აქვს, რა ხდებოდა 1942 წლის ზაფხულში ინგლისიდან და ამერიკიდან საბჭოთა კავშირში მომავალ დიდ საზღვაო გზაზე. მაგრამ ის, რასაც რ. მიამბობდა, სწორედ 1942 წლის ზაფხულში, ახალი ამბავი იყო ჩემთვისაც კი, თუმცა მე მუდამ მაინტერესებდა ჩრდილოეთი და ერთ წერილს არ ვუშვებდი გაზეთების ფურცლებზე ჩრდილოეთ ფლოტის ავიაციის მოქმედების შესახებ.

მან რუკები გაშალა, რომელიც დართული ჰქონდა ერთ-ერთ მის წიგნს, და უცბად ვერ იპოვა ის, რომელზედაც შეეძლო ეჩვენებინა საომარი მოქმედების საზღვრები, ასეთი იყო, მისი სიტყვით, ეს უზარმაზარი ასპარეზი, სადაც მოქმედებდნენ ჩვენი საჰაერო და საზღვაო ძალები. ძალიან მოკლედ, მაგრამ უფრო დაწვრილებით, ვიდრე მე შემდეგში ვკითხულობდი სპეციალურ სტატიებშიც კი, დამიხატა დიდი ომის სურათი, რომელიც ბარენცის ზღვაში სწარმოებდა, გატაცებით ვუსმენდი წყალქვეშა ნავ „მალიუტკას“ გაბედული ლაშქრობის ამბავს პეტსამოს ნავსადგურში, ესე იგი მტრის მთავარ საზღვაო ბაზაში; საფონოვის შესახებ, რომელმაც ზღვაზე ოცდახუთი თვითმფრინავი ჩამოაგდო; მფრინავების მუშაობის შესა-

ხებ, რომელნიც უტევდნენ ტრანსპორტს თოვლის საფარის ქვეშ. მე ჯერ არ დაწვიწყებოდა, რა იყო თოვლის ყუმბარა, ვესმენდი მას და პირველად ჩემს ცხოვრებაში გულს მიღრღნიდა იმის შეგნება, რომ მიზანს ვერ მივაღწიე. ეს ჩემი ჩრდილოეთი იყო, რაზედაც რ. მიაპ-ბობდა.

მისგან გავიგე პირველად, რა არის „ბაღრაგი“. მან მიჩვენა შესაძ-ლებელი „რანდევეს წერტილები“, ესე იგი საიდუმლოდ შეთანხმე-ბული პუნქტები, სადაც ხედებიან ინგლისური და ამერიკული გემები და ამიხსნა, როგორ ხდება მათი გადაცემა ჩვენი ბაირალის დაცვის ქვეშ.

— აი, სად მიდიან ისინი, — თქვა და მიჩვენა, რა თქმა უნდა, ზოგადად, გზა, რომელზედაც 1942 წელს მიღებული არ იყო ბევრი ლაპარაკი. — კოლონა ასი-ორასი გემის შემადგენლობით. თქვენ ხომ ხედებით, განსაკუთრებით რომელ ადგილზე უჭირთ მათ? — და ვა-რაუდით მიჩვენა ეს ადგილი—მაგრამ თავი დავანებოთ დასავლეთის გზას, მით უფრო, რომ აქ (მიჩვენა სად) ზედმიწევნით გონიერი ადა-მიანები სხედან. ვილაპარაკოთ სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანზე... კარები, რომლის დაკეტვასაც ისწრაფვიან გერმანელები, — ცოცხ-ლად თქვა და ხელისგული დაადო განოასავლელს ბარენცის ზღვიდან კარის ზღვაში, — რადგანაც მათ მშვენივრად ესმით თუნდაც №-ის მალაროების მნიშვნელობა საავიაციო-სამოტორო მშენებლობისათ-ვის. მაგრამ, რასაკვირველია, ჩრდილოეთ საზღვაო გზის სატრანზიტო მნიშვნელობაც არ ეპიტნავენათ, მით უმეტეს, რომ ამ წლის გა-ზაფხულზე მათ უკვე იმედი მიეცათ...

მან არ დაასრულა, მაგრამ მიუხედავად. შემთხვევით ვიცოდი, რომ გაზაფხულზე გერმანელებმა მოახერხეს სერიოზულად დაეზიანები-ნათ ნავსადგური, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლე-თის გზისათვის.

— მამ წარმოიდგინეთ, სადამდის მივიდა ომი, — განაგრძობდა რ-ი, — თუ არც ისე დიდი ხანია, რაც ახალ მიწასთან გერმანელების წყალქვეშა ნავმა ჩვენს თვითმფრინავებს სროლა აუტეხა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. დღეს მოსკოვში მივფრინავ თვითმფრინავით, რომე-ლიც ჩრდილოეთ ფლოტის სამხედრო საბჭომ გამომიგზავნა. მფრი-ნავმა მაიორმა კარიაკინმა მიამბო, რომ მან ორი კვირა სდია გერმა-ნელების რეიდერს. — როგორა გგონიათ სად? რაიონში.

და მან დაასახელა ეს განაპირა რაიონი.

— მოკლედ რომ მოვექრათ, ომი უკვე ისეთ ადვილებში მიმდინარეობს, სადაც წინათ მხოლოდ ჰიდროგრაფები და თეთრი დათვები თუ მომთაბარეობდნენ. ისე რომ, იძულებული გახდნენ, მეც მოვკონებოდი, — თქვა რ-მა და გაეცინა. — და არა მარტო მომიგონეს, არამედ... — მისმა სახემ კეთილი და მხიარული გამომეტყველება მიიღო, — აიღეს და ერთი საინტერესოზე საინტერესო და მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანი საქმეც დამავალეს. რა თქმა უნდა, მე არ შემიძლია გიამბოთ ამის შესახებ იმიტომ, რომ სწორედ ეს არის სამხედრო საიდუმლო. გეტყვიტ მხოლოდ, რომ, უწინარეს ყოვლისა. თქვენზე გავიფიქრე. რასაკვირველია, სასწაულია, რომ თქვენ დარეკეთ, ალექსანდრ ივანიჩ, — სერიოზულად და დიდი ამბითაც კი მითხრა მან, — წინადადებას გაძლევთ, ჩემთან ერთად გამოფრინდეთ ჩრდილოეთში.

### თავი მეთექვსმეტი

### ბადაწყვეტილება

ის წავიდა და მე მარტო დავრჩი ცარიელ, თითქოს უპატროხო ბინაში, როგორც ზაფხულშია ხოლმე. სამივე დიდი ოთახი ჩემს განკარგულებაში იყო და მე შემეძლო წინ და უკან მევლო და მეფიქრა, მეფიქრა, რამდენიც მსურდა. თხუთმეტ საათზე რ. დაბრუნდებოდა და მე მისთვის ერთი მოკლე სიტყვა უნდა მეთქვა:

— ჰო.

ან მეორე, ცოტა უფრო გრძელი:

— არა.

და ისეთი შორეული, მძიმე გზა გაიქიმა ამ ორი სიტყვის შორის, რომ მე დაუსრულებლად მივდიოდი ამ გზით, ვისვენებდი, კვლავ მივდიოდი და ჯერ არსად სჩანდა არც დასასრული, არც ბოლო.

გერმანელები ესროდნენ რაიონს, პირველი გამიზნული შრაპნელი უკვე დიდი ხანია გასკდა, კვამლის ღრუბელი კი, რომელიც ნელ-ნელა იშლებოდა, ჯერ ისევ იდგა ლიტეინი ხიდის ზემოდან. ჭურვების სკდომის ხმა, წინათ შორეული, უეცრად მოახლოვდა მარჯვნიდან მარცხნივ და კვარტალებზე უხეში ნაბიჯებით პირდაპირ ამ სახლისკენ, ამ დაცარიელებული ოთახებისკენ წამოვიდა, სადაც მე ბოლთასა ვცემდი „ჰო“-სა და „არა“-ს შუა, რომელნიც ისე უსაზღვროდ შორს იყვნენ ერთმეორისაგან.

... ალბათ ეს ბავშვების ოთახი იყო. შავი, ცალთვალა დათუნია კარადაზე იჯდა და სევდიანად ჩაექინდრა თავი, „როლერი“ კლთხეში ეგდო. დაბალ მრგვალ მაგიდაზე ეწყო რაღაც კოლექციები, სათამაშოები და მე წარმომიდგა პატარა რ. ისიც ენერგიული, ფიცი, თან თავშეკავებული, სასაცილო ყაზახური ქოჩრით, პირმრგვალი. ამ ოთახში მე ვისვენებდი „პო“ და „არა“-საგან, აქ სახლზედაც კი შეიძლებოდა ფიქრი, რომელშიაც ოდესღაც ოჯახის მოწყობას ვაპირებდით მე და კატია, ლენინგრადში. და სადაც სახლია, იქ ბავშვებიც არიან.

სულ უფრო ახლო სკდებოდა ქურეები. აი, ერთი, აქვე, გვერდით დაეცა. კარები გაიღო, სადღაც წკრიალ-ზრიალით შუშები ჩამოიშხვრა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვილაცის ნაბიჯები გაისმა ქუჩაში. ფანჯარაში გავიხედე და ორი ბიჭი დავინახე, როგორც მე მომეჩვენა, სახეშეშლილები მობრბოდნენ სახლისკენ. აი, ისინი ერთმანეთს გაუსწორდნენ. პირველმა ბექებში ხელი დაარტყა მეორეს და ხარხარით გაბრუნდა უკან. ისინი თამაშობდნენ.

რ. თხუთმეტ საათზე დაბრუნდება და მე ვეტყვი მას:

— პო.

თითქოს არცა ყოფილა ნახევარი წლის გულსგამაწვრილებელი უსაქმობა — გულსგამაწვრილებელი და სამარცხვინო ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ომის დროს! მე ჩრდილოეთში წავალ. რაც უფრო შორს იყო ჩემგან ამ წლებში ჩრდილოეთი, მით უფრო მახლობელი და მიმზიდველი ხდებოდა იგი ჩემთვის. განა არ ვიბრძოდი, როგორც შემეძლო, დასავლეთსა და სამხრეთში? მაგრამ მე იქ უხდა ვიყო, ჩრდილოეთში, ვიცავდე ადგილებს, რომლებიც ახლობელი იყო ჩემთვის და მიყვარდა.

უეცრად ვჩერდებოდი და ვეუბნებოდი ჩემს თავს:

— კატია!

წავიდე და დავტოვო იგი? წავიდე შორს, დიდი ხნით? არ შევეცადლო პეტია მოვნახო, რომელსაც, ვინ იცის, მხოლოდ სავლელ ფოსტის ნომერი გამოეცვალა? არ განვაგრძო ძიება აქ, ლენინგრადსა და ლენინგრადის ფრონტზე? სადაც არ უნდა იყოს ევაკუირებული კატია, რა გარემოებაც არ უნდა ყოფილიყო, გულით და სულით ენდობებოდა ნინა კაპიტონოვნასა და პატარა პეტიასთან ყოფილიყო. დავჯარგო ეს კვალი, სუსტი, ოდნავ შესამჩნევი, მაგრამ ისეთი, რომელმაც, შესაძლებელია, წამიყვანოს იქით, სადაც იგი ცხოვრობს და იტანჯება, რადგანაც წყვეული გაზეთის შენიშვნას არ შეეძლო არ მიეღწია კატიაშის?

გადაწყვეტილია! კიდევ რამდენიმე დღე დაერჩები ლენინგრადში, ვიპოვი კატიას და მაშინ წავალ ჩრდილოეთში.

რ. თხუთმეტ საათზე დაბრუნდა. მე ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილება. მან მომისმინა და მითხრა, თქვენი რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდით.

— მაგრამ საქირთა, მოსკოვში ერთად ჩავიდეთ. მე გაგაფორმებთ სამმართველოში, მერე კი სლესუშკინი გაგიშვებთ ორი კვირით ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად. სათქმელად ადვილია — ცოლი! მერე რა ცოლი! მე ხომ მახსოვს ეკატერინა ივანოვნა. ის ჭკვიანია, კეთილი და, საერთოდ, საოცრად მშვენიერი.

არ ვიამბობთ იმას, როგორ დავბრუნდი მეორე დღეს პეტროგრადის ქუჩაზე და კვლავ დავიარე № 79 სახლის მრავალი მობინადრე; არც იმას, თუ როგორ ვცდილობდი გამეგო სამხატვრო აკადემიაში, სად იყო პეტია და მხოლოდ ის გავიგე, რომ იგი დაექრათ და იწვა განმანაწილებელ ჰოსპიტალში, ვასილევის კუნძულზე. მოქანდაკე კოსტოჩკინი დადიოდა სანახავად. მაგრამ ეს მოქანდაკე შიმშილისაგან ზომკვდარიყო, პეტია კი, როგორც ამბობდნენ, დაბრუნებულყო ფრონტზე; არც იმას. თუ როგორ გამოვარკვიე, რატომ არ აღწევდა ჩემი წერილები მხატვართა ფონდის საბავშვო ბანაკამდე, რომელიც კვლავ იყო ევაკუირებული ნოვოსიბირსკის ახლოს; არც იმას ვიამბობთ, როგორ წამომყვა ექიმი ოვანესიანი რაისაბჭოში და როგორ უყვირა ვიღაც გულგრილ მსუქან კაცს, რომელმაც უარი თქვა კატიას შესახებ ცნობების მონახვაზე.

ეშელონები იანვარში იაროსლავლისკენ მიდიოდნენ, სადაც სპეციალური საავადმყოფოები იყო მოწყობილი ლენინგრადელებისათვის. ეს იყო ერთადერთი უდაო ფაქტი. რომლის დადგენაც მოვახერხე, და ყველა ლენინგრადელის აზრით, ვინაც კი ველაპარაკე. კატია იაროსლავლში უნდა მექებნა.

ორმა გარემოებამ დამარწმუნა იმაში, რომ ეს სწორედ ასეა. ჯერ ერთი, მხატვართა ფონდის ბანაკი მეორე ევაკუაციამდე იაროსლავლის ოლქში იმყოფებოდა, სოფელ კნილოი იარში. მეორეც ის, რომ ლუკერია ილინიშნამ — ასე ერქვა სტომატოლოგიური კლინიკის მემანქანეს — უეცრად გამომიცხადა, მომაგონდა: ექიმმა ტროფიმოვამ კატია სწორედ იაროსლავლში გაგზავნაო.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა გულმოსულმა, — შეიძლება კი ასეთ საქმეში ტყუილის თქმა? დამავიწყდა, იმიტომ რომ მეხსიერე-

ბა მლაატობს, ეს უშაქრობის ბრალია, რომელსაც თვალთაც ვერა ვხედავ. მაგრამ მაინც მომაგონდა! და მე გეუბნებით, კატია იაროს-ლაკლში იქნება.

რ-ის თვითმფრინავი შუალამისას უნდა გაფრენილიყო. მე დაეუ-რეკე და, სტარტს ათი წუთი აკლდა, რომ მივედი.

## თავი მეჩვიდმეტი

### მეგობრები, რომლებიც უინ არ დამიხვდნენ

მოსკოვის რუკაზე რომ მოვხაზო გზა, რომელიც ორიოდ საათში გავიარე, თვითმფრინავიდან მატარებლამდე, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ მე განგებ გავაკეთე ყველაფერი, რათა არ შევხვედროდი იმათ, ვისი ნახვაც დიდი ხანია სულითა და გულით მეწადა. მე ვთქვი, „სულითა და გულით“—მეთქი, და სწორედ ასეც იყო, თუმცა ზოგის ნახვა ერთი მიზეზის გამო მინდოდა, ზოგისა სულ სხვა მიზეზების გამო. ერთნიც და მეორენიც მოსკოვში იყვნენ. შესაძლოა, თუ რუკას კვლავ შევხედავთ, მათმა გზამ ამ დღეს ჩემ გზას გვერდით გაუ-არა, ან გადასჭრა ორი წუთით გვიან, ან მეორე ქუჩის შესახვევში შეხვდა ერთმანეთს, შენობათა ვიწრო ზოლის უკან. ასეა თუ ისე, ბედმა მიმტყუნა და გარდა ერთისა, მე ვერ შევხვდი ვერც ერთსა და ვერც მეორეს.

აეროდრომიდან პირდაპირ სადოვოიზე წავედი, ვოროტნიკოვსკის შესახვევში, კორაბლიოვთან. — კიდეც კარგი, რომ მთელი ჩემი ბარგი ერთი პატარა ჩემოდანი იყო.

...მაღალ დაშენებულ სახლებს შორის ჩაკარგული ძველი ხის შენობა გადაბრეცილიყო და თავისი დარაბებითა და განიერი აივნით აგარაკსა ჰგავდა. ქვედა სართულის ნახევარი უწინდებურად მარტივან პავლიჩს აღარ ექირა და, თუმცა პირველი შეხედვით უჩვეულოდ დაცარიელებული მომეჩვენა მოსკოვი, ამ პატარა სახლში მაინც თითქმის ყოველი ფანჯრიდან ვილაცას გამოეყო თავი. ქალები აივანზე ქსოვდნენ და მისვლა ვერ მოვასწარი, რომ, სულ ცოტა, ათმა წყვილმა თვალმა ცნობისმოყვარეობით შემომხედა და ჩემი თავი ენსკში მეგონა ჩვენს ეზოში.

— ვინა გნებათ?

— კორაბლიოვი.

— აჰ, ივან პავლიჩი? დერეფანში მეორე კარები, მარცხნივ.

— ვიცი, — ეუთხარი, აივანზე რომ ავლიოდი, — მაგრამ შინ არის?

— დაუკაუნეთ, მგონი შინ არის.

უკანასკნელად ომის წინ ვნახე ივან პავლიჩი. წინასწარ არ გაგვიფრთხილებია, მე და კატია უეტრად ვეწვეთ ტორტით და ფრანგული ღვინით. ის დიდხანს იპარსავდა პირს და მეორე ოთახიდან გველაპარაკებოდა, ჩვენ კი სკოლის ძველ სურათებს ვათვალიერებდით.

ბოლოს ივან პავლიჩი გამოვიდა — ახალი კოსტიუმში ეცვა, გახამებული საყელო ეკეთა, უღვაშები ახალგაზრდულად ჰქონდა აწყობილი. ახლაც ბნელ დერეფანში მე ვხედავდი მას სწორედ ისეთს, როგორც იმ მშვენიერ, დაუვიწყარ საღამოს იყო. ახლა ის გამოვა და, შემომხედავს თუ არა, მიცნობს:

„მართლა შენა ხარ, სანია?“

მაგრამ ორჯერ და სამჯერაც დავაკაუნე ნაცნობ, ქეჩაგაკრულ კარებზე. სიჩუმეა. ივან პავლიჩი შინ არ იყო.

„ძვირფასო ივან პავლიჩი! — ვწერდი მოშორებით გაჩერებულნი; იმიტომ რომ ქალები მიყურებდნენ და არ მინდოდა, შეემჩნიათ, რომ ვლელავდი, — არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა კვლავ შემოვიარო თქვენთან. დღეს მივდივარ იაროსლავლში, სადაც ჯერ იანვარშივე იყო ევაკუირებული კატია. შესაძლოა, იქიდან წავიდე უფრო შორს, — ვიდრე არ ვიპოვნი. არ შემიძლია ამ ბარათში აგიხსნათ, რა შემემთხვა და როგორ დავკარგეთ მე და კატია ამ ერთმანეთი. თუ თქვენ რამე იცით კატიასი, ან ვალიამ, რომლის ნახვის იმედიც მაქვს დღეს, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მომწეროთ შემდეგი მისამართით: პოლიარნოე, პოლიტსამმართველო, კონტრადმირალ რ-ს, ჩემთვის, ძვირფასო ივან პავლიჩ, შეიძლება ცნობამ ჩემი სიკვდილის შესახებ თქვენამდისაც მოაღწია, მაგრამ ამას გწერთ სწორედ მე, თქვენი სანია“.

ერთდროულად ათი ხელი გამომიწოდეს ამ წერილის გამოსართმევად...

მეტროთი, რომელიც მგონი უწინდელზე უფრო ლამაზი და უფრო დარბაისლური მეჩენა, საბჭოების სასახლემდე მივედი. ასე გეგონებოდათ, ომი უკვე დიდი ხანია დამთავრდაო, ისეთნაირად ისხდნენ გოგოლის ბულვარზე, თავიანთ ბებრულ მსხვილ ჯოხებზე დაყრდნობილი მოხუცები. ბავშვები თამაშობდნენ და ამ წუთს, შეპყრობილმა ჩემი დარდით და მღელვარებით, პირველად ვიგრძენი, რომ ეს მოსკოვია, მოსკოვი.

ვლიას კარებზე სპილენძის ფირფიტა იყო მიკრული — „პროფესორი ვალენტინ ნიკოლაევიჩ ეუკოვი“. ოჰო? პროფესორი! დავრეკე, დავაკაუნე. მერე კარებს წიხლი ვკარი...

გასაკვირველი არაფერი იყო, რომ 1942 წლის ზაფხულში, როდესაც თითქმის ყველა მოსკოველი თავის მუშაობის ადგილზე ცხოვრობდა, სამუშაო საათებში, და ისიც დღისით, პროფესორი ეუკოვი შინ არ დამისვდა. მაგრამ ვალკა, ჩემი ვალკა, სადაც დაეხეტებოდა იმ დროს, როდესაც მე ასე მწარედ მპირდებოდა მისი თავი. ამან ამაღელვა. კვლავ ვკარი კარს ფეხი. კარებში რაღაცამ შესაბრაღისად დაიპრიალა. სახელური მოვწიე და კარი გაიღო.

რასაკვირველია, ბინა ცარიელი იყო და პატარა იმედი, რომ ვალკას შეიძლება სძინავს-მეთქი, გაჰქრა, შევედი თუ არა. მე გავედი „საერთოდ სამზარეულოში“, რომელიც ოდესღაც ერთდროულად სასაღდილოც იყო და ბავშვების ოთახიც. ძალიან საკვირველია, მაგრამ „საერთოდ სამზარეულო“ მიღაგებული იყო! მაგიდას სუფრა ეფარა, თაროებიდან თეთრი კუწუბებიანი ქაღალდი ჩამოშვებულ იყო. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ქალის ხელი მოხვედროდა ამ სუფთად ჩამოგვილ კედლებს, ფანჯრებს, რომლებზედაც ნორჩი „შროშანები“ და იები იდგა. ვალკა ყვავილებს ყიდულობს! — დიდი მზატვარი უნდა ყოფილიყავით, რომ ასეთი სურათი წარმოგედგინათ.

მე გავედი „საკუთრივ სამზარეულოში“. ვიწრო რკინის საწოლი კედელთან იდგა, საწოლის ბოლოზე გულმოდგინედ დაკეცილი ქალის კაბა იღო. კატიას ოდესღაც ჰქონდა ასეთივე ლურჯი, თეთრ კორკორებიანი კაბა. ნეტავ ქალი ვინა ცხოვრობს ვალიას „უცოლო“ ბინაში? კირა ბავშვებით ომის დასაწყისშივე წავიდა, ეს მე ჯერ კიდევ კატიას პირველი წერილებიდან ვიცოდი. „ვინ მოასწრო შენი მახეში გაბმა, ჩემო კარგო?“ და მე მომაგონდა კატიას წერილი, სადაც ის დასცინოდა კირას, რომელმაც შავ მურა მელიების ჰიბრიდების შესწავლით გატაცებული ქმარი ვიღაც „სხვადასხვაფერ თვალებიან ეენკა კოლპაკჩიზე იეჰვიანა“, ასე თუ ისე, ეენია კოლპაკჩის დრო ტყუილად არ დაუკარგავს, მერე რა, რომ თვალეები სხვადასხვა ფერისა ჰქონდა!

ასე იყო თუ ისე, ვალია შინ არ დამხვდა.

„ჩემო ძვირფასო ვალეჩკა, — მივწერე მე, — გზად იაროსლავლისაკენ, სადაც იმედი მაქვს ვიპოვო კატია, ან გავიგო მაინც მისი ამბავი, შენთან შემოვიარე და, სამწუხაროდ, შინ არ დამხვდა. უკვე ნახევარი წელია არაფერი ვიცი კატიასი. მანამ ლენინგრადში იყო, მი-

წერ-მოწერა ჰქონდა კირასთან. შეიძლება კირამ ან შენ იცით რამე-მე დაქრილი ვიყავი, მ-ში ვიწექი, წერილი მოგწერე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ბევრი რამ გადავიტანე, მაგრამ რამდენად ადვილი იქნებოდა ყველაფერი, რომ მე და კატია არა თუ შევხვდებოდით ერთმანეთს, არამედ გაგვეგო მაინც, რომ ცოცხლები ვართ. მომწერე ჩრდილოეთ ფლოტის მისამართით: პოლიარნოე პოლიტსანმართველო, კონტრადმირალ რ-ს, ჩემთვის. ეს მხოლოდ სააღბათო მისამართია, მაგრამ ჯერჯერობით სხვა არა მაქვს. იყავი კარგად, ძვირფასო მეგობარო. კარები თვითონ გაიღო. შენ ახლა მისი გატეხვა დაგჭირდება, — ეს მაინც უკეთესია, ვიდრე ბინის ღიად დატოვება. შეიძლება კიდევ მოვახერხო წასვლის წინ შემოვლა“.

ბარათი მაგიდაზე დავდე, „საერთოდ სამზარეულოში“. მერე საკეტს რაზა მოვარგე, რომ თვითონ ჩარაზულიყო, მაგრად გამოვიჯახუნე კარი და იგი ჩინებულად დაიკეტა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე მქონდა ამ რაიონში. ვალიასთან ახლოს ცხოვრობდა ადამიანი, რომლის ნახვა უსათუოდ მინდოდა და დიდად არ მენადვლებოდა, გაეხარებოდა თუ არა მასპინძელს სტუმრის მისვლა.

დიდი ხანია ვაპირებდი მის ნახვას!

პოსპიტალში, უძილოდ გატარებული ღამეები, როდესაც სული მეხუთებოდა და ებოდავდი, ამ შეხვედრაზე ვფიქრობდი. იგი ისე საჭირო იყო ჩემთვის, რომ, მგონი, არა ღირდა სიკვდილი, ვიდრე მას არა ვნახავდი.

გონებაში არა ერთხელ წარმომიდგენია ეს შეხვედრა. ხან მინდოდა გამოცხადებოდი მისი ცხოვრების ბედნიერ წუთებში, სადმე თეატრში, როდესაც ფიქრითაც კი უსაზღვროდ შორს იქნებოდა ჩემგან; ხან სადღაც სასტუმროში გასაღებით ვუკეტავდი კარს და ღიმილით ვუყურებდი. ზოგჯერ გარიყრაყის ბინდბუნდში მე ვხედავდი მას მეზობელ საწოლზე: ფეხმოკეცილი იჯდა და უცნაურად გულგრილი იყო გამოხედვა მისი გლუვი, ნახევრად დახუჭული თვალებისა.

თავი მითვრამება

ძველი ნაცნობი. კატიას კორტრეტი

ერთხელ ძაღლის მოედანზე მივდიოდით მე და კატია და კატიამ მითხრა:

— აქ ცხოვრობს რომაშოვი.

და მონაცრისფრო-მწვანე სახლზე მიჩვენა, რომელიც, მგონი, არაფრით არ განსხვავდებოდა არც მარჯვნივ და არც მარცხნივ მდგომ მეზობელ სახლებისაგან. მაგრამ მაშინაც და ახლაც რაღაც გაიძვერული მომეჩვენა ამ ბათქაშუმე მოცლილ კედლებში.

ალაყათის კარებქვეშ ახლა აღარ ეკიდა, როგორც ომამდე, მობინადრეთა სია და მე სახლმმართველობაში მომიხდა შესვლა, რომ ბინის ნომერი გამეგო.

აი, რა მოხდა სახლმმართველობაში: პასპორტების გამცემი დაბღვერილი, ძველი მოდის პენსნებიანი მანდილოსანი შეერთა და თვალები დააქუცია, რომაშოვი რომ ეკითხე. პატარა ფიცრულ ოთახში იდგნენ და ისხდნენ წინსაფრიალი ხალხი, ალბათ, მეეზოვეები. ახლა თითქოს ისინიც შეჩოჩქოლდნენ.

— დაგერეკათ, — მირჩია ქალმა, — სწორედ გუშინ ჩაუტეს ტელეფონი.

— არა, უკეთესია, ასე, უზაროდ. — ვუთხარი ღიმილით. — ეს სიურპრიზი იქნება მისთვის. საქმე ისაა, რომ მე მისი ძველი მეგობარი ვარ, და მას დაღუპული ვგონივარ.

მგონი, განსაკუთრებული არაფერი იყო ამ საუბარში, მაგრამ ქალს ნაძალადევად გაელიმა, მეზობელ ოთახიდან კი, — ისიც ფიცრული იყო, ღინჯი ნაბიჯით გამოვიდა ძალიან მშვიდი ახალგაზრდა კაცი. რომელსაც კობტა კეპი ეხურა, და ყურადღებით შემომხედა.

ისევ ქუჩაში უნდა გამოესულიყავი, — ქუჩიდან იყო სადარბაზო კარები. კარებთან შევეყოვნდი. იარაღი არა მქონდა და იქნებ საკირო იყო, რამდენიმე სიტყვა მეთქვა მილიციელისათვის, რომელიც კუთხეში იდგა. მაგრამ გადავიფიქრე: ვერსად ვერ წამივია-მეთქი.

ერთი წუთითაც არ შემპარვია ექვი, რომ ის მოსკოვში იყო; ალბათ არმიაში არ არის, და თუნდაც იყოს არმიაში, სულ ერთია, თავის ბინაში ცხოვრობს ან აგარაკზეა, დილაობით პიჟამაშია გამოკომული. ნათლად წარმომიდგა რომაშოვი პიჟამათი, აბაზანის შემდეგ, აფშეკილი სველი ჩალისფერი თმით. ეს იყო ზმანება, რომლისგანაც თვალთ დამიბნელდა. უნდა დავმშვიდებულიყავი, ესე იგი სხვა რამეზე მეფიქრა და მე მომაგონდა, რომ ჩვიდმეტ საათზე რ. პიდროგრაფიულ სამმართველოში დამელოდებოდა.

— ვინ არის?

— შეიძლება ამხანაგ რომაშოვის ნახვა?

— ერთი საათის შემდეგ შემოიარეთ.

— იქნებ ნება მომცეთ, მოეუცადო მიხაილ ვასილევჩის? — ვუთხარი ძალიან ზრდილობიანად. — მეორედ, სამწუხაროდ, ველარ შემოვივლი. მეშინია, საწყენად არ დარჩეს, რომ ვერა ვნახო.

ჯაკემა დაიჩხაკუნა, მაგრამ არ მოხსნეს, პირიქით — გაუკეთეს, რომ გამოღებულ კარებიდან დავენახე. კვლავ დაიჩხაკუნა — აი, ახლა მოხსნეს. მაგრამ კიდევ რაღაც საკეტებს სწევდნენ აქეთ-იქით, რკინა ღრქიალებდა, ჩხაკუნობდნენ გასაღებები. პერანგგაღელიღმა მოხუცებულმა კაცმა, რომელსაც კაპიმზე დამაგრებული განიერი შარვალი ეცვა, ღერეფანში შემიშვა, წაიკუზა და უნდობლად მომაჩერდა. რაღაც არისტოკრატიულად ქედმაღლური და ამასთან უბადრუკი იერი ედო ამ უგულო ცხვირკეხიან სახეს. მოჩალისფრო ქალარა ქოჩორი მელოდ შუბლზე აფშეკოდა, ტყავის გრძელი ნაკეცები ხვანჩემოდან სტალაკტიტებივით ეკიდა.

— ფონ ვიშიმირსკი ბრძანდებით? — ვკითხე მე გაკვირებულმა და საგონებელში ჩავარდნილმა. ის შეკრთა, — ესე იგი არა „ფონ“, მაგრამ სულ ერთია, ვიშიმირსკი ნიკოლაი ივანიჩი, არა?

— რაო?

— არ გახსოვართ, პატივცემულო ნიკოლაი ივანიჩ? — განვაგრძე მხიარულად. — მე ხომ ვიყავი თქვენთან.

ის აქსიტინდა.

— ჩემთან ბევრნი ყოფილან, ათასები, — პირქუშად თქვა მან. — მაგიდას ორმოცამდე კაცი შემოუსხდებოდა ხოლმე.

— თქვენ მუშაობდით მოსკოვის დრამატულ თეატრში და პრიალდილებიანი კურტკა გეცვათ. ჩემი მეგობარი გრიშა ფაბერი წითელთმიან ექიმსა თამაშობდა და ივან პავლიჩ კორაბლიოვმა მის ტუალეტში გაგვაცნო ჩვენ ერთმანეთი.

რამ გამამხიარულა ასე? მასპინძელივით ვიდექი რომაშოვის ბინაში. ერთი საათის შემდეგ ის მოვა. მე ცოტა ხანს ვისუნთქე ნახევრად გაღებული პირით. რას ვუზამ?

— არ ვიცი, არ ვიცი... რა გვარი ხართ?

— კაპიტანი გრიგორიევი გახლავართ. თქვენ ახლა აქა ცხოვრობთ? რომაშოვთან?

ვიშიმირსკიმ ექვით შემომხედა.

— მე ვცხოვრობ იქ, სადაც ჩაწერილი ვარ, — მომიჭრა მან, — და არა აქ. სახლმმართველმაც იცის, რომ მე ვცხოვრობ იქ და არა აქ.

— გასაგებია.

სათუთუნე ამოვიღე, მხიარულად დავარტყი ხელი და პაპიროსე

შევთავაზე. მან აიღო. მეორე ოთახის კარები ღია იყო. იქ ყველაფერი სუფთა, ღია და მუქი ნაცრისფერისა იყო — კედლები და ავეჯი: სავარძელი, მის წინ მრგვალი მაგიდა და ვილატის დიდი სურათიც კი ეკიდა სავარძლის ზემოდან, სადა დღეა ნაცრისფერ ჩარჩოში. „ყველაფერი შეხამებულია“, — ესეც მზიარულად გავიფიქრე.

— რომელი ივან პავლიჩი? მასწავლებელი? — უეცრად იკითხა ვიშიმირსკიმ.

— მასწავლებელი.

— ჰო, კორაბლიოვი. მშვენიერი, ჩინებული ადამიანი იყო, ვალეჩკა იმასთან სწავლობდა. ნიუტა კი არა, მან ბრეოზოვსკიას ქალთა გიმნაზია დაამთავრა. ვალეჩკა კი სწავლობდა. როგორ არა! ის ეხმარებოდა, ეხმარებოდა... — და მის ბებრულ ულვაშიან სახეზე გამოკრთა, ღმერთმა იცის, რა ჯუჯის, მაგრამ კეთილი გრძნობა.

ვითომ ახლა მოაგონდაო, მოხუცმა ოთახში შემიაპტიყა — ჩვენ ჯერ ისევე დერეფანში ვიდექით — და მკითხა კიდევ, ნამგზავრი ხომ არა ხართო.

— თუ ნამგზავრი ხართ, — მითხრა მან, — მაშინ სამხედრო სასადილოში მივლინების მოწმობით კაპიკები დაგიჯდებათ, მშვენიერი სადილია თავისი პურიტ.

ის კიდევ რაღაცას აკაკუნებდა, მაგრამ მე არ მეყურებოდა მისი ლაპარაკი. თავზარდაცემული კარებში შევედექი. კატიას პორტრეტი იყო — სავარძლის ზემოდან ღია ნაცრისფერ ჩარჩოში, — მშვენიერი სურათი, რომელსაც პირველად ვხედავდი. მთელი ტანით იყო გადაღებული, ციყვის ქურქში, რომელიც ისე უხდებოდა და სწორედ ომის დაწყების წინ შეიკერა. როგორ ცდილობდა, რომ ვილატ ცნობილ მკერავ მანესთან შეეკერა. ჩემზე ჯავრობდა, რატომ არ გესმის, რომ ქუდიც ბეწვისა უნდა მქონდეს და მუფთაცო. რას ნიშნავს ეს, ღმერთო ჩემო?

სულ ცოტა, ათმა აზრმა მაინც გამიელვა თავში ერთბაშად და მათ რიცხვში ერთმა იმდენად სულელურმა, რომ ახლა მრცხვენია კიდევ მისი გახსენება. რა არ გავიფიქრე გარდა სიმართლისა, რომელიც კიდევ უფრო სულელური გამოდგა. ვიდრე ეს სულელური აზრი!

— ნიკოლაი ივანიჩ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სულ არ მოველოდი თუ აქ შეგხვდებოდით. — ვუთხარი მე, როდესაც მოხუცმა მაცნობა, „თეატრის შემდეგ ფსიქიატრიულში მოვეწვიეო, იქაც გარდერობში და გამანთავისუფლეს, რადგანაც ვიყებმა უკანონოდ განუ-

ცხადეს მნეს, ღამლამობით წვენს იპარავს და კამსო!“ — მაშ თქვენ რომაშოვთან მუშაობთ? თუ უბრალოდ ნაცნობობას არა სწყვეტთ მასთან?

— ჰო, ნაცნობობას არა ვწყვეტავ. წინადადება მომცა, საქმეებში მივხმარებოდი და მეც დავთანხმდი. მდიენად ვმუშაობდი მიტროპოლიტ ისიდორესთან და ამას არცა ვმალავ, პირიქით, ანკეტებში ვწერ. ეს ვეებერთელა სამუშაო იყო, ვეებერთელა შრომა. მხოლოდ წერილებს დღეში ათას ხუთასს ვიღებდით. აქაც ასევეა. მაგრამ აქ მე ხათრის გულისათვის ვმუშაობ. მე ვღებულობ მუშის წიგნაკს, რადგანაც მიხაილ ვასილევეიჩმა თავის დაწესებულებაში მომაწყო და დაწესებულებაშიაც იციან, რომ მე აქა ვმუშაობ.

— განა მიხაილ ვასილევეიჩი ახლა არმიაში არ არის? ჩვენ რომ დავშორდით, მას სამხედრო ფორმა ეცვა.

— არა, არმიაში არ გახლავთ. როგორც განსაკუთრებით საჭირო პირი, თუ არ ვიცი, მას ჯავშანი აქვს ომის დამთავრებამდე.

— ეგ რაღა წერილებია, რომლებსაც თქვენ იღებთ?

— ეგ საქმეებია, მეტად მნიშვნელოვანი საქმეები, — თქვა ვიშიმირსკიმ, — მეტად მნიშვნელოვანი, იმდენად, რამდენადაც ჩვენ დავალეზები გვაქვს მოცემული. ამჟამად დავალეზული გვაქვს ვიპოვოთ ერთი ქალი, მაგრამ, მე მგონი, ეგ დავალეზა კი არა, პირადი საქმეა, ასე ვთქვათ სიყვარული.

— ვინ არის ეგ ქალი?

— იგი შვილია ისტორიული პიროვნებისა, რომელსაც მე მშვენივრად ვიცნობდი. — ამაყად თქვა ვიშიმირსკიმ. — იქნებ გაგიგონიათ ტატარინოვი? ჩვენ მის ქალს ვეძებთ და დიდი ხანია ვიპოვიდით კიდევ, მაგრამ საშინლად ჩახლართული საქმეა: ის გათხოვდა და ახლა ორი გვარი აქვს.

### თავი მეცხრამეტი

## „შენ მე არ მომკლავ“

თითქოს გაქანებით მიმავალი ცხოვრება უეცრად შეჩერდა, მოძრაობის ენერჯია ვერ გავიანგარიშე და ძალზე მივარტყი შუბლი გონებაში წარმოდგენილ კედელს. ასეთი გრძნობით ვუყუარებდი მოხუც, საერთოდ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც ჩემს წინ იდგა ნა-

თელ, აგრეთვე ჩვეულებრივ ოთახში და რომელმაც მაცნობა, რომა-  
შოვი კატიას ეძებსო, ესე იგი აკეთებდა იმასვე, რასაც მე.

მაგრამ ჩვენი საუბარი ისე გრძელდებოდა, თითქოს არაფერი მომ-  
ხდარაო. ჯერ კატიასზე ილაპარაკა, მერე ლაპარაკი ჩამოაგდო ვილაც  
ადგილკომის წევრზე, რომელსაც უფლება არა ჰქონდა, ჩემთვის  
„ყოფილი“ ეწოდებინა, რადგანაც „ორმოცდაათი წლის შრომის სტა-  
ჟი მაქვსო“, მერე კი მოგონებებს მისცა თავი და მიაბო, 1908 წელს,  
თეატრიდან რომ გამოვიდოდი, კაპელდინური ყვიროდა: „ვი-  
შიმირსკის კარეტაო!“ და მოგრიადებოდა ხოლმე კარეტა. ცილინ-  
დრითა და ლაბადით დავდიოდი. ახლა მაგისთანა ნივთებს არ ატარე-  
ბენ და „ძალიან სამწუხაროა, რადგანაც ეს ლამაზი იყო“.

— როდის მოკვდა? — იკითხა უეცრად და ძლიერ დაბლა დასწია  
თავისი სტალაქტიტები.

— ვინ?

— კორაბლიოვი.

— როგორ თუ მოკვდა? ის ცოცხალია და ჯანმრთელად არის, ნი-  
კოლაი ივანიჩი, — ვუთხარი მე ხუმრობის კილოთი იმ დროს, როდესაც  
მთელი სხეული მიკანკალებდა და ეფიჭობოდი: „ახლა ყველა-  
ფერს გაიგებ, მაგრამ ფრთხილად იყავი“. მამ თქვენ ამბობთ, ეს  
პირადი საქმეა? ქალის შესახებ?

— დიახ, პირადი, მაგრამ ძალიან სერიოზული, ძალიან. კაპიტანი  
ტატარინოვი ისტორიული პირია. მიხაილ ვასილევიჩი ლენინგრაღში  
იყო. ის გარემოცვაში იმყოფებოდა და ისე შიმშილობდა, რომ შპა-  
ლერის წებოსა სჭამდა. ძველ შპალერს ახევდა, ხარშავდა და სჭამდა.  
მერე მივლინებაში წავიდა ხორცისათვის და როდესაც დაბრუნდა,  
უკვე აღარავინ დახვდა. წაეყვანათ.

— სად წაეყვანათ? †

— აი სწორედ ეს არის საკითხი, — დიდი ამბით თქვა ვიშიმირს-  
კიმ. — თქვენ იცით, რა ხდებოდა ამ ევაკუაციის დროს? წადით ახლა  
და ეძებეთ! და რაც მთავარია, ის რომ ეშელონით წაეყვანათ, მაშინ  
მხოლოდ გამოსარკვევი იქნებოდა, ვისი ეშელონით? მაგალითად,  
მაცივარკომბინატის. სად წავიდა ეშელონი? ციმბირში? მამსადაამე,  
ის ქალი ციმბირშია. მაგრამ ის თვითმფრინავით გაგზავნეს.

— როგორ თუ თვითმფრინავით?

— დიახ სწორედ თვითმფრინავით, ალბათ როგორც პრივილეგი-  
რებული და დაიკარგა. ეძებეთ. მხოლოდ ეს გავიგეთ, რომ თვით-

მფრინავმა ხვონიაზე გაიარა, ესე იგი სწორედ იმ სადგურზე, სადაც მინაილ ვასილევინი ხორცს იღებდა.

ეტყობა, მე ალლოთი ვგრძნობდი, როდის უნდა ვყოფილიყავი ჩუმად და როდის უნდა ჩამერთო ორი, ან სამი სიტყვა. ყველაფერი რიგზე იყო. ვილაც მეზღვაურმა, ალბათ ჰოსპიტლიდან არც თუ ისე დიდი ხნის გამოსულმა, გამხდარმა და გაშავებულმა, მეგობართან შემოიარა, რომელსაც ფრონტზე დაშორდა და, აი, კითხულობს, როგორა ცხოვრობს და რას აკეთებს იგი. „ახლავე ყველაფერს გაიგებ, ოღონდ ფრთხილად იყავი“

— მერე? იპოვეთ?

— ჯერ არა, მაგრამ ჩემი პროექტით ვიპოვით. — თქვა ვიშინირსკიმ, — ბუგურუსლანში მივწერე ცნობათა ცენტრალურ ბიუროს, მაგრამ სისულელეა, რადგანაც ათი ტატარინოვი და ასი გრიგორიევი გამოგვიგზავნეს. ჩვენ კი არ ვიცით, რომელ გვარს დავაწვეთ. მაშინ მე პირადად მივმართე ყველა საგუბერნიო ქალაქის აღმასკომების თავმჯდომარეებს. დიდი შრომა გავეწიე, დიდი დავალება შეევასრულე. მაგრამ კაპიტანი ტატარინოვი ჩემი მეგობარი იყო და მისი ქალისთვის მე სამი თვე ვწერე სტანდარტული შეკითხვა — გთხოვთ თქვენს განკარგულებას, ევაკოპუნქტი, ისტორიული პირი, ველით პასუხს. და მივიღეთ...

გაისმა ზარის ხმა. ვიშინირსკიმ თქვა:

— ის არის.

სახეზე შიში გამოეხატა, თავზე აფშეკილი ქალარა ქოჩორი აუცანცარდა, უღვაშები ჩამოეჩაჩა. დერეფანში გავიდა. მე კი, ცოტა ხანს დავყოვნდი, კარების გვერდით, კედელთან დავდექი, რათა რომაშოვი რომ შემოვიდოდა, მაშინვე არ შევემჩნია.

მას შეეძლო უკან გავარდნილიყო, იმიტომ რომ ვიშინირსკიმ დერეფანშივე უოხრა:

— თქვენ გიცდიან.

მან სწრაფად იკითხა:

— ვინ მიცდის?

მოხუცმა უპასუხა:

— ვილაც გრიგორიევი.

მაგრამ ის არ გავარდნილა, თუმცა ამას მშვენივრად მოასწრებდა. — მე არა ვჩქარობდი. ის ბნელ კუთხეში იდგა ტანისამოსის კარადისა და კედლის შუა და მე რომ დამინახა, შეჰყვირა, მერე კი ბავშვებმა რომ იციან ხოლმე, ხელები ასწია და სახეზე მიიწყო მუშ-

ტები. შემოსასვლელ კარებში გასაღები იყო გარქობილი, კარი გადაკეტი და გასაღები ჯიბეში ჩავიდე. ვიშიმირსკი იღგა სადღაც ჩვენს შუა, მე მას წავეჯახე და ტიკინასავით გადავდგი. მერე რატომღაც ხელი ვკარი და ვიშიმირსკი სავარძელში ჩავარდა.

— აბა, წავიდეთ, ვილაპარაკოთ, — ეუთხარი რომაშოვს.

ის სდუმდა, ხელში კეპი ეჭირა. მერე პირში ჩაიდო და კბილებით ჩაკენიდა. კვლავ ეუთხარი:

— აბა!

მან გააფთრებით გაიქნია თავი.

— არ წამოხვალ?

მან დაიყვირა:

— არა!

მაგრამ ეს იყო სასოწარკვეთილების უკანასკნელი წუთი, რომელმაც იგი მოიცვა ჩემს დანახვაზე. ღონივრად მოვწიე მკლავი, ის გასწორდა და, როდესაც ოთახში შევედით, მხოლოდ ერთ თვალს ოდნავ აელმებდა, სახე კი უკვე სულ სხვანაირი ჰქონდა, აუღლელებელი, არაფრის გამომხატველი.

— ცოცხალი ვარ, როგორც ხედავ, — ეუთხარი ხმადაბლა.

— ჰო, ვხედავ.

ახლა შემეძლო კარგად დამეთვალეირებინა იგი. თხელი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, მკერდზე ყვითელი ბაფთი ეკეთა, — მძიმე ჰრილობის ნიშანი, იმ დროს, როცა ძალიან მსუბუქი კონტრუზია ჰქონდა. ბაფთის ქვეშ — ღილი, რომელიც სიბნელეში ანათებდა. გასუქებულიყო და, რომ ეს აფშეკილი წითელი ყურები არა, რომელთაც, მეგონი, ამ ღილზე ნაკლებ არ შეეძლოთ გაენათებინათ სიბნელეში, წარმოსადეგი ვაჟკაცი დამდგარიყო.

— რევოლვერი სად არის?

მეგონა, ტყუილებს მოჰყვებოდა, რევოლვერი დემობილიზაციის დროს ჩავაბარეო, მაგრამ რევოლვერი ჩემს სახელზე იყო, მე ის პოლკის მეთაურისაგან მივიღე. ნარვის ხიდზე ყუმბარების ჩამოყრისათვის. რევოლვერის ჩაბარების დროს რომაშოვი გასცემდა თავის თავს. აი, უსიტყვოდ რატომ გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა და რევოლვერი ამოიღო. რევოლვერი გატენილი არ იყო.

— საბუთები!

ის სდუმდა.

— შენ გეუბნები!

— დასველდა, დაიკარგა, — საჩქაროდ თქვა მან, — ლენინგრადში ყუმბაროსადაცავე წყალი შევარდა. მე უგონოდ ვიყავი. მხოლოდ ჩ-ს ფოტო შემრჩა, ფოტო კატიას გადავეცი. მე კატია გადავარჩინე.

— მართლა?

— ჰო, გადავარჩინე. იმიტომაც არ მეშინია, შენ მე არ მომკლავ.

— ვნახოთ. ყველაფერი მიაბზე, მხეცო! — ვუთხარი მე, საკინძეში ხელი ჩავავლე და მაშინვე გავუშვი, რადგანაც ყელი რბილად მომხვდა ხელში.

— არაფერი დამიშურებია, როდესაც იგი კვდებოდა. ოპ, შენ ჩემი არა გჯერა, — სასოწარკვეთილებით დაიყვირა და თან ცდილობდა, როგორმე გვერდიდან ჰომქცეოდა, რომ თვალეში შემოეხედნა. — მაგრამ დამიჯერებ, რადგანაც მე ყველაფერს გაამბობ. შენ არაფერი არ იცი. მე შენ არ მიყვარხარ.

— ნუთუ?

— ან რისთვის უნდა მიყვარდეს? შენ წამართვი ყველაფერი, რაც კი კარგი გამაჩნდა ცხოვრებაში. მე შემძლია ბიჭი რამ, ძალიან ბევრი რამ!.. — თქვა მედიდურად. — მე ყოველთვის მწყალობდა ბედი, იმიტომ რომ ირგვლივ სულელები არიან. მე კარიერას გავიკეთებდი, მაგრამ ფეხებზე მკიდია კარიერა!

„ფეხებზე მკიდია კარიერა“ — ეს მეტად მაგრად იყო ნათქვამი. რამდენადაც ვიცოდი, რომაშოვს არამც თუ ფეხებზე არ ეკიდა, არამედ, პირიქით, ისწრაფოდა კარიერა გაეკეთებინა, გამდიდრებულიყო და სხვა ამდაგვარი. და მოახერხა კიდეც, მეტადრე, თუ გავიხსენებთ, რომ მუდამ, ჯერ სკოლაშივე, საშინელი გონებადახშული იყო.

— მაშ ყური დამიგდე, — მითხრა რომაშოვმა და უფრო გაფითრდა, თუმცა იმაზე მეტად გაფითრება მგონი შეუძლებელი იყო. — შენ მე დამიჯერებ, რადგანაც ყველაფერს გეტყვი. ექსპედიცია, რომელიც კაპიტან ტატარინოვის საძიებლად უნდა გამგზავრებულიყო, მე ჩავშალე! ჯერ ხელს ვუწყობდი კატიას, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ მართო წახვიდოდი. მაგრამ მან შენთან ერთად წამოსვლა გადაწყვიტა და მაშინ ჩავშალე ექსპედიციის გამგზავრება. მე დაწვერე განცხადება, ძალიან სახიფათო, — მე თვითონ გადმოვყირავდებოდი, რომ არ მომეხერხებინა მისი დადასტურება. მაგრამ მოვახერხე.

ნაცრისფერ ტყავის ბიუვარში, რომელზედაც ოქროს ასოები „მ. რ.“ ეწერა, ქალაღლის დასტა ეწყო. მე ერთი ფურცელი გამოვ-

წიე — რომაშოვი გაშეშდა, თვალებგადმოკარკლული სადღაც ჩემს ზემოდან იყურებოდა. გეგონებოდათ, ისწრაფოდა გაეხედა წინ, ჩაეხედა თავის მომავალში, რათა გაეგო და გამოეცნო, რას ემუქრებოდა მას ეს უბრალო მოძრაობა, რომლითაც ბიუეარიდან ფურცელი გამოვწიე და წინ დავიდე.

— ჰო, ჩასწერე, — მითხრა მან, — ის ადამიანი, რომელმაც შეაჩერა ექსპედიცია, შემდეგში გადაასახლეს და მოკვდა. მაგრამ სულ ერთია, ჩასწერე, თუ შენთვის ყველაფერ ამას კიდევ აქვს მნიშვნელობა.

— ოდნავდაც არა, — ვუპასუხე გულგრილად.

— მე დავწერე რომ, შენ აკვიტებული გაქვს კაპიტანი ტატარინოვის პოვნის აზრი, რომელიც ოცი წლის წინათ სადღაც დაიკარგა, რომ შენ ყოველთვის მანიაკი იყავი, სკოლიდან გიციობ. მაგრამ რომ ყველაფერ ამას სხვა სარჩული უდევს. შენ ცოლად გყავს კაპიტანი ტატარინოვის ქალი და ეს მითქმა-მოთქმა, ატეხილი მისი სახელის გარშემო, აუცილებელია შენთვის, შენი კარიერისათვის! მე მარტო არა ვწერდი.

— რა თქმა უნდა!

— გახსოვს წერილი „მეცნიერის დაცვისათვის“? ნიკოლაი ანტონიჩმა დაბეჭდა იგი, იმ წერილზე მივეუთითეთ ჩვენს განცხადებაში.

— ესე იგი, დამაბეზლებელ განცხადებაში.

მე უკვე ვიწერდი და რაც შეიძლება სწრაფად.

— დიახ, დამაბეზლებელ განცხადებაში. ჩვენ დავადასტურეთ, დავადასტურეთ ყველაფერი! ერთი ქალაქი ნინა კაპიტონოვნას შევაპარე, ხელი მოვაწერინე, და რა ძნელი იყო იმის მოხერხება, რომ მერე არ გამოეძახათ იგი, ღმერთო ჩემო, რა ძნელი! შენ არც კი იცი, ყველაფერმა ამან როგორ გავნო! სამოქალაქო-საჰაერო ფლოტშიც და მერეც, როდესაც უკვე არმიაში იყავი, ნამდვილად, ნამდვილად!

როგორ გადმოგცეთ რასა ვგრძნობდი, როცა ამ აღიარებას ეუსმენდი! მე არა ვფიქრობდი იმაზე, თუ რად ლაპარაკობდა იგი სიმართლეს, — ძალიან მალე გამოირკვა ეს ბრიყველი ანგარიში. მაგრამ, თითქოს პირუეუ შუქით განათდა ყველაფერი, რაზედაც ნებსით თუ უნებლიეთ ვოცნებობდი, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი და რაც არ უნდა შემმოხვეოდა.

აჩრდილი

— ეს დიდი ხანია დაიწყო, ჯერ ისევ სკოლაში, — განაგრძობდა რომაშოვი, — მე ლამეები უნდა მეთენებინა, რომ გაკვეთილი ისევე სხაპასუხობით მეპასუხა, როგორც შენ. მე არ მინდოდა მეფიქრა ფულზე, რადგან ეხედავდი, რომ ფული ოდნავადაც არ გაინტერესებდა. ვოცნებობდი გავმხდარიყავი ისეთი, როგორიც შენ იყავი, — სანია გავმხდარიყავი, და ვიტანჯებოდი, რადგან ყველგან და ყველადღერში შენ ჩემზე უფრო მალლა იდექი და ჩემზე უფრო ძლიერი იყავი.

აცახცახებული ხელებით შუშის კოლოფიდან, რომელიც მაგიდაზე იდგა, პაპიროსი ამოიღო და ასანთს დაუწყო ძებნა. მე სანთიას გაკარი. მან მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და გადააგდო.

— ზოგჯერ ქუჩებში გხვდებოდი, სადარბაზო შესასვლელებში მალვა-მალვით აჩრდილივით დაგდევდი უკან. თეატრშიც შენს უკან ვიჯექი ხოლმე და, რა ვიცი, ღმერთო ჩემო, რილათილა განვსხვავდებოდი შენგან? მაგრამ, ვიცი, რომ მე სულ სხვას ეხედავდი სცენაზე, რადგან ყველაფერს სხვა თვალთ ვუყურებდი, ვიდრე შენ. მარტო კატია როდი იყო ჩვენი სადავო, ყველაფერი, რასაც მე ვგრძნობდი, ყველგან და ყოველთვის ებრძოდა იმას, რასაც გრძნობდი შენ. აი, რატომ ვიცი. ყველაფერი შენს შესახებ: შენ მუშაობდი სასოფლო-სამეურნეო ავიაკიაში ვოლგაზე, მერე შორეულ აღმოსავლეთში. შენ კვლავ მოითხოვდი ჩრდილოეთში გაგზავნას, მაგრამ უარი გითხრეს. მაშინ წახვედი ესპანეთში. ღმერთო, ეს ისე მოხდა, თითქოს ყველაფერი, რასაც შრომას ვალევედი და რაზედაც მრავალი წლები ვოცნებობდი, მოულოდნელად თვითონ შესრულდა. მაგრამ შენ დაბრუნდი, — ზიზლით დაიყვირა რომაშოვმა, — და მას შემდეგ ყველაფერი წაღმა დაგიტრიალდა. შენ და კატია ენსკში წახვედით, ხედავ, მე ვიცი ყველაფერი, ისიც კი, რაც შენ დიდი ხანია დაგავიწყდა. შენ შეგეძლო დაგვიწყებოდა, რადგან შენ ბედნიერი იყავი, მე კი არა, რადგანაც მე უბედური ვიყავი.

იგი დაიკრუნჩხა, ამოიოხრა და თვალები დახუჭა. მერე გაახილა და რაღაც ძალიან საღმა, ბასრმა, რომელიც ძალიან შორს იყო ამ მგზნებარე ალიარებისაგან, გაუელვა სწრაფ გამოხედვაში. მე უხპოდ ვუპამენდი.

— დიახ, მე მინდოდა თქვენი დაშორება, რადგან ეგ სიყვარული მთელ შენ სიცოცხლეში შენი საოცარი ბედნიერება იყო. შური-საგან ვკედებოდი, რაკი ვფიქრობდი, რომ შენ ვიყვარს უბრალოდ იმიტომ, რომ ვიყვარს. მე კი იმიტომ, რომ მსურს შენ წაგართვა იგი. შესაძლებელია, სასაცილოა, რომ შენ გელაპარაკები სიყვარულზე, მაგრამ გათავდა ჩვენი დავა. მე წავაგე, და რა არის ახლა ჩემთვის ეს ღმკირება, შედარებით იმასთან, რომ შენ ცოცხალი და ჯანმრთელადა ხარ, მე კი კვლავ მიმტყუნა ბედმა!

დერეფანში გაისმა ტელეფონის ზარი, ვიშიმირსკიმ უთხრა:

— დიახ, მოვიდა. საიდან ლაპარაკობთ?

მაგრამ არ ვიცი, რატომ არ დაუძახა რომაშოვს.

— დაიწყო ომი. მე ჩემი სურვილით წავედი. ჯავშანი მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი. მომკლავენ და მით უკეთესი! მაგრამ გულის სიღრმეში იმედი მქონდა, რომ შენ დაიღუპებოდი, შენ! ქალაქ ვინიცის მისადგომებთან ფარდულში ვიწექი, როდესაც ერთი მფრინავი შემოვიდა და გაზეთის კითხვით კარებში შეჩერდა.

„აი, ბიჭები ისინი ყოფილან!—თქვა მან.—სამწუხაროა, რომ დაიწუნენ“. „ვინ?“ — „კაპიტანი გრიგორიევი ეკიპაჟით“. ათასჯერ წავიკითხე ის წერილი, ზეპირად ვისწავლე. რამდენიმე დღის შემდეგ ეშელონში შეგხვდი.

ძალიან უცნაური კი იყო, რომ, თითქოს, ჩემშივე ეძებდა თანაგრძნობას იმის გამო, რომ იმედები გაუტრუვდა და ცოცხალი აღმოვიჩნდი. მაგრამ ისე იყო გატაცებული, რომ ვერ ამჩნევდა თავის სულელურ მდგომარეობას.

— შენ იცი, რა მოხდა შემდეგ. დავიწყე ბოდვა, რომლის შესახებაც მრცხვენია მოვიგონო! ჯერ კიდევ მატარებელში განმაცვიფრა იმან, რომ შენ თითქოს არა ფიქრობდი კატიანზე. მე ვხედავდი, რომ ეს ქუჩკი და უთავბოლობა გტანჯავდა შენ, მაგრამ ყველაფერი ეს ქუჩკიც, ეს უთავბოლობაც იყო შენი. სიცოცხლეს შესწირავდი, ოღონდ ეს უკანდახევა არა ყოფილიყო. ჩემთვის ეს ნიშნავდა მბოლოდ იმას, რომ კვლავ სულით ჩემზე მაღალი და ჩემზე ძლიერი აღმოჩნდი.

ის გაჩუმდა. თითქოს არცა ყოფილა არასოდეს ქვეყანაზე ვერხვის ქალა, სველი ფოთლების გროვა და შეშის ზვინი, რომელმაც ხელის მოჭნევაში ხელი შემიშალა. თითქოს არასოდეს არა ვწოლილვარ

ხელებით მიწაზე დაყრდნობილი და არ შეეცდილვარ დამეყვირა მისთვის: „დაბრუნდი, რომაშოვო!“ ასე იჯდა ჩემს წინ წარმოსადეგი ვაებატონი, თხელ ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი. ხელებმა კენესა დამიწყო, — ისე მომინდა რევოლვერი დამერტყა მისთვის.

— დიახ, ეს ღრმა აზრია, — ვუთხარი მე, — ბარემ, თუ ხათრი გაქვს, ხელი მოაწერე ამ ქაღალდს.

ვიღრე ის ცოდვებს ინანიებდა, მე „ჩვენებას“ ვწერდი, ესე იგი საძიებო პარტიის ჩაშლის მოკლე ისტორიას. ეს წაპება იყო ჩემთვის, მე არ მებნებება საკანცელარიო ქაღალდების წერა. მაგრამ „მ. ვ. რომაშოვის ჩვენების“ დაწერა, მგონი, მოვახერხე, შეიძლება იმიტომ, რომ მე ასევე ვწერდი: „გაიძვერულად მოატყუა რა ჩრდილოეთ საზღვაო გზის ხელმძღვანელობა“ და ასე შემდეგ...

რომაშოვმა სწრაფად წაიკითხა ქაღალდი.

— კარგი, — წაიბუტბუტა მან, — მაგრამ ჯერ უნდა ავიხსნა...

— ჯერ ხელი მოაწერე, და მერე ამიხსენი.

— მაგრამ შენ არ იცი...

— ხელი მოაწერე, გაიძვერავ! — ვუთხარი ისეთი ხმით, რომ შეშინებულმა იქით გაიწია, და როგორღაც ნელა, თითქოს არ უნდაო; კბილი-კბილს დააცემინა.

— ინებე.

ხელი მოაწერა და გაბრაზებულმა დააგლო კალამი.

— მადლობას უნდა მიხვიდე, შენ კი ჩემი გულახდილობით გინდა ისარგებლო. კეთალი!

— დიახ, მინდა ვისარგებლო.

მან შემომხედა და ალბათ მაშინ ინანა მთელი სულითა და გულით, რომ არ გამათავა ვერხვის ქალაში!

— მოსკოვში დავბრუნდი, — განაგრძობდა იგი, — და მაშინვე შევეცადე, ლენინგრადში გადავსულიყავი. ლადოგის ტბით მივდიოდი, გერმანელები სძირავდნენ გემებს, მაგრამ მე დანიშნულ ადგილს მივაღწიე და დროულად, მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს. — დაუმატა აჩქარებით, — კიდევ ერთი დღე, დიდი-დიდი ორი, და მე მისი დამარხვა მხედებოდა წილად.

შესაძლოა, ეს მართალი იყო. ჯერ ისევ როდესაც ვიშიმირსკიმ მითხრა, რომაშოვი ლენინგრადში იყო, მე მომაგონდა წითელთმიანი მაიორი, რომელზედაც მეეზოვემ და ბავშვებმა მიაძებეს. „წითელთმიანი ამოიყვანა ნანგრევებიდან, მას პური ჰქონდა. დიდი ტომარა,

თვითონ მოჰქონდა, მე არ მანებებდა“. მაგრამ სხვა მალეღებდა მე. რომაშოვს შეეძლო დაერწმუნებინა კატია, რომ მე დავიღუპე, — რა თქმა უნდა ბრძოლაში, და არა ვერხვის ჭალაში.

— ჩავედი ლენინგრადში. შენ ვერ წარმოიდგენ, რა იყო ეს. სამას გრამ პურს ვიღებდი და ნახევარა კატიასთან მიჰქონდა. დეკემბრის ბოლოს მოვახერხე ცოტა გლუკოზა მეშოვნა, თითები დავიკაპე, ვიდრე კატიასთან მივიტანდი. მის ლოგინთან ჩავიკეცე, კატიამ მითხრა: „მიშა!“ მაგრამ ღონე არა მქონდა, წამოვმდგარიყავი. მე იგი გადავარჩინე, — გაიმეორა მოღუშულმა, თითქოს სამინელმა აზრმა, რომ მე შეიძლება არ დავუჯერო, კვლავ თავზარი დასცა, — და თუ მე თვითონ არ დავიღუპე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მტყიცედ ვიციდი, საჭირო ვიყავი მასთვის და შენთვის.

— ჩემთვისაც?

— დიახ, შენთვისაც. სკოვოროდნიკოვმა მოსწერა, რომ შენ მოგცლეს, ის სიკვდილის პირას იყო მისული მწუხარებისაგან, როდესაც მე ჩამოვედი. უნდა გენახა ერთი, რა მოუვიდა, როდესაც ვუთხარი, მე ვნახე-მეთქი! იმ წუთში მივხვდი, რომ უბადრუკი ვარ, — თქვა რომაშოვმა ისე ხმამალლა, რომ ღერეფანში რაღაც რახუნიც კი მოისმა, თითქოს ვიშიძირსკი სკამიდან გადმოვარდაო, — უბადრუკი ამ სიყვარულის წინაშე. მწარედ და ტანჯვით მოვინანიე იმ წუთში ის, რომ შენი მოკვლა მინდოდა. ეს მცდარი ნაბიჯი იყო. შენი სიკვდილი მე ბედნიერებას არ მომიტანდა.

— დაამთავრე?

— დიახ, დავამთავრე: იანვარში ხეოინიაში გამგზავნეს, მივლინებაში. ორი კვირით ვიყავი წასული, ხორცი ჩამოვიტანე, მაგრამ ბინა უკვე ცარიელი დამხვდა. ვარია ტროფიმოვას, ალბათ, იცნობ, კატია თვითმფრინავით გაეგზავნა.

— სად?

— ვოლოგდაში. ზუსტად გამოვარკვიე. მერე კი იაროსლავლში.

— ვის შეეკათხე იაროსლავლში?

— ევაკოპუნქტს. ნაცნობი უფროსი მყავს.

— პასუხი მიიღე?

— დიახ. მაგრამ იქ მხოლოდ სწერია, რომ ევაკოპუნქტი გაიარა და გაგზავნილია საავადმყოფოში ლენინგრადელებისათვის.

— აბა, მაჩვენე!

უჯრაში იპოვა წერილი და მომაწოდა. „სადგური ვსპოლიე, — წავიკითხე მე, — თქვენი შეკითხვის პასუხად...“

— ვსპოლიე რა შუაშია?

— ევაკოპუნქტი იქ არის, სულ ორი კილომეტრის მანძილზეა იქ  
როსლავლიდან.

— სულ ეს არის?

— ეს არის.

— მაშ, მომისმინე, — ვცდილობდი არ მეღელვა, ისე ვუთხარი  
რომაშოვს, — მე არ შევიძლია გაპატიო ან არ გაპატიო, რამდენი  
სიკეთეც არ უნდა გქონდეს დათესილი კატიასთან. ეს უკვე  
ჩვენი პირადი დავა აღარ არის იმის შემდეგ, რაც შენ მე საქმე დამ-  
მართე. შენ მე კი არ მედავებოდი, როდესაც ჩემი მოკვლა გინდოდა,  
მძიმე დაჭრილის, გამძარცვე და ტყეში მართო დამტოვე, ეს სამხედ-  
რო დანაშაულია... შენ იგი ჩაიღინე და, უპირველესად ყოვლისა,  
გაგასამართლებენ, როგორც გაიძვერას, რომელმაც ფიცი გასტეხა.

შიგ თვალეში შევხედე და გავნცვიფრდი. ის მე არ მისმენდა.  
კიბეზე ვილაც ამოდიოდა, ორი თუ სამი კაცი. ფეხის სმა ყრუდ  
გაისმოდა კიბეზე. რომაშოვმა მოუსვენრად მიიხედ-მოიხედა, წა-  
მოღვა. დააკუნეს, მერე დარეკეს.

— გავულო? — იკითხა კედლის იქიდან ვიშიპირსკიმ.

— არ გაულოთ! — დაიყვირა რომაშოვმა. — ჰკითხეთ, ვინ არიან, —  
თითქოს გონს მოვიდაო, დაუმატა ხმადაბლა და ოთახში მსუბუქი  
ნაბიჯებით გაიარა, თითქოს ცეკვაესო.

— ვინ არის?

— გააღეთ, სახლმმართველობიდანა ვართ.

რომაშოვმა ამოიოხრა, მაგრამ მოკუმული პირი არ გაუხსნია.

— უთხარი, რომ შინ არა ვარ.

— მე არ ვიცოდი. დარეკეს და ვუთხარი, რომ შინა ხართ.

— რასაკვირველია შინ არის, — ვთქვი ხმამაღლა.

რომაშოვი მეცა, ხელები დამიჭირა. მე ხელი ვკარი. ის აპყვირდა,  
მერე ღერეფანში გამოძევა და დაღვა, როგორც წელან, კედელსა და  
კარადას შუა.

— მოითმინეთ ერთი წუთი, — ვუთხარი მე, — ახლავე გაგი-  
ლებთ.

ორნი შემოვიდნენ — ხანში შესული მამაკაცი, ალბათ სახლ-  
მმართველი, მისი მოლუშული სახის გამომეტყველების მიხედვით  
თუ ვიმსჯელებდით, და ის ახალგაზრდა ნელი მიხრა-მოხრის, ლა-  
მაზკეპიანი კაცი, რომელიც სახლმმართველობაში ენახე. ახალ-  
გაზრდამ ჯერ მე შემომხედა, მერე აუჩქარებლად — რომაშოვს.

— მოქალაქე რომაშოვი ბრძანდებით?

— დიახ.

ვიშიმირსკიმ ისეთნაირად დააღრავა კბილები, რომ ყველა მისკენ მიტრიალდა.

— იარაღი გაქვთ?

— არა მაქვს, — უპასუხა რომაშოვმა თითქმის გულგრილად, მხოლოდ ერთი ძარღვი უთამაშებდა გაქვავებულ სახეზე.

— აბა, მაშ ბარგი შეჰკარით. ცოტაოდენი რამ: ერთი წყვილი თეთრეული. სახლმმართველო, გაჰყვეით დაპატიმრებულს. ამხანაგო კაპიტანო, გთხოვთ საბუთები წარმოადგინოთ...

— ნიკოლაი ივანიჩი, ეს სისულელეა! — ხმამალა თქვა რომაშოვმა მეორე ოთახიდან, სადაც ის ზურგჩანთაში თავის ბარგს აწყობდა. — რამდენიმე დღის შემდეგ დაებრუნდები. ისევ ის სულელური შიგნეულის ამბავია. გახსოვთ, გიამბეთ — ხვონიაიდან გამოგზავნილი შიგნეულის შესახებ.

ვიშიმირსკიმ კვლავ დააღრავა კბილები. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ არავითარი შიგნეულის შესახებ თავის დღეში არა გაეგონა რა.

— სანია, იმედი მაქვს, რომ შენ კატიას იაროსლავლში იპოვი, — უფრო ხმამალა თქვა რომაშოვმა — გადაეცი მას...

დერეფნიდან ვხედავდი, როგორ დაუფარდა ტომარა და ცოტა ხანს თვალდახუჭული იდგა.

— კეთილი, არაფერი, — წაიბუტბუტა მან.

— ბოდიში, ერთი ჭიქა წყალი ხომ არ გექნებათ? — უთხრა ვიშიმირსკის ლამაზეპიანმა მამაკაცმა.

ვიშიმირსკიმ წყალი მიაწოდა. ახლა ყველანი დერეფანში იდგნენ, — რომაშოვი აკიდებული ზურგჩანთით, სახლმმართველი, რომელსაც კრინტი არ დაუძრავს, და თავგზააბნეული ვიშიმირსკი ცარიელი ჭიქით ხელში. ერთი წუთი ყველანი სდუმდნენ. მერე აგენტმა კარებს ხელი ჰკრა.

— ნახვამდის, ბოდიში შეწუხებისათვის.

და ზრდილობიანად შესთავაზა რომაშოვს, წინ გასულიყო.

ალბათ, დრო რომ მქონოდა, შევეცდებოდი, ღრმა აზრი მეპოვა იმაში, რომ ბედმა, რომელიც რომაშოვის ბინაში მოსკოვის მილიციის წარმომადგენლის სახით გამოცხადდა, პირდაპირ შეუშალა ხელი ჩვენი ლაპარაკის დამთავრებას. მაგრამ მატარებელი იაროსლავლში 20.20-ზე გადიოდა და მე კი უნდა:

ა) სლუპუშკინთან გამოცხადებულიყავი, და მარტო გამოცხადებულიყავი კი არა, უნდა გავფორმებულიყავი კიდევ, რასაც საათნახევარი მაინც მოუნდებოდა;

ბ) შევსულიყავი დაჯილდოებათა განყოფილებაში — ჯერ ისევ მ-ში მივიღე ცნობა, რომ ჩემი წითელი დროშის მეორე ორდენი დამტკიცებულია და შემიძლია სახეობაში საბუთი მივიღო;

გ) მეშოვა რამე საგზლად: თითქმის ყველაფერი, რაც მ-დან ჩამოვიტანე, ერთ ბალტიელ მფრინავს დავუტოვე, ლენინგრადში ერთად ვიყავით ნამყოფი პოლკში;

დ) მეშოვა ბილეთი, თუმცა ეს მაინცა და მაინც არ მაწუხებდა, რადგანაც უბილეთოდაც წავიდოდი.

გარდა ამისა, უნდა მიმეწერა რომაშოვის შესახებ სამხედრო პროკურორისათვის.

ყველაფერი ეს აუცილებლად მიმაჩნდა და ვფიქრობდი, რომ მატარებლის გასვლამდე დარჩენილ ოთხ ან ხუთ საათში სწორედ ამ საქმეებით უნდა ვყოფილიყავი დაკავებული. სინამდვილეში კი მე ვალია ეუკოვთან უნდა დავბრუნებულიყავი, ვალია ეუკოვთან, ვისგანაც ხუთი წუთის სავალზე ვიყავი დაშორებული, და მაშინ, ვინ იცის, შესაძლებელია, იმისათვისაც კი გამომეძებნა დრო, რომ მეფიქრა იმ სიმართლისა და სიცრუის დომხალზე, რომლითაც ცდილობდა თავი ემართლებინა ჩემს წინაშე რომაშოვს.

ერთ ხანს შევჩერდი კიდევაც არბატის მოედანზე, „ორი წუთით ხომ არ შევიარო-მეთქი ვალიასთან? მაგრამ ვალიას მაგივრად საპარიკმახეროში შევედი — უნდა პირი გამეპარსა და საყულო გამომეცვალა ჰიდროგრაფიულ სამმართველოში გამოცხადებამდე, სადაც ერთი კონტრაღმირალი აპირებდა მეორესთვის ჩემს გაცნობას.

სწორედ 17 საათზე სლუპუშკინთან მივედი. 18 საათზე კი მთავარ სამმართველოს მიერ უკვე ჩარიცხული ვიყავი ჰიდროგრაფიულ სამმართველოს კადრებში და მივლინებული ვანაპირა ჩრდილოეთში, რ-ის განკარგულებაში. ორი თუ სამი წლის წინ ამ ძუნწი საკანცელარო სიტყვების იქით ჩემს წინ გადაიშლებოდა შორეულ მიუვალ გორაკთა ზოლი, განათებული პირველი პოლარული დღის გაუბედავი მზით. ახლა კი, ზრუნვით და მღელვარებით სავსემ, ჯიბეში ანგარიშმიუცემლად ჩავიღე მოწმობა და იმის ფიქრით, რომ ტყუილად არა ვთხოვე-მეთქი რ-ს, სამხედრო ტელეგრაფით იაროსლავლს დაკავშირებოდა, სამმართველოდან გამოვედი.

არ გაამბობთ იმას, როგორ დავკარგე საათნახევარი დაჯილდო-

ებათა განყოფილებაში და ასე შემდეგ. მაგრამ უნდა გიამბოთ უკანასკნელ, სამახსოვრო შეხვედრაზე მოსკოვში.

ძალიან დაღლილი, ზურგჩანთით ცალ ხელში და ჩემოდნით მეორეში, მეტროს სადგურ „ოხოტნი რიადში“ ჩაეედი. სამუშაო დღ გათავდა და, თუმცა 1942 წლის ზაფხულში მეტროში ჯერ ისევ ხალვათობა იყო, ესკალატორის წინ მაინც ბრბო იდგა. მოძრავი ბაფთის მოპირდაპირე მხრიდან წოდოდა, მე ვაკვირდებოდი მოსკოველთა სახეებს. უეცრად გავიფიქრე, რომ მთელი ამ დავიდარაბით საჩქაე, დამქანცავი დღის განმავლობაში მოსკოვი ვერა და ვერა ვნახე-მეთქი. შორიდან შეენიშნე ზორბა, მძიმე კაცი, თავზე სქელი კეპი ეხურა და ფართო ოთხუკთხმხრებიანი პალტო ეცვა, ის კი არ ამოდიოდა, არამედ მოცურავდა, თითქოს იზრდებოდა, უცდიდა, როდის აიყვანდა მას ზევით ეს ხმაურაანი მანქანა.

ეს კაცი ნაკოლაი ანტონიჩი გახლდათ.

მიცნო კი? არა მგონია. მაგრამ კიდევ რომ ვეცანი, რა საქმე ჰქონდა ვიღაც გახეხილკიტელიან, ტანმორჩილ კაპიტანთან, რომელსაც ხელში უშნო ზურგჩანთა ეჭირა, საიდანაც პურის ყუა ამოშვერილიყო.

მან ნამძინარევი თვალებით ქედმაღლურად, გულგრილად შემომხედა.

)



სწავლა

უფლები

და

ნაწილი მისხრა

წმ. ფილიბერტის სასულიერო სკოლა

კარვე და პრინციპალი

თავი პირველი

ცოლი

თითქოს მანათობელი ყუმბარის ელვარებით არის გაშუქებული ღამეს უცნობი ვაგზალი ვსპოლიეზე, — აღსავსე ზრუნვით, შრომითა და ომის მღელვარებით. რას არა ნახავ ამ კაშკაშა, უჩვეულო შუქზე! უფროსი ლანძღვით აგროვებს რაზმს, უძილო, მოღუშული ხალხი მწყრივში დგება, — ომია! ბაქანზე, ფარდულში მივლინებებით სურსათს აძლევენ, სასოებით იღებენ შავ პურს სალდათის ხელები — ომია! ასე, ხუთი წლის გოგონა დაკარგულა, ეშელონს ჩამორჩენია, და უკვე რადიოთი ეძახიან მის დედას — ეძახიან და ხმას ვერ აწვდიან, ომია! მეზღვაური, ერთ ხელში ზურგჩანთით, მეორეში — ჩემოდნით, მოსკოვის მატარებლიდან ჩამოდის, კითხულობს, სად არის ევაკოუნქტი და უფროსთან შესასვლელად რიგში დგება პატარა ოთახში, რომელიც ისეა გატენილი მჯდომარე, ფეხზე მდგომ და ჰმინარე ხალხით, რომ ნემსის ყუნწი არ ჩავარდება, — ომია!

ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მახსოვს. მაგრამ სინათლესა და სიბნელეს შორის ნელ-ნელა პოულობს გზა, ცნობიერება, რომლის თავზედაც ჩამოეშვა ომის გიგანტური მანათობელი ყუნბარა.

მე ვხედავ ჩემს თავს ქალაქისკენ მიმავალ გზაზე ლამით, ზაფხულისათვის ჩვეული მღუპარე მინღვრებით. პროექტორები დახეტილობენ მოციმციმე ვარსკვლავებით თოქედელ მშვიდ ცაზე. აი, ქალაქიც — ყოველ ქუჩაზე მაჩერებს და საბუთებს მისინჯავს საკომენდანტოს გუშაგი. აი, სააედამყოფოც ლენინგრადელებისათვის. მორიგე მედლა, როგორც წესი და რიგია, მიხსნის, რომ უკვე სამი თვეა, რაც სააედამყოფოში არც ერთი ლენინგრადელი აღარ არის.

— კანცელარია ცხრა საათზე გაიღება, — მეუბნება იგი, — ახლა კი ღამის ოთხისნახევარია.

მუშამბაგადაკრულ დაბალ დივანზე ეწვები. მძინავს და არცა მძინავს. სად არის ჩემი კატია?

დილით მთავარ ექიმს თავის კაბინეტში მიეყვარა — თეთრი მაგიდა, დაბინდული ფანჯრები, სუფთა ზეწარგადაფარებული დაბალი თეთრი ტახტი. შორეული მოგონება მიპყრობს. ჩვიდმეტი წლის ბიჭი ვზივარ ქსენონში, იქ კი, გამოღებულ კარებს უკან, დაბალ თეთრ ტახტზე წევს მარია ვასილენა, გადატეტკილ, თითქოს ძელიდან გამოკვეთილი სახით.

— გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება? — მეკითხება მთავარი ექიმი.

მე ვეუბნები სახელს, მამის სახელს, გვარს, წლოვანებას. გზადაგზა ხალათს იყრავს, შემოდის მედლა, რომელსაც ექიმში ავალებს კატიას ბარათის და ავადმყოფობის ისტორიის მოძებნას.

ჩვენ პაპიროსს ეწვეთ და ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და ეწვეთ. ინგლისელთა ათასმა თვითმფრინავმა კვლავ შეუტია ბრეჟენს. რა ხდება მოსკოვში — მართალია, რომ პუტის ნორმა გააღიდეს? ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და ჩვენს შორის ხელმოწერილია შეთანხმება; როგორა მგონია, მალე გაიხსნება მეორე ფრონტი?

გვერდზე ოთახში კი მედლა სინჯავს ისტორიების ბარათებს...

— ბარათი — სიკვდილი, — სინჯავს იგი, — ბარათი — სიციცხლე.

რეკავს ტელეფონი და მთავარი ექიმი დიდხანს ლანძღავს მწეს. მე ჩუმადა ვარ. მაინც რამდენად უფრო ადვილია მღუპარედ ლოდინი: რას მომიტანს მედლა — კატიას სიკვდილს თუ სიციცხლეს!

ბოლოს, როგორც იქნა, შედდა დაბრუნდა. ჯერ მნის ლანძღვა არ დაუმთავრებია, მთავარი ექიმი იღებს ბარათს, პატარა, თითქმის ბავშვური ხელებით.

— რა გინდათ, ყველაფერი რიგზეა, — ამბობს იგი. — მდგომარეობას არა უშავს რა. გამოეწერა ორმოცდაორი წლის მარტში...

ალბათ, ვფიქრობდი ოდნავ უფრო მეტად, ვიდრე ეს მიღებულია მსგავს შემთხვევებში, იმიტომ, რომ ის დგება, მაგიდას უვლის, მხარზე ხელს წაღებს და იმეორებს:

— მდგომარეობას არა უშავს რა, გამოეწერა ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის მარტში.

გულიანად იცანის, როდესაც სასოწარკვეთილებაში ვვარდები, როცა ვიგებ, რომ თებერვალში კატის ჰეპატოლოგიის მხოლოდ ორმოცდაორი პროცენტი ჰქონია.

ბანაკს გაჰყვა ნოვოსიბირსკში, ეს ახლა უკვე აშკარაა. კარგი იქნებოდა, შიგ ქალაქში ყოფილიყო... არა! ბ.საკი მოთავსდა რომელიმე კოლმეურნეობაში, ორასი კილომეტრის მანძილზე ნოვოსიბირსკიდან.

იაროსლავლის საოლქო აღმასკომში მე ვიწერ ზუსტ მისამართს: საღვთი ვერხნე-იალომსკაია, შჩუკინის რაიონის შჩუკინის სოფლის საბჭო, სოფელი ბოლშიე ლუბნი და ასე შემდეგ. დეპეშის ოცდახუთი სიტყვიდან კატის მისამართი ჩვიდმეტ სიტყვას იკავებს. მე ვუმატებ მას ჩემსას და ყველაფერი იმის გამოსახატავად, რასაც მე ვგრძნობ და ვფიქრობ, რჩება ოთხი სიტყვა.

გარდა ამ დეპეშისა, იაროსლავლიდან ვგზავნი კიდევ სამს ენსკში, დეიდა დაშასთან, — ვატყობინებ, რომ კატია ცოცხალია და იმედი მაქვს, რომ მალე ენახავ. მოსკოვში — ვალია ყუკოვთან, ვწერ, რომ კატია ვერ ვიპოვე და, ალბათ, ის ბანაკს გაჰყვა ნოვოსიბირსკში. და ისევ მოსკოვში — სლუპუშკინთან, თხოვნით, ნება დამართოს განვაგრძო ცოლის ძებნა, როგორც შეთანხმებული ვიყავით პირადი ლაბარაჟის დროს.

სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ცალკე ნომრის შოვნა, ძალიან კი მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი ჩემს ფიქრებთან და დამესვენა! თუმცა ჩემს მეზობელ, ხანში შესულ ქვეითი ჯარის მაიორს, ექვს გარეშეა, ჩემზე ნაკლებად არ ესაჭიროებოდა დასვენება, რადგანაც რვა საათზე უკვე დასაძინებლად დაწვა და არაფერს არ შეეძლო მისი გაღვიძება — არც საწოლის კრიალს, რომელზედაც მთელი ღამე ვტრი-

ალებდი, არც იმას, რომ დერეფნის მორიგე ორჯერ მოვიდა შუქშენილბვის შესამოწმებლად.

ღამე პაპიროსის მოსაწვევად გაელვია და დიდხანს მღუმარედ იჯდა, თათრულად ფეხპოკეცილი. მეც მოვუყიდე. არაფერი ვიცოდი მის შესახებ, არც მან იცოდა არაფერი ჩემს შესახებ, მაგრამ ჩვენ ვდუმდით და ვფიქრობდით ერთსა და იგივეზე, როდესაც სიბნელეში ჩვენი პაპიროსების წითელ ცეცხლს ვუყურებდით. ომმა შეგვყარა ამ ნომერში ორი უცნობი მამაკაცი და ის, რაზედაც ჩვენ ვფიქრობდით, იყო ომი, ესე იგი, საერთო საქმე ასობით და ათასობით მამაკაცისა. წინაღუთ, ორასორმოცდაათი დღის თავდაცვის შემდეგ, ჩვენმა ნაწილებმა დასტოვეს სევასტოპოლი.

მეზობელმა პაპიროსი მოსწია და დაიძინა, მეც ჩამეძინა. მაგრამ ალბათ პატარა ხნით, იმიტომ რომ დერეფანში ვილაცამ ხმამალა თქვა:

— ორის ნახევარია.

წარმომიდგა სევასტოპოლი — არა ის პირქუში, გავარჯარებული, მტერიანი, თითქოს თავის დიადი ხვედრის შესაგებებლად გაქრილი, რომელიც ორმოცდაერთი წლის სექტემბერში ეწახე, არამედ უწინდელი, სავსე სიცილითა და ახალგაზრდული ხმებით. კვირაობით მე და კატია სევასტოპოლში მივდიოდით ხოლმე. კატარლები ნავვისაბმელებთან იდგა; ისტორიულ ბულვარზე, სადამდისაც კი თვალი გასწვდებოდა, მეზღვაურები თეთრ კაბებში გამოწყობილ შარფიან ქალიშვილებთან სეირნობდნენ. ჩვენ გვიყვარდა სასაცილო თამაში, რომელიც კატრამ მოიგონა: ვითომ ის ჩემი სატრფოა, ჩვენ ეს-ეს არის, გავიყანით ერთმანეთი და ახლა, როგორც ამ ახალგაზრდებმა, ერთმანეთს უნდა პაემანი დავუნიშნოთ, ვწეროთ წერილები და ერთმანეთს „თქვენობით“ მივმართოთ. რა მშვენიერი იყო ყველაფერი მაშინ! მე ხუთ საათზე ვდგებოდი, კატია კი უკვე მსუბუქ საუზმეს მიმზადებდა, როდესაც მაღალ გატრენაზე მივდიოდი. მკერე იყო ცხელი, საინტერესო დღე, და არა მარტო იმიტომ, რომ საინტერესო გატრენები იყო, არამედ იმიტომაც, რომ ვიცოდი, — წინ კიდევ „დრო გვაქვს“. ჩვენ ვიბანავებთ შავი ფერის წყალში, რომელსაც ცა ჩაუყირავებია და შუქურა ხარაკაზე ნელა დაიწყებს ანთებას და ჩაქრობას.

ალბათ ძალიან გაწვალებული იყო კატია ჩემს ხელში, თუმცა მეუბნებოდა, ჩემთვის ძნელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც არ ვიცოდი, სად იყავი და როგორ იყავი.

არაჩვეულებრივი სიცხადით მომაგონდა ჩვენი ერთადერთი ჩხუბი მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე. ეს ლენინგრაღში მოხდა, 1936 წელს. საძიებო პარტია გადაწყვეტილი იყო და დღედღეზე ჩრდილოეთში უნდა წავსულიყავით. ერთი თვეც არ იყო გასული, რაც ჩემი და — სანია გარდაიცვალა და პატარა ვაჟიშვილი დაგვიტოვა. ჩვენ ვლელავდით, არ ვიცოდით, როგორ დაგვეტოვებინა ბავშვი. ბოლოს გადავწყვიტეთ წასვლა, როდესაც განსვენებულმა როზალია ნაუმოვნამ „სქაელული თიბა“ იშოვა. გადავწყვიტეთ, მოვემზადეთ, მაგრამ უეცრად პეტენკა შეუძლოდ გახდა.

...გაფითრებული, შეწუხებული კატია თეთრეულის კალათიან იჯდა, რომელშიაც ხელფეხგაშლილი იწვა ავადმყოფი ბავშვი, კატია მწარედ ატირდა, შვევდი თუ არა. მე მოვეხვიე.

— რა მოგივიდა, რა ვქნა, გეყოფა, — ვეუბნებოდი და თან ცრემლიან ლოყაზე ხელს ვუსვამდი. — შენ წამოხვალ. არხანგელსკში და გვეწევი, ეს არის და ეს...

კიდევ რა შემეძლო მეთქვა? არხანგელსკში საძიებო პარტიას ერთ დღე-ღამეზე მეტი უნდა გაეტარებინა.

— ო, როგორ არ მინდა კვლავ შენთან დაშორება!

— ყველაფერი მოგვარდება.

— არაფერიც არ მოგვარდება, მთელი ზამთარი ვჩალიჩობდი, რომ ექსპედიცია შემდგარიყო. ყველაფერი გავაკეთე, რომ შენ წასულიყავი, ახლა შენ წახვალ და მე არც კი მცოდინება, სად იქნები და როგორ.

— კატია! კატია!

— მე არაფერი არ მინდა. მე არ მესაჭიროება ეგ ექსპედიცია, სულ ერთია, შენ ვერაფერს ვერ იპოვი. ღმერთო, ნუთუ არა ვარ ღირსი იმ ბედნიერებისა, რომელზედაც სხვა ქალები არასოდეს არც კი ფიქრობენ! ან საერთოდ. ცოტა რამ შეიძლება შეგემთხვეს?

ის ხელავდა, რომ მე უკვე ვჯავრობდი. მაგრამ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და გული უკენესოდა, იწყებდა სიარულს და ხელებს გულზე მაგრად იკრავდა.

— განა არ ვიცი, — შენ არ გინდოდა, რომ შენთან ერთად წამოვსულიყავი! აბა, სთქვი, თუ მართალი არ არის!

— კარგი, გეყოფა!

— კარგი, — თქვა მან ისეთი მშვიდი სასოწარკვეთილებით, რომლისაც, მგონი, თვითონც შეეშინდა, — გავათავოთ ეს დავა. მე მოვ-

დივარ, მე ვიცი, ჩემი წამოსვლა შენ არ გინდა, იმიტომ, რომ არ გიყვარვარ!

ჩვენ დილამდის ვილაპარაკეთ. მეორე დღეს პეტენკა უკეთ გახდა, გავიდა კიდევ ერთი დღე და სულაც გამოკეთდა.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი ლაპარაკი იმის შესახებ, რაც მთელი სიცოცხლე სტანჯავდა და ალღევდა. მისთვის მძიმე იყო, როდესაც ფიქრობდა, რომ ვერასოდეს ვერ შეაღწევს იმ სამყაროში, რომლის გულისთვისაც შე ისე ხშირად ვივიწყებდი მას, ისე ხშირად ვტოვებდი! და უფრო მძიმე იყო, როდესაც ცდილობდა, არ ეფიქრა ამაზე.

რა უნდა დაეძლია გულში, რომ გავეცილებინე ისე, როგორც მან ესპანეთში გაპარულა? როდესაც საჩაბუზაში პირველად წავიყვანე ჩემი ესკადრილია ღამის გაფრენაში, ჩემი შტურმანის ცოლისაგან შემთავსებით გავიგე, რომ კატიას მთელი ღამე არა სძინებოდა ჩემს მოლოდინში.

მამ სადა ხარ, კატია? ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს, ერთი სიყვარული — მოღა ჩემთან! წინ კიდევ ბევრი შრომა და საზრუნავია, ომი ჯერ მხოლოდ დაიწყო, ნუ მიმატოვებ! შე ვიცი, შენთვის ძნელი იყო ჩემთან ცხოვრება, შენ ძალიანა დედავდი ჩემს გამო, მთელი ჩვენი სიცოცხლე სხვის კერქვეშა ვხვდებოდით ერთმანეთს, და განა მე არ მესმის, რამდენად საჭიროა, რამდენად მნიშვნელოვანია ქალისათვის საკუთარი კერი?! იქნებ უფრო მეტად უნდა მყვარებოდი, უფრო მეტი მეფიქრა შენზე... მაპატიე, კატია!

...არ ვიცი ცხადლივ თუ ძილში, ვემუდარებოდი არ მივეტოვებინე, სიზმარში მაინც მომჩვენებოდა, არ დაეჯერებინა, რომ მე არასოდეს აღარ დავბრუნდებოდი!

თავი მეორე

## ჯერ არაფერი გათავებულა

არ ვიცი, ღამის ოთხი საათი თუ იქნებოდა, როდესაც თვალი გავახილე და დავინახე, რომ თავს დამკვეროდა გაცრეცილი ნამძინარევი დერეფნის მორიგე.

— თქვენა ხართ გრიგორიევი?

— დიახ.

— დეპეშა. ხელი უნდა მოაწეროთ. 'შემოდით, ამხანაგო! — გას-  
ძახა მან და ჩექმების ფრთხილი ბაკუნით 'ემოვიდა და კარებში გა-  
ჩერდა წითელ-არმიელი სამხედრო ტელეგრაფიდან.

ხელი მოვაწერე და დეპეშა გავხსენი. „დაუყოვნებლივ წამოდით  
არხანგელსკში ჩამოსვლა მაცნობეთ ლოპატინი“.

რა თქმა უნდა, დეპეშა მთავარ სამმართველოდან იყო. მაგრამ  
რატომ მიპასუხა არა სლეპუშკინმა, — რომელსაც მოველაპარაკე  
კატიას შემდგომი ძიების შესახებ, თუ იაროსლავლში ვერ ვიპოვი-  
დი, — არამედ ვილაც ლოპატინმა? რატომ დაუყოვნებლივ? რატომ  
არხანგელსკში? მართალია, რომ, რომელიც გნებავთ, ჰიდროლოგიურ  
სამუშაოებისათვის ჩრდილოეთ საზღვაო გზაზე ძირითად ბაზად  
არხანგელსკი რჩებოდა, მაგრამ განა რ. არ მეუბნებოდა, რომ ჩვენ  
პოლიარნოეში შევხვდებოდით ერთმანეთს, სადაც ჩრდილოეთის  
ფლოტის მთავარსარდალს უნდა დაეგზავნიდა მისი გეგმები!

ყველაფერი გამოირკვა და ძალიან ღალე. მაგრამ მაშინ ია-  
როსლავლში, სასტუმროს პატარა, კუქყიან ნომერში, ლურჯი ქა-  
ღალღის აწეულ ფარდასთან, დაუსრულებლად ვკითხულობდი დე-  
პეშას და გულისმომწყველი გრძნობა გაუგებრობისა და განო-  
ურკვევლობისა, რომლებიც რაღაც კარგს არ უქადოდნენ კატიას  
და მართმეოდნენ იმედს მისი ჩქარა ნახვისას, სულ უფრო მეტად  
მალელებდა.

ვერაფერი მოვიფიქრე, კვლავ წავედი ტელეგრაფში და შჩუკი-  
ნის რაიონის, შჩუკინის სოფლის საბჭოს, სოფელ ბოლშოე ლუბ-  
ნიში გაფრინდა კიდევ ერთი, ამჯერად სასწრაფო დეპეშა. წინა-  
დღით გავგზავნე უბრალო, რადგანაც მხოლოდ შვიდასი მანეთი  
მქონდა, წინ კი შორი გზა მელოდა.

ახლა უკვე შორი გზა აღარ მელოდა, — მხოლოდ ათასი კილო-  
მეტრი კატიასაგან ჩრდილოეთით...

მხოლოდ რვა დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მე აღიღი დავი-  
კავე სამგზავრო კაბინაში. მ-შრ. მაგრამ იმდენი რამ ენახე ამ რვა  
დღეში, რომ გულმა თათქოს უარი თქვა მიეღო ყველა შთაბეჭდი-  
ლება და მიიღო მხოლოდ ისინი, რომელნიც ჩემს ბედთან იყვნენ და-  
კავშირებულნი. ნახევარ წელზე მეტს მე ვხიდაოი ერთსა და იგივეს:  
პოსპიტლის პალატის კედლებსა და კედლებს იქით — ურალის უცხო  
ქალაქს კამის ნაპირზე. მაგრამ ღმერთმა ცის. სად დარჩა იგი, და-  
იკარგა, ლეგა ბოლში ჩაიძირა, თითქოს არცა ყოფილა, და ჩემს

შესახვედრად გამოფრინდნენ წამიერი სურათები ლენინგრადის, მოსკოვის, იაროსლავლისა. მე ვთქვი — წამიერი, მაგრამ ეს თითქოს სამარადისოდ აღბეჭდილი წამიერი სურათები იყო. და ასეთივე მარადიული იყო პირქუში, მკაცრი ლენინგრადი თავისი ჩამტკრეული ფანჯრებით, რომელთა შიგნით განაბულიყო არგაგონილი ნებისყოფა და ვაგზალი ღამით ვსპოლიეზე მისი უძილობით, დაქანცულობით და ომის ქუჩყით...

აი, რა გავიგე, როდესაც პირდაპირ მატარებლიდან ბელომორის სამხედრო ფლოტილის შტაბში გამოვცხადდი. ლოპატინი, რომელსაც მთელი გზა ვლანძღავდი, მთავარ სამნართველოს კადრების განყოფილების უფროსი აღმოჩნდა, — მხოლოდ ახლა ნომაგონდა, რომ სახკომატში გამეგონა ეს გვარი. გაუგებარი არაფერი იყო მის დეპეშაში. ჩემი მოსკოვიდან წამოსვლის შემდეგ განაპირა ჩრდილოეთში მოხდა ამბები, რომელთაც აიძულეს კონტრადმირალი რ. დაუყოვნებლივ გაფრენილიყო დანიშნულების აღგალზე. პოლიარნოეში არც მე და არც იმას საქმე უყვე აღარაფერი გვექონდა, რადგანაც ფლოტის მთავარსარდალი ბაზეზის შესამოწმებლად თვითონ წავიდა არხანგელსკში. ნისი შეხვედრა რ.-თან სამი დღის წინ შედგა. ეტყობა, „ყველაზე საინტერესო ოამის“ გეგმა დაშტკიცდა, რადგანაც ამ შეხვედრის შემდეგ რ. დაუყოვნებლივ დიკსონზე გაფრინდა. ექვს გარეშეა, მას ძლიერ ეჩქარებოდა, ან შეეძლო უჩემოდაც წასულიყო იოლად. ასე რომ არაყოფილიყო, ჩემთვის რაიმე მითითება იქნებოდა დატოვებული ფლოტილის შტაბში...

— თქვენ დაიგვიანეთ, კაპიტანო, — მითხრა კადრების განყოფილების უფროსმა, — გულკეთილმა, ულვაშიანმა, ქლარა კაცმა, რომელიც სევასტოპოლის პირველი თავდაცვის ღროის ნოზუტ მუზღვაურსა ჰგავდა. — აღარ ვიცი, რა გიყოთ. რ-ს ვერ დაგაღვენებთ უკან.

და მან მობრძანა, რამდენიმე დღის შემდეგ გამოვცხადებულეყავი...

მაგრამ როგორ გამოვცვლილიყო არხანგელსკი, ვეღარ იცნობდით!

ფუნჯებიანი ქუდებით და წელში გამოყვანილ შარვალზე განივრად გადმოშვებულ შალის პერანგებში გამოწყობილი ამერიკელი მეზღვაურები ქუჩებში დახეტიალებდნენ. ინგლისელებს უწინაფრო ქუდებზე ასოებით HMS (მისი უდიდებულესობის გემი) ოდნავ უფ-

რო მკაცრად ექირათ თავი. მაგრამ ისინიც, ჩემდა გასაოცრად, უდარ-  
დელად გამოიყურებოდნენ, რაც სრულიად განასხვავებდა მათ ჩვენი  
მეზღვრაურობისაგან. ზანგები გვხედებოდნენ ყოველ ნაბიჯზე, შავი და  
შავ-ყვითელი. ალბათ, ძულატეაი. ჩიხელეაი ირდილოეთ დვინაში,  
პირდაპირ სანაპიროს ქვეშ პერანგებს რეცხავდნენ, თან ხმამალა  
ყელში ყრუდ ლაპარაკობდნენ და სარეცხს დიდრონ ქვებს შუა ჰყენ-  
დნენ, მზეზე.

ფართოდ გადაშლილი დვინა კი, რუსული მდინარე, რომლის  
მსგავსი თითქოს არც შეიძლებოდა ქვეყანაზე ყოფილიყო, ლაღად  
მოედინებოდა და დიდრონ ტალღებს მოაგორებდა.

კატარღები მოელვარე ტალღას თითქოს დანით ჰკვეთავენო, სულ  
გაღმა ნაპირისაკენ მიდიოდნენ, სავაქრო პორტისაკენ...

უცხოელები როდი იპყრობდნენ ჩემს ყურადღებას ამ დღეებში,  
რომელთაც მე მახვილი, მაგრამ ზერელე ცნობისმოყვარეობით ვუ-  
ყურებდი. ეს იყო სედოვის და პახტუსოვის ქალაქი. სააფლაოზე  
სოლომბალაში დიდხანს ვიდექი „შტურმანების კორპუსის — პო-  
რუჩიკ და კავალერ პეტრე კუზმიჩ პახტუსოვის საფლავზე, —  
რომელიც გარდაიცვალა 36 წლისა, ლაშქრობაში მიღებულ ჯაფა-  
ტანჯვისა და მიყენებულ მწუხარებისა გამო“. აქედან წაიყვანა კა-  
პიტანზა ტატარინოვმა შორეულ მგზავრობაში თავისი თეთრი ხო-  
მალდი. აქ გარდაიცვალა ქალაქის საავადმყოფოში შტურმანი კლი-  
მოვი, ექსპედიციას ერთადერთი მონაწილე, რომელმაც დიდ მიწას  
შიაღწია. ადგილობრივ მღვზეუქში „წმ. მარიაამის“ ექსპედიციას მიძ-  
ღვნილი ჰქონდა მთელი განყოფილება და ნაცნობ ექსპონატებს შო-  
რას მე ვიპოვე საინტერესო, ჩემთვის ახალი, სედოვის მეგობრის,  
მხატვარ პ-ს მოგონებანი იმის შესახებ, თუ შტურმანი კლიმოვი  
როგორ იპოვეს ფლორას კონცხზე.

დილით დაეწერე მორიგი წერილი სოფელ ბოლშოვ ლუბნიში  
გასაგზავნად და, რაკი არ ვიცოდი რისთვის მომეკიდა ხელი, ქვე-  
ვით დავეშვი, კლზნეჩიხისაკენ. მდინარეზე ფიჭვნარის მძაფრი სუნი  
იდგა. ხიდი დაშლილი იყო, პატარა გემს ხალხი მიჰყავდა ნავსად-  
გურში და გარს უვლიდა ტივებს, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ.  
საითაც არ უნდა გაგებდათ, ყველაფერი ხისა იყო, — ხის ვიწრო ხი-  
დები ნიკოლოზის დროინდელი დაბალი შენობების გასწვრივ, რომ-  
ლებშიაც ახლა ჰოსპიტლები და სკოლები იყო მოთავსებული, ხის  
ქვაფენილები; ნაპირებზე კი ახლად დახერხილი ფიცრების შტაბე-  
ლებიდან აგებული ფანტასტიკური შენობები. ეს იყო სოლომბალა და

მე ვიპოვე სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა კაპიტანი ტატარინოვი 1913 წლის ზაფხულში, როდესაც „წმ. მარიამი“ შორეული მგზავრობისათვის ემზადებოდა.

ის ჩამოდიოდა ამ ძელებისაგან ნაგებ სახლის აივნიდან, ბალჩაზე მიდიოდა — მხარბეკიანი, ახოვანი, თეთრ კიტელში, ძველებურად ზევით უღვამებარეხილი. ჯიუტად თავდახრილი უსმენდა რომელიმე ვაჟარ დემადოვს, რომელიც ფულს სთხოვდა ლორში ან „მზა ტანსაცმლის მომზადებაში“. იქ კი, საეპრო ნავსადგურში, გვერდის თვლებიან მძამე საბარგო ხომალდთა შორის ოდნავ მოჩანდა კოხტა და მოხუნეილი ხომალდი — მეტად მოხუნეილი და კოხტა. რომ არხანგელსკიდან გასულს ციმბირის ნაპირები შემოევლო და ვლადივოსტოკამდე მიეღწია.

ერთმა უმნიშვნელო მაგრამ ჩემთვის საყურადღებო შემთხვევამ უცნაურად გააცოცხლა ეს ბუნდოვანი სურათები.

წინაღობით მოვიდა ბაღრაგი და მე ნავსადგურ ბ-ში წავედი, რათა მენახა, როგორა ხდებოდა გადმოტვირთვა უცხოური გემებისა.

ოპო, როგორ გაზრდილა, როგორი ფართო, მკვიდრი, დარბაზი-ლური გამხდარა ეს ძველებური ნავსადგური! ალბათ ორ კილომეტრამდე გავიარე ნავსაბელების ჩაყოლებით და ჯერ ბოლო არ უჩანდა ასაწევ ონკანებს, რომელნიც მალალ, სწორკუთხოვან შტაბელებად აწყობდნენ სამხედრო და არასამხედრო ტვირთებს. მშენებლობა ჯერ არც დაემთავრებინათ — ნავსადგურს სიგრძეს უმატებდნენ. ბოლომდის გავედი და შეეჩერდი, რომ თვალი გადაამეველო მასადგომების პანორამის თითქოს უკან გადაწეულ ზაზისათვის. სწორედ ამ წუთში ენერგიული ხვნეშით პატარა გემმა დიდ ამერიკულ გემს ცხვირზე „ჰარიკენით“ შემოუარა და მისადგომს მოუახლოვდა. გემს „ლებედინი“ ერქვა და მახსოვს, გავიფიქრე, რომ ეს ლამაზი სახელი, სჩანს, ტრადიციული გამხდარა-მეთქი ჩრდილოეთის წყლებში. ასე ერქვა გემს, რომლითაც მივიდნენ ტატარინოვის მემგობრები და ნათესავეები მის ხომალდთან, რათა უკანასკნელად გადახვეოდნენ კაპიტანს და მისთვის „ბედნიერი ნაოსნობა და წარმატება“ ესურვათ. იქნებ ეს სწორედ ის „ლებედინია“, რომელსაც ერთ წერილში „პირველი რუსული ყინულმჭკრელი“ ეწოდა? რასაკვირველია, არა!

მეზღვაური საბიჯელებზე საწვავით სავსე კასრს მიაგორებდა. მე ვთხოვე კაპიტანისთვის დაეძახა და ერთი წუთის შემდეგ წითუ-

რი, ასე ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი, უბრალო ლურჯ სპეცტანსაქმელში, ზეთისაგან გაშავებული ხელების წმენდით გენბანზე გამოვიდა.

— ამხანაგო კაპიტანო, ერთი რამ მინდა გკითხოთ, — ვუთხარი მე, — იქნებ იცოდეთ, რევოლუციამდეც „ლებედინი“ ერქვა თქვენს ბუქსირს?

— დიახ.

— როდის არის ჩამოშვებული?

— 1907 წელს.

— მუდამ ასე ერქვა?

— მუდამ.

მე ავუხსენი, რაში იყო საქმე და მან მშველი სიამაყით მოავლო თვალი თავის გემს, თითქოს არასოდეს არ შეჰპარვია ეპკვი, რომ მისი გემი თავის ადგილს დაიკავებდა რუსეთის ფლოტის ისტორიაში.

შესაძლებელია ეს სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ „ლებედინთან“ შეხვედრამ გაზახარა და არაჩვეულებრივად გამომაცოცხლა. მე წავიკითხე კაპიტან ტატარინოვის ცხოვრება, მაგრამ მისი უკანასკნელი ფურცელი მაინც წაუეითხავი დამრჩა.

„ჯერ ყველაფერი არ გათავებულა, — თითქოს მითხრა ამ ძველმა ბუქსირმა, რომელსაც ასეთი წითური ახალგაზრდა კაპიტანი ჰყავდა. — ვან იცის, იქნებ დადგეს დრო, როდესაც შენ შესძლებ ამ ფურცლის გადაშლას და წაკითხვასაც“.

მესამედ რომ გამოვეცხადდი კადრების განყოფილების უფროსთან, ვთხოვე პოლკში, ან თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, სანხედრო-საპაერო ძალების მთავარსარდლობის ჩრდილოეთ ფლოტის განკარგულებაში გავეგზავნე.

ეპკვს გარეშეა, მან უკვე იცოდა ჩემი პირადი და სანსახურებრივი საქმეები, რადგან პატარა ხნის დოჰმილის შემდეგ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მოსწონსო ჩემი გადაწყვეტილება, და მკითხა:

— მეორე ჯანმრთელობა?

ვუპასუხე. სავსებით ჯანმრთელი ვარ-მეთქი. ეს მართალი ან თითქმის მართალი იყო — ჩრდილოეთში მე ყოველთვის უკეთესად ვგრძნობდი თავს, ვიდრე სამხრეთში, დასავლეთში და აღმოსავლეთში.

— კეთილი, ასეთ დროს უსაქმოდ ყიალს ისა სჯობს, გამოგიყე-

ნონ, — ორქოფულად, მაგრამ სავსებით გონიერულად თქვა კადრების განყოფილების უფროსმა.

რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰქონდა გამოყენება მიწაზე. „ვერ მოგარავით, ვიფრენ“, — დაუყოვნებლივ გულში გავიფიქრე, როდესაც მის მოხუც, მაგრამ ღონიერ ხელს ვუყურებდი, რომელმაც დასწერა და ორჯერ ბაზი გაუსვა ჩემს გვარს ბლოკნოტ-კალენდარში.

## თავი მასამ

### თავისუფალი ნადირობა

ყველაფერი ჩინებულად არის — კაპიტანი ცხადდება პოლკო, პოლკის უფროსი აცნობს მას ამხანაგებს, ეკიპაჟს. გასწევს კი ძვირფასი დაღუპული ლურის მაგივრობას ეს ფიქრებში წასული, გულგრილი, პირში ჩიბუხჩაჩრილი, განიერშარკლიანი ლატვიელი შტურმანი?

მფრინავთა შორის კაპიტანი ხვდება ბალაშოვის სკოლის ყოფილ მოსწავლეებს. ის ცხოვრობს თავის ეკიპაჟთან ერთად ახალ, ძელუბით ნაგებ სახლის ფართო ოთახში, რომლის კედლებსაც ჯერ ისევ ასდის ფისის სუნი და მიღაჰო, რომელიც თანჯარიდან მოსჩანს, აგონებს მას პოლარული წრის იქითა პატარა ქალაქში გატარებულ ახალგაზრდობას.

გაოცებით რწმუნდება, რომ ბევრი მფრინავი იცნობს მას და უსამართლოდაც კი თვლიან (რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლოდ), რომ მას მხოლოდ ორი ორდენი აქვს და არა ოთხი. ამგვარად, ყველაფერი მშვენივრად მიდის, მაგრამ ნამდვილად, სულაც ასე მშვენივრად არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვითა გვეგონია. სინამდვილეში კაპიტანს დამდამობით არა სძინავს და დაუსრულებლად კითხულობს ბოლშიე ლუბნიდან მოსულ წერილს, რომლითაც ვილაც დირექტორი პერიშკინი ატყობინებს, რომ კატერინა ივანოვნა ტატარინოვა-გრიგორიევა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბანაკიდან ჯერ ისევ მაისის თვეში წავიდაო, ესე იგი „ბანაკის ნოვოსიბირსკის ოლქში წასვლამდე“, დიდდაზე და პატარა პეტიაზე კი დირექტორი პერიშკინი რატომღაც ერთ სიტყვასაც არ იწერება.

სინამდვილეში, პოლკი, რომელშიაც კაპიტანი სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალმა გაგზავნა, სატორპედო-საბომბარ-

დროა, მაშასადამე, კაპიტანმა ახალი სპეციალობა უნდა შეისწავლოს.

სინამდვილეში ის თავზარდაცემულია, რადგანაც პირველივე გაფრენის დროს რწმუნდება, რომ სრულიად გადაჩვეულა ჩრდილოეთს, ისე გადაჩვეულა, რომ „მიწის გრძნობაც“ კი დავიწყებული აქვს, რომელიც აქ ყოველთვის ოდნავ სხვანაირი იყო.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია. თავის დროზე ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება გარდა გამოუსწორებელისა, რომელიც მოდის დაუკითხავად და ვერსად ვერ წაუხვალ.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ საპაერო ომზე ჩრდილოეთში, თუმცა ეს ძალიან საინტერესოა, რადგანაც არსად ისე არ გამომქლავნებულა ასეთი ბრწყინვალეობით რუსი მფრინავის თვისებები, როგორც ჩრდილოეთში, სადაც გაფრენის ყველა სიძნელეს და საშიშროებას ხშირად ერთვის ცუდი ამინდი და სადაც ნახევარი წლის განმავლობაში პოლარული ღამეა. ერთმა ბრიტანელმა ოფიცერმა თქვა: „აქ მხოლოდ რუსებს შეუძლიათ იფრინონ“. რა თქმა უნდა, ეს იყო პირფერული გადაჭარბება, მაგრამ ჩვენ ეს საკვებით დავიმსახურეთ.

თვით გარემოება ჩრდილოეთში ბრძოლისა აგრეთვე გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ომის სხვა საპაერო ბრძოლების ასპარეზზე. გერმანელთა ტრანსპორტები ჩვეულებრივად თითქმის ზედ გაუვლიდნენ ხოლმე მალალ ნაპირებს — ისე ახლოს, რამდენადაც კი შეიძლებოდა. მათი ჩაძირვა ძნელი იყო — მარტო იმიტომ კი არა, რომ საერთოდ ძალიან ძნელია ტრანსპორტების ჩაძირვა, არამედ იმიტომაც, რომ ტრანსპორტზე გასვლა იმ მაღალი ნაპირიდან შეუძლებელი, ან თითქმის შეუძლებელი იყო, ჩვენ არ შეგვეძლო გვესარგებლა მთელი რუმბების (180°) თითქმის ნახევრით, ხოლო ამ ნახევრის გარეშე, აბა სცადეთ იერიშის მიტანა გემზე, რომელსაც რაც შეიძლება დაბლა უნდა გადაუარო, რომ წყალში ჩაგდებული ტორპედი ნამდვილად მოხვდეს მიზანში! ამასთან, რა თქმა უნდა, გემი არ უცდის, როდის ჩაძირავენო, არამედ ბაღრაგთან ერთად ხსნის ცეცხლს ყველა თავისი საზენიტო იარაღებიდან, ტყვიამფრქვევებიდან და მთავარი ყალიბის ქვემეხებიდან. შენ საკუთარ თავს ვერა სცნობ ბრძოლის აზარტში და კრიკაშეკრული იჭრები ამ გამაყრუებელ, ნაირფეროვან ჯოჯოხეთში!

ყოველი საათი და ყოველი დღე რომ აგიწეროთ, თუ როგორა

ვცხოვრობდით ჩვენ ნ-ზე, ალბათ, ერთფეროვანი სურათი გამოვიდოდა. გაფრენები და გაფრენების გარიყეები. მეცადინეობა, ესე იგი, იგივე გაფრენები. სადილები გრძელ, ფიცრულ ბარაკში და მაგიდასთანაც გაფრენებზე საუბარი. საღამოობით — ოფიცერთა კლუბი, რომელიც ჩვენს იქ ყოფნაში გაიხსნა და რომლითაც განსაკუთრებით ახალგაზრდობა იყო გატაცებული; ახალგაზრდობა, რომელიც შეგშურდებოდა, ისე ადვილად გადადიოდა სატორპედო ნაღმის იერიშის სასიკვდილო განსაცდელიდან ცეკვაზე და გოგონებთან ჭიკჭიკზე. ქალებს, — უმცროს ოფიცრებს, — ნება ეძლეოდათ სამოქალაქო ტანსაცმლით მოსულიყვნენ ამ საღამოებზე.

იქნებ სწორედ ეს გადასვლა, ეს უეცარი ცვლილება და არა სხვა რამ, გამოხატავდა არა უბრალოებას, ან მოჩვენებით ერთფეროვნებას, არამედ პირიქით, — არაჩვეულებრიობას, თითქმის ფანტასტიკურობას, რომლითაც მართლაც სავსე იყო ჩვენი ცხოვრება. მიფრინავ სიბნელესა და თოვლის ტრიალში დაცხრილული თვითმფრინავით; ბრძოლის შემდეგ, როცა ბრძოლის ცეცხლი ჯერ ისევ გივლის სხეულში, რომელიც თანდათან გეყინება; ხოლო ორი საათის შემდეგ მოდიხარ ოფიცერთა კლუბის მორთულ ოთახებში, სვამ ღვინოს და საუბრობ ათას რამეზე! მაშ რამდენად არაფრად უნდა ჩაგეგდო სიკვდილი, რომ არ შეგემჩნია ეს კონტრასტი, ან არ გეფიქრა მაინც ამაზე? თუმცა მეც მხოლოდ პირველ დღეებში ვფიქრობდი ამაზე.

ზევით აღვნიშნე, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდობა იყო გატაცებული კლუბით. მაგრამ თითქმის მთელი პოლკი ახალგაზრდებისაგან შესდგებოდა, — მხოლოდ სამი თუ ოთხი ჩემებრ „მოხუცი“, ოცდაათს გადაცილებული ვიქნებოდით. ჩვენი პოლკის უფროსი იყო საბჭოთა კავშირის გმირი, რომელსაც ყველანი უბრალოდ პეტიას ეძახდნენ, რადგან სხვაგვარად არც შეიძლებოდა მიგეშარათ ამ თეთრ-წითელ, ნოღაცხვირიან და ცოცხალთვალეა ახალგაზრდისათვის; მას, ეს არის, ახლა შეუსრულდა ოცდაოთხი წელი.

ესეც საკითხი იყო, რაზედაც ღირდა დაფიქრება, — ერთი მრავალ საკითხთაგანი, რომელნიც მოულოდნელად მომაყარეს, როდესაც ჩრდილოეთში ჩამოვედი, ომმა წამოსწია მფრინავების ახალი თაობა, იმათგან ჩვენც გვიხდებოდა ზოგიერთი რამის სწავლა: თავისთავად იგულისხმება, ჩვენს შორის არაფიქრითი უფსკრული არა ყოფილა — რატომღაც მრღებელია, თითქოს „მამებსა და შვილებს“ შორის უსათუოდ უფსკრული უნდა იყოს, მაგრამ რაღაც

მანც არსებობდა. ტყუილად კი არ იყო, რომ ნ-ზე მე უფრო ნაკლებ სიფრთხილეს ვიჩენდი, ვიდრე სადმე სხვაგან, და უფრო ადვილად მივიდიოდი სხვადასხვა განსაცდელით სავსე საქმეებზე.

ვინ იცის, იქნებ სწორედ იმიტომ, რომ მე ასე „გავყმაწვილდი“, ბედი. რომელიც ისე მკაცრად გამისწორდა რომის დასაწყისში, აქ, ნ-ზე, სულ სხვანაირად მომექცა.

ივლისში ჯერ ისევ ყუმბარებით დავდიოდი კირკინესზე, და საქმოდ იღბლიანად, როგორც ფოტოებმა გვიჩვენეს. აგვისტოს დასაწყისში უფროსი დავიყოლიე „თავისუფალ ნადირობაზე“ გავეშვი — ასე ეძახიან ვაფრენას დაზვერვის მონაცემების გარეშე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისეთ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტად არის შესაძლებელი გერმანელ ზადრაგების შეხვედრა. ერთხელ მე და ერთმა ლეიტენანტმა ერთად ჩავძირეთ ოთხი ათას ტონიანი ტრანსპორტი, სიმართლე რომ ითქვას, ჩასძირა ლეიტენანტმა, რადგანაც ჩემმა ტორპედმა, რომელიც მეტად ახლო ჩავაგდე, „ტომარა“ გააკეთა „კილს“ ქვეშ და „მარცხნივ წავიდა“, მაგრამ ყველაფერი შემოწმდა ამ ბრძოლაში, მათ რიცხვში, დაქრილი ფეხიც, რომელიც ერთხელაც არ წამომტყვიანი! მე კმაყოფილი ვიყავი, თუმცა ვაფრენების გარჩევის დროს ესკადრილიის უფროსმა, — (ოდესღაც ბალაშოვში კინაღამ სკოლიდან გამოვრიცხე, იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ გამოძლიოდა ერთი დავალება), — ვერ შეედავებოდი, ისეთი სიცხადით დაამტკიცა, რომ „ასე არ უნდა ტრანსპორტების ჩაძირვა“. ორი-სამი დღის შემდეგ განმეორება მოუხდა თავის დასაბუთებისა, რადგანაც მე უფრო დაბლა გავუარე ტრანსპორტს, ისე დაბლა, რომ სახლში ანტენის ნატეხი მოვიტანე, რომელიც თვითმფრინავის სიბრტყეში გაიქედა. ამასთან, ტრანსპორტი — ჩემს მიერ პირველი — ჩაძირული იყო ისე, რომ დასაბუთებამ არ დაკარგა თავისი აზრი და მიიღო მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა.

მოკლედ რომ ვთქვათ, აგვისტოს შუა რიცხვებში, მეორე გემი ჩავძირე, ექვსი ათას ტონიანი, რომელსაც სადარაჯო და ნალმოსანი იცავდა. ამჯერად ესკადრილიის უფროსთან ერთად მივფრინავდი და ჩემდა სასიამოვნოდ, მან ჩემზე უფრო დაბლა მიიტანა იერიში. რა თქმა უნდა, ამის გამო თავის თავისათვის საყვედური არ გამოუცხადებია.

ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება, — საერთოდ არც თუ ისე ცუ-

დად. ოქტომბრის ბოლოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ალექსანდრე ნეველის ორდენის მიღება მომილოცა.

მე უკვე მეგობრებიცა მყავდა ნ-ზე, — ზახტი, მღუმარე, განიერ-შარვლიანი, ჩიბუხიანი შტურმანი ჭკვიანი და ნაკითხი კაცი გამოდგა. მართალია, საერთოდ დიდი მოლაპარაკე არ იყო, — გაფრენის დროს კი სულაც არ იღებდა ხმას, — მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემს კითხვაზე „სად ვიმყოფებით?“ ყოველთვის მიპასუხებოდა ისეთი სიზუსტით, რომ განცვიფრებაში მოვდიოდი. მე მომწონდა მისი მიზანზე მიყვანის ყაიდა. ჩვენ სხვადასხვანაირი ადამიანები ვიყავით, მაგრამ შეუძლებელია არ შეიყვარო ის, ვინც ყოველდღე შენთან ერთად იზიარებს განსაცდელით სავსე სატორპედო იერიშისა და გაფრენის მძიმე შრომას. თუ სიკვდილი იყო, ერთად უნდა დავხოცილიყავით — ერთ დღესა და ერთს საათს, და ვინც სიკვდილში განუყრელია, ისინი სიცოცხლეშიც განუყრელნი არიან.

მართო ჩემს შტურმანს როდი დავეახლოვებივარ ნ-ზე, მაგრამ ეს არ იყო მეგობრობა, რომელზედაც მე ვნაღვლობდი. ტყუილად კი არ არის, რომ იმ დროიდან მე დამრჩა გროვა გაუგზავნელი წერილებისა. იმედი მქონდა, რომ მე და კატია ომის შემდეგ ერთად წავიკითხავდით ამ წერილებს.

მაშინ, როცა მეგობარი, და ნამდვილად ქეშმარიტი მეგობარი, თურმე ისე ახლოს იყო ჩემგან, რომ შეძესლო კატარაში ჩამეჯდარიყავი, ოცი წუთის შემდეგ გადავხვეოდი მას და მეამბნა ყველაფერი, რასაც კი ვწერდი კატიას ჩემს გაუგზავნელ წერილებში.

## თავი მეოთხე

### ემიმი პოლიარნოეში მსახურობს

მთელი ღამე სიზმარში ვხედავდი, თითქო კვლავ დაქრილი ვარ, ექიმი ივან ივანიჩი ჩემკენ იხრება, მე მინდა ვუთხრა: „აბრაში, ქარბუქი, სვამენ“, — და არ შემოძლია, დავმუნჯდი. ეს იყო სიზმარი, რომელიც მეორდებოდა, მაგრამ ასეთი რეალური, დიდი ხნის დავიწყებული სიმუნჯის გრძნობით მე მას პირველად ვხედავდი.

და აი, რომ გამომეღვიძა, ჯერ კიდევ აღგომამდე, ბურანში მყოფმა, როდესაც ყველაფერსა გრძნობ და გესმის, მაგრამ თავს

ნებას აძლევ, არაფერი იგრძნო და არ გაიგო, ფიქრებმა ექიმისკენ წამიღეს და მომაგონდა რომაშოვის ნაამბობი, თუ როგორ ჩავიდა ექიმი თავის შეილთან ფრონტზე. არ ვიცი, როგორ ავხსნა, მაგრამ ამ მოგონებაში მომეჩვენა რაღაც გაურკვეველი, რაც თითქოს დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა, დავიწყე სიტყვასიტყვით მოგონება მისი ნაამბობისა და მივხვდი, რაშიც იყო საქმე: რომაშოვმა თქვა, რომ ექიმი პოლიარნოეში მსახურობსო.

მაშინ, ეშელონში, მე გადავწყვიტე, რომ ეს უბრალოდ სისულელე იყო. წარმოდგენა იმისა, რომ ექიმს შეუძლია დასტოვოს ქალაქი, სადაც ირმებიც კი იმისკენ იყურებოდნენ, როდესაც ის ჩაუვლიდა; წავიდეს სახლიდან, რომელიც მისი სახელობის ქუჩაზეა, მოშორდეს ნენცებს, რომელთაც მას „ჭიების აღმომფხვრელი“ უწოდეს და რომლებიც მიდიოდნენ მასთან საკითხავად, რა მნიშვნელობა აქვს პრიმუსს საოჯახო საქმიანობაში! რომაშოვი შეცდა — პოლიარნოე კი არა, ალბათ, იმიერპოლარეთს გულისხმობდა.

მაგრამ იმ დილას, მე თვითონაც არ ვიცი რატომ, გავიფიქრე: იქნებ მართალი თქვა-მეთქი!

მართლაც, განა შეეძლო ექიმს იმიერპოლარეთიდან, რომელიც ცხრა მთას იქით იყო, 1941 წლის ზაფხულს ლენინგრადში ჩამოსულიყო? საოცრება არ იქნება, რომ იგი მართლა პოლიარნოეში მსახურობდეს და მე, აი, უკვე სამი თვეა, აქვე ყურის ძირში ვცხოვრობდე, ჩემს საყვარელ, ძველ ძვირფას მეგობართან?

მორიგე შემოვიდა და ხმადაბლა თქვა:

— დროა ადგეთ, ამხანაგებო! — და თვალები აახამხამა, როდესაც დაინახა, რომ მე ერთი ხელით სასწრაფოდ შარვალს ვიცვამდი, მეორე ხელით კი სკამის ზურგზე გადაკიდულ კიტელს ვიღებდი.

შესანიშნავია, რომ ექიმს თურმე სწორედ იმ დღეს და იმავე წუთებში მოვაგონდი — ამაში სრულიად სერიოზულად მარწმუნებდა, წინაღუდს ბრძანება წაეკითხა ჩემი დაჯილდოების შესახებ და ჯერ ვერ მიმხვდარიყო, რომ ეს მე ვიყავი, რადგან „ქვეყანაზე ცოტა გრიგორიელები არიან?“ მაგრამ მეორე დღეს, გათენებისას, ჯერ ისევ ლოგინში მწოლიარეს, გადავწყვიტა, რომ ნამდვილად მე ვარ — და ისიც, ისევე როგორც მე, თურმე საჩქაროდ ტელეფონს ეცა.

— ივან ივანიჩ, ძვირფასო, — ვუთხარი მე, როდესაც ჩემამდის მოაღწია ჩახრინწულმა ხმამ, რომელიც სრულიად არა ჰგავდა ივან

ივანიჩის ხმას, — თითქოს ძლივს გამოაღწია იმ დილით კოლმს სრუტეზე გაძლიერებულ შემოდგომის ქარის ღმუილში. — სანია გრიგორიევი გელაპარაკებათ, მიცანით? სანია!

მინც ვერ გავიგე, მიცნო თუ არა ექიმმა, რადგანაც ჩახრინწული ხმა გადავიდა საკმაოდ მელოდიურ სტვენაში. მე გამშაგებით დავიღრიალე და ტელეფონზე მომუშავე ქალმა, რომელიც მიმიხვდა, რასა ვცდილობდი, მაცნობა, რომ მოგახსენებთ მეორე რანგის სამხედრო ექიმი პავლოვიო.

— რას მომახსენებს? გადაეცით, რომ სანია ელაპარაკება!

— ახლავე, — მითხრა ტელეფონზე მომუშავე ქალმა. — ის კითხულობს, დღეს უნდა გაფრინდეთ თუ არაო.

მე გამიკვირდა:

— რა შუაშია აქ გაფრენა? თქვენ უთხარით, რომ სანია ვარ.

— უკვე ვუთხარი, რომ სანია ზართ, — შემომიტია ტელეფონზე მომუშავე ქალმა. — იქნებით დღეს საღამოთი ნ-ზე თუ არა, ან სად გიპოვოთ?

— ეიქნები! — დავუყვირე მე. — ოფიცერთა კლუბში მოვიდეს. გააგებია?

ტელეფონზე მომუშავე ქალმა არაფერი მითხრა, მერე რაღაც გადაადგილდა მილში და უკვე თითქოს იმან კი არა, არამედ ვიღაც სხვამ წაიბურტყუნა:

— მოვა.

მე მინდოდა ექიმისთვის მეთხოვნა, პოლიტსამმართველოში შეველო, გაეგო ჩემი წერილები ხომ არ იყო — ათიოდე დღე გავიდა, რაც წერილები არ მომეკითხნა, მაშინ, როდესაც პოლიარნოეს პოლიტსამმართველოს მინამართი კორაბლიოვსაც დავუტოვე და ვალიასაც, მაგრამ უკვე აღარაფერი ისმოდა.

რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნო იყო გაგება იმისა, რომ ექიმი პოლიარნოეშია და რომ მე დღეს ვნახავ მას, თუ ქარიშხალი არ გაძლიერდა. მაგრამ დღესაც არ ვიცი, რატომ მოხდა, კლუბში რომ მივედი, ჯერ თეთრი ლენო დავლიე, მერე — წითელი, მერე — კვლავ თეთრი და ასე მივაყოლე. რა თქმა უნდა, ყველაფერი რიგზე იყო, მით უმეტეს, რომ ჩვენი უფროსი და ვიღაც სამხედრო კორესპონდენტი გვერდზე ოთახში ვახშობდნენ, მაგრამ ნაცნობი ქალები, რომლებიც დროდადრო, — ფოქსტროტსა და ფოქსტროტს შუა, — ჩემს მაგიდასთან სხდებოდნენ, იცინოდნენ, როდესაც ვეუბნებოდი: მე რომ ცეკვა მცოდნოდა, სულ სხვა, ბრწყინვა-

ლე ცხოვრება მექნებოდა-მეთქი. ჩემი ყოველი წარუმატებლობა მხოლოდ ერთი მიზეზით წარმოიშვა — ჩემს სიცოცხლეში ცეკვა არ ვიცოდი.

არსებითად, აქ არაფერი იყო სასაცილო და ჩემმა შტურმანმაც, რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა და ჩაფიქრებული ჩიბუნსა სწევდა, მითხრა, საესებით მართალი ხართო. მაგრამ ქალიშვილებს არ ვოცი, რა აცინებდათ.

ასეთ მშვენიერ, თუმცა ოდნავ სევდიან გუნებაზე ოფიცერთა კლუბში ვიჯექი, როდესაც კარებში გამოჩნდა და მაგიდებს შორის ფრთხილად გამოემართა მალალი, ხანში შესულა მეზღვაური, — ჩემის აზრით, ექიმი ივან ივანიჩი..

ეგებ გავიფიქრე კიდევ, წელში როგორ მოხრილა და დაბერებულია, წვერი გასქალარავებია-მეთქი, მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მირაეი იყო, სინამდვილეში კი უწინდელი იღუმალებით აღსავსე ჩემი ბავშვობის ექიმი, შუბლზე სათვალეაწეული, ჩემსკენ მოდიოდა: თითქოს ენაზე უნდა წაეელო ხელი, ან ყურში ჩაეხედა.

— ექიმო, მინდა ავადმყოფი გაგასინჯოთ, — ვუთხარი სერიოზულად. — საინტერესო შემთხვევაა: ადამიანს შეუძლია წარმოთქვას მხოლოდ ექვსი სიტყვა: ქათამი, უნაგირი, ყუთი, ქარბუქი, სვამენ და აბრამი.

— სანია!

ერთმანეთს გადავეხვიეთ, შევხედეთ ერთმანეთს და კიდევ გადავეხვიეთ.

— ძვირფასო ივან ივანიჩ, ცოტა მთერალი ვარ, არა? — ვუთხარი მე, როდესაც შევნიშნე, რომ მწუხარების ჩრდილმა გადაუარა მის კეთილ სახეს, — ჩვენ უღმერთოდ გავითოშენით აეროდრომზე, და, აი... გაიცანით, მაიორი ოზოლინი.

— დიდი ხანია აქა ხარ, სანია? — მკითხა ექიმმა, როდესაც შტურმანმა რალაც წაიბუტბუტა და წავიდა, რომ ჩვენთვის ხელი არ შეეშალა. — როგორ მოხდა, რომ ამდენ ხანს ვერ შევხვდით ერთმანეთს?

— სამი თვეა. რა თქმა უნდა, მე ვარ დამნაშავე.

— განა არ იცოდი, რომ მე პოლიარნოეში ვიყავი? აკი კატერი-ნა ივანოვნას დავუტოვე მისამართი?

— ვის?

ალბათ სახე ამითრთოლდა, იმიტომ რომ მან სათვალე გაისწო-  
რა და შეწუხებული მომაჩერდა.

— შენს ცოლს, სანია, — ფრთხილად მითხრა მან, — იმედია,  
ჯანმრთელად არის? მე ვიყავი მასთან ლენინგრადში.

— როდის?

— შარშან, აგვისტოში. სად არის, სად არის? — მეკითხებოდა  
ის, თან სულ ახლო მოიწია ჩემთან და შეწუხებული თვალებს ახამ-  
ხამებდა.

— არ ვიცი, დაგისხათ?

პასუხისათვის არც დამიციდია, ბოთლს ხელი წავევლე.

— გეყოფა, სანია, — ალერსიანად მითხრა ექიმმა და გვერდ-  
ზე გადადგა ჯერ თავისი, მერე ჩემი ჭიქა. — ყველაფერი მიაშვე-  
ვლოდია გახსოვს? მოჰკლეს, — უეცრად თქვა მან, თითქოს ამით  
უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ახლა მე ყველაფერი შემეძლო მე-  
ამბნა და სათვალის ქვეშ თვალებზე ცრემლები მოადგა.

თავდახრილები ვისხედით ჩვენ ნათელ ხმაურიან ოფიცერთა  
კლუბში. ორკესტრი ფოქსტროტებსა და ვალსებს უკრავდა და სპი-  
ლენძი ძლიერი გუგუნით იძლეოდა გამომძახილს პატარა ხის დარბა-  
ზებში.

ახალგაზრდა მფრინავები იცინოდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობ-  
დნენ დერეფანში, რომელიც ჰყოფდა სასტუმროს რესტორნისაგან.  
იქნებ სწორედ ეს, ოცი წლის ახალგაზრდა, ასეთი მხარბეკიანი, ასე-  
თი ვაჟკაცური, გადაბმული წარბებით, ამაღაშვე, ცივი, მოუსვენარი  
ზღვის ზემოდან, ნისლში შეხედება სიკედილს, რომელიც სრული ბა-  
ტონ-პატრონივით შევა მისი თვითმფრინავის კაბინაში... თითქოს  
უზარმაზარი რაღაც, ქვის, მოუხერხებელი, იყო შემოტანილი სახლ-  
ში, სადაც ჩვენ მშვენივრად ვცხოვრობდით და ახლა, რათა გველა-  
პარაკნა, გვეცეკვა და გვეცინა და არ გვეფიქრა ამ უხეში ქვის რა-  
ღაცაზე, უნდა მოვმკვდარიყავით ისე, როგორც მოკვდა ვალოდია.

ოდესღაც ის ლექსებსა სწერდა, და ოთხი სტრიქონი ტუნგუს ბავ-  
შვზე, რომელიც სკოლიდან ბრუნდებოდა, ახლაც ზეპირად მახსოვ-  
და. ის ამაყობდა იმით, რომ იმიერპოლარეთში მოსკოვის სამხატვრო  
აკადემიური თეატრი ჩამოვიდა და მსახიობებს იგი ყვავილებით შეხ-  
ვდა. ბედნიერება იყო ექიმისათვის, რომ ასეთი შვილი ჰყავდა, და  
აი, მოხუცი ზის ჩემს წინ, თავჩაქინდრული და ცდილობს, ცრემლებს  
მოერიოს.

— მაგრამ სად არის კატია, რა დაემართა?

მე ვუამბე, როგორ დაეკარგეთ ერთმანეთი.

— ღმერთო ჩემო, შენ დაიკარგე და არა კატია! — განცვიფრებით თქვა ექიმმა. — შენ იბრძოდი სამ ზღვაზე, დაიჭერი და ჰოსპიტალში შენ იწექი და არა ის. ის კარგად და ჯანმრთელად არის! — დიდის ამბით გამოაცხადა მან. — და დღედაღამ შენ გექძებს. გიპოვის კიდევ. ან მე არა მცოდნია, რა არის ქალი, როდესაც მას უყვარს. ახლა კი მართლაც დაასხი. მისი სადღეგრძელო დავლიეთ.

უკვე ნათქვამი იყო ყველაზე მთავარი, უკვე განვლო იმის მწარე შეგნება, რომ სიცოცხლე გრძელდება, თუმცა მე ცოლი არ მიპოვია და არ ვიცი, ცოცხალია იგი თუ არა, ხოლო ექიმმა დაჰკარგა შეილი, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გადაგველახა ეს წუთი. იმდენი რამ გადავიტანეთ უკანასკნელი წლების მანძილზე, იმდენი, რომ უწინდელი ხიდეები ჩვენს შორის ახლა სათუთი და შორეული მოგვეჩვენა. მაგრამ ჩვენ გვექონდა საერთო, ძლიერი ინტერესი და, გადგა თუ არა განზე მწუხარების ზმანება, ჩვენ ისევ იმაზე დავიწყეთ ლაპარაკი.

რასაკვირველია, ეს იყო ჩრდილოეთი. როგორც ორმა მოხუცმა გამოცდილმა ექიმმა ავადმყოფის ლოგინთან, ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ დავიცვათ ჩრდილოეთი, როგორ დავიფაროთ, რა გავაკეთოთ, რომ ის გახდეს ყველაზე საუკეთესო, მხიარული და სტუმართმოყვარე ადგილი ქვეყანაზე. მე ვუამბე ექიმს ჩემთან ერთად პოლკში ნამყოფ ახალგაზრდობაზე, რომელიც ჩინებულად იბრძვის და ამასთან ძალიან ცოტასა ფიქრობს ჩრდილოეთის მომავალზე, ხოლო უფრო ნაკლებს მის წარსულზე.

— არა სცალიათ და არა ფიქრობენ, — თქვა ექიმმა, — შეიძლება სწორიც არის, რომ არა ფიქრობენ. — დაუმატა ცოტა ხნის დუმისის შემდეგ.

მაგრამ იმის მაგივრად, რომ დაემტკიცებინა, რომ ეს სწორია, ლაპარაკი ჩამოაგდო „მათ შესახებ, ვინც ფიქრობენ“, ესე იგი, ჩრდილოეთის მკვიდრთა შესახებ.

მიაბზო ანა სტეპანოვნას ძმების ამბავი, რომლებიც სატრანსპორტო გემებზე მსახურობდნენ, ახლა კი საზღვაო მონადირეებზე იბრძოდნენ, თითქოს მთელი სიცოცხლე სამხედრო მეზღვაურები ყოფილიყვნენ.

— არა, უქმად არაფერს არ ჩაუვლია, — დაასკვნა მან. — და რომ ჩრდილოეთი ჩვენი ფასადია, როგორც სწერდა მენდელეევი.

ჩემთვის არასოდეს არა ყოფილა ისე ნათელი, როგორც ახლა, ომის დროს!

წასვლის დრო იყო. ჩვენ მარტონი დავრჩით რესტორანში. ეჭიმს ჯერ არა ჰქონდა ღამის გასათევი, მაშასადამე, მისთვის რომ საწოლი მეშოვა, უფრო ადრე უნდა დაებრუნებულიყავი პოლკში.

საერთოდ, საღამო გავიდა, ამაში არავითარი ეჭვი არ მეპარებოდა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ვერა და ვერ შევრიგებოდი, რომ საღამო უკვე გავიდა იმ დროს, როდესაც ერთმანეთისათვის მეთედოც არ გვითქვამს იმისა, რის თქმაც აუცილებლად გვინდოდა! რას იზაძ. ქვევით რომ ჩავედით, მაზარები ჩაეცვიტ და თბილი, ნათელი, შეზარხოშებული ქვეყანა უკან დაგვრჩა. წინ კი გადაიშალა კუპრივით შავი ნ-ი, სადაც ავი, პირქუში ჩრდილოეთის ქარი დათარეშობდა.

## თავი მესამე

### მათ ბაუმარჯოს, ვინც ზღვაში არიან

წყალქვეშა ნაველები მთავარი ხალხი იყო ამ ადგილებში და არა მარტო იმიტომ, რომ ომის დასაწყისში მათ ძალიან ბევრი გააქეთეს, თითქმის ყველაზე მეტიც კი ჩრდილოეთის ფლოტში, არამედ იმიტომაც, რომ დამახასიათებელი თვისებები მათი ყოფა-ცხოვრებისა, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა, მათი დაძაბული საბრძოლო მუშაობისა თავის დაღს ასვამდა მთელი ქალაქის ცხოვრებას. ისე, როგორც არსად, ერთნი არიან ყველანი სიკვდილისათვის წყალქვეშა ნავში, რომელზედაც ან ყველანი ილუპებიან, ან ყველანი იმარჯვებენ. ყოველი სამხედრო სამუშაო მძიმეა, მაგრამ წყალქვეშანაველების, განსაკუთრებით „მალიუტკებზე“, ისეთია, რომ, ალბათ, არ დავთანხმდებოდი, ათი ყველაზე მეტად საშიში გაფრენა რომ ერთხელ „მალიუტკით“ წასვლაზე გამეცვალა. თუმცა მე ჯერ ისევ ბავშვობაში წარმომედგინა, რომ ადამიანთა შორის, რომელნიც ასე ღრმად ჩადიან წყალში, უსათუოდ უნდა იყოს რაღაც საიდუმლო პირობა, იმ ფიცის მაგვარი, რომელიც მე და პეტკამ ოდესღაც ერთმანეთს მივეციტ.

1942 წლის აგვისტოს ბოლოს ერთ კაპიტანთან ერთად მე მოვახერხე მესამე ტრანსპორტის ჩაძირვა. ცნობილი ფ-ს „მალიუტკამ“

ჩემი დახმარებით ჩასძირა მეოთხე. არც ღირდა ამის გახსენება, მე ცარიელი მოვდიოდი და შემეძლო მხოლოდ მეცნობებინა შტაბისათვის გერმანული გემის კოორდინატები. მაგრამ ფ-მ „გოჭზე“ — დამპატიყა და ამ „გოჭიდან“ დაიწყო ამბები, რომელთა შესახებაც ღირს ლაპარაკი.

ვინ არ იცის ფლოტის ცნობილი ტრადიცია — აღნიშნონ ყოველი ჩაძირული გემი საზეიმო სადილით, რომელზედაც სარდლობა შემწვარი „გოჭით“ უმასპინძლდება გამარჯვებულთ? წინაღობით ჩასძირეს ტრანსპორტი, სადარაჯო გემი და ესძიხეცი და თავიანთ საქმეში გართულმა თეთრქუდიანმა მზარეულებმა შემოიტანეს არა ერთი, არამედ სამი გოჭი ოფიცერთა ფართო სასადილოში, სადაც ასო II-სავით იდგა მაგიდები და სადაც სუფრის თავში იჯდა ადმირალი — ჩრდილოეთის ფლოტის სარდალი.

მადისმომგვრელი, ნაზი ვარდისფერი, ფერმკრთალი, მწუხარებით სავსე დრუნჩებით ეწყო გოჭები ლანგრებზე და სამი მეთაური ადგა მათ თავზე დიდრონი დანებით ხელში. ესეც ტრადიცია იყო — გამარჯვებულებმა თავისი ხელით უნდა დასკრან გოჭი. მაგრამ რა ნაკრებია! ბრინჯით გატენილი და პირშუშხას ბურბუშელამოყრილი უზარმაზარი ნაქერი მაგიდის იქითა მხრიდან შენკენ მოცურავს და უნდა მოერიო როგორმე, რომ მასპინძლებს არ აწყენინო.

ადმირალი დგება, ხელში ჭიქა უჭირავს. პირველი სადღეგრძელო გამარჯვებული მეთაურებისა და მათი ეკიპაჟისაა. მე ვუყურებ მას. ის ჩამოდიოდა ხოლმე ჩვენს პოლკში და მე დამახსოვდა, როგორ ცოცხლად, ახალგაზრდულად გადასწია თავი, შეჩერდა და ისე უსმენდა პოლკის უფროსს, რომელიც პატაკს აძლევდა მას. იგი ახალგაზრდაა, სულ ოთხი წლით არის ჩემზე უფროსი. თუმცა მე ის ჯერ კიდევ ესპანეთიდან მახსოვს.

მათ გაუმარჯოს, ვინც ზღვაში არიან — მეორე სადღეგრძელო! ჭიქები წკრიალებს, ფეხზემდგომი მეზღვაურები სვამენ ძმათა სადღეგრძელოს, რომელნიც არქტიკული ლამის უდაბნოში საგმიროდ მიდიან. უსურვებენ სამხედრო წარმატებას და გულის სიმშვიდეს სახიფათო, გადაწყვეტ წუთებში!

ახლა ადმირალი მაგიდის მეორე მხრიდან მიყურებს, მე ვზივარ მარჯვნივ, სტუმარ ქურნალისტებს შორის, რომელთაც ფ. ჩანგლისა და დანის დახმარებით უჩვენებს, როგორ და რანაირად ჩასძირეს ესმინეცი. თვალს არ მაშორებს ადმირალი, რაღაცას ეუბნება მეზობელს და მეზობელი დივიზიონის უფროსი წარმოსთქვამს მესამე

სადლეგრძელოს. გაუმარჯოს კაპიტან გრიგორიევს, რომელმაც „მარჯვედ მიაყენა გერმანულ ქარავანს წყალქვეშა ნავი“ და აღმირალი მანიშნებს, რომ ჩემს სადლეგრძელოსა სვამს...

-ბევრი შეისვა ამ საღამოს და მე არ დავიწყებ ყველა სადლეგრძელოს ჩამოთვლას, მით უმეტეს, რომ ეურნალისტებმა, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიე, აღნიშნეს ამ „სამჯერად გოკზე“ პერიოდულ პრესაში. ვიტყვი მხოლოდ, რომ აღმირალი სრულიად მოულოდნელად ადგა და გავიდა. ჩემს სკამს რომ გაუსწორდა, ჩემკენ დაიხარა ისე, რომ ადგომის ნება არ მომცა, და ხმადაბლა მითხრა:

— გთხოვთ, დღეს ჩემთან შექოიაროთ, კაპიტანო!

### თავი მეთექვსმეტი

### ღიღი მანძილები

მანქანა ადგილს მოსწყდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ეს წვიმისა და ნისლის ფაფა, რომელიც მიწაზე სულაც არ გვაწუხებდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ჩვენი გაფრენისა, რომელიც შესდგება: ა) ამოცანისა და ბ) ყველაფრისაგან, რაც ამოცანას ხელს უშლის.

ჩვენ წავედით მალა ჯერ გვერდული ფრენით, მერე კი სიძლიერე განვავეითარეთ და მიმართულემა ავიდეთ.

ამგვარად, ამოცანა, თუ „საგანგებო დავალება“, როგორც აღმირალმა თქვა: გერმანული რეიდერი (ალბათ, დამხმარე კრეისერი) კარის ზღვაში გავიდა, სროლა აუტეხა ნავსადგურ ტ-ს და სადღაც შორს აღმოსავლეთით დახეტიალებს. მე უნდა მეპოვნა და ჩამეძირა იგი — რაც ადრე მოვახერხებდი, მით უკეთესი იქნებოდა იმიტომ, რომ ჩვენი ქარავანი სამხედრო ტვირთით ჩრდილოეთ საზღვაო გზით მოდიოდა და შედარებით ახლო იყო ამ ნავსადგურიდან. საერთოდ კი ძნელი არ იყო წარმოგედვინათ, რა შეუძლია გააკეთოს მშვიდობიან წყლებში დიდმა სამხედრო გემმა!

...თუმცა ძალიან მეზარებოდა, მაგრამ ხუთნახევრამდის აწევა მაინც მოგვიხდა. თუმცა აქაც არაფერი იყო, გარდა იმავე მოსაწყენი ღრუბლის ფაფისა, რომელსაც ვილაც, თვით ღმერთისმაგვარი, ღონივრად ზელავდა გოლიათური კოვზით.

ამგვარად — იპოვო და ჩასძირო! არც კი შეიძლებოდა შედარება, ჰირველი ამოცანა მეორეზე რამდენად უფრო რთული იყო! მაგრამ

რა განცვიფრებული იყო ადმირალი, როდესაც მის რუკაზე შევასწორე თითქმის ყველა კუნძული ნორდენშელდის არქიპელაგის აღმოსავლეთ ნაწილისა!

— თქვენ ყოფილხართ იქ?

— არა.

მან არ იცოდა, რომ მე ვყოფილვარ და არცა ვყოფილვარ იქ. ნორდენშელდის არქიპელაგის რუკა „ნორდის“ ექსპედიციის მიერ ზედომის წინ იყო შესწორებული. მე არა ვყოფილვარ იქ, მაგრამ ოდესღაც ამ ადგილებში გაიარა კაპიტანმა ტატარინოვმა და გონების თვალთ მე ათასჯერ გავყოლივარ მას.

ღიახ, მართალი იყო ექიმი ივან ივანიჩი: ტყუილუბრალოდ არაფერი იკარგება! ცხოვრება უხვევს იქით-აქეთ, ეცემა, როდესაც მიწისქვეშა მდინარესავით იკვლევს გზას ბნელეთში, მარადიული ღამის მღუმარებაში და უეცრად გამოდის ლალად, მზისა და სინათლისაკენ, როგორც გამოვიდა ახლა ჩემი მანქანა ამ ღრუბლის ფაფიდან, — გამოდის და აღმოჩნდება, რომ ტყუილუბრალოდ არაფერი იკარგება!

ეს ჩვეულებრივი აზრი იყო — როგორ წავიდოდა ჩემი ცხოვრება ჩრდილოეთში, კატია რომ მეპოვა და ჩვენ ერთად გვეცხოვრა ნ-ზე.

ის გაიღვიძებდა, როდესაც ღამის მეოთხე საათზე მე შევიდოდი შინ გაფრენის წინ. ის იქნებოდა ფერმოსული, ჩამთბარი, ნამძინარევი. როცა შინ შევიდოდი, იქნებ მეკოცნა მისთვის არა ისე, როგორც ყოველთვის, და ის მაშინვე მიხვდებოდა, რა მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩემთვის ის, რაც მე ადმირალმა დამავალა.

ასე იყო ეს მრავალჯერ, მაგრამ განმეორდება ოდესმე?

აი, ჩვენ ვსხედვართ და ყავასა ვსვამთ, როგორც სარაბუზაში. ლენინგრადში, ვლადივოსტოკში, როდესაც ღამე ვაღვიძებდი ზოლმე. ხალათში, დასაძინებლად დაწნული ნაწნავეებით, მღუმარედ მიყურებს და უეცრად საღდაც მირბის, აგონდება, რომ რაღაც გემრიელი აქვს ჩემთვის — მათრობელა ალუბალი ან ზეთისხილი, რომელიც ორივეს გვიყვარს. მერე, კი გაფრენის დროს, მთელი ეკიპაჟი აქვებს ჩემს ცოლს და სკამს ზეთისხილს ან მათრობელა ალუბალს.

ღიახ, ეს ჩემი კატია იყო, მისი სილაღით. სიამაყითა და სიყვარულით, რომლისაგანაც მუდამ, ალბათ კუბოს ფიცრამდე, თავბრუდახვეული ვიქნები, კატია, რომლის შესახებაც მე არაფერი ვიცი. გარდა იმისა, რომ ის ჩემთან არ არის. თუნდაც ამიტომ, უსათუოდ უნდა ვიპოვო და ჩავძირო ის რეიდერი.

— შტურმანო, კურსი!

სამი გრადუსით ასცდა ერთმანეთს პილოტისა და შტურმანის კურსები და ჩინებულად დაემთხვა, როდესაც ჯიბეებიდან ამოკყარეთ სათუთუნეები, ფარნები და სანთიები...

რაზედ ვფიქრობდი? კატიაზე. იმაზე, რომ მივფრინავ იმ ადგილებში, ნადაც, ოდესღაც მასთან ერთად უნდა წავსულიყავი და სადაც ისე დიდხანს არ მიშვებდნენ. განა ნამდვილად არ ვიცოდი, რომ მოვა დრო და მე იმ ადგილებში მივფრინდები? განა ნახევარი გრადუსის სიზუსტით არა ვხაზავდი მარშრუტს, რომლითაც, როგორც ბავშვურ თვალისმომკრელ სიზმარში, გაიარა ხომალდ „წმ. მარიამის“ ეკიპაჟმა? ისინი მძიმედ სუნთქავდნენ, თვალები დაეხუჭათ, რომ არ დაბრმავებულყვნენ. გაიარა და წინ იყო დიდი ადამიანი, გოლიათი — ბეწვის ჩექმებით...

მაგრამ ეს უკვე ბოდეა. მე უკუვაგდე იგი. ახალი მიწა შორს არ იყო.

• მოგწყინდებოდათ, მე რომ დაწვრილებით მეამბნა თქვენთვის, თუ როგორ ვეძებდით რეიდერს. ერთფეროვანია არქტიკული ზღვების უდაბნო, ძნელია პოვნა სამხედრო გემის შენიღბულ, ოდნავ შესამჩნევ ზოლისა ამ უსასრულო უდაბნოში. კაი ორი კვირა ვფრინავდით ბაზიდან ბაზაზე. ერთ-ერთი გაფრენა შეიდი საათი გაგრძელდა — უკეთესი იყო უფრო მოკლე ყოფილიყო, რადგანაც კარის ზღვაზე ორი მიმართულებით გავლის შემდეგ, ახალ მიწაზე დაბრუნებულებმა, ჩვენ ვერ ვიპოვეთ იგი. თითქოს ეს უზარმაზარი კუნძულები აქამდე უბრალოდ, შეცდომით იყო აღნიშნული გეოგრაფიულ რუკაზე; ვიდრე საწვავი გვეოფნიდა, შავ ნისლში მას თავს დაფერენდით და, რომ ჩვენს იღბლად ნისლი ქარს არ გაეგლიჯა, ვინ იცის, იქნებ ვერც მომეხერხებინა ამ წიგნის დამთავრება. ჩვენ მაშინვე იქითკენ გავქანდით, უეცრად დავხურეთ გაზი და მშვილობიანად დავეშვიით.

მეორედ კანჯოთი ფრინველთა მთელ ბაზარს წავაწყდით. შავთეთრი ფრინველების მილიონები ისხდნენ კლდეებზე. ასე გეგონებოდათ, მთელ ნაპირზე ორი მილის მანძილზე სქლად მოუყრიათო მარილი. ისინი ჭყიოდნენ, ფრთებს აფართხუნებდნენ, უსტვენდნენ, ადგილიდან მოსწყდებოდნენ, მეზობლებს მისწევ-მოსწევდნენ და კვლავ სხდებოდნენ ფრიალო კლდეებზე და საერთო გამაყრუებელ ხმაურობაში გაისმოდა ცალკეული შეძახილები, თითქოს მართლაც ბაზარი იყო, სადაც ჩხუბობდნენ ურამებზე მსხლომი მოჩხუბარი დე-

დაკაცები. საშინელი სიმყრალე იყო და, რა თქმა უნდა, შეხედავდი თუ არა ამ საკვირველ მოვლენას, მაშინვე უნდა გაბრუნებულიყავი. მაგრამ მსროლელმა-რადისტმა, რომელსაც სადღაც წაეკითხა ბურგომისტრ თოლიებზე, ჩვენდა ჭირად იპოვა ამ უზარმაზარი ფრინველის წყვილი, რომელიც ცალკე იჯდა, საერთო სამყოფელს მოშორებული, თითქოს მედიდურად თვალყურს ადევნებდა იქაურობას და წესრიგს იცავდა ხმაურიან ბაზარზე. მან ისროლა და მოჰკლა ბურგომისტრი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ძვირად დაგვიჯდა ეს საბედისწერო გასროლა. ყველაფერი გაჰქრა — მიწაცა და ცაც! შავთეთრი ფრთების ქარიშხალი ნაპირს მოსწყდა და ჩვენკენ გამოიჭრა ყვირილით, სტვენით და ჰაერის კვეთით. გიჯანტური წყალვარდნის ქუხილი დაგვატყდა თავს და ნეტა მარტო ქუხილი ყოფილიყო! ამ შემთხვევის შემდეგ ერთი დღე და ღამე ვიბანდით, კანჯოს ვრეცხავდით, და უნდა გითხრათ, რომ რეგლანის ღილზე შეკრულ ჯიბეშიც კი ვიპოვე სკინტლი.

მოკლედ, ორი მძიმე კვირა გავატარეთ ახალ მიწაზე. ყოველთვის გავწევდით ხოლმე რეიდერის შეხვედრის იმედით, თუმცა ჩემთვის დიდი ხანია აშკარა იყო, რომ ის ბევრად უფრო აღმოსავლეთით უნდა გვეძებნა; დაუსრულებლად დავტრიალებდით თავზე ზღვას, ვიდრე საწვავი არ გავგითავდა და ვიდრე შტურმანმა გულგრილად არა მკითხა:

— სახლისაკენ?

და „სახლი“ იშლებოდა ჩვენს წინ — უცნაურად მიჭრილ-მოჭრილი მიუვალი მთები, ლურჯი მყინვარები, თითქოს მთელ სიგრძეზე შუაზე გაპობილნი, რომელნიც მზად არიან უძირო თოვლის ხეობებში ჩასხლტნენ.

მაგრამ აი, დადგა დრო, როდესაც გათავდა ჩვენი „ცხოვრება ახალ მიწაზე“, რაზედაც ღირს, ცოტა უფრო დაწვრილებით გიამბოთ. მე ბელელთან ვიდექი, რომლის სახურავიც მოკლული ფრინველებით იყო დაფარული, კედლებზე კი სელაპების ტყავები იყო გაკრული. ორი პატარა ნენეცი, რომლებიც პინგვინებს ჰგავდნენ თავიანთ ყრუ სახელოებიან ბეწვის კოსტიუმებში, ნაპირზე თამაშობდნენ. მე კი მათ მშობლებს ველაპარაკებოდი — გოგონასავით პატარა დედას და ასეთსავე მამას, რომელიც ყავისფერ თავს მალიციიდან ჰყოფდა. მახსოვს, ლაპარაკი იყო საერთაშორისო საქმეებზე და თუმცა ანალიზი გერმანიის უიმედო მდგომარეობის შესახებ ჩემს მიერ

„პრავდის“ ძალიან ძველი ნომრიდან იყო ამოღებული, ნენეცი აპირებდა, დღესვე ეამბნა ეს მეგობრისთვის, რომელიც შედარებით ახლოს ცხოვრობდა მისგან — სულ ორასი კილომეტრის მანძილზე. პატარა ცოლი არა მგონია თუ ერკვეოდა პოლიტიკაში, მაგრამ შემოკვერცხილ მბზინავ შავ თავს მაინც გვიქნევდა, და სულ გაიძახოდა:

— კალგი, კალგი.

— გინდა ფრონტზე წასვლა? — ვკითხე ნენეცს.

— მინდა, მინდა.

— არ გეშინია?

— ლათ უნდა მეშინოდეს, ლათა?

სწორედ ეს ის წუთი იყო, როდესაც შტურმანი დავინახე, ის ჩემკენ მორბოდა, — კი არ მოდიოდა, არამედ სწორედ მორბოდა ნაპირზე კონცხიდან, რომლის უკანაც თვითმფრინავი იდგა.

— სხვა ბაზაზე გადავდივართ!

— სადა?

— იმიერპოლარეთში!

მან თქვა იმიერპოლარეთშიო და, თუმცა არაფერი იყო შეუძლებელი იმაში, რომ ჩვენ იმიერპოლარეთში გადავსულიყავით, ესე იგი სწორედ იმ ადგილებში, სადაც ჩემის აზრით, უნდა გვეძებნა რეიდერი, მე მაინც განცვიფრებული ვიყავი! ეს ხომ ჩემი იმიერპოლარეთი იყო!

— შეუძლებელია!

შტურმანმა უკვე მიიღო უწინდელი გულგრილი, აუჩქარებელი, ლატვიური შეხედულება.

— მიბრძანებთ შევამოწმო?

— საჭირო არ არის.

— როდის მივფრინავთ?

— ოცი წუთის შემდეგ.

თავი მუხვიღე

## ისამ იმიერპოლარეთში

გზა კი არა, კედლების ხეივანი მიდიოდა აეროდრომიდან ქალაქისაკენ და, რომ ვუყურებდი ამ მოშრიალე, მდიდრულად გადაშლილ კედარებს, უნებურად გავიფიქრე, რომ მაინც დიდი ხანია, რაც არა

ვეოფილვარ-მეთქი ჩემი ახალგაზრდობისა და მთელ ჩემ სიცოცხლეში ყველაზე გაბედულ იმედების ქალაქში.

უცებ ვერ მივაგენი ექიმ პავლოვის სახლს, რადგან ჩემი აქ ყოფნის დროს, ამ ქუჩაზე მხოლოდ ერთი სახლი იდგა, რომელიც თვითონ ექიმს ეკუთვნოდა, ხოლო ყველა დანარჩენი სახლები მხოლოდ გეგმაზე არსებობდნენ, რომელიც საოლქო აღმასკომში ეკიდა. ახლა მაღალ მებობლებს შორის მიკარგულიყო პატარა სახლი, რომელშიაც ოდესღაც შტურმან კლიმოვის დღიურების კითხვაში საღამოები გამიტარებია. რა მშვენიერი, ახალგაზრდული საღამოები იყო! გვერდით ოთახში ვალოდიას მსუბუქ ნაბიჯებზე ოდნავ ჭრიალებდნენ იატაკის ფიცრები. ექიმი უეცრად ჩაახველებდა, მაგრამ მოიფშვნეტდა ხელებს და ხმამაღლა წაგვიკითხავდა ხოლმე წიგნიდან საყვარელ ადგილს. მერე ზღარბს დაუწყებდა ტუქსეას, რომელსაც რატომღაც მისი ღამის ტუფლების ლეკვა უყვარდა. ანა სტეპანოვნა შემოდიოდა ჩემთან — დიდი, წარმოსადეგი, მტკიცე სახისა, სამართლიანი, რომლისთვისაც შეგეძლოთ ყველაფერი გეთქვათ, ყველაფერი გაგენდოთ. — შემოვიდოდა და უხმოდ დამიდგამდა თეფშს ნამცხვრის ვეებერთელა ნაჭრით.

...ის ახლაც არ მოხრილიყო წელში, მწუხარებას არ გაეტება, მხოლოდ გაქალაჩავებულიყო და ორ დიდ, ღრმა ნაოქს ჩაელარა დაშვებული ბაგე. მის ფიგურასა და სახის გამომეტყველებაში მომეჩვენა რაღაც მამაკაცური, როგორც ეს მოსდით ხოლმე ზორბა ტანის, ხანში შესულ ქალებს.

— რაღა დაგიძახოთ ახლა? — მითხრა მან, საგონებელში ჩავარდნილმა, როდესაც ჩვენ სახლის წინ ბაღაში შეეხვდით ერთმანეთს და სასადილო ოთახში შევედით, მგონი, სწორედ უწინდელში, სადაც ყვითელი სუფთა იატაკი იყო. — თქვენ ხომ ბიჭი იყავით მაშინ! რამდენი წელი გავიდა? თხუთმეტი? ოცი?

— მხოლოდ ცხრა, ანა სტეპანოვნა. სანია დამიძახეთ. თქვენთვის მუღამ სანია ვიქნები.

შემომხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ მე ვიცოდი ვალოდიას ამბავი, მაგრამ დიდხანს სიტყვა არ დაუძრავს ვალოდიაზე იმ სულიერი ტაქტის გამო, რომელმაც — მე ეს ვიგრძენი — არ მისცა ნება, ასე უცბად, შეხვედრის პირველ წუთებშივე, იძულებული გავეხადე, გამეზიარებინა მისი მწუხარება. თვითონ მე დავიწყე რაღაც, მაგრამ მან შემაწყვეტინა და სწრაფად მითხრა: „მერე!“

— როგორ, ჩვენთან ჩამოხვედით? დიდი ხნით? რა მიხარია, რომ კარგად და ჯანმრთელადა ხართ!

— დიდი ხნით არ ჩამოვსულვარ, ანა სტეპანოვნა. დღესვე გავფრინდებით.

— საზღვაო მფრინავი, ორდენები, — ისე თქვა, თითქოს ჩემთან ერთად ამაყობდა, რომ მე საზღვაო მფრინავი ვიყავი და ორდენებიცა მქონდა. — ახლა საიდან? რომელი ფრონტიდან?

— ამეამად ახალი მიწიდან, უფრო ადრე პოლიარნოედან. პირდაპირ ივან ივანიჩისაგან!

— კარგია ერთი!

— პატიოსნებას გეფიცებით.

ანა სტეპანოვნა გაჩუმდა.

— მაშ, ნახეთ იგი?

— როგორ თუ ვნახე! ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. განა არ მოუწერია?

— მწერდა, — თქვა ანა სტეპანოვნამ, და მე მივხვდი, რომ მან იცოდა კატის ამბავი.

მაგრამ მე არ დამპირებია მისი შეჩერება, როგორც მან შემაჩერა, როდესაც ვალოდიაზე დავიწყე ლაპარაკი. ვის შეეძლო იმაზე ღრმად და ძლიერად ეგრძნო ჩემი მჭუხარება და მღელვარება — ყველაფერი, რაზედაც არავისთან არ შემეძლო მელაპარაკნა?!.. ის არ მანუგეშებდა, არ ადარებდა თავის მჭუხარებას ჩემსას, მხოლოდ მომეხვია და თავზე მემამბორა, მე კი ხელები დაუუკოცნე.

— ჩემი მოხუცი როგორღაა? ჯანმრთელად არის?

— სრულიად ჯანმრთელად.

— დაბერდა, სამსახურისათვის უკვე დაბერდა, — ჩაფიქრებით თქვა ანა სტეპანოვნამ. — აქ მისთვის ადვილია ადგილობრივ ხალხთან, თავის ნებზე. ხუმრობა ხომ არ არის სამოცდაერთი წლის კაცისათვის სამხედრო სამსახური. შეიძლება მეგობრებს ვაცნობო, რომ თქვენ მოფრინდით? დრო რამდენი გაქვთ?

ვუთხარი, ღამემღე მაქვს-მეთქი დრო. მან წინ დამიდგა პური, თევზი და ერთი ტოლჩა შინაური ღვინო, რომელსაც ძალიან გემრიელად აკეთებდნენ იმიერპოლარეთში. მერე შალი წამოისხა, ბოდიში მოიხადა და გავიდა.

ღიახ, ქარაფშუტობა იყო ჩემ მხრივ, რომ ნება მივეცი ანა სტეპანოვნას, ეცნობებინა მეგობრებისათვის ჩემი მოფრენის შესახებ.

ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ბალჩასთან მსუბუქი მანქანა გაჩერდა და, გაოცებულმა მანქანაში მთელი ჩემი ეკიპაჟი დავინახე. მსროლელი და რადისტო რადაცაზე ხმამალლა იტინოდნენ, შტურმანი კი მთელ ჩრდილოეთის ფლოტში განთქმულ განიერ საგარეო შარვალში შოფრის გვერდზე იჯდა და გულგრილად უშვებდა ჰაერში ბოლის დიდრონ რგოლებს.

— სანია, ამხანაგ ლედკოვს გამოუგზავნია ჩვენს წასაყვანად, — მითხრა მან, როდესაც გავედი. — ჩაჯექი და დაუყოვნებლივ წავიდეთ. მასთან ვისაუბრებთ, მერე კი...

— რომელ ამხანაგ ლედკოვს?

— არ ვიცი, შალმობხეული მაღალი ქალი მოვიდა აეროდრომზე და გვითხრა, ამხანაგმა ლედკოვმა გამომგზავნაო. ის საოლქო აღმასკომთან გადმოვიდა.

— ლედკოვი? მოიცათ... ოჰ, მახსოვს! რასაკვირველია, ლედკოვი!

ეს იყო სწორედ საოლქო აღმასკომის ის წევრი, რომლისთვისაც წავედი. მე და ივან ივანიჩი ოდესღაც ვანოკანში, სადაც ფეხში მძიმედ დაქრილი ლედკოვი იწვა. ნენცების ჩრდილოეთში მას ნაკლებად როდი იცნობდნენ, ვიდრე ილია ვილკას ახალ მიწაზე. ჰო, დიდი ხანი არ არის, პოლიარნოეში ექიმი ლედკოვზე მიაშობდა, — როგორი ენერგიული, გამბედავი, მომუშავე დაღვა და როგორ შესძლო პირველივე კვირაში ოლქის მთელი ცხოვრება გაფანტულ მომთაბარე მოსახლეობით ომის ამოცანებისათვის დაექვემდებარებინა.

— სხვათა შორის, — თქვა ექიმმა, — მას აინტერესებდა, იპოვეთ თუ არა კაპიტანი ტატარინოვი. გახსოვს, ექსპედიციასთან ერთად რომ გელოდით — ის წავიდა კიდევ, ნენცებში მიიკითხ-მოიკითხა. მისი ცნობებით, ერთ-ერთ გვარში შენახული უნდა იყოს „წმიდა მარიამის“ ამბავი.

ძნელი არ არის წარმოიდგინოთ, რომ ლედკოვმა (ბუნდოვანად მახსოვდა იგი და გამოიკვირდა, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, მკვრივი, თითქოს ქვისაგან ნაკვეთი სახით და წვეტიანი ჩინურ ყაიდაზე დაყენებული უღვაშებით, ჩვენს შესახვედრად საოლქო აღმასკომის აივანზე გამოვიდა) გულთბილად მიგვიღო იმიერპოლარეთში. სადილ შემდეგ, რომელზედაც მე გრძელი სიტყვა წარმოვთქვი, მიძღვნილი ექიმ ივან ივანიჩისა და მისი საბრძოლო მოღვაწეობისადმი ჩრდილოეთის ფლოტში, ჩვენ ხე-ტყის ქარხანაში წავედით, მერე ახალ პოლიკლინიკაში და ასე შემდეგ. ყველგან გვიმას-

პინძლდებოდნენ და ყველგან მე ვუამბობდი ივან ივანიჩზე, ისე რომ, ბოლოს და ბოლოს, თვითონ მეც ისე მომეჩვენა, რომ ივან ივანიჩის მონაწილეობის გარეშე, ჩვენი ჩრდილოეთ საზღვაო გზების დაცვა შეიძლება მარცხი განეცადა.

დიდი ინტერესით ვათვალიერებდი იმიერპოლარეთს. მე რომ იქიდან წამოვედი, ქალაქი, ის იყო, მეექვსე წელში გადაღვა, ახლათხუთმეტი შეუსრულდა და, შეხედავდით თუ არა, დაასკვნიდით, რომ მას დრო ტყუილად არ დაეკარგა, მეტადრე, თუ გავთხსენებდით, რომ აქედან სამი ყველაზე ძვირფასი წელი ომმა წაიღო.

აქაც, ფრონტიდან ორი ათას ხუთასი კილომეტრის მანძილზე, თუ დაუკვირდებოდით, ბევრ რამეში იგრძნობდით ომს. როგორც უწინ, ნავსადგურში ახლაც „კარისტვის“ ემზადებოდნენ, მაგრამ ნავსაბელებთან უკვე აღარ იდგნენ უცხოეთის უზარმაზარი გემები. არ ურბენდნენ ქალაქს მხიარული, გაოცებული ზანგები; როგორც უწინ, ახლაც მოდიოდა ხე-ტყის ბირეაზე ენისეის, ანგარის, ქვემო ტუნგუსკის სათავეებიდან ტივები, და პატარა სახლები ტივებზე, რომელთა საკვამლეებიდანაც კვამლი ამოდიოდა, თოკზე გაფენილი თეთრეულით, უწინდებურად ჰქმნიდნენ პროტოკაზე მკურავი სოფლის მშვიდობიან შთაბეჭდილებას. მაგრამ გამოცდილ თვალს ადვილად შეეძლო განესაზღვრა არამშვიდობიანი დანიშნულება ხე-ტყის ნედლეულისა, რომლისაგანაც ეს სოფელი შესდგებოდა.

მაგრამ სულ სხვა რამემ განმაცვიფრა, როდესაც უკვე საღამო ხანს „მედვეთი ლოგში“ წავედით, სადაც ოდესღაც ჩემი მეგობარი ევენეკ უდაგირის ერთადერთი „ჩუმი“ იდგა, ახლა კი ორსართულიანი სახლების ორი მშვენიერი, ფართო კვარტალი გაჭიმულიყო. მე წარმომიდგა, რომ ამ ადგილებში თითქოს უკვე გადებულა ხიდი „ომამდელი“ და „ომის შემდგომ“ დროს შორის, ცხოვრება, რომელმაც უკუაგდო თავდასხმა და გაიმარჯვა, უწინდელი კუშტი სიჯიუტით ამკვიდრებდა თავის თავს დიად ჩრდილოეთის აღმშენებლობაში.

გაფრენის წინ ზოგი რამ კიდევ იყო მოსაგვარებელი და შტურმანი და მსროლელები აეროდრომზე გავგზავნე, მე კი ლედკოვთან დავჩრჩი, მის კაბინეტში, საოლქო აღმასკომში.

ანა სტეპანოვნა წავიდა, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ გაფრენის წინ უსათუოდ შევივლიდი გამოსამშვიდობებლად.

— ერთი გულახდილად მითხარით, — მითხრა ლედკოვმა, — ოო-

გორ არის ჩვენი მოხუცი? ჩვენ უიმისოდ, თითქოს მარჯვენა არა გვეკონდეს, ისე ვართ. და ამის მოწყობა ადვილიც არის.

— რისა?

— მისი გამოძახების და დემობილიზაციისა. ის ხანგადასულია.

— არა, არ დარჩება, — ვუთხარი მე, როდესაც მომაგონდა, როგორ ჯავრობდა ივან ივანიჩი, დივიზიონის მეთაურმა ნება რომ არ მისცა, სარისკო ლაშქრობაში წასულიყო წყალქვეშა ნავით, — იქნებ შვებულებით წამოვიდეს. ისე კი, სამუდამოდ, არ ინდომებს, მეტად რე ახლა.

ეს „ახლა“ ნათქვამი იყო ომის ახლო მომავალში დამთავრების ზმრით, მაგრამ ლედკოვმა სხვაგვარად გამიგო: „ახლა, როდესაც ვალოდია მოკვლეს“.

— დიახ, მენანება ვალოდია, — თქვა მან, — რა მორიდებული, რა კეთილშობილი ბიჭი იყო! მშვენიერ ლექსებსაც წერდა. თქვენ იცით, ექიმი ჩუმად უგზავნიდა იმ ლექსებს გორკის. ვალოდიას მიწერ-მოწერაც ჰქონდა გორკისთან. ერთი წინადადება გორკის მიერ ვალოდიასათვის მოწერილი წერილიდან ჩვენ თემად ავიღეთ სასკოლო პლაკატისათვის...

მან მაჩვენა ეს პლაკატი: „ვეკვობ, რომ სხვაგან სადმე დედამიწის ზურგზე იყვნენ ბავშვები, რომელნიც ისეთ მკაცრ პირობებში ცხოვრობდნენ, როგორც თქვენ, მაგრამ თქვენი მომავალი მუშაობით დედამიწის ყველა ბავშვს თქვენსავით ამაყ მამაცებად გადააქცევთ“. იმ მართლა მშვენიერი წინადადების ზემოდან დასატული იყო გორკი, რომელიც ოდნავ ნენეცს ჩამოჰგავდა.

ჩვენ სავარძელში ვისხედით ვანიერ ფანჯარასთან, საიდანაც იშლებოდა ახალი ქუჩების პანორამა, რომლებიც სანაპიროდან ტაიგისკენ მიდიოდნენ. ხე-ტყის ქარხნიდან ბოლი ამოდიოდა, ბირყასთან ელექტროურმები შტაბელებს შორის დაჰქროდნენ, შორს კი მოჩანდა ხელშეუხებელი ლეგა ტყეები, ტყეები დაუსრულებლად...

ეს იყო მღუმარების წუთი, როდესაც ჩვენ კრინტი არ დაგვიტრავს. მაგრამ იქ, ფანჯრის იქით, მიმდინარეობდა უფლებით აღსავსე უსიტყვო ლაპარაკი, ლაპარაკი, რომელიც დაიწყო იმ წუთში, როდესაც საბჭოთა ადამიანმა პირველად შესდგა ფეხი ენისეის მივიწყებულ ნაპირებზე.

მე ცერად შევხედე ლედკოვს. ის ადგა და კოჭლობით, — პროტეზი ჰქონდა, — ფანჯარასთან მივიდა. მღელვარებამ გადაუარა გუშტ, სალდათურ სახეზე, რომელსაც ამშვენებდა შესიებულ მონ-

დოლურ ქუთუთოებს შორის ჩამსხდარი კვიანნი თვალები. მივხვდი, რომ მანაც შეაფასა ეს წუთი.

— ბევრი რამ გაგიკეთებიათ, — ეუთხარი მე.

— არა, მხოლოდ დავიწყეთ, ეს პირველი ნაბიჯია, — მიპასუხა მან. — ომამდე ასე გვეგონა, თითქოს ბევრი იყო გაკეთებული. ახლა კი ვხედავ, რომ ათასი ამოცანიდან ჩვენ ორი თუ სამი გადავწყვიტეთ.

გამომშვიდობებისას მე ვკითხე მისი მოგზაურობის შესახებ მომთაბარე ნენცებში, სადაც, თითქოს, შენახული უნდა ყოფილიყო რაღაც თქმულებები ხომალდ „წმ. მარიამის“ ეკიპაჟზე. მართლა იყო იქა? ნენცებს მართლა გამოჰკითხა?

— როგორ არა, ვიყავი. ეს იაპტუნგაის ტომის მომთაბარე ხალხია.

— მერე?

— ვიპოვე.

ისე დამკრა უეცრად გულმა, თითქოს ჩვიდმეტი წლის ბიჭი ვიყავი.

— ესე იგი? — ვკითხე გულგრილად.

— ვიპოვე და ჩავიწერე. ახლა, მგონი, ვერ მოვიგონებ, სად არის ეს ჩანაწერი, — და თან თვალი მოავლო მოძრავ თაროს, რომელზედაც მრავალი საქმის ყდები და გრაგნილი ქაღალდები ეწყო, — დაახლოებით ასეა: წინანდელ დროში, როდესაც ჯერ კიდევ „მამის მამა ცხოვრობდა“ იაპტუნგაის საგვარეულოში მოვიდა კაცი, რომელმაც იქაურობას თავი გააცნო კარის ზღვაში დაღუპულ მხეცებზე მონადირე ხომალდის მეზღვაურად. ამ მეზღვაურმა უამბო, რომ თურმე ათი კაცი გადარჩა და ტაიპირის ჩრდილოეთით, რომელიღაც კუნძულზე, გამოიზამთრეს. მერე მიწისაკენ წავიდნენ, მაგრამ ვზად ყველა ამოწყდა, მან კი „ერთ ადგილზე სიკვდილი არ ინდომა“ და წინ გასწია. და აი, მიაღწია კიდევ იაპტუნგაის სოფელს.

— მისი სახელი ხომ არ ახსოვთ?

— არა. ის მალე მოკვდა. ჩაწერილი მაქვს: „მოვიდა, თქვა — ვიცოცხლებო, მაგრამ გაათავა ლაპარაკი თუ არა, მოკვდა“.

ნენცების ოლქის რუკა, კარის ზღვის ნაწილით, ლედკოვის კაბინეტში ეკიდა, მე ვიპოვე ნაცნობი მარშრუტი — რუსული კუნძულებისა, სტრელეგოვის კონცხისა და პიასინის შესართავისაკენ...

— რომელ რაიონში მომთაბარეობს იაპტუნგაის გვარი?

ლედკოვმა მიჩვენა, მაგრამ ვიდრე ის მიჩვენებდა, მე თვალით ვიპოვე და ზუსტად აღვნიშნე რაიონის ჩრდილოეთი საზღვარი.

— ეს იყო „წმიდა მარიამის“ მეზღვაური.

— ასე გგონიათ?

— აი, დავთვალთ. მისი სიტყვებით, ხომალდიდან გადაარჩა ათი კაცი.

— დიახ, ათი.

— შტურმან კლიმოვთან ერთად წავიდა ცამეტი. ხომალდზე დარჩა თორმეტი, იმათგან ორნი, — მექანიკოსი ტისი და მეზღვაური სკაჩკოვი, — ღრეიფის პირველ წელს დაიღუპნენ. დარჩნენ ათნი, მაგრამ, ეგეც რომ არ იყოს, მე წინათაც შემეძლო ნახევარი გრადუსის სიზუსტით მეჩვენებინა გზა, რომელიც მათ გაიარეს. ჩემთვის მხოლოდ ის არ იყო ნათელი, მიაღწიეს თუ არა პიასინამდე.

— ახლა?

— ახლა გარკვეულია.

მე ვუჩვენე წერტილი, სადაც იქნებოდა კაპიტან ტატარინოვის ექსპედიციის ნაშთები, თუ კი, საერთოდ, ჯერ კიდევ იქნებოდა სადმე დედამიწის ზურგზე...

— ძვირფასო ანა სტეპანოვნა, საშინელი ღორობა მომივიდა, რომ ამდენ ხანს დავრჩი ლედკოვთან, — ვუთხარი ანა სტეპანოვნას, როცა მასთან შევიარე ლამე და ის გაშლილ სუფრასთან დამხვდა ჩემს მოლოდინში. — მაგრამ უნდა წავიდე. ერთს გადაგკოცნით და ჰაიდა.

ჩვენ ერთმანეთს გადავხვებით.

— როდის დაბრუნდებით?

— ვინ იცის? იქნებ ხვალ, ან იქნებ, არასოდეს.

— „არასოდეს“ — ეს საშინელი სიტყვაა, მე მას ვიცნობ, — თქვა მან; ამოიოხრა და პირჯვარი გადამწერა, — თქვენ ნუ ამბობთ მაგ სიტყვას. დაბრუნდებით და ბედნიერი იქნებით. ჩვენ კი, მოხუცები, კიდევ გავიხარებთ თქვენი ბედნიერებით.

...ლამით გვიან, — რომ გვიან იყო, ამას მხოლოდ მაშინ მიხვდებოდით, საათს თუ დახედავდით, — ჩვენ იმიერპოლარეთიდან გავფრინდით. მოწითალო მზე მალლა იდგა ცაზე. როგორც უზარმაზარი ორთქლმავლის ბოლი, სწრაფად ზედიზედ მოჰქროდნენ ღრუბლები.

განა ვიფიქრებდი, რომ გამითენდებოდა დღე, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე ველოდი? არა! ეკიაჰმა უჩემოდ შეამოწმა ძრავები და მე ვწუხდი, — გულდასმით კი შეამოწმეს ყველაფერი?!

ბამარჯვება

ჩვენ ღამის ორ საათზე გამოვფრინდით, ზუთის ნახევარზე კი რეიდერი ჩავძირეთ. მართალია, არ გვინახავს, როგორ ჩაიძირა იგი, მაგრამ ჩვენი ტორპედის შემდეგ მან დაიწყო „ლიელივი“, როგორც მეზღვაურები ამბობენ. ესე იგი, გზა დაკარგა და ორთქლის ღრუბლებით დაიფარა.

ეს დაახლოებით ასე მოხდა: ის ისეთნაირად მოდიოდა, რომ ჩემსა და შტურმანს შორის მოკლე შეკამათებაც მოხდა, (რომელიც უკეთესი იქნება ამ წიგნში არ მოვიყვანოთ) იმის გამო, ჩრდილოეთის ფლოტის შემადგენლობას ხომ არ ეკუთვნოდა ეს გემი. როდესაც დაერწმუნდით, რომ ეს ასე არ იყო, მას მოვშორდით, როგორც ჩემს შტურმანს უყვარდა, მერე სიჩქარეს ვუმატეთ და გეზი მიზანზე ავიღეთ.

ათსუს, რომ არ შემიძლია დავხატო ის საკმაოდ რთული ფიგურა, რომლის გაკეთებაც მომიხდა, რათა რაც შეიძლება ზუსტად ჩამომეგდო ტორპედო. ეს იყო რვიანი, თითქმის სრული. ამასთან, მე ორ იერიშს ვაწარმოებდი, პირველმა გვიმტყუნა. მერე ჩვენ დავიწყეთ გაძრომა, სწორედ გაძრომა, იმიტომ, რომ, როგორც ეს მალე გამოიჩვენა, არც გერმანელებს დაეკარგათ ტყუილუბრალოდ დრო.

ჯერ ისევ პირველად რომ შემოვუარე, მსროლელმა დაიძახა:

— კაბინა სავსეა ბოლით!

სამი ძლიერი დარტყმა გაისმა, როდესაც მეორედ შემოვუარეთ, მაგრამ ამაზე საფიქრებლად არ მეცალა, რადგანაც კრიკაშეკრული მე უკვე რეიდერზე მივიწვედი. სამაგიეროდ, ახლა საკმარისი დრო მქონდა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ მანქანა დამსხვრეულია, საწვავიც იღვრებოდა, ზეთიც და თუ არა შტურმანი, რომელმაც დროულად გამოიყენა ახალი ხერხი, ჩვენ დიდი ხანია დავიწვოდით. მარჯვენა ძრავი ჯერ ისევ მიზნის ზემოდან ყოფნის დროს პატარა ნაბიჯიდან დიდზე გადავიდა, მერე კი ძალიან დიდზე — შეიძლება ითქვას გოლიათურზე.

რასაკვირველია, ჩვენ გვქონდა პატარა ნავები და შეიძლებოდა შებრძანებინა ეკიპაჟისათვის, პარაშუტებით გადამხტარიყვნენ.

მაგრამ ეს პატარა ნაგები არხანგელსკთან გამოვცადეთ, წყნარ ყრუ ტბაზე და იქაც, წყლიდან რომ გამოვდიოდით, ძაღლებივით ვძაგ-ძაგებდით. აქ კი ჩვენ ქვეშ იყო ისეთი გულმიუსავალი, წერილი ყინულით დაფარული ცივი ზღვა!

არ ჩამოგივლით იმ მოკლე მოხსენებებს მანქანის მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც მიკეთებდა ჩემი ეკიპაჟი. ისინი ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე მე მინდოდა. ერთი ძალიან სამწუხარო მოხსენების შემდეგ შტურმანმა მკითხა:

— გავუძლებთ, სანია?

დიახაც, გავუძლებთ! ჩვენ ღრუბლებში შევედით და ცისარტყელის ორმაგ რკალში ძირს დავინახეთ მკაფიო ჩრდილი ჩვენი თვითმფრინავისა. სამწუხაროდ, ის დაბლა ეშვებოდა. ჩემი მხრიდან ყოველგვარი მიზეზის გარეშე ის უეცრად მკვეთრად დაეშვა ფრთით, და შესაძლებელი რომ ყოფილიყო სიკვდილის დანახვა, ჩვენ, ექვს გარეშეა, დავინახავდით მას, ზღვის მიმართულებით დაქანებულ სიბრტყეზე.

...მე თვითონ არ ვიცი როგორ, მაგრამ მანქანა გამოვიყვანე. რომ შემემსუბუქებინა იგი, მსროლელს ვუბრძანე, ტყვიამფრქვევის ბაღროები გადაეყარა. კიდევ ათი წუთი და თვითონ ტყვიამფრქვევები ყირამალა წავიდა ზღვაში.

— გავუძლებთ, სანია?

რასაკვირველია, გავუძლებთ! შტურმანს ვკითხე, რა მანძილზე ვართ-მეთქი ნაპირიდან. მიპასუნა, შორს არა ვართ — ოცდაექვსი წუთია დაახლოებით. რასაკვირველია, იცრუა, რათა გავემხნეებინე, ნაპირამდე ოცდაათზე ნაკლები არ იქნებოდა.

— პარველად არ, მიხდებოდა ჩემს ცხოვრებაში ასეთი წუთების დათქლა. ზოგჯერ შიშის დასაძლევად ამ წუთებს ვთვლიდი სასოწარკვეთილებით, სიბრაზით. ხდებოდა ხოლმე, რომ ეს წუთები მრგვალი, მძიმე ქვებივით მეწყობოდა გულზე და მე ნალევლით სავსე ველოდი როდის ჩაცურდებოდა წარსულში კიდევ ერთი მტანჯველი ქვა — წუთი!

ახლა მე არ ველოდი. გაათვრებულნი, აზარტით, რომლისაგანაც რაღაც საშინელი სიმხიარულე მივლიდა გულში, მე ვაჩქარებდი და ბიძგს ვაძლევდი მათ.

— გავუძლებთ, სანია?

— დიახაც გავუძლებთ!

ჩვენ გავუძელით. ნახევარ კილომეტრის მანძილზე ნაპირიდან,

რომლის შესახებადაც არც გვეცალა, წყალში ზღართან გავადინეთ და ფსკერისკენ კი არ წავედით, — თუმცა ეს ძალიან უცნაური იყო, — მეჩეჩიან ადგილზე მოვხვდით. ყველა უსიამოვნებას ახლა მიემატა ყინულოვანი ტალღები, რომლებიც მაშინვე თავიდან ფეხებამდის გადაგვევლენ. მაგრამ რა იყო ეს ტალღები ან ის, რომ მანქანას მთელი ერთი საათი აქეთ-იქით ისროდა, ვიდრე ნაპირს მივალწევდით ან თუნდაც ათასი ახალი სიძნელე, შედარებით ინფორმაციურს მორიგ, მოკლე ფრაზასთან: „ერთი ჩვენს თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა“?

რატომ გადავწყვიტე, რომ ეს მიდენდორფის სრუტეა და, მაშასადამე, დასახლებული ადგილებიდან შორს დავეშვით? არ ვიცი. შტურმანს გამოანგარიშებისათვის არ ეცალა, და ვიდრე ჩვენ ზღვით მივიდიოდით, მას აინტერესებდა ერთადერთი კურსი — ნაპირი, ახლა კვლავ არ ეცალა გამოანგარიშებისათვის, რადგან ვუბრძანე მანქანა დამეგარებინათ და ჩვენ ვმუშაობდით მანამდე, ვიდრე არ დავცვივდით ვინ სად და ვინ სად ჰშრალ ნაპირზე, მზისაგან გახურებულ ქვებს შორის. წყნარად ვიწექით, შევეყურებდით ცას. — მოკრიალებულს, გაშლილს, ერთი ღრუბელი არა ჩანდა და ვფიქრობდით ყველა თავის საფიქრალზე. მაგრამ ეს „თავისი“ საერთო გრძობა: „გამარჯვება“ იყო.

ჩვენ ვიწექით ღონემიხდილნი და იმის თავიც აღარა გვექონდა, სახეზე მიკრული ქეიშა მოგვეშორებინა, ასევე გვახმებოდა მზეზე და ნაქერ-ნაქერ გეცვივოდა. გამარჯვება. ჩამქრალი ჩიბუხი შტურმანს მკერდზე ედო, უეცრად ხმამაღლა ხვრინვა ამოუშვა და ჩიბუხი ჩამოუცურდა. არაფერი არ გვინდა, ოღონდ ვუყუროთ ამ სილაყვარდით, ელვარებით, ძლიერებით სავსე ცას და ვგრძობდეთ ხელის გულბქვეშ თბილ კენჭებს. გამარჯვება.

ყველაფერი გამარჯვება იყო, ისიც კი, რომ ძალიან გვეშოდა, მე კი თავს ძალას ვერ ვატანდი ავმდგარიყავი და მანქანიდან ბუტერბროდები გამომეღო, რომლებიც ანა სტეპანოვანამ გზაში გამომატანა...

არა ღირს გვიამბოთ, თუ როგორ ვათვალისწინებდით მანქანას ეტყობა, ბოლის მიზეზი, რომლის შესახებაც მსროლელმა მომახსენა, იყო კაბინაში გამსკდარი ქურვი. თუ არ ჩავთვლიდით ას თუ ორას ნახვრეტს, თვითმფრინავში წუნს ვერ შეიტანდით — თუნდაც შედარებით რკინის იმ გროვასთან, რომელზედაც მიხდებოდა

ზოგჯერ ფრენა. მაგრამ მას ჰქონდა ერთი ნაკლო — ფრენა აღარ შეეძლო, ხოლო ჩვენ კი აღარ შეგვეძლო მისი წესრიგში მოყვანა.

ჩინებული სადილი გვექონდა, პირველი წენიანი რძის ფხვნილი-სა, შოკოლადისა და კარაქისა; მეორე — თიფის წვენი, მაგრამ უკვე ძმრალად. ასე გადავწყვიტეთ:

ა) დაგვემაგრებინა მანქანა იქ, სადაც ის იდგა, ღრმად ჩაჭრილი ქვიშიან ნაპირში, — სულ ერთია, ჩვენ არ შეგვეძლო მისი მაღალ ნაპირზე ატანა;

ბ) მანქანასთან დაგვეტოვებინა მსროლელი;

გ) წავსულიყავით ხალხისა და დანშარების საქებნელად.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ჯერ ისევ ზღვაზე ფრენის დროს ვი-ლაცამ, მგონი რადისტმა, ნაპირზე სახლი თუ ხის კოშკურა შენიშ-ნა. მაგრამ, გავგოგდით თუ არა ნაპირისაკენ, ის გაქრა, მოსახვევში დაიმაღა. იქნებ ეს სანაეიგაციო ნიშანი, ესე იგი, სანაპირო შენობა იყო, რომელსაც იშვიათად ესტუმრებიან ხოლმე გემები, მაშინ ჩვენ-თვის არაფერი აზრი არ ექნებოდა მას, მაგრამ იქნებ სხვა რამეა!

თუმცა შეიძლებოდა, არსადაც არ წავსულიყავით, სადილ შემდეგ კვლავ ქვებს შორის მყუდრო უქარო ადგილი გვეპოვა და დაგვესვენა, თან მიმავალ მოცისფრო ყინულებისათვის გვეცქირა, რომლებიდანაც წკრიალით მოწანწკარებდა მზეზე მოელვარე წყალი. მაგრამ, სამწუხაროდ, რადიო გატეხილი იყო და რამდენიც არ ატრიალა ჯიუტმა რადისტმა, ის მაინც ქვასავით სდუმდა.

ერთი სიტყვით, მაინც უნდა წავსულიყავით. საით? ალბათ ამ სანაეიგაციო ნიშნისაკენ, რომელიც შეიძლებოდა ელექტრო შუ-ქურა გამომდგარიყო, ან რაიმე ამგვარი.

— მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, — ვკითხე შტურმანს, — სადა ვართ?

გავიდა არა უმეტეს საათის მეოთხედისა, ვიდრე ამ კითხვანზე მიპასუხა. მართალია, მან დაასახელა არა ის კოორდინატები, რომე-ლოც დავასახელე მე, როდესაც ლედკოვმა მკითხა: მაშ სადღა იმყოფება, თქვენის აზრით, კაპიტან ტატარინოვის ექსპედიციის ნაშ-თებიო.

მაგრამ შტურმანის კოორდინატები ისე ახლო იყო ამ წერტილ-თან, წერტილთან, რომელსაც თითო დავადე ლედკოვის რუკაზე, რომ მე უნებურად გარშემო მივიხედ-მოვიხედე — ორ ნაბიჯზე, აი, იმ ქვის უკან, თვითონ კაპიტანს ხომ არ დავინახავ-მეთქი...



ნაწილი მხათა

## უკანასკნელი შუახელი

თავი პირველი

ბამოცნობა

კიდევ ერთი წიგნის დაწერა დამკირდებოდა, რომ დაწვრილებით მეამბნა, როგორ ეიპოვეთ კაპიტან ტატარინოვის ექსპედიცია. სიმართლე რომ ვთქვა, მე ძალიან ბევრი მონაცემები მქონდა, — ბევრად მეტი, ვიდრე, მაგალითად, ცნობილ დიუმონ-დიურვილს, რომელმაც, ჯერ ისევ ყმაწვილმა, გასაოცარი სიზუსტით უჩვენა, სად იპოვიდა ლაპერუზის ექსპედიციას. ჩემთვის უფრო ადვილიც იყო, რადგან კაპიტან ტატარინოვის ცხოვრება მკიდროდ გადაეხლართა ჩემს ცხოვრებას და დასკვნები ამ მონაცემებიდან საბოლოო ანგარიშში ეხებოდნენ იმასაც და მეც.

აი, გზა, რომლითაც მას უნდა გაევილო, თუ უდაოდ მივიჩნევდით იმას, რომ ის ჩრდილოეთ მიწაზე დაბრუნდა, რომელსაც მან „მარიამის მიწა“ უწოდა: 79° 35' განედლიდან 86 და 87 მერიდიანებს შორის, რუსულ კუნძულებისა და ნორდენშელდის არქიპელაგისაკენ, მერე, ალბათ ბევრი ხეტიალის შემდეგ, სტერლეგოვის კონცხიდან პიასინის შესართავამდე, სადაც მოხუცმა ნენეცმა ნავი

იპოვა მარხილზე. შემდეგ ენისეისკენ, რადგანაც ენისეი იყო ერთადერთი იმედი, — ხალხი შეხვედროდათ და შეეღა ეპოვათ. ის სანაპირო კუნძულებს ზღვის მხრით მიდიოდა, რამდენადაც შეიძლებოდა პირდაპირ...

ჩვენ ვიპოვეთ ექსპედიცია, ესე იგი ის, რაც მისგან დარჩენილიყო, რაიონში, რომლის ზემოდანაც ვინ იცის, რამდენჯერ გადაუფრენიათ ჩვენს თვითმფრინავებს. როდესაც დიკსონზე გადაქონდათ ფოსტა და ხალხი გადაჰყავდათ; ნორდვიკში მანქანები და საქონელი გადაქონდათ; ნახშირის, ნავთის საბადოების საძიებო გეოლოგიური პარტიები გადაჰყავდათ. ახლა რომ მიეღწია კაპიტან ტატარინოვს ენისეის შესართავამდე. ათობით უზარმაზარ საზღვაო გემს შეხვედებოდა. კუნძულებზე, რომლებსაც ჩაუარა, ახლა ნახავდა ელექტროშუქურებს და რადიოშუქურებს, გაიგონებდა ნაუტოფონებს, რომლებიც ხმამაღლა გუგუნებენ ნისლიან ამინდში და გზას უჩვენებენ გემებს. კიდევ სამასი-ოთხასი კილომეტრი ენისეიზე აღმა, — და იგი დაინახავდა იმიერპოლარეთის რკინიგზას, რომელიც აერთებს დუდინკას ნორილსკთან, დაინახავდა ახალ ქალაქებს, რომლებიც ნავთის მრეწველობის, მალარობისა და ხე-ტყის ქარხნების ირგვლივ წარმოიქმნა.

ზევით აღენიშნე, რომ ჩრდილოეთში ყოფნის პირველი დღეებიდანვე მე ვწერდი კატიას. გაუგზავნელი წერილების გროვა დამრჩა ნ-ზე, იმედი მქონდა, რომ ამ წერილებს ჩვენ ერთად წავიკითხავდით ომის შემდეგ. ეს წერილები რაღაცა ჩემი დღიურის მაგვარად გადაიქცა, რომელსაც ჩემთვის კი არა, კატიასათვის ვწერდი. მოვიყვანე იქიდან მხოლოდ იმ ადგილებს, რომლებშიაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ აღმოვაჩინეთ ბინა.

1. „...განცვიფრებული ვიყავი, როდესაც გავიგე, რა ახლო მისულიყო ცხოვრება ამ ადგილთან, რომელიც მე ისე დაუსრულებლად შორი მეჩვენებოდა. უზარმაზარ საზღვაო გზიდან ორ ნაბიჯზე მდებარეობს იგი და შენ სავსებით მართალი იყავი, როდესაც ამბობდი: „მამა ვერ იპოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არ უძებნიათ“. შუქურასა და რადიოსადგურს შორის გაყვანილია სატელიფონო ხაზი დროებითი კი არა, მუდმივი, ბოძებზე. სამთამადნო დამუშავებას აწარმოებენ ათ კილომეტრზე სამხრეთისაკენ, ისე რომ, ჩვენ რომ არ აღმოგვეჩინა ის ბინა, რამდენიმე ხნის შემდეგ მემალაროელები წააწყდებოდნენ მას.

შტურმანმა პირველმა აიღო მიწიდან ტილოს ნაჭერი. არა-

ფერია გასაკვირველი! რა არ შეიძლება იპოვო ზღვის ნაპირზე! მაგრამ ეს იყო ტილოს ღვედი, რომელშიაც ებმებიან ხოლმე მარხილის გასაწევად. მერე მაროლელმა იპოვა ალუმინის ქვაბის სახურავი, დაქვლეტილი თუნუქის ქილა, რომელშიაც თოკის გორგლები ეწყო, და მაშინ მინდორი ბექობებიდან კვადრატებად დაეყავით და დაეწყეთ ძებნა — ყველამ თავის კვადრატზე...

საღლაც წამიკითხავს, რომ ქვაზე ამოჭრილ ერთი წარწერის მიხედვით მეცნიერებმა ჩვენ ერამდე დაღუპულ მთელი ქვეყნის ცხოვრება აღმოაჩინეს. ასე თანდათანობით იწყო გაცოცხლება ჩვენს თვალწინ ამ ადგილმა. მე პირველმა დავინახე ბრეზენტის ნავი, ესე იგი, სწორედ რომ ვთქვა, მივხვდი, რომ ეს მიტეკნილი რაღაც, რომელსაც თავი ამოეშვირა მიწიდან, ნავი იყო და ისიც მარხილზე დადგმული. მარხილში ეწყო ორი თოფი, რაღაც ბეწვი, სექსტანტი და საველე ღურბინდი, ყველაფერი ჩაყანგებული, დაობებული, ხაუროვებული. მთაგრეხილთან, რომელიც ცაედა ბანაკს ზღვის მხრიდან, ჩვენ სხვადასხვა ტანსაცმელი ვიპოვეთ, სხვათა შორის, ირმის ბეწვის დაშლილი საძილე ტომარაც, ეტყობა, აქაჰქონდათ კარავი, რადგანაც მორიყული ხეების ძელები კუთხით ეწყო, ისე რომ კლდესთან ერთად შეკრულ ოთხკუთხედსაჰქმნიდა. ამ „კარავში“ ჩვენ ვიპოვეთ სანოვავის კალათი, ტილოს ნაკუწით საკეტის მაგიერ, რამდენიმე შალის წინდა და თეთრიცისფრანით საბნის ნაგლეჯები. ვიპოვეთ აგრეთვე ცული და „ანკესი“, ესე იგი ბაწარი, რომლის ბოლოზეც მიბმული იყო ქინძისთავოდან გაკეთებული კაუჭი. ნივთების ნაწილი კარავის გვერდზე ეყარა — სპირტის ლამპა, კოვზი, ხის ყუთი, რომელშიაც ბევრი სხვადასხვა ნივთი და, სხვათა შორის რამდენიმე მსხვილი, ისიც თვითნაკეთები იალქნის ნემსები ეწყო. ზოგიერთ ნივთებზე კიდევ შეიძლებოდა გარჩევა მრგვალი ბექდისა ხომალდი „ხმ. მარიამი“, ან წარწერა „წმ. მარიამი“, მაგრამ ბანაკში აღარავინ იყო. აღარც ცოცხლები და აღარც მკვდრები“.

2. „... ეს იყო თვითნაკეთები საველე სამზარეულო, თუნუქის გარსაცმი, რომელშიაც ჩადგმული იყო სახურავიანი ვედრო, ჩვეულებრივად, ასეთ ვედროს თუნუქის ქვესადგარს უდგამენ, რომელშიაც ანთია დათვის ან სელაპის ქონი. მაგრამ ამ თუნუქში არა ქვესადგარი, არამედ ჩვეულებრივი პრიმუსი იდგა; შევანჯღრიე და აღმოჩნდა, რომ ნავთი კიდევ იყო. დატუმბვას შევეცადე და ნავთი წვრილად გადმოიღვარა. გვერდით ვიპოვეთ კონ-

სერვის ქილა წარწერით — „მალოროსიული ბორში, ციხორევის ფაბრიკა. სანკტპეტერბურგი. 1912“. შეიძლებოდა ამ ბორშის გახსნა, რომელიც ოცდაცხრა წელი მიწაში იღო, და პრიმუსზე შეთბობა“.

3 „... გალჩიხის მიმართულებით, უშედეგო ძიების შემდეგ ბანაკში დაებრუნდით. ამჯერად ჩვენ სამხრეთ აღმოსავლეთიდან მოუუარეთ მას და ბექობები, რომლებიც ერთფეროვნად ტალღისებურნი გვეჩვენებოდნენ, ახლა წარმოგვიდგნენ სხვა, მოულოდნელი სახით. ეს ერთი დიდი ფერდობია, რომელსაც ქვიანი ტუნდრა ენიჭნება და გადაკვეთილია ღრმა, თითქოს ადამიანის ხელით გათხრილ ღელეებით. ჩვენ მივდიოდით ერთ-ერთ ამ ღელეზე და პირველად არავინ არ მიაქცია ყურადღება მორიყული ხეების ნახევრად დაშლილ გროვას ორ უზარმაზარ კაქარს შორის. ძელეზი ბევრი არ იყო, ექვსიოდე ცალი იქნებოდა. მაგრამ მათ შორის ერთი მოხერხილი იყო. ამან გაგვაოცა! აქამდე ჩვენ ვფიქრობდით, რომ ბანაკი განლაგებული იყო კლდოვან მთაგრეხილსა და ბექობებს შორის, მაგრამ შეიძლება ის გადაიტანეს. და მართლაც, ძალიან მალე დავრწმუნდით ამაში.

ძნელია დაახლოებითაც კი, ჩამოთვლა საგნებისა, რომლებიც ამ ღარტაფებში ვიპოვეთ. ჩვენ ვიპოვეთ საათი, სანადირო დანა, რამდენიმე სათხილამურო ჯოხი, „რემინგტონის“ სისტემის ორი ერთლულიანი თოფი, ტყავის ჟილეტი, მილაკი რაღაც საცხით. ჩვენ ვიპოვეთ ნახევრად დაშლილი პარკი ფოტოფირფიტებით. და, ბოლოს, ყველაზე უფრო ღრმა ღარტაფში ვიპოვეთ კარავი, ხოლო ამ კარვის ქვეშ კი, რომლის ნაპირებზე ჯერ ისევ ეწყო ძელები და ვეშაპის ძვალი, რათა ის ქარიშხალს არ მოეგლიჯა, ამ კარავის ქვეშ, რომლის ცულით ამოჩხვავა მოგვიხდა ყინულიდან, ჩვენ ვიპოვეთ ის, ვისაც ვეძებდით.

ჯერ კიდევ შეიძლებოდა მიხედვრა, რა მდგომარეობაში მოკვდა იგი, — მარჯვენა ხელი გვერდზე გადაეგდო, გაქიმულიყო და თითქოს რაღაცას უგდებდა ყურს, პირქვე იწვა და ჩანთა, რომელშიაც ვიპოვეთ მისი გამოსათხოვარი წერილები, მკერდქვეშ ეღო. ეკვს გარეშეა, იმედი ჰქონდა, რომ მისი სხეულით დაფარული წერილები უკეთესად შეინახებოდა.“

4. „...არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო იმედი, რომ ჩვენ მას ვნახავდით. მაგრამ ვიღრე საკუთარი თვალით არა ვნახე სიკვდილი, გულში სულ მიკრთოდა ეს ბავშვური აზრი. ახლა ის ჩაქრა, მაგრამ კაშკაშით აენთო მეორე: შემთხვევით კი არა, ტყუილად კი არ ვეძებდი მას — ის არასოდეს არ მოკვდება. ერთი საათის წინ ელექტროშუქურას მოადგა გემი და ქუდმოხდილმა მეზღვაურებმა ბაქანზე გადაიტანეს კუბო, რომელსაც ეფარა სიძველისაგან დაშლილი კარვის ნაფლეთები. გაისმა სალუტი და გემმა გლოვის ნიშნად ბაირალი დაუშვა. მარტო მელა დავეხეტები „წმ. მარიამის“ დაცარიელებულ ბანაკში, და აი, გწერ შენ, ჩემო მეგობარო, ჭვირფასო კატია. როგორ მინდა ახლა შენთან ერთად ვიყო! მალე ოცდაათი წელიწადი შესრულდება, რაც დასრულდა ეს ვაჟკაცური ბრძოლა სიცოცხლისათვის, მაგრამ მე ვიცი, რომ შენთვის იგი მხოლოდ დღეს მოკვდა. თითქოს ფრონტიდან გწერდე ფრონტზე დალუპულ მეგობარზე და მამაზე. მწუხარება და სიამაყე მის გამო, მალეღვებენ მე და უკვდავების წინაშე მგზნებარედ მეწურება გული...“

## თავი მეორე

### ყველაზე წარმოუდგენელი

„როგორ მინდა ახლა შენთან ერთად ვიყო“. მე ვკითხულობდ და კვლავ ვკითხულობდი ამ სიტყვებს და ეს სიტყვები ისეთი ცივი და უშინაარსო მეჩვენებოდა, თითქოს ცარიელ და ცივ ოთახში მე ჩემს ანარეკლს ველაპარაკებოდი. მე მესაჭიროებოდა არა ეს ღლიური, არამედ კატია — ცოცხალი, ჰკვიანი, საყვარელი კატია, რომელსაც სწამდა ჩემი და ვუყვარდი მე. ოდესღაც თავზარდაცემული იმით, რომ მარია ვასილევას დასაფლავებაზე მან ზურგი შემომმაქცია, მე ვოცნებობდი, რომ მივიდოდი მასთან „კრანანასავით“ და ფეხთით დაეუყრიდი ჩემი სიმართლის დამამტკიცებელ საბუთებს. შემდგომში მე გავაკეთე ის, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგო მისი მამის ამბავი და ის ეროვნულ გმირად იქცა. მაგრამ კატიასათვის ის დარჩა მამად. მაშ ვის, თუ არა კატია, უნდა გაეგო პირველს, რომ მე იგი ვიპოვე? მაშ ვინ, თუ არა კატია, მეუბნებოდა, რომ ყველაფერი მშვენივრად იქნება, თუ ზღაპრები, რომლებიც ჩვენ გვჯერა, კიდევ ცოცხლობენ დედამიწაზე? ომზე ფიქრსა, შრომასა და ღელვაში მე ვიპოვე იგი. არა ბიჭი, თავზარდაცემული არქტიკის ნისლოვანი მოჩვენებით, რომელმაც გაანათა მისი

მუნჯი, ნახევრადშეგნებული სამყარო, არა ჭაბუკი, რომელიც ახალგაზრდული სიჯიუტით მიისწრაფვის თავისი გაიტანოს, — არამედ მომწიფებული, ყველაფერს გამოვლილი ადამიანი ვიდრე მე ამ აღმოჩენის წინაშე, რომელიც უნდა შესულიყო რუსეთის მეცნიერების ისტორიაში. სიამაყით სავსე და ბედნიერი ვიყავი. როგორ მომეგლო ჩემი გულისთვის, რომელიც იღვრდა მწარე გრძნობით, რომ ყველაფერი შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო!

მხოლოდ იანვრის ბოლოს დაებრუნდი პოლკში. მეორე დღეს ჩრდილოეთის ფლოტის მთავარსარდალმა გამომიძახა.

...არასდროს არ დამავიწყდება ეს დილა და სრულიადაც არა იმიტომ, რომ თავისი ფერმკრთალი და ამავე დროს გამბედავი ფერებით ის წარმომიდგა მე, როგორც პირველი დილა დედამიწაზე. განაპირა ჩრდილოეთისათვის ეს დამახასიათებელი გრძნობაა. მაგრამ, თითქოს, რაღაც სასწაულის მოლოდინმა შემიკრა სუნთქვა, როდესაც კატარის მეთაურთან პაპიროსის მოწვევსა და ლაპარაკის შემდეგ, ავედი და დავედქი გემბანზე მძიმე, გაფანტულ ნისლიში. ნისლი ხან შემოდოდა გემბანზე, ხან კვლავ იფანტებოდა და მის უცნაურ ნაფლეთებს შორის გამოჩნდებოდა ხოლმე პატარა გორაკებს ზემოდან სრული მთვარე — ზევით ვერტიკალური და ქვევით სხივებად გაშლილი. მერე გაკაშკაშდა, თითქოს ირგვლივ ყველაფერზე გაიმარჯვო, მაგრამ გაფერმკრთალებულს ღონე მიეხადა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ჩვენ ვარდისფერი დილა გვიახლოვდება. რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკანასკნელად გამოკრთა თხელ, მიმავალ ნისლში და კოლის სრუტეში დადგა ცისფერი, ვარდისფერი თოვლიანი დილა.

ჩვენ ყურეში შევედით და ამ დილის მსგავსი თეთრი, ვარდისფერი, თოვლით დაფარული პატარა ქალაქი გადაიშალა ჩემს წინ.

ის ხელისგულივით მოჩანდა, თითქოს მაღალ ნაცრისფერ გრანიტის ლამაზ ზოლებიან ფერდობზე საგანგებოდ დადგმული თეთრი პატარა პარმალეზიანი სახლები, რომელთაგანაც სხვადასხვა მხრისკენ ჩადიოდა საფეხურები, განლაგებულნი იყვნენ ზოლებად, ერთი მეორის ზემოდან. ყურეს გასწვრივ კი იდგა ნახევარ წრედ აშენებული დიდრონი ქვის სახლები. მერე გავიგე, რომ მათ ასეც უწოდებდნენ — ცირკულისმაგვარი, თითქოს გოლიათურმა ცირკულმა გაავლო ეს ნახევარი წრე ეკატერინეს ყურეზე.

მაღალ კიბეზე ავედი, რომელიც ამ სახლებზე გადაშვებულ თალის ქვეშ იყო. დავინახე ყურე ნაპირიდან ნაპირამდე და უცნობმა

მღელვარებამ, რომელიც მთელი დილა ხან ღვივდებოდა, ხან ნელდებოდა გულში, კვლავ შემბიპრო რაღაც გამგმირავეი ძალით. ყურე იყო მუქი მწვანე, ამღვრეული, რომელიც მხოლოდ ცის შუქზე გაიბრკვეიალებდა ხოლმე. რაღაც ძალიან შორეულ, სამხრეთულ მაღალმთიანი კავკასიის ტბებს მოგაგონებდათ ეს ნაპირებშუა მომწყედული ყურე. მაგრამ მეორე მხარეს საღდაც იკარგებოდნენ თოვლით დაფარული გორაკები და მათ თვალისმომკრელ ფონზე მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა ფაქიზი, შავი კონტურები რაღაც დაბალი ხეებისა.

მე არა მწამს რა წინაგრძნობისა, მაგრამ ეს სიტყვა უნებურად მომივიდა თავში, როდესაც პოლიარნოესა და ეკატერინეს ყურეს სილამაზით განცვიფრებული, ცირკულის სახლთან ვიდექი. თითქოს ეს ჩემი სამშობლო იყო, რომელსაც აქამდის მხოლოდ სიზმარში ვხედავდი და ტყუილად ვეძებდი მრავალი წელი, — ასეთი წარმოსდგა ჩემს წინ ეს ქალაქი. სიხარულით აღტაცებული, ფიქრმა წამილო, რომ აქ უსათუოდ უნდა მოხდეს რაღაც ძალიან კარგი ჩემთვის და შესაძლებელია ყველაზე საუკეთესოც ჩემს ცხოვრებაში.

შტაბში ჯერ არავინ იყო, მე მეტადინეობის დაწყებამდე მივედი, ლამის მორიგემ მითხრა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ნაბრძანები გკონდათ ათი საათისათვის გამოცხადებულიყავით, ახლა კი რვის ნახევარიაო.

არ ვიცი რატომ, მაგრამ რაღაც შუებით, — თითქოს სჯობდა, რომ ჯერ მხოლოდ რვის ნახევარი იყო, — მე გამოვედი და გავხედე ზღვის უბეს საციკრკულო სახლის თალიდან.

ყველაფერი შეცვლილიყო, ვიდრე ძე შტაბში ვიყავი: უბე ახლა იყო ნაცრისფერი, ნაცრისფერ, მკაცრ ნაპირებს შორის. პერსპექტივის სიღრმეში კი პოლიარნოესკენ ნელა მოცურავდა გაფარჩხული პატარა გემი. მე მომინდა შემეხედა, როგორ მოუახლოვდებოდა იგი ნაპირს, და მეორე კიბეზე გადავედი, რომელიც კუთხით უხვევდა და იქ ფართო ბაქანი იწყებოდა.

ეს ერთ-ერთი სამგზავრო გემი იყო, რომელიც მურმანსკსა და პოლიარნოეს შორის დადიოდა. საბიჯელებზე ჯერი გამწყრივდა პატრულთან, რომელიც საბუთებს სინჯავდა. ნაპირზე გადმოსულ მეზღვაურთა შორის, რამდენიმე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი და სამი თუ ოთხი ქალიც დავინახე კალათებით და ბოხჩებით...

ექვს გარეშეა, ეს ჩვეულება დამრჩა იმ სევდიან დროიდან, როდესაც გაერ კულისაგან გაქცეული დიდხანს ვიჯექი ხოლმე ნავსადგურში პესჩინკისა და ტიხოსის შესართავთან. გემი ნაპირს უახლოვდებოდა, ბაგირი ქიმიდან მოფრინავდა, მეზღვაური მარჯვენად, წრებად აცვამდა ბაგირს ირიბად გამოშვერილ ქალზე. როცა უეცრად ბევრი ხალხი გამოჩნდებოდა ნავსადგურში, ის შესამჩნევად ჩაიწვედა ხოლმე წყალში, და მხიარულ, ჩინებულად ჩაცმულ ხალხიდან, ჩემთან არავის არაფერი ესაქმებოდა. შემდგომში, როცა არ უნდა მენახა ჩამოსვლის სიხარულით სავსე ალიაქოთი, მაშინდელი გრძნობა მარტობისა და უთვისტომობისა ხელახლა მიბრუნდებოდა,

მაგრამ ამჯერად არ მიგრძენია ამგვარი რამ, ალბათ იმიტომ, რომ ეს იყო სულ სხვა ჩამოსვლა, ზამთარში და ამასთან, ნაპირზე ჩამოვიდნენ სულ სხვა, საქმით გართული სამხედრო ადამიანები.

ძალიან უცნაურია, მაგრამ, როგორც ყველაფერი, რასაც პოლიარნოეში ვხედავდი, ჩემთვის სასიამოვნო იყო ეს დაძველებული გემიც და მოუთმენლად ჩამწკრივებული ხალხიც, რომელთაც საბიჯები გაევისთ და ნაპირზე შენობისაკენ მიმავალი ცალკეული ფიგურებიც, სადაც მივლინების საბუთებს ამოწმებდნენ. ყველაფერი ეს ეხებოდა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო რაიმეს მოლოდინს, მაგრამ როგორ და რატომ — ამას ვერ ავიხსნიდით.

შტაბში დაბრუნება ჯერ აღრე იყო და მე ექიმის მოსაძებნად წავედი, მაგრამ არა ჰოსპიტალში, არამედ მის ბინაში.

რასაკვირველია, ის ცხოვრობდა ერთ-ერთ ამ ერთიერთმანეთის ზემოდან ზოლებად გამწკრივებულ თეთრ სახლებში. ზღვიდან რამდენად უფრო კობტა და მოხდენილები მეჩვენა ისინი. აი, პირველი ზოლი, მე კი მინდა მეხუთე ზოლი, მეშვიდე ნომერი სახლი.

მივდიოდი და თან ნენეცივით ვფიქრობდი ყველაფერზე, რასაც ვხედავდი. ინგლისელებმა, რომლებსაც ჩვენი მეეტლების მსგავსი სასაცილო ზამთრის ქულები ეხურათ და მწვანე ფერის ხალათები ეცვათ, გ-ღამისწრეს და მე. გავიფიქრე, ამ ხალათებზე ეტყობათ, რა ცუდად აქეთ-მეთქი წარმოდგენილი ჩვენი ზამთარი. თეთრ ფუჭ ფულა ქურქში ჩაცმულ მსუქან ბიჭუნას მხარზე ბარი გაედო და ღინჯად მიდიოდა. დიდულვაშა მეზღვაურმა ხელი დასტაცა ბიჭუნას და რამდენიმე ნაბიჯი გაატარა. გულში გავიფიქრე, ალბათ, პოლიარნოეში ძალიან ცოტა ბავშვები არიან-მეთქი.

ეს სახლი არაფრით არ განსხვავდებოდა მეზუთე ზოლის აქტი-  
ვით მდგომ, რომელიც გნებავთ მეზობელ სახლებისაგან; შეიძლე-  
ბა მხოლოდ იმით, რომ კიბე ნამდვილ საცურაოდ გადაქცეულიყო,  
რომელზედაც ძლივსლა მოსჩანდა საფეხურები. გაქანებული ავეარ-  
დი პარმალზე და მეზღვაურებს შევეფეთე, რომლებიც სწორედ იმ  
დროს გამოვიდნენ. ერთი მათგანი ფრთხილად მიცურავდა გაყინულ  
კიბეზე და თან ამბობდა, თუ აღამიანს უნარი არ შესწევს გაერკვიოს  
პოლარულ ღამეში, ეს მიგვითითებს ვიტამინების ნაკლებობაზე ორ-  
განიზმში. ესენი ექიმები იყვნენ. ექვს გარეშეა, ივან ივანიჩი ამ  
სახლში ცხოვრობდა.

დერეფანში რომ შევედი, ჯერ ერთი კარი შევალე, მერე მეორე.  
ორივე ოთახი ცარიელი იყო, თუთუნის სუნით გაჟღენთილი. საწო-  
ლები გაუსწორებელი და, როგორც მამაკაცებს სჩვევიათ, ნივთები  
მიყრილ-მოყრილი. ორივე ოთახს სტუმართმოყვარეობის იერი ედო.  
თითქოს მასპინძლებმა განგებ დატოვეს კარები ღია.

— არის ვინმე?

ვისთვის უნდა გეკითხა, ქუჩაზე გამოებრუნდი.

ქუჩის მეორე მხარეს კალთააწეული დედაკაცი თოვლით ფე-  
ხებს იზელავდა. კკითხე, ეს სახლი ნამდვილად შეიდი ნომერი თუა-  
მეთქი.

— მერე თქვენ ვინა გნებავთ?

— ექიმი პავლოვი.

— ალბათ ჯერ ისევ სძინავს, — მითხრა დედაკაცმა, — მოუა-  
რეთ, აი, მისი ფანჯარა, მაგრად დაუკაკუნეთ!

უფრო ადვილი იყო ექიმისათვის კარზე დამეკაკუნებინა, მაგრამ  
რატომღაც დაუუჯერე და ფანჯარასთან მივედი. სახლი გვერდან  
იდგა და ფანჯარა უკანა მხარეზე კარგა დაბლა იყო მიწიდან. მინე-  
ბი შექირხლული იყო, მაგრამ, როდესაც დავაკაკუნე და ხელი მო-  
ვიჩრდილე, რომ შიგნით დამენახა რამე, მომეჩვენა, თითქოს  
ქალს მოვკარი თვალი. გეგონებოდათ, ქალი კალათთან თუ ჩე-  
მოდანთან დახრილი იდგა. ახლა კი დაკაკუნებაზე წელში გასწორდა.  
ფანჯარასთან მოვიდა და მანაც ჩემსავით ხელი მოიჩრდილა. წახნა-  
გიან ჭირხლისაგან დაბინდულ შუშაში მე დავინახე ვიღაცის სახე,  
ისიც დაწახნაგებული.

ქალმა ტუჩები შეატოკა. არ განძრეულა, მხოლოდ ტუჩები შეა-  
ტოკა. თითქმის არა ჩანდა თოვლიან, მჭკქალ, დაბინდულ შუშაში  
მაგრამ მე ის ვიცანი — კატია იყო.

მს კატია იყო

როგორ გიამბოთ ჩენი შეხვედრის პირველ წუთებზე, როგორ გიჟივით ვაშტერდებოდი მის სახეს, ვკოცნიდი და კვლავ ვაშტერდებოდი, ვუწყებდი გამოკითხვას და პასუხს არ ვუცდიდი, ახლა სხვას ვეკითხებოდი, რადგან ყველაფერი, რაზედაც ვეკითხებოდი, დიდი ხნის ამბავი იყო, და რაც უნდა საშინელი ყოფილიყო, რომ იგი შიმშილისაგან იტანჯებოდა და სიკვდილის პირას იყო ლენინ-გრადში, რომ მან დაჰკარგა იმედი ჩემი ნახვისა, — ახლა უკვე ყველაფერმა ამან გაიარა, ავცდა და, აი, იგი დგას ჩემს წინ; მე შემძლია გადავვხვიო მას, ღმერთო ჩემო, ამის დაჯერება შეუძლებელი იყო!

ფერმკრთალი და ძალიან გამხდარი ჩანდა. რაღაც უცხო იყო მის სახეში, რომელსაც დაეკარგა უწინდელი სისასტიკე.

— კატია, თმა შეგიკრეპია!

— დიდი ხანია, ჯერ იაროსლავლშივე შევიკრიპე, როდესაც ავად ვიყავი.

მარტო თმა კი არ შეეკრიპა, შეცვლილიყო კიდეც. მაგრამ ახლა არ მინდოდა ამაზე მეფიქრა — ყველაფერი მიჰქროდა, მიჰქროდა სადღაც, — ჩვენც, ეს ოთახიც სრულიად ისეთივე, როგორიც ორი მეზობელი ოთახი, მიყრილ-მოყრილი ნივთებით, კატიას თავახდილი ჩემოდნით, საიდანაც ის რაღაცას იღებდა, როდესაც დავაკაკუნე; ექიმიც, რომელიც თურმე სულ აქ იყო, კუთხეში იდგა და ცხვირ-სახოციტ წვერს იწმენდავდა, მერე კი ფეხაკრეფით დააპირა წასვლა. მე არ გავუშვი. მაგრამ მთავარი, ყველაზე მთავარი — მავიწყდებოდა! კატია პოლიარნოეშია. როგორ მოხდა, რომ კატია პოლიარნოეში აღმოჩნდა?

— ღმერთო ჩემო, მე ყოველდღე გწერდი. ერთი საათით ავცდით ერთმანეთს მოსკოვში. შენ რომ ვალია ეუკოვთან შეიარე, მე არ-ბატზე პურის რიგში ვიდექი მაშინ.

— შეუძლებელია!

— შენ იმას წერილი დაუტოვე, მაშინვე გამოვიქეცი შენ საქმენელად, მაგრამ სად წავსულიყავი? ვინ იფიქრებდა, რომ შენ რომა-შოვთან წახვიდოდი!

— საიდან იცი, რომ მე რომაშოვთან წავედი?

— ყველაფერი ვიცი, ყველაფერი! ჩემო ძვირფასო, საყვარელო ის მკოცნიდა.

— ყველაფერს გიამბობ.

მიაბზო, რომ მწარედ შეშინებულმა ვიშიმირსკიმ ივან პავლიჩი მოძებნა და გამოუცხადა, რომ მე დავაპატიმრე რომაშოვი.

— მაგრამ ვინ არის ის კონტრ-ადმირალი რ.? მას ვწერდი შენთვის გადმოსაცემად, მერე პირადად მას — არავითარი პასუხი არ მომსვლია! არ იცოდი, რომ აქ მოდიოდი? იმის სახელზე რატომ უნდა მომეწერა შენთვის?

— რადგანაც მე არა მქონდა ჩემი მისამართი... მოსკოვიდან მე წავედი შენს მოსაძებნად.

— სად?

— იაროსლავლში. იაროსლავლში ვიყავი. და უკვე ნოვოსიბირსკში წასასვლელად ვემზადებოდი, რომ დანიშვნა მივიღე.

— რატომ არ მისწერე კორაბლიოვს, აქ რომ ჩამოხვედი?

— არ ვიცი. ღმერთო ჩემო, ნუთუ შენა ხარ? შენა ხარ, კატია?

ჩვენ დაედიოდით ხელგადახვეულები, ვეჯახებოდით ავეჯს, და კვლავ ვეკითხებოდით ერთმანეთს — რატომ, რატომ და ეს „რატომ“ იმდენი იყო, რამდენიც იყო მიზეზი, რომელთაც დაგვაშორეს ჩვენ ლენინგრადში, აგვაცდინეს მოსკოვის ქუჩებში ერთმანეთს, ახლა კი შეგვახვედრეს პოლიარნოეში, სადაც მე ეს არის ჩამოვედი და სადაც ნახევარი საათის წინ შეუძლებელი იყო წარმომედგინა, რომ ჩემს კატიას ვნახავდი!

იმის შესახებ, რომ მე ექსპედიცია ვიპოვე, საკდესის ღებშიდან გაეგო, რომელიც ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა. ის დაუეკავშირდა ექიმს და ექიმმა უშველა პოლიარნოეს საშვების მიღებაში. მაგრამ მათ არ იცოდნენ, სად მოეწერათ ჩემთვის, — და კიდევაც რომ სკოდნოდათ, მიაღწევდა კი კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიციის ბინამდე მათი ღებუშები და წერილები?!

ექიმი სალდაც გაპქრა, მერე დაბრუნდა ცხელი ჩაიღნით და კი ორ შეაჩერა ეს სისწრაფე, რომლითაც ყველაფერი სალდაც მიპქროდა წინ, არამედ ჩვენ ერთმანეთის გვერდით დაგვსვა სვარძელზე და გაგვიმასპინძლდა რადაც რკინასავით მაგარი ორცხობილათი. მერე შედედებული რძის ბალონი გამოიღო და მაგიდაზე დადგა, თან ბოლიში მოიხადა, კურქელზე ცოტა უკაცრავად გახლავართო.

მერე წავიდა. მე უკვე აღარ შემეჩერებია იგი და ჩვენ მარტონი დავრჩით ამ ცივ სახლში, რომლის სამზარეულო კონსერვების ქილებითა და ჭუჭყიანი ჭურჭლით იყო სავსე, დეოფთანში კი თოვლი არ დნებოდა. რატომ გავჩნდით ამ სახლში, რომლის ფანჯრებიდანაც გორაკები მოჩანან და, ჩანს, რა მედიდურად მოედინება მძიმე წყალი დაფლატევებულ თოვლიან ნაპირებს შორის? მაგრამ ეს იყო კიდევ ერთი „რატომ“, რომელზედაც არა ვცდილობდი პასუხი მეპოვნა.

წასვლის წინ ექიმმა ელექტრონის რაღაც ნივთი მომაჩეჩა, მაგრამ მაშინვე დამავიწყდა ეს და მომაგონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც არ მახსოვს რაზე გამეცინა და შევნიშნე, რომ, როგორც ცხენს ყინვაში, პირიდან სქელი ორთქლის ბოლქვები ამომდიოდა; ეს რაღაც ღუმელი იყო. ეტყობა, ადგილობრივი კონსტრუქციისა, მაგრამ ძალიან კარგი, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებდით, როგორ მხნედ და ხრინწიანად გუგუნებდა დილამდე. ძალიან მალე ოთახში დათბა. მე ვუყურებდი კატიას. მაგრად მეჭირა მისი ხელი, თითქოს შეიძლებოდა ისევე უეცრად გამქრალიყო, როგორც გაჩნდა...

ჯერ ისევ ექიმთან მიმავალმა შევნიშნე, რომ ამინდი შეიცვალა. ახლა კი, სახლიდან რომ გამოვედი, რადგანაც უკვე ათს თხუთმეტი აკლდა, წელანდელი ცივი, მოზუზუნე ქარი ჩამდგარიყო, იქაურობა დაბურულიყო, თოვლი გაჩქარებული ბარდნიდა, — უტყუარი ნიშნები ქარბუქის მოახლოებისა.

ჩემდა გასაოცრად, შტაბში უკვე იცოდნენ, რომ კატია ჩამოვიდა. იცოდა სარდალმაც, მაშ სხვაგვარად რად შეზღუდებოდა ღიმილით? ძალიან მოკლედ მოვახსენე, როგორ ჩავძირეთ რეიდერი. გამოკითხვა არ დაუწყია, მხოლოდ მითხრა, საღამოთი ეს სამხედრო საბჭოზე უნდა უამბოთო. „წმ. მარიამის“ ექსპედიცია — აი, რა აინტერესებდა მას!

მე დავიწყე თავშეკავებულად, უხერხულად — თუმცა თვით უცნაურობა იმისა, რომ ექსპედიცია ვიპოვეთ საბრძოლო დავალების დროს, სულაც არ მოეჩვენებოდა უცნაურობად, ვინც ჩემს ცხოვრებას იცნობდა. მაშ, როგორღა უნდა გადამეცა ორი სიტყვით ეს აზრი ფლოტის სარდლისათვის? მაგრამ ის მისმენდა ისეთი ყურადღებით, ისეთი გულწრფელი, კაბუჭური ინტერესით, რომ ბოლოს და ბოლოს ხელი ჩავიქნიე ამ „ორ სიტყვაზე“ — დავიწყე თხრობა უბრალოდ და უეცრად გამოვიდა სწორედ ისე, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა.

ბოლოს, როგორც იყო, დაეშორდით და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ აღმირალს მოაგონდა კატია...

არ ვიცი, რამდენი ხანი გავატარე მასთან, ალბათ, ერთი საათი ან ცოტა მეტი და, მიუხედავად ამისა, რომ გამოვედი, მე ველარ ვიპოვე პოლიარნოე, იგი აღარ ჩანდა თოვლის ტრიალში, როძელიც ზუზუნით მოჰქროდა და გაბრძავებდა.

კარგია, რომ ქეჩის ჩექმები მეცვა, მაგრამ მაინც დამქირდა ჩექმის ყელის მუხლზემთ აწევა. ზოლების ნიშანწყალიც აღარსად იყო. მხოლოდ ფანტასტიკურ წარმოსახვას შეეძლო წარმოედგინა, რომ სადღაც, ამ შავი ღრუბლების იქით, დგას სახლები და ერთ მათგანში, მეხუთე ხაზზე, მეშვიდე ნომერში კატია, როგორც მე ვურჩიე, ბუხარზე აწყობს ექიმის მოცემულ რკინასავით მაგარ გალეტებს გასათბობად. რასაკვირველია. მე მივალწიე ამ სახლამდის, მაგრამ ძლივს ვიცანი — ამ ნახევარ საათში გვერდზე გადაბრეცილ და ფანჯრებამდის თოვლით დაფარულ ზღაპრულ ქოხს დამსგავსებოდა. ქარბუქის ღმერთივით შევიქერი დერეფანში და კატიამ ცოცხით ჩამომბერტყა მხრებიდან გრძელი ყინულის ლოლუები.

...მგონი, ყველაფერი ნათქვამი იყო, უკვე ორჯერ წავაწყდით კაპიტანის გამოსათხოვარ წერილებს — მე პოლიარნოეში ჩამოვიტანე ეს წერილები, მინდოდა ექიმისათვის მეჩვენებინა. ექსპედიციის სხვა მასალები პოლკში დარჩა. მაგრამ ჩვენ გვერდი ავუარეთ ამ წერილებს და ყველაფერს, რაც ამ წერილებთან იყო დაკავშირებული. თითქოს ვიგრძენით, რომ ჩვენი შეხვედრის ბედნიერ წუთებში ამაზე ჯერ არ უნდა გველაპარაკა.

კატიამ უკვე მიაბო, როგორი გახდა პეტენკა, — შეგვერემანია და ოდნავ აელმებს თვალებს, სულ განსვენებულ დედასა ჰგავსო. უკვე მოვილაპარაკეთ, რა მოვუხერხოთ დიდდას, რომელიც წაჩხუბა დირექტორ პერიშკინს და „ცალკე ბინა“ იქირავა კოლმეურნეობაში. უკვე გავიგე, რომ დიდი პეტია კვლავ დაექრათ, დაეჯილდოებინათ კიდეც და ფრონტზედაც დაბრუნებულყო, — მოსკოვში კატიამ შემთხვევით გაიცნო მისი ბატალიონის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, და მან უთხრა, პეტიას „ფეხებზე ჰკიდია სიკვდილიო,“ — სიტყვები, რომელმაც განაცვიფრა კატია. გავიგე ვარია ტროფიმოვას ამბავიც, რომ, თუ ყველაფერი ისე დატრიალდა, როგორც კატია ფიქრობს, „ორივესთვის ეს ბედნიერება იქნება, ბედ-

ნიერება“. უკვე რაღაც შეიცვალა ოთახში— სხვაგვარად, უფრო მოხერხებულად დალაგდა ავეჯი, რომელიც თითქოს მადლობელი იყო კატიასი იმისათვის, რომ მარტოხელა ექიმის ცივ ოთახში დათბა. უკვე გავიდა ხუთი თუ ექვსი საათი მას შემდეგ, რაც მოხდა ეს შესანიშნავი, ჩემთვის უსაზღვროდ მნიშვნელოვანი ცვლილება, — მთელი მყუდროება ჩვენი ოჯახური ცხოვრებისა, რომელმაც ასე დიდი ხნით მიგვატოვა საშინელი წელიწადნახევარი, — ძლივს დაგვიბრუნდა, მე კი ვერა და ვერ მივჩვეოდი იმ აზრს, რომ კატია ჩემთან იყო.

— იცი, რასა ვფიქრობდი უფრო ხშირად? რომ მე ცოტათი მიყვარდი და მავიწყდებოდა ის, რა ძნელი იყო შენთვის ჩემთან ცხოვრება.

— მე კი ვფიქრობდი, შენთვის რა ძნელი იყო ჩემთან. როდესაც შენ მიდიოდი და მე ვლელავდი შენს გამო, მაგრამ, რაც არ უნდა დარდი და შიში მქონოდა, ეს მაინც ბედნიერება იყო.

ჩვენ ვლაპარაკობდით, ის კვლავ ფუსფუსებდა, ალაგებდა, როგორც ყოველთვის სასტუმროებში, მატარებლებშიც კი, ყველგან, სადაც ჩვენ ერთად ვიყავით ხოლმე. ეს იყო ჩვეულება ქალისა, რომელიც მუდამ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მიემგზავრება ქმართან ერთად, და რა სიბრაღულით, რა სინაზითა და სინანულით ვიგრძენი კატიას ეს სევდიანი ჩვეულება!

მერე მოვიდა მეზობელი, სწორედ ის მეზღვაური, რომელმაც თქვა, რომ მე უნარი არ შემწევს გავერკვე პოლარულ ღამეში, — სქელი, დაბალი, წითური კაცი და ჩინებული მადის პატრონი. ამაში ცოტა უფრო გვიან დავრწმუნდით.

ის გასაცნობად შემოვიდა და პირველ ყოვლისა გამოგვიცხადა, ივან ივანიჩის კოლეგა ვარო. პოლიარნოეში თურმე ჩამოსულიყო რაღაც საშველი ხელსაწყოების გამოსაცდელად წყალქვეშა ნაგებზე. სადამოთი მურმანსკში აპირებდა, მაგრამ წყეულმა ქარბუქმა აურია ანგარიშები.

— არ მაძლევენ ნავსადგურიდან გასვლის ნებართვას, — თქვა და ამოიოხრა, — ისე რომ, სხვა არა დამრჩენია რა, გარდა იმისა, რომ წავისაუზმო და გადავკრა.

ივან ივანიჩს ჰქონდა ღვინო და კონსერვები, მაგრამ მეზობელს ეცოტავა და თავისი ღვინო და კონსერვებიც მოიტანა. კონსერვები ქშენით გახსნა, რატომღაც სახელოები აიკეცა და ისე დაიწყო კონსერვების გათბობა ბუხარზე. მე და კატია მთელი ის დღე სულ ხან

რასა ვკამდით და ხან-რას. ძალიან არ შეწუხებულა ჩვენი უარით. თვითონ სწრაფად და მადიანად შექამა და დალია ყველაფერი, მან უკვე იცოდა ექიმისაგან, რომ ჩვენ დაეკარგეთ და ვიპოვეთ ერთმანეთი, და მოგვილოცა, მერე კი გამოგვიცხადა, მრავალი ამისთანა შემთხვევა ვიციო.

— ეს კიდევ კარგია, რომ არც თქვენ და არც მანდილოსანი არა ნანობთ მარტოხელა ცხოვრებაზე, — ქკუის სწავლების კილოთი თქვა მან, — დიახ, ასეცა ხდება ხოლმე!

არ მახსოვს, კიდევ რაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ მახსოვს, რომ, რადგან ჩვენს გარდა იყო კიდევ ვიღაც უცხო, უფრო მძაფრად ვგრძნობდით ჩვენს ბედნიერებას.

მერე ის წავიდა და მთელი ღამე რეკავდა ნავსადგურში, ნებართვას თუ აძლევენო? მაგრამ რა დროს ნებართვა იყო, როდისაც ქარბუჭი ის იყო დაიძრა ბარენცის ზღვაზე სახეტილოდ! ოთახშიაც კი უეცრად იწყებდნენ ზანზარს ფანჯრები, თითქოს გარედან ვიღაც ანჯორედა, და თითქოს ხან გაუბედავად, ხან გაბედულად გვიაკუნებდა.

ჩვენ მარტონი ვიყავით. კატიას ცქერით ვერა ვძლებოდი. ღმერთო ჩემო, როგორა ვნაღვლობდი უიმისობას! ყველაფერი დამვიწყებია! დამვიწყებია თუნდაც ის, როგორ იკეთებს დაწოლის წინ თმას, ახლა ცოტაზე ჩამოზრდოდა თმა და, რომ ჩაიწნა, ნაწნავეები გამოვიდა მოკლე, სასაცილო. მაგრამ მაინც დაიწნა და გამოაჩინა პატარა, ლამაზი ყურები. ყურებიც დამვიწყებოდა.

ისევ ვლაპარაკობდით, ახლა ჩურჩულით, და სულ სხვა რამეზე. დიდი ხნის დუმილის შემდეგ. ეს სხვა რამ რომაშოვი იყო.

არ მახსოვს, სად წამიკითხავს პალიმფსესტების, ესე იგი ძველი პერგამენტების შესახებ, რომლებიდანაც შემდეგი დროის გადამწერლები ტექსტსა შლიდნენ და ანგარიშებსა და ხელწერილებს სწერდნენ, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ მეცნიერები აღადგენდნენ ხოლმე პირველად ტექსტებს, რომლებიც ზოგჯერ გენიალური პოეტების კალამს ეკუთვნოდა.

სწორედ პალიმფსესტს ჰგავდა ის, რაც კატიამ მიაშო რომაშოვის სიტყვებით, თუ რა მოხდა ვერხვის ქალაში. მე, თითქოს საშლელით წავშალე ეს სიცრუე და მის ქვეშ გამოჩნდა სიმართლე. რა ჭავიჯე და აიუხსენი მას ის ყალბი, გაიძვერული სვლა მის გაიძვერულ თამაშში, რომელიც მან ორჯერ გააკეთა — ჯერ იმისთვის. რათა დაემტკიცებინა კატიასთვის, რომ მან გადამარჩინა მე, მერე

კი, — რათა დამტკიცებინა ჩემთვის, რომ მან გადაარჩინა კატია.

სიტყვასიტყვით გადავეცი ჩვენი უკანასკნელი ლაპარაკი ძალღის მოედანზე და კატია განცვიფრებული იყო რომაშოვის აღიარებით, — აღიარებით, რომელმაც ახსნა მიზეზი ჩემი ბედუქულმართობისა, ახსნა გამოცანები, რომლებიც ყოველთვის აწუხებდნენ კატიას.

— შენ ყველაფერი ჩასწერე?

— ჰო, ოქმივით ჩამოვაყალიბე და ვაიძულე ხელი მოეწერა.

მე გავიმეორე მისი ნაამბობი, თუ როგორ მადევნებდა თვალყურს მთელი თავისი სიცოცხლე, იტანჯებოდა შურისაგან, რომელიც მოწაფეობის წლებიდანვე მოსვენებას არ აძლევდა მის გამოფიტულ, მოუსვენარ გულს, მაგრამ მისი მაგიდის ზემოდან მოთავსებულ კატიას მშვენიერ პორტრეტზე არაფერი მითქვამს. არა ვთქვი, იმიტომ რომ ეს სიყვარული შეუტრაცხყოფდა კატიას.

ის ყურს მიგდებდა სახემოლუშული, თვლებანთებული... ჩემი ხელი აიღო და მაგრად მიიკრა გულზე. აღელვებისაგან გაფითრებულიყო. მას სძულდა რომაშოვი ორჯერ და სამჯერ მეტად, შესაძლებელია, იმისათვის, რაზედაც მე არ მინდოდა ლაპარაკი. ჩემთვის კი ის შორეული და არარაობა იყო და მე მახარებდა ფიქრი, რომ მასზე გავიმარჯვე...

ჯერ ისევ კითხულობდა სქელი ექიმი, ნებართვას თუ იძლევიანო, და წინანდებურად არ იძლეოდნენ ნებართვას, რადგანაც წინანდებურად არა ცხრებოდა, იქაურობას ჰკლევდა, თოვლს საფანტივით აყრიდა ქარბუქი. ჩვენც ჩამოგვიქროლა რიბაჩზე, გერმანელებსაც გადაუქროლა, ტალღას ტალღაზე ახეთქებდა ნორვეგიის ფიორღებში გერმანელების ჩასაფრებულ გემებს. არ იძლევიან ნებართვას, დაკეტილია ნავსადგური, გრიგალი ცხრა ბალს აღწევს.

სძინავს ჩემს ცოლს, ლოყისქვეშ ხელი ამოუდვია, ლამაზია და ჰკვიანი. არ ვიცი, სამუდამოდ რად შემეიყვარა. სძინავს და შეიძლება დიდხანს უყურო და იფიქრო, რომ ჩვენ მარტონი ვართ და, თუმცა მალე გაილევა ეს ხანმოკლე ბედნიერი ღამე, ჩვენ მაინც გამოვგლიჯეთ იგი ამ საშინელ ქარბუქს, რომელიც დაძრწის, დანავარდობს მთელ ქვეყანაზე.

მეექვსე საათზე უნდა ავმდგარიყავი. კატიას ვთხოვე, ნება მოეცა არ გაძღვრიებინა და ჩვენ გამოვეთხოვეთ კიდევ ერთმანეთს ღამით. მაგრამ როდესაც თვალები გაიხილა, ის უკვე ჰურქელს რეცხავდა, ხალათი ეცვა და სველ თევშებს ბუხარზე აყუდებდა. მან იცოდა, სადა ვმსახურობდი, თუმცა ჩვენ ამაზე არ გვილაპარაკინია. მაგრამ

როდესაც მე ავჩქარდი, ავდექი და ქიქა დავტოვე გამოუცლელი, მკითხა, როგორც ძველად იცოდა ხოლმე, პარაშუტი თუ მიგაქვსო. მე ვუთხარი, მიმაქვს-მეთქი.

მე და სქელი ექიმი ერთად გამოვედით. — ქარბუქი ჩადგა. მთელი ქალაქი გრძელ, გზების გასწვრივ მკვეთრად ჩამოკვეთილი თოვლიანი დიუნებით იყო საყსე.

## თავი მეოთხე

### ბამოსათხოვარი წერილები

წასვლის დროს კატიას მივეცი კაპიტანის ბამოსათხოვარი წერილები. ოდესღაც ენსკში, ტაძრის ბაღში, ასევე მარტო დავტოვე წერილის წასაყითხად, რომელიც მე და დედა დაშამ დამხრჩვალ ფოსტალიონის ჩანთაში ვიპოვეთ. მე მაშინ ბერი მარტინის კოშკის ქვეშ ვიდექი და სიცივე მიტანდა, როდესაც ფიქრით კატიასთან ერთად ვკითხულობდი ყოველ სტრიქონს.

ახლა მისი ნახვა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შემეძლო. მაგრამ სულ ერთია, ჩვენ კვლავ ერთად ვკითხულობდით: მე ვიცოდი, რომ კატია ზურგს უკან ჩემს სუნთქვას გრძნობდა.

აი, ეს წერილები.



სანკტ-პეტერბურგი. მთავარი ჰიდროგრაფიული სამმართველო. პირველი რანგის კაპიტან — პ. ს. სოკოლოვს.

ჩემო ძვირფასო პოტრ სერგეევიჩ!

იმედი მაქვს, რომ ეს წერილი მოაღწევს თქვენამდე. მე ამას ვწერ იმ წუთში, როდესაც ჩვენი მგზავრობა დასასრულს უახლოვდება და, სამწუხაროდ, მას მარტოობაში ვამთავრებ. არა მგონია, რომ ვისმეს შეეძლებოდა ქვეყანაზე იმის გადატანა, რაც ჩვენ გადავიტანეთ. ჩემი ამხანაგები დაილუპნენ, ერთიმეორეს მიჰყვნენ, საძიებო პარტია კი, რომელიც გალჩიხაში გავგზავნე, არ დაბრუნებულა.

მე ვტოვებ მაშას და თქვენს ნათლულს მძიმე მდგომარეობაში. უკეთუ მეცოდინებოდა, რომ ისინი უზრუნველყოფილები არიან, ძალიან არ დავიტანჯებოდი იმქვეყნად მიმავალი, რადგანაც ვგრძნობ, რომ ჩვენ სამშობლოს ჩვენს გამო არ შერცხვება. დიდი მარცხი განვიცადეთ, მაგრამ გამოვასწორეთ, რაკი ჩვენს მიერ აღ-

მოჩენილ მიწაზე დაებრუნდით და შევისწავლეთ კიდეც ის, რამდენადაც ძალა შეგვწევდა.

ჩემი უკანასკნელი ფიქრი ცოლი და შვილია. ნეტა ჩემს შვილს მაინც კარგად წაუვიდოდეს ცხოვრება. დაეხმარეთ მათ, როგორც მეხმარებოდით მე. სიკვდილის დროს უდადესი მადლობით ვფიქრობ თქვენზე და ჩემი სიყმაწვილის საუკეთესო წლებზე, როდესაც მე თქვენი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი.

გადაგეხვევით. ივანე ტატარინოვი.

## 2

მის აღმატებულებას, მთავარ ჰიდროგრაფიულ სამმართველოს უფროსს

ხომალდ „წმ. მარიამის“ ექსპედიციის უფროსის

ი. ლ. ტატარინოვის

### პ ა ტ ა კ ი

ამით მაქვს პატივი ვაცნობო მთავარ ჰიდროგრაფიულ სამმართველოს შემდეგი:

1915 წლის მარტის 16-ს, განედში, რომელიც ობსერვირებული იყო  $79^{\circ}08'30''$ , და სიგრძედში გრინვიჩიდან  $89^{\circ}55,00''$ , მოდრეიფე ხომალდის „წმ. მარიამის“ ქიმიდან კარგი ხილვადობისა და მოწმენდილი ცის დროს შემჩნეული იყო. გემიდან აღმოსავლეთით უცნობი ვრცელი მიწა, მაღალი მთები და მყინვარებით. ამ რაიონში მიწის არსებობის შესახებ წინათაც გვიჩვენებდნენ ზოგიერთი ნიშნები. ასე, ჯერ კიდევ 1912 წლის აგვისტოში ჩვენ ვნახეთ ბატების დიდი გუნდები, რომლებიც ჩრდილოეთიდან ნორდ-ნორდ-ოსტ — ზუიდ-ზუიდ-ვესტი-ს მიმართულებით მიფრინავდნენ. 1913 წლის აპრილის დასაწყისში ნორდ-ოსტის ჰორიზონტზე ჩვენ დავინახეთ მკვეთრი მოგერცხლისფრო ზოლი და მის ზემოდან ძალიან უცნაური მოხაზულობის ღრუბლები, რომლებიც შორს მთებზე შემოხვეულ ნისლსა ჰგავდნენ.

აღმოჩენამ მიწისა, რომელიც მერიდიანული მიმართულებით იყო გადაქიმული, მოგვცა იმედი, რომ პირველ შესაფერის შემთხვევისთანავე ხომალდს დავტოვებდით, რათა ხმელეთზე გამოსულები ნაპირს გავყოლოდით, — ტაიმირის ნახევარკუნძულის მიმართულებით და უფრო იქით, გარემოების მიხედვით, მდინარე ხათანგის ან ენისეის შესართავებთან დასახლებულ ციმბირის პირველ მოსახ-

ლებამდე. ამ დროს ჩვენი დრეიფის მიმართულება საექვო არ იყო. გემი მიდიოდა ყინულთან ერთად გენერალური კურსით ნორდი 7° ვესტიაკენ. ამ კურსის უფრო დასავლეთისაკენ შეცვლის შემთხვევაშიც კი, ესე იგი, ნანსენის „ფრამის“ მიმართულების პარალელურად, ჩვენ არ შეგვეძლო ყინულებიდან გამოსვლა 1916 წლის შემოდგომამდე. სურსათ-სანოვაგე კი მხოლოდ 1915 წლის ზაფხულამდე გვეყოფოდა.

მრავალი დაბრკოლების შემდეგ, რომელნიც არსებითად არ ეხებიან ამ პატაკს, ჩვენ მოვახერხეთ 1915 წლის 23 მაისს 81° 09' განედსა და 58° 36' სიგრძედში ახლად აღმოჩენილ მიწის ნაპირზე გამოვსულიყავით. ეს იყო ყინულით დაფარული კუნძული, აღნიშნული ამ პატაკთან დართულ რუკაზე ლიტერ A-თი. მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ მოვახერხეთ მეორე, უზარმაზარ კუნძულისათვის მიგვეღწია, ერთ-ერთისათვის, სამი თუ ოთხიდან, რომლიდანაც შესდგება ახლად აღმოჩენილი მიწა. ამ კუნძულის გამოშვებულ კონცხზე ჩემს მიერ განსაზღვრულმა ასტრონომიულმა პუნქტმა, რომელიც აღნიშნულია ლიტერ Γ-თი, მოგვცა კოორდინატები 80° 26' 30" და 92° 08' 00".

ამ უცნობი მიწის ნაპირებით სამხრეთისაკენ სვლის დროს მე გამოვიკვლიე მისი ნაპირები 81 და 79 ნორდულ პარალელებს შორის. ჩრდილოეთ ნაწილში ნაპირი წარმოადგენს საკმაოდ დაბლობ მიწას, ნაწილობრივ დაფარულს ფართო მყინვარით. უფრო შორს, სამხრეთისაკენ ნაპირი უფრო მაღალია და ყინულით დაუფარავი. აქ ჩვენ ვიპოვეთ მორიყული ხეები. 80° განედში აღმოჩენილია განიერი სრუტე თუ უბე, რომელიც მიდის პუნქტ ლიტერ C-დან OSO მიმართულებით.

დაწყებული პუნქტიდან, რომელიც აღნიშნულია ლიტერ D-ით, ნაპირი მკვეთრად უხვევს ზუილ-ზუილ-ვესტის მიმართულებით. მე ვაპირებდი გამომერკვია სამხრეთი ნაპირი ახლად აღმოჩენილი მიწისა, მაგრამ ამ დროს უკვე გადაწყვეტილი გქონდა დაძვრა ხარბტონ ლაპტევის ნაპირით ენისეისკენ.

ვაცნობებ რა სამმართველოს ჩემი აღმოჩენების შესახებ, აუცილებლად ვთვლი აღვნიშნო, რომ სიგრძედების განსაზღვრები სავსებით საიმედოდ არ მიმაჩნია, რადგანაც გემის ქრონომეტრები, მიუხედავად გულმოდგინე მოვლისა, ორი წლის განმავლობაში არ შეუსწორებიათ დროსთან.

ივანე ტატარინოვი.

ამას ერთვის: 1. ზომალდი „წმ. მარიამის“ სავახტო დავთრის შემოწმებული ასლი.

2. ქრონომეტრული დავთრის ასლი.

3. რვეული გამოანგარიშებებით და გადაღებების მონაცემებით.

4. გადაღებული ადგილების რუკა.

1915 წლის 18 ივნისი. ბანაკი კუნძულ 4-ზე რუსეთის არქიპელაგში.

### 3.

ძვირფასო მამა!

ვშიშობ, რომ ჩვენი საქმე გათავებულია და იმის იმედიც კი აღარა მაქვს, რომ შენ ოდესმე წაიკითხავ ამ სტრიქონებს. სიარული უკვე აღარ შეგვიძლია, ვიყინებით სიარულში, გაჩერებებზე, ჭამის დროსაც კი ვერა და ვერა ვთბებით. ფეხებს ვუჩივი, განსაკუთრებით მარჯვენას, და არც კი ვიცი, როგორ და როდის მომეყინა. ჩვეულებისამებრ ვწერ „ჩვენ“, თუმცა უკვე სამი დღეც არის, რაც საწყალი კოლბაკოვი გარდაიცვალა. მე დამარხვაც კი არ შემიძლია მისი — ქარბუქია! ოთხი დღეა ქარბუქია — ეს ჩვენთვის მეტად ბევრია.

მალე ჩემი რიგიც მოვა, მაგრამ მე სულ არ მეშინია სიკვდილისა, ეტყობა, იმიტომ რომ გადარჩენისათვის იმაზე მეტი გავაკეთე, ვიდრე ძალა შემწევს.

ძალიან დამნაშავე ვარ შენს წინაშე და ეს აზრი ყველაზე მძიმეა, თუმც არც სხვებია ბევრად უფრო მსუბუქი.

რამდენი ღელვა, რამდენი მწუხარება გადაიტანე ამ წლების გახმავლობაში — და აი, კიდევ ერთი, ყველაზე დიდი მწუხარება და გატყდა თავს. მაგრამ შენ ხელფეხშეკრულად ნუ ჩასთვლი თავს და, თუ შეგხვდება ადამიანი, რომელთანაც ბედნიერი იქნები, გახსოვდეს, რომ ეგ ჩემი სურვილია. ასე უთხარი ნინა კაპიტონოვსას. გადავებევი მას და ვთხოვ, დაგეხმაროს, რამდენიც შეუძლია, განსაკუთრებით კატიას აღზრდაში.

ძალიან მძიმე იყო ჩვენი მოგზაურობა, მაგრამ ყოჩაღად ვიყავით და, ალბათ, შევძლებდით კიდევ ჩვენი ამოცანის შესრულებას, მოწყობილობებს რომ არ დავეყოვნებინეთ და ეს მოწყობილობა რომ ისეთი ცუდი არ გამომდგარიყო.

ჩემო ძვირფასო მამუნკა, ნეტავი როგორ ჯნდა იცხოვროთ ჯჩემოდ?! ან კატიას, კატიას რა ეშველება! მე ვიცი, ვის შეეძლო დახმა-

რება გაეწია თქვენთვის, მაგრამ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ საათებში არ მინდა ვახსენო იგი. მე არ მეწერა, პირში მიმეხალა ყველაფერი, რაც ამ წლებში გულში ბოღმა დამიგროვდა. მათში გახსახიერდა ის ძალა, რომელიც ყოველთვის ხელ-ფეხს მიკრავდა, და მწარეა ჩემთვის ფიქრი ყველა იმ საქმეებზე, რომლის შესრულებაც შემეძლო, ჩემთვის რომ არა თუ ეშველათ, არამედ ხელი რომ მაინც არ შეეშალათ. რას იზამ! ერთადერთი ნუგეშია, რომ ჩემი შრომით აღმოჩენილია და რუსეთთან შეერთებულია ახალი თვალუწვდენელი მიწები. მიძნელდება მოვცილდე ამ წერილს, უკანასკნელ საუბარს შენთან, ძვირფასო მამა. შვილს გაუფრთხილდი, ყური უგდე, რომ არ იზარმაცოს. ეს ჩემი თვისებაა, მე ყოველთვის ზარმაცი და მეტად მინდობილი ვიყავი.

კატია, ჩემო გოგონავ! გაიგებ კი ოდესმე, რამდენს ვფიქრობდი შენზე და როგორ მინდოდა, კიდეც ერთხელ მაინც მენახე სიღვდილის წინ!

მაგრამ კმარა. ხელები მეყინება, მე კი ჯერ ბევრი მაქვს დასაწერი. გადაგეხვევით. მარად თქვენი.

## თავი მხუთო

### უკანასკნელი ფურცელი

მე არ მინდოდა, რომ კატია ექიმის ოთახში დარჩენილიყო. მით უმეტეს, რომ ეს ოთახი ექიმისა კი არა, ერთი დალუპული მეთაურისა იყო. ნივთები და ავეჯი მას ეკუთვნოდა. ყველაფერში ჩანდა, რომ აქ უეცრად შეწყდა სიცოცხლე — გაუბედავ, დაუშთავრებელ აკვარელში, რომლებიც პოლიარნოეს გადასახედებს წარმოადგენდნენ და სიმეტრიულად ეკიდა კედელზე, გულმოდგინედ დალაგებულ სპეციალურ წიგნების დასტაში, ფოტოგრაფიებში, რომელიც ძალიან ბევრი იყო — ყველგან ახალგაზრდა ქალი გრძელი ნაწნავებით, უკრაინულ ტანისამოსში, იგივე ქალი უფრო გაზრდილი, ტიტველა, ფუნჩულა ქორთა ბავშვით ხელში.

ათასნაირი, სრულიად ზედმეტი ფიქრები თავისთავად იბადებიან ასეთ ოთახებში, და ქალისთვის, რომლის ქმარიც ავიაციაში მსახურობს, მუდამ არ არის ადვილი ასეთი ფიქრების უკუგდება. მაგრამ კატია გადაწყვიტა დარჩენილიყო.

— მერე რა! — მითხრა მან. — ეს ძალზე ჩვეულებრივი ამბავია.

მეც აღარ დამივიწყია, მით უმეტეს, რომ პოლიარნოეში შედარებით იშვიათად შემდეგო ჩამოსვლა და ჩემთვის სასიამოვნო იყო ის აზრი, რომ კატია ექიმ ივან ივანიჩთან ცხოვრობდა და ყოველდღე ხედავდა მას. მაშინვე მუშაობა დაიწყო — ჯერ ჰოსპიტალში, მედდად, მერე კი ძველ პოლიარნოეში, სადაც ექიმს საამბულატორიო მიღება ჰქონდა. როდესაც ორი კვირის შემდეგ კვლავ ჩამოვედი, ის უკვე სავსე იყო თავის ახალი ცხოვრების ინტერესებით. საოცრად სწრაფად ჩაება ამ ცხოვრებაში.

ამ ადგილებიდან მიდიოდნენ გემები, რომ შორეულ და ახლო საზღვაო გზებზე შეხვედროდნენ საკავშირო გემებს და ჩაეძირათ გერმანელთა ბადრაგები. ყველაფერი, რაც ამ პატარა ქალაქში ხდებოდა, ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ამ ბრძოლასთან. საყვარელ მეთაურებს სახელებით იცნობდნენ. თუმცა ბევრ მათგანს სახელებით დიდი ხანია უკვე მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს.

არაჩვეულებრივი სიახლოვე ზურჯისა და ფრონტისა, რომელმაც ნ-ში განმაცვიფრა, აქ უფრო შესამჩნევი იყო, იმიტომ რომ თვით ცხოვრება პოლიარნოეში იყო ბევრად უფრო რთული და მდიდარი. კი არა „ხდებოდა“ ეს ცხოვრება, არამედ მიდიოდა — ყველაფერში ჩანდა, რომ ადამიანები, დაწყებული სარდლიდან რომელ წითელ ფლოტელამდეც გნებავთ, მტკიცედ განლაგდნენ ამ მიუვალ კლდეებს შორის და იომებდნენ გამარჯვებამდე სწორედ იმიტომ, რომ ეს იყო თანაბარი დაძაბვა, სწორედ ამიტომ ატანდა იგი ასე ღრმად ყოველდღიური ცხოვრების ყოველ წვრილმანში.

როდესაც პოლიარნოეში გატარებულ 1942 — 1943 წლის ზამთარს ვიგონებ, მეჩვენება, რომ ეს, მგონი, ყველაზე ბედნიერი ოჯახური ზამთარი იყო ჩვენს ცხოვრებაში. ეს შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, თუ წარმოიდგენთ, რომ თითქმის დღეგამოშვებით გერმანულ გემებიანათვის ყუმბარების დასაშენად მიედლოდი. მაგრამ ერთი იყო ფრენა, როდესაც არ ვიცოდი, რა იყო კატიას თავს, და სრულიად სხვა — როდესაც ვიცოდი, რომ ის პოლიარნოეშია ცოცხალი და ჯანმრთელი და რომ ამ დღეებში ვნახავ მას: მაგიდასთან, როგორ ასხამს ჩაის. მწვანე აბრეშუმის „შუქფარი, რომელზედაც ივან ივანიჩის მიერ სქელი ქაღალდიდან ოსტატურად გამოჭრილი ეშმაკუნები იყო მიმაგრებული, ამ მაგიდის ზემოდან ეკიდა და ყველაფერი, რაც მე და კატიას გვახარებდა იმ სამახსოვრო ზამთარში, თვალწინ მახატება მწვანე შუქფარის ნაპირებით შემოხაზულ ნათელ

წრეში და ყველაფერი, რაც ზრუნვასა და მწუხარებას გვაყენებდა. შორეულ ბნელ კუთხეებში იმალება.

მე მახსოვს იქ გატარებული საღამოები, როდესაც დიდი ხნის ამოა ცდის შემდეგ, ექიმს დაკავშირებოდი, პირველივე შემხვედრ კატარლას დავიკერდი ხოლმე, პოლიარნოეში მივიდიოდი და მეგობრები, რაც არ უნდა გვიან ყოფილიყო, იკრიბებოდნენ ამ ნათელ წრეში. რას მიქვიან ღამე, როდესაც ღლეც ღამეა!

სქელი ექიძი, კარგი მქანელი, თავის ოთახიდან გამობობლდებოდა ხოლმე უზარმაზარ ქურქწამოსხმული და, სხვა თუ არაფრით, თავისი ბევრი ლაპარაკითა და როხროხით იპყრობდა სუფრის ყურადღებას. თვით მისი შესახედაობაც მოუთმენელი მოლოდინისა, რაღაც კარგის ან მხიარულისა მაინც, თითქოს ხმაურობას ჰქმნიდა. მაშინაც კი, როცა სდუმდა, ისმოდა როგორ ქშინავდა, ლეკავდა, ან უბრალოდ როგორ სუნთქავდა.

მას ალბათ, — თუ ხმაურობის მიხედვით ვიტყვი, — მე მივდევი. მართლაც, ჩემს სიცოცხლეში ამდენი არ მილაპარაკნია, არ მისვამს, არ მიცინია. თითქოს გრძნობა, რომელმაც შემიპყრო, როდესაც კატია დავინახე, ასევე დარჩა გულში — ყველაფერი მიჰქროდა, მიჰქროდა სადღაც. საით? ვინ იცის! მე მწამდა, რომ ბედნიერებისაკენ. რაც შეეხება ექიმ ივან ივანიჩს, რომელიც ნამდვილად ავად გრძნობდა თავს შეილღის დაღუპვის შემდეგ, ისიც კი გამოცოცხლდებოდა ხოლმე ჩვენს საღამოებზე და სულ უფრო ხშირად მოჰყავდა ადგილები უმთავრესად საერთაშორისო პრობლემების გამო თავის საყვარელ ავტორ კოზმა პრუტკოვიდან.

ბოლოს, ყველაზე უკანასკნელ ადგილზე, თუ ხმაურობის მიხედვით ვიანგარიშებთ, უნდა დავაყენოთ ჩემი შტურმანი, რომელიც, საერთოდ, კრინტს არა სძრავდა, იჯდა და ჩაფიქრებული, წარბებსა კმუხნიდა, ჩიბუხს პირიდან იღებდა და ბოლის ბოლქვებს უშვებდა. მე მიყვარდა იგი — მგონი უკვე ვთქვი კიდეც — იმიტომ, რომ ის ჩინებული შტურმანი იყო და მე ვუყვარდი — თვისება, რომელიც მუდამ მომწონდა ადამიანებში.

კატია კი დიასახლისობდა. როგორ ახერხებდა იმას, რომ ეს ჩვენი სახლია, რომ ჩვენ სტუმრებს ვიღებთ და სულითა და გულით ვცდილობთ, კარგა გავუმასპინძლდეთ და დავათროთ კიდეც, — არ ვიცი, მაგრამ ასე კი გამოდიოდა.

რასაკვირველია, არ იქნებოდა ეს საღამოები, ეს ბედნიერება

კატასთან შეხვედრისა, როდესაც დილით მაცილებდა ხოლმე, და გაუბედავი, ახალი ამოსული მზე, რომელიც ბავშვების საპაერო ბურთსა ჰგავდა, მზე პოლარული დღის დასაწყისისა, თითქოს საგანგებოდ ჩვენთვის ამოდოდა გორაკების ზოლის ზემოდან... არ იქნებოდა ეს სულიერი აღფრთოვანება, ან იქნებოდა სრულიად სხვანაირი, რადიოს რომ ყოველამ არ მოეტანა ამბები ჩვენი გამარჯვებების შესახებ. ეს იყო საერთო აღფრთოვანება, რომელიც რაც დღე გადიოდა, სულ უფრო მატულობდა, მარტო აქ კი არა, ჩრდილოეთში, სადაც ომის განაპირა მარჯვენა ფლანგი იყო და სადაც მიუვალ წყალში შექრილ ფრიალო კლდეზე იდგა უკანასკნელი სახმელეთო ფრონტის სალდათი, არამედ ყველგან, — ამ ფრონტის რომელ უბანზედაც გნებავთ.

უკვე გადაიგრიალეს უკანასკნელმა ტყვიებმა სტალინგრადში, ქვარტლისაგან გაშავებული მებრძოლები წყალსადენში ჩასაშვებ კარებიდან გამოძვრნენ და სინათლისა და თოვლის შექსე თვალებმოქუტულები უყურებდნენ დანაცრებულ, ბრძოლით დაბრუნებულ ქალაქს, — პოლიარნოეს გრანიტის გორაკებში გუგუნით გაისმა გამოძახილი ამ დიადი გამარჯვებისა. მგონი, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი შესაძლებელი, რომ იგი იქითაც წასულიყო — ნორვეგიის ნაპირებით, იქით, სადაც ფრთხილად მოიპარებოდნენ უცხო ქვეყნიდან უცხო ქვეყანაში გერმანელების ბადრაგები, სადაც სკოლას სხვის იარაღით დატვირთულ გემებს და სხვისი მადნეულით სტვირთავენ, მიაქვთ და მიაქვთ ბარენცის ზღვის დაძაბულ, იღუმალ ხმაურობით მოცულ ღამეში...

მთელ თავისუფალ დროს ჩვენ — ექიმი, კატია და მე — „წმ. მარიამის“ ექსპედიციის მასალების შერჩევას და შესწავლას ვანდომებდით.

არ ვიცი, რა უფრო რთული იყო — ფოტოფირფიტების გამოძედავნება, თუ ექსპედიციის საბუთების წაკითხვა. როგორც ცნობილია, სურათი წელთა მანძილზე მკრთალდება ან იბურება. ტყუილად კი არ იყო, რომ უწინ ყუთებზე ყოველთვის აღნიშნული იყო ვადა, რომლის შემდეგაც ფაბრიკა თავდები არ იყო, რომ მკაფიო იქნებოდა გამოსახულება. ეს ვადა „წმ. მარიამის“ ფირფიტებისათვის 1914 წლის თებერვალში გათავდა. გარდა ამისა, ლითონის ყუთები წყლით იყო სავსე, ფირფიტები მთლად დასველებულიყო და ალბათ, მთელი წლები ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩრდი-

ლოეთ ფლოტის საუკეთესო ფოტოგრაფებმა გამოაცხადეს, რომ ეგ „უიმედო წამოწყებაა“ და რომ ისინი (ფოტოგრაფები) ღვთაებრივი წარმოშობისაა რომ ყოფილიყვნენ, იმ შემთხვევაშიც კი ვერ შესძლებდნენ ამ ფირფიტის გამომკვლავებას. მე დავიყოლიე ისინი. შედეგად ას თორმეტი სურათიდან, რომელიც დიდი სიფრთხილით გავაშრეთ, ორმოცდაათ ცალამდე სცნეს „ღირსად შემდგომი დამუშავებისათვის“. მრავალჯერ გადაღების შემდეგ ოცდაროი სრულიად მკაფიო სურათი მიიღეს.

ერთხელ მე უკვე წავიკითხე სელაპის ქონით დასერილი გაურკვეველი, დაუდევარი ხელით ნაწერი, შტურმან კლიმოვის დღიურები. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცალკეული ფურცლები ორ დაკაზმულ რვეულში. ტატარინოვის საბუთები კი, გარდა ყველაზე უკეთესად შენახულ გამოსათხოვარ წერილებისა, რომელიც სხვა ქაღალდებზე უკეთესად შენახულიყო, ნაპოვნი იყო მტკიცედ ერთმანეთზე მიკრულ ქაღალდების მასის სახით, და მისი გადაქცევა ქრონომეტრულ ან სავაზტო დაეთრად, რუკებად და გადაღებების მონაცემებად, საკუთარი ძალებით, მე, რასაკვირველია, არ შემეძლო. აგრეთვე ესეც გაკეთდა სპეციალურ ლაბორატორიაში გამოცდილი ადამიანის ხელმძღვანელობით. ამ წიგნში ვერ გიამბობთ დაწვრილებით იმას, რაც წავიკითხეთ ტილოს რვეულში, რომელსაც კაპიტანი ტატარინოვი ახსენებს დართული საბუთების ჩამოთვლის დროს. ვიტყვი მხოლოდ, რომ მან მოასწრო გამოეტანა დასკვნები თავისი დაკვირვებებიდან და მის მიერ შემოთავაზებული ფორმულები საშუალებას გვაძლევენ გამოვიანგარიშოთ სისწრაფე და მიმართულება ყინულთა მოძრაობისა, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანის რომელ რაიონშიც გნებათ. ეს თითქმის წარმოუდგენელი გვეჩვენება, თუ მოვიგონებთ, რომ შედარებით მოკლე დრეიფი „წმ. მარიამისა“ მოდიოდა ადგილებზე, რომლებიც თითქოს არ იძლევიან მონაცემებს ასეთი ფართო დასკვნებისათვის. მაგრამ გენიალური განჭვრეტისათვის ზოგჯერ მცირე ფაქტებია საჭირო.

„შენ წავიკითხე კაპიტან ტატარინოვის ცხოვრება, — ასე ვეუბნებოდრი ჩემ თავს, — მაგრამ უკანასკნელი ფურცელი დარჩა გადაუშლელი“.

„ჯერ არაფერი არ გათავებულა, — ასე ვუბასუხებდრი, — ვინ იცის, შესაძლებელია მოვა დრო, როდესაც მე მოვახერხებ ამ ფურცლის გადაშლას და წაკითხვას“.

ღრო მოვიდა. მე წავიკითხე იგი, ის უკვდავი აღმოჩნდა.

ღაბრუნება

1944 წლის ზაფხულში შეებულება მივიღე და მე და კატია დავეწყვიტეთ სამი კვირა მოსკოვში გაგვეტარებინა, ვეოთხე კი ენსკში — მოხუცები გვენახა.

ჩვენ ჩამოვედით 17 ივლისს — სამახსოვრო თარიღია! ამ დღეს მოსკოვზე გერმანელი ტყვეები გაატარეს.

მსუბუქი ჩემოდნები გვქონდა. გადავეწყვიტეთ. ცენტრამოსის მეტროთი მივსულიყავით, და, აეროპორტიდან რომ გამოვედით, მთელი ორი საათი გზაზე ვერ გადავედით. ჯერ ვიდექით, მერე, დაქანცულები ჩემოდნებზე ჩამოვსხედით, მერე კვლავ ავდექით, ტყვეები კი სულ მოდიოდნენ: კარგად პირგაპარსულნი, უბადრუენი, ამპარტავნული გამომეტყველებით, თავზე მალალი კარტუზებით, „მეკრდიან“ კიტელებში ჩაცმული გენერლები, რომელთა შორისაც იყვნენ ცნობილი მწამებლები და მკვლელები, ალბათ უკვე ყირიმის ხიდან იყვნენ, ხოლო სალდათები ჯერ ისევ მიდიოდნენ, მიჩანჩალებდნენ, — ვინ ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველი, ვინ მაზარა გაღელილი.

ინტერესით და ზიზლით ვუყურებდი მათ. როგორც მრავალმფრინავ-ყუმბარმსროლელს, მთელი ომის განმავლობაში მტერი, საერთოდ, ერთხელაც არ მინახავს, მხოლოდ მიზნის პიკირების დროს თუ დავინახავდი, მაგრამ იმ დროს ბევრს ვერ დაინახავ! ახლა „ბედმა გაილიმა“ — ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასამა მტერმა, ოც-ოცმა მწკრივში, ერთად გაიარა ჩემს წინ, ერთნი ჰკვირობდნენ მოსკოვს, რომელიც განსაკუთრებით მშვენიერი იყო ამ მზიან კაშკაშა დღეს; მეორენი, თავჩაქინდრულნი, გულგრილნი, დაღრეჯილები, ფეხებზე იჭკირებოდნენ.

ეს იყო ათასნაირი ხალხი, ათასნაირი ბედით. მაგრამ ერთფეროვნად უცხო, დაუარულებლად შორეული იყო ჩვენგან ყოველი მათი მოძრაობა, ყოველი გამოსხედა.

კატიას შეეხედე. ის იდგა, გულზე ჩანთა მიეკრა, ღელავდა. მერე უცბად მაგრად მაკოცა. მე ვკითხე:

— მადლობა გადამიხადე?

მან სერიოზულად მიპასუხა:

— ჰო!

ჩვენ ბევრი ფული გვექონდა და სასტუმრო „მოსკოვში“ ყველაზე საუკეთესო ნომერი ვიქირავეთ — მდიდრულად მოწყობილი, სარკეებით, სურათებით და როიალით.

ჯერ თითქოს რაღაც გვეხამუშებოდა, მაგრამ თურმე სულაც არ იყო ძნელი, მივჩვეოდით სარკეებს, ხალიჩებს, ჭერს, რომელზედაც ყვავილები და ამურები იყო დახატული. ძალიან კარგად ვიყავით ამ ნომერში, — ხალვათად და საოცრად მყუდროდ.

რასაკვირველია, კორაბლიოვი ჩამოსვლის დღესვე გვეწვია — მორთული, კოხტად აგრეხილი უღვაშებით, განიერ თეთრ მოქარგულ პერანგში, რომელიც ძალიან უხდებოდა და ვილაც დიდ რუს მხატვარს ამსგავსებდა, მაგრამ ვის, — მე და კატიამ ვერ მოვიგონეთ.

ის მოსკოვში იყო, როდესაც 1942 წლის ზაფხულში მის ქეჩაგაკრულ კარებს ვუკაკუნებდი. მოსკოვში იყო და კინალამ ჭკუაზე შეიშალა, როდესაც სახლში დაბრუნდა და ჩემი წერილი დახვდა, რომლითაც ვატყობინებდი. იაროსლავლში მივდივარ-მეთქი, კატიასთან.

— არა, როგორ მოგწონთ! კატიასთან, რომელიც წინა დღეს მილიციაში მივიყვანე, რადგანაც არ უნდოდათ მისი ჩაწერა სივცევკრაქეჯზე!

— არაფერია, ძვირფასო ივან პავლიჩ, — ვუთხარი მე, — ყველაფერი კარგია, რაც კარგად ბოლოვდება. იმ ზაფხულს მე მაინც-დამაინც ბედნიერი არ ვიყავი, და უკეთესია, რომ ჩვენ ახლა-შევხვედით ერთმანეთს, როდესაც ყველაფერი მართლაც კარგად მთავრდება. მე მაშინ ვიყავი გაშავებული, გამხდარი და გაველურებული, ახლა კი თქვენ წინ დგას ნორმალური, მხიარული ადამიანი. მაგრამ თქვენსე გვიამბეთ! რასა იქ? როგორა ცხოვრობთ?

ივან პავლიჩს არასოდეს არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი. სამაგიეროდ, ბევრი საინტერესო გავიგეთ სადოვოტრიუმფალურზე მდებარე სკოლის შესახებ, რომელშიაც ოდესღაც ასეთი მნიშვნელოვანი ამბები მოსდა ჩემსა და კატას ცხოვრებაში. ჩვენ დავამთავრეთ სკოლა და ყოველი წლით სულ უფრო მეტად გვმორღებოდა იგბ და უკვე უცნაურად გვიჩვენებოდა, რომ ჩვენ ვიყავით მგზნებარე ბავშვები, რომელთაც ცხოვრება ისე გადამეტებულად რთულად წარმოედგინათ. ივან პავლიჩის ცხოვრება კი ისევე სკოლა იყო. ის ყოველდღე აუჩქარებლად სარკის წინ უღვაშებს ივარჯინიდა, ჯოხს იღებდა და გაკვეთილზე მიდიოდა, და ახალი ბიჭები, როგორც პროექტორის სხივის ქვეშ, გაივლიდნენ მისი სასტიკი, მოსიყვარულე ყურადღებით სავსე გამოხედვის წინ. ო, ეს შემო-

ხედვა! მომაგონდა გრიშკა ფაბერი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „შეხედვა ყველაფერია“ და რომ ასეთი შემოხედვით ის „თვალის დახამხამებაზე შეიქმნილა კარიერას თეატრში“.

— ივან პავლიჩ, სად არის გრიშა?

— პროვინციაშია, — გვითხრა ივან პავლიჩმა, — სარატოვში. დიდი ხანია არ მინახავს. მგონი, კარგი მსახიობი გახდა.

— მუდამაც კარგი იყო. მე ყოველთვის მომწონდა მისი თამაში. ცოტა ღრიალებდა, მაგრამ რა უჭირს. სამაგიეროდ, არც ერთი სიტყვა არ იკარგებოდა.

მთელი კლასი მოვიგონეთ — მწუხარებასაც გვევრიდა და სიხარულსაც ძველი მეგობრების მოგონება, რომელნიც მთელ ქვეყანაზე გაფანტა ცხოვრებამ. ტანია ველიჩკო სახლებს აშენებს სტალინგრადში. შურა კოჩნევი — არტილერიის პოლკოვნიკია და ცოტა ხნის წინათ ბრძანებაში იყო მოხსენებული. მაგრამ ბევრის შესახებ ივან პავლიჩმაც არაფერი იცოდა — დრომ თითქოს გვერდი აუარა მად და ისინი მესხაერებაში დარჩნენ ჩვიდმეტი წლის ბიჭებად და გონებად.

აი, ასე ვისხედით და ვლაპარაკობდით და უკვე სამჯერ დარეკა პროფესორმა ვალენტინ ნიკოლაევიჩ ჟუკოვმა. გავლანძღეთ კოდეც, — რა ვუყოთ, რომ პროფესორია, — იმიტომ რომ იგვიანებს, რაღაც მორიგ ამბავს იმიზეზებს გველებისა თუ შავმურა მელიების პიბრიდებისას.

როგორც იყო, მობრძანდა და კარებში გაშეშებულივით გაჩერდა, ჩაფიქრებულმა ცხვირზე თითი მიიღო. თქვენ წარმოიდგინეთ, მოჩვენა, რომ სხვის ნომერში მოხვდა!

— აბა, პროფესორო, შემოდი, შემოდი! — ვუთხარი მე.

ხარხარით გამოქანდა ჩემკენ. მის უკან კარებში გამოჩნდა მაღალი, სრული, ქერა მანდილოსანი, რომელსაც, თუ არა ვცდები, ოდესღაც კირენი ერქვა.

რასაკვირველია, უპირველესად ყოვლისა, ჯვარედინი დაკითხვები გამიმართეს. მარცხნიდან ვალია აწარმოებდა დაკითხვას, მარჯვნიდან — კირენი. რატომ, ზანაირად და რა საფუძველზე, უცხო ბინის გატეხვისა და ყველა ოთახების დავლის შემდეგ აღმოვაჩინე რა, რომ კატია პროფესორ ვ. ნ. ჟუკოვთან იყო ბინად. იმაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, რომ ყოვლად უაზრო ბარათი დამეტოვებინა, უაზრო, რადგანაც ბარათში არ იყო ნაჩვენები: ან სად შეიძლებოდა ჩემი ნახვა, ან დიდხანს დავრჩებოდი თუ არა მოსკოვში.

— ბენტერავ, ის კატიას ლოგინი იყო, — მითხრა ვალიამ, — საწოლის ბოლოზე მისი კაბა იდო! ღმერთო ჩემო, განა ვერ მიხვდი, რომ მხოლოდ ქალის ხელს შეეძლო ჩემთან ისეთი წესრიგი დაემყარებინა?

— რომ მხოლოდ ქალის ხელს შეეძლო ისე დალაგება, — ვუთხარი მე, — ამაში არავითარი ექვი არ მეპარებოდა.

კირამ გადაიკისკისა, მგონი, გულკეთილად, ვალიამ კი თვალები დამიწყვიტა. ეტყობა, იდუმალ, სხვადასხვათვალეზიან ენეკა კოლპაკჩის აჩრდილი ჯერ ისევ დახეტიალებდა მათ ოჯახში.

ქალები გვერდზე ოთახში გავიდნენ. კირენი აწოვებდა თავის მეოთხე შვილს და უნდა ვიფიქროთ, რომ მათ სალაპარაკო გამოუნახეს.

ჩვენ კი ომზე დავიწყეთ ლაპარაკი. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ომი მალე უნდა დამთავრებულიყო. ვალია და ივან პავლიჩი ისეთი გამომეტყველებით მისმენდნენ, თითქოს სწორედ მე უნდა მიმეცა ახლო მომავალში სარდლობისათვის უკანასკნელი პატაკი იმაზე, რომ ჩვენი ჯარების მიერ დაკავებულია ქალაქი ბერლინი. ვალიამ იკითხა, რატომ არ გადავლახავთო ვისლას, და ძალიან შეწუხდა, როდესაც ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. რაც შეეხება\* ჩრდილოეთს, თუ მისი კითხვების მიხედვით ვიმსჯელებთ, მე ესკადრილის მეთაური კი არ ვიყავი, ფრონტს ვმეთაურობდი.

მერე ივან პავლიჩმა კაპიტან ტატარინოვზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მე ხმას ოდნავ დავუწვიე, რომ კატიას არ გაეგონა. ზოგი რამ დაწერილებით ვუამბე, რის შესახებაც პრესაში არ იყო ნახსენები. კაპიტანი ტატარინოვის კარვის მახლობლად, კლდის ვიწრო ნაპირალში, ჩვენ ვიპოვეთ მეზღვაურთა საფლავები — გვამები პირდაპირ მიწაზე ეწყო და დიდრონი ქვები ჰქონდათ მიყრილი. დათვებს და თეთრ მელიებს დაეტაცნათ და ერთმანეთში აერიათ ძვლები — ერთი თავის ქალა ბანაკიდან სამი კილომეტრის მანძილზე ლელეში ვიპოვეთ. ალბათ, უკანასკნელი დღეები ერთ საძილე ტომარაში გაატარეს კაპიტანმა და მზარეულმა კოლპაკოვმა, რომელიც კაპიტანზე ადრე მოკვდა. მარია ვასილევნას წერილზე ჯერ ეწერა: „ჩემს ცოლს“, მერე გადასწორებული იყო: „ჩემს ქვრივს“. კაპიტანის მარჯვენა ხელის ქვეშ ნაპოვნი იყო ჯვრისწერის ბეჭედი. ბეჭდის შიგნითა მხარეს ეტყობოდა ინიციალები: მ. ტ.

მე ჩემოდნიდან ამოვიღე და ვაჩვენე გულის ფორმის ოქროს მედალიონი. ერთ მხარეზე იყო მარია ვასილევნას მინიატურული

პორტრეტი, მეორეზე კი — შავი თმა. ივან პავლიჩი ფანჯარასთან მივიდა. სათვალე გაიკეთა და დიდხანს სინჯავდა მედალიონს. იმდენ ხანს სინჯავდა, ცხვირსახოცით უღვაშებს იწმენდავდა და კვლავ სინჯავდა, რომ ბოლოს და ბოლოს მე და ვალია მივედით მასთან, ორივე მხრიდან მოვეხვიეთ, წამოვიყვანეთ და სავარძელში ჩავსვით.

— კატია ისე ჰგავს, ღმერთო ჩემო! — თქვა მან და ამოიოხრა. — დეკემბერში ჩვიდნეტი წელიწადი გახდება. ძნელი დასაჯერებელია. მთხოვა, კატიასთვის დამეძახა და უამბო, რომ გაზაფხულზე სასაფლაოზე იყო, ყვავილები დარგა და დარაჯი დაიჭირავა მოაჯირის შესაღებავად.

ლამე გვიანობამდე ისხდნენ ჩვენთან მეგობრები და კირამ უკვე მოასწრო სივცევ-ვრაჟეკზე წასვლა პატარის ძუძუს მოსაწოვებლად და უფროსი შვილით დაბრუნდა, სწორედ იმ გოგონათი, რომელიც იმედებს იძლეოდა, რომ მომავალში ცნობილი მსახიობი გამოვიდოდა. ყოველ შემთხვევაში, კირას დედის აზრით, განსვენებული ვარვარა რაბინოვიჩი მთელი თავისი ცნობილი სკოლით ამ გოგონას „ფეხის ფრჩხილად არა ღირდა“, რომელიც ჯერ ისევ ძუძუთა ასაკიდან შესანიშნავად „იღებდა ხმას“, ახლა კი ცნობილ სტეპანიანზე ნაკლებად არა კითხულობდა პუშკინს.

ვალიამ ბევრი რამ გვიამბო და ისე ნანინუნით კი არა. როგორც ყოველთვის თავის მხეცებზე — სხვათა შორის, მღრღნელებთან ბრძოლის შესახებ ტრანშეებში. ვკითხე, შესძლო საბოლოოდ დამტკიცება, რომ გველებს ასაკთან ერთად ეცვლებათ სისხლი, თუ ასევე გამოცანად დარჩა ეს საკითხი მეცნიერებაში. გაიცინა და მითხრა: ჰო, შევძელიო.

ეს ჩინებული დღე იყო მოსკოვში, რომელიც დაიწყო იმით, რომ ორ საათზე მეტს ვიცდიდით, ვიდრე ტყვე გერმანელები ჩვენს წინ გაივლიდნენ. ამაზე უკეთესად მას არ შეეძლო დაწყებულიყო! ეს იყო დღე, როდესაც უეცრად გაიღვა გულში და საშუადად დარჩა შეგნება გამარჯვებისა. ჯერ ის არ იყო დაბეჭდილი შავი ასოებით გაზეთის ფურცელზე, ჯერ ბევრს უნდა შეეწირა მისთვის სიცოცხლე, მაგრამ ის უკვე ნათლად ჩანდა იმ უხილავ „დაბრუნების გრძნობაში“, რომელსაც, გეგონებოდათ, ყველაფერი მოეცვა. ცხოვრება უბრუნდებოდა ძველ ადგილებს. ომმა ისინი სულ სხვანაირი გახადა და უცნაური ახლის და ძველის შეჯახების ახალგაზრდული გრძნობით იყო სავსე 1944 წლის ზაფხულში მოსკოვი.

სალამოთი კი სალუტი იყო. თერთმეტს რომ მეოთხედი აკლდა, „მნიშვნელოვან ცნობათა“ გადმოცემა დააწყრიალეს და ვალიამ გვითხრა, ახლავე მეთორმეტე სართულზე ავსულიყავით. ლიფტი სავსე იყო და ჩვენ კიბეს ავეყვით — სულ ტყუილად კი, გზაზე გამოირკვა, რომ მეთორმეტე სართულზე თუ არა ლიფტით, სხვანაირად ვერ მოვხვდებოდით. მაგრამ ჩვენ როგორღაც მაინც მივაღწიეთ და შესანიშნავი მოსკოვი, სალამოს მოსკოვი, გადაიშალა ჩემს წინ, რომელმაც გული მხურვალე და აშკარა მღელვარებით შემიკუმშა. მე და კატია მღელვარებით გადავხედეთ ერთმანეთს. ხელჩაკიდებულნი რომელიღაც კედელთან ვიდექით. თითქოს არ ეჩქარებო, მუქი წითელი ალებით ნათლებოდა მშვიდი ცა და მერე ჩვენს ზემოდან სწრაფად მიჰქროდნენ ზევით კრელი ფერად-ფერადი ცეცხლები და ნელ-ნელა ძირს ეშვებოდნენ.

## თავი მეშვიდე

### მარი საუბარი

ორი საქმე მქონდა მოსკოვში. პირველი — მოხსენება გეოგრაფიულ საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ როგორ ვიპოვე „წმ. მარია-ამის“ ექსპედიცია, მეორე კი — საუბარი გამოძიებულთან რომაშოვის შესახებ. უცნაურია, მაგრამ ეს საქმეები ერთმანეთთან კავშირში იყო, რადგანაც ჯერ ისევ ნ-დან პროკურატურას ჩემი და რომაშოვის ძაღლის მოედანზე საუბრის ასლი გამოვუგზავნე.

დავიწყებ მეორედან.

1943 წლის შემოდგომაზე რომაშოვს მისჯილი ჰქონდა ათი წელი — ამის შესახებ ნ-ს საგანგებო განყოფილების მუშაკისგან გავიგე, მან ჩვენება ჩამომართვა, როდესაც მოსკოვში ირჩეოდა საქმე. ახლა, არ ვიცი რატომ, ჩვენება სამოქალაქო ინსტანციებში იყო გადაცემული და ხელახალი გადასინჯვა ხდებოდა, — ესეც არ ვიცი, რატომ. ჩემი ნ-დან წამოსვლის ცოტა ხნით ადრე მაცნობეს, რომ მოსკოვში გამოძიება რალაც დამატებით მონაცემებს მოითხოვდა.

ყველაფერი ეს არასასიამოვნო და მომაბეზრებელი იყო და ჯერ გზაშივე რომ მაგონდებოდა, კვლავ მომიხდება ამ საქმის დამალავ და რთულ ატმოსფეროში მოხვედრა-მეთქი, ცუდ გუნებაზე ვდგებოდი. რა კარგი იქნებოდა შევებულემა უამისოდ!

ჩემი ჩამოსვლის მეორე დღეს მე მოვახსენე, გამოვცხადდი-მეთქი და დაუყოვნებლივ მიმიწვიეს გამომძიებელთან, ვის ხელშიაც იყო რომაშოვის საქმე...

მისაღები ოთახი საერთო იყო — ხის ბარიერით გადაღობილი, ჩაბნელებული დარბაზი. განიერი ძველებური სკამები იდგა კედლების გასწვრივ და სულ სხვადასხვა ჯურის ხალხი — მოხუცები, ახალგაზრდა ქალები, ვიღაც სამხედროები უსამხრეებოდ — ისხდნენ ამ სკამებზე დაკითხვის მოლოდინში.

მე ვიპოვე ჩემი გამომძიებლის ოთახი — კარებზე აღნიშნული იყო მისი უცნაური გვარი: ვესიოლი და ვინაიდან ჯერ ცოტა აღრე იყო, რუკაზე, რომელიც მისაღებ ოთახში ეკიდა, პატარა ბაიარალების გადაადგილება დავიწყე. რუკას არა უჭირდა რა, მაგრამ პატარა ბაიარალები ბევრად რჩებოდნენ უკან ფრონტის ხაზს.

ნაცნობა ხმამ მომაშორა ამას — ისეთმა ნაცნობმა, დინჯმა ხმამ, რომ ერთი წამით ჩემი თავი ცუდად ჩაცმულ, კუჭყიან, შარვალზე დიდ საკერებელდადებულ ბიჭად ვიგრძენი.

ხმამ იკითხა:

— შეიძლება?

ჩანს, ჯერ არ შეიძლებოდა, რადგანაც გამომძიებლის კარა რომ შეაღო, ნიკოლაი ანტონიჩმა მიხურა იგი და ცოტა შეურაცხყოფილი სახით სკამზე დაჯდა. უკანასკნელად მეტროში შემხვდა იგი 1942 წლის ზაფხულში — ახლაც ისეთივე იყო: მედიდური და გაბღენძილი.

სტვენით გადამქონდა ბაიარალები ბალტიისპირეთის ფრონტზე. ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე მას ვითხარი: „მე ვიპოვი ექსპედიციას და მაშინა ვნახოთ, ჩვენს შორის ვინ არის მართალი“. იცას კი მან, რომ მე ექსპედიცია ვიპოვე? ექვს გარეშეა, იცის. მაგრამ მან არ იცის, პრესაში ერთი სიტყვაც არა ყოფილა იმის შესახებ, რომ კაპიტან ტატარინოვის ქოლადობაში ნაპოვნია უდავო და უცილობელი დასაბუთებანი ჩემი სიმართლისა...

ის იჯდა თავდახრილი, ხელებით ჯოხზე დაყრდნობილი. მერე შემომხედა და უნებლიეთ სწრაფად შეუტოკდა დიდი ფერმკრთალი სახე. „მიცნო“, — ვავიფიქრე მხიარულად. მიცნო და თვალი მომარიდა.

...ეს იყო წუთი, როდესაც ფიქრობდა, თავი როგორ დაეჭირა ჩემთან. რთული ამოცანა იყო, ეტყობა, წარნატებით გადასჭრა იმი-

ტომ, რომ უეცრად აღგა, თამამად მოვიდა ჩემთან და ხელით ქულს შეეხო.

— თუ არა ვცდები, ამხანავი გრიგორიევი ბრძანდებით?

— დიახ.

მგონი, ჩემს ცხოვრებაში პირველად წარმოვთქევი ასეთი გაკირვებით ეს მოკლე სიტყვა. მაგრამ მეც მქონდა წუთი, როდესაც გადავწყვიტე, როგორ უნდა დამეჭირა მასთან თავი.

— ეხედავ, რომ ამ დროს უქმად არ ჩაუვლია თქვენთვის. — განაგრძობდა ის და ორდენის ბაფთებზე მიყურებდა. — ახლა საიდან? რომელ ფრონტზე გვიცავთ ზურგის საწყალ მუშაკებს?

— განაპირა ჩრდილოეთში.

— დიდი ხნითა ხართ მოსკოვში?

— შეებულებაში ვარ სამი კვირით.

— და იძულებული ხართ ამ მისაღებ ოთახში დაქვარგოთ სვირფასი საათები? თუმცა ეს ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, — დაუმატა მოწიწებით. — ვფიქრობ, რომ თქვენ ჩემსავით რომაშოვის საქმეზე ხართ გამოძახებული!

— დიახ.

ის ცოტა ხანს სდუმდა. ოპ, რა ნაცნობი იყო ჩემთვის და ჯერ ბავშვობაშივე როგორ მეჯავრებოდა ეს ვითომც მნიშვნელოვანი დუმილი.

— აღამიანი კი არა, პირწავარდნილი ბოროტებაა, — ბოლოს თქვა მან, — ჩემი აზრით, საზოგადოება უნდა განთავისუფლდეს მისგან და რაც შეიძლება მალე.

მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი, დაეტყებოდი ამ ეპიურის პირმოთნეობის სანახაობით. მაგრამ მე ჩვეულებრივი ადაწიანი გახლდით და სურვილი მქონდა შეთქვა მისთვის, საზოგადოება რომ დროულად განთავისუფლებულიყო ნიკოლაი ანტონიჩ ტატარინოვისაგან, მაშინ მას (საზოგადოებას) რომაშოვთან არავითარი საქმე არ ექნებოდა-მეთქი.

მე ხმა არ ამომიღია.

ჯერ ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი „წმ. მარიამის“ ექსპედიციის შესახებ, მაგრამ მე ვიცნობდი ნიკოლაი ანტონიჩს: ის იმიტომ მოვიდა ჩემთან, რომ ჩემი ეშინოდა.

— მე გავიგე, — დაიწყო მან ფრთხილად, — რომ თქვენ შესძელით ბოლომდის მიგეყვანათ დაწყებული საქმე, და მსურს სულით

და გულით გადაგიხადოთ მადლობა, რომ თქვენ ამდენი შრომა გასწიეთ. თუმც მე საჯაროდ ვაპირებ ამის თქმას.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემ მოხსენებაზე მოვიდოდა და ისე დაიქერდა თავს, თითქოს ჩვენ მთელი ჩვენი სიცოცხლე მეგობრები ეიყავით. ის ზავსა მთავაზობდა. ძალიან კარგი! ისე უნდა მომეჩვენებინა თავი, რომ მე ამას ვიღებდი.

— დიახ, მგონი ცოტა რამ შევქელი.

მეტი არაფერი მითქვამს. და ოდნავი სიწითლეც კი წამოადგა მსუქან ფერმკრთალ ლოყებზე — ისე გამოცოცხლდა. ყველაფერმა განვლო და დავიწყებას მიეცა, ის ახლა გავლენიანი კაცია. რატომ არ უნდა დავამყარო მასთან ურთიერთობა? ალბათ გამოვიცვალე მართლაც, განა ცხოვრება არა სცელის ადამიანებს? მე გავსდი ისეთი, როგორც ის, — მე მაქვს ორდენები, წინსვლა და მას შეუძლია თავისი წინსვლების მიხედვით იმსჯელოს ჩემზე...

— ... ამბავი, რომელზედაც სხვანაირად დროს მთელი ქვეყანა ალაპარაკდებოდა, — განაგრძობდა იგი, — და ეროვნული გმირის ნეშტს, როგორადაც არის აღიარებული ჩემი ძმა, ზეიმით გადმოსვენებდნენ დედაქალაქში, ზეიმით მიაბარებდნენ მიწას და აუარებელი ხალხიც დაესწრებოდა.

მე ვუპასუხე, რომ კაპიტან ტატარინოვის ნეშტი განისვენებს ენისეის სრუტის ნაპირზე და რომ თვითონ ის ალბათ უკეთეს საფლავს არ ისურვებდა თავისი თავისთვის.

— ეგ ექვს გარეშეა. მაგრამ მე სხვაზე ვამბობ — თვით მის განსაკუთრებულ ბედზე, იმაზე, რომ დავიწყება, თითქოს კვალდაკვალ სდევდა მას და, თუ ჩვენ არა, — მან თქვა „ჩვენ“, — ვინ იცის, ერთ ადამიანს კი ეცოდინებოდა ქვეყანაზე, ვინ არის იგი და რა გააკეთა მან სამშობლოსა და მეცნიერებისათვის!

ეს უკვე მეტისმეტი იყო და კინაღამ უხეშად არ ვუპასუხე. მაგრამ ამ წუთში გაიღო კარი და ვიღაც ახალგაზრდა ქალმა. რომელიც გამომძიებლისაგან გამოვიდა, გამომძიებელთან შესვლა მთხოვა.

სულ ასე მეგონა, რომ გამომძიებელი ან გამომძიებელი ქალი (ეს ქალი იყო) ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი რომ არა ყოფილიყო, ასე განსაკუთრებულად მშრალად არ დამიწყებდა დაკითხვას. მაგრამ მერე ჩემმა ისტორიამ გაიტაცა და სულ მიანება თავი ოფიციალურ კილოს.

— თქვენ იცით, ამხანაგო გრიგორიევ, — ასე დაიწყო მან, რო-

დესაც ვუთხარი ჩემი წლოვანება, პროფესია, ვყოფილვარ თუ არა პასუხისგებაში და ასე შემდეგ, — რა საქმეზე დაგიბარეთ?

მე ვუპასუხე, ვიცი-მეთქი.

— თავის დროზე თქვენ ჩვენება მიეცით, — ალბათ მხედველობაში ჰქონდა დაკითხვა ნ-ში, — იქ ზოგი რამ გაურკვეველია, რის შესახებაც, უპირველესად ყოვლისა, აუცილებელია მოგელაპარაკოთ.

მე ვუთხარი:

— მზად ვარ, გემსახუროთ-მეთქი.

— აი, მაგალითად...

მან რამდენიმე ადგილი წაიკითხა, სადაც მე სიტყვასიტყვით გადავეცი ჩემი და რომაშოვის ნალაპარაკები ძაღლის მოედანზე.

— გამოდის, რომ როდესაც რომაშოვი განცხადებას სწერდა თქვენს შესახებ, ის თითქოს იარალი იყო მეორე ადამიანის ხელში.

— მეორე ადამიანი დასახელებულია, — ვთქვი მე, — ეს ნიკოლაი ანტონი ტატარინოვი გახლავთ, რომელიც მისაღებ ოთახში გელოდებათ. რომელი იყო მათ შორის იარალი და რომელი ხელები — ამის თქმა მე არ შემიძლია. მე მგონი, რომ მსგავსი საკითხის გადაჭრა არა ჩემს ამოცანას, არამედ თქვენს ამოცანას წარმოადგენს.

მე ვავჯავრდი, შეიძლება იმიტომ, რომ რომაშოვის დაბეზლებას მან მოწიწებით განცხადება უწოდა.

— და გაურკვეველი რჩება, რა მიზანს ისახავდა პროფესორი ტატარინოვი, როდესაც ცდილობდა საძიებო პარტიის ჩაშლას? ის ხომ თვითონ მეცნიერი-პოლარელია და თითქოს მისი დაკარგული ძმის ძიებას მის მხრივ ყველაზე მხურვალე თანაგრძნობა უნდა ეპოვა.

მე ვუპასუხე, რომ პროფესორ ტატარინოვს შეიძლება ჰქონდა რამდენიმე მიზანი. უპირველესად ყოვლისა, მას ეშინოდა, რომ „წმ. მარიამის“ ექსპედიციის ნაშთების წარმატებით ძიება დაადასტურებდა ჩემს ბრალდებებს. მეორე, ის არ არის მეცნიერი-პოლარელი, არამედ წარმოადგენს ცრუმეცნიერის ტიპს, რომელმაც თავისი კარიერა, სამსახურებრივი წინსვლა, „წმ. მარიამის“ ექსპედიციის ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნებზე ააშენა. ამიტომ ყოველგვარი კონკურენცია ბუნებრივია, ეჯახებოდა მის სასიცოცხლო ინტერესებს.

— მერე თქვენ გქონდათ სერიოზული საფუძველი, იმედი გქონდათ, რომ ძიება დაამტკიცებდა თქვენს ბრალდებებს?

მე ვუპასუხე, რომ მქონდა, მაგრამ რომ ეს საკითხი ახლა მსჯე-

ლობას აღარ მოითხოვს, რადგანაც მე ვიპოვე ექსპედიციის ნაშთები და მათ შორის პირდაპირი დასაბუთებანი, რომელთა საჯაროდ გამოცხადებასაც ვაპირებ.

სწორედ ამ პასუხის შემდეგ ჩემმა გამომძიებელმა დაიწყო ჩამოხტომა ოფიციალური ტონიდან.

— როგორ იპოვეთ? — იკითხა გულწრფელი განცვიფრებით, — ეს ხომ დიდი ხნის წინათ მოხდა. ოცი წლის, თუ უფრო მეტის წინათაც?

— ოცდაცხრა წლის წინათ.

— მაგრამ რა უნდა დარჩენილიყო ოცდაცხრა წლის შემდეგ.

— ძალიან ბევრი რამ, — ვუპასუხე მე.

— თვით კაპიტანიც იპოვეთ?

— დიახ.

— ის ცოცხალია?

— არა, რასა ბრძანებთ, რასაკვირველია, არა. ზუსტად შეიძლება თქმა, როდის დაიღუპა იგი — ათას ცხრაას თხუთმეტი წლის თვრამეტ ივნისსა და ოცდორ ივნისს შუა.

— მიაშბეთ.

რასაკვირველია, მე არ შემეძლო ყველაფერი მეამბნა. მაგრამ დიდხანს უცადა მიღებას პროფესორმა ტატარინოვმა და, ალბათ, ბევრი რამის გახსენება მოასწრო და ბევრ რამეზე ელაპარაკა თავის თავს, ვიდრე ჩემს ადგილს დაიკავებდა ამ ლამაზ, ცნობისმოყვარე ქალის მაგიდასთან.

მე მას ეუბამბე იმაზედაც, თუ რა არის სასამართლოზე გადასაცემი, იმაზედაც, რა არ არის გადასაცემი ბოროტმოქმედების ხანდაზმულობის გამო. მაგამ ძველი ისტორიები დიდხანს ცოცხლობენ, ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე ეს პირველი შეხედვით გვეჩვენება.

ის მისმენდა და, თუმცა ისევ გამომძიებელი იყო, მაგრამ გამომძიებელი, რომელიც ჩემთან ერთად არჩევედა წერილებს, რომელნიც ოდესღაც წყალდიდობამ შემოიტანა ეზოში, და ჩემთან ერთად აკეთებდა ამონაწერებს პოლარულ მოგზაურობებიდან, ჩემთან ერთად გადაჰყავდა მასწავლებლები, ექიმები, პარტიული მუშაკები ნენცების მიყრუებულ რაიონებში. უკვე წაკითხული იყო შტურმან კლიმოვის დღიურები, ნაპოვნი იყო თითბრის ძველი ბარჯი, უკანასკნელი შტრიხი, მაშინ ასე მეჩვენებოდა, დასაბუთებათა მთლიან სურათში. მაგრამ აი, ომამდე მივედი და გავჩუმდი, რადგან უსაზღვრო პანორამა ყველაფრისა, რაც ჩვენ განვიცადეთ, გადაიშალა ჩემს

წინ და მის სიღრმეში ოდნავდა კრთოდა აზრი, რომელიც მთელი სიცოცხლე მალეღებდა. ამის ახსნა ძნელი იყო უცხო ადამიანისთვის, მაგრამ მე ავუსხენი.

— კაპიტან ტატარინოვს ესმოდა ჩრდილოეთ საზღვაო გზის მთელი მნიშვნელობა რუსეთისათვის, — ვუთხარი მე, — და შემთხვევითი არაფერია იმაში, რომ გერმანელები ცდილობდნენ ამ გზის გადაკრას. მე ვიყავი მეომარი ადამიანი, როდესაც „წმ. მარია-მის“ ექსპედიციის დაღუპვის ადგილისკენ მივფრინავდი, და მე ვიპოვე, იგი იპიტომ, რომ მე მეომარი ადამიანი ვიყავი.

## თავი მარვე

### მოხსენება

ამჯერად მე არა ვცდილვარ პატივი მქონოდა მოხსენებით გამოვსულიყავი გეოგრაფიულ საზოგადოებაში და არ მიმიღია თავაზიანი მიწვევა, წარმედგინა ჩემი მოხსენება წერილობითი სახით. მე ორჯერ ვუთხარი უარი მიწვევაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პროფესორ ვ-ს წერილი „წმ. მარია-მის“ მეცნიერული შემკვიდრეობის შესახებ და, როდესაც მან თვითონ დამირეკა, მე თანხმობა მივეცი.

ყველანი მოვიდნენ ამ მოხსენებაზე, კირას დედაც კი. სამწუხაროდ, მე ვერ დავიხსომე ის პატარა მისასალმებელი სიტყვა კლასიკოსებიდან ამოღებული ციტატებით, რომლითაც იგი შემხვდა. სიტყვა ცოტა გაჭიანურდა და მეცინებოდა, როდესაც დავინახე, რა მორჩილი სასოწარკვეთილებით უსმენდა მას ვალია.

კორაბლიოვი პირველ რიგში დავსვი, პირდაპირ კათედრის წინ, — მე ხომ მიჩვეული ვიყავი მისთვის მეცქირა ჩემი გამოსვლების დროს.

— აბა, სანია, — მითხრა მან მზიარულად, — პირობა დავდოთ: მე ხელს დავდებ, შენ კი ილაპარაკე და დროდადრო ჩემს ხელს უყუარე! დავიწყებ ხელის დარტყმას — ჩანს, ღელავ. არა — მაშასადამე, არა ღელავ.

— ივან პავლიჩ, ძვირფასო!

ცხადია, მე ოდნავ არა ვღელავდი, თუმცა, საერთოდ, ეს საკმაროდ

საშინელი იყო. მე ვლელავდი მხოლოდ იმაზე, მოვიდოდა თუ არა ჩემს მოხსენებაზე ნიკოლაი ანტონიჩი.

ის მოვიდა. რუკებს რომ ვკიდებდი, მოვიხედე და დავინახე პირველ რიგში, კორაბლიოვის შორიანხლოს. ის იჯდა ფეხით შემოდებული და გაქვავებულივით წინ იყურებოდა. მომეჩვენა, რომ ამ რამდენიმე დღეში გამოცვლილიყო: მის სახეში რაღაც ძალღური გაჩენილიყო, ლოყები დაშვებოდა, საყელოს ზემოდან დანაოქებული, გაშხდარი კისერი უჩანდა.

რასაკვირველია, მე ძალიან მესიამოვნა, როდესაც თავმჯდომარემ, — ძოხუცა, ცნობილმა გეოგრაფმა, — ვიდრე მე მოაქემდა სიტყვას, რაჰდენიმე სიტყვა თვითონ თქვა ჩემს შესახებ. კიდევაც ვინანე, რომ ასეთი დაბალი ხმა ჰქონდა. მან თქვა, რომ მე „ვარ ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელთანაც მკიდროდ არის დაკავშირებული ბოლშევიკების მიერ არქტიკის ათვისების ისტორია“ შემდეგ თქვა, რომ სწორედ ჩემს შეუპოვრობას უნდა უმადლოდეს საბჭოთა არქტიკული მეცნიერება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფურცელს. — არც მე დამიწყია ამის საწინააღმდეგოდ რაიმეს გამოთქმა, მით უმეტეს, რომ დარბაზში ტაშმა იგრიალა და ყველაზე მაგრა კირას დედა უკრავდა ტაშს.

მე მგონი, არა ღირდა ასეთი გრძელი შესავლის გაკეთება, რომელიც ჩრდილოეთ საზღვაო გზის ისტორიისადმი იყო მიძღვნილი. თუმცა ეს საინტერესო იყო.

მე საკმაოდ ცუდად ვუამბე ამაზე — ხშირად ვჩერდებოდი, მაეიწყდებოდა ყველაზე უფრო უბრალო სიტყვები და, საერთოდ, „ვზზუოდი“, როგორც მერე კირამ გამოაცხადა.

მაგრამ აი გადავედი ჩვენს დროზე, საერთო შტრიხებით მოვხაზე ჩრდილოეთის პრობლემის სამხედრო მნიშვნელობა და შევჩერდი ისტორიულ თარიღზე, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოეთის ფლოტს.

ამ წუთში სადღაც შორს, გასავალის ბნელ ბოლოში, გამოჩნდა და მიიპალა ჩემი კატია. ის ცოტა შეუძლოდ იყო — გაცივდა და დამპირდა, რომ შინ დარჩებოდა. მაგრამ რა კარგი იყო, რომ მოვიდა, პირდაპირ ვშვენიერი იყო! გულზე უეცრად სიამე მომეფინა და უფრო დაბეჯითებით და უფრო მტკიცედ დავიწყე ლაპარაკი.

— შესაძლოა, თქვენ უცნაურად მოგეჩვენოთ, — ვთქვი მე, — რომ ომის დღეებში განვიზრახე მოხსენებით გამოვსულიყავი ძვე-

ლი ექსპედიციის შესახებ, რომელიც დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ დამთავრდა. ეს ისტორიაა. მაგრამ ჩვენ არ დაგვეიწყებია ჩვენი ისტორია და შესაძლებელია, ჩვენი მთავარი ძალა სწორედ იმაშია, რომ ომმა არ გააუქმა და არ შეაჩერა არც ერთი დიადი აზრი, რომელთაც გარდაქმნეს ჩვენი ქვეყანა. ჩრდილოეთის დაპყრობა საბჭოთა ხალხის მიერ ამ აზრთა რიცხვს ეკუთვნის.

ენა დაჰება იმიტომ, რომ მოჰინდა მუამბნა, როგორ ვათვალისწინებდით იმიერპოლარეთს მე და ლედკოვი. მაგრამ ეს მოხსენების თემას სცილდებოდა და არცთუ ისე მოხდენილად გადავედი კაპიტანის ბიოგრაფიაზე.

რალაც მიუწვდომელი გრძნობით ვყვებოდი მასზე! თითქოს ის კი არა, მე ვიყავი ის ბიჭი — დაბადებული ღარიბი მუშის ოჯახში, აზოვის ზღვის ნაპირზე. თითქოს ის კი არა, მე დავდიოდი სიკაბუკეში მეზღვაურად ნავთის გემებზე — ბათუმსა და ნოგორო-სინისკის შუა. თითქოს იმან კი არა, მე დავეჭირე გამოცდა „საზღვაო პრაპორშჩიკობაზე“ და მერე ვმსახურობდი ჰიდროგრაფიულ სამმართველოში, სადაც ამაყი გულგრილობით ვიტანდი ოფიცერთა ქედმალღურ ამპარტავნობას. თითქოს მან კი არა, მე გავაკეთე შენიშვნები ნანსენის წიგნებში და გენიალური აზრი: „ყინული თვითონ გადასწყვეტს ამოცანას“ ჩემი ხელით იყო ჩაწერილი. თითქოს მისი ისტორია დამთავრდა არა დამარცხებითა და სიკვდილით, არამედ გამარჯვებითა და ბედნიერებით; მეგობრებიც, მტრებიც და სიყვარულიც კვლავ განმეორდა. მაგრამ ცხოვრება გადასხვაფერდა და გაიპარჯვეს არა მტრებმა, არამედ მეგობრებმა და სიყვარულმა.

მე ვლაპარაკობდი და სულ უფრო მეტი სიძლიერით განვიციდიდი იმას, რასაც სხვა არაფერი არ შემოიძლია ვუწოდო, თუ არა ზეშთაგონება, თითქოს შორეულ ეკრანზე ცის ქვეშ მე დავინახე მკვდარი, თოვლით დაფარული ხომალდი... ვითომ მკვდარი? არა; აკაკუნებენ, ფიცრებს აქედანვე შუქის ჩასასვლელებზე, თუნუქს და ქეჩას აკრავენ ქერს, გამოსაზამთრებლად ემზადებიან...

მეზღვაურებმა, რომლებიც გასასვლელში იდგნენ, გზა მისცეს კატიას, როდესაც კატია თავის სავარძლისაკენ მოდიოდა, და მე ვავიფიქრე, ძალიან სამართლიანია, რომ ასეთი მოწინააღმდეგე გზას კაპიტან ტატარინოვის ქალს-მეთქი. მაგრამ კატია აგრეთვე ყველაზე უკეთესიც იყო. ყველაზე უკეთესი იყო და ისიც როგორღაც მონაწილეობდა ამ ალტაცებაში, ამ ზეშთაგონებაში, რომლითაც მე ვლაპარაკობდი „წმ. მარიამის“ მოგზაურობაზე.

მაგრამ დრო იყო გადავსულიყავი დრეიფის მეცნიერულ ისტორიაზე და მე დავიწყე დასაბუთებით, რომ ფაქტებს, რომლებიც დადგენილი იყო კაპიტან ტატარინოვის ექსპედიციის მიერ, დღემდე არ დაუქარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ასე, დრეიფის შესწავლის საფუძველზე, ცნობილმა პოლარელმა პროფესორმა ვ-მ ივარაუდა უცნობი კუნძულის არსებობა 78 და 80 პარალელთა შორის და ეს კუნძული აღმოჩენილ იქნა 1935 წელს და სწორედ იქ, სადაც ვ-მ განსაზღვრა მისი ადგილმდებარეობა. ნანსენის მიერ დადგენილი მუდმივი დრეიფი დადასტურებულია კაპიტანი ტატარინოვის მოგზაურობით, ხოლო ყინულისა და ქარის შედარებითი მოძრაობის ფორმულები დიდ მონაპოვარს წარმოადგენენ რუსულ მეცნიერებაში.

ცნობისმოყვარეობის ტალღამ შეარხია აუდიტორია, როდესაც დავიწყე ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ იყო გამქლავებული ექსპედიციის ფოტოფირფიტები, რომელნიც დაახლოებით ოცდაათი წელიწადი ეწყო მიწაში.

შუქი ჩაქრა. ეკრანზე გამოჩნდა მაღალი კაცი ბეწვის ქუდით, ბეწვის ჩექმებში, მუხლ ქვემოდან გადაქერილი თასმებით. ის იდგა, თოფზე დაყრდნობილი, თავი ჯიუტად დაეხარა და მკვდარი დათვი, თათებშიწყობილი, კნუტივით იწვა მის ფერხთით. იგი თითქოს შემოვიდა ამ დარბაზში — ძლიერი, უშიშარი სული, რომელსაც ასე ცოტა რამ ესაჭიროებოდა!

ყველანი ფეხზე აღგნენ, როდესაც იგი ეკრანზე გამოჩნდა, და ისეთმა სიჩუმემ, ისეთმა ზეიმით აღსავსე მღუმარებამ მოიცვა დარბაზი, რომ ვერავინ ამოსუნთქვასაც კი ვერა ბედავდა, არამცთუ სიტყვის თქმას.

და ამ საზეიმო სიჩუმეში მე წავიკითხე კაპიტანის პატაკი და გამოსათხოვარი წერილი:

— .....მწარეა ჩემთვის ფიქრი ყველა საქმეებზე, რომლის გაკეთებაც შემეძლო, რომ ჩემთვის არამცთუ ეშველათ, არამედ ხელი მაინც არ შეეშალათ. რას ვიზამ? ერთი ნუგეში ის არის, რომ ჩემი შრომით აღმოჩენილი და შეერთებულია რუსეთთან ახალი, ვრცელი მიწები...“

— მაგრამ ამ წერილში, — განვაგრძობდი მე, როდესაც ყველანი დასხდნენ, — არის კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება. აი, იგი: „მე ვიცი, ვის შეეძლო ეშველა თქვენთვის, მაგრამ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ წუთებში არ მინდა ჭახსენო იგი. მე არ მეწერა, პირში მიმეხალა მისთვის ყველაფე-

რი, რაც ამ წლების მანძილზე გულში ბოლშა დაგროვდა. მასში შესახა ხორცი იმ ძალამ, რომელიც ხელ-ფეხს მიკრავდა მუღამ...“ ვინ არის ის ადამიანი, ვისი სახელის ხსენებაც კი არ უნდოდა კაპიტანს სიკვდილის წინ? მის შესახებ სწერდა სხვა წერილში: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა ჩვენი მარცხის გამო ჩვენ მხოლოდ მისი მადლობელი უნდა ვიყოთ“. მის შესახებ სწერდა იგი: „ჩვენ ალაღბედზე მივდიოდით, ვიცოდით, რომ ალაღბედზე მივდიოდით, მაგრამ ჩვენ არ ველოდით ასეთი მეხის დაცემას“. მის შესახებ სწერდა იგი: „მთავარი მარცხი — შეცდომა, რის გამოც ყოველდღიურად და ყოველ წამს ვისჯებით, ის არის, რომ ექსპედიციის მომზადება ნიკოლაის მივანდევ...“

ნიკოლაის! მაგრამ ცოტა ნიკოლაიები არიან ქვეყანაზე!

რასაკვირველია, ქვეყანაზე ბევრი ნიკოლაია და ამ აუდიტორიაშიც ცოტანი არ იყვნენ. მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი წელში გასწორდა, მიიხედ-მოიხედა, როდესაც მე ხმამალა ვთქვი ეს სახელი და ჯოხი, რომელზედაც იყო დაყრდნობილი, ხელიდან გაუვარდა და გაგორდა. ჯოხი მიაწოდეს.

— მე იმიტომ კი არ ვასახელებ დღეს მის სახელს, რომ ძველი დავა გადავწყვიტო ჩემსა და იმ ადამიანს შორის. ჩვენი დავა დიდი ხანია გათავებულია, თვითონ ცხოვრებამ გაათავა იგი. მაგრამ თავის წერილებში ის განაგრძობს მტკიცებას, თითქოს ყოველთვის კეთილის მსურველი და მწყალობელი იყო კაპიტან ტატარინოვისა და რომ თვით აზრიც კი „ნორდენშელდის კვლით გავლისა“, როგორც სწერს, ეკუთვნოდა მას. ის ისე დარწმუნებულია თავის თავში, რომ გამბედაობა ეყო, ჩემს მოხსენებაზე მოსულიყო, და ახლა ამ დარბაზში იმყოფება.

ჩურჩული ატყდა რიგებში. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კვლავ ჩურჩული ატყდა. თავმჯდომარემ ზარი დააწკარუნა.

— უცნაური ბედი ჰქონია! აქამდე ის, მართლაც, ერთხელაც არ იყო დასახელებული სრულად — სახელით, მამის სახელითა და გვარით. მაგრამ კაპიტანის გამოსათხოვარ წერილებს შორის ჩვენ საქმიანი ქაღალდებიც ვიპოვეთ. ერთ მათგანს, როგორც სჩანს, კაპიტანი არასოდეს არ იშორებდა... ეს იყო ვალდებულების ასლი, რომლის თანახმადაც: 1. დიდ მიწაზე დაბრუნების შემდეგ მთელი სამრეწველო ნადავლი ეკუთვნის ნიკოლაი ანტონიჩ ტატარინოვს — სრულად არის აღნიშნული სახელი, მამის სახელი და გვარი. 2. კაპიტანი წინასწარ უარს ამბობს ყოველგვარ გასამრჯელოზე. 3. გემის

დაკარგვის შემთხვევაში კაპიტანი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით ნიკოლაი ანტონიჩ ტატარინოვის წინაშე — სრულად არის აღნიშნული სახელი, მამის სახელი და გვარი. 4. თვით გემი და სადაზღვეო ჯილდო ეკუთვნის ნიკოლაი ანტონიჩ ტატარინოვს — სრულად არის აღნიშნული სახელი, მამის სახელი და გვარი. ოდესღაც ჩემთან ლაპარაკში ამ აღამიანმა თქვა, რომ მხოლოდ ერთ მოწმესა სცნობს: თვით კაპიტანს. მაშ, დაე ახლა ყველას წინაშე უარპყოს ეს სიტყვები იმიტომ, რომ თვით კაპიტანი, ასახელებს ახლა მას, სრულად — სახელით, მამის სახელითა და გვარით!

საშინელი აურზაური ატყდა დარბაზში, როგორც კი გავათავე ჩემი სიტყვა, — წინა რიგებში ბევრნი წამოდგნენ, უკანა რიგებში ყვირილი დაიწყო: მოითხოვდნენ, რომ დამსხდარიყვნენ, რადგანაც არაფერი ჩანდა. ის კი იღვა, ხელი, რომელშიაც ჯოხი ეჭირა, მაღლა აეწია და ყვიროდა:

— მე ვთხოვლობ სიტყვას, მე ვთხოვლობ სიტყვას!

მას მისცეს სიტყვა, მაგრამ არ დააცალეს ელაპარაკნა. ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია ასეთი ჯოჯოხეთური ხმაურობა, რომელიც იწყებოდა, როგორც კი იგი პირს დაალებდა. მაგრამ მაინცა თქვა რაღაც, — არავის არ გაუგონია რა, — და ჯოხის მძიმე კაკუნით კათედრიდან ჩამოვიდა და გასასვლელისკენ გაემართა. ის სრულ სიცარიელეში მიდიოდა და იქ, სადაც ის გაივლიდა, კიდევ დიდხანს იყო ზიცარიელე, — თითქოს არავის არ უნდოდა გაეველო იქით, სადაც ეს-ეს არის მან გაიარა თავისი ჯოხის კაკუნით.

## თავი მეცხრა

### და უკანასკნელი

ვაგონი ენსკამდე მიდიოდა, მაშ მთელი ეს ხალხი, მოთავსებული ვისაც სად მოხვდებოდა, — იატაკზე, თაროებზე, გატენილ ჩაბნელებულ ვაგონში, — ენსკში მიდიოდა. წინანდელ დროში ეს საკმარისი იქნებოდა, რომ ენსკის მოსახლეობა თითქმის ორჯერ გადიდებულიყო.

ჩვენ მეზობლები გავიცანით. — მეზობელი ქალები (მოსკოვის უმაღლესი სკოლის სტუდენტები იყვნენ). მათ გვითხრეს, ენსკში სამუშაოდ მივდივართო.

— რა სამუშაოზე მიდიხართ?

— ჯერ არ ვიცით. მალაროებში უნდა ვიმუშაოთ.

თუ არ ჩავთვლით მიწისქვეშა თხრილებს ტაძრის ბაღში, რომელზედაც პეტკა ოდესღაც ამბობდა, მდინარის ქვეშ გაღის და იქ „ყოველ ნაბიჯზე ჩონჩხებიანო“, ენსკში მალაროების მსგავსი არაფერი იყო. მაგრამ ქალები ამტკიცებდნენ, მალაროებში სამუშაოდ მივდივართო.

როგორც ყოველთვის, უკვე სამი-ოთხი საათის შემდეგ ყოველგანყოფილებაში თავისი ცხოვრება წარმოიქმნა, რომელიც არა ჰგავდა შეზობელ განყოფილების ცხოვრებას, თითქოს თხელი, ჰერამდე ფიცრული კედლები ჰყოფდნენ არა ვაგონს, არამედ გრძნობებსა და აზრებს. ზოგ განყოფილებაში ახმაურდნენ და გამხიარულდნენ, ზოგან მოიწყინეს. ჩვენთან სიმხიარულე იყო, რადგანაც გოგონებმა ჯერ ცოტა მოიწყინეს, რომ ვერ მოახერხეს საზაფხულო სამუშაოზე მოსკოვში დარჩენა, გალანძღეს ვილაც მამუკა, რომელმაც ეს პოახერხა, სიმღერა წამოიწყეს და მთელი საღამო მე და კატია ვისმენდით თანამედროვე სამხედრო რომანსებს, რომელთა შორისაც რამდენიმე სასაცილო იყო. საერთოდ, გოგონები ენსკს ჩასვლამდე მღეროდნენ, ღამეც კი რატომღაც გადაწყვიტეს არ დაეძინათ. ამგვარად გაიარა ამ მოკლე ხნის გზამ—ოცდაოთხმეტმა საათმა—თვლემაში, გოგონების ამ ახალგაზრდულ, ხან მხიარულ, ხან სევდიან სიმღერაში.

წინათ მატარებელი დილით ადრე ჩადიოდა ენსკში, ახლა კი საღამო ეამს, ისე რომ, როდესაც ჩვენ გადმოვედით, პატარა ვაგზალი ბინდში სიმპათიური და ძველებური მყუდროებით სავსე მომეჩვენა. მაგრამ წინანდელი ენსკი გათავდა იქ, სადაც გათავდა გენიერი, ცაცხვებში ჩამალული ამ შენობის სადარბაზო შესასვლელი, იმიტომ რომ, ბულვარზე რომ გამოვედით, ჩვენ დაეინახეო შორს რაღაც მუქი კორპუსები, რომელთა ზემოდანაც ქვევიდან განათებული მუქი წითელი ბოლის ღრუბლები მიჰქროდნენ. ეს ისეთი უცნაური პეიზაჟი იყო ენსკისათვის, რომ მე ვუთხარა კიდევ გოგონებს, ალბათ საღამე მდინარის გაღმა ნაწილში ხანძარია-მეთქი დაიჯერეს, რადგანაც გზაში მე დიდხანს ვტრიაბახობდი, ენსკელი ვარ, ყოველ კენჭს ვიცნობ-მეთქი იქ. მაგრამ თურმე ეს ხანძარი კარა, ენსკში ომის წლებში აშენებული ზარბაზნების ქარხანა იყო.

მე ვხედავდი, როგორ არაჩვეულებრივად გამოიცვალა ომი. დროს ჩვენი ქალაქები—მაგალითად მ-ი,—მაგრამ ამ ქალაქებს არ ვიცნობდი ჩემს ბავშვობაში. ახლა, როდესაც მე და კატია მივ-

დიოდით, ზასტენნაიას და გოგოლის ქუჩებით, რომლებიც სწრაფად ეხვეოდნენ ბინდში, მეჩვენებოდა, რომ ეს ქუჩები, — წინათ ზანტად გაწოლილნი კრეპოსტნოი ვალის გასწვრივ, — ახლა სწრაფად მიექანებიან ზევით, რათა მონაწილეობა მიიღონ ქარხნის კორპუსების ზემოდან ამ შეუჩერებელ ცეცხლოვან ბოლის ღრუბლების მოძრაობაში. ეს იყო პირველი, მაგრამ უტყუარი შთაბეჭდილება — ჩვენს წინ იყო კარგად შეიარაღებული ქალაქი. რასაკვირველია, ჩემთვის ის უწინდელი, მშობლიური ენსკი იყო, მაგრამ მე ახლა შეეხვდი მას, როგორც ძველ მეგობარს, — როდესაც აკვირდები ნაცნობ შეცვლილ ნაკვთებს, უნებურად იცინი სიყვარულისა და მღელვარებისაგან და არ იცი, საიდან დაიწყო ლაპარაკი.

ჯერ ისევ პოლიარნოდან ვწერდით პეტიას, მოხუცების სანახავად ჩამოვალთ-მეთქი, და ის ვარაუდობდა, ამ დროისათვის შეფთვარდებინა შვებულება, რომელსაც დიდი ხანია ჰპირდებოდნენ.

ვაგზალზე არავინ დაგვხვედრია, თუმცა მოსკოვიდან ვაცნობე დეპეშით და ჩვენ გადაწყვეტეთ, პეტამ ჩამოსვლა ვერ მოახერხაო. მაგრამ პირველი, ვინც შეგვხვდა მარკუზეს სახლის მისავალ კარებთან ორ გაჯავრებულ ლომს შუა, სწორედ პეტია იყო, რომელიც მაშინვე ვიცანი, მიუხედავად იმისა, რომ დაბნეული, ჩაფიქრებული, განცვიფრებული გამომეტყველების მქონე პიროვნებიდან ის მზემოკიდებულ ახოვან ყოჩაღ ოფიცრად გადაქცეულიყო.

— აი, თურმე ესენი სად არიან! — თქვა ისე, თითქოს დიდი ხანია გვეძებდა და ძლივს გვიპოვა.

ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ, შერე კატიასაქენ გადადგა ნაბიჯი და ხელები დაუჭირა. მათ ჰქონდათ საერთო — ლენინგრადი, და როდესაც ისინი იდგნენ და ერთმანეთს მაგრა ხელს ართმევდნენ, მეც კი შორს ვიყავი მათგან, თუმცა შესაძლოა ჩემზე მახლობელი მათ ქვეყანაზე არავინა ჰყავდათ.

დეიდა დაშას ეძინა, როდესაც მის ოთახში შევეცივდით და, ალბათ, გადაწყვეტა, სიზმარში ვხედავო, რადგანაც ნიდაყვზე წამოწეული და ჩაფიქრებული, დიდხანს გვათვალიერებდა. ჩვენ სიცილი დავიწყეთ და ის გამოფხიზლდა.

— ღმერთო, სანეჩკა! — თქვა მან. — კატია! თვითონ კი ისევ წავიდა.

„თვითონ“ — ეს მოსამართლე გახლდათ, „ისევ წავიდა“ — ეს ნიშნავდა იმას, რომ, როდესაც მე და კატია დაახლოებით ხუთი წლის

წინათ ენსკში ვიყავით, მოსამართლე სადღაც რაიონში სესიაზე იყო წასული.

ღირს კი ლაპარაკი იმაზე, როგორ ფუსფუსებდა დეიდა დაშა ჩვენს მოწყობაზე, როგორ შეწუხდა, რომ ნამცხვარი თალხი ფქვილისაგან უნდა მოეზილა და რაღაც „საზღვარგარეთული ქონით“. გათავდა იმით, რომ ჩვენ ძალით დავსვით ის. კატიამ დიასახლისობას მოჰკიდა ხელი, მე და პეტეიმ თავს ვიდეთ შველა და დეიდა დაშა მხოლოდ წამოივიშვიშებდა და ძრწუნდებოდა, როდესაც პეტეიმ „გემოვნებისათვის“, როგორც გამოაცხადა, ცომში რაღაც კონცენტრატები უყო, მე კი მარილის მაგიერ კინლამ სარეცხის ფხვნილს არ ჩავუძახე. საკვირველია, მაგრამ, ცომი მშვენიერად გაფუჟდა და, თუმცა დეიდა დაშამ, გემო რომ გაუსინჯა ერთ პატარა ნაჭერს, თქვა „სანელბელი“ აკლიაო, მაინც ჩანდა, რომ ნამცხვარი, ომიანობის დროის პირობაზე, საკმაოდ კარგი გამოვიდა.

სადილზე დეიდა დაშამ მოითხოვა გვეამბნა ყველაფერი, დაწყებული იმ დღიდან და საათიდან, როდესაც ჩვენ ხუთი წლის წინათ დავშორდით მას ენსკის ვაგზალზე, მაგრამ მე დავარწმუნე, რომ დაწვრილებითი ანგარიში უნდა გადაგვედო მოსამართლის ჩამოსვლამდე; სამაგიეროდ, პეტეის კი ვაამბობინეთ თავისი თავგადასავალი.

მღელვარებით ვუსმენდი მას, მღელვარებით, რადგანაც ოცდახუთ წელზე მეტი იყო, რაც ვაცნობდი და ახლა ის სულაც არ მეჩვენებოდა სხვა ადამიანად, როგორც მას კატია აღწერდა. მაგრამ ის ჩემთვის საიდუმლოებით აღსავსე „მხატვრის თვალი“, რომელიც ჩემს თვალში ყოველთვის განასხვავებდა პეტეის ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, ახლა უფრო გამოკვეთილი და ზუსტი გამხდარიყო.

მან გვიჩვენა თავისი ალბომები — უკანასკნელი წელი პეტია უკვე მწყობრში არ იმყოფებოდა, არამედ საფრონტო თეატრის მხატვრად მუშაობდა. ეს იყო საბრძოლო ცხოვრების ჩანახატები, ხშირად სწრაფი, ნაჩქარევი, მაგრამ ის ზნეობრივი ძალა, რომელსაც იცნობს ყველა, ვინც ჩვენს არმიაში თუნდ რამდენიმე დღე გაატარა, გასაოცარი სიღრმით იყო ასახული.

ხშირად ვჩერდებოდი ომის დაუვიწყარ სურათების წინ, ინსტინქტურად ვნანობდი, რომ ერთი ჰქრება რა უკვალოდ, ცვლის მეორეს. ახლა მე დავინახე ეს სურათები. ისინი ოდნავ მოეხაზა, მაგრამ დიდი გენიალური სიღრმეც კი მიეცა.

— აი, ხედავ, — გულკეთილად გაიღიმა და მითხრა პეტამ, როდესაც მივულოცე მას. — მოსამართლე კი ამბობს, ცუდი ნახატებიანო. გმირობა ცოტააო. ჩემი ბიჭიც ხატავს, — დაუმატა და ქვედა ტუჩი წამოიშვირა, როგორც ყოველთვის, როდესაც კმაყოფილი იყო. — არა უშავს კრა, მგონი ნიჭიერია.

კატამ ჩემოდნიდან ნინა კაპიტონოვნას წერილები ამოიღო, რომელიც ჯერ ისევ ნოვოაზირსკში ცხოვრობდა პეტასთან ერთად, და დეიდა დაშამ, რომელსაც ყოველთვის აინტერესებდა დიდება, მოითხოვა რამდენიმე წერილი ხმამაღლა წაგვეკითხა მისთვის.

დიდება წინანდებურად ცალკე ცხოვრობდა და არა ბანაკში. თუმცა დირექტორი პერიშკინი პირადად მივიდა მასთან, ბოდიში მოიხადა და სთხოვა ბანაკში დაბრუნებულიყო, მაგრამ დიდებამ მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა, „რადგანაც სიყმაწვილიდანვე არა ვარ მიჩვეული ქედის მოხრასო“, როგორც ის იწერებოდა. უარი უთხრა და უეცრად მთელი რაიონი გააკვირვა: ადგილობრივ კულტურის სახლის კულტმასიურ სექტორში შევიდა.

„კრა-კერვას ვასწავლი, — მოკლედ იწერებოდა იგი, — შენ და სანიას კი გილოცავთ. მე სანია დიდი ხანია გავიცანი, ჯერ კიდევ პატარაობისას და რომ ტანი აეყარა, უგრეხელს ვაკმევედი. სანია კარგია... შენ კი არ გააწვალო, უხეირო ხასიათი გაქვს“.

ეს ჩვენი წერილის პასუხი იყო, რომლითაც ვატყობინებდით. რომ ერთმანეთი ვიპოვეთ.

„მთელი ღამე არა მძინებია, — გვწერდა იგი, როდესაც გაიგო ექსპედიციის ნაშთების პოვნის შესახებ, — სულ საწყალ მაშაზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი დაუსრულებლად. უკეთესია, რომ მამაშენის საშინელი ბედი არ გაიგო“.

პეტენკა ჯანმრთელად იყო, ძალიან გაზრდილიყო, თუ სურათის მიხედვით ვიმსჯელებდით, და უფრო მეტად დამსგავსებოდა თავის დედას, ჩვენ მოვიგონეთ სანია და დიდხანს ვდუმდით, თითქოს კვლავ სევდით სავსენი შევჩერდით იმ უგუნური სიკვდილის წინაშე.

ჯერ ისევ გაზატხულზე დაიწყო კატამ ზრუნვა დიდებასა და პეტენკასათვის მოსკოვის საშვების გამო, და იმედი გექონდა, რომ მათ ენახავდით აქედან დაბრუნებისას.

ჩემი, თუ კატას ძველი აზრი, რომ ომის შემდეგ ერთ ოჯახად დავსახლებულიყავით ლენინგრადში, არაერთხელ იყო გამეორებული ამ საღამოს. ერთ ოჯახად — დიდებათი და ორივე პე-

ტიებით, პატარათი და დიდით. მაგრამ დიდი ოდნავ შეშფოთდა, როდესაც მომავალ ბინაში, რომელიც უკვე მიღებული იყო ჩვენს წარმოდგენაში და სადმე კი არა, არამედ კიროვის პროსპექტზე, — სტუდია გამოვუყავით მოშორებით, რომ ხელი არავის შეეშალა. მგონი, მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ ერთ ქალს, რომელზედაც კატია ყოველთვის ალტაცებით ლაპარაკობდა, ხანდახან ხელი შეეშალა მისთვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ საღამოს მის შესახებ არავის კრინტი არ დაუძრავს...

ჯერ ისევ მთელ სახლს ეძინა, როდესაც მოსამართლე დაბრუნდა, მან ისე დაიღრინა და ისე დაიწყო ჯავრობა, როდესაც დეიდა დაშამ დააპირა ჩვენი ლოგინებიდან აყენება, რომ იძულებული გავხდით, თავი მოგვემძინარებინა და კიდევ ნახევარი საათი ვწოლილიყავით. სწორედ ისე, როგორც ხუთი წლის წინ, ის დიდხანს ფრუტუნებდა და ხენეზოდა სამზარეულოში — პირს იბანდა. იმოდ, როგორ გაიარა დერეფანში და წყლის წვეთები როგორ მძიმედ სცვიოდა.

კატია ისევ დაეძინა, მე კი ჩუმად ჩავიცივი და სამზარეულოში გავედი, სადაც ის იჯდა და ჩაის სვამდა, — ფეხშიშველი, სუფთა პერანგში, პირის დაბანის შემდეგ ჯერ ისევ სველი თავით და ულვაშებით.

— მაინც გაგალვიძე, არა! — მითხრა მან, ჩემკენ გადმოღება ნაბიჯი და მაგრად გადამეხვია.

როდესაც არ უნდა დაებრუნებულყავი მშობლიურ ქალაქში, მშობლიურ სახლში, მრისხანე „აბა, მიაბე“ უცვლელად მელოდა. მოხუცს სურდა სცოდნოდა, რას ვაკეთებდი და წესიერად ვცხოვრობდი თუ არა განშორების წლებში. სქელი წარბებით დაჩრდილული მრისხანე თვალებით შემომყურებდა და ნამდვილ მოსამართლესავით მართმევდა ჩვენებას და მე ვიცოდი, რომ ქვეყანაზე ვერსად ვერ ვიპოვიდი ამაზე სამართლიან განაჩენს. მაგრამ ამჯერად, პირველად ჩემს ცხოვრებაში, მოსამართლემ არ მომთხოვა ანგარიში.

— ყველაფერი ცხადია, — მითხრა მან და კმაყოფილმა ულვაშებზე გადაისვა ხელი და ჩემს ორდენებს მიაჩერდა. — ოთხია?

— დიახ.

— მეხუთე კაპიტან ტატარინოვისათვის, — სერიოზულად თქვა მოსამართლემ. — ამის ფორმულირება ძნელია, მაგრამ მიიღებ.

ამის ფორმულირება ძნელი იყო, რასაკვირველია, მაგრამ, ეტყო-

ბა, მოხუცმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს, რადგან საღამოთი, როდესაც ჩვენ კვლავ შეეხვდით ერთმანეთს მაგიდასთან, სიტყვა თქვა, რომელშიაც სცადა შეეჯამებინა ყველაფერი, რაც მე გავაკეთე.

— ცხოვრება მიდის, — თქვა მან, — მომწიფებული, დასრულებული აღამიანები, თქვენ ჩამოხვედით მშობლიურ ქალაქში და ამბობთ, რომ ძნელია მისი ცნობა, ისე გამოცვლილა ის. არა მარტო გამოიცვალა — ჩამოყალიბდა, როგორც ჩამოყალიბდით თქვენ, გამოამყვანეთ რა თქვენში ძალა ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. მაგრამ სხვა ფიქრებიც მომდინარე თავეში, როდესაც გხედავ შენ, ძვირფასო სანია. შენ იპოვე კაპიტან ტატარინოვის ექსპედიცია — ოცნებები სრულდება და ხშირად სინამდვილედ იქცევა ის, რაც ბავშვურ ზღაპრად წარმოგვედგინა. ის ხომ შენ მოგმართავს თავის გამოსათხოვარ წერილებში — მას, ვინც გააგრძელებს მის დიად საქმეს. შენ მოგმართავს და მე კანონიერად გხედავ შენ მის გვერდით, რადგანაც ისეთ კაპიტნებს, როგორიცაა ხართ შენა და ის, წინ მიჰყავთ კაცობრიობა და მეცნიერება.

ქიქა ასწია და ჩემი საღვთვრძელო გამოსცალა.

შულამემდის ვისხედით მაგიდასთან. მერე დეიდა დაშამ გამოგვიცხადა, ძილის დროაო, მაგრამ ჩვენ პესჩინკაზე წავედით სასეირნოდ.

წინანდებურად სწრაფად მიჰქროდნენ და ერთმანეთს სცვლიდნენ ქარხნის ზემოდან მუქი ცეცხლოვანი ღრუბლები. ჩვენ მდინარეზე ჩავედით და პროლომამდის გავყევით ნაპირს, სადაც განიერშარვლიანი გამხდარი შავი ბიჭი ცისფერ კიბოებს იჭერდა. თითქოს დრო შეჩერდა და მოთმინებით მელოდა ამ ნაპირზე. ძველებურ კოშკებშუა, პესჩინკისა და ტიხოს შესართავთან, — აი, მე დავბრუნდი, და ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ. რა მელის წინ? რა ახალი განცდები, ახალი შრომა, ახალი ოცნებები, ბედნიერება თუ უბედურება? ვინ იცის... მაგრამ მე არა ვხრი თვალებს ამ მოუწყიდველი შემოხედვის წინ.

დრო იყო დავბრუნებულიყავით, — კატიას შესცივდა. ხე-ტყით დახვრვილ სანაპიროზე ჩავიარეთ და სახლისაკენ გავუხვიეთ.

ქალაქში სიჩუმე იყო და თითქოს რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული იგი. ჩვენ დიდხანს მივდიოდით ხელგადახვეულნი და ვდუმდით. მე მომაგონდა ჩვენი გაქცევა ენსკიდან. ქალაქი ასევე ჩაბნელებული და სიჩუმით მოცული იყო, ჩვენ კი — პატარები, უბედურ-

ნი და გამბედავნი; წინ გველოდა საშინელი, უცნობი ცხოვრება...

თვალები სველი მქონდა, მაგრამ არ ვიწმენდდი ამ სიხარულის ცრემლებს და არა მრცხვენოდა, რომ ეტიროდი.

## ეპილოგი

მშვენიერი სურათი იშლება ამ მაღალი კლდიდან, რომლის ძირშიაც იზრდება ქვებს შუა ამოხეთქილი გარეული პოლარული ყაყაჩოები. ნაპირთან ჩანს გაშლილი მოლაპლაპე წყალი, იქ კი, შორს, — აბზინდა და ლილისფერი ყინულოვანი მინდვრები, რომლებიც საიდუმლო სიღრმეში იკარგებიან. აქ არაჩვეულებრივი გამკვირვალე გეჩვენებათ პოლარული ჰაერი. ირგვლივ სიჩუმე და უნაპირო სიერცეა. მხოლოდ ქორი გადაიფრენს ზოგჯერ განმარტობულ საფლავეზე.

ყინულები ჩაუვლიან მას, — ერთნი ნელა, მეორენი უფრო ჩქარა, ერთმანეთს ეჯახებიან და ტრიალებენ.

აი, გასურა ვერცხლისფრად მოელვარე მუზარადიანმა გოლიათის თავმა: ყველაფერი შეგიძლიათ გაარჩიოთ — მწვანე გაბურძენილი წვერი, რომელიც ზღვას უერთდება, მიქყლეტილი ცხვირი და მონუსხული, კალარა შეკოპილ წარბებს ქვემოდან გამომყურე თვალები.

აი. მოახლოვდა ყინულის სახლი, საიდანაც უამრავი ზარების წკრიალით მოწანწკარებს წყალი. აი, სუფთა თეთრ სუფრეზგაღაფარებული დიდი სადღესასწაულო მაგიდები.

მოდიან და მოდიან, დაუსრულებლად და უსაზღვროდ!

ენისეის ყურეში შემოსული გემები შორიდანვე ხედავენ ამ საფლავს. ისინი მას დაშვებულ ბაირალებით ჩაუვლიან ხოლმე და დაუსრულებლად გაისმის ზარბაზნების სამგლოვიარო სალუტი და გრძელი გამოძახილი.

საფლავი გაკეთებულია თეთრი ქვისაგან. ის თვალისმომკრელად ელვარებს ღვინავამ მოკაშკაშე პოლარული მზის სხივებით განათებული.

ადამიანის სიმაღლეზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები:

„აქ განისვენებს ნემსტი კაპიტან ი. ლ. ტატარინოვისა, რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაბედული მოგზაურობა მოაწყო და დაიღუპა 1915 წლის ივნისში, მის მიერ აღმოჩენილ ჩრდილოეთი მიწიდან უკან დაბრუნების დროს.

იბრძოლე და ეძიე, ჰპოვე და უკან არ დაიხიო“.

## შინაარსი

### ნაწილი მეექვსე

კატია ტატარინოვას ნამბობი  
ახალგაზრდობა გრძელდება

თავი პირველი. „შენ მას არ იცნობ“	83- 3
„ მეორე. ძალის მოედანი	9
მესამე. „გისურვებთ ბედნიერ ნაოსნობას და წარმატებებს“	15
მეოთხე. სანიას სადღეგრძელოს ესეანთ	20
მეხუთე. აქა სწერია: ხომალდი „წმ. მარიამი“	28
მეექვსე. დიდელასთან	32
მეშვიდე. ზამთარი	36
მერვე. ლენინგრადი	43
მეცხრე. შეხვედრა	51
მეთე. ლაშე	56
მეთერთმეტე. და .	59
მეთორმეტე. უკანასკნელი გამოთხოვება	65
მეცამეტე. პატარა პეტია	68
მეთოთხმეტე. ლამის სტუმარი	70
მეთხუთმეტე. ახალგაზრდობა გრძელდება	73
მეთექვსმეტე. მე ვხედავ ხელში პატარათი..	76

### ნაწილი მეშვიდე განზოგება

თავი პირველი. ხუთი წელი	8:
„ მეორე. რა გვიამბო დიდელამ	94
მესამე. „გახსოვდეს, შენ გწამს“	96
მეოთხე. „უსათუოდ ვნახავთ ერთმანეთს, მაგრამ მალე არა“	102
მეხუთე. ძმა	110
მეექვსე. ახლა ჩვენ თანასწორნი ვართ	113
მეშვიდე. „ეკატერინა ივანოვნა ტატარინოვა-გრიგორიევას“	116
მერვე. ეს ექიმის წყალობით მოხდა	121
მეცხრე. უკან დახევა	123
მეთე. ცხოვრება კი თავისი გზით მიდის	125
მეთერთმეტე. ვახშამი. „ლაპარაკი ჩემზე არ არის“	131
მეთორმეტე. მჯერა	136
მეცამეტე. იმელი	140
მეთოთხმეტე. იმელს ვკარგავ	148
მეთხუთმეტე. „დე, გიხსნას სიყვარულმა ჩემმა!“	152
მეთექვსმეტე. შვიდობით, ლენინგრადო!	157

### ნაწილი მერვე

სანია გრიგორიევის ნამბობი  
იბრძოლე და ეძიე

თავი პირველი. დილა	165
მეორე. ის .	168

მესამე. ყველაფერი, რაც შეგვეძლო	173
მეოთხე. „შენა ხარ, ბუ“?	174
მეხუთე. ძველი ანგარიშები	177
მეექვსე. სტანისლაველი გოგონები	182
მეშვიდე. ვერაეინ გაიგებს	184
მერვე. ვერხვის ქალაში	188
მეცხრე. მარტოდმარტო	190
მეათე. ბიჭები	193
მეთერთმეტე. სიყვარულზე	195
მეთორმეტე. ჰოსპიტალში	198
მეცამეტე. განაჩენი	203
მეთოთხმეტე. კატიას ვეძებ	207
მეთხუთმეტე. პიდროგრად რ-თან შეხვედრა	212
მეთექვსმეტე. ვადაწყვეტილება	218
მეჩვიდმეტე. მეგობრები, რომლებიც შინ არ დამიხვდნენ	221
მეთვრამეტე. ძველი ნაცნობი. კატიას პორტრეტი	224
მეცხრამეტე. „შენ მე არ მომკლავ“	228
მეოცე. აჩრდილი	234

## ნაწილი მეცხრე

### პოვე და არ დაემორჩილო

თავი პირველი. ცოლი	242
„ მეორე. ჯერ არაფერი გათავებულა	247
მესამე. თავისუფალი ნადირობა	253
მეოთხე. ექიმი პოლიარნოეში მსახურობს	257
მეხუთე. მათ გაუმარჯოს, ვინც ზღვაში არიან	263
მეექვსე. დიდი მანძილები	265
მეშვიდე. ისევ იმიერპოლარეთში	269
მერვე. გამარჯვება	277

## ნაწილი მეათე

### უკანასკნელი ფურცელი

თავი პირველი. გამოცნობა	281
„ მეორე. ყველაზე წარმოუდგენელი	285
„ მესამე. ეს კატია იყო	290
„ მეოთხე. გამოსათხოვარი წერილები	297
„ მეხუთე. უკანასკნელი ფურცელი	301
„ მეექვსე. დაბრუნება	306
„ მეშვიდე. ორი საუბარი	311
„ მერვე. მოხსენება	317
„ მეცხრე და უკანასკნელი	322
ეპილოგი	329

**В. Каверин**  
**Два капитана, кн. II**

(На грузинском языке)  
Худ. А. Бандзеладзе  
Детюниздат ГССР  
Тбилиси  
1958

რედაქტორი ვ. ჭელიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი  
მხატვარი ა. ბანძელაძე  
მხატვ. რედ. გ. დიკი  
ტექნორედაქტორი შ. ლოლობერიძე  
კორექტორი მ. გორგაძე

გადაეცა წარმოებას 13/VII-57 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბუქდად 20/I-59 წ. ანაწუობის ზომა  
6×9,5. ქაღალდის ზომა 60×92. ნაბეჭდი თა-  
ბახი 21. სააღრიცხვო თაბახი 17,23.  
ტირაჟი 8.000. შეკვეთა № 489.  
ფასი 7 მან. 70 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
შთაფარპოლოგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

